ᲖᲘᲕᲘ ᲡᲝᲛᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

# ᲡᲘᲡᲝᲡᲮᲚᲔᲨᲘᲕᲔ ᲐᲰ ᲛᲝᲯᲕᲔᲚᲔ

თბილისი 2008

**მხატვარი** – ვახტანგ ბაცაცაშვილი
**რედაქტორი** – დათო ქევხიშვილი

© გ. სომხიშვილი, 2008

ISBN 978-9941-0-0896-2

# ავტორისაგან



ადამიანი ხარ? მაშინ მადლობა შესწირე განგებას ბუნების ამ გენიალურ ქმნილებად რომ გარგუნა ყოფნა და პირუტყვად, ქვეწარმავლად, ზღვის ან ხმელეთის ურჩხულად არ დაგბადა. თუ ეს უზარმაზარი წყალობა შეიგენ, ეცი პატივი ადამიანობას, რომელიც კაცობრიობის ბედნიერი ცხოვრების გარანტიაა. აბა, მოხვეჭით, გაუმაძღრობით, ვერაგობით და მუხთლობით სულიერი სიწმინდის დაბინძურებით, მხეცის და პირუტყვის ყოფაში გადაბარგებით განგებას სინანულის ღიმილს რატომ ჰგვრი; განა სასაცილო არ არის ადამიანობის მხეცობაში გაცვლა?! რაც არ უნდა გაუმაძღრობის ბაცილად იქცე და ყველაფრის მითვისება ისურვო ეს მხოლოდ მაღალი სიცხის ტყვეობაში მყოფი ავადმყოფის გაშმაგებაა, რაც ნორმალურ ადამიანში მწარე გულისწყრომას იწვევს. ამ ქვეყნიდან კი ისე მიდიხარ, როგორც მოხვედი, თან ვერაფერს წაიღებ ცხოველური ცთუნებით დასვრილი სულის გარდა. უცნობი ყოფიდან მოსული უცნობ სულიერებაში უჩინარდები. მაშ, რატომ არ გინდა სიკეთით, სიყვარულით, სათნოებით და სულიერი სიწმინდით დაატკბო შენი ამქვეყნიურობა და შენს ნაკვალევზე ზიზღი არ დატოვო?! ამრიგად, გამხეცებული და გასატანებული ადამიანი სიცოცხლეშივე მკვდარია, რამეთუ მან ღვთიური სიკეთით შემკული ადამიანობა არ ისურვა.

პირველყოფილი ადამიანი დიდად არ განსხვავდებოდა ცხოველისაგან. თანდათან განვითარდა, გონებრივად და ფიზიკურად გაძლიერდა, სულიერად გასპეტაკდა; სიყვარულმა სიკეთის ნათელი რწმენით ბედნიერებისკენ მიმავალი გზა დაანახა. მაგრამ ბოროტება, ღვარძლი, შური და ყოველივე სატანური ისე დაიხვეწა, გამოიწრთო და გაძლიერდა, რომ პირველყოფილი ადამიანის გამხეცება დღევანდელ ცივილიზებულ ვერაგობასთან ისევე პრიმ-

იტიულია, როგორც შურდულით გასროლილი ქვა კოსმოსურ რაკეტასთან; ადამიანში თუ ნადირმა იმძლავრა, მისი მხეცობით მხეცი გაკვირდება.

კაცთმოყვარეობას კვალდაკვალ მისდევს კაცთმოძულება; სიკეთეს — ბოროტება; ადამიანობას — გამხეცება, ამიტომ სისტემატური ძალისხმევა საჭირო ადამიანში მხეცის დასამცრობად, თორემ თუ მან ადამიანში იმძლავრა და, თუ ამგვარი არსება ქვეყნის ხელისუფლების სადავეებთან გაძვრა,თავის მსგავსებს ისე მოამრავლებს სიმსივნის მეტასტაზებივით, რომ ყოველგვარი სიკეთე, რაც ადამიანს ამქვეყნიურობას ბედნიერებად უქცევს, სანთელით საძებარი გახდება. ძნელია ადამიანში გამძლავრებულ მხეცთან ბრძოლა, თუ ცხოველური, ეგოისტური ინსტიქტები საზოგადოებას პანეემიასავით მოსდებია.

ამ რომანში აღწერილია ბოროტების მიერ სიკეთის დამცრობა თანდათან როგორც ექცევა ხალხს უბედურებად. საზოგადოების წინსვლას და განვითარებას ყოველთვის ჰყავს მტერი კარიერიზმით, ღვარძლით, ეგოიზმით და ბოროტებით ტვინმოწამლულ ადამიანთა სახით. შეიძლება დროებით მათ მოახერხონ ადამიანთა შეგნების სიცრუის ბურუსით დაბრმავება, მძლავრი წინსვლის შეჩერება და ბნელ განუკითხაობაში უკან გათრევა. მაგრამ აჟამიანთა მძლავრ ლტოლვას სიკეთის, ბედნიერების, ძმობის, სიყვარულის და თანასწორობისაკენ, რასაც სულიერი და ზნეობრივი სიწმინდე ახლავს თან, ვერავითარი ბოროტი ძალა დიდხან ვერ შეაკავებს განუკითხაობის, სიცრუის და ძალადობის უკუნეთში. მაგრამ სანამ კაცობრიობა ბედნიერი ამქვეყნიურობის მწვერვალს მიაღწევს, ბოროტების ბალღამი უამრავ თაობას მოუწამლავს სიცოცხლეს.

*გივი სომხიშვილი*

# მუხთლობის როკვა

ალაზანის ველზე რძისფერი ნისლი ჩაწოლილიყო. სუსხიანი შემოდგომის შემდეგ ზამთარი ძალაში შევიდა. ხეთა ტოტები სქელ ნისლს დაეფარა და ზედ მიყინოდა. უზარმაზარი მინდორი გამხმარი ბალახის ღეროდან მაღალი ვერხვის კენწეროებამდე ყინულის საფარს შეებოჭა და ზედ ნისლის ახალი ფენა ეყინებოდა. ირგვლივ დუმილი მეფობდა. მხოლოდ უძრაობა და მოლოდინი მოთმინებით მისჩერებოდა ნისლს, როდის აიყრებოდა და გათოშილ მიდამოს კვლავ ჩაუდგებოდა სიცოცხლის ნიშანწყალი.

მილარის საველე ბინის ყარაულმა — ქიტესამ თავლიდან გამოიყვანა ცხენი, გაყინული რუ ჩექმის ქუსლით ჩაამტვრია და წყლის დასალევად მუშვა. თავისთვის ცოტა ზევით გატეხა ყინული და ცივი წყალი სახეზე ხმაურით შეისხა.

ცხენი ორთვალაში შეაბა. ოთახის კარი გადარაზა, თუ ვინმე მოვა, შორს წასული არ ვეგონოო. კოფოზე შემოჯდა და ცხენს სახრე გადაჰკრა, თან დაუწრუზუნა: — ჰაჩუ, ცქვიტო! ცოტა ფეხი გაშალე, თორემ სიარული დაგავიწყდება.

მინდვრის გზაზე გავიდა, რომლის ცალ მხარეს ღრმა თხრილი მისდევდა, მაყვლის და კვინლის ბარდებში რომ ჩაკარგულიყო; გზაზე უამრავ ორმოში ჩამდგარი წყალი გაყინულიყო. თვლების ლითონის სალტე ყინულის ხმაურით ამტვრევდა, ორთვალა ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ ზანყდებოდა.

მაყვლის ბუჩქს ქიტესამ სახრე გადაჰკრა, ტოტებზე შეყინული ჭირხლი ბარდში ჩახრიალდა.

— ეგრე დიდხანს რომ გაგრძელდეს, ვენახები მოიყინება, — ჩაილაპარაკა და ჯავრის გასაქარვებლად ცხენს სახრე გადაჰკრა, — აჩუ, შე სამგლევ, რა უნდილად მიათრევ ფეხებს! — გაუწყრა,

რომელმაც ნაბიჯს ცოტა აუჩქარა, მაგრამ მალე ისევ ძველებური ტემპით გააგრძელა სვლა.

— ათი დღეა კაცის შვილს არ მოვუკითხივარ, ეგრე დამაგდეს და მიმანებეს თავი? ნეტა რას ფიქრობენ?! — ქიტესა ბუტბუტებდა და ნისლს აკვირდებოდა, რომელიც სქლად იწვა და რამოდენიმე მეტრის იქით ყველაფერს ფარავდა.

— თუ ცოტახნით სახლში არ წავედი და ვაზებიდან ყინული არ ჩამოვბერტყე, დაზრება ნამდვილად, — ფიქრებში წასულმა ჩაილაპარაკა და ჩვეულებისამებრ ცხენს გაუწყრა. — პურიც გამოთავდა. ნეტა რას ფიქრობენ, ცქვიტოსავით ბალახის ჭამას ხომ არ დავიწყებ?! აჩუ, შე სამგლევ! — ცხენს სახრე გადაუჭირა. იმანაც რამოდენიმე მეტრი გაირბინა და მერე ისევ სიარულზე გადავიდა. ისე იყო მიჩვეული ქიტესას შეძახილზე სვლას უმატებდა, რადგან ამას სახრის დარტყმა მოსდევდა.

— ხირსაში მივალ, პურს ვიყიდი, სამიოდე დღეს კიდევ მოვიცდი, მერე კი დავკრამ ფეხს და აქეთ პირს აღარ ვიზამ? აბა ვნახოთ, ჩემნაირ ვირს როგორ იშოვნიან! აჩუ, შე სამგლევ! — ცხენს სახრით ისევ გაეთამაშა.

ორმოებით დაფარული გზა აათავა, მარჯვნივ, არხის პირას, მოხრეშილ გზაზე გავიდა. ცხენს ისევ შეეხმიანა: — აჩუ, ცქვიტო! ახლა რაღა გიჭირს, იმ საფლობს ხომ დაველწიეთ.

არხი მასიური ყინულით იყო დაფარული.

— სულ გადაირივნენ ეს შობელძაღლები, ამ ყიამათში წყალი რაში სჭირდებათ, არხი რო გაულიმცლიცებიათ! ზაფხულში კიდევ დაწყვეტავენ, — სახრე აიქნია. — ოჰო, ჰოოოო, პა, პა, პა! დამხრა ამ რევმატიზმმა, ხელი ვეღარ გამიქნევია, კაცოოო! ტრრრ! — აღვირი მოზიდა, ცხენი გააჩერა. — ცოტა მუხლს გავშლი, თორემ ჯდომით გავიყინე, ჩემ რევმატიზმს სწორედ ეს უნდა! — კვნესა ვიშვიშით ორთვალიდან ჩამოვიდა და არხის პირას მივიდა. მოზრდილი ქვა აიღო და გაყინული ზედაპირის შუაში ჩააგდო, ყინული ჩატყდა და ანკარა წყლის ნაკადი ყინულის ზედაპირზე გადმოიღვარა.

— დაალპეთ აქაურობა, დაალპეთ! რწყვის დროს კიდევ რემონტის მომიზეზებით დაწყვეტავენ; თქვენი თავი გახმა! — ორთვალისაკენ გამოტრიალდა. ოციოდე მექტრის მოცილებით არხის მხრიდან ლაპარაკი მოესმა.

— ბიჭო, რომელი ხარ, ხმა გამეცი, არ გესმის?! — ყარაულის ჩვეულებისამებრ ნისლს ამოფარებულებს გასძახა.

არავინ გამოხმაურებია. სამაგიეროდ არხის პირას გამხმარი ჩალის მტვრევის ხმა გაისმა, თითქოს ვიღაცა ამოდიოდა დამრეცი ნაპირიდან.

— ჰაუუუ! — ქიტესამ დაიყვირა და ორთვალისაკენ წავიდა.

სულ ახლოს ავტომობილი ამუშავდა და ძალუმი ღრიალით ადგილს მოსწყდა.

— ბიჭოს, მაგ ოხრებს რამ უკბინა! რა ავი სულებივით გაიქცნენ, — ჩაიდუდუნა და ორთვალა ადგილიდან დაძრა. — რატომ ხმა არ გამცეს? პატიოსანი კაცი არავის არ ემალება, — ლაპარაკობდა და ცხენს აღარ აჩქარებდა, არხის ნაპირს ათვალიერებდა. ამას ინსტიქტის კარნახით აკეთებდა და მისი გავლენით რაღაც არასასიამოვნოს მოლოდინში იყო.

ერთგან ჩალები გადაამტვრევ-გადაეთელათ, იმის გასწვრის კი არხში ყინული ჩაეტეხათ. დინება ყინულის კიდეს ენას უსვამდა, ზოგიერთი თამამი ტალღა ზევიდან გადადიოდა, გამშრალ ყინულზე მოზრდილი რუ გაეკეთებინა და შიგ მიედინებოდა.

ქიტესამ რუს სიგრძით დაასკვნა, ახალი ჩატეხილიაო. — რაში დასჭირდათ ნეტავ? — ჩაილაპარაკა და ნაპირის დათვალიერებას შეუდგა.

ნისლი ცივგომბორის ქედისკენ იწევდა და ალაგ-ალაგ თავისუფალ ადგილს ტოვებდა.

ქიტესას არხზე დაკვირვება დროებით დაავიწყდა: — იქნება დაგვეხსნას ეს წყეული, — ჩაიდუდუნა და ორთვალადან გადმოვიდა.

რომ გეკითხათ, რატომ გაჩერდა, ან ჩამტვრეული ყინულის და გადათელილ ჩალას ასეთი ინტერესით რატომ აკვირდებოდა,

ვერ გიპასუხებდათ. კვირაობით მარტო დარჩენილს ყველაფერი აინტერესებდა: მივიდოდა, დაათვალიერებდა, თავის აზრს იტყოდა და მერე გზას ფიქრებთან საუბარში გააგრძელებდა, სანამ სხვა რამ გულის გადასაყოლებელი არ გამოჩნდებოდა.

პატიოსანი მშრომელი კაცი იყო ქიტესა. ჯერ იყო და კოლექტივის ვენახში მისი ბადალი ორი არ მოიძებნებოდა. დღე და ღამე გაპიროვნებულ ზვარში ღვრიდა ოფლს და სამაგალითოდ ჰქონდა მოვლილი. შრომის დიდების ორდენზე უნდა წარედგინათ; ბრიგადირს რომ არ შეეშალა ხელი, ალბათ მისცემდნენ კიდეც.

ყველაფერი კი იმის შემდეგ მოხდა ბრიგადირმა – ტიტიკომ რთვლის დროს მასზე გაპიროვნებულ ვენახში ერთი მანქანა ყურძენი რომ დაკრიფა და უკვალოდ გააქრო; რაღა მაინც იმ დღეს წავიდა სახლში. ტიტიკომ მოიბოდიშა, მკრეფავებს გაუპიროვნებული ნაკვეთი ჰგონებოდათო.

– მე არ ვიცი, იმათ რა ეგონათ, ის ყურძენი ჩემი ნაკვეთიდან მოკრეფილში გააფორმე! – მოითხოვა ქიტესამ, მაგრამ იმ ყურძნის ასავალ-დასავალი ველარ გაიგო. მას შემდეგ ბრიგადირმა თვალის დასანახად შეიძულა, თუმცა არც ქიტესას ეხატა გულზე.

მეორე წელს, წამლობის დროს, ტიტიკომ მის ნაკვეთში საწამლი ტრაქტორი არ შეუშვა. სხვაგან უკვე მეორედ შეწამლეს, ქიტესას ვენახში კი პირველი წამლობაც არ იყო ჩატარებული.

გადამწყვეტი შეტაკება ბრიგადის სადგომის, ეზოში მოხდა:

– ტიტიკო, ჩემ ნაკვეთს რატომ არ აწამლინებ?! – აღელვებით უთხრა მუდამ წყნარმა და მშვიდმა ქიტესამ.

– შეწამლე, ვინ გიშლის?! – ბრიგადირმა დამცინავად უპასუხა და ზურგი შეაქცია.

ქიტესას ბრაზი მოეძალა, ბრიგადირი აშკარად დასცინოდა და პრინციპულობისათვის სამაგიეროს უხდიდა.

მარჯვენა ხელში წალდი ეჭირა. ბრიგადირს მარცხენა ხელი ჩაავლო და თავისკენ ძალით შემოაბრუნა; თვითონ სამოც წელს მიღწეული იყო, ბრიგადირი კი ოცდათხუთმეტის იქნებოდა,

აგრონომიული ფაკულტეტი დაუსწრებლად დაემთავრებინა და ყველას გაბღენძილი შეასხენებდა, უმაღლესი განათლებით აგრონომი ვარ, უბრალო ვინმე არ გეგონოთო.

— ბიჭო, ჩემთან ლაპარაკს აღარ კადრულობ?! — ქიტესამ წყენით უთხრა, თან წალდი ისე ეჭირა, თითქოს თავის წაჭრას უპირებსო.

— რას გადამეკიდე, აგერ ტრაქტორი, წაიღე და შეწამლე, ხომ არ გგონია, მე სხვა საქმე არა მაქვს! — ტიტიკომ ხელი ჩაიქნია და ისევ მიბრუნებას აპირებდა, რომ ქიტესამ შეაჩერა:

— ბალღო, ის ტრაქტორისტი მე დამიჯერებს?

— ყურძენი შენი გგონია, ახლა როგორც გინდა, იგრე შეწამლე, აბა ვნახოთ, ბრიგადირი საჭირო ყოფილა თუ არა! — ტიტიკომ ნიშნის მოგებით შეუბღვირა.

— მე მგონია ჩემი თუ შენ ვერ გაგირჩევია შენი და კოლექტივისა, შე მამაძაღლო! იმ ერთ მანქანა ყურძენს კისრიდან ამოგაცლი, შე ბაღლინჯო! — მუდამ მშვიდი ქიტესა აყვირდა.

— წადი, დღეიდან ჩემს ბრიგადაში აღარ ირიცხები, თქვი, რომ ტიტიკომ გამომაგდო-თქო! — თავის ნათქვამს ბრძანა და შაბიამნის აუზისკენ წავიდა.

— ვის უბედავ, შე ძუძუმწოვარა პარაზიტო! — ქიტესა გამოეკიდა.

— ვისა და შენ, შე ინტრიგანო! — ტიტიკო შემობრუნდა და პირისპირ დაუდგა.

— აი, ვინ არის ინტრიგანი! — ქიტესამ წალდი მარცხენა ხელში გადაიტანა და თავისი დაკოჟრილი მუშტი ისეთი ძალით დაატაკა, რომ ტიტიკო წაბარბაცდა და ჩამქრალი კირის ზვინში თავით ჩაერჭო.

ტიტიკო ერთი კვირა ბრიგადაში აღარ გამოჩენილა, ქიტესა კი მეორე დღეს მეღორეობის ფერმაში მომვლელად გადაიყვანეს; მასაც წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, ტიტიკოს ბრიგადაში მუშაობას ეს ერჩივნა.

ქიტესამ მეღორეობის ფერმაში ერთ წელზე მეტი ვერ გაუძ-

ლო; არადა დიდი ენთუზიაზმით მივიდა. დღე და ღამე არ ისვენებდა, არც სხვა მომვლელებს ასანებდა. დოლფრები კირის ხსნარით შეათეთრა, დაასუფთავა, ტალახში და ნაკელში გასვრილი ღორები წყლით გაბანა; საჭმელს ხომ ზუსტად დანიშნულ დროს აძლევდა.

ბრიგადირი მისი ასაკის კაცი — დათა იყო, მაგრამ ქიტესა ისე თავდადებულად მუშაობდა, დათა უკან მორჩილად დასდევდა, თუმცა ქიტესას ასეთი თავდადებაზე ეცინებოდა; მომვლელი ქალები კი სულ მარჯვენას ულოცავდნენ.

— ქიტეს, ახალი ცოცხივით გვი, აქაური ცხოვრება ძვალში და რბილში რომ გაგიჯდება, მალე მოგწყინდება, — ხვნეშით უთხრა და ნიჩაბი იქვე კუთხეში მიაყუდა.

დათას ბრიგადირობა ევალა, თან სხვა მომვლელებივით მუშაობდა, ბრიგადირობისა კი ათი პროცენტით სხვაზე მეტი ხელფასი ერიცხებოდა.

— სირცხვილი არ არის, ღორები წუნწუხში იხრჩობოდგნენ, ჩვენ კი ხელი არ გავაქანოთ?! — თავაუღებლად უპასუხა ქიტესამ და მუშაობა გააგრძელა.

— რაც აქ ხდება, რომ ნახავ, შენც ჩემსავით ჩაიქნევ ხელს. ყველა თავის გამორჩენაზე ფიქრობს. საქმის ვითარებაში რომ გაერკვევი, შენც დაგიჩლუგნდება მუშაობის ხალისი.

ქიტესას რაღაც უნდოდა ეპასუხა, რომ ეზოში თავმჯდომარის მსუბუქი მანქანა შემოსრიალდა.

— გამარჯობა, ქალებო! — მძღოლი-წრიპო გაფხორილი გადმოვიდა ავტომობილიდან და ქალებს დიდკაცურად მიესალმა. წრიპო მისი მეორე სახელი იყო და ისე მორგებოდა, რომ ნათლობის სახელით აღარავინ მიმართავდა.

მომვლელ ქალებს დოინჯით მიუახლოვდა. თავი მაღლა ისე აეწია, თითქოს მეტრა და სამოცდახუთი სანტიმეტრი სიმაღლით კმაყოფილი არ არის და მომატება უნდაო.

— წრიპო, რაზე შეწუხებულხარ? — ქალები ერთხმად შეეკითხნენ.

— დათა მინდა, სად არის? სასწრაფო დავალებაა! — განსაკუთრებული სერიოზულობით თქვა წრიპომ.

— მოსამზადებელი ჯგუფის სადგომს ხვეტავენ ის და ქიტესა.

— ეგ ქიტესა რომელი ახალი ჩიტია? — წრიპომ წარბები უსიამოვნოდ აპრიხა.

— კორაშვილი, მევანეხეობაში რომ მუშაობდა, გაზეთებიც სულ იმაზე წერდნენ.

— ეგ ოხერი, რაღა აქ მოათრიეს! — წყრომით ჩაიბურტყუნა წრიპომ. სადგომში შევიდა, მოშორებით გაჩერდა და დათა თავისთან მოიხმო.

— სასწრაფოდ ხუთი გოჭი უნდა გაამზადო. სუფთად გააკეთე; დრო ერთი საათი გაქვს! ჰო, მაიცა, კინაღამ დამავიწყდა, საღამოსათვის კი ორი მოზრდილი ბურვაკია საჭირო დაკლული და გამზადებული.

ფარნაოზი მაინც მოსულიყო, რა ვიცი, რომელი დავკლა, მერე ჩხუბი არ დამიწყოს, — უკან გამოედევნა ამ საქმეში გაწაფულ-გაეშმაკებული დათა.

— ფარნაოზი ხაზეინთან არის, ისიც მალე მოვა აქ, — წრიპო მანქანაში შეძვრა და ძრავი ჩართო.

— კარგი, რახან ეგრეა, რაც თქვი ყველაფერი შესრულდება, — დათამ პირმოთნედ უთხრა და აფუსფუსდა: — ქალებო, საჩქაროდ დაადგით წყალი, სანამ გოჭებს დავკლამთ, ადუღება უნდა მოასწროს; ქვაბი გაამზადეთ ჯიგრის ყაურმისათვის! — ახლა ქიტესას მიუბრუნდა: — გამომყე, მომეხმარე, თორე მარტო ვერ მოვასწრებ! — დათა თავის სტიქიაში შევიდა ციბრუტივით დატრიალდა, ქიტესა კი ბრმასავით გაჰყვა და სანამ არ ეტყოდა, ვერ მოეფიქრებინა, რა უნდა გაეკეთებინა.

დათა დოლფრის ტიხარს გადაეკიდა და ორი კიტრივით ჩამრგვალებული გოჭი დაითრია.

— ესენი გამომართვი! — მიაჩეჩა აჭყივლებული გოჭები, თვითონ კი სხვა დოლფრიდან ორი გოჭი ამოათრია.

— წავიდეთ! — ბრძანა და წინ წავიდა.

ერთ დოლფართან შეჩერდა.

— ამათ რომ დავკლავ, აგერ, იმ ხალიან გოჭს წამოიყვან! — ყველაზე თამამ გოჭზე უჩვენა, რომელიც თავის შვიდ და-ძმასთან ერთად დედის მუცელზე თავმიდებულს ტკბილად ეძინა და კარს მომდგარ განსაცდელს ვერაფრით წარმოიდგენდა.

ქიტესა დათას დავალებას რობოტივით ასრულებდა. მალე ხალიანი გოჭი ოხვრით და ხვნეშით მიუყვანა, თვითონ კი რაღაც მოიმიზეზა და ოთახში შევიდა, რათა ამ ცოდვისათვის არ ეყურებინა.

წრიპომ გოჭები დანიშნულ დროს წაიყვანა; საღამოსთვის კი მარილწყალში მოსახარშად და სამწვადედ დაკლული ორი მოზრდილი ბურვაკიც არ დაივიწყა.

მეღორეებმა ჯიგრის ყაურმაზე გვარიანად მოილხინეს, ღვინოც დაიდგეს და კარგად შეზარხოშდნენ; დათა განსაკუთრებით კარგ ხასიათზე იყო.

— ქიტეს, რა ყეყეჩივით დადიოდი, აშკარად გეტყობოდა, რომ ამგვარ საქმეში გამოუცდელი ხარ. მე რომ არ გყოლოდი, ხაზეინის დავალება შეუსრულებელი დაგვრჩებოდა, — ამაყად თქვა თავისი მოხერხებით კმაყოფილმა.

— მაგ დავალების შესრულებას სულაც არ ვაპირებდი. მე მამუშავე, შენ კი როგორ გიწირია იგრე წირე. დღეს ღორებს საჭმელიც დავაკელით, ვერც დავასუფთავეთ; კაცს გული გაგიტყდება. დაკვლა და გაფუფქვა რა ჩვენი საქმეა; წაიყვანონ და ვისაც უნდათ, იმას გააკეთებინონ, — საყვედურით თქვა ქიტესამ.

— რას ამბობ, კაცო. ჯიგარი ხომ დაგვრჩა. ცოცხლები რომ წაეყვანათ. ეგაც დაკარგული იქნებოდა, — დათა შეედავა. — შენ გაგიმარჯოს ქიტეს! ცოტა ხანში ჭკუაზე მოხველ და იქნება მე აღარ მაცდიდე ღორების დაკვლას, — დათამ ჭიქა ბოლომდე გამოცალა და ულვაშები ხელის გულით მოიწმინდა.

— გოჭები თუ ეგრე ვხოცეთ, რაღა გეგმას შევასრულებთ, — ქიტესამ საყვედურით თქვა.

— თურმე რის ჯავრი გქონია, ხა, ხა, ხააა! — დათამ გადაიხარხარა. — ბიჭო, შენ მთვარიდან ხომ არ მოფრინდი?! ვერ გაგიგია, რა ხდება? ერთ დედა ღორზე ცამეტი გოჭის გეგმა გვქონდა, ექვსი ძლივს შევასრულეთ, ისაც ფარნაოზამ ტყუილად დაწერა და წლევანდელით გადავფარეთ, თორე ოთხიც არ გვეყოლებოდა. ვინ რა გვითხრა, ჩვეულებრივ კარგად და თბილად ვართ. სამოცი დედა ღორი გვყავს, ერთი ამდენი ალაზანზე მეღორეობის ბრიგადა რომ არის, იმათ ეყოლებათ. მარტო გრამიტონას წელიწადში სამასი გოჭი არ ყოფნია; ჩვენც ხელს ვითბობთ. მე ორი დედა ღორი მყავს, სასუქშიც სამს ვასუქებ; ამ ქალებსაც ჰყავთ თითო; წელიწადში სამ გოჭს გვაძლევენ. ღორების საკვები მუქთაა. მე რაღა მენაღვლება, მაგის დედაც ვატირე, რაც მეტს დაკლავენ, ის მაწყობს; ჯიგარი ხომ გვრჩება. შენ კიდევ არ იცი, ბინის ბოლოში ცალკე ოცდაათი დედა ღორი რომ გვყავს, სულ არ არიან აღრიცხული. სახარჯოდ მარტო იმათი გოჭები უნდა იკმარონ, მაგრამ არ ჰყოფნიათ და რას იზამ.

მეც შენსავით ხმაურით მოვედი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ არაფერი გამოვიდოდა და მოვკეტე. ახლა როგორც მოითხოვენ, იგრე ვმუშაობ? ღვთის წყალობით უკმაყოფილო არა ვარ. სულ იმას გაიძახიან, მეღორეობა ზარალიანიაო. მაგათ რაც უნდათ ისა თქვან, მე კი აქ ვერავითარ ზარალს ვერ ვხედავ; ძალიან კმაყოფილი ვარ, შენც მალე ეგრე იქნები, ჩემო ქიტეს, — დათამ ხელი მხარზე დაარტყა და ხვნეშით ადგა.

— არა, ძმაო, ეგრე თუ ჭამეს, მაგათ რა ფერმამ უნდა გაუძლოს! — ქიტესამ ხელები გაშალა.

— ბიჭო, შენ ჭკუა კიდევ ვერ ისწავლე?! განა არ ვიცი, ტიტიკოს ბრიგადიდან კუდი რატომ გამოგიკვანძეს; მაიქეც კარგად, შვილოსა, თორე იცოდე, ჩვენს კოლექტივში შენისთანებს არ გააჩერებენ! ვინც თაფლში ხელს ყოფს, თითებსაც ის ილოკავს; აბა თაფლიან ხელს სხვას ხომ არ გაალოკინებენ. ყველა რაღაცით ითბობს ხელს. ყველგან ეგრეა და შენ ვინ არამკითხე რევიზორი მეგვევლინე.

— იმან რაღა ქნას, თითებზე თაფლის მაგიერ მაზოლები რომ ვერ დააუთვლია, დღე და ღამე პატიოსნად შრომობს, წლის ბოლოს შრომადღეებზე დაგროვილი დოვლათის განაწილების იმედით. ესენი კიდევ თაფლიანი თითები უნდა გავილოკოთო; ალალმა მშრომელმა რაღა უნდა გაილოკოს, აბა, მითხარი! — ქიტესამ ხმას აუწია.

— იმან კიდევ თავისი მაზოლები გაილოკოს, ბიჭოს! შენ რა ჩვენი პარტორგივით ლაპარაკობ, მოგზავნილი ხომ არა ხარ? მაგ ლაყბობას თავი დაანებე, თორემ ხომ იცი, გრამიტონას მაგარი ზურგი აქვს, რაიკომის პირველი მდივანი უჭერს მხარს, აბა, გრამიტონას თავმჯდომარეობას ვინ მოიფიქრებდა, მარტო გაკვრა-გაგლეჯაზეა. მაგას ნამუსი არა აქვს და კაცობა. კოლექტივი იმ მდივნის მამულად აქცია, თვითონ კი მისი გაუმაძღარი მოურავია. გადაგვარდნენ, შვილოსა, ყველაწმინდა ღორის კუჭზე გადაცვალეს. მაგათ გეგმაში ამ ცხოვრების დანგრევა აქვთ და ანგრევენ კიდეც. ხალხის სამსახური და მოვალეობა ყბედობისთვის სჭირდებათ. ამდენ მტაცებლებს რომ უყურებს, ყველა ცდილობს, ხელში რაც მოხვდება, მიითვისოს. იმიტომაა, რომ წლის ბოლოს ფა-ფუ ნაწილდება. ქურდებად და თვალთმაქცებად გვაქცია ზევიდან აყროლებულმა ყაჩაღობამ. შენისთანებს კი მომხვეჭელობის ღვარცოფი წალეკავს, ასე პატიოსნებით ბედნიერი ცხოვრებისა რომ გჯერათ. ხომ ნახე, გრამიტონამ პარტორგს როგორ გამოაბა ცოცხი; სოფელშიც კი აღარ უშვებენ. გრამიტონას მომხრე ის მაღალ სკამზე მჯდომი სიმართლეს და პატიოსნებას გაახარებს?! გაჩერდი, ბალღო, ერთ ლუკმა პურს მოგიგდებენ და ღირღნე, სანამ ეგ დარჩენილი ორი პარასკევი გაგითავდება. ტალახით დასვრილ ღორებში ორი და სამი სუფთა ღორი ვერ იბოგინებს, დასვრიან და გაატალახიანებენ. სუყველა სუფთა უნდა იყოს, ან ტალახიანები ცალკე უნდა ეყარნენ, გაიგე?!

— მე მაგათი მოსაგდები რა მჭირს, პატიოსნად ვმუშაობ, ეგენი შეეშვან ყაჩაღობას, კაცს შრომაზე გული რომ აუცრუეს. რა მქონდა მევენახეობასთან გასაბუტი. ჩემისთანები არა სჭირდებათ, თუ ვერ გათხუნეს, თავიდან იშორებენ. შენ რომ ხელს

იშვერ იმ დიდი სკამისკენ, პატიოსანი კაცი გრამიტონას ბუმბულს ქარს გაატანდა, მაგრამ, ეტყობა, გვარიანად ბღუნაობს ტალახში; სწორედ იმის ბრალია დანარჩენების ეგეთი გატალახება! – დაასკვნა ქიტესამ.

– მე როგორც მიწირნია, იგრე ვწირავ, შენ კი არა მგონია აქ დიდხანს გაგაჩერონ, – ქიტესას ნათქვამით შეშინებულმა დათამ ჩაიდუდუნა და ოთახიდან გავიდა.

ორ თვეში ბრიგადიდან სამოცამდე გოჭი წაიყვანეს. ბევრი თვითონ დაკლეს. ზოგ დედა ღორს აღარცერთი გოჭი აღარ შერჩა. ქიტესას გული მთლად აუცრუვდა.

– რისთვის ვმუშაობ, რომ მკითხონ, შენი ნაშრომი გვაჩვენეო, რა ვაჩვენო?! აქ სად მოვხვდი. ხალხმა რომ გაიგოს, სირცხვილით თავი როგორღა გამოვყო! – თავის თავთან ასე ხმამაღლა დავით დადიოდა.

ერთხელ ვეღარ მოითმინა და ფერმის გამგე – ფარნაოზას ჰკითხა:

– ბიჭო, ფარნაოზ, ამდენი ღორი და გოჭი რომ მიგყავთ, ვის აჭმევთ, კოლექტივს რამეში მაინც არგიან?

ფარნაოზი დაიბნა, ამგვარ შეკითხვას არაფრით არ მოელოდა; ყელში გაჩხირულმა ნერწყვმა კინაღამ დაახრჩო, სიტყვის თქმა ძლივს მოახერხა: – რა გული დაგწვია, შენი რა მიდის! – ..... უპასუხა.

– ჩემიც მიდის, შენიც, მამაშენისაც და ყველა იმისაც, ვისაც კოლექტივში ერთი წვეთი ოფლი მაინც დაუღვრია, გაიგე?!

ფარნაოზი შეშინდა, თითქოს ბინის ქურდი სახლის პატრონს შეეფეთაო; უცებ დატკბა და ქიტესას განუმარტა: – რას იზამ, ქიტესა ძია, უფროსებს სჭირდებათ. ზოგი სტუმარი მოდის, ზოგისგან რაღაც-რაღაცეები გვჭირდება და ეგრეა, ხელი ხელს ბანსო, ხომ გაგიგონია.

– დაბანეთ, შვილოსა, ხელი დაბანეთ. ამ ფერმაში მე და დათაღა რომ დაგრჩებით, მაშინ ხომ მიხვდებით, რომ ხელები იგრე დაგიბანიათ, ტყავიც თან გაგიყოლებიათ.

— კარგი ჭკუის მასწავლებელი მყოლია მე აქ, — ფარნაოზმა შეშფოთებით ჩაილაპარაკა.

— შენ ჭკუის სწავლება არა გჭირდება, ბალღო, აღვირის დაჭერა კი არ გაწყენდა, სანამ გვიან არ არის! — უთხრა ქიტესამ და ღორების ბინაში შევიდა; ადგილზე დარჩენილი ფარნაოზა დაბნეული მისჩერებოდა მის ნაკვალევს.

ითმინა ქიტესამ მეღორეობის ფერმის წეწვა-განიავება, ფერმის გამგემაც ითმინა მისი მეღორეობა. წლის ბოლოს კი გამოუცხადა: ზედმეტი ხარ, ამდენი მომვლელი არა გვჭირდებაო; ქიტესამ შვებით ამოისუნთქა, ფერმის გამგეც დამშვიდდა.

აგერ, უკვე მეორე წელია მილარის საველე სადგომის ყარაულია, იქ ვერაფერს ნახავს სადაოსო. არადა ბრიგადირთან ორჯერ ისეთი ჩხუბი მოუვიდა, რომ კინაღამ ეს ადგილიც არ დაატოვებინეს. ქიტესას შიშით მარცვალს ასე ხელაღებით ვეღარ იპარავდნენ, თორე ამ გაძრიალებულ დატაცებაში ქიტესა მთლად როგორ მოსპობდა ქურდობას...

ფიქრებიდან გამოერკვა. ორთვალის ჭალს ხელი უშვა და ჩალიანის დათვალიერება დაიწყო; ნისლი ნელ-ნელა მაღლა იწევდა.

უცებ ადგილზე გაშეშდა. არხის მხარეს დაქანებულ ნაპირზე გადათელილ ჩალებში ადამიანის ფეხები შენიშნა, გული შეუქანდა, ადგილზე გაშეშდა, ერთხანს ასე დარჩა, მერე ფრთხილად მიუახლოვდა. არხის მიწაყრილზე თავით ქვევით, პირქვე ვიღაც კაცი ეგდო. წყლის გაყინულ ზედაპირს რამოდენიმე სანტიმეტრი აცილებდა. თავიდან ჩამონადენ სისხლს მის ქვევით ხელისგულისოდენად ყინული გაეწითლებინა, წითელ ზოლად წასულიყო და ნახევარ მეტრში ჩამტვრეულ ყინულთან წყალს უერთდებოდა.

ქიტესას ძარღვებში სისხლი გაეყინა, აკანკულდა, ადგილზე გაშეშდა; უცებ ყვირილი დაიწყო: — კაცი მოუკლავთ, კაცი! ჰეი, ვის გესმით, ხმა გამეცით! კაცი მოუკლავთ, კაცი! — გაუვალი დუმილი არ იძვროდა.

ქიტესა დარწმუნდა, რომ მშველელის ძიებას აზრი არა

ჰქონდა, გადაწყვეტილება მარტო მას უნდა მიეღო. მოულოდნელობისგან დაბუჟებულმა ტვინმა პრაქტიკული მოქმედებისკენ მოუწოდა.

— უყურე, კაცო, ეს რა ჩაუდენიათ იმ უღმერთოებს! — ბუტბუტებდა ქიტესა და თან არხის მიწაყრილზე ჩადიოდა — ნამდვილად ორნი იყვნენ, მანქანით რომ გაიქცნენ; აკი იმიტომ არ გამოეხმაურნენ ის წყეულები.

წყლის პირას მივიდა და თავდაყირა დაგდებულ კაცთან ჩაცუცქჟა. — აფსუს, რა კარგი ვაჟკაცია! — პირქვე დამხობილ ფართო მხარბეჭიან ვაჟკაცს თმაზე სისხლი შეხმობოდა და შეწებებული თმებიდან ჯერ კიდევ წვეთავდა.

— მაიცა კაცო, ცოცხალი არ იყოს! — ქიტესა მხრებზე მოეჭიდა და ზურგზე გადააბრუნა. მოულოდნელობისაგან ელდანაცემმა დაიღრიალა:

— ვაიმე, შვილო, ეს ხომ ლუკა ხუციშვილია! ჩემი ამალიას ამზანაგი. აფსუს ბიჭო! სოფელში ამისთანა ვაჟკაცი მეორე არ დადის. ვაიმე, შვილო, ვაიმე! შენ ღალატით თუ წაგახდენდნენ, თორე პირისპირ როგორ დაგამარცხებდნენ!

ხვნეშით და ოხვრით ლუკა ზევით ამოათრია. ორთვალაზე ბალახი ბლომად ჰქონდა. ეს ზორბა და მკვრივი ვაჟკაცი — ძლივს მოათავსა ზედ და ბალახზე რბილად დააწვინა. ჭალზე მიბმული გოგროხოდან დოქი ამოიღო, არხიდან წყალი ამოიტანა და ჭრილობა მობანა, კეფაში ჰქონდა რაღაც ჩარტყმული, ღრმა ჭრილობა ეტყობოდა. მთელი სხეული დაათვალიერა, სხვა დაზიანება ვერ ნახა.

— დახე რა დაგაუწყვეტიათ იმ ავაზაკებს; ყინულის ქვეშ ჩაუშვებდნენ და მერე უყარე კაკალი, სანამ ყინული არ გადნებოდა, ვერ იპოვნიდნენ. ვაიმე, შვილო, ვაიმე! რა დედა დაგიტირებს თუ ბებია, ბედი ჰქონიათ საწყლებს ამ დღეს რომ ვერ მოესწრნენ! ვაიმე, შვილო, ვაიმე! რა ვქნა, კაცო, სად წავიღო? მაიცა, იქნება ცოცხალია მე კიდევ აქ მოთქმას მოვყევი — პერანგი გაუხსნა და ხელი მკერდზე დაადო, სუსტი ფეთქვა იგრძნო. — ცოცხა-

ლია! — გახარებულმა წამოიძახა. ცხვრის ტყაპუჭი სასწრაფოდ გაიხადა, პერანგი სიგრძეზე ჩაიხია და თაივი შეუხვია, მერე ტყაპუჭი გადააფარა, გვერდებიდან ბალახი მოუქუჩა და საგულდაგულოდ დაათბუნა.

— ოხერი ყინვისა მეშინია და კოკურაში წყაროს წყალი ვერ შემინახია, — თითქოს მოიბოდიშა და ლუკას არხის წყლით პირი მობანა; გაფითრებულს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. კოფოზე ჩამომჯდარი ქიტესა მაინც უზელავდა საფეთქლებს და ჩასძახოდა: — ლუკა, შვილო, ლუკა! მე ვარ ქიტესა ძია, ბიჭო, ხმა ამოიღე!...

## მოსწავლე და მასწავლებელი ეროსის ტყვეობაში

პირველი ზარი დაირეკა. მეათე კლასელები მერხებთან ხმაურით იკავებდნენ ადგილს. სულ ჩვიდმეტი იყვნენ; აქედან ბიჭი მხოლოდ ოთხი იყო. სასწავლო წელი დაიწყო. ერთმანეთს დიდი მონდომებით უყვებოდნენ ზაფხულის არდადეგების შთაბეჭდილებებს.

ოთხი გაკვეთილი ისე დამთავრდა, რომ მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა დრო სკოლისგარეშე ამბებზე საუბარს მოანდომეს; ყველა მხიარულ ხასიათზე იყო.

მეხუთე გაკვეთილზე სკოლის დირექტორმა, მაღალმა, გამხდარმა, ერთი შეხედვით სუსხიანმა კაცმა — დიმიტრი დავარაშვილმა კლასში ოცდასამი-ოცდაოთხი წლის, საშუალოზე ცოტა მაღალი, სპორტული აღნაგობის, რიჟა კაცი შეიყვანა.

— უნდა გაგაცნოთ ჩვენი ახალი ფიზკულტურის მასწავლებელი — ზაზა სვანიძე. გასულ წელს დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი. თავისი ინიციატივით წამოვიდა სოფლის სკოლაში, კარგი სპორტსმენია; თქვენი ფიზიკური გაკაჟებისათვის დიდი შენაძენია.

— ძალიან სასიამოვნოა! — ერთხმად წამოიძახეს.

— სასიამოვნო თუა ამას რა სჯობია. ახლა თქვენ იცით, თავს როგორ გამოიჩენთ, — დირექტორი კლასიდან გავიდა.

— ალბათ უკეთესი იქნება, სია წავიკითხოთ და ისე გავიცნოთ ერთმანეთი, — თქვა ზაზამ და ჟურნალი გადაშალა.

— თქვენს შესახებ დირექტორს ბევრი არაფერი უთქვამს, იქნებ ზოგი რამ მოგვიყვეთ, — ეშმაკური ღიმილით შეეკითხა კლარა სახიაშვილი, რომელსაც კლასში ყველაზე ლამაზ გოგოდ აღიარებდნენ და თვითონაც თამამი საქციელით გამოირჩეოდა.

— მაინც რა გაინტერესებთ? — შეეკითხა ზაზა.

— მაგალითად, ცოლი გყავთ თუ არა, თუნდაც შეყვარებული და ვინ იცის კიდევ რა, — კლარამ გოგოებს თვალი ჩაუკრა და დაჯდა.

კლასში ხარხარი ატყდა.

— ეს პრობლემაღა დარჩა კლარას გადასაწყვეტი და სანამ გათხოვდება, შეკითხვებით ერთობა, — დაცინვით შენიშნა ზაური ფიროსმანაშვილმა, რომელიც სწავლაში სამაგალითო იყო, კლარას მეტიჩრობას კი ვერ იტანდა.

კლასში კვლავ იფეთქა სიცილმა.

— აბა, აბა, შენ თავს ნუ გაგივიდა! — კლარამ შეუტია.

— მე ვკითხე მასწავლებელს, შეყვარებული ჰყავს თუ არა? — დამცინავი ღიმილით უპასუხა ზაურმა.

— მოდი შევთანხმდეთ, — დინჯად დაიწყო ზაზამ, — პირველ დღეს ერთმანეთს ნუ ვაწყენინებთ; კარგი იქნება თუ საწყენად საქმეს არც შემდეგში გავიხდით, რადგან სამუშაო იმდენი გვაქვს, რომ ამისთვის ვერ მოვიცლით, — ზაზამ მომხიბლავი ღიმილი ყველას გადასდო; საჩხუბრად მოქრუშული დაძაბულობა განმუხტა.

სიის კითხვა დაიწყო. ვისაც ამოიკითხავდა, ის მოსწავლე ფეხზე დგებოდა. ზაზა ცოტა ხანს დააკვირდებოდა, მერე დაჯექიო, ეტყოდა და ახლა სხვას ამოიკითხავდა.

— გზირიშვილი მარინე, — ამოიკითხა.

— ფრიადოსანია, ზომაზე მეტად სერიოზული და სიმართლის

პირში მთქმელი, — სასწრაფოდ დაახასიათა დათო ჯარიაშვილმა.

— გრცხვენოდეს, დათო! — უსაყვედურა მარინემ.

— რა თქვი, გოგო, არასწორი?! — დათო შეეპასუხა.

— კომენტარები არ გინდათ, თანდათან ყველაფერს გავიგებ. თუმცა, როგორც გინდათ, საინტერესოა ერთიმეორეზე რა აზრისა ხართ, — თქვა ზაზამ და კითხვა გააგრძელა; მოსწავლეები გამხიარულდნენ.

— კლარა სახიაშვილი.

— სკოლის მშვენება, კლასის სიამაყე და გმირულ რომანებში ჩაფერფლილი; სწავლობს ისე რა, — ზაურმა ყველას დაასწრო.

— შენს დახასიათებას მერჩივნა, ყბაცოს ეთქვა რამე, ის მაინც გაირჯებოდა ჩემდა სასიკეთოდ, — კლარამ უსაყვედურა.

— ყბაცო რომელია? — ზაზამ იკითხა.

— სიაში მოძებნეთ გრამიტონ ქარუმას ძე ღლიღვაშვილი! — ვიღაცამ წამოიძახა.

— ღლიღვაშვილი გრამიტონი, — ზაზამ ამოიკითხა. გრამიტონი ფეხზე ადგა.

— გრამიტონ ქარუმიჩი, იგივე ყბაცო, სულ უფროსობაზე ოცნებობს. იმედოვნებს, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მექათმეობაში მომვლელად მოეწყობა, მერე კი... სანამ რუქაზე მაღლობებს და დაბლობებს ერთმანეთისაგან არ გაარჩევს, აფრიკა და სამხრეთ ამერიკა ერთმანეთში არ აერევა, ნურაფრის იმედი ნუ ექნება; რაც შეეხება სპორტს, ენის ტლიკინით ყველა სპორტში შეუდარებელია, — ამალია კორაშვილმა დაახასიათა.

ზაზამ ღიმილით შეხედა, პირველ მერხთან მასწავლებლის წინ იდგა. გამხდარი, ვიწრო მხრებიანი, წვრილი კისრით სხეულზე გამობმული დიდი, მრგვალი თავი, ქვედა ჩანა წინ წამოწეოდა და ქვედა ტუჩი ზედაზე გადამჯდარიყო; საულვაშედ წამოზრდილ ღინღლს ნახევრად ფარავდა; პატარა მოკლეთითებიან ხელს სახეზე ისვამდა.

— მაიცა, შენი ჯერიც მოვა! — ამალიას მიაძახა და დაჯდა.

ზაზას გაეღიმა.

— კორაშვილი ამალია წაიკითხე, მას! — დაიძახეს მოსწავლეებმა; დაინტერესდნენ გრამიტონი მასზე რას იტყოდა.

— კორაშვილი ამალია, — ზაზამ სიაში მოძებნა.

— სწავლაში და სიყვარულში ხელმოცარულია: სწავლაში მარინეს ეჯიბრება და ოთხოსნობას ვერ გასცდა; სილამაზეში კლარა ფრჩხილის ფასი არ არის. უნდა, რომ ვინმემ ყურადღება მიაქციოს, მაგრამ სადაც კლარასნაირები არიან, მაგას ვერავინ ამჩნევს. თუ ეგრე გაგრძელდა, გასათხოვარი დარჩება. აბა, მაგისთანა შეხედულობის და მჟავე ენის პატრონს ოჯახში ვინ შეუშვებს, — გრამიტონმა გული მოიფხანა.

— ჩემზე რაც უნდა თქვა, ყბაცო, დავალებას მაინც გადაგაწერინებ; შენს ცოდვაში არ ჩავდგები, — წყნარად თქვა თვალცრემლიანმა ამალიამ.

გრამიტონის ღვარძლიანი ნათქვამის შემდეგ კლასი გამოცოცხლდა; თითქოს დიდი ლოდი მოეხსნათ, შვებით ამოისუნთქეს.

— შალვა შიოშვილი, — წაიკითხა ზაზამ.

— კარგ ცხოვრებაზე მეოცნებე შალიკო, სწავლაში სიმუდიანტი. რა გინდა, ბედი მაინც ულიმის, როცა გაკვეთილი იცის, მის თავგანწირულ მოთხოვნას, მკითხეთო, უსრულებენ. უყვარს გაზეთის ხმამაღლა კითხვა; ვერ იტანს მხატვრულ ლიტერატურას; ყველა საკითხში ერკვევა, რაც არ წაუკითხია და არ გაუგონია, განსაკუთრებით თავგამოდებულია მაშინ, თუ რაღაცისთვის ყური მოუკრავს; შეუდარებელი მოკამათეა იმაზე, რაზეც წარმოდგენა არა აქვს, — მარინემ დახასიათება დაასრულა.

— კარგი რა, მარინე! — შალვამ საწყლად თქვა და დაჯდა.

კლასში ხარხარებდნენ.

— ზაური ფიროსმანიშვილი.

— კარგი ბიჭია, მას, ხუთოსანია! — გრამიტონმა ყველას დაასწრო.

— ამალიას იმედი აღარ აქვს, ახლა ზაურს მიუყარა ლკევები, საქმეს იწინაურებს, — ვიღაცამ შენიშნა.

ისევ ატყდა სიცილი.

— დათო ჯარიაშვილი.

— შეუდარებელი მხატვარია. ნიშნებს მხატვრობის ხათრით უწერენ. სხვა საგნები რაღად უნდა, მომავალი ნიკალა იზრდება, იმ განსხვავებით, რომ ოჯახის შექმნა წინასწარ აქვს გადაწყვეტილი, — დაახასიათა კლარამ.

— გულის სწორის ხათრით არც ღვინოს სვამს, — დაიძახა ერთმა.

— ვთქვა? — გრამიტონი წამოხტა.

— დეეგდე მანდ! — დათომ თვალები დაუბრიალა.

ამალია კორაშვილმა მერხზე დადო თავი და მაღლა აღარ აუხედია.

ზაზამ სიის კითხვა გააგრძელა მოსწრებული და ენამწარე კომენტირების თანხლებით, ბოლოს ყველაზე მიახლოებითი წარმოდგენა შეექმნა. ჟურნალი დახურა, ფეხზე ადგა და ლაპარაკი დაიწყო.

— ყველა საგანი კარგია, ფიზკულტურა კი ჯანმრთელობის და წარმატებული სწავლის გარანტიაა. მე ვეცდები, რომ ეს საგანი შეიყვაროთ. გარდა გაკვეთილებისა, მეცადინეობის შემდეგ სპორტულ შეჯიბრებებს მოვაწყობთ. ეს იმდენად საინტერესოა, რომ თქვენ თვითონ გახდებით შეჯიბრებების მოწყობის ინიციატორები.

— კარგი იქნება, მას! — ახმაურდნენ.

— აბა, ახლა სპორტულ ტანისამოსში გამოეწყეთ და გარეთ გავიდეთ, ვნახოთ, ვის რა შეუძლია.

ღია სპორტულ მოედანზე გამოცოცხლება და ხმაური იყო. ზაზა დარიგებას აძლევდა და ყველა შეჯიბრში თვითონ მონაწილეობდა.

ას მეტრზე სირბილში ბიჭებს კარგა მანძილით გაასწრო. შემდეგ სიმაღლეზე ხტომაზე გადავიდნენ. ბიჭებს მეტრანახევარზე გადახტომა გაუჭირდათ. ზაზამ ძაფი თავის სიმაღლეზე დაამაგრა და ზედ მოხდენილად გადაევლო.

— უხ! — ყველას აღმოხდა.

ახლა ღეოძთან მივიდნენ. აწევაზე დიდი ალიაქოთი აუტყდათ; ზოგი სამჯერ ძლივს იწეოდა.

ზაზამ ველარ მოითმინა. — აბა, მიყურეთ, — თქვა და ღერძზე ისე მარჯვედ დატრიალდა, რომ ყველამ პირი დააღო.

— ვახ, ბიჭო, რა „სოლნცე“ დაატრიალა! — წამოიძახეს.

ზაზა ღერძიდან ჩამოხტა და მოსწავლეებთან მივიდა.

— მოგეწონათ არა? მე თუ დამიჯერებთ და გამომყვებით, პირობას გაძლევთ, რომ ორ თვეში თქვენც შეძლებთ ამის გაკეთებას; მერე კი უფრო იოლი იქნება სხვა რთული ნომრების ათვისება, — შეპირდა.

— აუცილებლად მას! — წამოიძახეს აღფრთოვანებულებმა.

— საღამოზე კი, ვისაც სურვილი გაქვთ, ფრენბურთის სექციის მეცადინეობაზე მოდით.

მეცადინეობა დამთავრდა. ზაზა სამასწავლებლოსაკენ წავიდა.

— რა შეუდარებელი ხარ, ზაზა მას, — კლარა ახლოს მივიდა და ჩურჩულით უთხრა.

ზაზა მოულოდნელობისაგან გაწითლდა.

— თქვენც ივარჯიშეთ და მიხვდებით, რომ ამის გაკეთება შეგიძლიათ, — დამრიგებლურად უთხრა.

— მამეცადინეთ რა, ძალიან გეხვეწებით!

— ხვეწნა რად გინდა, ეს ხომ ჩემი მოვალეობაა.

— ვნახოთ, როგორ შეასრულებთ თქვენს მოვალეობას, — კლარამ ღიმილით უთხრა და გაიქცა; დაბნეული ზაზა სამასწავლებლობში რობოტივით შევიდა...

ფრენბურთის მოედანზე შეჯიბრი დაენიშნათ. სამი გუნდი შეადგინეს. ორი რომ თამაშობდა, მესამე ისვენებდა წაგებულის ადგილის დაკავებამდე.

კლარა ზაზასთან მივიდა, მკლავში ხელი გამოსდო, მის მხარს მკერდით მიეკრო და შეეხვეწა: — თქვენს გუნდში ჩამრიცხეთ, ზაზა მას, ნახავთ, როგორ კარგად ვითამაშებ.

— კარგი, მაგრამ ჯერ უნდა ვიმსაჯო. თუ თამაში მომიწია, თქვენთან ჩავდგები.

— მაშინ მეც ჯერ არ ვითამაშებ, მინდა, გიყუროთ, როგორია მსაჯობა.

— ყურება რა საჭიროა, ითამაშე.

— თქვენი ყურება არ შეიძლება? — კლარა თითქოს გაუწყრა.

ზაზა გაწითლდა. ცოტა ხნით სიტყვის თქმა ვერ მოახერხა. — კარგი, როგორც გინდა, — ჩაილაპარაკა და სასტვენს ჩაბერა.

კლარა თავის თანატოლ გოგოებთან შედარებით მომწიფებულ ქალად გამოიყურებოდა. სავსე მკერდი კაბის გარღვევას ლამობდა. საშუალოზე ცოტა მაღალი, ქალურად სრულყოფილი, ლამაზი და მოხდენილი, ძეწნის ტოტივით მოქნილი და მოუსვენარი. თაფლისფერი, მუდამ გამომწვევად მოციმციმე, ნუშისმსგავს ქუთოთოებში ჩამჯდარი თვალები თითქოს მოფერებას ითხოვდნენ.

მამა მატყლის დამამზადებლად მუშაობდა, ხელგაშლილად ცხოვრობდნენ და დედისერთა გოგოს განსაკუთრებით ანებივრებდნენ. კლარა სკოლაშიც ნებივრობდა და რაც მოესურვებოდა ისრულებდა.

ახლა ზაზა გამოჩნდა, რომელიც კარგი სპორტსმენი იყო და მასთან სიახლოვე რაღაც ქალურ სიამაყეს გვრიდა; თუმცა ზაზა განსაკუთრებული გარეგნობით არ გამოირჩეოდა, პირიქით, თუ არა მისი სპორტული მონაცემები, ზაზას შეხედვის ღირსად არ გახდიდა, მაგრამ ახლა, ეამაყებოდა მასთან სიახლოვე; გასართობად სავსებით ღირსეულად მიაჩნდა. ფრენბურთის თამაშის დროსაც სულ მის გვერდით იყო. ისე თამამად და მოურიდებლად ექცეოდა, რომ ყველა ამჩნევდა.

— ზაზა მას, ღერძზე არ მავარჯიშებ? — თამაშის დამთავრების შემდეგ უთხრა.

— არ დაიღალე? — ზაზამ პირდაპირ უარის თქმა ვერ აკადრა.

— პირიქით, ახლა უფრო კარგად ვივარჯიშებ.

კლარა და ზაზა ღერძთან მივიდნენ.

ზაზას ეგონა, რომ სხვებიც გაყვებოდნენ, მაგრამ ღერძთან მარტო ის და კლარა აღმოჩნდნენ; სხვები შორიდან უყურებდნენ.

— მომეხმარე, ზაზა მას, ვერ ვწვდები, — კლარამ ღერძზე შეხტომა დააპირა.

ზაზამ წელზე ხელები ფრთხილად მოჰკიდა. კლარა ახტა, ცალი ხელით ძლივს ჩამოეკიდა, ჩამოვარდა და დაყრილ ნახერხში ჩაიჩოქა.

— მეტი არ შეგიძლია?! — ზაზას წყენით უთხრა.

ზაზა გაბრაზდა, იღლიებში მაგრად მოჰკიდა ხელი ისე, რომ თითის წვერებით ძუძუს ფუძეს მისწვდა; კლარა გაიტრუნა, შეჯტომას არ ჩქარობდა.

— ერთი, ორი, სამი! — ზაზამ დაითვალა.

კლარა ღერძს ისე მიაფრინდა, დახმარება სულაც არ დასჭირებია. ღერძზე ორჯერ აიწია, მესამედ გაუჭირდა.

— მომეხმარე, ზაზა მას! — დაუძახა.

ზაზამ ხელები წელზე მოჰკიდა და აწევაში მიეხმარა.

— ერთხელ კიდევ, — კლარა არ ცხრებოდა.

ზაზამ კიდევ მოჰკიდა ხელი და ზევით აქაჩვა დაუწყო.

კლარა უცებ ჩამოხტა. ზაზას ხელები აუცურდა და იღლიებს ქვეშიდან მკერდზე მოუხვდა.

კლარამ იღლიით ხელები დაუჭირა, უცებ შეტრიალდა და მკერდით ზედ მიეკრო.

— რას შვრები, ზაზა მას?! — თვალებში გაკვირვებით შხედა, თან ვნებამოჭარბებულად იღიმებოდა.

ზაზა სულ დაიბნა. კლარას იღლიებიდან ხელები ფრთხილად გამოაცურა. კლარა კი თავისი ხელებით აწვებოდა ისე, რომ აშკარად აგრძნობინა, გაშვება არ მინდაო.

თავისი ლამაზი გამობერილი, ფაფუკი ტუჩები სახესთან ახლოს მიუტანა და ჩურჩულით უთხრა: — ზაზა მას, ხვალ კინოში გეპატიჟები, ძალიან გთხოვ, უარი არ მითხრა, — ზაზა გაოგნებული იდგა და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. — კარგი? — კლარა

ისე ახლოს მივიდა, თითქოს კოცნას უპირებსო.

— კარგი, წავიდეთ, — ზაზამ სათქმელი ბაგეს ძლივს მოაცილა.

— ახლა კი სახლში წავიდეთ! თქვა დარწმუნებულმა კლარამ რომ მასზე თავისი ნების კარნახი შეეძლო...

სოფლის კლუბი ხალხით იყო გაჭედილი. კლარა, ზაზა და ამალია ერთად ისხდნენ. კლარა კინოს მსვლელობისას ზაზას ეჩურჩულებოდა. ამალია კედელთან მიყუჟულიყო და უხერხულობისგან თავის დაღწევას კინოს ყურებით ცდილობდა...

— გაგაცილებთ, — კინოს დამთავრების შემდეგ ზაზამ გოგოებს შესთავაზა.

— მე თვითონ წავალ. ნახვამდის! — ამალია გამოემშვიდობათ, თან გულში თავს საყვედურობდა, კლარას კინოში რატომ გავყევიო.

— მე გაცილებაზე უარს არ ვიტყოდი, ზაზა მას, — კლარა ცოტახანს შეყოვნდა და დაუმატა: — შორს ვცხოვრობ და მარტო წასვლისა მეშინია.

— გაგაცილებ, აბა, მარტო ხომ არ გაგიშვებ, — თქვა ზაზამ, თან გაიფიქრა, ამ გოგოს მამალი მგლის არ ეშინია, ჩემი გაცილება რაში სჭირდებაო. კლარამ ხელი გამოსდო და მიხუტებული გაჰყვა.

ცოტა ხანს ჩუმად იარეს.

— რატომ არაფერს მეუბნები? — ჰკითხა კლარამ.

— რა გითხრა?

— თუნდაც ის, შენი საცოლე როგორია, — კლარა უცებ გაჩერდა და ზაზას თვალებში მიაჩერდა.

ზაზა ცოტა ხანს დუმდა, ფიქრობდა, მერე თითქოს რაღაც გადაწყვიტაო, უთხრა:

— საცოლე არა მყავს.

— მართლა?

— მართლა.

— რა კარგია!

— რა არის კარგი?

— ის, რომ საცოლე არა გყავს.

— რატომ არის კარგი?

— არ ვიცი, ისე ვთქვი.

ცოტა ხანს ასე იარეს.

— არც არავინ გყვარებია? — კლარამ ისევ გააჩერა.

— არა.

— შეიძლება, რომ ვინმე შეგიყვარდეს?

— შეიძლება.

— კარგი შეღავათია! — კლარამ ირონიულად გადაიკისკისა.

— რატომ იცინი?

— იმიტომ, რომ საუბარში ძალით გიწვევ, შენ კი სულ რაღაცაზე ფიქრობ.

— ჰო, მართალი ხარ.

— რაზე ფიქრობ?

— შენზე.

— რას ფიქრობ?

— სხვა დროს გეტყვი.

— ახლა მითხარი.

— ახლა არ შეიძლება.

— მაშინ მე გეტყვი.

— თქვი.

— ალბათ ფიქრობ, რა ცუდი გოგოაო.

— არა, კლარა, კარგი გოგო ხარ, შენისთანა ქალაქშიც არ შემხვედრია. მომწონს შენი საქციელი, რაღაც თავისებური აზარტი ახლავს.

— აი, ჩემი სახლიც, — კლარა ორსართულიან საზლის წინ გააჩერა, მერე ჯიქურ ჰკითხა: — მოგწონვარ?

— მომწონხარ.

— ასე უცებ მოწონება შეიძლება?

ზაზა დაიბნა.

— კარგი, დავიჯერებ. აი, მე კი ნამდვილად მომწონხარ და

არც ვმალავ; შემიყვარდები თუ არა, ამას კი ვერ შეგპირდები.

— ეს მე სულაც არ მითხოვია.

— ხვალ, შემხვდები?

— როგორ არა, ხვალ სკოლაში ვარ.

— სკოლის გარეშე?

— რა ვიცი, მე სოფელს არ ვიცნობ.

— კარგი. საღამოთი შენ რომ ცხოვრობ, იმ სახლთან დამელოდე.

— ...?

— ხვალამდე! — კლარა უცებ მოეხვია, აკოცა და ეზოში შევარდა.

ზაზა ბნელ ორღობეში მიდიოდა და თავის თავს ეკითხებოდა: რატომ დავუმალე, რომ საცოლე მყავს და რატომ არ ვუთხარი, რომ გადაწყვეტილი გვაქვს, შემოდგომაზე ვიქორწინოთ? რა მემართება? ამ გოგოს გავლენის ქვეშ მოვექეცი; არადა ძალიან კარგია.

სინათლის ბოძზე ჩამოკიდებული ნათურის ქვეშ მოწყობილ გრძელ სკამზე სოფლელი კაცები ჩამომსხდარიყვნენ და საუბრობდნენ.

„ნეტა, ასეთ დროს აქ რას უსხედან? — ზაზამ გაიფიქრა.

— ვინ არის ეგ ბიჭი? სოფელში უკვე რამდენჯერმე დავინახე, — ერთმა ისე იკითხა, რომ ზაზას სმენას მისწვდა; გამეფებულ სიჩუმეში ხმა შორს სწვდებოდა, კაცებიც ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.

— ახალი ფიზკულტურის მასწავლებელია, — უპასუხა კუთხეში მიყუჟულმა ბიჭმა.

— სადაურია, ბიჭო?

— ი, მემატყლე ბაგრატის გოგო მაგრა კი მიეხუტებინა.

— ის გოგო კარგად არის შემოსული, აჯილღასავით დარბის.

— ჰოდა, ქალაქში გაუგიათ, რომ სოფელშრი ულაყი სჭირდებათო და გამოუგზავნიათ.

— ბაგრატას განებივრებული ჰყავს და, აი, ნახავთ, მაგ გოგოს აღვირს ვერ დაუჭერს, გადაასკდება ვიღაცას.

— რაღა ვიღაცას, ჩემი თვალით დავინახე, ჩახუტებული რომ მიჰყავდა მაგ ქალაქელ ფიზკულტურის მასწავლებელს.

— მაგან ფიზკულტურა გვასწავლოს, თორემ ეგ საქმე ქალაქელებზე ნაკლებად არც ჩვენ ვიცით, — საუბარში ბოძის კუთხეში მიყუჟებული ბიჭი ჩაერია.

— ბალღო, შენ პატრონი არა გყავს? ან გაკვეთილები არა გაქვს სასწავლი? ჩვენ რას მოგვჩერებიხარ?! მოსწყდი აქედან, შე მამაძაღლო! — გაუბრაზდნენ. ბიჭი სირბილით წავიდა.

ზაზა სახლში დაბნეული მივიდა, საწოლზე გულაღმა გადაწვა და ფიქრებს გაუყვა. კარადისაკენ გახედვა ვერ გაბედა, საიდანაც პატარა ჩარჩოში ჩასმული თავისი საცოლის სურათი თვლაბში შეხედავდა-ხოლმე.

„რა მოხდა, რა დავაშავე? მერე რა თუ ამ გოგოზე გავერთობი, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მას ცოლად აღარ წავიყვან“, — გაიფიქრა. გამბედაობა მოემატა, გადმობრუნდა და სურათს თამამად შეხედა. თითქოს ძველებურად გაღიმებული აღარ იყო, შუბლი შეეკრა და მისი თვალები საყვედურს აფრქვევდნენ; შერცხვა, ამ მზერას ველარ გაუძლო, პირქვე დამხობილს მალე ჩაეძინა.

მეორე დღეს კლარამ ზაზას გვერდით ჩაუარა და ჩურჩულით უთხრა: — საღამოზე ხომ დამელოდები?

— სანამ მოხვალ ოცნებით დავიღლები.

კლარას ესიამოვნა, ვნებიანად შეხედა და თვალი ჩაუკრა. ზაზა მთელი საღამო კლარასთან შესახვედრად ემზადებოდა. კოხტად გამოეწყო; სარკის წინ დიდხანს იტრიალა. მოხუცი სახლის პატრონები შებინდებისთანავე ოთახში შეიკეტნენ და გარეთ აღარ გამოსულან.

ზაზა ჭიშკართან მოფარებით გაჩერდა. ლოდინი დიდხანს არ დასჭირებია. ვიღაც ისე მოდიოდა, თითქოს დაგვიანებულს სახლში ეჩქარებაო. კლარა იყო, რომ გაუსწორდა, ზაზამ დაუძახა.

გოგო გაჩერდა. ზაზამ ეზოში შეიყვანა, მკერდი ჩაიკრა და ტუჩებზე დაეწაფა. ერთმანეთს დიდხანს ეფერებოდნენ და ვნებიანად ჩურჩულებდნენ.

— ახლა მე წავალ, — კლარამ კიდევ ერთხელ აკოცა და ჭიშკრისკენ წავიდა.

— რა გეჩქარება, ცოტა ხანს კიდევ მოიცადე, — ზაზამ შეაჩერა.

— დაგვიანდა, ერთი კვირის შემდეგ კიდევ შეგხვდები.

— ერთი კვირა როგორ უნდა გავძლო უშენოდ! — ზაზა შეწუხდა.

— ვნახოთ, როგორ მოიქცევი, შეიძლება ადრეც მოვიფიქრო; მე თვითონ გეტყვი, — კლარა, ერთხელ კიდევ გადაეხვია, აკოცა, მერე უცეხ გაუსხლტა ხელიდან და ორღობეში სირბილით გავიდა...

ზაზა მთლიანად კლარას გავლენის ქვეშ მოექცა. სულ იმას ცდილობდა, შეხვედროდა და მასთან ყოფილიყო; კლარა კი კატათაგვობანას ეთამაშებოდა: მივიდოდა, დაელაპარაკებოდა, მერე სწრაფად გასცილდებოდა და აფორიაქებულ ზაზას შორიდან აკვირდებოდა. მოსწავლეები როგორც მათ ერთად დაინახავდნენ, ერთმანეთს ყურში რაღაცას უჩურჩულებდნენ, მერე ისევ შეხედავდნენ, გაიცინებდნენ და თავიანთ საქმეს გააგრძელებდნენ.

კლარა ზაზას რამდენიმეჯერ კიდევ შეხვდა. ახლა მათმა ურთიერთობამ რაღაც დაკანონებული სახე მიიღო. ზაზას მიმართ კლარას ძველებური ინტერესი აღარ ჰქონდა, არც უყვარდა; ზაზა კი მისკენ სულ უფროდაუფრო ძლიერად ილტვოდა.

ერთხელ, საღამოთი, ჩვეულებრივი შეხვედრის შემდეგ, ზაზამ დიდი ხვეწნით კლარა თავის ოთახში შეიყვანა; საწოლზე დასვა და ალერსი დაუწყო. კლარას კი მისდამი ინტერესი სრულიად გაჰქრობოდა.

ზაზამ ცუნებას ვეღარ გაუძლო, კლარას ეცა და კაბის გახდა სცადა, ძიძგილი გამართეს, ზაზამ კაბა შემოახია.

— რას შვრები, შე არაკაცო! — კლარამ უყვირა. ზაზამ მაინც

იძალა და საწოლზე გადააწვინა.

— რა ხდება მანდ? — ამ დროს ხაზეიკას ხმა გაისმა.

ზაზა უცებ გამოერკვა: — არაფერი, არაფერი! — დაბნეულმა უპასუხა და კლარას ხელი უშვა.

— ეს რა მიქენ, შე ხვადაგო! ამის შემდეგ შენ კაცი გქვია?! — კლარამ დახეული კაბის ნაჭერით მკერდი დაიფარა.

ზაზა შეკრთა, მერე უცებ დამრიგებლურად უთხრა: — ჩემზე ასეთი მომართვა არ გეკადრება!

— არ მეკადრება? — კლარას მწარედ გაეღიმა. — კიდევ რა ერ მეკადრება? კარგი, გადი გარეთ, უნდა ჩავიცვა! — უბრძანა.

ზაზა გარეთ გავიდა.

ალაყაფის კარებთან ზაზამ საკოცნელად მიიწია. კლარამ ხელი უბიძგა, ახლოს არ გაიკარა.

— ხომ გამაცილებ? — ჰკითხა.

— ასე გვიან ვინმემ რომ გვნახოს, რას იფიქრებენ. მარტო წადი, არა უშავს რა.

— ჩემთან გამოვლის გერიდება დახეული კაბით რომ ვარ?

— კარგი რა, კლარა.

— ვაი, შე არაკაცო! უნამუსო და გაიძვერა ყოფილხარ, მე კი ვაჟკაცი მეგონე, თფუ! — სახეში შეაფურთხა და სირბილით წავიდა.

ზაზა გაქვავებული იდგა და კლარას გაუჩინარების ადგილის გაუვალ სიბნელეს მისჩერებოდა. სახეზე კი ფურთხი ისე შეშრობოდა მოწმენდა არც კი გახსენებია.

## ნებიერი მასწავლებლის წაფორხილება

ფიზიკის გაკვეთილი ახალი დაწყებული იყო. კლასის დამრიგებელი – ანეტა მასწავლებელი კლასში შევიდა, უკან ბიჭი მისდევდა.

– მაპატიე, ტასიკო! – ფიზიკის მასწავლებელს მიმართა, – ახლავე გავალ. ბავშვებო, გაიცანით თქვენი ახალი თანაკლასელი, ლუკა ხუციშვილი, – მაღალი, მხარბეჭიანი, გამხდარი და დაკუნთული ბიჭი წინ წამოდგა. შავი, ხშირი და აბრეშუმივით ნაზი თმა უკან გადაევარცხნა; მაღალი შუბლი, დიდი თვალების ზევით ხშირი წარბები, ცოტათი მოკაუჭებული ცხვირი, მაღალი და კუნთმაგარი კისერი რაღაც ერთიან, მთლიან, მის ვაჟკაცურ გარეგნობას კარგი მოქანდაკის ქმნილებასავით შერწყმოდა.

– ახლა სადაც გინდა, იქ დაჯექი, ჩემს გაკვეთილზე, თუ საჭირო იქნება, გადაგაადგილებთ, – ანეტა მასწავლებელმა ბოდიში მოიხადა და გავიდა.

ბიჭს ორი თორმეტფურცლიანი რვეული მარცხენა ხელში ორად მოკეცილი ეჭირა. კლასს თვალი გადაავლო, შუა რიგში, მეორე მერხზე მარტო მარინე იჯდა, მასთან მივიდა.

– შეიძლება აქ დავჯდე? – ჰკითხა.

– მობრძანდით, – მარინემ შუადან ნაპირისკენ გაიწია.

ბიჭი დაჯდა, გრძელი ხელები მერხზე დააწყო, გასწორდა და დაფას მაიჩერდა.

– კარგი ბედოვლათი ჩანს, ჩვენი ჭკუის იქნება; რვეულებიც როგორ ეჭირა მოჭყუნული, – შალვამ თავის მეზობელს გადაულაპარაკა.

ტასიკო მასწავლებელს ახალი მოსწავლე აშკარად არ მოუვიდა თვალში, ლუკას დაუფარავი უკმაყოფილებით შეხედა, მერე ჟურნალი გადაშალა და ხმამაღლა თქვა: – ჩვენი ჭირიც თავზე საყრელად გვაქვს. შუა სასწავლო წელში ვიღაცას შემოაგდებენ და ასწავლე მას ფიზიკა; ვინ იცის, რომელი სკოლიდანაა გამოპანღურებული! აბა, გამობრძანდი დაფასთან, ვნახოთ, რა „ბაგაჟის“ პატრონი ხარ! – ლუკას შეკრული შუბლით მიაჩერდა.

ამგვარი მოპყრობით სასტიკად შეურაცხყოფილი ლუკა ადგილიდან არ დაძრულა, ისე უპასუხა: – მე აქ „ბაგაჟის“ სადემონსტრაციოდ არ მოვსულვარ. დღეს მხოლოდ მოსმენა შემიძლია, როცა დრო იქნება გიპასუხებთ კიდეც.

– ფეხზე ადექ და ისე მელაპარაკე! ამას უყურე! რომელ სკოლაში ამზადებენ ასეთ უზრდელებს? – ტასიკომ შეუტია.

ლუკა ბრაზისაგან აენთო. თავი მაინც შეიკავა. რვეული გადაშალა და რაღაცის ხატვა დაიწყო.

უპასუხოდ დატოვებული ტასიკო ფეხზე წამოხტა; ლუკა თავის საქმეს დინჯად აგრძელებდა.

– თქვენს სკოლაში მასწავლებელს ასე ექცევიან? ან რა ზრდილობა გკარნახობს, ასე აგდებით მოქცევას?! – უყვირა.

ლუკამ თავი მაღლა აიღო, პირდაპირ შეხედა და აუღელვებლად უპასუხა: – მიჩვეული ვარ, იმ დონეზე დავრჩე, რა დონის მოსაუბრეც მყავს, რომ ამ უკანასკნელს გული არ დასწყდეს.

ტასიკო ბრაზისაგან გაფითრდა, სხვა ვერაფერი მოიფიქრა და დაიმუქრა: – კარგი, კარგი, მე მოგივლი!

– დიდი მადლობელი ვიქნები, – თავის აუღებლად უთხრა ლუკამ და ხატვა გააგრძელა.

ტასიკო მასწავლებელი ამგვარ დახვედრას არაფრით არ მოელოდა. დაიბნა. მდგომარეობიდან გამოსასვლელად მაგიდასთან მივიდა და წიგნის გადაფურცვლას შეუდგა.

მოსწავლეები სულ ნიშნის დაწერაზე ეხვეწებოდნენ. ისიც ჯერ ლანძღავდა და მერე სამოწყალო ნიშანს მიუგდებდა ხოლმე, უხეშობას და დამცირებას ისე მიეჩვია, სხვანაირად აღარ შეეძლო თავისი მდგომარეობით განებივრებულს. ახლა ვერ ისვენებდა, ჩქარობდა, ღირსეულად დაესაჯა და დაემცირებინა ლუკა.

წიგნი აიღო და დაფაზე ამოცანა დაწერა.

– რომელს შეუძლია ამოხსნას? – კლასს მიმართა.

მოსწავლეები დაფას მიაჩერდნენ, მერე მარინეს და ზაურისკენ შეტრიალდნენ, მათ მხრები აიჩეჩეს.

– აბა, რომელი გამოვა და ამ ამოცანას ამოხსნის, ენები რომ

გრძელი გაქვთ, თავში კი ბზე გიყრიათ; ახლა კიდევ ერთი ბედოვლათიც შეგემატათ და რაღა გაგიჭირდებათ! – ტასიკო ბობოქრობდა.

ლუკამ რვეული დახურა, მერხის ქვეშ შედო, მერე ხელები წინ გასწია, გაიჭიმა, საზურგეს მიაწვა და დაფაზე დაწერილ ამოცანას მიაჩერდა.

– გამოსვლას ვერ ბედავთ, არა? კარგით. მე ამოვხსნი, დაიწერეთ და დაიხსომეთ, თქვე ვაგლახებო! – ტასიკომ ცარცი აიღო და დაფაზე ამოცანის ამოხსნის წერას შეუდგა. მორჩა. ხელები ჩვარზე შეიწმინდა, ფანჯარასთან მივიდა, კლასისკენ შემოტრიალდა და ცოტა ხანს ასე გაჩერდა. ყველა იწერდა, მარტო ლუკა იჯდა იმავე პოზაში და დაფას მისჩერებოდა.

– შენ არ გეკადრება ჩაწერა, თუ იმდენი იცი, რომ საჭიროდ არ თვლი! – ლუკას შეუტია.

– როგორ გითხრათ, ერთიც და მეორეც, – ლუკამ ისე უპასუხა, რომ დაფისთვის თვალი არ მოუშორებია. ტასიკოსგან სასტიკად იყო შეურაცხყოფილი, და მასწავლებლებთან ყოველთვის თავაზიანი, ახლა არაფერს არ უთმობდა.

– ვაი, შე საწყალო, სანამ მე ვარ ორიანს არ მოგაცილებ; დღეს გაპატიებ, ხვალიდან კი იმხელა ორიანს ჩაგიწერ, გული გაგისკდეს! – დაემუქრა.

– მართლა? ოღონდ ეგ არ ჩაიდინო, ელიაზე თქვენს სახელზე ფრთამოტეხილ მამალს შევაფრენ! – ლუკამ დამცინავად თქვა.

– უყურეთ ამ თავხედს, სკოლიდან კი არა, ქუჩიდანაა მოსული! ხომ არ გინდა, პირველსავე დღეს გართ გაგიძახო?! – ტასიკო აწიწინდა.

– ისე მომაბეზრე თავი, სულაც არა მაქვს სურვილი ამ თვითდაჯერებული ადამიანის გაკვეთილს ბოლომდე დავესწრო, – ლუკა ადგა და კარებისაკენ წავიდა.

ტასიკოს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა, სიტყვის თქმა ვერ მოახერხა; ასე გაშტერებული დარჩა.

ლუკა კარებთან შეჩერდა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა; კლასში სამარისებური სიჩუმე იდგა. უცებ მობრუნდა, დაფასთან მივიდა, ცარცი აიღო და წერა დაიწყო, რომ დაამთავრა, ისე მაგრად დაუსვა წერტილი, ცარცი ზედ მიაფშვნა, ხელები დაიბერტყა და ტასიკოს მიუბრუნდა:

— სხვათაშორის, თქვენი ამოხსნა არც თუ მთლად სწორია, ამოცანის ამოხსნის ნამდვილი ხერხი კი ეს არის! — მოტრიალდა და გარეთ უკან მოუხედავად გავიდა.

ტასიკო ამას კი არ მოელოდა, დაბნეულობისაგან თითების მტვრევა დაიწყო; მოსწავლეების ჩურჩულს და ხმამაღალ კომენტარებს ყურადღებას არ აქცევდა.

მარინე ცნობისმოყვარეობას ვეღარ მოერია, ლუკას მხარეს ხელი შეყო, რვეული გამოიღო და სხვებს რომ არ დაენახათ, თავის რვეულში ჩადო; ალბათ ფიზიკის ამოცანის ამოხსნას ეძებდა.

როგორც გადაშალა, სახტად დარჩა. თვითონ იყო პროფილით დახატული, კოხტა ცხვირი, მოშვილდული წარბები და კოხტად გადავარცხნილი თმები. — თავხედი, როგორ გაბედა?! — ჩაილაპარაკა. მერე თითქოს გული მოულბა, „კარგი ნახატი კი არის, როგორ დაუმსგავსებია“, გაიფიქრა. ქვეშ მიწერილი წაიკითხა: „ჩემი ახალი თანაკლასელი, მომავალში შეიძლება მეგობარიც“, გული საამოდ შეუქანდა, რვეული დახურა და ისევ თავის ადგილას დადო.

ტასიკო შოკირებული იყო. გაკვეთილის გაგრძელება ვეღარ შეძლო; ფიზიკის ამოცანების წიგნში რაღაცას ეძებდა. მოსწავლეები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ და ტასიკოს ხელს არ უშლიდნენ.

ფიზიკის შემდეგ კლასის დამრიგებლის — ანეტა მასწავლებლის გაკვეთილი ჰქონდათ.

— ბავშვებო, როგორ შეეწყვეთ ახალ თანაკლასელს? — შემოსვლისთანავე იკითხა.

— ჩვენთან დალაპარაკებაც ვერ მოასწრო, ტასიკო მასწავლებელთან კამათი მოუვიდა; ეტყობა ძალიან ამაყია. რაღაც ეწყინა,

კლასიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა, – რადგან ლუკა მის გვერდით იჯდა, მარინემ პასუხის გაცემისთვის თავი მოვალედ ჩათვალა.

– ეტყობა კონცერტები არ მოგვაკლდება, – წამოიძახა გრამიტონამ.

– ასე ნუ გგონიათ. ლუკა ძალიან კარგი მოსწავლეა. იცით, რომ თელავის სკოლიდან მაგის გამოშვება არაფრით არ უნდოდათ? ხუთოსანია, კარგი სპორტსმენი. მოსწავლეთა შორის საქართველოს პირველობაზე გამარჯვებული. ძალიან განათლებული და უბადლოა მეგობრობაში. უაღრესად თავმოყვარეც არის და არავის დაეჩაგვრინება. მოკლედ, კარგი თანაკლასელი რომ შეგემატათ, ამაში თქვენ თვითონ მალე დარწმუნდებით.

– სად წავიდოდა, ანეტა მას? – მარინე შეეკითხა.

– ნუ გეშინია, არავინ მოგტაცებს, მოგივა! – კლარამ ღვარძლიანად მიაძახა.

მარინე აილეწა.

ანეტა მასწავლებელი კლარას გაუწყრა: – ასეთი უწმაწური ლაპარაკი არ გეკადრება, თუმცა ისედაც მქონდა შენთან სალაპარაკო? გაკვეთილის შემდეგ გამომყევი!

კლარამ შეპასუხება ვერ გაბედა.

– ფიზკულტურის მასწავლებელთან დავინახე, მას... – ვიღაცამ წამოიძახა.

– მოვა, არ მიგვატოვებს, – ანეტას სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ კლასში ლუკა შემოვიდა.

– მაპატიეთ, ცოტა ზაზა მასწავლებელთან გავერთე და... – ლუკამ თავი დახარა და პასუხს დაელოდა.

– მოდი, ლუკა, შენი ადგილი დაიკავე, ჩვენ მუშაობა ჯერ არ დაგვიწყია, – ღიმილით უთხრა ანეტა მასწავლებელმა.

ლუკა დაჯდა. მარინემ საყვედურით შეხედა.

გაკვეთილის შემდეგ კლარა ანეტა მასწავლებელს გაყვა და იქიდან ისეთი აჭარხლებული დაბრუნდა, მთელი დღე თავის მერხზე მჯდარს ხმა არ ამოუღია.

— ბავშვებო, ხვალ ფიზკულტურის გაკვეთილი რომ გვაქვს, არ დაგავიწყდეთ სპორტული ტანსაცმლის წამოღება. კლარას ვთხოვოთ, მაღალძირიანი ბოტასები ჩაიცვას და ღერძზე ასახტომად, ზაზა მასწავლებლის ხელის აკვრა რომ არ მოითხოვოს, — შალვამ ხმამაღლა გამოაცხადა და თავში კლარას ჩანთის დარტყმა მიიღო.

— საზიზღარო! — ჩანთის მოქნევას დააყოლა და აქვითინდა.

## ეროსისგან შეცდენილი მასწავლებლის დასჯა

ფიზკულტურის გაკვეთილისათვის განსაკუთრებით ემზადებოდნენ; ეს ზაზას დამსახურება იყო ყველას ასე რომ შეაყვარა სპორტი.

კლარა იმ საღამოს შემდეგ ზაზას ზედ აღარ უყურებდა. მას კი გოგოსთან შეხვედრის სურვილი მოსვენებას არ აძლევდა. უნდოდა, როგორმე დალაპარაკებოდა, მაგრამ კლარა ახლოს არ გაეკარა; მასთან შეხვედრის ყველა მცდელობას ზიზღით ერიდებოდა. ამან უფრო გაუცხოველა შეხვედრის სურვილი; იმედი ჰქონდა, რომ გაკვეთილზე მაინც მოახერხებდა მასთან შერიგებას. თავისი სპორტული მონაცემებით გოგოს მოხიბვლა უნდოდა, ეს როგორც ადრე მოხდა; გადაწყვიტა, ყველა თამაშში თვითონაც მიეღო მონაწილეობა.

პირველად ას მეტრზე სირბილი დაიწყეს; ზაზამ ბიჭები სტარტზე დააყენა, თვითონაც მათ შორის ჩადგა; მარინეს სთხოვა, ნიშანი მიეცა. ზაზამ და ლუკამ ბიჭები კარგა მანძილზე ჩამოიტოვეს, ბოლოს კი ლუკამ სამი ნაბიჯით გაასწრო; მოსწავლეების აღტაცების შეძახილმა კლასები შემოირბინა.

— ყოჩაღ, ბიჭო! — ზაზამ ლუკას მხარზე დაარტყა ხელი, მაგრამ სახეზე იმედის გაცრუება აშკარად შეეტყო.

სიმაღლეზე ხტომის დროს ზაზამ ძველებურად ძაფი თავის სიმაღლეზე დააყენა და ზედ გადაევლო. ბიჭებმა გადახტომა რომ

ვერ შეძლეს, ზოგი ქვეშ გაძვრა. მაყურებლები ახარხარდნენ. ზაზამ ლუკას გახედა, თვალით აჩვენა, გადახტაო. ლუკამ ეს სიმაღლე იოლად დაძლია. ზაზამ ოცი სანტიმეტრი მოუმატა, გადახტა, მაგრამ ძაფი ჩამოგდებას ძლივს გადაურჩა, ლუკამ ეს სიმაღლეც დაძლია. ზაზამ ძაფი ათი სანტიმეტრით ასწია, გაქანდა მთელი შესაძლებლობით, მაგრამ ძაფი ჩამოაგდო; ლუკა კი იოლად გადაევლო ძაფს; მოსწავლეთა ღრიალმა მიდამო გააყრუა. სკოლიდან ბავშვი გამოგზავნეს, ძალიან ნუ ხმაურობთ, ხელი გვეშლებაო.

ახლა ღერძთან გადაინაცვლეს. ზაზას იმედი ჰქონდა, რომ ლუკას ამაში მაინც აჯობებდა. მისვლისთანავე შეახტა ღერძს და კარგა ხანს მოხდენილად იტრიალა. ჩამოხტა და რიგში მდგარ მოსწავლეებს ამაყად გადახედა:

— აბა, რომელი გამოვა პირველი? — იკითხა. გულში კი უკვე ზეიმობდა გამარჯვებას.

რიგს ლუკა გამოეყო, დაიხარა, ხელები დაიმტვერიანა, ღერძს შეახტა, ცოტა ხანს ასე დაკიდებული გაჩერდა, თითქოს რაღაცაზე ფიქრობსო. მერე უცებ აიწია, ღერძს ზევიდან მოექცა, კარგა ხანს იტრიალა და ზაზას მიერ გაკეთებული ვარჯიში ლამაზად გაიმეორა; მოსწავლეებმა ვაშათი და ტაშით დააჯილდოვეს თავიანთი კერპი.

— თურმე ამ ყველაფერს ფიზკულტურის ინსტიტუტი სულაც არ სჭირდება, ლუკა უკეთ ვარჯიშობს, ვიდრე სხვა; ნეტავ ინსტიტუტში რაზე სცდებიან, — ღვარძლიანად შენიშნა კლარამ.

ზაზას გულზე ცეცხლი ახლა უფრო გაუძლიერა კლარას დაპყრობის სურვილმა.

— აბა, რიგის მიხედვით გამოდით და გვაჩვენეთ რა შეგიძლიათ! — ღერძის დაბლა გაჩერდა და სავარჯიშოდ გამოსულებს ეხმარებოდა, თან დარიგებას აძლევდა. ზოგს შეხტომაც კი უჭირდა, ზოგი ძლივს ეწეოდა; იყო ერთი ხმაური, სიცილი და დამცინავი შენიშვნები.

კლარას ჯერი რომ მოვიდა, ზაზა უკნიდან მოექცა, ხელი

იღლიებში მოჰკიდა, ცთუნებამ წასძლია, ღრმად შეუყო და ძუძუს ფუძეებს ძალუმად დააწვა.

— შეხტი, — უთხრა.

კლარა ადგილიდან არ დაიძრა, ზაზამ კი ორივე ხელი მაგრად მოუჭირა.

— აი, შეხტომა როგორ უნდა, შე გათახსირებულო! — უყვირა და მარჯვენა ხელი სახეში სთხლიშა. ზაზა დაბარბაცდა, ორივე ტუჩი გაუსკდა და გაუსივდა, ხმა ვერ ამოიღო, სახეზე ხელები აიფარა და წყაროსკენ წავიდა; ყველა სახტად დარჩა...

ამ ამბის შემდეგ ზაზა სკოლაში აღარ გამოჩენილა, ერთ საღამოს კი ლუკამ მატარებელზე გააცილა. ავი ენები ამბობდნენ, მასწავლებლობა აუკრძალესო. ამის გარკვევას სურვილი არავის გამოუჩენია. ზაზა გაქრა, ცხოვრება კი ახალ-ახალ დიდ და მცირე ტალღებს მოაგორებდა, რომელთან ჭიდილი იყო საჭირო.

## ჯაგარა- მასწავლებელთა რისხვა

კლარას საქციელზე რატომღაც სკოლის დირექციას რეაგირება არ მოუხდენია, რადგან ეს მისთვის ჭორის სახით ზაზას წასვლის შემდეგ გახდა ცნობილი. მოსწავლეები კი დუმდნენ. კლასის დამრიგებელმა — ანეტა მასწავლებელმა ყველაფერი შეიტყო, საკითხის გართულება არ უნდოდა, ამიტომ მარინეს სთხოვა, კლასის კრება მოეწვიათ და ერთმანეთის ნაკლოვანებებზე გულახდილი საუბარით, კლარა შეეჩვენებინათ.

მარინეს გაუხარდა რადგან ანეტა მასწავლებელმა მას ანდო ასეთი საპასუხისმგებლო დავალება. უფროსობა და თავის გამოჩენა უყვარდა, შეიფერა როგორც კლასში ყველაზე გამორჩეულმა და პრინციპულმა ყველას ნაკლზე საუბარიც მოვალეობად ჩათვალა.

მარინეს დედა მასწავლებელი იყო, მამა — კოლმეურნეობის ავტომძღოლი, თვითონ ბეჯითი, თუმცა განსაკუთრებული ნიჭის პატრონი არ ეთქმოდა; სხვებზე თავის სურვილის მოხვევა უყვარ-

და, თანაც უფროსობის პრეტენზია ჰქონდა მასწავლებლებთან მაამებლობას ჩვეულს. ამალია კორაშვილთან მეგობრობდა, რომელიც ყველა კაპრიზებს მორჩილად უსრულებდა. დათო ჯარიაშვილს ამალია უყვარდა; ამალიასაც ჰქონდა სიმპატიები, რომლის შესახებ მარინესთან საუბრობდა მხოლოდ.

გაკვეთილების შემდეგ მარინემ ყველას კლასში დარჩენა მოსთხოვა და კრების ჩატარების აუცილებლობა ამცნო.

— იქნებ ახლა ზოგიერთი განაწყენდეს, მაგრამ იმდენი უნდა შეგვეძლოს, რომ ერთმანეთს ვუთხრათ იმ ნაკლოვანებებზე, რომელსაც ვერ ვამჩნევთ, ან ვიცით, მაგრამ გვგონია, რომ სხვები ამას ვერ ხედავენ, ან, შეიძლება ის საქციელი სწორად მიგვაჩნია, რომელიც არ გვეკადრება.

მოსწავლეები ყურადღებით უსმენდნენ, მოთმინებით ელოდებოდნენ, მარინე მიზანში ვის ამოიღებდა; თვითონაც მზად იყვნენ შემოტევის მოსაგერიებლად, ან ვინმეს გასაკიცხად, მარინე კი განაგრძობდა: — მოდი, ყველა გამოვიდეთ და ერთმანეთის ნაკლოვანებებზე ვისაუბროთ. საწყენად ნუ მივიღებთ, რადგან გულახდილი საუბარი მხოლოდ სიკეთეს მოგვიტანს. ავიღოთ გრამიტონა, არცერთხელ საშინაო დავალება არ შეუსრულებია. ისე იწერს, წარმოდგენა არა აქვს, შიგ რა წერია. რამდენჯერ ვთხოვე, გამეცადინებ-მეთქი, არაფრით არ ქნა. ის ურჩევნია, მუხლებზე მდგომმა მასწავლებელს ყელის წევით გამოსთხოვოს სამადლო ნიშანი, ვიდრე ისწავლოს, მლიქვნელია, მასწავლებლებს თუნდაც ფეხებს აულოკავს იმიტომ, რომ სჭირდება, თორემ მაგას ყველა მასწავლებელი სძულს როგორც ყველა უვიცს და ზარმაცს. ამასწინათ გეოგრაფიის მასწავლებელს ფეხსაცმელებს რომ უწმენდავდა, თუ ულოკავდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო თვითონ მასწავლებელიც და ყველას თვალში დამდაბლდა.

— როდისღა იყო ამაღლებული! — ვიღაცამ დაიძახა.

— არაფერს არ კითხულობს, ხელის და თავის განძრევა არ უნდა; გვითხრას, რა აინტერესებს!

— წაკითხვა რად უნდა, უფროსი იქნება, ეგ უბრძანებს,. სხ-

ვები გააკეთებენ. ჰოდა, იმ სხვებმა იტეხონ თავი, — მარინეს ამალიამ აუბა მხარი.

— შენ გირჩევნია ეგრე დათოზე ილაპარაკოთ, იმისი ჯერიც მოვა და ვნახავთ, ენა რო ჩაგივარდება; აქ რაღაც-რაღაცეები არ იყოს! მე რაცა ვარ, ესა ვარ, კარგები თქვენ იყავით, ბიჭოს! — აბურტყუნდა გრამიტონა.

— მაგას კრიტიკა კი არა, თავდაყირა რომ დაჰკიდო ეგ არის, რაც არის, ველარ გამოსწორდება, — სიცილით თქვეს უკანა რიგებიდან.

— თუნდაც შალვა შიოშვილი, ვერ იქნა და ტრაბახს ვერ გადავაჩვიეთ; სწავლაშიც სიმულიანტობს, — მარინემ შეტევის ობიექტი შეცვალა.

— გოგო, შენ ინტრიგანი ხარ, თუ კლასის თვითმარქვია მოურავი?! ეგრე ყველას რომ გვთხრი, შენ რაღა მაიხვეტები! — შალვა აპილპილდა — ბიჭებს რომ მოგვადექი, აბა გოგოებზე თქვი რამე, ისინი მოგიძებნიან ვიწრო ადგილებს; არაფერს რომ გკადრებთ, თავზე კი ნუ გახვალ.

მარინეს თვალებში ცრემლი მოადგა. თავი მაინც შეიკავა, წყენა დაფარა და უფრო თამამად გააგრძელა: — მე ყველასთვის კარგი მინდა, ნაკლსაც იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ერთმანეთის დახმარებით გამოვასწოროთ და საბოლოო ჯამში ნამდვილ ადამიანებად ჩამოვყალიბდეთ; არც გოგოებისა არ მომერიდება. თუნდაც რას ჰგავდა კლარას საქციელი, — ყველამ ყურები ცქვიტა, კლარა გველნაკბენივით შეხტა და მისკენ შეტრიალდა, -ჯერ ზაზა მასწავლებელს თავბრუ დაახვია, საღამოობით მასთან კინოში დასეირნობდა და კიდევ ვინ იცის სად; სკოლაში ხომ ყველას სალაპარაკო გახდა. ბოლოს კი მასწავლებელს ისეთი სილა გაარტყა, კინაღამ თვალები გადმოაყრევინა. ზაზა მასწავლებელი ფიზკულტურის ენთუზიასტი იყო, საქმეს ხელი ენერგიულად მოჰკიდა, ალბათ კარგი შედეგებიც ექნებოდა, მაგრამ კლარამ სულ აურია გზა-კვალი.

— ცუდი ბიჭი არც ლუკაა, მაგრამ როგორც მოვიდა, გვერდით

მოისვი და თავბრუ დაახვიე. მაგ ბიჭს გზა-კვალს ისე აურევ, რომ სილაც ვერ გამოასწორებს. და, საერთოდ, ისეთი შენიღბული ხარ, ეშმაკმა იცის, ჩუმ-ჩუმად რაებს ხლართავ; სხვებზე კი წაგრძელებული გაქვს ენა! ყველამ თავის ბოზ მამიდას მოუაროს, ქალბატონო! – კლარამ სიტყვის გაგრძელების საშუალება არ მისცა.

– მე სიმართლისთვის ვირჯები, შენ კი არ გეკადრება რაც თქვი! – მარინეს სიტყვის თქმის სურვილი წაუხდა.

– ეგ ამპარტავნის სიმართლე შენთვის შეინახე. გირჩევნია სხვების კბენას თავი დაანებო და შენს აწეწილ საქმეებს მიხედო! – კლარამ შეუტია.

– რა საქმეები მაქვს აწეწილი?

– ის, ქალბატონო, რომ პროფილით ნახატები და მისი შემსრულებლები ვნებას გიშლიან. ვინც კიდევ ასეთი ხატვა არ ვიცით, გვლანძღავ და ტალახში გვსვრი! – ნახატის ამბავი არცერთმა მოსწავლემ არ იცოდა. კლარამ შესვენების დროს უჩუმრად ნახა, საჭიროების შემთხვევისთვის შემოინახა და, აგერ, კიდეც გამოიყენა.

მარინე გაშრა, გაფითრდა, ხმა ვეღარ ამოიღო.

– კარგი იყო ეს საკითხი კლასის დამრიგებლის თანდასწრებით გაგვეხილა, ახლა კი გაგრძელება უარეს გაუგებრობას გამოიწვევს, – თქვა ამალიამ.

– ამ საკითხის განხილვა დამრიგებელმა დაგვავალა, კლარას თქვენ თუ მაგრად შეახურებთ, ჩვენ მის საკითხს აღარ განვიხილავთო. მე შევეხვეწე, ჩვენ ვიმსჯელებთ-მეთქი და, აი, შედეგიც, – მარინე დაჯდა.

ამ სიტყვების გაგონებაზე კლარას ელდა ეცა. თუმცა მარინემ გააზვიადა, არავითარ სხვა განხილვაზე დამრიგებელს არ უთქვია, ეს ყველაფერი მხოლოდ მისი ინიციატივით მოეწყო. კლარა კი მოიკუნტა, დაჯდა და ხმა აღარ ამოუღია.

– მოდი, ერთმანეთის გაკიცხვას თავი დავანებოთ და ლუკას ვთხოვოთ, თავის შესახებ მოგვიყვეს, რაც ჩვენ არ ვიცით, – წინადადება წამოაყენა დათომ, ყველამ დაუჭირა მხარი.

ლუკას გაეღიმა. ფეხზე ადგა, ორად მოკეცილი რვეულები გვერდზე დაიდო და დაიწყო: – როგორც იცით, წარმოშობით ამ სოფლიდან ვარ, მამა ადრე გარდამეცვალა. დედა თელავში მუშაობდა. ბიძაჩემთან ვცხოვრობდით; სანამ პაპა ცოცხალი იყო. აქ გადმოსვლა არ გვიფიქრია. დედაც გარდამეცვალა, ბიძაჩემთან დავრჩი, პაპაჩემის გარდაცვალების შემდეგ აქ, ბაბოსთან გადმოვედი. სანამ თელავში ვსწავლობდი ბევრ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მიმიღია მონაწილეობა, ერთხელ საქართველოს ნაკრებშიც ვიყავი საკავშირო შეჯიბრებაში. ეგ არის და ეგ. რაც შეეხება პროფილით დახატულ სურათს, მარინე პირველ დღეს მე დავხატე. ალბათ ფიზიკის გაკვეთილზე აგრესიული დახვედრას ამით ვანეიტრალებდი. თუ ამით დავაშავე, ბოდიში შემიძლია მოვიხადო.

რადგან ფეხზე ვდგევარ, მინდა გთხოვოთ, რომ კლარას საკითხი განხილულად ჩავთვალოთ, კლარა ჩვენი თანაკლასელია და ჩვენვე უნდა დავიცვათ; მომავალში კი არავის არ უნდა მივცეთ უფლება, რომელიმე ჩვენგანს გული ატკინოს.

– სწორია! – წამოიძახეს.

კლარამ ლუკას მადლობის მთქმელი მოწყლიანებული თვალებით შეხედა.

ვიღაცამ გარედან ფანჯარას ძლიერად ჰკრა ხელი, ჩარჩო კედელს მიასკდა და მინები ზრიალით ჩამოიფშვნა. გოგოებმა წივილი ატეხეს.

– ჯაგარა! – ბიჭები შიშით აჩურჩულდნენ.

ჯაგარა სოფლის გამოუსწორებელი ხულიგანი იყო. შვიდ წელზე მეტი გასულიყო, რაც რვა კლასი დაამთავრა. არსად არ მუშაობდა. ფიზიკურად ძლიერი, ჩადგმული და ჩაფსკვნილი, კუნთმაგარი თავის თავის იმედით სულ შარს ეძებდა და პოულობდა კიდეც. სკოლას თავზარს სცემდა. დროდადრო სხვადასხვა დოზით უწყობდა აწიოკებას; ამიტომაც იყო, რომ ყველა შიშით დაიზაფრა.

– გამარჯობათ, ჯიგრებო! ეს რა კრებაობა მოგიწყვიათ, მე არ დამასწრებთ? კარებიდან მოვუარო თუ პირდაპირ ფანჯრიდან



გადმოვიდე? – ჯაგარამ ფანჯრის რაფაზე მარჯვენა ფეხი შედგა. შალვა ფანჯარასთან იჯდა. ჯაგარამ თავში მაგრად ჩაუთაქა. – ეს ტილიანიც კრებაობს? – იკითხა და მეორედაც ჩაუთაქა; შალვა მოიკუნტა – დღეს ტილიანების გასატყავებლად მექავება ხელები, პირველი შენ იქნები! – შალვას ახლა ლოყაზე მაგრად მოუჭირა ხელი და მტკივნეულად მოქაჩა.

– ვაიმე! – შალვამ დაიყვირა, მერხის მეორე მხარეს გაცურდა ისე, რომ ჯაგარა ვეღარ მისწვდომოდა.

– ვააა, გრამიტონა ფსუტიანიც აქა ყოფილა. უხ შენი! – მუშტი მოუღერა. გრამიტონი მერხის ქვეშ შეძვრა.

– აბა, ერთი კარგად დაგათვალიეროთ, კიდევ ვის ამოვკრა ჭიტლაყი! – ჯაგარამ კლასს თვალი მოავლო.

– წადი, ჯაგარ, კრება გვაქვს, ხელს ნუ შეგვიშლი. – მარინემ დაუყვავა.

ჯაგარამ ფეხი ჩამოდგა, ფანჯარაში თავი შეყო და მარინეს დაუბრიალა თვალები: – მაშინ შენ გამოდი, ლამაზო, ცოტა ხანს გეკურკურო! ლუკამ ბიჭებს გადახედა, ადგილებზე შიშისგან გაქვავებულები ისხდნენ; ფეხზე ადგა და ჯაგარას ჯიქურ შეხედა. ჯაგარას ამგვარი თამამი და გამომწვევი შეხედვა გაუკვირდა.

– ეს ვიღაა, – ჩაილაპარაკა.

– ვინა ვარ და ვინცა ვარ. მოსცილდი ფანჯარას! – მუქარის ტონით უთხრა ლუკამ.

– ვააა! ეს ახალი ყვაილი საიდან? არ მახსოვს, რომ მიმეტყიპოს. გარეთ გამოდი, ვირივით უნდა გაყვირო! – დაემუქრა.

– მიდი, მიდი, შეაყოლე! სკოლის გარეთ შეგხვდები, – თამამად უთხრა ლუკამ.

– მივდივარ. თუ დაიმალე, გიპოვნი და რაც სიგრძე გაქვს, სიბრტყეს მოგცემ! – ჯაგარა ბურტყუნ-ბურტყუნით წავიდა.

თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, ლუკამ სიტყვა გააგრძელა: – მოკლედ, დიდი არაფერი წარსული მაქვს. თუ ჩემს მოსვლამდე კრება დაამთავრეთ, ვინმემ წიგნები წამომიღოს, – უცებ მოსწყდა ადგილიდან და გარეთ გავარდა.

ყველა თავის მერხზე მიჯაჭვული დარჩა, იქნებ ეს ჯაგარას შიშით იყო, ან კრების არჩაშლის სურვილით, ან ორივე ერთად.

კლარა წამოხტა, — თფუჰ, თქვენც უნდა თქვათ, ბიჭები ვართო! — მიაფურთხათ და გარეთ გავარდა.

კრების გაგრძელების ხასიათზე აღარავინ იყო. არც დგებოდნენ, ერთმანეთს უყურებდნენ, თითქოს ნებართვას თხოულობდნენ, უფრო სწორედ კი ჯაგარას შიშით დასუსხულები ვითომ კრებას არ შლიდნენ.

მარინეს გული საშინლად უცემდა. „ვაიმე, რამე არ აუტეხოს იმ ხულიგანმა!“ — ფიქრობდა, მაგრამ კლარამ ისეთი რამ დასწამა, იქნებ არც დაწამება იყო ეს, ადგილიდან ვერ დგებოდა.

უცებ კლარა შემოვარდა, ჩანთას დაავლო ხელი, კარებში რომ გარბოდა, მოტრიალდა და თვალცრემლიანმა იღრიალა: — რას უსხედხართ ყეყეჩებივით, დახოცეს ერთმანეთი, ნამუსი არა გაქვთ?! — მიტრიალდა და გარეთ შველივით გავარდა.

თითქოს ამას ელოდებოდნენო, მთელმა კლასმა ერთად ამოიღრიალა. ჩანთებს ხელი დაავლეს, კარებიდან და ფანჯრებიდან ფხაჭაგლეჯით გაცვივდნენ.

დაუგვიანდათ. ჩხუბის ადგილას რომ მივიდნენ, ჯაგარა მუხლებზე იდგა, ცხვირიდან და ტუჩებიდან გადმოდენილი სისხლს მუჭით იწმენდავდა. ლუკა თავზე დასდგომოდა, მარცხენა თვალი შეშუპებოდა და გახეთქილი წარბიდან სისხლი ჟონავდა, ზედა ტუჩის მარცხენა ნაწილი გამობეროდა; იქვე იდგა თვალცრემლიანი კლარა.

— ადექი ფეხზე! — უთხრა ლუკამ, თან მარჯვენა ხელი დასარტყმელად ჰქონდა მოღერებული. — წაქცეულს არ დაგარტყამ.

— რაღა გინდა, ჩხუბი ხომ დავამთავრეთ, — დახეთქილი ტუჩებით ძლივს თქვა ჯაგარამ და სისხლი გადმოაფურთხა.

— შენ ჩხუბით ერთობი, ხვალ კიდევ მოხვალ, — ლუკა არ ეშვებოდა.

— რა გინდა, თქვენ კლასს ხმას აღარ გავცემ.

— სკოლაშიც აღარ მოაწყობ აწიოკებას!

— სულ აღარ მოვალ.

— წეღან მარინეს რაც ჰკადრე, ბოდიში მოუხადე! — უბრძანა ლუკამ.

— ადექი ფეხზე! — უთხრა ლუკამ, თან მარჯვენა ხელი დასარტყმელად ჰქონდა მოღერებული.

ჯაგარამ მარინეს შეხედა და შეყოვნდა.

— არ გესმის?! — უყვირა ლუკამ და ასაყენებლად საყელოში სტაცა ხელი.

ჯაგარამ მარინეს შეხედა, — ბოდიში, — თქვა და სისხლი გადმოაფურთხა.

ლუკამ ხელი გაუშვა.

ჯაგარა ადგა და წყაროსკენ წალასლასდა.

ლუკა მოსწავლეებს მიუბრუნდა: — ჩემი წიგნები რომელმა წამოიღეთ? — იკითხა.

ხმა არავის ამოუღია. მიხვდა ლუკა, რომ მისი წიგნები არ წამელოთ.

თავჩაღუნული სკოლისკენ წავიდა, კლარა უკან გაჰყვა; დარცხვენილი თანაკლასელები ადგილიდან არ იძვრებოდნენ.

გულგასიებული მარინე მარტო ყოფნას ნატრობდა, რომ დამჯდარიყო და ხმამაღლა აქვითინებულიყო.

## დიმიტრი დავარაშვილის ბოლო გაკვეთილი

მისი ყველას ეშინოდა, თუ პატივისცემა იყო, განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობოდნენ. თვითონაც განსაკუთრებული იყო სიმართლის პირუთვნელად აღიარებით, თავისი იდეებით, პრინციპულობით, პატიოსნებით და მომავლის განჭვრეტის დაუფარავი, არც თუ სახარბიელო, თავისებური განმარტებით.

ახლა კლასში ჩაფიქრებული შემოვიდა, მაგიდასთან დაჯდა და მთელი ათი წუთი ხმის ამოუღებლად ფიქრებთან შეჭიდებული ქანდაკებას დაემსგავსა. მოსწავლეებიც წყნარად ისხდნენ და

სივრცეში გაჭრილ დირექტორის ფიქრების კლასში მობრუნებას უცდიდნენ.

– საბჭოთა კავშირის სიძლიერე ხალხთა მეგობრობაშია. ყოველივე ეს კი დიდი რუსი ხალხის დამსახურებაა, რამეთუ რუსი ხალხის მონდომების გარეშე ასეთი ჰარმონიული ერებს შორის სიყვარული, ნდობა და ურთიერთ თანადგომა შეუძლებელია. ბრწყინვალე ფრთოსანი სიტყვაა „დიდი რუსი ხალხი", რომელიც კაცობრიობის სასწაულებრივ გენიოსს – იოსებ სტალინს ეკუთვნის, მან ყველაზე ნათლად დაინახა რუსი ხალხის უზარმაზარი როლი ფაშისტური ბოროტების დამხობაში, რომლის ირგვლის მტკიცე ძალით დაირაზმნენ საბჭოთა კავშირის ხალხები სოციალიზმის უპირატესობის და სამართლისათვის ბრძოლის გამარჯვების რწმენით.

რუსმა ხალხმა უზარმაზარი როლი შეასრულა დასავლეთ ევროპის მონღოლთა თარეშისგან გადარჩენაში; მანვე იხსნა ევროპა და მთელი მაშინდელი მსოფლიო ნაპოლეონის ძალადობისაგან, ახლა კი მსოფლიოს ხალხებს აჩვენებს სოციალიზმის მაგიურ ძალას სხვა სიკეთეზე რომ აღარაფერი ვთქვა, ხალხებს შორის ძმობის, მეგობრობის, ნდობის და ურთიერთ სიყვარულის დამკვიდრების საქმეში. მხოლოდ ჩვენთან, აქ, საბჭოთა კავშირში მოისპო ხალხებს შორის შუღლი და მტრობა, რაც კაცობრიობას დასაბამიდან ტანჯავდა.

ამას კარგად ხედავენ ადამიანთა ბედნიერი ცხოვრების მტრები და მომაკვდინებელ შხამად ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად თესავენ საბჭოთა ხალხებს შორის შუღლს და მტრობას; ეს დივერსია განსაკუთრებით მძაფრად მიმარტულია რუსი ხალხის წინააღმდეგ, რამეთუ რუსი ხალხია საბჭოთა ხალხთა შორის ძმობის და მეგობრობის ბურჯი. გული მიკვდება, რომ ეს საზარელი ბაცილა უვნებელი კრავივით, აქტიურად ინერგება ჩვენთან, რომელიც თანდათან ყოველგვარი სიკეთის მომსპობ გველეშაპად იქცევა.

ამაზე საუბარი იმიტომ დავიწყე, რომ ღრმად უნდა იწამოთ ქართველების რუსებთან მეგობრობის დიდი სასიკეთო ძალის. ერთხელ კიდევ დაბეჯითებით გადახედეთ საქართველოს ისტორიას და დარწმუნდებით, რომ ქართველ ხალხს განგებამ მოუვლინა რუსები

ძმად და მეგობრად. მერწმუნეთ, ვინც ამის საპირისპიროს იტყვის ან ბეცი, უგნური, გაუნათლებელი და რეგვენია, ან ქართველი ერის დაბეჩავების, მტრობის და მოსპობის ბილიკზეა შემდგარი. — კლასში ყველა მდუმარედ იჯდა.

— ეს აქსიომაა, რომელსაც პატარა ნამცეცსაც ვერ შეაცლი. ამ რწმენით უნდა იაროთ საქართველოს ბედნიერი მომავლისაკენ, რამეთუ ყველა სხვა გზა ქართველი ხალხის უბედურებისკენ მიდის. — დავარაშვილი გაჩუმდა, კლასს დააკვირდა, ყველა აღფრთოვანებული შეჰყურებდა და სიტყვის თქმის სურვილს არავინ ამჟღავნებდა.

— ადამიანი ბედნიერებისთვის არის შექმნილი, რადგან ამისთვის მას ყველა პირობა აქვს — ფიზიკური და გონებრივი სრულყოფა. წარმოიდგინეთ სახედარი ადამიანის გონებით. მისი ტვინის შესაძლებლობებს ვერ გამოიყენებდა, რადგან სახედარი ფიზიკურად იმ სამუშაოებს ვერ შეასრულებდა, რაც ადამიანის გონებას სჭირდება და პირიქით, ადამიანის სხეულზე ვირის თავი სახედრის დონეზეც ვერ გაირჯება. ამრიგად ადამიანი ისეთი სრულყოფილი არსებაა, რომელსაც შეუძლია ჩვენს ცვალებადი კლიმატის პლანეტაზე ბედნიერად იცხოვროს. ბედნიერება ადამიანის ჩვეულებრივი ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაშია და ყველა უბედურება კი ზედმეტობიდან მოდის. რაც სჭირდება იმაზე მეტის მოხვეჭა ადამიანს მხოლოდ უბედურების კარზე მიიყვანს, რაც კაცობრიობას დღემდე აწუხებს და ადამიანები ზედმეტი დაგროვების ავადმყოფობისაგან ვერ განთავისუფლებულან. ამას კი ზეცხოველური ინსტინქტი ბადებს. პლინიუსი — რომის ფლოტის სარდალი და მოაზროვნე, ჩვენი წელთაღრიცხვის 78 წელს დაიღუპა ვეზუვის ამოფრქვევისას, ამბობდა: — ადამიანი ყველა მხეცზე უარესია. არც ლომები და არც ზღვის ურჩხულები ერთმანეთს ისე არ მტრობენ, როგორც ადამიანები. არც ერთ არსებაში ისე არ მძვინვარებს ბოროტება, როგორც ადამიანში; მხოლოდ ადამიანს ახასიათებს პატივმოყვარეობა და ანგარება. პლინიუსის ნათქვამი შემორჩა შთამომავლობას, თორე მანამდე და მას შემდეგაც ადამიანთა მოდგმა განიცდიდა და მოსთქვამდა ამაზე, — რო-

გორც უცებ დაიწყო, ისევე უცებ გაჩუმდა და კლასს დააკვირდა; მოსწავლეები დიდი ინტერესით მისჩერებოდნენ. დავარაშვილმა ჭერს შეხედა და თავისი ფილოსოფიის ქადაგება გააგრძელა: — იმპერატორმა ნერონმა ახლად ფეხადგმული ქრისტიანობის მიმდევრები, რომლებიც სიკეთეს, სათნოებას, კაცთმოყვარებას, შენდობას და ყოველგვარი სპეტაკი, ადამიანური, ამაღლებული გრძნობების დამკვიდრებაზე ქადაგებდნენ, რომის ფორუმზე შეყარა და მხეცებს დააგლეჯინა.

ქრისტიანობამ ხელთ იგდო ძალაუფლება და დაივიწყა ის პირველყოფილი ქადაგება. განუსაზღვრელმა შესაძლებლობებმა ხალხის უბედურებად აქცია,. სირცხვილად შემორჩა კაცობრიობას ინკვიზიცია და ინდულიგენციებით სპეკულაცია — კათოლიკური ეკლესიის ეს სამარცხვინო სიბინძურე, რითაც კულტურული ცხოვრების შეფერხებაში სატანის როლი შეასრულა.

პაპობა — არის ბანდიტების და გარეწრების ბატონობა, რასაც ბნელი ხალხი ტაშს უკრავს, როგორც სასიკვდილოდ მიმავალი გლადიატორები იმპერატორს; არ არსებობს სასჯელი ღირსი მათი უკიდეგანო დანაშაულისა.

ასე დაჰკითხავდა ბნელეთის მოციქული — დიდი ინკვიზიტორი კუდიანად მონათლულ თავის მსხვერპლს: — ეშმაკს სწირავ ბავშვებს, რიომელთა ნათლობაც ვერ მოუსწრიათ. განა არ ხარშავდი და არ ჭამდი მამაკაცის მოხარშულ ორგანოებს? არ ჯადოქრობდი? ცხოველთა გაჩანაგებას არ იწვევდი? ქალებს უნაყოფოდ არ ტოვებდი და ცხოველებს არ აბერწებდი? ხეებს არ აიძულებდი, დროზე ადრე დაეყარათ ნაყოფი? თუ ყოველდღე არა, მაინც რამდენჯერ იწექ სატანასთან? რომელიღაც შენი ჯადოქრობის მსხვერპლი ქალი ისე გასივდა, მუცელმა სახე დაუფარა; მისი წიაღიდან ისმოდა ხმები მამლის ყივილის, ქათმის კრიახის, ხარის ბღავილის, ძროხის ზმუილის, ძაღლის ყეფის, ღორის ღრუტუნის, ცხენის ჭიხვინის, ვინც შენ დაგასმინა, თქვა, რომ ამ ქალის მუცელი საქონლის მოარულ ბაკს ჰგავსო.

ამ აბდაუბდას ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ადამიანი კოცონზე შესაწვავად აჰყავდა.

ესპანელ ექიმ სერვეტს ეგონა, ინკვიზიციას ჟენევაში, სადაც ყვლაფერი მოწესრიგებულია, დაემალებოდა, იგი იყო სახელგანთქმული სწავლული, რომელმაც ადამიანის ორგანიზმი შეისწავლა და სისხლის მიმოქცევის საიდუმლოს ამოხსნას ცდილობდა. ჟენეველმა წმინდანებმა კი კოცონზე დაწვა მიუსაჯეს თავისი დაწერილი წიგნის გამო; ორი საათის განმავლობაში ნელ ცეცხლზე სწვავდნენ. საერთოდ ეკლესიის ბურჯებს ნათელ შუქს ჰფენს ჯორდანო ბრუნოს, ვანინის, სავორანოლას, ჟანა დარკის, იან ჰუსის, იერონიმე პრაღელის და სხვათა ჩირაღდნად ანთებული სხეულები, რომ არ დაიფაროს ღვთის მოადგილეთა უღვთო საქმენი.

ხალხი დასცინოდა ავხორც მღვდლებს. „გიხაროდეს, ნერონ!“ — ამბობს ერთი პასკვინადა: — „ბიწიერებაში შენ გაჯობა სიქსტ მეოთხემ!“. პირადულ ცხოვრებაში სოდომურ ცოდვებს სჩადიოდა. ჰყვარობდა საკუთარი დალაქის თოთხმეტი წლის ბიჭს, რომელიც გაამდიდრა და ეპისკოპოსის მრევლი უბოძა. ხარბი, ხეპრე, მტარვალი, საკუთარ ვაჟთან უზნეო კავშირში ბრალდებული ყიდდა საეკლესიო თანამდებობებს; უყვარდა უმეცარნი, ქურდები და ავაზაკები; აწყობდა დუელებს და სეირს უყურებდა. ქვეყანამ იცოდა, რას უკეთებდა ბიჭებს, რომლებიც მოსასვენებელში ემსახურებოდნენ.

იყო ასეთი პაპი იოანე მერვე, მოწამლეს და მერე ჩაქუჩით მოუღეს ბოლო. მის მაგიერ ახალი იოანე მერვე, ერთადერთი პაპი ქალი საეკლესიო პროცესიას მიუძღოდა, როცა რომის ქუჩაში მშობიარობას გადაჰყვა და ასე გამჟღავნდა მისი ქალობა. იოანე მეათე დილეგში გაგუდა კაცმა, რომლის დედაც გააპუტიურა. იოანე მეთერთმეტე ძმამ დაამხო, დილეგში ამოხადა სული. ლევ მეხუთე საპყრობილეში მოაკვლევინა ცნობილმა საეკლესიო პირმა, მისი ადგილი დაიკავა და დაირქვა ქრისტოფორ პირველი. ახლა ეს პაპი ჩააგდო დილეგში და ხელთ იგდო პაპის ტაჯხტი პიროვნებამ სერგი მესამე რომ დაირქვა. გადახედეთ პაპების უზნეობით შენელებულ მოღვაწეობას და შეგაჟრჟოლებთ; განა ასე

იწყებოდა ქრისტიანობა?! დიდმა ძალაუფლებამ ადამიანში ზნეობა და მორალი გარყვნა. რაც უფრო მაღლა ადიოდი საეკლესიო იერარქიის კიბეზე, მით უფრო ნათლად ჩანდა ის სიბინძურე, რაც იქ ხდებოდა.

დაიწყო სიკეთეზე ქადაგებით და ხალხს ბოროტებად ექცა დიდი ძალაუფლების წყალობით.

ახლა გადავხედოთ კაცობრიობის პროგრესს მისი გარიჟრაჟიდან დღემდე: პირველყოფილი ადამიანი ახლოს იყო მხეცთან, ცხოვრებაც ჯუნგლის კანონით მიდიოდა. ადამიანი თანდათან მაღლდებოდა მხეცობაზე და ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა კაცობრიობის ოცნებას; ძმობა, ერთობა, თანასწორობა; ადამიანთა ყოველგვარ ქვენა გრძნობებზე ამაღლება; ცივილიზებული საზოგადოების ყველა წევრის ბედნიერი ცხოვრება. პირველყოფილი თემური წყობილება, მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა კაცობრიობა ადამიანურ ურთიერთობათა ბედნიერების მწვერვალს, მაგრამ ბედნიერებაზე ლაპარაკი ზედმეტია იქ, სადაც ერთი გაზულუქებული მილიონერი ფუფუნებაში იხრჩობა, მეორე შრომაში თავს იკლავს და მაინც ლუკმა პურის შოვნა უჭირს. სანამ ადამიანში მომხვეჭელი, მიმთვისებელი, უძღები ეგოისტი, ვერაგი, თანამოძმის გაჭირვებისადმი გულგრილი, სხვის დამონებაზე თავისი ნებიერი, ფუქსავატი, ზნედაცემული ცხოვრების მომწყობი არ აღმოიფხვრება სოციალურ კეთილდღეობაზე და საერთო ბედნიერ ცხოვრებაზე ლაპარაკი წყლის საცრით ზიდვაა მხოლოდ.

აგერ, როგორც იყო, საყოველთაო კეთილდღეობის ცხოვრება მოგვევლინა, მოგვევლინა კი არა, დიდი სისხლისღვრის, ბრძოლის და ძალების უკიდურესად დაძაბვით შევქმენით სოციალური კეთილდღეობის და თანასწორობის რესპუბლიკათა კავშირი, სადაც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია მოსპობილია.

ახლა გადავხედოთ ჩვენს დღევანდელობას, ვიძახით, განვითარებულ სოციალიზმში ვცხოვრობთო. გვგონია, რაღაცას მივაღწიეთ და ტრაბახით ვიკლებთ მსოფლიოს. სინამდვილეში კი საშინ-

ლად დაავადებული სხეულივით თანდათან იხრწნება და კვდება ეს ჩვენი კომუნიზმისკენ მიმავალი ნაქები სოციალიზმი, და,აი, რატომ: იმ რწმენიდან აღარაფერი დარჩა, ხალხის საკეთილდღეოდ, თანასწორობის და ბედნიერებისთვის თავს რომ სწირავდნენ და სხვებსაც ამას შთააგონებდნენ.

დღევანდელ საბჭოთა კავშირში მცხოვრებმა ხალხებმა ბატონყმობის გაუქმებიდან გამოფხიზლებაც ვერ მოასწრეს და უცებ სოციალიზმში ამოყვეს თავი. ადამიანში ჩაბუდებული მომხვეჭელი და ნადირი ან ძალით და მკაცრი დისციპლინით უნდა დათრგუნო, ანდა საუკუნეთა სიმრავლემ უნდა აღზარდოს ადამიანში ადამიანობა. ჩვენი ადრეული წინაპრები კანიბალები იყვნენ, მაგრამ დღეს ხომ ეს მანკიერება ადამიანში ძირფესვიანად აღმოფხვრილია; ასეთი იქნება მომხვეჭელის, ეგოისტის, ყოველგვარი პარაზიტის ბედი ადამიანის შეგნებაში საუკუნეთა სიმრავლის შემდეგ, მაგრამ როდის? ამას მრავალი თაობის ძალადობის და განუკითხაობის ჭაობში ფართხალი და დამიწება ელოდება. არის მეორე გზაც — მკაცრი დისციპლინით და სოციალური თანასწორობის კანონების მიუკერძოებლობის სუსხით ადამიანში ცხოველური ინსტინქტების დათრგუნვა და ამგვარად მისი საბოლოო მოსპობის პროცესის დაჩქარება, ვიდრე საუკუნეთა სიმრავლე მას თანდათან მოსპობს. სწორედ ამგვარ ადამიანში ცხოველური ინსტინქტების ძალადობით დათრგუნვის სოციალიზმი გვაქვს; ზემოქმედების რეჟიმის შესუსტება კი საპირისპირო შედეგს იძლევა.

კაცობრიობის წარმოშობა და განვითარება ჰგავს ხე-მცენარეს: ჯერ აღმოცენდება, გაიზრდება, აყვავდება, ნაყოფს გამოისხამს და ის ნაყოფი რაღაც დროის შემდეგ მომწიფდება. კაცობრიობის ნაყოფის მომწიფება ადამიანში ადამიანობის აღზრდა და ყოველივე ცხოველურის გაქრობაა. არის ერთეული შემთხვევები, როცა ზოგიერთი ადრე მწიფდება, სწორედ ისინი გვინათებენ გზას სიკეთის და ბედნიერებისაკენ, მაგრამ ამხელა მოუმწიფებელი მასა სოციალური კეთილდღეობის უპირატესობაში რომ დაარწმუნო, მისი მომწიფებისათვის საუკუნეებია საჭირო, ჩვენი დღევანდელი სო-

ციალიზმი კი ძალით მომწიფების მცდელობაა. ბოლოს რა მოხდება? ადრე მომწიფებულ ერთეულებს მკვახე უმრავლესობა მოსპობს თუ ძლიერი ხელი არ იცავს. როცა ყველა მომწიფდება, ადრე მომწიფებულ ერთეულებზე სპეტაკი მოგონება და მწარე გახსენების სინანულიღა დარჩება მხოლოდ.

რადგან ძალით მომწიფების გზას დავადექით, ასე უნდა ვიაროთ, თორემ ძალის ზემოქმედების გარეშე შეიძლება ადამიანში მხეცმა ისე იმძლავროს, რომ ბატონყმობა სანატრელი გვიქციოს, რადგან განვითარების მაღალ საფეხურზე მყოფი ადამიანის გამხეცება მანამდე არსებულ ყოველგვარ მხეცობაზე საზარელი და დაუნდობელია.

ახლა ჩვენ ადამიანში მხეცის გამოცოცხლების სტადიაში ვართ, რადგან ძალათი მომწიფების პროცესი შეჩერდა და ისედაც მკვახე ნაყოფის გახრწნა იწყება. მომხვეჭელობა, მექრთამეობა, კორუფცია, ძალადობა; უნიჭოთა, უზნეოთა, უცოდინართა ხელმძღვანელ პოსტებზე გამორჩენით, ძმა-ბიჭობით ანგარების მარილმოყრილი დაწინაურება; სახელმწიფოს და ამით ხალხის მიწერებით მოტყუება, ყალბი კეთილდღეობის ილუზიის შექმნა და მრავალი ამგვარი სისაძაგლე ხრავს ჯანმრთელ ორგანიზმს, რომელსაც სოციალიზმი ჰქვია. ბოლოს დაიღუპება, სტერვიატნიკები მის სხეულს გაწეწავენ, დაიტაცებენ, რასაც ვერ მიითვისებენ, მოსპობენ, ამას კი პატიოსანი მშრომელი ადამიანების უბედურება ახლავს თან, — დიმიტრი დავარაშვილი გაჩუმდა, ამ მონოლოგის შემდეგ ჰაერის უკმარისობა იგრძნო, პირი გააღო და ღრმად ჩაისუნთქა.

გაკვირვებული მოსწავლეები მდუმარედ ისხდნენ. ყოველდღე სულ არნახულ წარმატებებზე, სოციალიზმის შეუცვლელობაზე, სამართლიანობასა და სამართალდამცავი ორგანოების შეუცდომლობაზე უჩიჩინებდნენ. ვინც საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა, მოღალატე და ხალხის მტერიაო, — ამბობდნენ. ახლა დავარაშვილი ვინ არის? სამშობლოს მოღალატე, ხალხის მტერი, გადმონაშთი თუ გულადი ადამიანი, რომელმაც სიმართლე თქვა.

— თქვენ ამბობთ, რომ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს

ისეთი დაავადება აქვს გაჩენილი, რომ მკურნალობა სჭირდება; წინააღმდეგ შემთხვევაში ბოლო სავალალო იქნება? — ლუკა ფეხზე ადგა და ავადმყოფის პატრონის მზრუნველი ტონით ჰკითხა.

— ბოლო ნამდვილად სავალალო იქნება, თუ გახრწნის პროცესი არ შეჩერდა; ყოველგვარი უმსგავსობა არ ამოიშანთა, სიმართლე, სოციალისტური კანონების ერთგულება; ძმობა, ერთობა, თანასწორობა არ დამკვიდრდა. ახლა არ მკითხო, ეს ხომ უკვე გვაქვსო. გვაქვს სიტყვით, საქმით კი ნიღაბაფარებული საფრთხობელაა. ასეთი შეკითხვაც შეიძლება; ამგვარ საუბარს როგორ ბედავო, რომლის თქმაც ტვინგამორეცხილ, მოკლე ჰორიზონტის, საღ აზროვნებას უნარმოკლებულ, გაბოროტებულ, ფანატიკოს კარიერისტ კომკავშირელს თუ ეკადრება. სიმართლის ხმამაღლა გამოთქმის შიში; მრავალი უღირსი ხელმძღვანელის თვითნებობის მორჩილად მოთმენა თბილი ნაჭუჭის შენარჩუნების სურვილით; სიცრუის და სიყალბის, პომპეზურობის, თვალთმაქცობის ტაშის კვრით და ვაშას ძახილით შეგუება არის ის უბედურება, მათრახივით მოქნეული, მართალი და პირუთვნელი სიტყვის მაგიერ რომ შემოგვრჩა.

დავარაშვილი ადგა, ფანჯარასთან მივიდა, მოტრიალდა და გრამიტონს მიაჩერდა, ნახევრად პირგაღებულმა სულულური ღიმილით რამდენიმეჯერ რომ დაუქნია თავი თანხმობის ნიშნად. ახლაც მზად იყო თავის დასაქნევად, მაგრამ დავარაშვილი დაუმატა და გრამიტონი სტარტზე მდგარ სპრინტერივით ნიშანს ელოდებოდა. დავარაშვილმა თვალი მოაშორა და სახეზე მწარე ღიმილმა გადაურბინა.

— ჩვენს დღევანდელობას განვითარებულ სოციალიზმს ვეძახით, — თავისი საუბარი გააგრძელა: — საშინელ სიბინძურეში კი ვფართხალებთ. მომხვეჭელობა, მექრთამეობა, თვალის ახვევით და მიწერებით გაბერილ წარმატებებზე ცრუ ხმაური; პროტექციონიზმი, მართლის მთქმელის, მცოდნის, ნიჭიერის, ქვეყნის და საქმის ერთგულის დაჩაგვრა ჩამოთვალილი თვისებების გამო და მლიქვნე-

ლის, უცოდინრის, ყბედის, დმაგოგის, ეგოისტის, კომბინატორის, მომხვეჭელის აღზევება, ეს არის ის გზა, რომელსაც უბედურებისკენ მივყავართ; ეს ძალიან საშიში ავადმყოფობაა ცხოვრების ყველა სფეროს რომ მოსდებია.

ხელისუფლების პრივილეგიებით განებივრებული ქვეყნის მთავარი ბღენძები თავის ცხვირს წინაც კი ვერაფერს ამჩნევენ, მითვისება-მოხვეჭით არიან გატაცებული და მშრომელთა დიდი ბრძოლებით მონაპოვარს არარაობად აქცევენ თავიანთი უგნურობით. პარტიის გენერალურ მდივანს – ლეონიდ ბრეჟნევს ორდენების მოხვეჭის ავადმყოფობა შეჰყრია და ლამის ზურგზეც კი დაიკიდოს. მკურნალობა სჭირდება ილუზიათა ტყვეობიდან გასანთავისუფლებლად და თავისი სავალალო მდგომარეობის შესაგნებად. ეს წამალი კი პირუთვნელი და მართალი სიტყვაა, რომლის მთქმელს შეკაზმული ცხენიც ვერ უშველის, იმიტომაა, რომ მკურნალობის მაგიერ ქების შხამსა და საწამლავს უმატებენ; ქვეყნის უბედურებად ახვევენ ილუზიების ბურანში. ასეა, უთავო თავკაცთა წყალობით ამხელა ბრძოლის და შრომის ნაყოფი მალე არარაობად იქცევა და მშრომელი ადამიანების უბედურებად გადაგვარდება.

ჩვენ წელთაღრიცხვამდე მერვე-მეშვიდე საუკუნეში სულ რაღაც 130 წლის განმავლობაში ასურეთმა ძლიერების მწვერვალს მიაღწია, ყველა მეზობელი შთანთქა; ასურეთის სახელის ხსენებაც კი შიშის ზარს სცემდა მის გარშემო მცხოვრებ ხალხებს. ასურბანიფალი იყო მისი უკანასკნელი ძლიერი მეფე, რომლის სიკვდილის შემდეგ ორი ათეული წელი გავიდა და ასურეთი გაანადგურეს: ამ სახელმწიფომ სამუდამოდ შეწყვიტა არსებობა, იმიტომ რომ ძლიერების ზენიტზე მყოფს მკურნალობა სჭირდებოდა, მაგრამ არავის აღმოაჩნდა მისი სამკურნალო თავი; მოიხვეჭეს უზარმაზარი სიმდიდრე, რომელიც საკუთარ თავთან ერთად დაკარგეს. ასეთი სავალალო შედეგით მთავრდება ქვეყნის ხელისუფლებაში გაუმაძღარ, მომხვეჭელ, უიდეო და უზნეო დეგენერატთა პარპაში.

– ეგრეა, ეგრე! აბა რა ეგონათ! – უსაზღვრო ერთგულებით უდასტურებდა გრამიტონი იმას, რაზეც წარმოდგენა არ ჰქონდა.

დავარაშვილმა შეხედა, გრამიტონი ქვედა ტუჩით ზედას ილოკავდა; უსიამოვნოდ შეაჟრჟოლა და თვალი მოარიდა.

დაარსებიდან 1230 წლისთავზე რომი დაემხო. იგი დაიწყო ლეგენდარული რომაულუსით და დამთავრდა უმწეო რომაულუსით. დაცემის მძიმე დროში რომს აღარც მარიუსები ჰყავდა, აღარც სციპიონები და აღარც კეისრები. მაგრამ საკმარისზე მეტი ჰყავდა მოშურნენი, მოქიშპენი, ცილისმწამებელნი, ცრუპატრიოტები, ინტრიგანები, დემაგოგები, პროვოკატორები, ზნეობრივად და მორალურად გარყვნილები. აი, ეს არის ჩვენი დღევანდელობა, რომლის იქით საშინელ ქაოსსა და არეულობას, დაშლა-დანგრევას და ხალხთა უბედურებას ვხედავ. ასეთი შედეგით მთავრდება მიღწეულით ნებივრობა, უზნეობაში, გარყვნილებაში დროსტარება, ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვის მაგიერ, საკუთარი ნაჭუჭის მოპირკეთებისათვის სახალხო ქონების მითვისება; არარაობად ქცეულ გადაგვარებულ პირთა პარპაში.

— ჩვენ ჯერ ცხოვრებას სკოლის კედლებს იქით არა ვცნობთ, სკოლაში კი სულ დიდ გამარჯვებებზე, წარმატებებზე და ბედნიერ მომავალზეა საუბარი; ნუთუ ასეთი სავალალო მდგომარეობაა? — ლუკამ ჰკითხა.

— ეგრეა, ეგრე! ჩვენი პატივცემული დირექტორი ბრძენია და არაფერი ეშლება! — გრამიტონმა დავარაშვილის ზიზღით შენელებულ გამოხედვას პირმოთნე ღიმილი შეაგება.

— ცხოვრება სკოლიდან იწყება და ადამიანის ხასიათიც სწორედ სკოლაში ყალიბდება. მე ვერ ვიტყვი, რომ რადგან ერთად ზიხართ კლასში და ერთნაირად გეჩიჩინებიან, ყველა ერთმანეთს დაემსგავსება. არა, რამდენი მოსწავლეცაა, იმდენი ხასიათია. მასწავლებელთა მიზანია, ეს სხვადასხვა ხასიათი პატიოსნების, სიმართლის, ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვის სამსახურში ჩააყენონ. მეტ-ნაკლებად ამას ვაღწევთ, მაგრამ ცხოვრების უკუღმართობის ორომტრიალში რომ ხვდებიან, მაშინ ვლინდება ის მანკიერებანი, რაც სკოლაში ასე სასაცილოდ მიგვაჩნდა.

ჩვენი დღევანდელობა ისე წახდა, რომ მლიქვნელები, პირმოთნეები, მექრათმეები, მომხვეჭელები, ყბედები, ტრაბახები, დემაგოგები და ვინ მოსთვლის იმ სიგლახეს, რაც დღევანდელ ხელისუფლებაში ბუდობს, წარმოიდგინეთ, ჩვენი გრამიტონის მოხვედრა ამგვარ გარემოში; ეს ხომ მისი სტიქიაა. სკოლიდან ისე წავა, რომ ექვსი კლასის განათლებასაც ვერ გაიტანს. სამაგიეროდ პირმოთნეობაში, ქლესაობაში, მოჩვენებითობაში ბადალი არა ჰყავს. დღევანდელ ხელისუფლებაში კი სწორედ ამგვარი უცოდინარი და ყოველგვარი სიბინძურის მკადრებელი სჭირდებათ. მაშ გამორიცხულია, არაა, რომ გრამიტონი, რომელმაც საბჭოთა კავშირში რამდენი რესპუბლიკაა არ იცის და საქართველოს მეზობელ ხალხებს ვერ ჩამოგითვლის, შეიძლება ისეთ ხელმძღვანელად წამოსვან, რომ აქეთ დაუწყოს სხვებს სწავლება, რამეთუ თანამდებობაზე გამოჭიმულ კრეტინს თავი ყველაზე მცოდნე ჰგონია.

— რათა, მას., მე მოკავშირე რესპუბლიკები არ ვიცი? — თავი გამოიდო გრამიტონმა.

— კარგი, აბა მითხარი, რამდენი რესბულიკაა, — დავარაშვილი თავისი ნათქვამის დასაბუთებას შეუდგა.

— რამდენი და, რამდენი და, მაიცა, დავთვალო, — გრამიტონი რაღაცას დუდუნებდა და თითებზე ითვლიდა. — შვიდი! — უცებ წამოიძახა. — არა, არა რვა. უხ, შენი. შემეშალა ათი, ჰო, ათი! — გრამიტონმა ყველა თითი მოკეცა.

დავარაშვილს მწარედ გაეღიმა: — ვთქვათ დაგიჯერეთ და ათია. აბა ახლა ეგ ათი დედაქალაქებით ჩამოთვალე.

— უხ, დედაქალაქები რომ არ იყოს, იგრე არ შეიძლება? — გრამიტონი შეეხვეწა.

— კარგი, — დავარაშვილი დაეთანხმა.

— ტაშკენტი ერთი — გრამიტონი ჩაფიქრდა, — აზერბაიჯანი ორი, ერევანი სამი.

— რუსეთი, — ვიღაცამ უკარნახა.

— რუსეთი კი არა, — გრამიტონმა ამის მთქმელს დასცინა.

— რატომ არა? — შეეკითხნენ.

— ბიჭო, რუსეთი როგორი მოკავშირე რესპუბლიკაა, როცა ყველა იმას ასხია — განმარტა გრამიტონმა.

— აბა, რუსეთის ფედერაცია რესპუბლიკაა არაა?

— რუსეთის ფედერაცია საბჭოთა კავშირია, — განმარტა გრამიტონმა.

— საქართველო რაღაა?

— საქართველო საქართველოა.

— სასომხეთი რაღაა?

— სასომხეთი სასომხეთია, — ვიღაცამ გრამიტონს დაცინვით მიბაძა.

— კარგი, სასომხეთის დედაქალაქი რომელია?

— ბაქო, — გრამიტონმა დაფიქრების გარეშე უპასუხა.

— ახლა აზრი აქვს ამის გამოკითხვას? სახეზეა ჩვენი უბედურების ნაყოფი. დაჯექი — უთხრა. გრამიტონმაც მოსწავლეებს თვალი ჩაუკრა და კმაყოფილი ღიმილით დაჯდა.

— აი, ამგვარი დიდი და პატარა გრამიტონები ჰყავს დასეული ჩვენი ხელისუფლების ბევრ ხელმძღვანელ რგოლს. შედეგიც ისეთია, როგორიც არის სასომხეთის დედაქალქი ბაქო? — სინანულით თქვა დავარაშვილმა.

— მარტო გრამიტონა ხომ არაა, ჩვენცა ვართ. ხელმძღვანელ სამუშაოსაც კარგად შევიფერებთ და საქმესაც ალღოს მაგრად ავუღებთ, — ამაყად თქვა შალვამ.

— შენც ამ ცხოვრების შესაფერისი კადრი ხარ. კარგად შეგიძლია ტრაბახი, საჭირო ადამიანების ქება, გადაწერილი დავალებით თავის გამოჩენა, შენზე ძლიერის და მცოდნის შეფარული სიძულვილი, სუსტის დაცინვა და დაჩაგვრა; კიდევ გინდა?

— კარგი რა პატივცემულო, ასეთი რა დაგიშავეთ?! — შალვა მოიკუნტა.

— მე კი არ დამიშავე, თუ არ გამოსწორდები, სწორედ შენი ასაოხრებელი დღევანდელობაა და მაშინ ვაი პატიოსნებას, სადაც კი მისწვდები.

შალვას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ დავარაშვილმა გააჩერა:

— კარგი, კარგი, შეპასუხება კი არა, რაც გითხარი იმის გათვალისწინებაა საჭირო! — დავარაშვილმა რისხვაჩამდგარი თვალებით ისე შეხედა, რომ შალვა დაჯდა და ზევით აღარ აუხედია.

— მე ლუკა მეცოდება, ამ პატიოსან, მრავალმხრივ განათლებულ, ადამიანური სინდისის და თავმოყვარეობის დახვეწილ ეტალონს ყველა ჯურის დიდი პატარა ქარაფშუტა ნაძირალები დასაკბენად რომ დაესევიან. მას ვერ გადაღუნავენ, უკუღმართობისკენ ვენ შეაბრუნებენ, თავის სინდისთან კომპრომისზე ვერ წაიყვანენ; ამხელა უზნეობის ქარბორბალაში მისი გადატეხა შეიძლება მხოლოდ.

— დანარჩენები როგორი ვართ, მას? — ერთი უკანა მერხიდან შეეკითხა.

— უამრავ ახალგაზრდას გაუვლია ჩემს თვალწინ; ყველას აღწერა ძნელია. განსაკუთრებით მახსოვდება ძალიან კარგი და მისი რადიკალურად საწინააღმდეგო. დანარჩენები ჩვეულებრივად ორდინალური ადამიანები ხართ; როგორ სფეროშიც მოხვდებით, ისეთებად იქცევით. აი, ლუკას გადაკეთება კი არაფრით არ მოხერხდება, როგორც ახლა დასახელებული ორის. რას ვიზამთ, ზოგი გვიან იბადება. ვთქვათ, მეთხუთმეტე საუკუნეში დასაბადებელი, მეოცე საუკუნეში მოგვევლინება თავისი მეთხუთმეტე საუკუნის დონის ტვინით და მეოცე საუკუნის ცივილიზაციის უკან, მეთხუთმეტე საუკუნეში გათრევას ეცდება. ზოგი ადრე იბადება, ვთქვათ, ოცდამეხუთე საუკუნეში დასაბადებელი, მეოცეში დაიბადება და სურს, რომ დღევანდელობა ნახტომებით ხუთი საუკუნით გააკეთილშობილოს, დანარჩენები ამას ვერ გაუგებენ და, თოხლივით კარგ საძოვარზე ძალით რომ მიათრევენ, გაჯიუტდებიან. ეს კიდევ არაფერი, სხვის უბედურებაზე გასუქებული არამზადები მოსასპობად და დასაკბენად დაესევიან და ადრე დაბადებული ბოლოს იღუპება.

— გვიან დაბადებულს რა მოუვა, მას?

— თუ საზოგადოება განვითარების და პროგრესის გზაზეა, გვიან დაბადბულები დაცინვის საგნად იქცევიან მხოლოდ. მაგრამ,

თუ საზოგადოება პროგრესს ებრძვის, გვიან დაბადებულები მამოძრავებელ ძალად იქცევიან უკან გათრევის საქმეში.

— თქვენ რომელ საუკუნეში დაბადებულად თვლით თავს? — შეიძლება ამ შეკითხვის მიცემის სურვილი ბევრს ჰქონდა, მხოლოდ კლარას ეყო ამის სითამამე.

დავარაშვილი კლარას მიაჩერდა, სახეზე ძნელად შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა: — მე რომელ საუკუნეში დასაბადებელი ვიყავი ეს სხვამ, ობიექტუტად და საღად მოაზროვნემ უნდა შეაფასოს, თორე ვინმე ეგოისტს, ინტრიგანს, მლიქვნელს, თუნდაც ცილის მწამებელს რომ მიანდო, შეიძლება ჩვენს წელთააღრიცხვამდე, ანდა მილიონი წლის შემდეგ დასაბადებლად ჩამთვალოს, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რანაირი სკამოსნის სასიამოვნოდ იქნება ნათქვამი.

— ჩემზე რას იტყვით, მას? — არ ისვენებდა კლარა.

— შენ იმ დეკეულს გავხარ, ნახირში ყოფნის შეზღუდულობას რომ ვერ ეგუება, თავის ნებაზე დაკუნტრუშობს, სადაც კარგი მოლია, იქ გაინარავარდებს, სიცოცხლით ხარობს და მენახირის სახრეს არ ემოროჩილება; ბოლოს ცხოვრების მწარე სინამდვილის წინაშე ქედს მოიხრის, ან მასთან ჭიდილში დაიღუპება, რამეთუ მენახირეებს მორჩილები სჭირდებათ და არა მეამბოხეები.

— კარგი ბედი მიწინასწარმეტყველეთ, ჩემმა მზემ, არ ვემდური, — კლარა სიცილით დაჯდა.

გრამიტონი რაღაცაზე ფიქრობდა, თითქოს მიაგნო რასაც ეძებდა, უცებ წამოიძახა: — ძველი წელთაღრიცხვა რაღაა, ადამიანი რო მაიმუნი იყო დათვლაც კი არ იცოდა. დათვლა ისწავლა და წლებიც აღრიცხა, ჰოდა, სულ ახალი წელთაღრიცხვაა. ადრე და გვიან დაბადებული არ ვიცი მე, მამაჩემმა იმ დროს შემქმნა, როცა საჭირო იყო, ჰოდა, დროულად ვარ დაბადებული ახალ წელთაღრიცხვაში; თუმცა რაღა ახალია, მეოცე საუკუნეში ვართ, — თავისი აღმოჩენით კმაყოფილმა სულულერად გაიცინა.

— ჩემმა საუბარმა მოწყენილი და დამძიმებული ატმოსფერო შექმნა, განმუხტვა კი საჭიროა. ამგვარ სიტუაციაში განსამუხტა-

ვად ტაკიმასხარაა საჭირო, დღეს ამ როლს გრამიტონი ასრულებს, – ღიმილით თქვა დავარაშვილმა.

– ვინც წელთაღრიცხვაში კარგად ერკვევა ტაკიმასხარა? – შეეპასუხა გრამიტონი.

– კარგი, რახან ასეთი გარკვეული ბრძანდები, გაგვაგებინე, ახალი წელთაღრიცხვა როდის შემოიღეს.

– აუუუ! – გრამიტონი აყმუვლდა, – ამდენი საუკუნეები გავიდა, იმათი ძვლებიც აღარ იქნება, ვისღა ეცოდინება, როდის რა შემოიღეს; დილას რა ვჭამე, ის არ მახსოვს, – ღრეჭით თქვა.

– გრამიტონმა დილას რა ჭამა, თვითონ გაარკვიოს. რომელი აუხსნის ახალი წელთაღრიცხვა როდის შემოიღეს, – დავარაშვილმა კლასს გადახედა. გაყუჩებულები ისხდნენ და თავი დაბლა დაეხარათ. ასე კარგა ხანს გაგრძელდა; დავარაშვილი მოთმინებით იცდიდა.

ლუკა თავის ჩვეულებისამებრ მერხზე ფეხებგაჭიმული, საზურგეზე მოწოლილი იჯდა. ხმა რომ არავინ ამოიღო, ფეხზე ადგომის გარეშე დაიწყო: – მეექვსე საუკუნეში კათოლიკე ბერმა – დიონისე მცირემ რომში წინადადება შეიტანა წელთაღრიცხვა ეწარმოებინათ ქრისტეს დაბადებიდან. დიონისეს მტკიცებით ქრისტე დაიბადა მისი გამოანგარიშებიდან 532 წლის წინათ. ახალი წელთაღრიცხვა ოფიციალურ საეკლესიო დოკუმენტებში პირველად 724 წელს გამოჩნდა. მერვე საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში ახალი წელთაღრიცხვა შემოვიდა. რუსეთში კი 1700 წელს – პეტრე პირველის მიერ, – ლუკა გაჩუმდა.

– ნეტა ლუკამ საიდან გაიგო, როცა იმათი ძვლებიც აღარ იქნება, – ირონიულად შენიშნა კლარამ.

– ლუკამაც წაიკითხა და იქიდან იცის. მეც რომ წამეკითხა, რა ვერ ვიტყოდი? – გრამიტონმა კლასს ისე ამაყად გადახედა, თითქოს ვიღაცის ბრალი იყო, მან რომ ვერ წაიკითხა, – წიგნი მქონოდა, მე ვიცოდი, – დაუმატა.

— რის წამკითხავი ხარ, შე სამგლე. ტუჩებიდან ჩამოდენილ დორბლის ალოკვას ვერ აუდიხარ. ცარიელი თავის პატრონს იმიტომ გაქვს ასე გრძელი ენა, დორბლი რომ აილოკო და მუნიანი ზურგი მოიფხანო! — კლარამ ნათქვამს ხელის აქნევაც მოაყოლა, აშკარა იყო, გრამიტონი ახლოს რომ მჯდარიყო, თავში მჯიღის ჩაკვრა არ ასცდებოდა. — ფიზიკის, გეოგრაფიის და სხვა წიგნებიც გაქვს, რატო ლუკასავით არ კითხულობ, შე ვირისტვინავ! წიგნი მქონოდა, მე ვიცოდი! — გამოაჯავრა.

დავარაშვილი ჩაფიქრებული ბოლთას სცემდა. უცებ გაჩერდა და დაიწყო: — ადამიანი სუბიექტური არსებაა, ყველას უნდა ძლიერი და ჭკვიანი იყოს და თუ ასე არ არის ამას ტრაბახით სიცრუით თვალისახვევით სურს მიაღწიოს. რა ქნას ახლა გრამიტონმა, როცა მთელმა კლასმა იცის, ვინ არის და რა შეუძლია. სიცრუის ბარტყებს ვერ ააფრენს, ხოლო თუ მოხვდა სხვა გარემოში, თავისი მაგარი ბიჭობის და ნიჭიერების ფაქტების მოყოლით მსმენელს თავბრუს დაახვევს. მერე რა, რომ ქარაფშუტა და უქნარაა, სამაგიეროდ სულიერია, რომელსაც ადამიანური მანკიერებანი უხვადა აქვს. წარმოიდგინეთ გრამიტონი მაღალ ხელმძღვანელ პოსტზე და მის ირგვლივ ბრბოს ინსტიქტით მოწამლული ხალხი გრამიტონის ბოდვებს დროშად რომ გაიხდის. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღეს უამრავი დიდ-პატარა მაღალჩინოსანი გრამიტონი აბნევს უბედურების თესლს ბრბოში, რომელიც გრამიტონს გაუმარჯოსო, გაჰყვირის. შედეგიც ისეთივე სავალალო იქნება, როგორიც შეიძლება მოგვცეს მაღალ პოსტზე მჯდარი კრეტინის დაუსჯელმა პარპაშმა.

ჩვენი სოციალისტური საზოგადოება იხრწნება ხელმძღვანელ პოსტზე გამძვრალ, საკუთარ თავზე ყალბი დიდების შექმნით დასაქმებულ კრეტინთა მიერ. დიახ, ამგვარი კრეტინების სურათებით დავაბოტებთ დემონსტრაციებზე ვაშას და ურას ძახილით; სწორედ ეს კრეტინები მოუღებენ ბოლოს კაცობრიობის იმედად შექმნილ პირველ სოციალური კეთილდღეობისათვის მოწოდებულ სახელმწიფოს.

ამერიკელები, — ფული გაშოვნინოს, — ერთმანეთს ასე ესალმებიან; აქედან შეიძლება შეაფასო მათი ცხოვრების მიზანი, მორალის და ზნეობის კრიტერიუმი.

გერმანელთა მისალმება ყოველთვის კეთილშობილური ხასიათისა იყო; დილა იქნებოდა, შუადღე თუ საღამო, ღმერთს ახსენებენ და სიკეთეს უსურვებდნენ ნაცნობ-მეგობრებს.

ნაცისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ კი ყველასთვის სავალდებულოდ იქცა მათი პარტიული მისალმება — „ჰაილ ჰიტლერ!“ — დიდება ჰიტლერსო. სამსახურში მისვლისას ვინც „ჰაილ ჰიტლერის“ მაგიერ დილა მშვიდობისას იტყოდა, სამსახურიდან ხსნიდნენ. ბოლოს რა მოხდა? გერმანელმა ხალხმა ბრბოს ინსტიქტის წყალობით საფხიზლე მოადუნა, კაცთმოძულე ფანატიკოსის ბოდვებს აჰყვა. შედეგად საშინელი უბედურება დაატეხეს მეზობელ ხალხებს, თვითონ კი ისე განადგურდნენ, კოშმარულ სიზმარშიც რომ არ მოელანდებოდათ. აქედან გამომდინარე ვამბობ: კრეტინები, ფანატიკოსები, კაცთმოძულეები, ეგოისტები და ათასი ჯურის დეგენერატი ავანტურისტები ხელმძღვანელ პოსტებზე არ უნდა გაძვრნენ. ამისათვის სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს დამცველი მექანიზმი, რასაც კადრების პატიოსნად და მკაცრად შერჩევა ჰქვია, რა სიმაღლეზეც არ უნდა იყოს ის. ჩვენ სწორედ ამგვარი, მიუკერძოებელი, ქვეყნის ერთგული ადამიანებისაგან შემდგარი დამცავი მექანიზმის სამსახური გვჭირდება, კრეტინი კადრების ოთურმისაგან რომ დაიცვას ხალხთა კეთილდღეობა; რაც არა გვაქვს ჩვენდა საუბედუროდ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში შალვა თავჩაღუნული იჯდა. დავარაშვილის შეფასებაზე განაწყენებული დაძაბულად ფიქრობდა. „ხელისუფლებაში კრეტინები და მომხვეჭელები გაძვრნენო. ეს ამბავი ვინმეს რომ მივუტანო, ხომ მაგრად გაუბრაზდებიან. ოღონდ არავინ არ უნდა გაიგოს, რომ მე დავასმინე, თორემ გადამემტერებიან. უბნის რწმუნებული — მისტერა კაჭკაჭიშვილი გაახსენდა. შეიძლება წიგნის სახელი სხვა ჰქონოდა, მაგრამ მისტერა ისე მორგებოდა, რომ სხვა სახელს აღარ იგუებდა. „მისტერა კარგია,

მაგრამ ყბედია და სადმე წამოსცდება“. შალვა ფიქრობდა, დავარაშვილი კი საუბარს აგრძელებდა:

— ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს მრავალი დიდი და პატარა პრობლემები აქვს, რომლის მოგვარების შემთხვევაში ცხოვრება უფრო მოწესრიგებული და საამური იქნებოდა. უმუშევრობის პრობლემა გადაიჭრა, მაგრამ ხელფასის საკითხში ნამდვილად არ არის დამყარებული წონასწორობა. არის ისეთი სამსახურები, სადაც მცირე ხელფასი აქვთ, მაგრამ ყველამ იცის, რომ იპარავენ და ამგვარი სამსახურისთვის კონკურსია. დიდი თუ მცირე პოსტის მფლობელები, თანამდებობის ძალით, რასაც მისწვლებიან, იპარავენ, თავი კი იმ ყვავივით უჭირავთ, კუდი ნაგავში რომ უდევს და ვითომ ამას ვერ ამჩნევს. ადამიანი სამსახურში რომ მიდის, ისე უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ მოსაპარად ხელი არ გაიწოდოს. თუ ვინმე გაუმაძღარი ამას მაინც ეცდება, ის ერთეულები სამაგალითად გაიწკეპლებიან, რათა ღორმუცელობის მადა დაუკარგოთ. გადახედვაა საჭირო მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ნაკლოვანებების გამოსავლინებლად, რაც პროგრესს და წინასვლას აფერხებს. ყველაზე აუცილებელი კი ქარაფშუტა, უქნარა, მომხვეჭელი, ყალბი პომპეზურობით თვალის ამხვევი კადრების მაღალი პოსტებიდან დაბალზე ჩამოფერთხვაა იმ დონეზე, რომ საერთო საქმეს ზიანი ვეღარ მიაყენონ, — დავარაშვილი გაჩუმდა. შალვას კმაყოფილებით გაეღიმა, მის ბიძასთან ხშირად რომ დადიოდა, პისტოლეტიანი არტემა კეჟერაშვილი გაახსენდა. ის კაცი უშიშროების მუშაკი იყო. ბიძამისი ბევრ რამეს რომ უყვებოდა. ჰოდა, შალვაც ბიძასთან მივა და კეჟერაშვილს მოუყვება სკოლის დირექტორის შესახებ. „მერე თქვას, ლუკა მაგარია და ვერ გადატეხენო!“ სახეზე კმაყოფილი ღიმილით აიხედა და დავარაშვილის თვალებს შეეფეთა, ისე შეკრთა, თითქოს ქურდობაზე წაასწრესო; კმაყოფილი ღიმილის პირმოთნედ გადაკეთების მცდელობაში სახე დაეჯღანა, ჭირის ოფლი გამოაყარა. — თქვენ იტყვით, მაშ, რა გვეშველებაო, — დავარაშვილმა საუბარი გააგრძელა. —

საშველი კი ნამდვილად არის პატიოსანი შრომა; ყოველგვარი უკუღმართობის აღმოსაფხვრელად უკომპრომისო ბრძოლა, ადამიანში საერთო-სახალხო საკუთრებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდა, იმის შეგნება, რაც სახალხოა იქ გარკვეული წილი შენიცაა და დამწვარი თითივით უნდა მოუფრთხილდე. უნდა გწამდეს, რომ როცა სახალხო ქონებიდან იპარავ, საკუთარ თავს, ახლობლებს და მოკეთეებს, შენს მომავალ კეთილდღეობას ჰპარავ; ამის მიღწევა ძნელია, მაგრამ საყოველთაო მონდომების შემთხვევაში შესაძლებელია. აი, სწორედ მაშინ გვექნება ჰარმონიული, საამური სოციალური კეთილდღეობა. დღევანდელი ჩემი საუბარი სწორედ ამ მიზანს ემსახურება, ნაკლოვანებები უნდა ამხილო, როგორი მწარეც არ უნდა იყოს მოსმენა; სამაგიეროდ მისი აღმოფხვრა გაადვილდება, — დავარაშვილი დადუმდა, მაგიდასთან დაჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

კლასში კარგა ხანს მდუმარედ ისხდნენ, ხმის ამოღების სურვილს არავინ ამჟღავნებდა; დავარაშვილის განწყობილება მეტნაკლებად ყველას გადასდებოდა.

— თქვენი დღევანდელი გაკვეთილი შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე გაგვყვეს თან მრჩევლად და მომენტებში ყურების ასაწევად, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ მთელი შეგნებით მოვისმინეთ და შევითვისეთ. ეს გასაგებია და, ალბათ, მადლობის თქმა გვეკუთვნის ესოდენ სარისკო საუბრისათვის, რამეთუ ამგვარი საუბარი მწარე გვერდითი მოვლენებით შეიძლება დასრულდეს. მე ის მაინტერესებს, ესოდენ მართალი, გაბედული და არც თუ უსაფრთხო რუბიკონის გადალახვის დონის ჭეშმარიტებით ჩვენი დამოძღვრა რატომ იტვირთეთ? — ლუკა ფეხზე იდგა და მასწავლებელს მისჩერებოდა ხელებში თავჩარგული რომ იჯდა.

დავარაშვილმა თავი ასწია და მწარე ღიმილით თქვა: — პირველი იმიტომ, რომ ცხოვრების სარბიელზე გადიხართ და მინდა გიჩვენოთ გზა კაცობის თუ არაკაცობის. კაცობად დარჩენას გაჭირვება, მსხვერპლის გაღება და მრავალ სიძნელესთან შეჭიდება ახლავს, რაც მტკიცე ნებისყოფის და ნათელი რწმენის

უაღრესად ერთგული ადამიანების ხვედრია; არაკაცობას ყოველ-გვარი სიბინძურით დასვრილი სული და ღორის გაუმაძღრობა შეყრილი უძღები კუჭი ახლავს, რომელსაც ნებისყოფა არ სჭირდ-ება. საკმარისია ნამუსისგან, სინდისისგან, ზნეობისგან განიძარც-ვო, სიბინძურის ჭაობში ისე აფართხალდები, როგორც მრავალი განცხრომით ცხოვრების მოყვარული, სიცოცხლეშივე გარდაცვ-ლილთა მოდგმის სირცხვილი. მეორე კი იმიტომ, რომ ჩემი ამგვარი თამამი აზრის გამოთქმის გამო ზევიდან ვიგემე ის შევიწროვება, რასაც მსხვერპლის გაღება ჰქვია. მესამე კი ის, რომ ამ კლასში თუ ვინმე არაკაცობის პროდუქტია, ჩემი დღევანდელი საუბრის შემდეგ გაირკვევა, ლაყე კვერცხს რომელ საბუდარში დებს, — დავარაშვილი გაჩუმდა.

კლასში გაქვავებულები ისხდნენ. მასწავლებელს სახეზე დამ-ცინავი ღიმილი შეჰყინოდა და გრამიტონს მისჩერებოდა. შალვა მოკუნტული იჯდა და ორივე ხელი მკერდზე მიედო, თითქოს ჩანაფიქრის გამხელის შიშით აფართხალებული გულის გადმოხ-ტომისა ეშინიაო. ლუკა ფეხზე იდგა და ფიქრებში ჩაძირულს დაჯდომა არ გახსენებია.

— ადამიანი რომ იბადება, მასზე მთელი საზოგადოება უნდა ზრუნავდეს. ყველას ერთნაირად ეკუთვნის ის ქვეყანა, სადაც მოევლინა; თავისი შრომით, ცოდნით, კაცთმოყვარეობით და კეთილშობილების დონით საზოგადოებაში დაიკავებს თავის შეს-აფერის ადგილს. ცხოვრებაში თავისი შესაძლებლობის გამოვლე-ნის მიხედვით უნდა ფასდებოდეს ადამიანი და არა მამიკოს ჯიბის სისქით, ან დაგროვილი ქონების მემკვიდრეობით, დაბადებისთანავე მილიონერები და მილიარდერები, რომ არიან და ამქვეყნად არაფერზე საზრუნავი რომ არ დარჩენიათ. სწორედ ამგვარ ნებივრებში იღვიძებს ყოველგვარი ადამიანური მანკიერებანი, რომელსაც უზნეო ფუქსავატების გართობა ჰქვია, თორემ მშრომელ ახალგაზრდას თავისი შრომის ნაყოფი ყველაზე დიდ ბედნიერებას ანიჭებს.

ასეთია, ჩემო უმცროსო მეგობრებო, კაპიტალიზმი და მასზე

უარესი — კაპტალიზმამდე ფორმაციები, სადაც ადამიანი მშობლის მუცელშივე მონაა, ყმაა, ღატაკია და მთელი ცხოვრება ასე ტანჯვაში უნდა ათრიოს, რაგინდ დაუღალავად და სასიკეთოდ არ ირჯებოდეს. სამაგიეროდ მაგნატის ღლაპი მაგნატია, მიწათმფლობელის — მიწათმფლობელი, ბურჟუასი — ბურჟუა და ერთხელ დადგენილი წესით მიდის ამ პარაზიტების მიერ მშრომელი მასების სისხლით თრობა. სწორედ ჩვენს სახელმწიფოში მოვსპეთ ეს სატკივარი; თანასწორობის სასიკეთო შედეგების მოწმენი ვართ. გაფრთხილებაა საჭირო თორემ კაპიტალიზმზე უარეს უბედურებაში ამოვყოფთ თავს. ამისათვის კი ადამიანში კაცთმოყვარე, კეთილშობილი, მშრომელი, მართალი, უანგარო, სპეტაკი სინდისის და ზნეობის აღზრდაა საჭირო. სწორედ ამის სურვილმა მიბიძგა თქვენთვის დღევანდელ გაკვეთილზე მესაუბრა. რატომღაც მგონია, რომ ჩემი ეს ქადაგება ცხოვრების რომელიმე გზაჯვარედინზე სიკეთისაკენ წასვლაში მოგეხმარებათ იმათ, ვისაც სიკეთის გჯერათ, ხოლო სხვებისთვის კედელზე ცერცვის შეყრის ტოლფასია მხოლოდ, — დავარაშვილს ამის შემდეგ ხმა აღარ ამოუღია; მოსწავლეებიც წყნარად ისხდნენ და ყველა თავისებურად აღიქვამდა მასწავლებლის გულის ძარღვიდან ამოხეთქილ დამოძღვრას.

## თამაში არ იცი, ნამუსი სად დაკარგე

ლუკამ ჯაგარასთან რომ იჩხუბა იმ საღამოს მარინე და ამალია ერთად იყვნენ; მარინე სულ ტიროდა და ამალიამ თავი არ დაანება.

— ამალია, ერთი რამ უნდა გთხოვო, თუ ჩემი და ხარ, შემისრულე, — შეეხვეწა.

— რა არის, გოგო, ისეთი?

— სხვანაირად ნუ გამიგებ და იქნებ ლუკას გადასცე, ჩემი მერხიდან არ გადავიდეს. ამას იმიტომ კი არ გეუბნები, რომ სხვა

რამ ინტერესი მაქვს, დღეს რაც მოხდა, იმის შემდეგ გადასვლა უფრო უხერხული იქნებოდა; კლარას ჭორი მართალი ეგონებათ.

— ეგონოთ მერე რა, ცუდი ბიჭია თუ, — ამალიამ გაიხუმრა.

— რაც არ არის, ტყუილად რატომ უნდა ეგონოთ, — მარინემ თავი ჩაღუნა.

მეორე დღეს ამალიამ ლუკას მარინეს თხოვნა გადასცა. ლუკამ არაფერი უპასუხა, ხოლო მერხზე როცა დაჯდა, მარინესკენ მიუხედავად, ჩუმად თქვა: — დიდი მადლობა, მარინე, ჩემს ოცნებაში სწორედ ასეთი წარმომედგინე.

მარინე მიხვდა, რომ ლუკა მის მიმართ გულგრილი არ იყო და ამით თავს ბედნიერად თვლიდა. კიდევ ერთი ამბის გახსენება უფორიაქებდა სულს და საამური სითბოთი ავსებდა:

ერთხელ რაიონის სკოლების ნაკრები კალათბურთის გუნდი ეწვია მათ სკოლას. თამაშის საყურებლად მეზობელი სკოლებიდანაც მოსულიყვნენ. ეს რატომღაც ისე მოხდა, რომ წინასწარ გაფრთხილებულები არ იყვნენ. სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი სადღაც წასულიყო; სხვა მასწავლებლები კი მხოლოდ მაყურებლობას არჩევდნენ. რაც შეეხება სკოლის დირექტორს, განზე გამდგარიყო და შორიდან აკვირდებოდა, რაც ხდებოდა; იქნებ თავისი ფილოსოფიის ექსპერიმენტს ხედავდა ამ გაწამაწიაში. ლუკა ადრე წასულიყო სახლში, ბაბოს დავალებით ძროხის დასგომს არემონტებდა.

— ლუკა მოიყვათ, აქ არ ჩანს, სასწრაფოდ ვინმე გაიქცეს და ლუკა მოიყვანოს! — ზაური შფოთავდა.

— ლუკი რად გვინდა, აქ არა ვარ, გუნდსაც შევკრავ და კაპიტანიც მე ვიქნები; ნახავთ რა ქარბუქი დავატრიალო! — ბაქიაობდა შალვა.

— თუ ლუკა არ მოვიდა, ჩვენი გაფანტული ბუმბულის ნახვა მოგვიწევს! — ყვირილით უპასუხა ზაურმა და ერთ დაბალკლასელ ბიჭს სტაცა ხელი, — გაიქეცი ლუკასთან, ყველაფერს დაანებოს თავი და სასწრაფოდ მოგვეშველოს; ჩქარა თორემ გაგვწეწავენ!

— გასაქცევად გამზადებულ ბიჭს მხარზე დაარტყა ხელი.

მოწინააღმდეგე გუნდი მასპინძელთა გამოცხადებამდე სპორტულ ფორმაში გამოწყობილი მოედანზე ბურთით ვარჯიშობდა.

შალვა ქვეყანას ყრიდა, კაპიტანი მე ვიქნებიო. თავისი ჭკუით შეარჩია გუნდი და ახლა დარიგებას აძლევდა.

— რას შვრები, ბიჭო, ეს დუბლიორები რომ შეგიქუჩებია, დაგვღუპო გინდა?! — ზაურმა როგორც შეხედა გუნდს, შალვას ეცა.

— კარგი, შენ დაისვენებ, — შალვამ ერთს უთხრა, — ჯერ-ჯერობით ზაური ითამაშებს, მერე ვნახოთ! — სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ მოწინააღმდეგეთა გუნდის წარმომადგენელი მივიდა მათთან: — როდემდის უნდა გელოდოთ, დროზე გამოდით! — მოითხოვა.

შალვა მაშინვე მოედანზე გავარდა. — მზადა ვართ! — დაიძახა და ბიჭებს ხელი დაუქნია, გამოდითო. მისგან შერჩეული ბიჭები სირბილით მიყვნენ. ზაურმა დათოს გახედა და მხრები აიჩეჩა, იმანაც ხელით ანიშნა, მიდიო.

შალვა თავის შეკოწიწებულ გუნდის თავში იდგა და ამაყად იცქირებოდა უამრავ მაყურებლისაკენ, თითქოს ამბობდა: შემომხედეთ რა მაგარი ბიჭი ვარო.

დიმიტრი დავარაშვილი შორიდან აკვირდებოდა ამ გაწამაწიას და მწარედ ეღიმებოდა...

ზაურის მიერ გაგზავნილი ბიჭი ქაქანით მიიჭრა ლუკასთან: — ჩქარა, ლუკა, ჩქარა თორემ სასტიკად შევრცხვებით. ზაურმა გამომგზავნა. ჩქარა, ლუკა, თამაში უკვე დაიწყეს!

— ვინ თამაშობს? — ლუკამ სამუშაო ტანისამოსის გახდისას იკითხა.

— კაპიტანი თქვენი თანაკლასელი შალვაა; დანარჩენ ბიჭებსაც ის არჩევდა.

— შალვამ თამაში რომ არ იცის, — ლუკამ თავისთვის ჩაილაპარაკა.

— არ იცის და დედა გვეტირება! ჩქარა, ლუკა, იჩქარე! —

ბიჭი თვალცრემლიანი ეხვეწებოდა, თუმცა ლუკას ხვეწნა აღარ სჭირდებოდა. სტუმრები მოულოდნელად მოვიდნენ, თორე ასე ადრე სახლში რა წაიყვანდა. ახლა სკოლისაკენ გრიგალივით მიქროდა; სადღაც შორს ჩამოტოვებული ბიჭი თავქუდმოგლეჯილი მისდევდა.

ლუკა რომ მივიდა, მაყურებელი გამამხნევებელი ძახილის მაგიერ ხარხარებდა. მასპინძელთა გუნდის უნიათობა მაყურებელთა გასართობად ქცეულიყო. მოედანზე კი შალვას ღრიალი, საყვედურები, მსაჯთან კამათი და უთავბოლო განკარგულებები ისმოდა.

პირველმა ვინც შენიშნა, გახარებულმა დაიძახა, ლუკა მოვიდაო, და ამის გამგონე მთელი თანასკოლელები ერთხმად აღრიალდნენ, — ლუკა მოვიდა, ლუკა!

მასპინხლები ვერ მიხვდნენ, რას ნიშნავდ, ლუკა მოვიდას ძახილი. ერთმა სტუმართაგანმა, დათო ჯარიაშვილის გვერდით რომ იდგა, ჰკითხა: — რა კაცია ეგ ლუკა?

— ცოტა ხანს მოიცადე და სიცილის გუნებას რომ გაგიფრთხობს მაშინ მიხვდები! — უპასუხა დაბოღმილმა დათომ.

მოედანზე კი მასპინძელთა გუნდის წევრები უთავბოლოდ დარბოდნენ შალვას ღრიალის აკომპანიმენტით და მაყურებელთა საყვედურებით გულგასიებულები.

ტაიმი დამთავრდა და ყველა მოთამაშე ლუკასთან შეგროვდა. შალვა იხტიბარს არ იტეხდა და კიდევ რაღაც დარიგებებს იძლეოდა.

— შენ გირჩევნია მოკეტო! — შეუღრინა ზაურმა.

ლუკა უკვე გახდილი იყო. ორ ბიჭს მწარედ უთხრა:

— ბიჭებო, არა გრცხვენიათ?! ხომ იცით, რომ თქვენზე გაცილებით კარგად მოთამაშე ბიჭები არ თამაშობენ, რატომ კადრულობთ სკოლის შერცხვენას?! — მათი შემცვლელებიც მონახა.

— შალვამ გვითხრა და... — დარცხვენილი ბიჭები სკამზე ჩამოსხდნენ.

ლუკას კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ მსაჯმა სასტ-

ვენს ჩაბერა და გუნდები მოედანზე მოიხმო. შალვა მაშინვე მოედანზე გავარდა და დანარჩენებს დაუძახა: – გამოდით, მსაჯის სასტვენის ხმა არ გესმით?!

ლუკამ ბიჭებს დარიგება მისცა, ყველას ადგილი მიუჩინა. ამ ხნის განმავლობაში შალვა მოედანზე მარტო იდგა და ყვირილით იქაურობას იკლებდა, გამოდითო.

თამაში დაიწყო. ახლა სტუმართა პირისპირ დაბნეული და თავგზააბნეული მოწინააღმდეგე კი არა, მუშტად შეკრული ძლიერი უგნდი იდგა; მხოლოდ ერთი შალვა დარბოდა განკარგულებების ღრიალით, რომელსაც ყურს არავინ უგდებდა.

სტუმართა შეტევები უშედეგოდ მთავრდებოდა, როცა ლუკამ უკვე მეხუთედ დალაშქრა მათი კალათი. შალვა კი არ ასვენებდა, ბურთი გადმომიგდეო. მასპინძელთა გულშემატკივრები ლუკას ძახილით იქაურობას იკლებდნენ, შალვა კი ბუზღუნით დარბოდა: – მარტო შენ ხომ არა ხარ, გადმომიგდე ბურთი, ეგრე შეიძლება?! – საყვედურობდა და ბრაზმორეული ჯაჯღანებდა.

ლუკამ ბურთი მიიღო და მოწინააღმდეგის კალათისკენ გაიჭრა; მოწინააღმდეგეს მისი შეჩერება არ შეეძლო. ამ დროს შალვა ისევ აღრიალდა: – ლუკა, გადმომიგდე ბურთი, რომ გარბიხარ, სხვებს ვერა ხედავ? ეგეთი ეგოისტობა შეიძლება?

შალვას საყვედურები ლუკამ ერთხანს ითმინა; თანაც არაფრის მაქნისი მხოლოდ ხელს უშლიდათ. კალათში ჩასაგდები ბურთი მოედნის გარეთ ისროლა და ტაიმაუტი მოითხოვა.

– დათო, შემოდი! – როცა მოედნის გარეთ სათათბიროდ შეეყუჩდნენ, ლუკამ მოიხმო.

– ვის მაგიერ იქნება?! – შალვამ ბრძანების კილოთი იკითხა.

– ბიჭო, აუცილებლად სხვამ უნდა გითხრას? ზარალი რომ ხარ და არაფრის მაქნისი ბღავილით დარბიხარ, შენ თავს ვერ უნდა შეატყო?! – ზაურმა პირში მიახალა.

– მე კაპიტანი ვარ და უჩემოდ არაფერი გადაწყდება! – შალვამ გამოკურთხული შუბლით შეხედა.

— კაპიტანი კი არა, ჭირი და ნაცილი ხარ! ახლა გადი, დათო ჯარიშვილმა უნდა გამოასწოროს შენი ჩაოხრებული საქმე! — ზაურმა უბრძანა.

— არსადაც არ გავალ, გუნდის კაპიტანი მე ვარ! — შალვა გაჯიუტდა.

— ვინ დაგნიშნა კაპიტნად, შე თვითმარქვია ნაცარქექიავ! შენი წყალობით მთელი სკოლა უნდა შერცხვეს! — ზაურმა შეუტია.

— შენ მოკეტე თორემ! — შალვამ ზაურზე მიიწია.

ლუკა აქამდე სხვა ბიჭებთან საუბრობდა. დათოს დავალება მისცა; ამათ კამათში ჩასარევად არ ეცალა. შალვამ ზაურზე რო მიიწია, მათკენ მიბრუნდა, შალვას მკერდზე ხელი მიადო და ძალუმად უბიძგა, თან დააყოლა: — თამაში არ იცი, ნამუსი სადღა დაკარგე?! — მოედნიდან გაგდებული შალვა უკან გარაცრაცდა, რომ არ გადაყირავებულიყო, ვიღაცამ ხელი შეაშველა და სათადარიგოთა სკამზე დასვა. ხმა ვეღარ ამოიღო, მიხვდა, რომ ლუკას მოთმინების ფიალა ავსებაზე იყო, ამას კი რაც მოჰყვებოდა, თავის თავს არაფრით უსურვებდა.

თამაში განახლდა.

ახლა მასპინძელთა გუნდში აღარავინ ხმაურობდა. მდუმარედ და ერთ მუშტად შეკრული მოწინააღმდეგისთვის მრისხანე ძალად ქცეულიყო.

გრამიტონი ბიჭების ტანსაცმელს ყარაულობდა; ლუკას შარვალი კი ხელზე სათუთად გადაეკიდებინა.

— შენ კიდევ ეს გერგო, შე ბედოვლათო? — დაცინვით ჰკითხა კლარამ.

— ესეც მერგო და... — გრამიტონმა ენა მოიკვნიტა.

— რაღა და, თქვი, რისა გეშინია! — კლარამ შეუბღვირა.

— და ჩვენს სკოლაში ყველაზე ლამაზი გოგო მერგება! — შეწყვეტილი სათქმელი იმედიანად დაასრულა.

— ვაააა, მერე ვინ არის ის ბედნიერი?

— დრო მოვა და ვიტყვი.

— ახლა თქვი, შენი საცოლე კი არა, მაინტერესებს, შენი

მყრალი გემოვნებით ყველაზე ლამაზი ვინ არის.

— რომ გითხრა, არ გაბრაზდები?

— რა ჩემი საქმეა, გინდა გონჯი იყოს.

— გონჯი კი არა, სოფელში და მთელი ქიზიყში იმაზე ლამაზი არავინ დადის.

— ვინ არის, ბიჭო? — კლარამ გაიცინა.

— ყველაზე ლამაზი კლარა სახიაშვილია! — საზეიმოდ გამოაცხადა გრამიტონმა.

— ლამაზი კია მაგრამ ზევით რა თქვი? აბა, თუ ვაჟკაცი ხარ, გაიმეორე, ჰა, თორე წაგაცალე კისერი, შე ლორწოიანო! თუმცა კისერი სადა გაქვს, შე თავკომბალავ! — კლარამ კეფაში მუშტი ჩასცხო. — ეგ მეორედ აღარ წამოგცდეს, თორემ ნაკელში გისვრი, შე დორდლიჭამიავ! — ერთი კიდევ ჩაუთაქა და გოგოებისკენ წავიდა.

მხიარული განწყობილობა მოეწამლა, ნუთუ გრამიტონის ღირსი ვარ? ლუკა კიდევ არავითარ ყურადღებას არ მაქცევს. ღმერთო ჩემო! როგორი გულის ბიჭია. მე ყველაფერი ვაგრძნობინე, ის კიდევ ვითომ ვერ ხვდება, ყოველთვის მოკრძალებით, თავაზიანად და თბილად მექცევა. სულ მინდა, რაღაც ისეთი მითხრას, რომ გამოვლანძღო და შევიძულო, პირიქით, მასთან ყოველი შეხვედრის შემდეგ სულ უფრო მეტად მეკიდება სიყვარულის ცეცხლი, რა მეშველება, რა?! — ფიქრობდა კლარა.

მოედანზე კი მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ სტუმრების კალათს, რომლებიც პირველ ტაიმში მიღწეულ წარმატებას რამდენიმე ქულითღა ინარჩუნებდნენ.

— ყოჩაღ, ლუკა! — ყვირილით ხტოდა კლარა.

— ლუკა რა შუაშია, ბურთი ხომ ზაურმა ჩააგდო, — ირონიულად შენიშნა მარინემ.

— განა მარტო ის თამაშობს, ვინც ბურთს აგდებს? ზაური ლუკას მოსვლამდეც თამაშობდა, მაგრამ ბურთის ჩაგდება ერთხელაც ვერ მოახერხა. იქნება ეს ხალხი სცდება, ლუკას რომ ღრიალებს?! ან იქნებ ლუკას ხსენებისათვის შენი ნებართვაა

საჭირო? თქვი, რა უფლებით და ხმას აღარ ამოვიღებთ! – კლარამ მარინესთვის ანგარიშის გასასწორებლად მომენტი იხელთა და დაუმატა – შენ რა იცი, იქნება სხვას უფრო მეტი უფლება აქვს. რომ ლუკას სახელი დაიძახოს ვიდრე მასთან მერხზე მჯდომ თავდაჯერებულ ყეყეჩს.

– ეს მე ვარ თავდაჯერებული ყეყეჩი? – მარინე აილეწა.

– თუნდაც ასე წარმოიდგინე. სხვების ნაკლზე კარგად შეგიძლია ენის დაგრძელება, საკუთარ თავში კი ფუყედ გაბღენძილ ფოფოდიას ვერ ამჩნევ; თავი ხახვივით გიჭირავს. აი, უბრალო რომ იყო, მაშინ სულ სხვა ადამიანი იქნებოდი. ლუკას გვერდით ზის და ჰგონია, რომ ეს ზეადამიანური სიკეთით დაჯილდოვებული ვაჟკაცი მაგას ეკუთვნის.

– შენი იყოს, არავინ გეცილება! – მარინემ წარბები უკმაყოფილოდ შეყარა.

– არც მე ვარ მაგის ღირსი, თუმცა ჩემნაირად ვერავინ შეიყვარებს. შენ კი ბოროტი და ეგოისტი ხარ, მასში კეთილშობილი ადამიანი კი არა, ყველაზე მაგარი და მოსწავლეთა კერპი გიყვარს, საკმარისია მან ეს პრივილეგიები დაკარგოს, რომ მაშინვე ზურგი შეაქციო. მე კი ლუკაში კეთილშობილობას და კაცთმოყვარეობას ვცემ თაყვანს, რომელსაც არასდროს არ დაკარგავს, ამიტომ ჩემი მისდამი სიყვარული გაუხუნარია! გაიგე? – უთხრა და მოედნისაკენ მიბრუნდა. ანგარიშის გათანაბრების გამო გულშემატკივრები მთელი შესაძლებლობით ღრიალებდნენ.

მარინემ ვეღარაფრის თქმა ვეღარ გაბედა, კლარამ კიდევ არაფერი მითხრასო; შებრუნდა და თამაშს მიაჩერდა.

სტუმართა გუნდმა ტაიმაუტი აიღო. მასპინძლები ლუკას გარშემო შეგროვდნენ და თამაშზე საუბრობდნენ.

შალვა ერთ მეცხრეკლასელ მოთამაშესთან მივიდა, – ახლა შენ დაისვენე, მე უნდა ვითამაშო, ნახონ, როგორი გაბრაზება ვიცი! – საზეიმოდ გამოაცხადა და წინადადება შეიტანა: – ზაურს დაღლა ეტყობა, ახლით უნდა შევცვალოთ. მეცხრეკლასელი ბიჭი, რომელიც კარგი თამაშით გამოირჩეოდა, გვერდზე მიდგა. ახლა

შელვა მისი ადგილიდან ახალ იდეებს აფრქვევდა.- ბიჭო, შენ თავი კედელს ხომ არ მიარტყი?! – ვეღარ მოითმინა დათო ჯარიაშვილმა. – მოგზავნილი ხომ არა ხარ?! ან ვინ გეკითხება ბალი ათი შაურია თუ ათი კაპიკი. ემანდ წყნარად დაეგდე და შენი ჩაფურთხებული საქმის გამოსწორება გვაცალე, სანამ ლამაზი ხარ! – დათოს დანარჩენებმაც აუბეს მხარი და შალვა ხელის კვრით გააძევეს იქიდან.

ლუკას კი ამ ამბისთვის არ ეცალა. მასთან კლარა მიიჭრა: – რა შეუდარებელი იყავ, ლუკა! – აღფრთოვანებით შესძახა, კისერზე ხელები მოხვია, ფეხის თითებზე აიწია და გაოფლილ ლოყაზე აკოცა, ლუკამ თავაზიანად ძლივს მოიცილა.

გრამიტონი მათ შურით შესცქეროდა და თავისთვის ოცნების ბადეს ქსოვდა: რა კარგი იქნებოდა, თვითონ რომ ყოფილიყო ლუკას ადგილზე გამარჯვებული გუნდის თავკაცი და მაყურებელთა კერპი. კლარა საქვეყნოდ მოეხვეოდა და აკოცებდა, ის კი ამას ჩვეულებრივ მოვლენად ჩათვლიდა, ახ, რა ბედნიერი იქნებოდა! ლუკა სძულდა იმ სულით მახინჯის ღვარძლით, რომელიც ვერასოდეს ვერ ეღირსება სპეტაკი სულის კეთილი ადამიანის შარავანდედს, რაც ძლიერი იყო სიძულვილი, იმდენად ძლიერი იყო შიში, ლუკას თავისი არწივისებრი მზერით უკმაყოფილოდ რომ შეეხედა, გრამიტონს სული ქუსლებში გაეპარებოდა.

მაყურებელი აღფრთოვანებული ღრიალებდა, ახლა მასპინძლები დაწინაურდნენ.

– მიდი, ლუკა, მიდი! – ერთხმად იძახოდნენ.

– წავიდეთ რა, ამალია, აქედან, – მარინემ სთხოვა.

– გეხვეწები, დავიცადოთ, დათოს თამაშის ყურება მინდა, – ამ დროს დათომ გოგოებისკენ გაიხედა, ამალიამ ხელი ისე დაუქნია, რომ სხვებს არ შეენიშნათ; დათომაც ხელი ასწია და თამაშს მიუბრუნდა.

– დათო, ჩვენც ხალხი ვართ, რატო ჩვენც არ გვესალმები ხელის აწევით! – დაუძახა კლარამ.

ამალია აილეწა. ვერ გაიგო, მარინე როდის წავიდა, ისე

გაერთო შეჯიბრის ცქერით. ძებნა დაუწყო, მაყურებელთა შორის არ იყო, კლასში შევიდა. მარინე თავის მერხზე იჯდა და ცრემლებს იწმენდავდა.

— რა გატირებს, გოგო! — ამალია გაუბრაზდა.

— ფიქრებში წავედი და ცრემლები მომადგა.

— რაზე ბრაზობ, კლარას ხასიათი არ იცი?!

— კლარაზე არა, ჩემს თავზე ვბრაზობ, არ ვიცი, რა მემართება, ლუკას მცირედ უყურადღებობასაც კი მტკივნეულად განვიცდი.

— სხვა რამეზე იფიქრე, ლუკა შენ ყოველთვის პატივს გცემს.

— მარტო მე მცემს პატივს? ის ხომ ყველასთან თავაზიანი და თბილია.

— გინდა, რომ გითხრა, უყვარხარ-მეთქი? ამის თქმაც შემიძლია და არც შევცდები.

— იმას ვუყვარვარ თუ არა არ ვიცი, აი, მე კი... — მარინეს ენა დაება.

— ვიცი, ვიცი! ადექი, გარეთ გავიდეთ, ნახე რა ხმაურია, ბიჭებს ეწყინებათ, იქ რომ არ დავხვდეთ.

თამაში უკვე დამთავრებულიყო. მოსწავლეები ბიჭებს გამარჯვებას ულოცავდნენ. გრამიტონი განსაკუთრებით აქტივობდა, თამაშის მომენტებს ყვებოდა, თანაც ლუკას ტანისამოსწამოკიდებული მას გვერდიდან არ სცილდებოდა, მზად იყო, მოთხოვნისთანავე მიეწოდებინა და ჩაცმაში მიხმარებოდა.

შალვა ბიჭებთან მიიჭრა, გამარჯვებაში თავისი როლის შესახებ უყვებოდა, ვისაც გამოიჭერდა, ყურადღებას არავინ აქცევდა, ყველა გაურბოდა; ბოლოს რამდენიმე დამცინავი რეპლიკის შემდეგ დაბოღმილი წავიდა სახლში.

მოსწავლეები კმაყოფილი ხმაურით იშლებოდნენ.

ამალიამ ლუკას ხელი გამოსდო და საუბარ-საუბრით გაიმარტოვა.

— ოჰო! ეს კიდევ რაა! — ჩაილაპარაკა კლარამ,. ისე იყვნენ

განმარტოვებულები, მათთან მისვლა უხერხული იყო. განაწყენებულმა ჩანთის ქნევით ჩაუარათ, მოსწავლეთა ჯგუფს შეუერთდა და გამარჯვებით დამთავრებული თამაშის გარჩევაში ჩაერთო.

— შენ რომ არა, სამარცხვინოდ წავაგებდით, — შეაქო ამალიამ.

— ეს შეიძლება გუნდის ყველა წევრზე ითქვას.

— არა, დღეს შენ გადაგვარჩინე.

— მარინე სად არის? — ლუკამ გამოსავალი ნახა, რადგან თავს ყველაზე ცუდად ქების დროს გრძნობდა.

— აქ არის. იცი, ლუკა, მარინეს როგორ აბრაზებ?

— ისეთ რა ჩავიდინე?

— რა იყო, ბიჭო, კლარას საქვეყნოდ რომ მოეხვიე, ხომ იცი, მარინეს როგორ...

— აგერ მარინეც, — ლუკამ სათქმელი აღარ დაამთავრებინა, — მივიდეთ, დაველაპარაკოთ. თუ ვინმეს მეგობრულად უნდა თამაშის ემოციების გამოხატვა, ამაში ცუდი რა არის, ან რატომ უნდა დაუშალონ.

— მარინე, დღევანდელი გამარჯვება ხომ ლუკას დამსახურებაა? — ამალია მისვლისთანავე შეეკითხა.

— შეიძლება ასეცაა, — მარინე მორცხვად დაეთანხმა.

— ლუკას კი არ სიამოვნებს ამის აღიარება.

— ჭეშმარიტებას რაღა აღიარება უნდა. განა ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ თუ არა ლუკა, სამარცხვინო წაგება არ აგვცდებოდა, — მარინემ ეს თქვა და ლუკას ქალური სინაზით გაჯერებული ღიმილით შეხედა.

ლუკას ვნების იდუმალმა იმპულსმა გული სიამოვნებით შეუქანა. მარინე სიყვარულით გაბრწყინებული შეჰყურებდა, თითქოს მისგან რაღაც ძალიან სასიამოვნოს თქმას მოელოდა.

— მე სახლში წავედი, დედას უნდა მივეხმარო. მარინე,შენ ლუკა ალბათ, სახლამდე მიგაცილებს, — ამალიამ ეშმაკურად გაიღიმა და სირბილით წავიდა.

დიდხანს მდუმარედ მიდიოდნენ. მარინეს რაღაცის თქმა უნ-

დოდა, მაგრამ ენის მობრუნებას ვერ ახერხებდა. ლუკაც ჩაფიქრებული მიდიოდა, უნდოდა, სათქმელი ეთქვა, მაგრამ რაღაც ძალა აკავებდა. ხომ არ ეშლებოდა, ან ხომ არ სცდებოდა. იქნებ ეს გრძნობა ის არ იყო, რაც ეგონა, ან ამის თქმის შემდეგ პირშავად ხომ არ გამოვიდოდა ადამიანთან, რომელსაც ესოდენ პატივს სცემდა. მარინეს ხელზე ხელი მოუხვდა, ფიქრებიდან გამოერკვა; მარინეს კი კინაღამ მუხლი მოეკვეთა. ლუკამ საბოლოოდ გადაწყვიტა: თუ მარინე თანაუგრძნობდა, თავისი სიტყვის ერთგული დარჩებოდა.

— მარინე, — ხელზე ხელი მოჰკიდა და დაიწყო: — რამხელა სტიმულს მაძლევ, სულ მინდა, რომ შენი მოწონების სიმაღლეზე ვიყო. ძალასა და ენერგიას არ დავზოგავ შენთვის ბედნიერების მოსანიჭებლად. იცოდე, ისეთს არაფერს ვფიქრობ, რაც ჩრდილს მოგაყენებს, პირიქით, ვეცდები რათა შენი სულის სისპეტაკე არაფრით არ შეიბღალოს. მეტს არაფერს გეტყვი, რომ ჩემი ამგვარი აღიარებით არ გაწყენინო. ერთი კი გწამდეს, ჩემს გულთან შენზე ახლოს არავინაა, — ლუკა დადუმდა.

მარინემ სიტყვის თქმა ვერ მოახერხა, გული საშინლად უცემდა, ეშინოდა, ლუკამ მისი ხმა არ გაიგოსო, ენა ძლივს დაიმორჩილა, ამის თქმაღა მოახერხა: — გმადლობთ, ლუკა!

ჭიშკართან ლუკამ მოულოდნელად თავისკენ შეაბრუნა, მკერდში ჩაიკრა, აკოცა, მერე ხელი ხელზე მაგრად მოუჭირა და სწრაფად გაბრუნდა უკან.

თავზარდაცემული მარინე ადგილიდან ვერ იძვროდა. ლუკას ამგვარმა აღიარებამ იმხელაზე შეძრა, რომ კინაღამ მუხლები მოეკვეთა, თუმცა ეს დიდი ბედნიერებისგან იყო გამოწვეული.

# დასმენა

შალვა სახლში ბოღმისაგან გასიებული მივიდა. წიგნები მაგიდაზე მიყარა და სკამს გაბრაზებული დაასკდა. ლუკა რომ არ ყოფილიყო, გუნდის კაპიტნობიდან და გუნდიდანაც ვერავინ გამოაგდებდა, მერე რა თუ სამარცხვინოდ წააგებდნენ, სამაგიეროდ ყველა იტყოდა გუნდის კაპიტანი შალვა იყოო. ისიც საქმეს გაარჩევდა, წაგების მიზეზებზე იდავებდა, ზოგს გადააბრალებდა, ზოგს შენიშვნას მისცემდა, თავს იმართლებდა, გამარჯვებულების მიმართ სამომავლოდ მუქარას გააგზავნიდა და საქმეს სკოლის გუნდის თავკაცად შემორჩებოდა; შემდეგშიც ხშირად დაიტრაბახებდა, მე ასეთი თავკაცი ვიყავიო. ლუკამ კი ეს ყოყლოჩინობა გაუქარბუქა და ყველას თვალწინ სასაცილოდ აქცია. არა, ბიძასთან უნდა წავიდეს და დავარაშვილზე მოახსენოს, თანაც ლუკაც მიაყოლოს ზედ. სასწრაფოდ უნდა იმოქმედოს, რათა ლუკას ატესტატის მაგიერ ციმბირის კოლონიის საგზურის მიღება მოუწიოს.

შალვას დედის ძმა – სიკო წინწალაშვილი სამშენებლო ორგანიზაციაში საწყობის გამგედ მუშაობდა. მის ირგვლივ სხვადასხვა აზრის და რწმენის ხალხი ტრიალებდა, თვითონაც განსაკუთრებით ენაწყლიანობდა, ყველა საკითხზე თავისი შეხედულება ჰქონდა. განსაკუთრებით თამამად აკრიტიკებდა ხელისუფლებას, ამიტომ მასთან თავისუფალი აზრის გამოთქმას არ ერიდებოდნენ. დროდადრო კი სიკოსთან უშიშროების მუშაკი არტემა კეჟერაშვილი საიდუმლოდ შეივლიდა ხოლმე და სიკოც დაწვრილებით უყვებოდა, ვის რა წამოაცდენინა, ან თავიანთი ინიციატივით თქვეს.

სიკო უშიშროების საიდუმლო აგენტი იყო, მის ბინას ამგვარი შეხვედრებისათვის იყენებდნენ. ბოლოს ისე გახმაურდა მათი საიდუმლო შეხვედრების ამბავი, რომ ყველამ იცოდა სიკოს როლის შესახებ,მაგრამ საჯაროდ მასზე ლაპარაკს ერიდებოდნენ, შეფარვით კი ყველა ამაზე ჩურჩულებდა.

სიკო არტემას უყვებოდა, რაც თვითონ იცოდა, ან ფანტაზიით წარმოედგინა. ახლაც არტემა და სიკო მაგიდას მისხდო-

მოდნენ, სიკო კი საიდუმლოდ ეჩურჩულებოდა ვინ ვის ყვარობდა, ვინ რას იპარავდა, რას ითვისებდნენ, ვინ პოლიტიკაზე იჭორავა და ანეკდოტები თქვა ხელისუფლებაზე.

შალვამ მოკრძალებით შეაღო ბიძამისის სახლის კარი და მისაღებ ოთახში ფეხაკრეფით შევიდა. სასადილო ოთახიდან სიკოს ხმა შემოესმა. წყნარად დაჯდა კარებთან მიდგმულ სკამზე და სმენად იქცა.

— სერიოჟას მოსკოვში ლენინის მავზოლეუმში შესვლა უნდოდა და არ შეუშვეს, დღეს დასვენებაა. სერიოჟამ ასი მანეთი ამოიღო და ყარაულს მისცა. იმან კიდევ, — როგორ გინდა, შიგ შეხვალ თუ ლენინი აქ გამოგიტანოთო. ეგრეა, ძმაო, ფული დაანახვე და ლენინს გინდა კაჭრეთში ჩამოგიტანენ, ნახეთო, — თან ეგრე დაამატა, — სიკომ ასე დაასრულა მოყოლა.

— ეგ ვინ არის? — არტემამ იკითხა, თან ქაღალდი მოიმარჯვა.

— ტიტიკოა, საყოფაცხოვრებოს ეკონომისტი; თბილისში ყოფილა და იქ მოუსმენია.

— ჰოოო, ეგ მაგარი საქმეა, უყურე შენ! ვინ უსმენდნენ? — არტემამ შუბლზე ნაოჭები დაკეცა.

— შოფრები, ორიოდე, პრარაბი და მე.

— მაგათ ვაჩვენებ სეირს!

— ჩემი მეზობელი ზაქარაც ჩაწერე.

— ეგაც იქ იყო?

— იქ არ იყო, მაგრამ თუ ჩვენებაზეა, მაგასაც ერთი მაგრად აჩვენე; აბეზარი და უვარგისია, თავი მომაძულა.

— კარგი, შენი ხათრით მარტო ტიტიკოს და მაგ შენს მეზობელს ჩავწერავ. ტიტიკოს დავიბარებ და ვაჯანჯღარებ. ზაქარას კი ისეთ რამეს დავაბრალებ, თავი ვერაფრით დაიძვრინოს.

შალვა სკამიდან ადგა და უკან ფრთხილად გაბრუნდა. შემოსასვლელი კარების გაღებისას სკამს ფეხით გამოედო, წააქცია. ხმაურზე შეშფოთებულმა სიკომ დაიძახა: — რომელი ხარ მანდ! — ფრთხილობდა, რომ მისი დასმენა არავის გაეგო; ოთახიდან გამოვარდა.

შალვა გაღებულ კარებში გაშეშებული იდგა.

— დიდი ხანია მოხვედი? — სიკომ რაღაც იდუმალი მუქარით ჰკითხა.

— ახლა შემოვედი და სკამს წამოვედე.

სიკოს გულზე მოეშვა.

— წამოდი, ერთ სტუმართან პურს ვჭამ, დაგვეწვიე, — შალვა ისე მიიპატიჟა, რომ აგრძნობინა, უბრალო სტუმარიაო.

არტემა შალვას მხიარულად შეხვდა.

— როგორა ხარ, ბიჭო, ახლა შენი ყველა უჯრედი სვამს. აბა ერთი ჭიქა დაგვილიე! — სავსე თლილის ჭიქა მიაწოდა.

შალვამ ჭიქა ბოლომდე გამოცალა, დარდიმანდულად დააგდო მაგიდაზე თან, — უხ! — დააყოლა და პური მოტეხა.

— კიდევ ხომ არ დაგისხა? ეს რა მაგარი ბიჭი ჩანს, — არტემამ ბოთლს მოჰკიდა ხელი.

— ერთ ლუკმას შევჭამ და რატომაც არ დავლევ, — შალვა ყვინჩილასავით გაიფხორა.

— მაიცა კაცო, ბიჭი სკოლიდან მოდის, რას ასწავლიან, ან როგორ ასწავლიან მოგვიყვეს; იქნებ ეს ძველი კაცები გაგვანათლოს, — სიკომ აგენტის ჩვევას არ უღალატა.

— მოსაყოლი რაა, ისეთი დირექტორი გვყავს მთელი ჩვენი ქვეყნის წარმატებები სულ უკუღმა დაგვიხატა, — შალვამ ლუკმა გადაყლაპა და ქათმის ბარკალს მისწვდა.

— რათაო კაცო? — არტემამ ყურები ცქვიტა.

— იმიტომაო, რომ ქვეყანაში მექრთამეები, მომხვეჭელები, უვიცები, კარიერისტები სხედანო მაღალ პოსტებზე და პატიოსან კაცს არ ახარებენო.

— ვა�ა! — არტემამ პირი გააღო.

— ბრეჟნევი ორდენებზეა გადარეული, ლამის ზურგზე დაიკიდოსო; ისე კი ყველანი უტვინოები არიან და ქვეყანა უკან-უკან მიდისო.

— მერეო.

— თუ ეგრე გაგრძელდა, ამ ნანატრ სოციალიზმს მოსპობენ

და მკვდარი ცხენის ლეშს სვავები რომ გლეჯავენ, იგრე გაწეწავენ ამ კაცობრიობის იმედად შექმნილ სოციალიზმსო.

— ზუსტალ ეგრე თქვა? — ჰკითხა ღრმად ჩაფიქრებულმა არტემამ.

— შეიძლება ზუსტად ეგრე არ იყო. მაგრამ შინაარსით ეგრე იყო.

— სადა თქვა, ვინ უსმენდა?

— ერთია, ლუკა ჰქვია, განებივრებული და თავხედი მოსწავლეა, ისაც იძახოდა, ხელისუფლებაში სულ მექრთამეები, კარიერისტები და დებილები სხედანო.

— რა უნდა ვქნათო, რა გადაწყვიტეს?

— რა ვიცი, მაგას ალბათ დირექტორი და ლუკა ცალკე მოითათბირებენ. მე არ მენდობიან, იციან, რომ მაგრად დავუდგები.

— კიდევ ვინ ესწრებოდა, ვის ვკითხოთ?

— კლასში გაკვეთილზე ილაპარაკა. გრამიტონა გამოიძახეთ, ყველაფერს იტყვის და ჩემს ნათქვამსაც დაადასტურებს. კლარა სახიაშვილია მაგარი გოგო, გიყვარდეს ისაც შაუდგა პირში. აი, ზაური ფიროსმანიშვილი და დათო ჯარიაშვილი კარგად შეახურეთ. ლუკაზე ყველაფერს იტყვიან. იცოდეთ, ლუკა ძალიან საშიშია, მტერია, მტერი! — შალვას დაავიწყდა, რომ უბრალოდ სკოლის ამბები ისე უნდა მოეყოლა, ვითომ არ იცოდა, არტემა ვინ იყო.

— ვინც დაასახელე, ყველას გამოვიძახებთ, ოღონდ არ უნდა იცოდნენ ამის შესახებ და არც სხვების გამოძახებაზე არ უნდა იცოდნენ. იმ ლუკაა თუ ლაზარე ისე ვაჯანჭყარებთ, სიცოცხლეს შევაძულებთ, შენ კი ამიერიდან ჩვენი სანდო კაცი იქნები, რასაც გაიგებ, ამბავი უნდა მოგვიტანო, — არტემამ შალვას თავზე გადაუსვა ხელი, აღარც თავისი ვინაობა დამალა.

— ჩემი იმედი გქონდეთ, აბა ვინმემ გაბედოს უფროსების აუგად ხსენება! — შალვა ტრაბახის ხასიათზე დააყენა არტემას დავალებამ.

იმავე დღეს იცოდა გრამიტონმა შალვას მიერ გამოცხადებული ნდობის შესახებ, რაც შალვამ დიდი რიხით აუწყა; გრამი-

ტონმა კი ეს საიდუმლო ამბავი ყველა შემხვედრთან საიდუმლო ტრაბახით გაახუნა...

არტემა თავის უფროსთან იჯდა და სიკო წინწალაშვილის ბინაში მოსმენილ ამბავს ყვებოდა:

— მავზოლეუმის დარაჯს სერიოჟამ ასი მანეთი მისცა და იმან კი ლენინს შიგ ნახავ თუ გარეთ გამოგიტანოთო.

— ეხ, ძვალ-რბილში მექრთამეობა ისე გაგვიჯდა, რომ უარესსაც იტყვიან, ანეკდოტი ცხოვრების სარკეა, ძმაო , — გულისტკივილით უპასუხა უფროსმა.

— აბა რა ვქნათ, ჩვენ ზომები არ უნდა გავატაროთ?

— ჩვენ კი ზოგიერთს გავამწარებთ, მაგრამ რომელ ერთს მივწვდებით; მთავარია მექრთამეობა არ იყოს, მაშინ არც ანეკდოტი იქნებოდა, ძალით ხალხს ვერ დაადუმებ.

— სკოლის დირექტორ დავარაშვილსაც ეგრე უთქვია მოსწავლეებისათვის, თანამდებობებზე სულ მექრთამეები და მომხვეჭელები სხედან; ბრეჟნევი ორდენებზეა გადარეული, ლამის ზურგზეც ჩამოიკიდოსო. თუ ეგრე გაგრძალდა, ჩვენი სოციალიზმი დაიშლებაო, მაშ! — არტემამ თვალები გადმოკარკლა, ნახე, რა ამბავი მოვიტანეო.

— ტყუილი რა უთქვია, ბრეჟნევი რომ გამოტვინდა და ქვეყანა მომხვეჭელობამ წალეკა ეს ყველამ იცის, თუ ვინმე ხმას აიმაღლებს, პირზე ხელს ვაფარებთ.

— მაშ, დავარაშვილს არაფერი ვუთხრათ?

— ჩვენ ზომები უნდა გავატაროთ, მაგრამ ამით ქვეყნის წყლულს ვერ ვუმკურნალებთ.

— მაშინ დავარაშვილი გამოვიძახოთ?

— დავარაშვილს კარგად ვიცნობ, ის ქვეყნის ერთგული კაცია, ხშირად უსაფუძვლოდ კიცხავენ არც თუ უცოდველი ხელმძღვანელები. დავარაშვილს მე თვითონ მოველაპარაკები, მანამდე კი იმ ენატლიკინა ბიჭის მიერ დასახელებულ მოსწავლეებს გავესაუბროთ...

გრამიტონს არტემა უფროსის კაბინეტში შეუძვა. მის წინ

მაგიდასთან სკამზე მიუთითა, თვითონ მეორე მხარეს დაჯდა.

გრამიტონი უფროს პირმოთნე ღიმილით მისჩერებოდა და ქვედა ტუჩით საულვაშე ღინღლიან ზედა ტუჩს ილოკავდა, ისე მისჩერებოდა, როგორც ერთგული ძაღლი თავის პატრონს, ვისზე მიმიქსევ, რომ დავგლიჯოო.

— შენზე ამბობენ, კარგი ბიჭიაო, გრამიტონი არა? — უფროსმა არტემას შეხედა.

— სწორი უთქვიათ, ნამდვილად კარგი ბიჭი ვარ; სხვებიც ამას მეუბნებიან. მეც ხომ ვიცი, რომ მაგარი ბიჭი ვარ! — გრამიტონი შექებით გათამამდა და თავისებური ტრაბახის მარილი არ დაზოგა ნათქვამის გადასამლაშებლად.

— მაგარიც ყოფილხარ, ეს რატომ გამოგრჩათ, — უფროსს გაეღიმა.

— უცებ ყველაფერს ხომ არ გეტყოდნენ, თანდათან გეტყვიან, რა შემიძლია, შალვა იმიტომ მაფასებს მე, მეც მაგრად ვუჭერ მხარს, — გრამიტონი ამას სერიოზულობით შეჭმუხნილი შუბლით ამბობდა.

— ეგ შალვა ვიღაა? — არტემას შალვას ხსენება არ ესიამოვნა, მიხვდა, რომ გრამიტონთან ნათქვამი ჰქონდა მათი საუბრის შესახებ.

— შალვა სიკო წინწალაშვილის დისშვილია, აბა ვინმემ რამე გაუბედოს, სიკოს ეტყვის და მორჩენილია იმის საქმე.

არტემას კიდევ რაღაც უნდა ეკითხა, მაგრამ უფროსმა არ დააცადა.

— მაგარი ბიჭი რომ ხარ, აბა მოგვიყევი თქვენი დირექტორი რა კაცია.

— დირქტორი — დიმიტრი დავარაშვილი ძალიან მაგარია. რასაც იტყვის წყალი არ გაუვა; მე ყოველთვის მხარში ვუდგევარ აბა, ვინმემ გააბრაზოს, ჩემთან ექნება საქმე, მაშ! — ამაყად თქვა გრამიტონმა.

— ბოლო გაკვეთიოზე რა თქვა, წყალი რომ არ გაუვა?

— ბოლო გაკვეთილზე ძალიან მაგრები თქვა; მეც სულ მხარს

ვუჭერდი. მითხრა, ერთი ამათ მოკავშირე რესპუბლიკები ჩამოუთ-ვალეო და მეც ჩამოვაჭიკჭიკე.

— კიდევ რა თქვა?

— ჩვენი წელთაღრიცხვა როდის შემოიღესო. ერთი მოსწავლეა ლუკა ხუციშვილი, ძალიან მავნე ვინმეა. წელთაღრიცხვა ვიღაც რომაელმა ბერმა შემოიღოო, თან დირექტორს გაუბედა, ეგრე რომ ლაპარაკობ, ჩვენ ცხოვრებაზე სხვანაირი წარმოდგენა გვაქვსო. მე მაშინვე მივახალე, დირექტორს არაფერი ეშლება-მეთქი.

— მაინც ისეთს რას ამბობდა დირექტორი, იმ მავნე ლუკას რომ არ მოეწონა?

— რა ვიცი, მექრთამეებიო, თანამდებობაზე უცოდინარი და მომხვეჭელები არიან; ესენი ამ ქვეყანას დააქცევენო, მაშ.

— ეგ შენი დირექტორი მტერი ყოფილა, შენ კიდევ ამბობ, არაფერი ეშლებაო.

გრამიტონმა გაკვირვებისაგან პირი დააღო და თვალები დააჭყ-იტა, ასე მიაჩერდა უფროსს. ეგონა, ესენი დირექტორის კაცები არიანო და იმიტომაც ასე აქებდა.

— რა გაგიკვირდა, ახლა გაიგე, ეშლება თუ არა შენს დირექ-ტორს.

— გავიგე, როგორ არა. ეგა და ლუკა ნამდვილი მტრები არიან. ბრეჟნევი ორდენებს ზურგზე დაიკიდებსო დირექტორმა რომ თქვა, მაგრად ვაკვირდებოდი, ლუკამ გაიღიმა. მაშ, მე რას გამო-მაპარებდნენ, მაგათ კუდი კუდზე აქვთ გადაბმული. მე კიდევ მითხრა, ხელისუფლებაში სულ შენი მსგავსი კრეტინები სხედანო. ქვეყანას რა ეშველება, სუყველგან გრამიტონები რომ დასხდნენო. ერთი დამსვან უფროსად და მე ვიცი, როგორ ვიგრიალო. დირექტორს კი ის მავნე ვინმე ლუკა მიეხმარა, წარმოგიდგენიათ, წელთაღ-რიცხვა მღვდელმა მოიგონაო, აბა! — გრამიტონი ლუკას ხსენებაზე ხმას დაბლა უწევდა და თითქმის ჩურჩულზე გადადიოდა.

— მაგ მავნე ლუკასი ხომ არ გეშინია? — ჰკითხა უფროსმა.

— მე არაფრისა არ მეშინია, მაგარი ვარ, მაგრამ ლუკა მაინც ლუკაა და...

უფროსს გაეღიმა. — ლუკა მაინც ლუკაა არა? — ჩაილაპარაკა. — კარგი, აბა როგორ გითხრა, ხელისუფლებაში სულ შენი მსგავსი კრეტინები სხედანო? — ღიმილი ძლივს შეიკავა.

— ნამდვილად ეგრე თქვა, შენი მსგავსებიო, ნამდვილად დასაჭერია.

— შენი მსგავსების ხელისუფლებაში ყოფნა დანაშაულია?

გრამიტონი ისევ დაიბნა, რა უთხრას, იქნება დირექტორზე ცუდი არ უნდა ეთქვა.

— არა, არ ვიცი, ჩემისთანები კი, მაგრამ ჩემისთანა კრეტინები მე რანაირი კრეტინი ვარ, მე ხომ გრამიტონა მქვია. იხუმრა, თორე რანაირი კრეტინი მე ვარ, — გრამიტონი თითების გრეხვას შეუდგა.

— მაშ ვინ არის კრეტინი?

— ლუკა.

— ლუკა რატომღაა კრეტინი, მას ხომ ლუკა ჰქვია? — უფროსმა ახლა კი სიცილი ვეღარ შეიკავა; გრამიტონიც გამხიარულდა.

— ლუკა იმიტომაა კრეტინი, რომ ძალიან მაგარია. იმისი ყველას ეშინია, მაგრამ არ იტყობენ; ჯაგარას ცხვირპირი დაუნაყა, იმის შიშით სკოლაში მოსვლას ვეღარ ბედავს.

— ჯაგარა ვიღაა?

— ჯაგარა მთელ სკოლას იკლებდა, მარტო ლუკას ვერ მოერია.

— შენ მოგერია?

— ჩემი მომრევი კაცი ჯერ არ დაბადებულა, — გრამიტონი გაიბღინძა.

— ლუკას თუ დაეჭიდები, — უფროსს ღიმილი აღარ სცილდებოდა.

— არა, ლუკა ხომ იცით, მაინც ლუკაა. ისე ცალკე როგორც საჭიროა აგრე მოვთხრი, კრეტინი ხომ არა ვარ.

— წადი ახლა და რაზეც ვისაუბრეთ არავისთან თქვა, კრეტინი ხომ არა ხარ, — გაღიმებულმა უფროსმა გრამიტონს ხელი ჩამოართვა.

— არაფერსაც არ ვიტყვი, მართლა კრეტინი ხომ არა ვარ! — მერე ხმას დაუწია და თითქმის ჩურჩულით თქვა: — ლუკაზე რაც ვილაპარაკე, არც თქვენ თქვათ; ძალიან მავნე ვინმეა, საშიშია.

— ლუკასი გეშინია?

— ლუკა მაინც ლუკაა. მე არაფრისა არ მეშინია, მაგრამ ლუკა საშიშია, ხომ იცით, მაინც ლუკაა და... გრამიტონი უკან-უკან წავიდა კარებისაკენ.

— ლუკა მაინც ლუკაა, — უფროსმა ღიმილით ჩაილაპარაკა, — მაინც რა კაცია ეგ ლუკა კრეტინებს რომ სძულთ და თან ასე უფრთხიან...

ახლა დათო ჯარიაშვილი იჯდა უშიშროების უფროსის წინ.

— როგორი გაკვეთილი ჩაგიტარათ თქვენი სკოლის დირექ-ტორმა? — მაგიდაზე ფანქრის კაკუნით ჰკითხა უფროსმა.

— ჩვენი სკოლის დირექტორის მიერ ჩატარებული ყველა გაკვეთილი ცოდნის ახალი გადაშლილი ფურცელია, — დინჯად უპასუხა დათომ.

— ვაა! ბოლო გაკვეთილზეც ახალი ფურცელი გადაგიშალათ? ხელისუფლებაში მექრთამეები და კრეტინები სხედანო; ბრეჟნევმა ლამის ზურგზე ჩამოიკიდოს ორდენებიო, ეს არის ცოდნის ახლად გადაშლილი ფურცელი?! — უშიშროების უფროსმა შუბლზე ნაოჭები დაკეცა.

— მე ეგ არ გამიგონია.

— აბა რა გაიგონე?!

— მან თქვა, რომ სოციალიზმი ხალხთა საკეთილდღეოდ არისო შექმნილი, რომ უნდა დავიცვათ და ხელისუფლებაში უღირსმა ადამიანებმა ვერ შეაღწიონ, თორემ ამ ბედნიერებას დავკარგავთო? ჩვენც მოგვიწოდა, ყოველგვარი ანტისოციალის-ტური გამოვლინების წინააღმდეგ ფრთხილად ვყოფილიყავით, რა არის ამაში ცუდი? — იქით შეეკითხა.

— არაფერი, მაგრამ სხვები სხვანაირად ამბობენ.

— მითხარით, ვინ არიან ის სხვები და გეტყვით, ძაღლს თავი სადა მარხია.

— ეს ყველაფერი ლუკამ გვითხრა, — უფროსმა დათოს გამომცდელი თვალით შეხედა.

დათოს ირონიულად გაეღიმა.

— რას იღიმები! — უყვირეს.

— თქვენ ლუკას არ იცნობთ, თორე ამას არ იტყოდით. ლუკა მოსიარულე კეთილშობილება და პატიოსნებაა, ამხანაგების საყვარელი ადამიანი, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ერთგული; ყველა ადამიანის ბედნიერ ცხოვრებაზე მეოცნებე. ლუკას შეუძლია ყველას პირში უთხრას სიმართლე, რაგინდ საწყენიც არ უნდა იყოს. დასმენა და ამბის მიტანა კი ლუკასთვის ისეთი სასაცილოა, როგორც კატის ნივრით გამოძღომა; ლუკა მთელი სკოლის საყვარელი კერპია.

— გრამიტონაც? — უფროსი ღიმილით შეეკითხა.

— გრამიტონა, როგორც სკოლის დირექტორმა თქვა, კრეტინია. კრეტინის კერპი კი კრეტინი თუ არა, სულ მცირე — არამზადაა, — ეს თქვა დათომ, გულში კი გაიფიქრა, რომ გრამიტონა ყველაფრის მკადრებელი არამზადაცაა.

— რას იტყვი? — უფროსმა კეჟერაშვილს შეხედა.

— ენაგატლეკილი ვინმეა, — კეჟერაშვილმა დათოს რისხვა ჩამდგარი თვალებით შეხედა.

დათო იატაკს მიაჩერდა, არაფერი უპასუხია.

— მაშ, შენ ამბობ, რომ დირექტორმა ხელისუფლების საწინააღმდეგოდ არ ილაპარაკა? — უფროსმა დათოს შეუბღვირა.

— დირექტორი სულ ჩვენი ქვეყნის ქებაშია; ჩვენც მის ერთგულად გვზრდის. უღირსი ვინმე სათავეში არ უნდა მოხვდესო, ეს არის და ეს.

— ვინ არის სათავეში მოხვედრილი უღირსი?

— მე რა ვიცი, დირექტორმა ის თქვა, სათავეში უღირსი თუ მოხვდა, დავიღუპებითო.

— ლუკამ რაღა თქვა?

— ლუკა ჩვენსავით მოსწავლეა. დირექტორის საუბარს ისიც დიდი ინტერესით ისმენდა, როგორც ჩვენ ყველა.

— ბრეჟნევი ორდენებზეა გადარეულიო.

— მე ეგ არ გამიგონია.

— ყურებს დაგახევ, შე ლაწირაკო! — კეჟერაშვილი წამოხტა და მუშტი მოუღერა.

— ჩემგან რა გინდათ? რაც ვნახე და მოვისმინე, იმას გპასუხობთ, თუ ტყუილი უნდა ვილაპარაკო, მითხარით, როგორ გინდათ და...

— ტყუილი ბებიაშენს მოუყევი! ახლა ადექ და აქედან გაეთრიე! — უყვირა კეჟერაშვილმა.

დათო ისეთი ყოფით გავარდა, კედელზე ჩამოკიდებული ქუდი არ გახსენებია.

— რას უბრაზდები, ეს ბიჭი ეტყობა მართალს ამბობს, — უფროსმა კეჟერაშვილს შენიშვნა მისცა.

— გაიძვერაა ეგ მამაძაღლი. აბა შალვამ და გრამიტონამ რათა თქვეს.

— შალვა არ ვიცი რა კაცია, მაგრამ გრამიტონას კრეტინობის დიაგნოზში ეჭვი არ მეპარება. ინფორმაციის მომტანად პატიოსანი კაცია საჭირო. ამბის მოტანას ღვარძლი, შური და ვინმეს მტრობა არ უნდა ედოს საფუძვლად. მაგრამ სავალალო ის არის, რომ პატიოსანი კაცი ამ საქმეს არ იკისრებს, უპატრონოს კი სწორედ ამგვარი ზრახვები ამოძრავებს, — დაასკვნა უფროსმა...

ახლა ზაური ფიროსმანიშვილი იჯდა უშიშროების უფროსის წინ და დამფრთხალი დეკეულივით იყურებოდა.

— ახალგაზრდა, რამდენიმე შეკითხვა გვაქვს შენთან, ოღონდ გულახდილად უნდა გვიპასუხო. აბა გვითხარი, რა კაცია თქვენი თანაკლასელი შალვა, — უფროსმა დაუყვავა, ბიჭის მღელვარება რომ გაექრო.

— შალვა? შალვა სამკურნალოა, — მტკიცედ თქვა ზაურმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თავისი კეთილდღეობისთვის შეუძლია ყველა და ყველაფერი გაწიროს, ყოველგვარი სამარცხვინო საქმე იკადროს.

— რა გაწირა, ვინ რა იკადრა?! — კეჟერაშვილმა შეუბღვირა.

— ჩვენს დონეზე დიდი ზიანის მიყენება არ შეუძლია, ამას მოსწავლეები ვმკურნალობთ; მაგან თუ პოსტი ჩაიგდო ხელში მაშინ კი ჩემს მტერს.

— გრამიტონაზე რას იტყვი? — უფროსმა კეჟერაშვილს მუქარით შენელებული სიტყვის თქმა არ დააცადა.

— გრამიტონა სოფლის ჭკუასუსტის დონეა მოჭარბებული ეგოიზმით. მასზე საუბრით დროს დაკარგვა არ ღირს.

— ვა

— წადი, შვილო, წადი! — უფროსმა კეჟერაშვილს მისი დატუქსვა არ დააცადა. გრამიტონის შემდეგ ამ ახალგადრდებით კმაყოფილი იყო...

კლარა ისე შევიდა ამ უცნაურ დაკითხვაზე, თითქოს შეწუხებისთვის საყვედურობდაო.

— თქვენი სახელი კლარაა არა? სახიაშვილი, — უფროსმა ჰკითხა.

— დიახ.

— რაო, თქვენმა დირექტორმა, საბჭოთა კავშირი დავშალოთო?

— ვინც ეგ სიცრუე გითხრათ კრეტინი კი არა მტერია, რადგან დირექტორი ჩვენი ქვეყნის პატრიოტია და ჩვენც ასე გვზრდის!

— მაშ ლუკა კრეტინი კი არა მტერია?

— პატივცემულო, ლუკაზე ამის მთქმელი საკუთარ თავს ჩაიყენებს სასაცილო მდგომარეობაში; ძალიან გთხოვთ, თქვენ ნუ იკადრებთ ამას. ლუკა ოცნებაა, რომელიც თითქმის გვერდით არის, მაგრამ ვერასოდეს მისწვდები, რადგან მას რომ მისწვდეს ადამიანი მასავთი თუ არა მისი მეათედი სპეტაკი, კაცთმოყვარე და სრულყოფილი სიყვარულით ნაკურთხი უნდა იყოს! — პათეტიკურად თქვა კლარამ.

— რა გოგო, ხომ არ გიყვარს? — უფროსმა სიცილით ჰკითხა.

— მიყვარს რომელია, ჩემი ოცნებაა დავიწვა, დავიფერფლო და მის კეთილშობილებას წამლად მოვეცხო! — კლარას ცრემლები ჩამოსცვივდა.

კეჟერაშვილმაც კი ვეღარ შეძლო ხმის ამოღება კლარას ემოციებით მონუსხულმა. ცოტა ხანს ასე მდუმარედ ისხდნენ. კლარა სლუკუნებდა.

— წადი, შვილო, გვაპატიე, რომ შეგაწუხეთ და გაგაღიზიანეთ, — უფროსი ადგა, კლარას აცახცახებულ მხრებზე მოჰკიდა ხელი, წამოაყენა და კარებამდე მიაცილა...

კაბინეტში ლუკა შევიდა, დაკითხვაზე ისე იძახებდნენ, რომ

ერთმანეთს არ უნდა შეხვედროდნენ; ახლა ლუკა რომ შევიდა, ეგონათ, არ იცოდა, რაზე გამოიძახეს.

კარის ზღურბლს გადააბიჯა და გაჩერდა, ოთახს თვალი მოავლო, კედელზე ჩამოკიდებული დათოს ქუდი იცნო, ირონიულად გაეღიმა.

მაღალი, მხარბეჭიანი, ავაზასავით მოქნილი და მოზიდული, დაკუნთული, ძვალმსხვილი, გამხდარი, ჭკვიანი, კეთილი და მომნუსხავი გამოხედვით, გულუბრყვილოდ მომღიმარი ახალგაზრდა კართან იდგა და უშიშროების უფროსს მისჩერებოდა.

ლუკას განსაკუთრებით მკაცრ დახვედრას უპირებდნენ. მასზე იმდენი რამ ითქვა, რომ რაღაც აზარტული ჟინით აგრესულად განეწყვნენ. ან ვინ იყო ვიღაც მოსწავლე, რომ ზოგი აძაგებდა და თან ეშინოდათ თავიანთი ნათქვამის გამჟღავნებისა; ზოგი კი არაჩვეულებრივი სიყვარულით აქებდა.

უფროსი რაღაც შინაგანმა ძალამ ფეხზე წამოაყენა, კეჟერაშვილიც წამოდგა.

— მობრძანდი, აქ დაჯექი, — ლუკას კეჟერაშვილის საპირისპიროდ მაგიდასთან დაჯდომა შესთავაზეს.

ცოტა ხანს დუმილი გამეფდა. უფროსი რაღაცაზე ჩაფიქრდა, გრამიტონის ნათქვამი გაახსენდა: ლუკა საშიშია და ლუკა მაინც ლუკააო, ლუკა მაინც ლუკა ჩანს გაიფიქრა და შეეკითხა:

— შენზე ამბობენ, დირექტორს ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში ეხმარება და მხარს უჭერსო.

— იქნებ გამარკვიოთ, რას ეძახით ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას და მე ჩვეულებრივი რიგითი მოსწავლე როგორ ვეხმარები, — ლუკამ მკაცრი ტონით თქვა და უფროსს თვალებში შეხედა.

— არიან ჩვენი ერთგული ადამიანები, რომლებიც დაწვრილებით გვაცნობებენ იმ ძირგამომთხრელ საქმიანობებზე, რასაც თქვენი დირექტორი ეწევა და რომელსაც თქვენ უჭერთ მხარს; იცით, ეს რას ნიშნავს?! — უფროსმა ხმას აუწია.

— ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ პროვოკატორის ანკესზე

წამოეგეთ. თუ ყველა სფეროში ამგვარ ინფორმაციებზე აგებენ საქმიანობას, ცუდად ყოფილა ჩვენი ქვეყნის საქმე! – ლუკამ ასევე მკაცრად უპასუხა.

– ძალიან ბევრის უფლებას აძლევ თავს! – კეჟერაშვილმა მუქარით შეუტია.

ლუკას მწარედ ჩაეღიმა.

– მე წელს ვამთავრებ საშუალო სკოლას; უნდა ითქვას, რომ ცხოვრებას ჯერ ვერა ვცნობ, მაგრამ უკვე იმდენი მწარე დღეები ვიგემე, რომ ამ საქმეში მთლად გამოუცდელი არა ვარ, – ლუკას სიტყვის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ უფროსმა შეაწყვეტინა:

– რა მწარე დღეები უნდა გადაგენატა ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის ღლაპს?!

– მამა ადრე გარდამეცვალა, წესიერად არც კი მახსოვს. თელავში დედის მშობლებთან ვიზრდებოდი. უკვე მესამე წელია რაც დედაც დამეღუპა; დედის მშობლებთან დავრჩი. ახლა აქ – ქიზიყში პაპა გარდამეცვალა, მამის მამა. ბაბო მარტო დარჩა, იძულებული გავხდი, თელავიდან აქ გადმოვსულიყავი. ვიფიქრე, ბაბოს მარტოდ ყოფნის სიმძიმეს შევუმსუბუქებდი. ჩემი ამ მოკლე სიცოცხლის განმავლობაში არავის გავუნებივრებივარ. ვსწავლობდი, ვშრომობდი, ვვარჯიშობდი, მუქთად ყოფნას ვერ ვიტან. ჩემი ერთადერთი პატრონი სახელმწიფო იყო. ის მივლიდა და მიფრთხილდებოდა. დახმარება, პენსია, მრავალი ერთჯერადი დასაჩუქრება, მოკლედ, სოციალისტური სახელმწიფოს სიკეთე და ზრუნვა ადამიანებზე საკუთარ თავზე განვიცადე. თუ არა მომავალ თაობაზე ასეთი ყურადღება, მე დღეს სკოლაში კი არა, რომელიმე კულაკის მოჯამაგირე უნდა ვიყო და ძროხების დევნით შიშველი ფეხის გულები უნდა მქონდეს დახეთქილი. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, ვისაც თავის ზურგზე აქვს გამოცდილი სოციალიზმის სიკეთე, განა შეიძლება ქვეყნის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდეს?! ან რა ისეთი გონებრივი სისუსტე შემატყეთ, რომ იმ ტოტს ვჭრიდე, რომელზეც ვზივარ. განა შემიძლია მტრად მოვეკიდო ჩემს ბედში მყოფ ათასებს და მილიონებს? იმათი ბედის გასამწარებლად

ხალხის საკეთილდღეოდ შექმნილ სოციალურ კეთილდღეობას ვუღალატო? მე თავს კი არ ვიმართლებ, რამეთუ ჩემი სხვანაირად გადაკეთება შეუძლებელია, მე თქვენი მიკვირს, ამხელა საპატიო საქმე განდეს და ანტისახელმწიფოებრივ ელემენტების მოძებნაში ისეთ ხალხს ენდობით, როგორიც გრამიტონაა, თუნდაც შალვა შიოშვილი და მისი ბიძა – სიკო წინწადაშვილი; საამისოდ ჯერ პიროვნება არ უნდა შეისწავლოთ? სიკო წინწალაშვილი სახელმწიფოს სამშენებლო მასალებს პარავს, უფრო სწორად – ხალხს და ჰყიდის; ყველა პატიოსან მოქალაქეს ჯიბეში უძვრება მე, თქვენ და უამრავ სხვას, რადგან სახალხო ქონებაში რაღაც ნაწილი ჩვენიც არის. თქვენ კი ეს პარაზიტი სანდო კაცად აგიყვანიათ და სხვათა დაბეზღებაზე გაწაფული პატიოსან ადამიანებს თქვენზე შიშით ატერორებს. ვინც არ მოსწონს, იმაზე კი შეთითხნილ დასმენებს გაწვდით; როგორ იცით, ამგვარი მოქმედება საფუძვლიანად არ არყევს დიდი სისხლით და ბრძოლით მოპოვებულ სოციალურ კეთილდღეობას?! თქვენ ანეკდოტების მთქმელებს ებრძვით, ანეკდოტის გამომწვევ მოქმედებას კი არა, რომ არ იყოს მექრთამეობა, არც ხომ ქრთამზე ანეკდოტი იქნებოდა? მაშ რატომ ისე არ ებრძვით ამ სატკივარს, რომ მისით არავინ იოხუნჯოს?!

– ძალიან შორს გაუტიე, ახალგაზრდავ, გავიწყდება რომ ზედმიწევნით დაწვრილებით ვიცით, რაც დავარაშვილმა კლასში ილაპარაკა. ამიტომ გვინდა აგვიხსნა, რა ამოძრავებდა დავარაშვილს და შენ რატომ გთვლიან მის უახლოეს მოსწავლედ, რომელიც დავარაშვილს თავის მრუდე საქმეებში მხარში უდგას, – უშიშროების უფროსმა მკაცრად შეახსენა.

– ზედმიწევნით დაწვრილებით არ გეცოდინებათ, რამეთუ შალვა შიოლაშვილი შურით, ფუქსავატობით, მოჩვენებითობით და ტრაბახით არის ცნობილი და ვინც მას სიკეთისკენ მოუხმობს, მისი ისეთი მტერია, როგორიც შეუძლია წარმოიდგინოს ყველაფრისმკადრებელმა ვაგლახმა, რაც შეეხება გრამიტონას – ის გონებაშეზღუდული კრეტინია, რომელსაც შეუძლია ის თქვას, რასაც თქვენ დაავალებთ. იგი ლორწოიანი ლოკოკინაა, თავის ნატარზე

გულისამრევ კვალს რომ ტოვებს, – ლუკა ისე აღშფოთდა, თავს ძლივს იკავებდა.

– საიდან ასკვნით, რომ გრამიტონა და შალვა მოიტანდნენ ინფორმაციას?

– ჩვენ ყველამ ვიცით, კლასში ვინ რის მკადრებელია. საჭირო არ არის ამბის მოტანის მომენტში იქ ვყოფილიყავ და მომესმინა. სიკო წინწალაშვილი შალვას ბიძაა, საშინელი ავყია, თავხედი და ყბედი; ვითომ ამ ცხოვრებას ვერ ეგუება, არადა სამშენებლო მასალებს მარცხვნივ-მარჯვნივ ყიდის და არაფრის ეშინია, რადგან „დიდი საიდუმლოებებით“ ამარაგებს არტემა კეჟერაშვილს. ამას კიდევ ჰგონია, მათი ურთიერთობის შესახებ არავინ არ იცის. – ლუკა არტემას მიაჩერდა. ის კი ამ მოულოდნელობისაგან კინაღამ სკამიდან გადმოვარდა. – ინფორმაციას უნდა ფლობდეთ, ოღონდ ობიექტურს, მისი ცოდნა საერთო საქმეს რომ წაადგება. პარაზიტი წინწალაშვილი, რომელიც სახალხო ქონებას ანიავებს, ქვეყნის მაცოცხლებელ ძარღვზე წურბელასავით მომჯდარა და სოციალიზმის სიკეთეს ამაში ხედავს, იმან ისეთი რა ინფორმაცია უნდა მოგაწოდოთ, სასიკეთო რომ იყოს. ვინც სძულს და ვისი ჯავრიც სჭირს ტყუილად რომ დაასმენს, ეს არის ინფორმაციის მიცემა?!

– საიდან იცი შენ ეს?! – არტემამ შეუტია.

– მარტო მე კი არა, ყველამ იმაზე მეტი იცის ვიდრე მე. ამიტომ მწყდება გული, რამეთუ მინდა ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ხალხის საკეთილდღეოდ კეთდებოდეს და არა ვიღაცა პარაზიტის ღვარძლიან დასმენას ემსხვერპლოს ხალხის ერთგული და ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანი.

– ვის გულისხმობ ღვარძლიან დამსმენად და ვის – ქვეყნის ერთგულ ადამიანად?! – შეუტიეს.

– ღვარძლიან დამსმენზე მოგახსენეთ ვინც არის, ქვეყნის ერთგული ადამიანი კი დიმიტრი დავარაშვილია; განა თქვენ ეს ჩემზე უკეთესად არ უნლა იცოდეთ?!

– ქვეყნის ერთგულებაა ხელისუფლებაში მექრათმეები და კარიერისტები არიან გამძვრალიო!

— სწორედ რომ ერთგულებაა! მექრთამეები, მომხვეჭელები, კარიერისტები, მლიქვნელები, უცოდინრები და უზნეოები ხელისუფლებაში ხალხის საუბედუროდ მიძვრებიან. ჰოდა, ვინც იმათ ხმამაღლა ამხელს ქვეყნის ერთგულია, აბა რა. განა ამგვარი ჭირის დაფარვა შეიძლება?! ის ხომ ბოლოს უბედურებად უნდა იქცეს. ბრეჟნევი რომ ორდენებზეა გადარეული, ეს თქვენც იცით და იმის მაგიერ, რომ მას ზომიერებისაკენ მოუწოდოთ, რატომ თქვეს სიმართლეო, ბრაზობთ. რომელ ერთს დაიჭერთ, როცა ყველა ასე ფიქრობს. ბრეჟნევს მთქმელი რომ ჰყავდეს და ისაც ისე მოიქცეს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს შეშვენის, აღარც თქვენ დაგჭირდებოდათ ხალხისათვის პირზე ხელის აფარება; დავარაშვილის გულისტკივილიც სწორედ ეს არის, მითქმა-მოთქმას კი არა, მისი გამომწვევი მიზეზის წინააღმდეგაა ბრძოლა საჭირო. ესა სურს ქვეყნის ყველა ერთგულ ადამიანს, ბრძოლა თუ სწორი მიმართულებით არ წარიმართა, შედეგი ძალიან სავალალო იქნება; ხალხის სოციალური კეთიოდღეობის ოცნებას შეიძლება გამოუსწორებელი საფრთხე შეექმნასო თქვა დავარაშვილმა. ახლა თქვენ ამიხსენით, ასეთი კაცი მტერია? — ლუკა დადუმდა. უშიშროების უფროსი გაშტერებული მისჩერებოდა; არტემაც ჩანაჩამოვარდნილი იჯდა და ხმის ამოღების სურვილს არ ამჟღავნებდა.

— რა ვქნათ? — უფროსმა თავისთვის ჩაილაპარაკა.

— ჩემი ოცნებაა, რომ ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ ვაჟკაცური შემართებით და სპეტაკი სინდისით ევლოს ყველას — ლუკამ უფროსს მიაპყრო თავისი კეთილი მზერა; უფროსმაც თბილად და თანაგრძნობით შეხედა. დატუქსვა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა, არტემასაც სულ გაჰქრობოდა ლუკას დაშინების სურვილი.

— წადი, შვილო, ოღონდ რაც აქ მოისმინე, დაივიწყე, არსად არაფერი არ თქვა, — უთხრა უფროსმა და ფეხზე ადგა.

— რაღაც ჭორებს მოვკარით ყური და ამ თემაზე საუბარი შენთან გადავწყვიტეთ მხოლოდ, რადგან გვითხრეს, რომ სიმარ-

თლეს ეგ ბიჭი იტყვისო. სიკო წინწალაშვილს კი ისე უბრალოდ ვიცნობ და ერთი-ორჯერ სადილზე დამპატიჟა. არც შალვამ და გრამიტონამ ამის შესახებ არაფერი არ იციან. მოკლედ, შენც დაივიწყე, რაც აქ მოისმინე, — კეჟერაშვილმა დაუყვავა.

— კარგი ბიჭი ჩანხარ, ტყუილად არ გაქებდნენ. შენს ასაკთან შედარებით კი ძალიან მძიმე ტვირთის აწევას ეპოტინები. არა, ცუდი კი არ არის, განგება ამგვარი ნიჭით და ენერგიით მხოლოდ მის რჩეულ ერთეულებს აჯილდოვებს. შენი ბედი, რომ არც ჩვენ შეგხვდით ცივსისხლიანი ხისთავიანები, რაც იშვიათი არ არის შენი დირექტორის გულისტკივილის გათვალისწინებით, — უფროსმა ლუკას ხელი გაუწოდა, — აბა, კარგად იყავი, ისე ჩათვალე, რომ ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა; შენს გარდა არც არავინ არ იცის.

ლუკამ უფროსს ხელი ჩამოართვა, — გმადლობთ, გულთბილი საუბრისათვის, კარგად ბრძანდებოდეთ! — თქვა და კარებისაკენ წავიდა, უცებ შეჩერდა, მოტრიალდა და კედელზე ჩამოკიდებული ქუდს მიაჩერდა.

— დათოსია, წავიღებ ამისათვის მობრუნება რომ არ დასჭირდეს, — ითხოვა.

უფროსი და კეჟერაშვილი ერთმანეთს გაკვირვებით მიაჩერდნენ, უფროსს ირონიულად ჩაეღიმა, ჩაფიქრდა, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თავისთვის ჩაილაპარაკა: — წაიღე.

ლუკამ კედლის ლურსმნიდან დათოს ქუდი აიღო და უხმოდ გავიდა გარეთ.

უფროსი და კეჟერაშვილი უხმოდ ისხდნენ.

— ეს რა ბიჭი იყო, კაცო, სულ არ შეგვიტრიალა გეგმები, — კეჟერაშვილმა ჩაილაპარაკა.

— სიმართლე თქვა. თანაც როგორი პატიოსანი, გამბედავი და შემტევია; იშვიათია ამგვარი ახალგაზრდა, მაგის მოფრთხილებაა საჭირო, უხეში მოპყრობით რომ არ წაახდინონ, — უპასუხა უფროსმა.

— შეგვეძლო მაგრად დაგვეჭედა და კამერაშიც გვეწრუწუნ-

ებინა, მაგრამ რაღაც ადამიანზე ზემოქმედების უნარით დაჯილ-დოვებული ჩანდა; მაგის დასჯას ვერ ვიკადრებდით, — დაასკვნა კეჟერაშვილმა.

— ეს რომ გვეკადრა, იმათ კატეგორიაში გადავიდოდით, ვისაც ეს პატიოსანი ბიჭი და მისი დირექტორი ამხელენ. იმ დათოს ქუდივით გაგვიმჟღავნდებოდა ჩვენი ხისშუბლიანობა. არავინ იცის, რა დრო მოვა. იქნებ ყველას მოეკითხოს უკუღმართი ცხოვრებით გამრავლებული ცოდვები, — ღრმა ფიქრებიდან თქვა უფროსმა.

კეჟერაშვილი მაგიდასთან იჯდა და მოპირდაპირე კედელს მიშტერებული თითებს აწვალებდა.

## ცთუნების ჭიდილი ნებისყოფასთან

აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი ლუკა სტუდქალაქში გვიან დაბრუნდა. გარეუბნის სასათბურე მეურნეობაში მუშაობდა, თან სამბოში აქტიურად ვარჯიშობდა. მწვრთნელი მისი ფიზიკური მონაცემებით გაკვირვებული იყო და განსაკუთრებით ზრუნავდა. ლუკა სათბურში კვირაში ორ დღეს ცხადდებოდა. ხელმძღვანელი ისეთი კმაყოფილი იყო მისი მუშაობით, რომ მთელი თვის ხელ-ფასს უწერდა. ლუკა სოფელში ბაბოს არაფერს აკლებდა. სტი-პენდია და ხელფასი ჰყოფნიდა, სამაგიეროდ თავისუფალი დრო თითქმის არ ჰქონდა.

დაძაბული ვარჯიშიდან დაბრუნებულმა ლუკამ ჩანთა კუთხე-ში მიაგდო, ფეხზე არ გაუხდია, საწოლზე გულაღმა გადაწვა, ხელები თავით ამოიდო და ჭერს მიაჩერდა, სხეულში მოშვებუ-ლობას გრძნობდა, კუნთები სასიამოვნოდ უბჟუოდა, ამხანაგი მაგიდასთან იჯდა და რაღაცას წერდა.

— საჭმელი არაფერია? — ლუკამ იკითხა.

— ისე ვართ, თაგვიც ვერაფერს იპოვნის, — სიცილით უპასუხა ამხანაგმა.

— მაშინ სასადილოში წავიდეთ, ცოტა ფული მაქვს, — ლუკა იმავე პოზაში იწვა და ისე ლაპარაკობდა.

— სასადილოში კი არა, კლარა იყო, რაღაც ქაღალდში შეხვეული მოგიტანა, თანაც წერილი დაგიტოვა, როგორც მოვა, მაშინვე წაიკითხოსო.

— სად არის?

— შენს კარადაზე დევს.

ლუკა დაუდევრად გადასწვდა, წერილი გახსნა, იქიდან თეატრის ბილეთები გადმოვარდა. წამოჯდა, წერილის კითხვა დაიწყო:

ლუკა! რუსთაველის თეატრის ბილეთები მოგიტანე, დღეს პრემიერაა, ორი ბილეთი ძლივს ვიშოვნე, რვა საათამდე დაგელოდები, თუ არ მოხვალ, ვერც მე შევალ.

— უხ, რომ იცოდე, როგორ მეზარება, შენ მაინც მიდიოდე.

ქაღალდში შეხვეული ლამაზი ყუთი გახსნა და იქიდან ელექტროპირსაპარსი ამოიღო — რანაირი ხარ, კლარა, რით გადაგიხადო ეს პატივისცემა?! — შეშფოთებულმა ჩაილაპარაკა და საათს დახედა.

— ბიჭოს, უკვე საღამოს შვიდი საათია. უჩემოდ ივახშმე, მე კი უნდა ვიჩქარო, არ დამაგვიანდეს. ორივე ბილეთი აქ დაუტოვებია. რომ დაეწერა, უშენოდ მე მაინც შევალო, მაშინ რა მიჭირდა, დინჯად ვივახშმებდით, — ღიმილით თქვა და წასასვლელად წამოდგა...

ლუკას დანახვით გახარებული კლარა სირბილით მიეგება, გადაკოცნა და წინ გაუძღვა.

— ჩქარა, ლუკა, გვაგვიანდება, დაწყებამდე ადგილების დაკავება მოვასწროთ.

პარტერის მერვე რიგის ნაპირა სკამები დაიკავეს. დარბაზში სასიამოვნოდ თბილოდა. სცენაზე სუფრა გაშალეს; ლუკას ნერწყვი მოადგა:

— ერთი მაგათ გვერდით დამსვა, — ინატრა. — შესვენებაზე თუ არაფერი შევჭამე, შიმშილით ვეღარაფერს გავარჩევ; ისე უცებ გამოვიქეცი, ჭამაც ვერ მოვასწარი.

— არა უშავს, სამაგიეროდ ჩემთან კარგი პურმარილი დაგხ-

ვდება, მამამ გუშინ ჩამომიტანა, რა გინდა რომ არ მქონდეს...

შესვენებაზე თითო ნაჭერი ხაჭაპური შეჭამეს; ლუკამ შიმშილი ნაწილობრივ დააცხრო. ახლა დაღლილს, რბილ სავარძელში თბილად მოწყობილს ძილი მოერია, რამოდენიმეჯერ ჩამოაკანტურა. კლარამ მისი ხელი მუხლზე დაიდო და ნაზად ეფერებოდა. სავარძელში განცხრომით მჯდარი ლუკა მთელ ენერგიას მოძალებულ ძილთან ბრძოლას ახმარდა.

კლარას ბრძოლის ქუჩაზე სამოთახიანი ბინა ჰქონდა. მშობლები დედისერთა შვილს თავზე ევლებოდნენ და არაფერს არ აკლებდნენ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე პირველსავე წელს მოეწყო და სტუდენტობის დღეებს მხიარულად ატარებდა.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ფეხით წავიდნენ. კლარამ ხელი გაუყარა, მის მხარზე მიკარული თავს ბედნიერად გრძნობდა; თან გაუთავებელი ამბების მოყოლით ართობდა.

კლარა სუფრას შლიდა, ლუკა უკვე მიუჯდა მაგიდას. ღორის შაშხი, ცხვრის ყაურმა, გუდის ყველი, შოთის პური, ცივად მოხარშული დედალი და სურნვლოვანი – ჩაის ფერი კახური მაძღარსაც მადას გაუღვივებდა.

– კლარა, სწორედ ნატვრასავით მომევლინე, – ლუკამ ჭიქაში ღვინო დაისხა. – შენ გაგიმარჯოს, სულ ბედნიერად მყავდე! – ადღეგრძელა და ჭიქა სიამოვნებით გამოცალა.

– გმადლობ, ლუკა, გენაცვალე. როცა შენ კმაყოფილი ხარ, ჩემი ბედნიერებაც ეგ არის, – ტაფაზე შემწვარი სუკები გამოიტანა, ღვინო ჭიქაში ნახევრად დაისხა. – ღმერთმა შენი თავი კარგად მიმყოფოს, ლუკა! – თქვა და ჭიქა გამოცალა. – რაღაცრაღაცეებს ვაცხობ, ლუკა, იმასაც მოვიტან და მოვალ; მეტი მოსატანი აღარაფერი მექნება.

– მეტი რაღა უნდა გქონდეს, დარჩა რამე?

– დარჩა. ხაშლამა დამავიწყდა, – კლარამ დიდი მათლაფით ხაშლამა გამოიტანა და მაგიდის შუაგულში ჩადგა.

ლუკა ხუმრობის ხასიათზე დადგა:

— მარილი აყრია? ჩადგმით არის თუ ჩამოტარებით?

— თამამად ჭამე, ლუკა, ჩადგმით არის, მარილიც აყრია; თანაც იმდენია ძვლიანი აიღე, გემრიელია, — ორივემ მხიარულად გადაიხარხარეს.

ლუკამ მეორე ჭიქა შეავსო და კლარასაც დაუსხა. თავისი ჭიქა კლარასას მიარტყა და ხმამაღლა თქვა, რომ სამზარეულოში მოფუსფუსეს გაეგო: — ჩვენი მეგობრების სადღეგრძელო იყოს, კლარა!

— გაუმარჯოს ჩვენს მეგობრებს! აი, მეც მოვდივარ, — კლარამ ანტრიკოტი შემოიტანა, თეფში მაგიდაზე დადგა და თავისი ჭიქა აიღო. ახლა კლარამ დაურტყა ჭიქა. ლუკამ ბოლომდე დალია.

— ვახ. რა გემრიელი და თანაც რა მაგარი ღვინოა, სულ ძარღვებში მიდის, — დააყოლა.

— ლუკა, მეც დავლიო?

— არ გირჩევ, თუ გინდა, ცოტა მოსვი.

— არა, დღეს მც უნდა დავთვრე; ასეთ საუცხოო ხასიათზე კარგა ხანია არ ვყოფილვარ, — კლარამ ჭიქა გამოცალა.

— უუუჰ, რა მაგარია! — კლარამ პირზე მოისვა ხელი.

ლუკა ჭამას დინჯად განაგრძობდა.

— თუ ხვდები ჩვენს თანაკლასელებს, კლარა? მე ისე ვარ გადატვირთული, რომ ზაურისა და დათოს გარდა ვერავის ვნახულობ; იმათაც იშვიათად თუ მომაკითხეს — ხოლმე, — ჭამა არ შეუწყვეტია, ისე თქვა.

— ბიჭებიდან მარტო ეგენი არიან ქალაქში. ზაურს ინსტიტუტში ხშირად ვხვდები. ავტოინჟინრები ჩვენთან ახლოს არიან; ერთ ლამაზ გოგოსთან დადის, ლალი ჰქვია.

— ლალის ვიცნობ, კარგი გოგოა.

— დათო სამხატვრო აკადემიაში ვერ მოეწყო, ახლა სადღაც სახელოსნოში მუშაობს, თან ჩასაბარებლად ემზადება; თუმცა მე რას გიყვები, ჩემზე უკეთ გეცოდინება, სულ ერთად ხართ ალბათ.

— სულ არა, მაგრამ როცა დრო აქვს გამომივლის ხოლმე.

— შალვა რაც გამოცდებზე ჩაიჭრა, სულ გაიძახის, პროკუ-

რორი უნდა გავხდეო და იურიდიულზე დაუსწრებლად ჩასაბარებლად ემზადება. ამალია პუშკინის ინსტიტუტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობს; მარინე უნივერსიტეტში – ისტორიულზე. თუმცა ეს შენ ჩემზე უკეთ არ იცი.

– ჰო, ვიცი. – ღიმილით თქვა ლუკამ. – აი, გრამიტონასი კი არაფერი გამიგია.

– გუშინ ზაურთან ვიყავი, იქ დამხვდა, მეფრინველეობის ფერმაში უმუშავნია ბრიგადირად; ვიღაცა შეპირებია ზოოვეტინსტიტუტში მოგაწყობო; დიდი იმედი აქვს.

– მაშ, ხვალ ბიჭებს ვინახულებ, – ლუკამ ჭიქა შეავსო. მოდი გრამიტონას მისიის წარმატებისა შევსვათ. ეს ჭიქა სიამოვნებით უნდა დალიო, კლარა, თანაკლასელებში შენ ყავდი სალოცავ ხატად, – ლუკა ღვინოს ნელა-ნელა წრუპავდა და თან კლარას უყურებდა.

– ლუკა, რატომ დამცინი, განა გრამიტონასთვის გემეტები?! – კლარას თვალებზე ცრემლები მოადგა.

– ხუმრობა ვერ გამიგე, შენ ისეთი ძვირფასი გოგო ხარ, კლარა, რომ არავისთვის ამ მემეტები! – დაამშვიდა ლუკამ. მისმა ცრემლებმა გული ატკინა.

კლარას თვალები გაუბრწყინდა, წამოდგა, ეტყობა გემბედაობა ღვინომაც შესძინა; ლუკას ზურგიდან მოუარა, ორივე ხელი ლოყაზე ნაზად მოუთათუნა – არც შენთვის გემეტები, ლუკა? – დაიხარა და აბრეშუმივით რბილ თმაზე აკოცა.

ლუკამ ხმა ვერ ამოიღო.

კლარა მუხლებზე ჩამოუჯდა. მოეხვია და თავისი ცხელი, ფაფუკი ტუჩებით კოცნა დაუწყო – მიყვარხარ. ლუკა, სიგიჟემდე მიყვარხარ! – ვნებიანად ჩურჩულებდა.

ლუკას ქალის ნაზმა, ვნებით გაჟღენთილმა სურნელმა თავბრუ დაასხა, ღვინით გამთბარი და მშვენიერი ასულის ალერსით ადუღებული სისხლი თავში ეცა. ცთუნება ძალიან დიდი იყო. მცირედი უმნიშვნელო სისუსტე და დაუოკებელ, აღელვებულ ვნებათა მორევში ორივე ჩაიძირებოდნენ. „არა, ეს არ უნდა მოხდეს, თორემ

ისეთ ძვირფას მეგობარს დავკარგავ, როგორიც კლარაა“, – გაიფიქრა ლუკამ, ნებისყოფა და საღი გრძნობა დაძაბა, კლარა იქვე მაგარ სკამზე გადასვა, დაიხარა და შუბლზე აკოცა; მერე აღელვებულმა ოთახში რამოდენიმეჯერ გაიარ-გამოიარა.

კლარას ორივე ხელი სახეზე აეფარებინა და ასე თავდახრილი იჯდა.

ლუკამ კლარას წინ დაიდგა სკამი, ჩამოჯდა, ისევ იმ პოზაში მჯდომ გოგოს დააკვირდა; ლაპარაკი დინჯად დაიწყო, მაგრამ ხმა უკანკალებდა: – კლარა, უზომოდ მიყვარხარ! – ამის გაგონებაზე გოგომ თავი მაღლა აიღო და ანთებული თვალებით შეხედა, – მიყვარხარ, როგორც უაღრესად ძვირფასი მეგობარი, – ლუკამ გააგრძელა, – შენთვის სიცოცხლეს არ დავიშურებ. დამიჯერე, კლარა, შეიძლება ახლადნელი დაუფიქრებლობით ჩვენი ეს წმინდა და სპეტაკი სიყვარული მოვწამლოთ. ვიცი ამის შემდეგ საყვარელი ადამიანი, რომელთანაც ფიცით ვარ შეკრული, უნდა დავკარგო. განა ეგოისტი ვარ და ჩემ თავს ვუფრთხილდები? ამით სამ სიცოცხლეს გავამწარებ, იმისას და შენსას. არ მინდა, რომ ვინმემ მოღალატე და ვერაგი დამიძახოს; ამის გამო, ვაითუ, შენც სათანადო მეგობრობა ვერ გაგიწიო და დაგღუპო! ყველაფრის რწმენა უნდა დავკარგო და შენი სიყვარულიც ზედ მიჰყვეს. არადა, როგორი ბრწყინვალე და განუმეორებელი მეგობარი ხარ; შენ რომ ხელი მკრა და მეგობრობა გაგიცივდეს, ამ საშინელი განცდის წარმოდგენაც მზარავს. მუდამ შენს ბედნიერებაზე მლოცველი ვარ და თავს უფლებას არ მივცემ შენი, სხვისი და ჩემი უბედურების მიზეზი გავხდე ცთუნებული ნებისყოფის გამო! – ლუკა ადგა, ჭიქაში ღვინო დაისხა და სულმოუთქმელად გადაჰკრა. – კლარა, გემუდარები, ნუ შემიძულებ, შენი მეგობრობის ბედნიერებას ნუ მომისპობ!

კლარა ფეხზე აჟგა, ლუკას თვალებში შეხედა: – შეუდარებელი ხარ, ლუკა, ალბათ ამიტომაც მიყვარხარ ას გაგიჟებით. განა არ ვიცი, რომ შეუვალი ხარ და ცთუნება შენთვის უცხოა; რა ბედნიერია მარინე ასეთ ვაჟკაცს რომ უყვარს, მაგრამ ვაი, რომ ამას ვერ მიხვდება. სულ იმის შიში მაქვს, შენი ადამიანობის

დონეზე ვინც ვერ ამაღლდება, სიყვარული მდაბალი და შენი სპეტაკი სულისთვის უცხო ექნება; ამით შენი გაწბილება კი ჩემთვის ტანჯვაა, ლუკა! – კლარა აქვითინდა და ისევ განაგრძო: – არა, ლუკა, შენ ჩემ საბედნიეროდ არა ხარ დაბადებული, მხოლოდ ჩემი წამებისათვის გაგაჩინა განგებამ! – კლარა მოეხვია და კოცნა დაუწყო: – ამ ღამეს მაინც დარჩი ჩემთან, ერთი ღამის ბედნიერება მაინც მაჩუქე, რომ ეს ღამე საუკუნედ მექცეს, – შეეხვეწა.

ლუკა აილეწა. ღვინით შეხურებული კლარა ვნებიანად ეფერებოდა.

– გონს მოდი, კლარა! გახსოვდეს, ჩვენს მეგობრობას ისე ვუფრთხილდები, მას ვერავითარი უგუნური საქციელით ვერ წავბილწავ; შენც გთხოვ. ასევე მოიქცე. ეს ერთი ღამე მხოლოდ მოგვიწამლავს სიცოცხლეს, ჩვენს მეგობრობას ისე დაამსხვრევს, რომ მისი გამთელება შეუძლებელი გახდება. ახლა დაწყნარდი, საუბარი სხვა დროს გავაგრძელოთ, – ლუკა კლარას მოეხვია, შუბლზე აკოცა და, გოგო სანამ გონზე მოვიდოდა, უკვე ქუჩაში იყო.

ქალაქი ხმაურით იღვიძებდა.

ლუკამ აჩქარებით მიმავალ კაცს გაუსწრო და შენობის კუთხეში გაუჩინარდა.

## ძლიერი მამაკაცია გრამიტონა

ზაურს თბილისში ბინა ჰქონდა, მარტო ცხოვრობდა, ხშირად სოფლიდან ჩამოსული ახლობლები მასთან ჩერდებოდნენ. გრამიტონმაც თბილისში პირველი წასვლა ზაურის იმედით გაბედა. ტაქსის მძღოლს მისამართი უთხრა და მთელი გზა გულის კანკალით გალია, ვაი თუ შინ არ დამხვდეს, ან ბინას ვერ მივაგნო, მაშინ რა მეშველებაო. ახლა, რადგან ამ ამბავმა კეთილად ჩაიარა, ისე ამაყად ეჭირა თავი, თითქოს ვატერლოოს ბრძოლა მოეგო.

– შენ თბილისში ტარება მოსწავლე და მერე მე ვიცი, – ეუბნებოდა ზაურს.

ლუკა რომ შევიდა მათთან, ამ თემაზე ლაპარაკობდნენ.

— გრამიტონას გაუმარჯოს! — ლუკამ ხელები გაშალა, გრამიტონა წამოხტა, კისერზე ჩამოეკიდა და მკერდში ბალღივით ჩაეხუტა.

ლუკა ახლა ზაურს მიუბრუნდა, ხელი ჩამოართვა, მხარი მხარზე მიარტყა და გაულიმა: — ბიჭო გრამიტონა ქალაქშია და არ გამაგებინე?! — უსაყვედურა.

— რა ვქნა, ძმაო, შენი ძებნით დავიღალე; რამდენი მოვალ, სახლში არა მხვდები. ხომ გაგიგონია! ვდიე და ვერ დავიჭირე, დავჯექ და მოვიცადეო. ახლა ვცდილობ, სახლში ხშირად ვიყო, იქნება როდისმე გამომიაროს და ვნახო-მეთქი, — სიცილით უთხრა ზაურმა და სიყვარულით ორივე ხელი მოხვია.

ლუკა სკამზე დაჯდა, თავისი ჩვეულებისამებრ ორივე ფეხი გაჭიმა და გრამიტონას მიმართა! — გრამიტონ,მოგვიყევი სოფლის ამბები, რამდენი ხანია იქ არ ვყოფილვარ; მერე კიდევ შენი თქვი, იქნებ რამეში გამოგადგეთ.

— გრამიტონა ზოოვეტინსტიტუტში დაუსწრებლად აბარებს, — საქმის ვითარება გააცნო ზაურმა.

— საგნები მზადა გაქვს? — ლუკა შეეკითხა.

გრამიტონს ირონიულად გაეცინა: — საგნებისთვის სადა მცალია, დღე და ღამე ფერმაში იცი რა დღეში ვარ?!

— აბა, მაშინ რა ვქნათ? — ლუკამ მოიწყინა.

— შენ მაგაზე ნუ დარდობ, ეგ საქმე განაღდებული მაქვს; ღმერთმა ბატონი ტარას ზარიძე მიცოცხლოს! — ამაყად თქვა გრამიტონმა.

— ვინ არის ეგ ზარიძე?

— ჩვენს კოლმეურნეობაში იყო რამდენიმე დღე, მექათმეობის შესახებ რაღაც მასალები სჭირდებოდა, ზოოვეტინსტიტუტში ლექტორია; სულ იმას ვემსახურებოდი. ჩემი მდგომარეობა გაიგო და შემპირდა, დაუსწრებლად მოგაწყობო. ფიფო დავითიჩმაც ძალიან სთხოვა, ყოჩაღი ბიჭია, ჩემი მარჯვენა ხელიაო; მეც მაგარი პატივი ვეცი; ახლა გამომიძახა, ჩამოდი, უნდა მოგაწყოო.

— გამართულხარ კაცი და ეგ არის, — ლუკამ ხელზე ხელი დაურტყა.

— მაგ ზარიძემ იცის, რომ სასომხეთის დედაქალაქი ბაქოა; — ღიმილით შეეკითხა ზაური.

— შენც ერთი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომ იყო, მე ის ვთქვი, — თავი იმართლა გრამიტონმა.

— ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბაქო სასომხეთის დედაქალაქი იყო?

— ბიჭო, დავარაშვილს მე ღრმა ცოდნა ვაჩვენე.

— მართალია, ასეთი ღრმა ცოდნით შეხვალ ინსტიტუტში, — ლუკამ შეაქო.

— აბა რა, რაც მე ქათმების ფერმაში ვისწავლე, ზარიძემაც არ იცის: სულ გადავრიე.

— მაინც რით გადარიე?

— პირუტყვებზე და საქონელზე ისეთი რამეები ვუთხარი, კაცი სულ გადარეული შამამყურებდა.

— რაღაც-რაღაცებში მეც ვერ ვერკვევი, თუ ძმა ხარ, ეგ შენი ქათმები პირუტყვები არიან თუ საქონლები? — ზაური დიდი ინ-ტერესით შეეკითხა.

— ქათამი პირუტყვია, — გრამიტონს დამცინავად გაეღაიმა, თითქოს ამბობდა, რა ელემენტარული საკითხი არ იციო.

— საქონელი რაღაა?

— საქონელი არის ძროხა.

— ძროხა პირუტყვია აღარაა?

— მე ხომ გითხარი, პირუტყვი ქათამია-მეთქი.

— ჰოოო, — ზაურმა თავი მოიფხანა, — მაშინ კამეჩი რაღაა?

— კამეჩი კამეჩია.

— არც პირუტყვია და არც საქონელი?

— ორივე როგორ იქნება, — ავტორიტეტულად განმარტა გრამიტონმა.

— ბიჭო, კამეჩი კვერცმდებლებში გადის, საქონელი ან პირუ-ტყვი როგორ იქნება, — ლუკაც ხუმრობის ხასიათზე დადგა.

— კამეჩი კვერცხს როდის დებს, ცოცხლად შობს, — განმარტა გრამიტონმა.

— ეგ შავი კამეჩი, თეთრი კამეჩი ცოცხლად რომ იგებდეს, თეთრი როგორღა იქნებოდა?

— ვა�ა, ეგ კი არ გამიგია.

— შავი კამეჩიც მოგების შემდეგ, ყველა მოწველის წინ შავ კვერცხს არა დებს. ამას წინათ შენი ფიფო თავმჯდომარე გაბრაზებული იყო, კამეჩის კვერცხებს მპარავენო, — თქვა ზაურმა.

— ჩემთვის ფიფო დავითიჩს ეგ კი არ უთქვია.

— არც ღორებზე უთქვია?

— მე ხომ ღორებში არა ვარ, რას მეტყოდა.

— ეხ, გრამიტონ, ჩვენ ქალაქში ვიგებთ, კოლექტივში რა ხდება, შენ ეგრე როგორ ჩაეფალ მექათმეობაში, რომ ასეთი რამეები გამოგრჩა. ალაზნის პირას მეღორეობის ბრიგადა რომ დგას გარეული კერატები შეჩვევიან და ღორები სულ იმათ დაუმაკებიათ; სულ გარეული გოჭები დაუყრიათ, ისინიც გარეულები დაზრდილან. ჰოდა, მეზობლად მეძროხეობის ფირმას შესევიან, ხბოები სულ დაუჭამიათ, ძროხები კიდევ ისე დაუგლეჯიათ, თურმე სანახევროდაც ველარ იწველებიან. იმ დღეს შენი ფიფო დავითიჩი აქ შეგვხვდა, გადარეულია კაცი, ხბოებს ვიღა ჩივის, რძის გეგმა ველარ შემისრულებიაო.

— რა ეშველება ახლა ამ საქმეს? — გრამიტონი შეწუხდა.

— ჩვენ აქ გვითხრეს, კერატები სასწრაფოდ უნდა დაიკოდონო.

— დედლები აღარ იკბინებიან?

— დედლები კიდევ შინაურ კერატებთან უნდა შეყარონ, ისინი დააწყნარებენ.

— აი, ეგეთია, ძმაო, პრაქტიკა, ზარიძე ამნაირებზე აზრზე არ არის. ინსტიტუტი რა საჭიროა, ჩამოვიდნენ იქ და ნახონ, გარეული კერატების მიერ დაგრილებული ნეზვები როგორ ძროხიგლეჯია გოჭებს ბადებენე. ეს ოხერი დიპლომი კი საჭიროა თანამდებობაზე რომ გაიქაჩო, თორე რაც მე ვიცი, იმაზე მეტი იმ ინსტიტუტში რა უნდა მასწავლონ, — გრამიტონი ტრაბახის ხასიათხე დადგა.

— ამგვარი საუბრების შემდეგ შეგპირდა ზარიძე, რომ უმაღლესში მოგაწყობდა? — გაკვირვებით ჰკითხა ლუკამ.

— საუბრითაც ხომ გადავრიე, ახლა ძღვენით და საჩუქრებით ავავსე; გაკვირვებული იყო, ეს რა ბიჭი ყოფილა, ინსტიტუტში კი არა, აკადემიაში მოვაწყობო.

— მთავარია ძღვენის სიმძიმე, თორე აკადემიაში მოწყობას რა უნდა არა?

— მე ინსტიტუტში, ან აკადემიაში რა უნდა მასწავლონ, ჩემი ცოდნის კაცს სწავლაღა უნდა?! — გრამიტონი თვითკმაყოფილად იღიმებოდა.

ლუკა ღრმად ჩაფიქრდა, დავარაშვილის ნათქვამი გაახსენდა: „მომხვეჭელობა, მექრთამეობა, კოლუფცია, თვალთმაქცობა, კანონების გამრუდება, ძალადობა, პოსტებზე ანგარებით და ძმაბიჭობით გაძრომა... ამგვარი სისაძაგლე ხრავს ჯანმრთელ ორგანიზმს“. „ნუთუ ის ზარიძე თუ მიხვდა გრამიტონის ჭკუის სიბნელეს, მისი ინსტიტუტში ჩარიცხვით სასაცილოდ არ ხდის განათლების სისტემას? ამგვარი კაცი ქვეყნის და ერის მოღალატედ არ უნდა ჩაითვალოს?! რა ეშველება ამ ქვეყანას ზარიძეთა და განათლებულ გრამიტონთა ხელში“!

— რაღა გაგიჭირდება, გამართულხარ კაცი და ეგ არის. ზარიძესთანა პატრონი თუ გყავს, წერაკითხვაც რომ არ იცოდე, აკადემიკოსად გაგქაჩავს! — აღფრთოვანებით თქვა ზაურმა.

— გაჭირვებით კი ნამდვილად მიჭირს, ჩემთვის ბინის შოვნა მინდა. ფერმაში ფული გავაკეთე, მოკლედ, ლევის გაჩალიჩების ოსტატი ვარ; ჩემს ბინაში გოგოებს მოვიყვან, ჰურ!მარილი, რამერუმე, მე ეგეთები არ მეშლება, — გრამიტონმა ამაყად გაიღიმა.

— ვის გოგოებს მიიყვან, ბიჭო! — ლუკას გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა.

— ვისა და, თქვენ რა გესწავლებათ, იმნაირი გოგოებით სოფელი სავსეა, აქ კიდევ ხომ ფეხს ვერ აუქცევ. მოკლე, მეც ეგ მიყვარს, ფულიც მაქვს და სხვა რაღა უნდა მაგ საქმეს!

— სხვაც უნდა, გრამიტონ.

— რა, კაცო?

— რა და კაცობა.

— ჩემნაირი ძლიერი ამ საქმეში დუნიაზე არ დადის, — გრამიტონი გაიჭიმა.

— ხა, ხა, ხა! — ლუკა და ზაური ახარხარდნენ.

— ჰოდა, როცა მაგ საქმეზე მიდიხარ, ჯერ კაცობიდან უნდა დაიწყო, ფული კი მუხლბოში მამაკაცების საქმეა, — სიცილით უთხრა ზაურმა.

— კაცო, თქვენ ბინა მაშოვნინეთ, მერე ნახავთ, რა ბიჭი ვარ!

— კეჟერაშვილმაც ხომ ეგრე შეგაქო, კარგი ბიჭი ხარო, — ღიმილით უთხრა ლუკამ.

— ეგ ვიღაა?! — გრამიტონი სკამზე შეხტა.

— დავარაშვილის ბოლო გაკვეთილით რომ დაინტერესდა, — ლუკამ არ იცოდა, რა ჰკითხეს, მაგრამ წარმოდგენილი ჰქონდა, როგორი საუბარი ექნებოდა გრამიტონთან.

— ჰო, მე თამამად ვუთხარი, კრეტინი არა ვარ-მეთქი. შენზეც ვუთხარი, ძალიან მაგარი რომ ხარ და არაფრისა არ გეშინია. ჩემი მაგარი ძმაკაცია-მეთქი. ისეთ დღეში ჩავაგდე, სულ მეძახდა, რა კარგი ბიჭი ყოფილხარ, კრეტინს სულაც არ გავხარო. დამიჯერე, ლუკა, შენზე სულ კარგები ვილაპარაკე, — გრამიტონი შეშინებული ცოდვიანივით ლაპარაკობდა.

— კარგი, გრამიტონ, მჯერა, აბა არა მჯერა? შენ ეგ მითხარი, სტუდქალაქში არ იცხოვრებ?

— როგორი ბინაა?

— კომენდანტს ვეტყვი და სანამ აქ იქნები, რაღაცას მოგიხერხებს. შენ კიდევ ლამაზმანებს დააკელი ეგ ოხრად ნაშოვნი ფულები და კომენდანტისათვის გადადე; რამდენი ჩამოხვალ, ბინას ყოველთვის მოგიხერხებს. შენი ამბავი რომ ვიცი, ისეთ შანსებს დაატრიალებ, აქეთ გვეხმარებოდე იქნებ. — შეაქო ლუკამ.

— იმ კომენდანტს იგრე დავაბამ, სულ გრამიტონას იფიცებოდეს.

— ხვალ დილიდან სამუშაოზე ვიქნები, დამაგვიანდება. თუ

მანამდე მიხვალ, კომენდანტი ვახო იკითხე, ბინა მე უკვე გასინ-ჯული მექნება, ის დაგაბინავებს.

— ბინა აგერ აქ არ არის, აქ იყოს რამდენი ხანიც უნდა, მაგრამ არა შვრება და რა ვქნა! — საყვედურით თქვა ზაურმა.

— არა, ძმაო, მე როცა მინდა, გოგო მაშინ უნდა მოვიყვანო, სხვანაირად ვერ ვივარგებ; ქალაქში იმდენი ლამაზმანები ირევიან, მოვლა არ უნდა?! — გრამიტონი გაიფხორა.

— ბიჭოს, რა მოგსვლია, გრამიტონ, ძროხებს რომ აჭმევენ, ის წამალი ხომ არ შეგეჭამა შემთხვევით. აბა, ბიჭო, მთელი თბილისის ლამაზმანები ქუჩაში გამოსულან, გრამიტონა ჩამოსუ-ლაო. ბალღო, ცოტა ფრთხილად იყავ, ეგ თავპირი არავინ აგინ-თოს. ეტყობა ფერმაში სქელი ფროსია რომ გყავთ ქალის გემო გაგაგებინა და გგონია, მთელი საქალეთი შენია. სოფლის მწყემ-სებმა პირველი გამოცდა იმასთან ჩააბარეს, შენ-თანამედროვე დონ ჟუანი მომენტს რას გაუშვებდი, — შეახურა ზაურმა.

— კარგი, ზაურ, რას ბრაზობ, კაცმა მოჭარბებული ენერგია სადღაც ხომ უნდა დახარჯოს. გრამიტონ, მაგ ენერგიის ნაწილი მეცადინეობას მოახმარე და უფრო მაგარი ბიჭი იქნები, — ლუკამ დაუყვავა.

— ვიმეცადინებ, კაცო, მაშ რას ვიზამ. ფიფო დავითიჩი ისე მენდობა, მალე მთელ ფერმას ჩამაბარებს; მეც ვუმართლებ, ჩემზე ერთგული კაცი იშვიათია. იცით, რა საქმეებს მანდობს? აი, მაგ-ალითად...

— მოიცა, გრამიტონ, მოიცა! — ლუკამ შეაჩერა, — რაც არ გვაინტერესებს, ნუ იტყვი.

— ეგ რაა, თვითონ ზაალ დიმიტრიჩს, — გრამიტონმა ხმას დაუწია, — რაიკომის მდივანს შვილივითა ვყევარ. ფიფო დავით-იჩმა დამაახლოვა. ახლა იმაზე მეტი ავტორიტეტი მაქვს ზაალ დიმიტრიჩთან, ეგ კი არა, თუ წესიერად არ იქნება, როცა მინდა, მაშინ მოვაძრობინებ, — ჩურჩულით, საიდუმლოდ გაანდოთ.

— ახლა არა თქვი, ფიფო დავითიჩმა დამაახლოვა, ჩემზე ერთგული კაცი იშვიათიაო, რაღად უნდა მოაძრობინო? — ლუკა შეეკითხა.

— მე კოზირი მიჭირავს ხელში, როცა დამჭირდება, გამოვიყენებ. მაშ რა ჰგონია, თავმჯდომარე რომ არის, ჩემზე მაგარი ბიჭია თუ რა?! — გრამიტონი გაიჭიმა.

— ეს მახინაციები ვინ გასწავლა?

— ცხოვრებამ მასწავლა, ძმაო, ცხოვრებამ! — გრამიტონი გაიფხორა, ეგონა, საქციელი მომიწონესო.

— ბალღო! — ლუკამ ახლა კი ვეღარ მოითმინა და მის თვალებში რისხვა აკვესდა, — ღალატით სული არ დაიახინჯო, თორე მერე ვერავითარი წამალი ვეღარ გიშველის!

გრამიტონმა მის სახეს რომ შეხედა, შიშისგან ენა ჩაუვარდა.

ლუკა ბიჭებთან დარჩენას აპირებდა, მაგრამ იგრძნო, რომ გრამიტონის სიმუხთლის ბოდვას ვეღარ მოითმენდა და წასვლა ამჯობინა.

— ზაურ, იქითა კვირას გამოგივლი. გრამიტონ, შენზე კი კომენდანტს უკვე ეცოდინება.

— მოიცა, კაცო, რამე გვეჭამა! — ზაური გამოეკიდა.

— სხვა დროს იყოს, ახლა მეჩქარება! — ლუკამ ქუჩიდან გამოსძახა.

## მექათმეების მუსუსი

გრამიტონი დაბადებიდანვე სუსტი და ანჩხლი ბავშვი იყო, ოთხი წლისამ ფეხი ძლივს აიდგა; გონებრივადაც გვიან გაიხსნა. ცხრა წლისა მიიყვანეს პირველ კლასში. შემდეგ რაღაც ქეცის მსგავსი გაუჩნდა. ერთი წლით მიატოვა სწავლა. მომაგრდა, განიკურნა და წელი აღარ გაუცდენია.

სკოლის დამთავრებისთანავე ქათმების ფერმაში დაიწყო მუშაობა; მსუბუქი სამუშაოა და სტაჟისთვის გამოადგებაო.

ერთხელ ფერმაში კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ფიფო ნადაშვილი მივიდა, გრამიტონმა ქლესაობით თავი ისე მოაწონა, რომ მეორე დღესვე ბრიგადირად დანიშნა; მერე კი ყველაზე საიდუმლო დავალებებს მას აძლევდა. გრამიტონიც ბეჯითად ასრულებდა დავალებებს.

ერთხელ ფიფო დავითიჩმა თავისთან გამოიძახა. გრამიტონი შევიდა კაბინეტში, შორიახლოს გაჩერდა და ერთგული ადამიანის მოწიწებით თქვა: — გისმენთ, ფიფო დავითიჩ!

— გრამიტონ, ერთი ძალიან საპასუხისმგებლო დავალება უნდა განდო, — გამომცდელად შეხედა.

„ნეტავ რა უნდა დამავალოს?“ გრამიტონს გული შეუქანდა, მაგრამ თავი შეიკავა და ნირშეუცვლელად უპასუხა:

— ვეცდები შევასრულო ფიფო დავითიჩ!

— ზაალ დიმიტრიჩი ხომ იცი ვინ არის? — ჰკითხა, — რაიკომის მდივანი.

— როგორ არ ვიცი, მთლად უფროსი, არა? — გრამიტონს გაუხარდა, რომ მიხვდა.

— მთლად უფროსი, — ფიფომ გაიღიმა, — იმასთან ძღვენი უნდა გაგატანო, კარგად მოიქეცი. თუ არ შემარცხვენ, კაციც შენ იქნები.

— მაგის ნუ გეფიქრებათ, ფიფო დავითიჩ, ჩათვალეთ, რომ უკვე შესრულებულია! — იმედიანად თქვა. გახარებული იყო, კიდევ კარგი ხათაბალა რამე რომ არ დამავალაო...

გრამიტონმა ზარის ღილაკს თითი დააჭირა, კარები საშუალო ტანის მსუქანმა ქალმა გაუღო.

გრამიტონი ისე იღიმებოდა, ქალს მის შეხედვაზე გაეღიმა.

— გამარჯობათ, ქალბატონო, მე გრამიტონა ვარ! — მოახსენა.

— რაზე შეწუხებულხარ, გრამიტონ? — ქალი ისევ იღიმებოდა.

— ჯერ მითხარით, მომისმენთ თუ არა — უცნაურად იკრიჭებოდა.

— ქალს გაეცინა: — ასეთი ბიჭი ჯერ არ შემხვედრია. კარგი, მოგისმენ, გრამიტონ, — უთხრა.

— მე თქვენი დიდი თაყვანისმცემელი ვარ. სკოლის დამთავრების შემდეგ მექათმეობაში წავედი სამუშაოდ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პატარა ძღვენი გამომატანა, გთხოვთ, მიიღოთ, — გრამიტონმა გაზეპირებული ლექსივით ჩააგალობა.

— ეგ როგორ გეკადრება, გრამიტონ!

— ქალბატონო, უარი არ მითხრათ, ჩაფიქრებული მაქვს.

ქალს სიცილი აუტყდა.

— კარგი, მოიტა, ვინ იცის, რა გაქვს ჩაფიქრებული.

გრამიტონამ ერთი ქორწილის ხარჯი შეუზიდა ოჯახში.

— რა არის, ბიჭო, ეს?! — გაკვირვებული და შეშფოთებული მისჩერებოდა ქალი დახვავებულ საჭმელ-სასმელს.

— ფიფო დავითიჩმა ერთი ბეწვა რაღაცა წაუღეო, დანარჩენი სულ ჩემი მოფიქრებულია; შემდეგშიც მოგაკითხებთ, ქალბატონო, ფიფო დავითიჩი სულაც არა მჭირდება. — მოწიწებით უთხრა გრამიტონმა და სანამ ქალი რამეს ეტყოდა, გარეთ გავარდა.

გრამიტონის ძღვენი დროული გამოდგა. იმ დღეს ზაალ დიმიტრიჩს საპატიო სტუმრები ეწვივნენ, მათი რესტორანში წაყვანა გადაწყვიტა და მეუღლეს დაურეკა, დამაგვიანდებაო.

— სტუმრები სახლში მოიყვა, ისეთ სუფრას გაგიშლით, ლუკულუსიც ვერ დაიწუნებს, — მხიარულად მოიპატიჟა.

ზაალ დიმიტრიჩმა სტუმრებთან თავი გამოიჩინა, მოილხინა და ცოლს მადლობა უთხრა კარგი დახვედრისათვის. ამის შემდეგ

გრამიტონი ზაალ დიმიტრიჩის ოჯახში სანდო და შინაური კაცი გახდა. ფიფო დავითიჩი ხომ სულ მის ქებაში იყო; მალე ფერმის გამგედ გადაიყვანა. მანამდე გრამიტონი ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე დაუსწრებლად ჩაირიცხა ზარიძის დახმარებით.

გრამიტონი თავჯდომარეს გვერდიდან არ სცილდებოდა, მის დავალებებს ერთგულად ასრულებდა და ამ ნდობით თვითონაც კარგად ითბობდა ხელს...

გრამიტონი ფერმაში საღამოთი მივიდა, დაბალი, სქელი, ორმოცდახუთ წელს გადაცილებული, მუთაქასავით დამრგვალებული მომვლელი ფროსია მხიარულად გამოეგება: — გრამიტონას გაუმარჯოს! როგორა ხარ, ბიჭო, სად დაიკარგე?! — უსაყვედურა და თან ყურში ჩასჩურჩულა: — ჩემთან ეშმაკობა მაინც არ მოგინდა? თანაც ერთი კარგი ვარიასავით გოგო მოგვივიდა.

— რომელი?

— თებრო ჰქვია.

— მე გამოვგზავნე. როგორ იცი, გამოვა რამე?

— ფროსია ცოცხლი იყოს, ჩემო გრამიტონ, შენ ვარიების ხორცს არ მოგაკლებს.

— კარგი, ჩემი ოთახი გამიმზადე და ყველა რომ დაიძინებს, გამოდი.

— რა კარგია! — ფროსია აცქმუტდა. — შენი საწოლი სულ გამზადებული მაქვს, რა ვიცი, როდის მოინდომებ კვერცხმდებელი ქათმის ხორცს; ახლა წავალ და საჭმელს მოგიმზადებ, — ფროსია აჭიხვინდა.

მომვლელებმა რომ დაიძინეს, ფროსია გრამიტონს ლოგინში შეუძვრა, თუმცა მათი ღლაბუცის ამბავი ყველამ იცოდა.

— თებროს მოუხერხდება რამე? — ჰკითხა გრამიტონმა დილით სარკის წინ რომ გაჩერდა.

— იმ დროს მოდი, სხვები წასულები რომ იქნებიან, დანარჩენი ჩემზე იყოს, — ფროსიამ დააიმედა.

— კარგი საკაბე არ აგცდება, თუ ეგ საქმე მოაკვარახჭინე.

— რა კარგია, როგორც მეცვას იგრეა, — ახარხარებულმა

ფროსიამ ლოგინის გასწორება დაიწყო...

რამოდენიმე ხნის შემდეგ გრამიტონმა ფერმაში საღამოთი შეიარა, ფროსიამ ხელი გამოსდო და საქათმისაკენ წაუძღვა.

— გრამიტონ, ჩემი საკაბის საქმე როგორაა? — ავხორცის ხითხითით ჰკითხა.

— შენ გოგო ჩამაბარე?

— ამაღამ უნდა დაგაქორწინოთ.

— მაშინ კაბა სად გაიქცევა.

— ახლა წავალ, თადარიგს დავიჭერ, — ფროსია სუფრის გასაშლელად წავიდა.

მაგიდას სამნი უსხდნენ. გარეთ ჭრიჭინებს გაბმული გადაძახილი გაემართათ.

ფროსიას და გრამიტონის დაძალებით თებრომ იმდენი ღვინო დალია, ყველაფერი ორად ეჩვენებოდა.

— აბა, ვახტანგურად დალიეთ ჩემი სადღეგრძელო! — ფროსიამ ორივეს უბრძანა.

თებრომ ხელში ჭიქა ძლივს აიღო, ნახევარიც ვერ დალია.

— ახლა ერთმანეთს აკოცეთ! — ბრძანა ფროსიამ.

გრამიტონი მოეხვია და ლოშნა დაუწყო. თებროს თავზე კონტროლის უნარი დაკარგული ჰქონდა, სახიდან უაზრო ღიმილი არ სცილდებოდა.

ფროსიამ გრამიტონს თვალი ჩაუკრა, მან თებროს მხარზე მოხვია ხელი და ვაი-ვაგლახით საწიწილისკენ წაიყვანა.

თებრომ სიარული ვეღარ შეძლო, კუთხეში ფროსიას მიერ დაყრილ თივაზე დაჯდა, კედელს მიეყუდა, დაამთქნარა და ჩათვლიმა. გრამიტონი გვერდით მიუჯდა, დაამთქნარა და ჩათვლიმა. გრამიტონი გვერდით მიუჯდა და ტანისამოსის გახდა დაუწყო. თებრომ თვალები გაახილა, თივაზე გაშიშვლებული იჯდა; ახლა გრამიტონი იხდიდა. უაზროდ შეხედა. გრამიტონი საქმეს შეუდგა; თებრომ ღრმა ბურანში განიცადა მამაკაცთან პირველი სიახლოვე, რომ გამოიღვიძა, თავი საშინლად სტკიოდა, გრამიტონი ფეხზე იდგა და ტანისამოსს ისწორებდა. გოგოს თავისი სიშიშვლისა

შერცხვა, მოკუნტული წამოჯდა. გრამიტონმა კაბა მიუგდო: — ჩაიცვი და დროზე გამოდი, არავინ შემოგისწროს! — უხეშად უთხრა და გარეთ გავიდა.

თებრო ორი დღე უაზროდ დადიოდა, არავის არ სცემდა ხმას; რაც მოხდა ყველამ გაიგო. გოგომ მესამე დღეს აიკრა გუდანაბადი და სახლში წავიდა. ამის შემდეგ ფერმაში მომვლელად გოგოს აღარავინ უშვებდა.

თებრო სოფელში ვეღარ გაჩერდა, თბილისში წავიდა და აღვირახსნილი ცხოვრების ფერხულში ჩაება.

## თავის ტკივილად ქცეული მასხრობა

კლარა ინსტიტუტში მხიარული, უშუალო, თამამი და მეგობრული იყო. ლექტორებთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა, არც კონპლიმენტები აკლდა. ყველაზე უფრო პოლიტეკონომიის ლექტორი — ზაქრო თვაური აქტივობდა. ის სხვა გოგოებთანაც ღლაბუცობდა, მაგრამ კლარას განსაკუთრებით ეპრანჭებოდა. კლარა ამას ატყობდა და ხშირად ასდევდა, აზარტული მოთამაშესავით ერთობოდა, ამასხარავებდა, იმედი ჰქონდა, თვაურს ოსტატურად გამოავლებდა ჩალას; თვაურს კი გოგოს ხელში ჩაგდების სურვილი სწვავდა.

კლარა ისე გაერთო ამ თამაშით, რომ პოლიტეკონომიის სწავლას სუმთლად შეეშვა.

თვაურმა ჩათვლა არ მისცა და მარტო დაიბარა. კლარა ღიმილით შევიდა და მაგიდასთან მჯდარ თვაურს გადაშლილი მატრიკული წინ დაუდო. თვაური თავს ოფიციალურად იჭერდა, მაღლა არ აუხედია. ერთი თვისება ჰქონდა, რომელიც ყველა სტუდენტმა იცოდა: როცა ღელავდა, მარჯვენა ლოყა უხტოდა.

კლარამ შენიშნა, რომ თვაურს ლოყა აუთამაშდა, გაეღიმა.

— რაზე შეგიძლიათ მესაუბროთ? — თვაურმა ხმის კანკალით ჰკითხა.

კლარამ მოულოდნელად თავისი ლამაზი თითები ლოყაზე

დაადო და მოუსვა: — ლოყა რატომ გითამაშებთ, ბატონო ზაქრო? — ეშმაკური ღიმილით ჰკითხა.

ზაქრომ ხელი დაუჭირა, ლოყაზე მიიკრა, მერე ჩამოაცურა, ტუჩებთან მიიტანა და კოცნა დაუწყო.

— მომწონხარ, კლარა, გენაცვალე! — აკანკალებული ხმით ძლივს წარმოსთქვა და კოცნა გააგრძელა.

— მარტო მოგწონვართ და სხვა არაფერი? — კლარა დამცინავად შეეკითხა.

— არა, ჩემო კლარა, გაგიჟებით მიყვარხარ! — ზაქრო ფეხზე წამოდგა და კლარას ხელი მკერდში ჩაიკრა.

— აი, ეს მესმის! მაგრამ თუ გიყვარვარ, ჩათვლას რატომ არ მაძლევ?

— გაძლევ, ჩემო კლარა, გაძლევ! — ზაქრო მაგიდასთან მივიდა, ჩათვლა სასწრაფოდ ჩაუწერა, მატრიკული დაკეცა და საზეიმოდ გაუწოდა; მერე მისი ხელი დაიჭირა და კოცნა დაუწყო.

— გეყოფათ, ბატონო ზაქრო, ზოგი სხვა დროსთვის შემოინახეთ, — კლარამ ღიმილით უთხრა და ხელი გააშვებინა.

— როდისთვის? — სიხარული და სასიამოვნო მოლოდინი იგრძნობოდა ზაქროს ხმაში.

— ყველას რომ ჩაუთვლი, მერე ვნახოთ... — კლარამ კარები გამოაღო, გარეთ გასული მობრუნდა და ზაქროს ნაზად დაუქნია ხელი.

— ყველანი ხვალ მოვიდნენ! — აღელვებულმა და აღფრთოვანებულმა თვაურმა მიაძახა.

თვაურის თავში გეგმები ელვის სისწრაფით აეწყო და მეორე დღიდანვე შეუდგა მის განხორციელებას.

— ზაქრო მასწავლებელმა თქვა, ხვალ ყველა მოვიდეს, ვისაც ჩათვლის მიღება უნდაო; რაღაც კარგ გუნებაზეა, ბავშვებო, არავინ გააცდინოთ! — კლარამ თავისი ჯგუფელები გააფრთხილა. სტუდენტებს გაუკვირდათ, რა ბუზმა უკბინა თვაურს, რომელიც პროტექტორის, ან განსაკუთრებული მოსაკითხის გარეშე სისხლს უშრობდათ.

მეორე დღეს ჩათვლა ყველამ მიიღო.

— კლარა სადღა არის? — ჰკითხა ბოლოს მისულ სტუდენტს.

— გუშინ ჩაუთვალეთ, ტალანშია და ჩვენზე გულშემატკივრობს.

— ჰოოო, აღარ მახსოვდა. სიაში აღნიშვნა დამვიწყებია, უთხარი, მატრიკული მომიტანოს.

ჩათვლით გახარებული სტუდენტი გარეთ გავარდა და კლარას ლექტორის დანაბარები გადასცა.

კლარამ კარები ღიმილით შეაღო, თვაურმა ყურებამდე გახსნილი პირიანი ღიმილი შეაგება.

— ხომ შეგისრულე დანაპირები კლარა!

კლარა ტანის რხევით მიუხლოვდა და ხელი ნაზად გაუწოდა, თვაური დაეწაფა და დიდხანს ლოკა.

— კლარა, იცი, სახლში მარტო ვარ, ხომ არ მესტუმრები? — ხმის კანკალით შესთავაზა.

— მთელი ჯგუფი რომ ჩააბარებს გამოცდას, აუცილებლად მოვალ, ახლა კი ნახვამდის, — კლარა სახეზე დააკვირდა, თვაურს ლოყა უთრთოდა. — ლოყას მოუფრთხილდით, პატ. მას., არ გაგიფრინდეთ, — ღიმილით უთხრა და კარებისაკენ წავიდა.

თვაური გამოეკიდა; გული ამოვარდნას ლამობდა. კლარამ არ მოუცადა, კარი გამოაღო, მობრუნდა, დაბნეულ თვაურს ხელი დაუქნია და კარი მიხურა.

აფორიაქებული და დაბნეული თვაური შუა ოთახში იდგა და ორივე ხელით მოხტუნავე ლოყის დაწყარებას ცდილობდა.

ლექტორის ფერიცვალობის მიზეზი სტუდენტებმა ვერ ამოხსნეს; კლარა კი ზეიმობდა ამ ავხორცი კაცის გაბითურებით. თვაურმა ეს რომ გაუბედა, ისე განაწყენდა, ასე უხდიდა სამაგიეროს. სჯეროდა, რომ მდგომარეობის ბატონპატრონი თვითონ იყო და თვაურის გაპამპულებას როცა უნდოდა მაშინ შეწყვეტდა.

თვაურმა ნიშანი ყველას დაუწერა; გახარებული სტუდენტები მის საქებად სიტყვებს არ იშურებდნენ.

კლარა გამოცდაზე უკანასკნელი შევიდა. თვაური ფეხზე ამ-დგარი დახვდა, მიეგება, ხელი გადახვია, თავისკენ მიიზიდა და ლოყაზე კოცნა დაუპირა.

კლარამ განზე გაიწია და საყვედურით სავსე თვალებით შეხედა: — როგორ გეკადრებათ, პატივცემულო ზაქრო! — უსაყ-ვედურა.

— კლარა, შენს მოლოდინში ნახევარი სიცოცხლე გავათავე, — თვაურს ლოყა აუთამაშდა.

კლარამ შეხედა და ღიმილით შეეკითხა: — რა ნიშანს მიწერთ, ბატონო ზაქრო?

— ჩემო კლარა, გადავწყვიტე, ჩემს სახლში მოგიწვიო და საზეიმოდ ხუთიანი იქ დაგიწერო.

— ოხ! ეგ მეტისმეტია, ხუთიანი და თანაც სახლში მოწვევით. რით დავიმსახურე ასეთი პატივი?

— მიყვარხარ, კლარა, მზადა ვარ, ყველაფერი შემოგწირო.

— თუნდაც ხუთიანი? — კლარას გაეცინა.

— ხუთიანი კი არა თუნდაც სიცოცხლე და ცოლშვილიც!

— რომ გთხოვო, ცოლს ჩემი გულისთვის გაეყრები?

— გავეყრები!

— გაეყარე და მეც მაშინ მოვალ შენთან.

— კლარა, ხომ იცი, ასე უცებ შეუძლებელია.

— როგორი ყოფილხარ, ტყუილის თქმაც შეგძლებიათ, — კლარა ვითომ გაებუტა.

თვაური დაიბნა, სათქმელი სიტყვა ვერ მოძებნა.

— კარგი საღამოს მოვალ, — კლარამ გადაწყვეტით უთხრა, პასუხს აღარ დაელოდა და გარეთ გავიდა.

ზაქრო თვაური დიდი მონდომებით მოემზადა კლარასთან შესახვედრად: სუფრა საგულდაგულოდ გააწყო, შამპანური, ღვინო და კონიკაი მოიმარაგა; ყოველ შემთხვევისათვის ძლიერი დასაძინებელი საშუალების ფხვნილი პატარა პარკით დილის ხა-ლათის ჯიბეში შეინახა; ოთახი დაალაგა. ჯერ საზეიმოდ გამოეწ-ყო, მერე გადაიფიქრა, პიჟამო ჩაიცვა, ქოშებში ფეხები გაყო; ისე

გამოეწყო, თითქოს ლოგინიდან ახლა ამდგარიყო.

ახლა სავარძელში იჯდა, ხელში მიხაკების ბუკეტი ეჭირა და თვითკმაყოფილად იღიმებოდა.

ზარის ხმაზე სასწრაფოდ წამოხტა, კარი გააღო თუ არა, ლოყა აუთამაშდა; გულმა ისე შეაქანა, კინაღამ წაიქცა. კლარას ბუკეტი მიაწოდა და რაღაც უცნაურ ხმაზე თქვა: — მობრძანდი, კლარა!

— კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში! — კლარამ კუთხეში მდგარ ვაზაში ჩააწყო მიხაკები. — რა სუფრა გაგიწყვიათ, ბატონო ზაქრო, სტუმრებს ხომ არ ელოდებით?

— შენზე კარგი ვინ უნდა მომივიდეს. მომეცი მატრიკული, ნიშანი საზეიმოდ უნდა ჩაგიწერო. მატრიკული გამოართვა, მაგიდასთან მიირბინა, ხუთიანი ჩაუწერა და ასე გადაშლილი კლარას მიართვა.

— ხომ ვყოფილვარ სიტყვის კაცი, კლარა?

— ნამდვილად, ბატონო ზაქრო, დიდი მადლობა, კარგად ბრძანდებოდეთ, — კლარა კარებისკენ გაბრუნდა.

შეძრწუნებული თვაური წინ გადაუდგა.

— რას შვრები, კლარა, მღუპავ?! დარჩი, სუფრა შენთვის მოვამზადე, ცოტა ვისაუბროთ და მერე წადი.

კლარას ასე მიტოვება ეუხერხულა, ცოტა ხნით დარჩენა გადაწყვიტა, თანაც თვაური ძალით ვერაფერს დააკლებდა. თვითონ კი თავისი თავის იმედი ჰქონდა.

თვაური საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კლარა თავისი ნებით არ შეუსრულებდა დიდი ხნის წადილს, ამიტომ პირველივე ჭიქიდან მაგიური ფხვნილის გამოყენება გადაწყვიტა.

— კლარა, მოდი, ჩემი სამუშაო ოთახი დავათვალიეროთ, — სანამ სუფრასთან დასხდებოდნენ, ოთახში შეიყვანა და წიგნების თაროების წინ ჩამოატარა.

— ახლა აქ მომიცადე, შამპანურით მოვალ და შენი ხუთიანი დავლოცოთ, — ეს უთხრა და სასწრაფაოდ გავიდა.

კლარამ კარები ცოტათი შეხსნა, მის ფუსფუსს დააკვირდა.

თვაური ჩქარობდა. ხელის კანკალით ჯიბიდან ამოიღო პატარა ქაღალდის პარკი და ერთ ჭიქაში ჩაყარა, პარკი ისევ მარჯვენა ჯიბეში ჩაიდო. მერე ორი ჭიქა შეავსო შამპანურით; წამლიანი ჭიქა მარჯვენა ხელით აიღო და კლარასკენ გაემართა. კლარა წიგნების თაროსთან მივიდა, მისი დათვალიერებით იყო გართული.

— მოდი, კლარა, ამ ჭიქით შენი ხუთიანი დავლოცოთ! — თვაურმა წამლიან ჭიქაში თავისი მიურტყა და დასალევად მოემზადა.

— ბატონო ზაქრო, აგერ, სულ მაღლა მარქსის კაპიტალი დევს, ვერ მივწვდი, იქნებ ჩამოიღოთ და სწორედ ამ წიგნის ფონზე დავლიოთ პოლიტეკონომიაში მიღებული ხუთიანი, — კლარამ შესთავაზა. თვაურს ეს აზრი ძალიან მოეწონა, ჭიქა დადგა, კიბე მიაყუდა და წიგნი დიდი მოწიწებით ჩამოიღო; კლარამ კი ამასობაში ჭიქების შეცვლა მოასწრო.

კლარას ჭიქა ხელში ეჭირა, თვაურმა სადაც დადგა მისი ჭიქა იქვე დახვდა; საეჭვო არაფერი იყო, ჭიქა აიღო.

— მოდით, ბატონო ზაქრო, ეს ჭიქები ბოლომდე გამოვცალოთ, ოღონდ თვალდახუჭულებმა, რათა უფრო ძლიერ შევიგრძნოთ სადღეგრძელოს და შამპანურის ძალა, — ეს წინადადებაც თვაურს ძალიან მოეწონა.

ჭიქები ერთმანეთს დაურტყეს, თვალები დახუჭეს და თვაურმა ნელა-ნელა ბოლომდე გამოცალა იმის იმედით, რომ კლარაც ასე მოიქცეოდა.

კლარამ უცებ ყვავილების ვაზაში ჩაასხა ჭიქის შიგთავსი. თვაურმა ჭიქა რომ მოიხსნა ტუჩებიდან და კლარას შეხედა, ის ისევ თვალებდახუჭული ბოლო წვეთს წრუპავდა ცარიელი ჭიქიდან. თვალები გაახილა და გაკვირვებული თვაურის თვალებს შეეფეთა.

— ყოჩაღ, კლარა! აღფრთოვანებული ვარ, რა ვაჟკაცურად გამოცალე! — თვაურმა ჭიქა დადგა და საკოცნელად მიიწია.

— მოითმინეთ, ბტონო ზაქრო, ჯერ კიდევ ბევრი დრო გვაქვს,

სანამ კოცნამდე მივალთ, – კლარამ მკერდზე მიბჯენილი ხელით შეაჩერა.

თვაური ცქმუტავდა, მაგიური წამლის ზემოქმედებას ელოდა და მოთმინება ელეოდა.

გაშლილ სუფრასთან დასხდნენ, ჭამას შეუდგნენ. ზაქრო თვაური დროგამოშვებით ამთქნარებდა.

– იქნებ ვიცეკვოთ, ბატონო ზაქრო? – კლარა ფეხზე ადგა.

ცეკვავდნენ. კლარა რაცრაცებდა და თვაურს ეჯახებოდა. მასაც რაღაც სენი შეჰყროდა, ამთქნარებდა და კლარას ებღაუჭებოდა.

კლარა ძალუმად წაბარბაცდა, თააურს ხელები მოხვია, რომ არ წაქცეულიყო, მარცხენა ხელით ჯიბიდან წამლის პარკი ამოაცალა და წელში გაიმართა.

– ახლა ცოტათი დავისვენოთ, ბატონო ზაქრო, – კლარა რაცრაცით მივიდა მაგიდასთან.

თვაურს თავბრუ ესხმოდა. – ცოტახანს გავილი, პირზე წყალს შევისხამ, – თქვა და აბაზანის ოთახში შევიდა.

– წადი! – კლარამ დარდიმანდულად ხელის აქნევით უთხრა. ორი დიდი ჭიქა თვაურს ეტყობა განსხვავებული სადღეგრძელოსათვის დაედგა. კლარამ ერთში პარკის შიგთავსი ფხვნილი სულ ჩაყარა, – ცხენის დოზაა, არ მოკვდეს ეს ოხერი, – სიცილით თქვა. ორივე ჭიქაში ბოთლნახევარი შამპანური ჩავიდა. ტარუხნის ღერო აიღო და წამლიან ჭიქას მოურია. სააბაზანოდან გამოსული თვაურს კლარა დიდი ჭიქებით დახვდა. – მოდით, ბატონო ზაქრო, მარქსის კაპიტალთან ერთხელ კიდევ თვალხუჭულა შევსვათ თქვენი სადღეგრძელო, – შესთავაზა.

– ჩემიც და შენიც ერთად, – თვაურმა სიხარულით თქვა და ჭიქა გამოართვა.

ძალიან გაუჭირდა თვალებდახუჭულ თვაურს ამ დიდი ჭიქის ბოლომდე გამოცლა. ამასობაში კლარამ ვაზაში გადაღვრაც მოასწრო და თვაურის მიერ ჭიქის მოცლის შემდეგ ერთხანს კიდევ წრუპავდა ცარიელ ჭიქას.

— ყოჩაღ, კლარა, პირდაპირ აღფრთოვანებული ვარ შენით! — თვაურმა კლარა შეაქო, დაბარბაცდა და სკამს დაასკდა. ფეხზე ადგომას ვეღარ ახერხებდა. კლარამ ხელები მოხვია, ძლივს წამოაყენა და ცარიელი პარკი მარჯვენა ჯიბეში ჩაუცურა.

თვაურს გონება ებინდებოდა, კლარას მოეხვია და კოცნა დაუპირა, კლარამ მოცილება სცადა; თვაური კაბაში ჩააფრინდა და თავისკენ ექაჩებოდა.

კლარამ ძლივს მიიყვანა საწოლთან.

ძილბურანში მყოფმა თვაურმა ახლა კი ძალუმად გაიბრძოლა კლარას ლოგინგი ჩასაწვენად. ვერ შეძლო. საწოლზე გულაღმა გაშოტილმა კლარას კაბა მოქაჩა და ნახევი ხელში შერჩა.

კლარა გაცოფდა, კაბის ნახევი ხელიდან გამოსტაცა და მკერდზე მიიფარა. ნახევრადშიშველ თვაურს, გულაღმა დაგდებულს რომ ეძინა მიაფურთხა. მერე მაგიდასთან მივიდა, ბაჟეთი სავსე ჯამი აიღო, თვაურს პიჟამოს შარვლის რეზინი გამოუწია და შიგ ჩაასხა, მერე ამას ვინეგრედი, კარტოფილის პიურე, პომიდორის ტომატი, ტყემალი და კონიაკიც მიაყოლა, შარვალი გაუვსო და რეზინს ხელი უშვა. ახლა სუფრაზე რაც წვნიანი ეწყო ზედ დაასხა და დააყარა, მერე საბანი გადააფარა ჩათბუნებულად ჩაძინებულ თვაურს; კაბის ნახევი მკერდზე მიიფარა, მატრიკული აიღო და ოთახიდან გავიდა...

თვაური ერთი კვირა სამსახურში არ გამოცხადებულა. ერთხელ კლარას ტალანში შეხვდა, გვერდის ავლა შეუძლებელი იყო.

— კიდევ ხომ არ მოგეძალა ჩემი დათრობის ხუსტური, ზაქრო ბატონო — დამცინავად უთხრა კლარამ.

— თვალით არ დამენახო! — აღრიალდა თვაური და ლოყაათამაშებული თითქმის სირბილით წავიდა.

— განგებას მადლობა შესწირე ახლა კასტრირებული რომ არ დადიხარ! — კლარამ მიაძახა.

# შერყეული კბილი

ბინდდებოდა. ზაური თავის ბინაში სკამზე იჯდა, ტუჩებზე სველი ტილო მიედო და ფანჯარას მიშტერებოდა. ცოტა ხანს ასე იყო, მერე ტილო მოიცილა და მის წინ მდგარ ტაშტში სისხლი ჩააფურთხა. პირი გააღო, მარჯვენა ხელის ორი თითით გვერდითა კბილს მიაწვა, შეატოკა, ეტკინა და მაშინვე უშვა ხელი; გასიებულ ტუჩზე სველი ტილო მოისვა.

კარებზე კაკუნი გაისმა; — სახლში ხარ? — ლუკას ხმა იყო.

— შემოდი ლუკა! — გაგუდული ხმით უპასუხა.

— ზაურს გაუმარჯოს! — ლუკა მხიარულად შევიდა ოთახში და მაღალი სპორტული აღნაგობის, მშვენიერი გოგო შემოიყვანა.

ზაური ადგა; სახიდან სველი ტილო არ მოუცილებია.

ლუკამ სისხლიან ტაშტს დახედა, მერე ზაურს დააკვირდა.

— რა დაგემართა?! — შეშფოთებული მიუახლოვდა.

— არაფერია. წავიქეცი და ქვაზე კბილებით დავეცი, — ჩაფჩიფით უპასუხა.

— აბა, მაჩვენე, — ლუკამ სახიდან ტილო მოაცილებინა. — ოჰო, ეს რა დაგმართნია?! აბა, კბილები ვნახოთ.

ზაურმა პირი გააღო და მორყეული კბილი აჩვენა. ისე მაგრად დავეცი, რომ... — თავის მართლება სცადა.

— მოდი, გვერდითა ოთახში დავილაპარაკოთ, — ლუკამ ხელი მოჰკიდა. — თქვენთან ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო პეპელა, არ მოიწყინოთ, ჩვენ მალე გამოვალთ.

პეპელა კუთხეში მდგარ სავარძელში ჩაეშვა, ჩანთიდან პაპიროსი ამოიღო, სანთებელათი მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა...

— სად იჩხუბე? — ლუკამ მორიგი სიცრუე არ დააცადა.

— მე არ მიჩხუბია, მოულოდნელად ისე ძლიერად დამარტყა, რომ პასუხის ჩაბარებაც ვეღარ შევძელი, — ზაური ისე ჩიფჩიფებდა, ცდილობდა ტუჩები არ სტკენოდა.

— დაწვრილებით ჩამოკაკლე, როგორ მოხდა, — ზაური სკამზე დასვა, თვითონ მის წინ მოეწყო და მოსასმენად მოემზადა.

— ლალიმ თავისი ამხანაგის — დიანას დაბადების დღეზე წამიყვანა, ათიდან ბიჭები მარტო მე და ის ვიყავით.

— ვინაა ის? — ლუკამ შემაწყვეტინა.

— დიანას საქმროს, შენ იცნობ, პაპუნა ჰქვიაო, ისიც გიცნობს, ერთად გივარჯიშნიათ.

— პაპუნა? — ლუკა დაფიქრდა, — ერთს ვიცნობ, ტანვარჯიშზე დადიოდა.

— მაღალია, გრძელი კისერი, პატარა, თხელი ცხვირი და ჭრელი თვალები აქვს.

— მივხვდი, პაპუნა ჭელიძეა, მერე?

— არ ვიცი, პურის ჭამის დროს რა ეწყინა; გოგოები ამბობენ, ღვინოში ცუდი ხასიათი აქვსო. ქეიფი რომ დავამთავრეთ და გარეთ გამოვედით, ლალისთვის ხელი უნდა გამეყარა, უცებ გვერდიდან ძლიერად დამარტყა; პასუხის ჩაბარებაც კი ვერ მოვახერხე, — ზაურს თვალები მოუწყლიანდა.

— ეს როდის მოხდა?

— დღეს დილას. მთელი ღამე გავათენეთ, დილით ავიშალენით და... ათი დღის შემდეგ ლალის დაბადების დღეა, ალბათ ისიც მოვა. გამოვიყვან და მოულოდნელად კი არა, ყველას თვალწინ დავარტყამ.

— მართალიც იქნები. მაგრამ მორევაზე საქმე არ იქნება. პაპუნა დაგიჩოქებს და ბოდიშს მოგიხდის. დილამდეც რომ ურტყა, ხელს არ შეგიბრუნებს; თავის შეცდომას ამით გამოასწორებს.

— ჩემი შემჭმელი რომ იყოს, არ ვაპატიებ!

— ჰოდა, ეგრე ქენი. ახლა გავიდეთ და გოგოს მივხედოთ, — ლუკა ფეხზე ადგა.

— შენ გადი, მე რაღაც-რაღაცეები მაქვს, კარგი ღვინოც მეგულება, გამოვიტან, — ზაური მაცივარს მიუტრიალდა.

— აგაშენოს! — ლუკამ მხარზე დაარტყა ხელი, — მოიტა, ზოგს მე წამოვიღებ.

ბიჭებმა სუფრა სწრაფად გააწყეს და მაგიდას შემოუსხდნენ.

— პეპელას გაუმარჯოს! — ლუკამ ზაურს ჭიქა დაურტყა და თავის გვერდით მჯდარ გოგოს ხელი გადახვია.

— შე კაი კაცო, გამაცანი, ეგრე შეიძლება?! — ზაურმა უსაყვედურა.

— არა, ძმაო, ეგრე იოლად ვერ გაგაცნობ, ეს უბრალო პეპელა არ გეგონოს, ნამდვილი სამეფო პეპელაა, იმ განსხვავებით, რომ ეს მამაკაცებზე დაფრინავს; განსაკუთრებით უცოლოებს ეტანება, — ლუკამ ჭიქა გამოცალა.

— მთლად ასეც ნუ გგონია, ლუკა, რომ გეთქვა, თაფლივით არის და მამაკაცები ბუზებივით ეხვევიანო, უფრო მოგიხდებოდა, მაგრამ ყველას არ ჩაუვა ფეხი; ეს შენ გამოხვედი იღბლიანი, — პეპელამ ჭიქა აიღო და რამოდენიმე ყლუპი მოსვა.

— პეპელას გაუმარჯოს! — ზაურმა ჭიქა პირთან გვერდულად მიიტანა და წვალებით ნახევარი შესვა.

ლუკას სიცილი აუტყდა.

— პეპელას მხოლოდ შინაურები ეძახიან, სხვას ამის თქმის უფლება არა აქვს; საგარეოდ ეკაა. რადგან შენც პეპელა უწოდე, შინაურებში ჩაგწერს. ხომ ასეა, ეკა?

— თუ რეკომენდაციას აძლევ, იყოს ასე, — პეპელა დაეთანხმა.

— სამაგიეროდ ის გოგო გააცანი, შენთან ხშირად რომ დადის ხოლმე, მაღალი და თვალდახატული.

— ლუკა, გენაცვალე, იმას ყველას ვერ გავაცნობ. ზოგი ქაჯი ჩამოეკიდება და თავს აღარ დაანებებს. ისეთი ოჯახიდანაა ერთი ორჯერ თუ გაიარა, მერე უნდა შეეშვან.

— ზაური სწორედ ასეთია, — ლუკამ ზაურს თვალი ჩაუკრა, — ოღონდ იცოდე, შენი მსგავსი ხასიათისა არ გამოდგეს, ბიჭს თვითონ არ დაუწყოს შეწუხება; საცოლეზე გული არ ააცრუებინოს, — ღიმილით დააყოლა.

— შე საძაგელო, — პეპელამ ლუკას თმაზე ნაზად გადაუსვა ხელი, — რა გიშავდება, შენი საცოლე სულაც არ მაინტერესებს. კარგი ბიჭი ხარ და ვერთობი, რომ მეხვეწო ცოლად არ გამოგყ-

ვები. ეგლა მაკლია თავი დავიჩაგრო, ერთ კაცს ჩამოვეკიდო და შევაბერდე; რა სჯობია თავისუფლებას!

— ეკა, იცოდე, მე არ მიყვარს სხვებთან ნათრევი გოგო! — ლუკამ შუბლი შეიკრა.

— ლუკა გეფიცები, კარგა ხანია შენს გარდა სხვა კაცთან არ გამივლია, — ეკამ მკერდზე დაიდო ხელი.

— ხა, ხა, ხა! ეგ კარგა ხანი შენი კალენდრით რამდენს ნიშნავს?

— რას გადამეკიდე, შენ თუ მოგწყინდი, მონაზნად ხომ არ დავჯდები.

— მოკლედ, მორჩა, შენი გამკარებელი აღარ ვარ! — ლუკამ ხელი ჩაიქნია.

— რა გინდა, ადამიანო, ანგელოზად ხომ არ ვიქცევი? რაცა ვარ, ესა ვარ, — ეკა ადგა, ლუკას კალთაში ჩაუჯდა, კისერზე ხელები მოხვია და კოცნა დაუწყო.

— სირცხვილია, გოგო, ზაურის რატომ არ გერიდება?!

— მაგას ისეთ გოგოს დავაჯახებ, ტანმოვარჯიშეა. ჭკუას დააკარგვინებს, — ეკა ფეხზე ადგა, პაპიროსი აიღო და გააბოლა.

— ლუკა, გადმოდი რა ჩემთან, სულ ამას გეხვეწები, სტუდქალაქში არ მოგწყინდა? — ზაურმა საუბრის თემას თავი აარიდა.

— ჩემო ზაურ, ერთი კაცი სულ ორი ნომრით პატარა ფეხსაცმელს იცვამდა, უჭერდა, მაგრამ ითმენდა, იცი რატომ? გახდის შემდეგ დიდი სიამოვნება რომ ეგრძნო. ჰოდა, მეც ასე ვარ, სტუდქალაქის შემდეგ აქ ვსიამოვნებ, — გაიცინა, მერე სერიოზულ ტონზე დაუმატა: — არა ძმაო, შენ ხვალ, ზეგ ცოლი უნდა მოიყვანო, მე იქაც კარგად ვარ; მანძილი კი ჩვენს ძმობას რას დააკლებს.

— რა უნდა გელაპარაკო, შენი ნათქვამა ხარ, — ზაურმა ხელი ჩაიქნია.

— რა გინდა, ერთი გასაღები ხომ მე მაქვს, — ლუკამ დაამშვიდა.

— რად გინდა, როცა არ იყენებ. ამაღამ მაინც დარჩი აქ, მე ამხანაგთან უნდა წავიდე და ვერ დავბრუნდები. — ზაურმა წასასვლელად მზადება დაიწყო.

— ცოტა წაივარჯიშე, ხომ იცი, ათი დღის შემდეგ რინგზე მოგიწევს გამოსვლა, — ლუკამ ღიმილით შეახსენა.

— ნუ გეშინია, არ შეგარცხვენ, — ზაურმა მიაძახა და გარეთ გავარდა.

ეკა გამოეკიდა.

— ზაურ, ორ დღეში მაგარი დობილით შენი სტუმარი ვიქნები, — გამოემშვიდობა და ლოყაზე ნაზად აკოცა.

— გვიგულეთ თქვენს მასპინძლად! — კიბეზე ჩასვლისას ამოსძახა ზაურმა.

## სიყვარულის მწველი განცდა

კვირა დღე იყო. ამალია სახლიდან გასვლას არ აპირებდა. მყუდრო ბინა ჰქონდა დაქირავებული და ამხანაგებსაც უყვარდათ მასთან მისვლა. მარინე როგორც კი დროს გამონახავდა, მასთან შეირბენდა ხოლმე. თვითონ დეიდასთან ცხოვრობდა, რომელიც ძალიან მკაცრი მომთხოვნი იყო და ამხანაგების საქციელს აფთიაქის სასწორზე უწონიდა, მათი წასვლის შემდეგ კი მარინეს გრძელი დარიგებით გულს უწყალებდა, ამიტომ ამხანაგები მასთან მისვლას ერიდებოდნენ; ლუკაც მხოლოდ ამალიასთან ხვდებოდა.

მარინე კი თავის სტიქიაში იყო, კომკავშირულ აქტივში ტრიალით იმას მიაღწია, რომ კურსის კომკავშირის კომიტეტის მდივნობის კანდიდატად თვლიდნენ. ქარაფშუტა, პომპეზური, შეკრებების მუდმივი გავლენით თავისებური მავნე ბატონქალუორი ნაჭუჭით შეიმოსა, კარიერისტული ბაცილით დაავადდა და თანამდებობის პრივილეგიებით კერპთაყვანისმცემელი გახდა, რაც დროთა განმავლობაში მისი ცხოვრებისეული ნაბიჯების განმსაზღვრელად იქცა. ტრაბახის და კარიერისტული ამბიციებით გონებაშებოჭილთა შორის მუდმივი ურთიერთობის გავლენაში მოქცეულისათვის ლუ-

კას უბრალო, მართალი, ცხოვრებისეული სიმართლით შემკობილი და ხშირად დაცინვის ეკლიანი საუბარი აღარ იყო საინტერესო. სკოლაში ახალგაზრდების კერპი ლუკა კერპთაყვანისმცემელ მარინეს უკმაყოფილებდა ამბიციებს. აქ, უნივერსიტეტში სხვა წრეში მოხვდა, სადაც კერპთაყვანისმცემლობა კარიერიზმით დაავადებულ ახალგაზრდებში სულ სხვა კერპს ადიდებდა. ლუკა კი ისევ ისეთი უბრალო, უშუალო, პრინციპული და თავისი მოკრძალებული ყოფის მიმართ უპრეტენზიო იყო, თუმცა ისევ გამოირჩეოდა ცოდნით, ფიზიკური შესაძლებლობით, შრომისმოყვარეობით. ლუკაც სტუდენტების კერპი იყო, ოღონდ ეს სხვა კატეგორიის ახალგაზრდები იყვნენ, რომელთათვისაც კომკავშირული ფაფხური უცხო იყო. თუმცა მარინეს სულ სხვა მისწრაფებანი ასაზრდოვებდნენ, ლუკას ჯერ მაინც ვერ შელეოდა, რადგან ლუკას სახელი ძველებურად ბრწყინავდა ახალგაზრდებს შორის; დაუკმაყოფილებლობის გრძნობა კი თანდათან ღრმად მიძვრებოდა მის შეგნებაში.

დათო დღეს არ აცდენდა, ამალია რომ არ ენახა. უახლოეს დღეებში შეუღლება ჰქონდათ გადაწყვეტილი, უკვე ამ მყუდრო ბინაში ოჯახის წევრად ითვლებოდა.

ამალია მაგიდასთან იჯდა, რაღაცას წერდა, იცოდა, რომ ვინმე მიაკითხებდა და ამის საშუალება აღარ ექნებოდა. ძველებურ ავინიან ბინაში ცხოვრობდა მეორე სართულზე და ხის კიბეზე ვინც ამოდიოდა, ოთახში ისმოდა. ახლაც ფეხის ხმა გაისმა. ამალიამ კარი გამოაღო, კიბეზე კლარა ამოდიოდა.

— კლარა! — ამალია კიბეზე შეეგება და გადაეხვია. — სადა ხარ, გოგო, რამდენი ხანია არ მინახიხარ, განა ასე შეიძლება?!

— განა ასე შეიძლება?! — კლარამ გამოაჯავრა, — მე თუ არ მოგაკითხე, შენ არც კი გაგახსენწები ცოცხალი ვარ თუ მკვდარი.

— ვიყავი შენთან, მაგრამ სახლში როდისა ხარ, ვინ გაიგებს. მე კი ლექციების შემდეგ როცა გინდა მოხვიდე სახლში ვარ, — გოგოები ასე საუბრით შევიდნენ ოთახში.

ამალიას კლარა ნაღვლიანი და ცოტათი გამხდარი მოეჩვენა.

— რა მოგსვლია, გოგო, ცუდი ხომ არაფერია?! — გაკვირვებით შეეკითხა.

— არაფერია. ისე კი ჩემი თავქარიანობის გამო არეული მაქვს ცხოვრება და განგებაც დამსახურებულად მსჯის, — კლარამ ამოიოხრა და სკამზე ჩამოჯდა.

— მაინც რა მოხდა, არ მეტყვი?

— არაფერი არ მომხდარა, უბრალოდ ჩემს ბედზე ვარ გამწყრალი.

— ბედს რატომ ემდური, კარგად ცხოვრობ, ტანი არ გაკლია, არც თვალი; მშობლები თავს გევლებიან; ყველას უყვარხარ; მეტს რაღას თხოულობ ამ წუთისოფლიდან?

— ეხ, ამალია, რა ჭრელ ფერებში გეჩვენება ჩემი ყოფა, მე კი ყველაფრის ინტერესი დავკარგე. იცი? ადამიანები მხოლოდ იმას ცდილობენ, ერთმანეთს რა გამორჩნენ; მამაკაცები კი მხოლოდ ცხოველური ჟინის დაკმაყოფილებისთვის არიან გაჩენილები, მათ სხვა არაფერი არ ამოძრავებთ. მხოლოდ ერთი ვნახე ისეთი კაცი, რომელიც ჩემში ადამიანს ხედავს და მიფრთხილდება; იმას შეუძლია ნამდვილი სიყვარული, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა უყვარს და იმდენად სპეტაკია, რომ მისგან უანგარო მეგობრობის გარდა ვერაფერს ველირსები, თუმცა მე მისი სიყვარულის ღირსი არა ვარ, — კლარა გაჩუმდა და აცრემლებული თვალები ჭერს მიაპყრო.

ამალია მიხვდა, ეს ნათქვამი ვის ეხებოდა, არაფერი შეიმჩნია.

— ნეტა შენ თუ სადარდებელი გაქვს. ერთიმეორეზე უკეთესი ვაჟკაცები თავპირს დაიმტვრევენ შენთან შეუღლებაზე. ოღონდ თქვი და...

— ეხ, ამალია, შენ გულის სწორი მონახული გყავს და ღმერთმა სულ ბედნიერად გამყოფოთ. მე კი ბედმა, ალბათ, ასეთი უბედური გამაჩინა, ისეთი ადამიანი ვერ მოვძებნე, ოცნებით რომ წარმომიდგენია. ყველას რაღაცა აკლია, ყველა რაღაცით დამცირდა; არ იქნა და არ მოხერხდა, რომ ვინმე გულით შემყვარებოდა. ბოლოს გამოჩნდა ადამიანი, რომელიც იმაზე სრულყოფილ-

ია, ვიდრე ჩემი ოცნებით ვხატავდი. მაგრამ რა, ის ჩემი არასოდეს გახდება სწორედ იმ თვისებების გამო, როგორსაც მე ასე ვეძებდი მამაკაცში.

— ვინ არის, კლარა, ასე რომ ამკობ, განა კარგი ვაჟკაცები დაილივნენ?

— ღმერთმა ნურც გამოლიოს, მე კი ვატყობ, იმდენი ცოდვა დამიგროვდა, რომ ასეთ ვაჟკაცზე პრეტენზიის ღირსი არა ვარ, — კლარამ ცრემლიანი თვალები ახლა სარკმელს მიაპყრო, წამოდგომა დააპირა, გადაიფიქრა.

— დარჩი, კლარა, შეიძლება მარინეც მოვიდეს, სადმე გავისეირნოთ, თუნდაც ზაური და ლუკა მოვინახულოთ; გამხიტარულდები და ეგ ფიქრებიც მოგცილდება, — კლარას დამშვიდება სცადა.

— ლუკა დღეს რომ მუშაობს, განა არ იცი? — კლარას მწარედ გაეღიმა. — ისე კი მარინეს ნახვის სურვილი მაქვს; თუ მომისწრებს კარგი იქნება.

— დარჩი, შენ სადღა გეჩქარება, მე მგონია, რომ თუ დრო აქვს, აუცილებლად გამოგვივლის.

— ცოტა ხანს მოვიცდი, თუ არ მოვიდა, რა უჭირს, შენ ეტყვი, რომ აქ ვიყავი.

— აქ რომ იყავი, ვეტყვი, მაგრამ ამას რა აზრი აქვს, დარჩი, ერთად გავისეირნოთ. შენ ის მითხარი, სოფელში თუ იყავი, ან ჩვენი ამხანაგებისა რა ისმის.

— გრამიტონა ფერმის გამგედ გადაუყვანიათ. თურმე ისეთი გაბღენძილი დადის, სალამსაც კი არ კადრულობს. სტუდქალაქში ვიღაც კომენდანტი გაუცვნია, ტრაბახობს, სტუდქალაქში ყველაფრის გაკეთება შემიძლიაო. შალვა იურიდიულზე დაუსწრებლად მოწყობილა, თან პროკურატურაში შიკრიკად მუშაობს. ამას წინათ ავტობუსს ველოდებოდი, იქ შემხვდა, ჯერ თავისი თავის ქებას მოჰყვა, მაგარი საქმეების ჩაწყობა შემიძლიაო, მერე ვიღაც წვერგაუპარსავი, „ხალტურის“ მძღოლი მომიყვანა, ამის მანქანით წადიო. მე უარი ვუთხარ; ნაწყენი დამრჩა.

ადრე სახლში გული არ მიდგებოდა, სულ მეგობრებთან ყოფნა მინდოდა, მხიარულობის ხალისი მქონდა. ახლა სახლიდან იშვიათად გავდივარ, ისაც მაშინ კაეშანი რომ მომეძალება ხოლმე. ზაურისთან მივდივარ. ლუკა სახლში არასდროს არის, გადატვირთულია ბიჭი. აღარაფრის ინტერესი აღარა მაქვს, ალბათ მე ეს ბედი მქონდა; არავის არ ვემდური, ჩემმა ავარდნილმა საქციელმა დამსაჯა, — კლარამ ხელები მუხლებზე დაიწყო და ამალიას შეხედა, — სულ ეს არის, ახლა შენ მომიყევი, ახალი რა იცი.

— სულ სახლში ვზივარ, შენ მსგავსად თუ ვინმემ რამე მომიყვა, ის ვიცი მხოლოდ. — ცოტა ხანს გაჩუმდა, მორცხვად გაიღიმა და განაგრძო: — ალბათ სულ მალე მე და დათო ჯვარს დავიწერთ.

კლარას გაუხარდა. — რა კარგია! — წამოხტა და ამალიას გადაეხვია. — დათო კარგი ბიჭია, სულ ბედნიერად ყოფილიყავით, ჩემო ამალია!...

ამალიამ ახლა მისი დათოსთან რომანი გაიხსნა; გოგოებს შორის თბილი და გულითადი საუბარი გაიბა.

კარგა დრო გავიდა, კიბეზე ამომსვლელის ფეხის ხმა არც კი გაუგიათ. კარებზე კაკუნი გაისმა. ამალიამ კარები გააღო და გახარებულმა წამოიძახა: — მარინე, ისე მომენატრე, თითქოს მთელი წელი არ მენახე! — ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— ოხ, კლარა, შენც აქა ხარ?! — გაკვირვებული მარინე კლარასკენ წავიდა.

კლარა უკვე ფეხზე იდგა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ლოყაზე კოცნები გაცვალეს.

— როგორ ხარ, კლარა, როგორ მიდის სწავლის საქმე? — მარინე შეეკითხა.

— არა უშავს, ისე ჩვეულებრივად, არც სწავლას და არც ცხოვრებას არ ვემდური. აი, სიყვარულის საკითხი იმთავითვე მოუგვარებელი მაქვს, — კლარამ მწარედ გაიღიმა.

— ჰო? — მარინემ სხვა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. ამა-

ლიას მიუბრუნდა: — დათო როგორ არის, ხომ არ გამოუვლია, ბიჭების ამბავი ხომ არ იცის?

— ბიჭების ამბავი მე მკითხე, შენ რომელი გაინტერესებს? — კლარამ გამომცდელად შეხედა.

— მე ყველა მაინტერესებს, — მარინემ სხვათაშორის უპასუხა.

— დათო კარგად არის, ზაურიც, შელავაც და გრამიტონაც; ჩვენი თანაკლასელი ბიჭებიდან კიდევ ვინ გაინტერესებს? — კლარა გამომწვევად მიაჩერდა.

მარინემ არაფერი უპასუხა, მიხვდა, რომ კლარა ლუკას განგებ არ ახსენებდა; ბიჭების ამგვარ ჩამოთვლაშიც რაღაც ჩანაფიქრი ჰქონდა.

— კლარა, ლუკას არ ხვდები ხოლმე? — ამალია შეეკითხა.

— როგორ არა, სულ მასთან ყოფნა მინდა, მაგრამ ყოველთვის ვერ ვახერხებ, ძალიან დაკავებულია. ახლახან რუსთაველის თეატრში პრემიერაზე ერთად ვიყავით, მერე მარტო მე და იმან მთელი ღამე ჩემთან გავატარეთ; გათენებამდე ვიქეიფეთ, — ამას რომ ყვებოდა, მარინეს აკვირდებოდა, რომელმაც ფერი დაკარგა და ძალაგამოცლილი სკამზე დაეშვა.

კლარას გულზე მოეშვა, რაღაც განუზომელი სიამოვნება იგრძნო; მარინესთვის უფრო დიდი უსიამოვნების მიყენების სურვილით განაგრძო:

— რა ბედნიერებაა, გოგოებო, ღვინო რომ გაქვს დალეული, მის კალთაში ზიხარ, ხშირ და აბრეშუმივით ნაზ თმებში თითებით დაბოდიალობ, მის მზისგან გარაჯულ ლოყებს ვნებისგან ალმოდებული კოცნი.

— კმარა, კლარა, კმარა! მეყოფა, ნუ მაწვალებ! — გაფითრებულმა მარინემ ხელები ყურებზე მიიდო და იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო; ამალიამ წყალი დაალევინა და მოფერება დაუწყო.

— კიდევ მოუტანე წყალი, — კლარა გამოცხოცხლდა, წელანდელი მოწყენილობა გაუქრა; ძველებური თამამი და სიცოცხლით სავსე გოგო იდგა ახლა და სახეზე დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა.

— ახლა ისეთი რამ უნდა ვუთხრა, რომ არა მგონია გონზე მოსასვლელად ერთი ყლუპი ეყოს!

მარინემ თავი მაღლა აიღო, კლარას მუდარით შეხედა.

— კარგი, კლარა, ნუ მეტყვი, არ მინდა, შემიბრალე, ნუ მაწვალებ!

— შეგიბრალო? მე შენ შეგიბრალო? მე გაწამებ? შე რა იცი, ვინ ვის აწამებს! რატომ არ გინდა, რომ გითხრა? სიმართლის რატომ გეშინია? შენ რაც უნდა გითხრა, იმის მოსმენა არ გინდა? აი, მე კი ამისთვის მთქმელს მთელ სიცოცხლეს მივცემდი. შენ გგონია, რომ მე თქმა მინდა? ან ყოველივე ამას უმტკივნეულოდ ვაკეთებ? მაგრამ უნდა გითხრა იმიტომ, რომ... — კლარამ სიტყვა ველარ დაამთავრა და აქვითინდა.

ამალია და მარინე გაშტერებულები მისჩერებოდნენ.

— წყალი არ მომიტანო, ამალია, მე არც შენი მეგობარი და არც ამის ღირსი არა ვარ, ნუ გეშინია, არ მოვკვდები. უკვე იმ-დენი ბალღამი მაქვს ნაგემები ჩემი ქარაფშუტა თავის გამო, რომ ყველაფერს გავუძლებ! — ცრემლები მოიწმინდა და დაწყნარებ-ულმა გააგრძელა: — მარინე, სულაც არ მინდა, რომ ეს სტყვები მე გითხრა. ბედნიერი, უაღრესად ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემთვის ეს შენ რომ გეთქვა, მაგრამ ბედის ნებიერი ხარ და რას ვიზამ, თუმცა, მე რომ მკითხო, ამის ღირსი არა ხარ, — კლარა ისევ გაჩუმდა, მარინეს და ამალიას დააკვირდა; ორივე დაბნეულად მისჩერებოდნენ. — რაც მოგიყევით მართალია, მე და ლუკა თეატრში ერთად ვიყავით, — კლარამ ახლა უფრო დინჯად გააგრძ-ელა, — სტუდქალაქში ბილეთები მივუტანე, თან დავუბარე, რომ თეატრთან დაველოდებოდი და თუ არ მოვიდოდა, არც მე შევი-დოდი. ეტყობა მასზე ამან იმოქმედა. საწყალი ისე იყო დაღლილი და მოშიებული სპექტაკლის დროს ძილისგან თავის ძლივ იკა-ვებდა. სახლში საჭმელი ბლომად მქონდა და მივიპატიჟე. მე ბედნიერი ვიყავი მის გვერდით, ის კი, კარგად ვგრძნობდი, რომ მხოლოდ მოვალეობას იხდიდა.

კარგად მოვილხინეთ. ღვინო დალია, მეც ავყევი. რაც მოგი-

ყევით, რომ ვეფერებოდი, მართალია; გული გადავუხსენი და ჩემი სიყვარულის შესახებ ყველაფერი ვუთხარ. იმან კი დაწყნარება დამიწყო, მითხრა, რომ მასაც ვუყვარვარ, ძალიან ვუყვარვარ როგორც კარგი ამხანაგი და მეგობარი, რომ მას სხვანაირად არ შეუძლია, რომ მხოლოდ ერთი უყვარს, რომ იმის გარდა სხვის შეყვარება არ შეუძლია. იცით, გოგოებო, რა სათუთად ინახავს, უვლის და ეფერება იმ სიყვარულს? იცით როგორი ძლიერი და შეუვალია? მას შეუძლია ცხოვრების ყველაზე მკაცრ გამოცდას გაუძლოს. იმხელაზე ერთგულია ამ სიყვარულის, ისეა მასზე გადაბმული, რომ საკმარისია პატარა ბზარიც და ეს ლომივით ვაჟკაცი, მაგრამ უაღრესად ნაზი და სათუთი სულის პატრონი დაიღუპოს, ცხოვრების მიზანი დაკარგოს და განადგურდეს.

მე დიდხანს ვიფიქრე, ამ დღეებში კი შიში ამეკვიატა, არ ვიცი, ეს რად მემართება, მეშინია, რომ ეს ზებუნებრივი სიყვარული თანაგრძნობის მიღმა არ დარჩეს და ჩემთვის სიცოცხლეზე ძვირფასი ადამიანი არ განადგურდეს? აი, რამ მაიძულა დღეს აქ მოსვლა და მარინესათვის ესოდენ არასასურველი მონოლოგის წაკითხვა, — გოგოებს შეხედა, გაკვირვებულები და სმენადქცეულები შეჰყურებდნენ. — იცით ვინ არის ის, ვინც ლუკას ესოდენ უყვარს; — კლარა ისევ გაჩუმდა და მარინეს დააკვირდა, რომელიც ინსტიქტით გრხნობდა, რომ ლუკას სიყვარული მას ეკუთვნოდა და სხვას არავის. ახლა უცებ ეჭვმა იმძლავრა, „ვაითუ სხვა ვინმეა და კლარა იმიტომ მოვიდა, რომ ჩემზე შური იძიოს, გული მატკინოს და ამით გაიხაროსო“, გაიფიქრა და ფერი ისევ დაკარგა, წყლის ჭიქას გახედა, თავი შეიკავა, ისევ კლარას მიაჩერდა, რომელმაც ყოველივე ეს შენიშნა; მარინეს ჩანაფიქრსაც მიუხვდა. — მერე იცით, ვინ არის? — ისევ გაჩუმდა და მარინეს მიაშტერდა, კიდევ ერთი გამეორება და, ალბათ, ისტერიკაში ჩავარდებოდა, — ის ბედნიერი, ვისაც ერგო ნამდვილი ადამიანის, ნამდვილი ვაჟკაცის ნაზი და სპეტაკი სიყვარული, მარინეა.

მარინემ ამას კი ვეღარ გაუძლო, უცაბედი სასიხარულო ამბისაგან ელდანაცემი ამალიას მკლავებზე მიესვენა. ამალიამ წყლით

სავსე ჭიქას ხელი დაავლო და მარინეს სახეში შეასხა, მერე პირსაწმენდი მოარბენინა და სახის შემშრალება დაუწყო.

კლარა ადგილიდან არ განძრეულა, ამ სცენას დაუფარავი შურის გრძნობით აკვირდებოდა.

— ნეტა მე ვიყო, მარინე, შენს ადგილას და თუნდაც სამუდამოდ წამსვლოდა გული! — თქვა და ფეხზე ადგა. — ამას არ გეტყოდი, არც შენი სიამოვნების გულისათვის მოვსულვარ აქ. მხოლოდ იმისათვის გითხარ ყოველივე ეს, რომ ვიცი, ლუკა ამდენს არ გელაპარაკება, თავის განცდებზე ახსნა-განმარტებას არ დაგიწყებს. შენ კი ლუკა კი არა მისი ნაზი, კაცთმოყვარე, კეთილი და პატიოსანი სული კი არა, წარმატებული ვაჟკაცი, თანატოლებში ყველაზე გამორჩეული, ახალგაზრდების კერპი გიყვარს და გეამაყება, რომ მისი გული მოიგე. ეს შენი მოჩვნებითი სიყვარული მანამდე გაგრძელდება, სანამ ლუკა ამ თვისებებს არ დაკარგავს. შენ კერპზე მონადირე ხარ. მალე თანამდებობით გაზულუქებულ, გაბღენძილ ფუქსავატზე გადაინაცვლებ. ლუკა კი უბრალოა და მისთვის მლიქვნელობა უცხოა, რის გამოც მაღალ პოსტს ვერ ეღირსება და არც აინტერესებს; ის გულუბრყვილოა და შენს ეგოისტურ სიყვარულში ჩამალულ ანგარებას ვერ ხედავს. ამიტომ ვერ გიტან, მაგრამ გიფრთხილდები, რადგან ლუკას ბედნიერება დღეს შენზეა დამოკიდებული. ჰოდა, საჭირო რომ გახდეს, ჩემ გულს გადაგინერგავ! — კლარა ადგა, მარინე გაშტერებული შეჰყურებდა და სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა.

## პაპუნას ნატკენი ხელი

ლუკამ პაპუნას კვალს სამი დღე ვერ მიაგნო. ტანვარჯიშის სექციაში უთხრეს, დიდი ხანია ვარჯიშს თავი დაანებაო. ახლა ინსტიტუტის ეზოში იდგა და ფიქრობდა, პაპუნა სად მოეძებნა. ლალის დაბადების დღემდე უნდა ენახა; დრო ცოტა რჩებოდა. თვითონ ასე გადატვირთული რომ არ ყოფილიყო, მაგრამ არა

უშავს, სამსახურს გააცდენს და მოძებნის. ამგვარი გადაწ-ყვეტილების შემდეგ თითქოს უკვე იპოვა, შვება იგრძნო.

ახლად დარგულ ჭადრების მწკრივს გაუყვა, თან სტუდენტებს ათვალიერებდა, მის გვერდით რომ მიმოდიოდნენ. უცებ შედგა, ერთ ჯგუფს დააკვირდა, მათ შორის პაპუნა ჭელიძე იცნო.თვითონ რომ ახსოვდა, მას შემდეგ კარგად მოსუქებულიყო, მუცელიც წამოზრდოდა და სმა-ჭამის ტრფიალს უდასტურებდა.

ლუკა მასთან მივიდა და მიესალმა.

— ლუკას სიცოცხლე! — პაპუნამ მხიარულად გაუწოდა ხელი. — სადა ხარ, ლუკა, რამდენი ხანია აღარ მინახიხარ. თუმცა რაც ვარჯიშს თავი დავანებე სადღა გნახავდი. შენ კი, ალბათ, ახლაც არ ისვენებ, არა? იცით, ბიჭებო, ეს ვინ არის? სამბისტების რისხვა, ჯერ ამის წამქცევი არ მინახავს, — დაუმატა. დანარჩე-ნებმა ლუკას გაკვირვებით შეხედეს, მის არაჩვეულებრივ მკვრივ, დაკუნთულ და ათლეტურ გარეგნობის მნახველნი დარწმუნდნენ, რომ პაპუნა არ ხუმრობდა.

— ჩემი რა გითხრა, შენ კი აშკარად გეტყობა, რომ დატ-ვირთა კუჭზე გადაგიტანია, — ლუკამ საყვედურნარევი ტონით უთხრა.

— ეგრეა ძმაო, რეჟიმში ყოფნა მომწყინდა; რა სჯობია თავი-სუფლებას და გოგოებში დროსტარებას.

— რეჟიმის მოშლამ და დროსტარებით უზომოდ გატაცებამ ზნეობის და ვაჟკაცური ნორმების დაკნინება იცის, რის გამო შეიძლება კაცს ქურდულად უკნიდან, თავის საცოლესთან მშვიდად მიმავალს, დაარტყა კიდეც და სინდისის ძარღვი არ შეგიტოკდეს.

— ჩემზე ამბობ?

— ჰო, აბა, ცოტა ხანს აქეთ მოდი! — ლუკამ ხელი გამოსდო და განზე გაიყვანა.

— შენ რა აწეული ლაპარაკობ, ხომ არაფერი გეშლება?! — პაპუნა აიჯაგრა.

— მე მეშლება თუ შენ გეშლება! — ლუკამ გამომწვევად უპა-სუხა.

— წადი ერთი! — პაპუნამ ხელი აუქნია.

ლუკამ ხელი ჰკრა, გაზონის შიგნით შეაგდო და თვითონაც შეჰყვა. პაპუნამ მუშტი მოუქნია, ლუკამ ხელი სტაცა, ამოუტრიალა, ზურგს უკან დაუჭირა და მტკივნეულად აქაჩა; პაპუნამ დაიკვნესა.

— რას შვრები გაგიჟდი?! — ტკივილისაგან დაიღრიალა. — რა დაგემართა, ბიჭო. ცოფი შეგეყარა?! მოდი აგერ სკამზე დავჯდეთ და დავილაპარაკოთ, რა გინდა.

— დავილაპარაკოთ, — ლუკამ ხელი გაუშვა.

პაპუნა ნატკენ ხელს ისრესავდა.

იმ ჯგუფიდან, პაპუნა რომ საუბრობდა, ახალგაზრდები გაზონს მოადგნენ.

— რა ხდება? — ერთმა იკითხა.

— წადი რა, სხვის საქმეში ნუ ეჩრებით! — პაპუნამ შეუღრიალა და ისინიც იქაურობას მოსცილდნენ.

მტირალა ტირიფის ქვეშ მოწყობილ სკამზე დასხდნენ.

— ბიჭო, მე ნორმალური მეგონე და კარგად გახასიათებდი, სიგიჟის შეტევა ეს პირველი იყო თუ პერიოდულად გემართება?! — ხელის სრესვით უსაყვედურა პაპუნამ.

— ჩემი მეგობარი არა ხარ, მაგრამ კარგ ვაჟკაცად გთვლი; გეკადრება უმიზეზოდ, ვერაგულად კაცს დაარტყა?! ეს პირველი იყო თუ პერიოდულად გემართება?! — ლუკამ პაპუნას შეკითხვა გაიმეორა.

— დიანას დაბადების დღეზე თავის საცოლესთან მიმავალს მიპარვით, უკნიდან რომ დაარტყი.

— ჰო, ნასვამი ვიყავ და ხომ იცი ღვინის ამბავი, ზოგჯერ ეს სიგირძე მემართება ხოლმე.

— შენ კი ეს დროსტარება გგონია. რა კარგი ბიჭი იყავ როცა ვარჯიშობდი. ნასვამი იყავ. მუცლის მონობიდან ცხოველად გადაქცევამდე მგონის ერთი ნაბიჯიც აღარაა.

— რა ვქნა, დავაშავე, მივალ და ბოდიშს მოვუხდი.

— ბოდიში არ უშველის.

— იმ საცოლესთან ვთხოვ პატიებას და, თუ უნდა, რამდენიც ესიამოვნება მირტყას, — ღიმილით თქვა პაპუნამ. — ისე კი მგონის კარგად უნდა დამიჯდეს ის დარტყმა. მუცლის მონობას შევეშვები და ისევ დავიწყებ ვარჯიშს.

— აი, ეს მოგიხდა კარგ ვაჟკაცად გთვლიდი და არ შევცდარვარ; ჩვენს შორის რაც მოხდა დავივიწყოთ, კარგი?

— გასაგებია.

— აბა, ნახვამდის, ნუ დამემდურები, თუ როდისმე დაგჭირდე, შენს გვერდით მიგულე, — ლუკამ ხელი გაუწოდა, პაპუნამაც შეაგება თავის ნატკენი ხელი.

— დღეს კარგი გაკვეთილი მივიღე, მადლობის მეტი რა მეთქმის.

ლუკამ მხარზე მოხვია ხელი და ორივე ბილიკზე გავიდნენ. ერთმანეთს გადაეხვივნენ.

## უიმედო სიყვარულის მსხვერპლი

ლუკა ქუჩას მიუყვებოდა. რამდენიმე ნაცნობს შეხვდა, მიესალმა და გამოლაპარაკების გარეშე გააგრძელა გზა. უცებ წინ მიმავალი მამაკაცი მოხვდა თვალში, დააკვირდა; სადღაც ენახა და ვერ გაეხსენებინა ვინ უნდა ყოფილიდო. „ზაზა მასწავლებელს როგორა ჰგავს“, გაიფიქრა. ფეხს აუჩქარა, კაცს დასცილდა, მობრუნდა და წინიდან შეხედა; ნამდვილად ზაზა იყო, ოღონდ ძალიან შეცვლილიყო. ჩაფიქრებული მიდიოდა, რიჟა წვერი მოშვებოდა, ძალიან მოტეხილი ჩანდა; ძველებური მკვირცხლი და სიცოცხლით სავსე ზაზასთაგნ ძალიან ცოტაღა დარჩენილიყო. კლარასთან მომხდარი უსიამოვნება გაახსენდა, შეეცოდა. ცოტა ხანს წინ გაუშვა, ჩაფიქრდა, მერე უცებ გადაწყვიტა, წამოეწია და მკლავზე ხელი მოსჭიდა; ზაზა შემოტრიალდა.

— გამარჯობა, ზაზა, მას! — ლუკა გულიანად იღიმებოდა.

— გამარჯობა! — ზაზამ ინსტიქტურად თქვა, ლუკას დააკვირდა, აშკარად შეეტყო, რომ ვერ იცნო.

— ვერ მიცანი?

— ვერა, რატომღაც, — ზაზამ დარცხვენით თქვა.

— მე ლუკა ვარ, სოფელში ფიზკულტურას რომ გვასწავ-ლიდით; ბოლოს მე გამოგაცილეთ.

— ლუკა, როგორ გამოცვლილხარ, ბიჭო! — ზაზას ძალიან გაუხარდა მისი ნახვა, გადაეხვია.

— ინსტიტუტს ვამთავრებ, აგრონომი ვარ, მალე ისევ სოფელს დავუბრუნდები.

— სხვები როგორ არიან?

— ვინ გაინტერესებთ? ალბათ ყველა აღარც კი გახსოვთ.

— წამოდი, ლუკა, სადმე დავსხდეთ, თუ დრო გაქვს, ძალიან მინდა შენთან საუბარი.

— წავიდეთ, ზაზა მას, მეც მაინტერესებს თქვენი ცხოვრება, — ლუკა სიამოვნებით დათანხმდა.

მალე ორივე რესტორანში ისხდნენ. რამდენიმე სადღეგრძელო ისე დალიეს, რომ საუბარი ვერ ააწყეს, უხერხულობას გრძნობდნენ და გულახდილობას ერიდებოდნენ; ბოლოს ღვინომ თავისი საქმე გააკეთა.

— რამდენი შვილი გყავს, ზაზა მას? — ლუკა მოულოდნელად შეეკითხა.

ზაზა შეკრთა, ამგვარ შეკითხვას არ მოელოდა, ჩაფიქრდა, მერე ღვინის ჭიქა ისე გამოცალა, სადღეგრძელო არ უთქვამს.

— იცი, ლუკა, მე ცოლი არ მომიყვანია, ის რაც მაშინ მოხ-და, ჩემს ცხოვრებას იმხელა დაღი დაასვა, რომ დღემდე არ მომშუშებია. არ ვიცი, სად შევცდი, ერთი კი ცხადია, კლარას გამო მთელი სიცოცხლე გამიმწარდა. საცოლე მყავდა, მეგონა მიყვარდა, ცოლად მოყვანას ვაპირებდი. ჩემ საქმეს ენთუზიაზმით მოვეკიდე; მინდოდა სამაგალითო ვყოფილიყავ. მერე კლარა ჩემს ცხოვრებაში გრიგალივით შემოიჭრა და მთლად ამაფორიაქა. პირველად მეგონა, რომ ვერთობოდი, ჩემ საცოლესთან ურთიერ-თობას ვერაფერი შეარყევდა. ამიტომ კლარას ისე მოვექეცი, როგორც მამაკაცი ექცევა ხოლმე ქალს, რომელთანაც მხოლოდ

დროებით გართობა სურს. მაგრამ კლარა სულ სხვა გოგო გამოდგა, მისი საქციელი იყო თუ სხვა რამ ღირსება, ერთი კი ცხადია, რაც დრო გადიოდა, უფრო მიყვარდებოდა.

ქალაქში რომ ჩამოვედი, საცოლეს დავუკავშირდი, ხშირად ვხვდებოდით, მაგრამ დავრწმუნდი, რომ მისი სიყვარული აღარ შემეძლო; ბოლოს ჩვენ ერთმანეთს სამუდამოდ დავშორდით.

ერთხანს ღვინის სმა დავიწყე, ცხოვრების ინტერესი დავკარგე; კლარასთან ბოლო უსიამოვნება რომ არა, აუცილებლად ჩამოვიდოდი სოფელში, შევხვდებოდი და... – ზაზა ცოტა ხანს დადუმდა, მერე ისევ გააგრძელა: – ახლა ქარხანაში ვმუშაობ ფიზორგად და ვარ ჩემთვის გარიყულივით. კლარასთან შერიგება რომ შეიძლებოდეს, ჩემ სიცოცხლეს რაღაც მიზანი მიეცემოდა, – ჭიქაში ღვინო დაისხა და ბოლომდე დალია.

– ეს სადაური წესია, მარტო რომ სვავთ სადღეგრძელოს გარეშე, – ლუკამ ღიმილით შენიშნა.

– ხომ ხედავ, ლუკა, ყველაფერში დაკარგული მაქვს წონასწორობა, – ზაზამ მოიბოდიშა.

– კლარა მას შემდეგ არ შეგხვედრიათ?

– სად შევხვდებოდი, რაც სოფლიდან წამოვედი, იქაური არავინ მინახავს; მეც არ მეყო გამბედაობა, რომ მომეძებნა, მცირედი წარმატების იმედიც არ მქონდა და... – ზაზამ თავი ჩაქინდრა.

– აქ ახლოს ცხოვრობს, საკუთარი ბინა აქვს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობს და წელს ამთავრებს; თუ გაინტერესებთ მისამართს მოგცემთ.

– ძალიან დამავალებ, ლუკა! – ზაზას თვალები გაუბრწყინდა.

ლუკამ კლარას მისამართლი ხელების საწმენდ ქაღალდზე დაუწერა.

– შენ რას იტყვი, მიმიღებს? – თხოვნაგარეული კილოთი მიმართა ლუკას, თითქოს მასზე ყოფილიყო დამოკიდებული კლარა მიიღებდა თუ არა.

– მე წინასწარ ვერაფერს გეტყვით, ერთი კი შემიძლია გირ-

ჩიოთ: კლარა აუცილებლად უნდა ნახოთ, იქნება ამის შემდეგ წაღმა დატრიალდეს თქვენი ცხოვრება, — ლუკამ ჭიქა აიღო, — თქვენი ბედნიერი მომავლის სადღეგრძელო იყოს! — თქვა და ბოლომდე გამოცალა.

— გმადლობ, ლუკა! ჩემს ბედად და იმედად შემხვდი, იქნება აქედან დაიწყოს ჩემი ნამდვილი ცხოვრება, — ზაზა ფრთაშესხმული იყო.

კიდევ დიდხანს ისაუბრეს, კარგად შეზარხოშდნენ. ქუჩაში ცოტა ხანს ერთად მიდიოდნენ, მერე მომავალი შეხვედრის იმედით გულაჩუყებულები ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

## სოფლად შრომაზე გადაცვლილი კარიერისტული ამბიციები

ლუკამ ამალიას ოთახის კარები ისე შეაღო, არ დაუკაკუნებია. დათო, ამალია და მარინე ისე იყვნენ საუბარში გართული, რომ ლუკას კიბეზე ასვლა არ გაუგიათ.

— აქა მშვიდობა! — ლუკამ მხიარულად თქვა, კარი მიხურა, იქვე მიდგმული სკამი მიიცურა, ისე გადაავჯდა, რომ საზურგეზე ხელებით დაეყრდნო. — რა კარგ დროს მოვედი, ბედი მქონია, ახლა სწორედ თქვენი ნახვის სურვილი მქონდა.

— ლუკა, მაგარ ფორმაში ხარ, დილიდანვე ღვინის სმით ხომ არ გაიღვიძე? — ღიმილით შეეკითხა ამალია.

— ახლა საღამოს რვა საათია, — ლუკა საათს დიდხანს უყურებდა, თუმცა თავს იკავებდა, მაგრამ კარგად ნასვამობა ეტყობოდა.

— განა იმას იტყოდი, დათოსაც შევარგო ერთი ჭიქაო! ის არ მეყოფა, რომ ოჯახის შექმნის ტვირთი ავიკიდე?! — მოიჩივლა დათომ.

— რა აიკიდე? — ლუკამ ალმაცერად შეხედა.

— მე და ამალიამ გადავწყვიტეთ, ბოლოს და ბოლოს ოჯახი შევქმნათ, ვიქორწინოთ! — ფეხზე ადგა და სამხედრო წესით მოახსენა.

— აქამდე არ შეგიქმნიათ? — ლუკამ გადაიხარხარა, წამოდგა და დათოს ხელი გაუწოდა. — მომილოცნია! მომავალ თვეში სტიპენდიას რომ ავიღებ, საჩუქარს აუცილებლად გიყიდი.

— ამ თვის სტიპენდიას რაღას უშვრები? — ღიმილით ჰკითხა დათომ.

— ფა-ფუ, გაფრინდა. ძალიან ვძულვარ, სულ არ უყვარს ჩემთან დარჩენა, — ლუკამ მუჭა მაღლა ასწია, შეუბერა და ნელ-ნელა გაშალა.

— რადგან ეგრეა, დღეს მე ვიქნები მასპინძელი. ამალია, სუფრა გაგვიშალე; ჩემ სიმამრს კარგი ღვინო ჩამოუტანია, — დაიტრაბახა დათომ.

— ვა, უკვე სიმამრია? — ლუკას გაეცინა.

— ამას თავისი სიცოცხლე მოუთმენლობა სჭირს, — უსაყვედურა ამალიამ.

— მოითმინე, ბიჭო, მოითმინე! ხომ ხედავ ამალიას არ ეჩქარება, — ლუკამ დათოს მხარზე ხელი დაარტყა და მაგიდას მიუჯდა. — აბა, თუ რამეს დაგვალევინებთ, მადლობას გეტყვით; ბევრი არ გვინდა, დაგლოცავთ მხოლოდ.

ამალიამ სუფრის გაშლა დაიწყო, თან ლუკა გააფრთხილა: — შენ მეტი ღვინო არ გინდა, ისე ვილაპარაკოთ.

— განა ლოთს ვგევარ? ჩემს ცხოვრებაში პირველად მივიღე ასეთი შენიშვნა, თუმცა რაც დავლიე ღვინის წყურვილით კი არა, ადამიანის პატივისცემით მოხდა ეს; გზააბნეული და ცხოვრებაზე გულგატეხილი კაცის თანაგრძნობამ მიბიძგა და გთხოვთ შემინდოთ! — ლუკამ თავი დახარა და, თითქოს ახლა შენიშნაო, მარინეს მიაჩერდა: — მარინეს ისე ეწყინა, რაც მოვედი, ხმას არ იღებს, ეს რა გამოუსწორებელი ლოთი ყოფილაო, — ლუკა ადგა, მარინესთან მივიდა: — ბოდიში, მარინე, რომ ჩემი ესოდენ უტაქტო საქციელით თქვენი სიმშვიდე დავარღვიე, — მარჯვენა ხელი მკერდზე მიიდო და თავი დახარა.

— ხმა ვერ ამოვიღე, ასეთი არასოდეს მინახიხარ და... თუმცა არც შენ გამოგიდვია თავი ჩემი მოკითხვით, — უსაყვედურა მარინემ.

— რა ვიცი კომკავშირელ აქტივისტთან თამამად მოქცევა დიდი რისკია, — შეფარული დაცინვით თქვა ლუკამ.

— გააჩნია ვის როგორ ესმის ეს საკითხი, შენ კომკავშირში რომ შესულიყავ, დღეს შეიძლება ძალიან დიდი კაცი ყოფილიყავ, — მარინემ სინანულით თქვა.

— დიდი და მცირე კაცობის საზომი თანამდებობის სავარძელი არ არის, შეიძლება მაღალ სკამზე ისეთი ქონდარა იჯდეს, რომ სკამის გარეშე აღარაფერი დარჩეს; დიდი კაცობა ცხოვრებისეულ მანკიერ ცთუნებებზე ამაღლების სიდიდით იზომება.

— კომკავშირიც სწორედ მაგას ქადაგებს.

— თუ ეგრეა ის კომკავშირელი უფროსები თავქარქაშა ინდ-აურებივით გაფხორილები რატომ დადიან?! ან დიდი კაცობის საზომი კომკავშირიდან რატომ უნდა იწყებოდეს?! მოკლედ, შემიძლია დიდი ბოდიში მოგიხადო, ოღონდ შენი საყვედური არ დავიმსახურო, — ლუკამ მარინეს წინაშე ქედი მოიხარა.

მარინე გაწითლდა, გული ამოუჯდა. — მაპატიე, ლუკა, არ გამიწყრე, — ცრემლები მოერია, ლუკას რომ არ დაენახა, თავი მკერდზე მიადო და თვალები მოიწმინდა.

ლუკამ ეს იგრძნო, თავი აუწია, ცრემლიან თვალებში ჩახედა და აკოცა, თუ არა ღვინო, ფხიზელი ამას არ გააკეთებდა.

— ყოჩაღ, ბიჭო, ჩვენი აღარ გერიდება?! — ამალიამ გადაიხ-არხარა.

ლუკამ მარინეს ხელი მოჰკიდა, დათოს და ამალიას მიუბრუნდა: — გაიცანით ახლად შეუღლებული წყვილი; ჩვენ ამ დღეებში ჯვარს დავიწერთ და სოფლის გზას დავადგებით, ხომ ასეა მარინე?

მარინემ თავი ჩაღუნა, პასუხი არ გასცა.

ლუკა უცებ გაჩუმდა, თითქოს მთლად გამოფხიზლდა, სკამზე დაეშვა და მაგიდას დაეყრდნო.

— ალბათ სისულელე ვთქვი არა? — მარინეს შეხედა.

— არა, ვინ ამბობს, — მარინემ ორჭოფულად უპასუხა.

დათო მაგიდას მიუჯდა და ჭიქებს ბოლომდე აშრობდა. ლუკა ბოლომდე არ ცლიდა.

— სად დავსელდი ისე, რომ ახლა ვეღარ სვამ? — დათო შეეკითხა.

— ფიზკულტურის მასწავლებელი — ზაზა შემხვდა, თორე დილიდან თქვენთან ვიქნებოდი. საწყალი მთლად შეცვლილი, გამხდარი და მოტეხილია. კლარასთან მომხდარი ამბის შემდეგ მთლად არევია გზა-კვალი, საცოლესაც გასცილებია; ეტყობა, კლარა ახლაც უყვარს. ერთხანს გალოთებულა კიდეც. ახლა მუშაობს, მაგრამ მაინც დაცემული კაცის შეხედულება აქვს. ერთი კი ცხადია, კლარამ თუ მიიღო, შეურიგდება და ბედნიერ ოჯახს შექმნის.

— მიეხმარე, ლუკა! — ამალია შეეხვეწა.

— მე როგორ მივეხმარო?

— კლარას შეახვედრე, დაარწმუნე, იქნება შეირიგოს.

ლუკას დამცინავად გაეღიმა. — რაც თქვი, ყველას შეგიძლიათ გააკეთოთ ჩემს გარდა. მე მისამართი მივეცი და, თუ ამ საქმეს სიკეთე უწერია, ჩარევის გარეშე გამოვა.

დიდხანს ისაუბრეს, იხმაურეს, ამხანაგები გაიხსენეს; ამასობაში ლუკა მთლად გამოფხიზლდა.

— დაგვიანდა. წასვლის დროა ალბათ, — მარინე წასასვლელად წამოდგა.

— წავიდეთ. ახლად შეუღლებულებს ხელს ნუ შევუშლით, — ლუკაც დაეთანხმა.

— რა ჩვენი ბრალია, თქვენ რომ გასეირნება გინდათ, — თავი იმართლა დათომ...

ქუჩაში სიწყნარე იყო, იშვიათად თუ შეხვდებოდით ჩქარი ნაბიჯით მიმავალი მოქალაქე.

— ლუკა, სამუშაოდ სოფელში მიდიხარ? — მარინემ მოულოდნელად ჰკითხა.

— ჰო, ინსტიტუტში დატოვებას მპირდებოდნენ, მაგრამ მე არ ვინდომე. სოფლის მეურნეობის ნამდვილი სპეციალისტი ასფალტზე ბევრს ვერაფერს შექმნის. ბებიაც ცუდად არის, ვერ მივატოვებ, პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილებასაც მივიღებ; მერე უფრო

იოლი იქნება მეცნიერული კვლევის გაგრძელება.

— შენ ასე გინდა? — ორჭოფულად შეეკითხა მარინე.

ლუკა გაჩერდა და თვალებში ჩახედა.

— სოფელში წასვლა არ გინდა?

— რა მოსაწონია. ადამიანი იქ უნდა ჩაკვდეს და მიწის მთხრელ არარაობად იქცეს.

— შენც მართალი ხარ, — მეც. რომის იმპერატორმა დიოკლეტიანემ მიატოვა იმპერატორობა, წავიდა სოფელში და, როგორც შენ ამბობ, აგრიკოლასავით მიწის მთხრელ არარაობად იქცა. როცა მასთან წარჩინებული რომაელები მივიდნენ და კვლავ სახელმწიფო უმაღლესი ხელისუფლობა სთხოვეს, მან კატეგორიული უარი განაცხადა და ასე უპასუხა: „თქვენ რომ გაჩვენათ კომბოსტო, რომელიც ჩემი ხელით დავრგე, ასეთ წინადადებას არ მომცემდითო“. ასეა, ჩემო მარინე, ვისთვის მიწის ჩიჩქნაა და ვისთვის შემოქმედება. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც რომის იმპერატორობისათვის ძმებს, დებს, მშობლებს და ახლობლებს არ ინდობდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ იმპერატორები გამხდარიყვნენ. იმ სიმაღლიდან უნიჭო და ეგოისტი თავით მხოლოდ უბედურებას რომ თესავდნენ, ოღონდ თვითონ ყოფილიყვნენ მბრძანებლები, ყოველივე სასიკეთო და ადამიანური ფეხებზე ეკიდათ. რას იზამ, ეს ორფეხი ცხოველი თავისი ბუნებით მომხვეჭელი და საშინელი ეგოისტია.

— ლუკა, შენ კომკავშირში რომ შესულიყავ, ახალგაზრდობის თავკაცად დაწინაურდებოდი და ასე აღარ ისაუბრებდი; შენს წინ სულ სხვა სამყარო გადაიშლებოდა.

— კომკავშირში კი არა, პიონერიც არ ვყოფილვარ და იცი რატომ? ჩემს წინ სულ სხვა სამყარო იყო გადაშლილი და შაბლონში ჩაჭედილს ვიღაც დაპროგრამებული პიონერხელმძღვანელის დოგმების ძახილზე ვაშათი პასუხი არა მსურდა. ერთიან მასაში სარობოტე ცომად ჩემი მოზელა ვერ წარმომედგინა. კომკავშირში მისაღებად მთელი ჩვენი კლასი რომ წაიყვანეს, მე სკოლა გავაცდინე, მერე მარტო წასვლა ვითომ ვერ მოვახერხე და ასე ვაი-ვაგლახით დავაღწიე თავი მაგ ბედნიერებას. თქვენთან

რომ გადმოვედი, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მე კომკავშირელი არ ვიყავი, რადგან ვინც კარგად სწავლობდა კომკავშირის გარეშე არ ტოვებდნენ. ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე ცოტათი შემაჯანჭყარეს, რატომ კომკავშირის დახასიათება არა გაქვსო. კომკავშირი დაავადებულია ამიტომ იქიდან გადაშლილი ჰორიზონტი კარიერისტული ამბიციებია მხოლოდ. თანამდებობისათვის ბრძოლა და პრეზიდიუმში ინდაურივით გაფხორილი ჯდომა რაღაც უპირატესობის ყალბი გრძნობით კვებავს კარიერიზმის ბაცილით დაავადებულ ახალგაზრდებს.

— ეგრე რატომ მსჯელობ, ლუკა? მალე შენგან დაწუნებული ახალგაზრდობა მოვა ხელისუფლების სათავეში და მაგათ დაუჯერებს მთელი ქვეყანა.

— მეც სწორედ მაგისა მეშინია. ეგოისტის და კარიერისტის მიერ აშენებული ქვეყანა არ არსებობს, დაქცევა კი შეიძლება.

— ლუკა, თუ კომკავშირში არ შეხვედი და მერე კომუნისტი არ გახდი იცი, რომ თანამდებობაზე არ დაგაწინაურებენ? სულ რიგითი აგრონომი ხომ არ იქნები?

— აბა მე იმპერატორობაზე მეოცნებე ვაგლახი არა ვარ, ხალხი კი როგორც დამაფასებს, ისაც მეყოფა.

— ლუკა, რა გულუბრყვილოდ საუბრობ, ხალხი რა შუაშია, თანამდებობაზე პარტიული ხელმძღვანელები ნიშნავენ მხოლოდ.

— მე ეგ არ მაღელვებს; ჩემი შრომის ნაყოფის დანახვა მიხარია მხოლოდ. მოკლედ, მე სოფელში მივდივარ, შენ რას იზამ?

— ლუკა, მე კურსის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვარ, ახლა შეიძლება რაიკომში გადამიყვანონ და თანაც ასპირანტურაში უნდა ჩამრიცხონ. აუარებელი დავალება მაქვს; ეს ხომ პასუხისმგებლობიდან გაქცევა იქნებოდა. თანაც დეიდაჩემი ძალიან მომთხოვნი ქალია, ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვების უფლებას არ მომცემს.

ლუკას ხმა აღარ ამოუღია. კარგა ხანს მდუმარედ იარეს. მარინეს ბინას მიუახლოვდნენ.

— კარგი, მარინე, შენს საქმეს მიხედე. მე სოფელში წავალ,

ვნახოთ მომავალი რას გვპირდება, ან რით გაგვიმასპინძლდება. მე ყოველივე შენი წარმატება უაღრესად გამახარებს. თუმცა წარმატების საზომი მე ჩემებური მაქვს, — ლუკას ირონიულად გაეღიმა. — ნახვამდის, — მარინეს ხელი ჩამოართვა და სასწრაფოდ გაბრუნდა.

— ნახვამდის, — თქვა მარინემ და ადგილზე გაქვავებული ლუკას მზერით მიაცილებდა. რაღაც შვება იგრძნო, ლუკამ დაჟინებით რომ არ მოსთხოვა სოფელში წასვლა. თითქოს ლუკას მიმართ რაღაც პასუხისმგებლობის ტვირთიც მოიცილა, რომელიც მისი შეგნებით დახატული კერპის თვისებებს კარგავდა.

## სასუქის გადამყრელები

ალაზნის ველზე შემოდგომის მაჯისცემა იგრძნობოდა. ტრაქტორები ხოჭოებივით დაღოღავდნენ და მიდამოს ხმაურით იკლებდნენ. გზებზე სილოსით დატვირთული მანქანები დაქროდნენ; პირუტყვის სადგომ ბინებთან საკვებს იმარაგებდნენ. ავტომობილები რომ არ ყოფნოდათ, ლაფეტგამობმულ ტრაქტორებს იყენებდნენ. ჩქარობდნენ, რომ ყველაფერი დროზე მოესწროთ, თორემ ამინდის გაუარესების შემთხვევაში ათმაგი ენერგიის დახარჯვა მოუწევდათ ახლანდელთან შედარებით.

თვითმცლელი მანქანა მინდვრის რბილ გზაზე გადავიდა და ალაზნისაკენ დაეშვა. ძარაში მინერალური სასუქი იყო ჩატვირთული; გვერდების სახსრებიდან იფანტებოდა და მანქანის ნატარს წვრილ ზოლად მისდევდა.

კაბინაში ორნი ისხდნენ; მძღოლი — ტრისტანი და ბრიგადის ახალგაზრდა რიგითი წევრი ნიკო.

— ამდენი გზა რა ტყუილად ვატარეთ, არა სჯობდა იქვე სადმე გადაგვეყარა? — თქვა მძღოლმა და ორივე ხელი საჭეს დაარტყა.

— ამჩემფეხებამა თქვა, ისეთ ადგილას გადაყარეთ, თვალში არავის მოხვდესო, — ნიკომ საქმიანი კაცის ტონით უპასუხა.

— ბიჭო, მე თქვენი არ მესმის, რაზე ეწვალებით, სასუქს სულ ნუ გამოიტანთ; ფულს ცალკე იხდით და მანქანას ცალკე ვანგრევ.

— თურმე ზევიდან აძალებენ, თუ სასუქი დროზე არ გაიტანეს, თავმჯდომარეს შავ დღეში ჩააგდებენ, განუმარტა ნიკომ.

— თქვე მამაცხონებულებო, თუ გამოგაქვთ, ბარემ კიდეც შეიტანეთ? ალბათ კარგია, თორემ არ დაგაძალებდნენ.

— კარგი რომ იყოს, ამჩემფეხებას არაფერი ეშლება, კარგში და ცუდში კარგად ერკვევა.

— რა ვიცი, ჩემო ძმაო, მე ეს კარგი კი არა მგონია და, თორე ჩემი საქმე საჭის ტრიალია, საითაც მეტყვით, იქით წავალ.

— ჰოდა, რახან ეგრეა, აგერ იმ ხრამთან მივსულვართ, ახლა მიდი, მანქანა უკან-უკან მიაყენე.

— ნიკო, იმ ახალი აგრონომისა მაინც არ გეშინია? არა მგონია ეს საქმე მოგიწონოს; ხომ ნახე რა მაგრა თხოულობს, — ტრისტანმა გააფრთხილა.

— შენც მოგცლია! რამდენი აგრონომი გვყოლია, ვინ, რას ეკითხებოდა. ამჩემფეხებამ თქვა და მორჩა, მაგ აგრონომს საქმეში სულ არ ჩაახედებს; თანაც ხომ იცი, თავმჯდომარე მხარს უჭერს.

— რა ვიცი, მამლისა არ იყოს, მე ვიყივლებ და გათენდება თუ არა რა ჩემი საქმეაო. მე მითქვია და... — ტრისტანმა უკანა სიჩქარე ჩართო და მანქანა ნელ-ნელა ხრამთან მიაყენა. — ნიკო, უყურე, ზევით რამე არ დაგვრჩეს, — დაავალა და ამწე ჩართო. სასუქი ხრამში ხრიალით დაეშვა.

ძარა ნელ-ნელა პირვანდელ მდგომარეობაში ბრუნდებოდა, ნიკო კაბინაში შეძვრა და კარები მიიხურა. ტრისტანი ძარის დაშვებას ელოდებოდა, რომ გვერდები ჩაეკეტა.

ლაფეტმობმული „ბელორუსი“ — ცხვირით მიადგა ისე, რომ მანქანის გატანა შეუძლებელი იყო.

ტრაქტორიდან ლუკა გადმოვიდა. ტრაქტორისტიც ზლაზვნით ჩამოვიდა და კატასავით გაიჭიმა.

ლუკამ ტრისტანს გვერდით ისე გაუარა, ზედ არ შეუხედავს. ხრამში ჩაიხედა. დოინჯით იდგა და თავს აქნევდა. ხრამის ძირას წყალი მიდიოდა, სასუქი შიგ იფანტებოდა და წყალს მიჰქონდა, რომ შემდეგ ალაზნის ტალღებისათვის ჩაებარებინა.

ლუკა მძღოლს მიუბრუნდა, თვალებიდან ნაპერწკლებს აკვესებდა; მაინც შეიკავა თავი და დინჯად ჰკითხა: — თუ იცი, ახლა რა ჩაიდინე შენ?!

— მე რა ვქნა, კაცო, ათასი ხაზეინი მყავს. აგერ, უფროსი კაბინაში ზის, იმას ჰკითხე, რატომ ჩამაყრევინა; მე პატარა კაცი ვარ, — ტრისტანი დანაშაულზე წასწრებული ბავშვის ტონით ამეტყველდა.

— აქ მოიყვა ეგ შენი ხაზეინი!

ტრისტანმა კაბინის კარები გამოაღო: — მოდი და ახლა შენ ჩააბარე პასუხი. ხრმ გეუბნებოდი, ამას ნუ ჩაიდენ მეთქი, ახლა ამჩემფეხებამ გიშველოოს! — ნიკო ჩამოსვლას არ აპირებდა, ტრისტანმა ხელი მოჰკიდა და ძალათი ჩამოიყვანა.

— შენა ხარ ხაზეინი? — ლუკამ დამცინავად ჰკითხა.

— ხაზეინი ვარ თუ რაცა ვარ, მე ვარ! — ნიკომ აგდებულად უპასუხა.

— შენ რაცა ხარ, გხედავ, მაგრამ რა უფლების ძალით ყრი სასუქს ხრამში! — ლუკა დინჯად ლაპარაკობდა, მაგრამ ეტყობოდა, თავის შეკავებას დიდი დაძაბულობის ხარჯზე ახერხებდა.

— ყველამ თავის საქმეს მიხედოს. გირჩევნია, თავი დამანებო, თორემ რისთვისაც ვყრი, გაგაგებინებენ და მერე გვიან იქნება! — ნიკო დაემუქრა.

— ერიჰა! შენ საკმაოდ მოსამტვრევი რქები გქონია; ეტყობა წესიერი ლაპარაკით ვერაფერს გავხდები, — ლუკა აილეწა.

— რას იზამ, აბა ვნახოთ! — ნიკო ლუკას წინ გაიჯგიმა.

ლუკა ტრისტანს მიუბრუნდა: — ახლავე წადი ბინაზე, რაც ნიჩბები ვედროები და ტომრები აქვთ დაყარე მანქანაზე, ხალხიც წამოყვა; სანამ წყალს სულ არ წაუღია ხრამიდან სასუქი დროზე უნდა ამოვზიდოთ.

ტრისტანი ადგილზე დატრიალდა. მანქანის წინ ტრაქტორი იდგა, თანაც აინტერესებდა, ლუკასთან ნიკოს დავა როგორ დამთავრდებოდა.

— ვერსადაც ვერ წავა! — ნიკო გაბრაზდა. — ჩვენ ახლა სხვა საქმე გვაქვს დავალებული. მოგვაშორე ტრაქტორი! — ტრაქტორისტს დაუყვირა და მანქანისკენ წავიდა.

— მე გამოგიჩენ შენ საქმეს! — ლუკამ საყელოში სტაცა ხელი და ხრამისკენ გაათრია.

ნიკო გაუძალიანდა. ლუკამ ისეთი შემოჰკრა, მიწაზე გააგორა, რომ წამოდგა, მეორეც მოხვდა და ისევ წაყირავდა. ლუკამ ხელი დაავლო, მაღლა ასწია და ხრამში თავდაყირა ისროლა; ნიკოს ცხვირ-პირი სასუქით გამოეტენა, იფურთხებოდა და სასუქს აყოლებდა.

— ჩემგან რა გინდა, ამჩემფეხების დავალებას ვასრულებდი, რა ჩემი ბრალია! — მოსთქვამდა.

— თუ მაიდან ამოსვლას გაბედავ, რაც მინდა უფრო თვალნათლივ დაგანახებ! — ლუკამ თითი დაუქნია და მძღოლს მიუბრუნდა: — შენ ისევ აქ დგეხარ?! — უყვირა.

— მივდივარ, მივდივარ, ახლავე მივდივარ! — შეშინებული ტრისტანი ხტუნვა-ხტუნვით შეძვრა კაბინაში და საყვირი გაბმით ჩართო ტრაქტორი მომაცილეთო...

მალე რამდენიმე კოლმეურნე ლუკას დაბარებული ვედროებით, და ნიჩბებით ხრამს მოაყენა. ბრიგადირ ტარასას წამოსვლა ვერ გაებედნა; ხალხი გამოეგზავნა და თვითონ სათესებთან წასულიყო.

მოსულებმა ხრამში ჩაიხედეს. ნიკო სასუქის გროვაზე მუხლებით იდგა; მაღლა ამოსვლას ვერ ბედავდა, ლუკამ ისევ შიგ არ ჩამაგდოსო.

— მანდ რას აკეთებ, ნიკო? — მოსულებს სიცილი აუტყდათ.

— ვგუნდაობ.

— კი არ გუნდაობს, ლუკამ რო რქები მოამტვრია, ახლა იმისგან ყანწებს ამზადებს; როგორც იქიდან სხვები დალევენ,

იმათაც დასძვრებათ რქები, – სიცილით განმარტა ტრისტანმა.

– ის გიჟი მანდავეა? ამოსვლა ვერ გამიბედნია, – დაბალ ხმაზე იკითხა ნიკომ.

– ამოსვლას მოგცემ მე შენ! – ლუკამ ტომრები ისე ჩაყარა, ნიკოს თავზე დაეფარა. – ახლავე დაიწყე ტომრების გავსება, თორემ ხომ არ გგონია, ესე იოლად გადამირჩე!

ნიკომ ტომრებს სასწრაფოდ დაავლო ხელი.

– ვავსებ, მაშ არ ვავსებ! – დაიძახა და ტომრების გავსება დაიწყო.

– აბა, ყველამ გამოვიღოთ ხელი, მწკრივად დავდგეთ და ერთმანეთს მივაწოდოთ, – ლუკა ხრამში ჩახტა. შეშინებულმა ნიკომ გვერდზე გაიწია.

– გასწი ტომარა! – ღიმილით უთხრა ლუკამ და ნიჩბით შიგ სასუქს ჩაყრა დაუწყო.

ლუკა რაც კოლმეურნეობაში მივიდა, მისი ყოველი სასიკეთო მცდელობა წინააღმდეგობას აწყდებოდა. დიდი ჩხუბი და დავიდარაბის გადახდა უწევდა გამრუდებული საქმის გამოსასწორებლად.

ახლად დანიშნული იყო აგრონომად, მეორე ბრიგადაში ნაწვერალის გადახვნა მიდიოდა სასილოსე სიმინდის დასათესად. ისეთი ხარვეზით იყო მოხნული, ზოლებად ჩანდა ფეხზე მდგარი ბალახი. ის იყო სათესი დასათესად გაამზადეს, რომ ლუკა მოვიდა, ნაკვეთს გადახედა.

– სად აპირებთ სიმინდის დათესვას? – ტრაქტორისტს ჰკითხა, ტრაქტორს რომ უჩხიკინებდა.

– აგერ აქ, – ტრაქტორისტმა აჩიჩქნილ ნაკვეთზე აჩვენა.

– კი არ გეხუმრები, სერიოზულად გეკითხები, – ლუკამ სათქმელი გაუმეორა.

– აბა, კარგად დამაკვირდი, ხუმარისა რა მეტყობა?! გეუბნები, ამ ნაკვეთში ვთესამთ-მეთქი; ახლა გინდა დაიჯერე, გინდა არა, გაიგე?

– მაგ ნაკვეთში ვერ დათესავთ? – ლუკამ გადაწყვეტით თქვა და ნაკვეთში შევიდა.

ტრაქტორისტმა მის ნათქვამს ყური არ ათხოვა, კაბინაში შეძვრა და სათესი ნაკვეთში შეიტანა. ლუკა წინ გადაუდგა.

— გააჩერე ტრაქტორი! — უყვირა.

ტრაქტორისტი დაბლა ჩამოხტა, ლუკას მიეჭრა: — რა გინდა, კაცო, რას გადამეკიდე, შარი ხომ არა ხარ?! — ყვირილით იქნევდა ხელებს.

— შარს გაჩვენებ თუ ცოტას არ დაუწევ! — უთხრა ლუკამ, მივიდა და ძრავი გამორთო.

— რას შვრები, გაგიჟდი?! — ბუქსირზე დავქოქე, — ტრაქტორისტი შეწუხდა.

— ვინც ასე უსინდისოდ მოხნა — პირველი ის გაგიჟდა და მეორე ის, ვინც ამ ღორის ნათხარში დათესვის დავალება მოგცა, გაიგე? — ტრაქტორისტი ლუკას ყურს აღარ უგდებდა, ნაკვეთის ბოლოში მდგარ კაცისკენ მიძუნძულებდა.

— წადი, ყინტორას უთხარი, ეს ახალი აგრონომია თუ რაღაცა სიმინდს არ ათესინებს-თქო, ტრაქტორიც ჩამიქრო; ეხლა მოვიდეს და როგორც უნდა იგრე დამიქოქოს! — გაბრაზებული იქვე სიმინდის ტომარაზე ჩამოჯდა; კაცი კი გაიქცა ბრიგადირ დომენტის მოსაყვანად, რომელსაც სიმაღლისა და წვრილი გრძელი კისრის გამო ყინტორას ეძახდნენ.

ლუკამ ნაკვეთი გარდიგარდმო გადაიარა და უკან გამობრუნდა. გული სწყდებოდა, საქმისადმი ასეთი მავნებლური დამოკიდებულება ვერაფრით წარმოედგინა.

ყინტორა ლუკაზე ოცი წლით უფროსი იქნებოდა. ბევრი აგრონომი ჰყავდა გამოცვლილი; მათი არაფრად ჩაგდება ჩვეულებრივად გადაჰქცეოდა. ხშირად ამბობდა, ნეტავ რის მაქნისები არიანო, ისინიც ამის თვითნებობას შეგუებულები ხელს არ უშლიდნენ; ყინტორაც როგორც სურდა, ისე ხნავდა და თესავდა.

ახლა ძალიან ეუცხოვა ამ ახლად გამომცხვარი აგრონომის თვითნებობა. ისეთი ბობოქრობით მოდიოდა, თითქოს ყველაფერს წალეკავსო. გვერდით სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი მოს-

დევდა; ტრაქტორისტი კი ხელების ქნევით უყვებოდა: — იძახის, ეს ნახნავი არ არისო, ამ ღორების ნათხარში არ დაგათესინებო. ტრაქტორი ჩამიქრო. რამდენი მაგნაირი მოვა, ეგრე რომ მამაცდინონ, სად წავა?!

— მაიცა, მაიცა! მაგას ვაჩვენებ თამაშას! — იმუქრებოდა ჩქარი სიარულით გულამომჯდარი ყინტორა. მოსვლისთანავე ჯიქურ შეუტია:

— ბიჭო, შენ აქ რა ახალი კანონები მოგითხოვია, შვილისა! თუ მოდიხარ, მოდი და წყნარად იყავი, თუ არადა წადი საიდანაც მოსულხარ! — ლუკას უყვირა — ეხლა რაღა ვქნა, რით დავქოქო ტრაქტორი? შენ იცი, რომ გეგმა ჩამოვარდება?

— თუ ამ ნაკვეთის იმედი გქონდა, ჩათვალე, რომ გეგმა უკვე ჩაგივარდა, — დინჯად უთხრა ლუკამ, — რაც შეეხება მუქარას, ეტყობა დღემდე განებივრებდნენ, ეს შენი საქმიანობიდანაც ჩანს, თუ ასე გაგრძელდა, საით წახვალ, მერე იკითხე! გეგმა იმიტომ არ გაქვს, რომ მოსავალი მიიღო? ვის უხვევ თვალებს, გეგმის მომცემს თუ ხალხს, რომელმაც ამ მოსავლით უნდა იცხოვროს?! ათმაგ და ასმაგ ზარალს აყენებ კოლექტივს და ქვეყანას ვისაც სიმართლის თქმის თამამად აღიარებისათვის სინდისი ყოფნის, იმის უნარიც შესწევს, რომ ნაკლოვანებები გამოასწოროს და შეცდომებზე ისწავლოს. ალბათ ბევრჯერ შეგრჩა ეს სიყალბე და აქეთ იმუქრები; ხალხს კი მოსავალს უქრობ!

— ბიჭოს, რა გატლეკილი ენა ჰქონია, ესღა გვაკლდა, — ჩაილაპარაკა დაბნეულმა ყინტორამ.

— გაკლდათ და აგერ ვარ. ამაღამვე დაიწყეთ ამ ნაკვეთის გადახვნა; სანამ კარგად არ დამუშავდება, მიწაში მარცვალი არ ჩაითესება!

ყინტორამ გამბედაობა მოიკრიბა და შეედავა: — მე როგორც მიწირია, იგრე ვწირავ; შენ თუ არ მოგწონს, წადი და ფიფო დავითიჩთან მიჩივლე.

— როგორც გიწირია, წადი და თქვენსა წირე, აქ ხალხის ინტერესები ილახება, სანამ მე ვარ უკუღმართ წირვას ვეღარ

ელირსები. თუ ასე არ მოგწონს, წადი და თავად მიჩივლე ფიფო დავითიჩთან.

— ბიჭოს, ეს კაცი ძალაზეა! — ყინტორამ გამომწვევად თქვა.

— ძალაზე რომ ვარ, აქამდე ვერ მიხვდი? ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე ძალაზე ვარ. შენ კი ხალხის მოტყუების და თვალთმაქცობის ძალაზე ხარ. კიდევ გაფრთხილებ, სანამ აქ ვარ, მაგ ძალას ვერ მოიხმარ! — ლუკამ თვალებიდან რისხვა დააკვესა.

— ვა, მემუქრები კიდეც?

— გემუქრები კი არა, გაფრთხილებ, ჭკუას მოუხმო და რაც გევალება, იმ საქმეს პირნათლად ემსახურო.

— მე დავთესავ და შენ რამდენიც გინდა ატარტარე ეგ ენა. თუ ძალიან გააჭირებ საქმეს, მივალ ფიფო დავითიჩთან და მეორე დღეს შენი დუხი აღარ იქნება კოლექტივში! წამოდი, ბიჭო, დაიწყე თესვა! — ყინტორა ტრაქტორისტს მიუბრუნდა.

— როგორც თესვას დაიწყებ, რაც მოგივა შენს თავს და ვინც ეგრე გაგათავხედა, იმას დააბრალე! შენ აქ მოდი! — ტრაქტორისტს უბრძანა. — თუ გული ერჩის, რადგან ასეთი გულადია, თვითონ დათესოს!

— შენ იცი რას გიზამ?! — ყინტორამ ლუკასკენ გაიწია.

— ასაკს უმადლოდე, ამდენი ხანი რომ გალაპარაკე. უკვე იმდენი თავხედობა დააგროვე, ვშიშობ ასაკმა რომ გიშველოს! — ლუკამ გააფრთხილა.

სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი აქამდე ჩუმად რომ იდგა და მათ დავას ყურს უგდებდა, რა დაატყო, საქმე რთულდებოდა, ყინტორას ხელი წაავლო და თავისკენ შეატრიალა: — რას ედავები თუ იცი?! კაცი მართალს გეუბნება. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ვერც შენ და ვერც ფიფო ფეხებსაც ვერ მოსჭამთ! ძალიან ხტუნაობასაც შეეშვი, თორემ თავპირი მთელი არ შეგრჩება, ეგ ბიჭი ზოგ-ზოგი არ გეგონოს; წადი ახლა და სხვა ჩაოხრებულ საქმეს მიხედე, სანამ იქამდეც არ მისულა, — სატრაქტორო

ბრიგადის ბრიგადირი ლუკასკენ შეტრიალდა; ყინტორამ კი ხელი ჩაიქნია და ბურტყუნ-ბურტყუნით წავიდა.

ლუკას წინ კუნთმაგარი, ჩაფსკვნილი, შავტუხა ვაჟკაცი იდგა და იღიმებოდა.

— ლუკა, ვერ მიცანი? — ღიმილით შეეკითხა.

ლუკა დააკვირდა, თითქოს იცნო კიდეც, მაგრამ თქმა ვერ გაბედა, არ შემეშალოსო.

— ჯაგარა ვარ, ბიჭო, ჯაგარა...

— ჯაგარას გაუმარჯოს! — ლუკამ სიტყვა შეაწყვეტინა. — მივხვდი კი, მაგრამ მაინც ეჭვი შემეპარა, — ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და დიდი ხნის უნახავი ძმებივით გადაეხვივნენ.

— აქ საიდან მოხვდი? როგორც მახსოვს, ხულიგნობა უფრო გეხერხებოდა, — ლუკამ ღიმილით უთხრა.

— სწორედ რომ ეგრე იყო. რუსის დოლს არ მოხვედრია იმდენი, რაც მე მირტყამდნენ, მაგრამ ჩემი გამოსწორება არ იქნა. მთელი სოფელი აწიოკებული მყავდა; დღე ერთი იყო და ჩემ მშობლებთან უამრავი მომჩივარი მოდიოდა. შრომა ხომ ჭირივით მძულდა; უხეირო ყვინჩილასავით დავდიოდი და ყველგან შარს ვეძებდი, ვპოულობდი კიდეც. ეგეთი ვიყავი შენ რომ შაგხვდი; კარგი გაკვეთილის მივიღე. შიშით გარეთ ვეღარ გამოვდიოდი, დიდი და პატარა „ბოდიში ჯაგარ“-ო მეძახოდნენ. ხალხს რომ მოვცილებოდი, ტრაქტორზე დავჯექი. ეს საქმე იგრე შამიყვარდა, თავი ვეღარ დავანებე, ცხოვრების ინტერესი გამოჩნდა, ოჯახს მოვეკიდე; ახლა სამი შვილი მყავს. ცხოვრებას არ ვემდური, ამას კი შენი წყალობით მივაღწიე; თუ ეგრე არ მოხდებოდა, ვინ იცის, შეიძლება იგეთ შარს გადავყროდი, ჩემი გამოსწორება აღარ მოხერხებულიყო, — ჯაგარა გაჩუმდა, ნელა მიდიოდნენ. ლუკა ნახნავში ამოჩრილ ერთ ბღუჯა ბალახს დაეჭიდა, ამოსწია და ძირიანად ამოგლიჯა.

— სახნისი სულაც არ შეხებია, — ჩაილაპარაკა.

— ეხ, ჩემო ლუკა, ყველაფერი ეგრე გულზე რო მაიხვედრო, აქ იმდენ უკუღმართობას ნახავ, ან თავიანთ ყალიბზე დაგაყენებენ,

ან კიდევ გული გაგისკდება. ისევ სჯობია, დინებას მიჰყვე. უკუ-ღმართობა იგრეა მოდებული დიდ-პატარაზე მარტო შენ რას გახდები. — ჯაგარამ ბალახი მოგლიჯა, — აი, დახედე, ნაკვეთის გაწმენდა არ დაგვაცადეს. ნაწვერალზე იგეთი ძურწა წამოვიდა, საუკეთესო სათიბი იყო; ალაგ-ალაგ გასატანი ნამჯაც დარჩა. ამათ კიდევ, გაწმენდის დრო არ არისო, გუთნები შეუშვეს, ბიჭები გაწამდნენ, ყოველ ათ მეტრზე ბალახს იდებდა და გუთანს მაღლა აგდებდა. ტრაქტორისტებმაც გული აიცრუეს, კარგსაც და ცუდ-საც ერთნაირი გასავალი აქვს და ეგე შედეგიც. — ჯაგარამ ნახნავში ამოჩრილ ბალახზე მიუთითა. — არადა სანაწვერალო სიმინდის თესვის გეგმა აქვთ, ვერ ასრულებენ; რამდენი ტყუილად აქვთ ნაჩვენები, ვინ იცის.

— მოკლედ, ჯაგარ, ეს ნაკვეთი უნდა გადაიხნას, ამაში დათესვა დანაშაულია.

— ბიჭებს გაუკვირდებათ, ამაზე უარესში დაუთესიათ.

— მერე, რა მიუღიათ?

— არაფერი, ნაწვერალიდან მოსავლის მიღებას გადავეჩვიეთ. ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებენ, რომ უფროსებს თვალი აუხვიონ, მერე იტყვიან, არ მოვიდაო. სახნავი რომ გაგიკვირდა აბა, სათესლე სიმინდი ნახე, ღორების საჭმელად თუ ივარგებს.

— ალბათ დიდი ბრძოლა მოგვიწევს, — ლუკამ თავისთვის ჩაილაპარაკა. მერე ჯაგარას მიუბრუნდა: — ერთად შევუტიოთ, ჯაგარ, და ნახავ, საქმე სულ მალე წაღმა რომ აბრუნდება.

— მე შენთან ვიქნები, ლუკა, მაგრამ ეგეთი მოშვებული მუშ-აობა ყველას აწყობს და ძნელი იქნება მისი მობრუნება. ტრაქ-ტორისტებიც გადახვნაზე ქვეყანას შეყრიან.

— თუ მოსავალი არ მოვიდა, რა უნდა მიიღონ. ჩვენი ფუს-ფუსი ნაცრის ქექვას უფრო დაემსგავსება, ვიდრე ნამდვილ შრო-მას. ბიჭებს მე მოველაპარაკები.

იმ საღამოს ლუკას და ჯაგარას ტრაქტორისტებთან კარგა ხანს მოუხდათ დავა. მერე ლუკაც დაჯდა ტრაქტორზე და ჯაგა-რასთან ერთად მთელი ღამე ხნავდა...

სასუქის ჩამოტვირთვის შემდეგ ლუკა ტრისტანას მანქანით არხის გაღმა ნაკვეთში წავიდა, სადაც საშემოდგომო ხორბალი ითესებოდა. ნაკვეთი საუკეთესოდ მოამზადა. ამჩემფეხებამ კი სათესები ისე ჩააყენა, რომ ლუკას არ უნახია.

მანქანა სათესთან მიაყენეს თესლით დატვირთვის დროს. ორ სათესს კი ტრაქტორი ნახნავში დაათრევდა. ეტყობა, ამ სათესსაც თესლი გაუთავდა, ნაკვეთიდან ახალი გამოსული იყო.

ლუკამ სათესს შემოუარა, თავი უკმაყოფილოდ გააქნია, სათესი მოშლილი იყო. ბრაზისაგან გაწითლდა. მაგრამ თავი შეიკავა და ბრიგადირს ჰკითხა: — დიდი ხანია თესავ?

— ოცი ჰექტარი იქნება დათესილი, — ამჩემფეხებამ სხვათაშორის უპასუხა.

— რამდენ ცენტნერზეა დაყენებული სათესები?

— რა დაყენება უნდა, თესავს და...

— გეკითხები: ჰექტარზე რამდენ ცენტნერს თესავ?

— ჰექტარზე სამნახევარ ცენტნერს ჩამოვწერ, თესვით კიდევ აქ არის, ვისაც უნდა, მოვიდეს და ნახოს! — აგდებით უთხრა.

ლუკას რაღაცის თქმა უნდოდა, ტრისტანმა დაასწრო: — ტარას, საგზურზე ხელი მომიწერე, მეორე რეისზე უნდა წავიდე.

— უკვე მაიტანე? — ტარასა ხმადაბლა შეეკითხა.

— მოვიტანე, ადგილზეა, — ტრისტანმა ორჭოფული ღიმილით უპასუხა:

— ნიკო, დღეს ამასთან იმუშავე და ყველა რეისი იქ ჩაყარეთ! გაიგე?

— ძალიან კარგად გავიგე. შენს გამო წელი მოვიწყვიტე, ისევ იძახი, იქ ჩაყარეთო! ლუკამ მაჩვენა, რომელი რეისი სად უნდა დავყარო; შენ კიდევ თუ მაინცდამაინც გინდა, რომ ხრამში გადაყარო, თვითონ გაყევი და რაც გინდა, ის გიქნია! — ნიკომ ზურგი შეაქცია.

— გამომყვეს და როგორ ჩაყრის ხრამში სასუქს, მაგასაც ვნახავთ! — ტრისტანი დაიმუქრა.

— მაშ რა უყავით?

— ამჩემფეხებ, ეგრე კითხულობ, გეგონება ხალხი და ტომრები შენ არ გამგეტანებინოს; სულ ეგეთი უკუღმართი როდემდის უნდა იყო, არ მოგწყინდა?! — ტრისტანმა შეუტია.

ლუკა ამ დროს სათესლე ხორბალს ათვალიერებდა, ჯერ ხელის გულზე დაიყარა, სახეზე სასტიკი გაბრაზება აღებეჭდა. ტომარას წიხლი ჰკრა, გადააქცია, დასწვდა და ხორბალი მიწაზე წამოყარა.

ამჩემფეხებამ ტრისტანისათვის პასუხის გაცემა ველარ მოასწრო, ლუკა მასთან მივიდა, ხელი წაავლო და ხორბალთან თითქმის ძალით მიიყვანა; ტრაქტორისტი და ბიჭები შემოეხვივნენ.

— რა არის ეს, ვის იგდებ მასხრად?! ხალხს თუ საკუთარ თავს? ან იქნებ გულში მტრობა გაქვს ჩადებული?! — ლუკამ ხორბლიანი მუჭა ცხვირთან მიუტანა; ნაგვიანი, გაუწმენდავი, სარეველების თესლიანი. რა მტრობა გამოძრავებს იმ ხალხის მიმართ, ვისთვისაც ეს ითესება?!

— შენ თავი ხახვივით ნუ მოგაქვს, რასაცა ვთესავ, იმაზე პასუხს მე ვაგებ. წადი, მოშორდი აქედან! ვნახოთ, დასათესი დამრჩება? — ლუკას ხელი აუკრა და მარცვალი მიწაზე გაიფანტა, — მიდი, ბიჭო, რაღაც უდგეხარ? დაიწყე თესვა! — ტრაქტორისტს დაუყვირა.

— დაიწყოს კი არა, ისინიც გამოვიდნენ, ახლიდან უნდა გადაითესოს, ოღონდ ამით კი არა, პირველი ხარისხის თესლით! — ლუკამ ტომარა აიღო და შიგ დარჩენილი მარცვალი წამობერტყა.

— წადი, ბალღო, სანამ სახალხოდ არ მიმიტყეპიხარ! თუ შარზე ხარ, სხვა ვინმე ნახე, თუ არადა მემრე გამოიარე, მე საღამომდე აქა ვარ! — ამჩემფეხებამ ლუკას ხელი ჰკრა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო, ლუკას მოთმინების ფიალა გადაევსო.

დაკეცილი ტომარა მთელი ძალით სახეში შემოჰკრა. ამჩემფეხებას თვალთ დაუბნელდა, წაბარბაცდა და მიწაზე დაჯდა, —

ვაიმე, მამკლა ამ უღმერთომ! – აუყვირდა და სახეზე ხელები აიფარა.

ლუკამ საყელოში მოჰკიდა ხელი, ააყენა და ტომარა ახლა თავზე ხმალივით გადაუჭირა; მტვრის კორიანტელი დადგა.

– ეს სასუქის გადაყრისათვის! ეს უხარისხო თესლის თესვისათვის ეს...! ეს.... და იმდენი ურტყა, რომ არ ამოასუნთქა. ამჩემფეხებამ ხელის განძრევა ვერ შეძლო; ტომარა მათრახივით ცეკვავდა მის თავზე და ზურგზე. ბოლოს წამოხტა, ადგილზე დატრიალდა, მერე რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიქცა. კარგა მანძილი რომ გაირბინა; მოაგონდა, მობრუნდა და ლუკას ხელის ქნევით დაემუქრა: – იქ ამოხვალ, იქ მოგელაპარაკები! – მეტის თქმა ვეღარ გაბედა, ეშინოდა, არ გამომიდგესო, მიბრუნდა და ბინისაკენ ძუნძულით წავიდა.

ამ სცენის მომსწრენი ლუკას გაშტერებული მისჩერებოდნენ.

– წადი და ის ტრაქტორები ახლავე გამორეკე ნაკვეთიდან! – უთხრა ტრაქტორისტს, რომელიც მაშინვე გაიქცა.

– ნიკო, რა განათლება გაქვს? – უცებ ჰკითხა.

– დაუსწრებლად ვსწავლობ აგრონომიულ პირველ კურსზე, – გაზეპირებული ლექსივით ჩააგალობა.

– რა სასიკეთო უნდა ისწავლოს ამგვარი ბრიგადირისაგან; სამუდამოდ დამახინჯდეს შეიძლება, – ჩაილაპარაკა და ისევ ნიკოს მიუბრუნდა: – ტრისტანის მანქანით წადი საწყობში; გამგეს უთხარი, პირველი ხარისხის სათესლე ხორბალი გამოგატანოს, შენ თვითონ შეამოწმე; არ შეგაფერხოს, თორემ იმასაც მივწვდები.

ნიკო და ტრისტანი უსიტყვოდ გაიქცნენ მანქანისაკენ, ჩასხდნენ და სოფლისაკენ გააქროლეს...

– რაო, რა დაგაბარა? – ნიკოს დაცინვით ჰკითხა საწყობის გამგე ანზორიმ, რომელსაც მეტსახელად ხითავას ეძახოდნენ, გაუგებარი და უგრძნობელი რომ იყო. – მე იმის ბრძანებაზე როდის დავდივარ. რაც ამჩემფეხებამ წაიღო, როგორც უნდა, იგრე მოუაროს; რა ჩემი საქმეა აგრონომს მოსწონს თუ არა.

– ე, ხითავ, შორიდან თამამად ლაპარაკობ. ამჩემფეხება შენ-

ზე უფრო ყოჩაღად იყო, მაგრამ რომ გენახა, როგო გარბოდა, ლამფას ჩაუწევდი. დღეს ორმა მიიღო ას-ასი გრამი, გამიგია, ღმერთი სამობით არისო. თესლი თუ ვერ მივუტანე, შუაღამე რო იყოს, ლოგინიდან წამოგაგდებს და მემრე შენს თავს დააბრალე, რაც დაგემართოს! — გააფრთხილა ტრისტანმა.

— ვახ, კაკო, სათესლე ხორბალი თვითონ ბრიგადირმა დატოვა. რა ჩემი ბრალია, სამაგიეროდ სხვა ხორბალი გავატანე; მუქთად ხომ იცით, არავინ არაფერს იძლევა. წადით, ის ხორბალი მაიტანეთ და თუ გამოგიცვალეთ, ღმერთს მადლობა უთხარით! — გასაღების ტრიალით შებრუნდა და წასვლა დააპირა.

— ხითავ! შენ ლურჯი ბუზი ხომ არ დაგაჯდა?! მე ვხვდები, ის სათესლე ხორბალი რისთვის დაიტოვე და ლუკას გამააპარებ? ხომ არა გგონია, თავმჯდომარით შააშინო, ტომარაში ჩააგდებს და საწყობიდან იგრე გაგიტანს! — ნიკო დაემუქრა.

— ერთი ამას უყურეთ, კუმ ფეხი გამოყოო. წამოდით, იმ გიჟმა ყველანი გადარიოს იქნება! — ხითავა საწყობისკენ ბუტბუტით წავიდა.

— ნეტავ მაგნაირი გიჟი კოლექტივში სულ ცოტა, ხუთი მაინც იყოს, მერე გენახა შენისთანა ღამურების დაფრთხობა, — ტრისტანი ლაპარაკობდა და მანქანისაკენ მიდიოდა საწყობის კარებთან მისაყენებლად.

## გიჟიც ასეთი უნდა

თავმჯდომარის კაბინეტში თათბირი კარგა ხანია დაწყებული იყო,. ლუკა რომ შევიდა. მინდვრიდან მოდიოდა. მთლად გამტვერილი იქვე, კარებთან თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ფიფო ნადაშვილი, ორმოცდაათ წელს გადაცილებული, ჭაღარაშერეული კაცი იყო. სიმსუქნისგან ლოყები დაბეროდა და წითლად ჩაჟღერებოდა; კარგა ხანია რაც თავმჯდომარედ მუშაობდა, პირველად დიდი მონდომებით შეუდგა საქმეს, ყველა დარგი კარგად ააწყო, მაგრამ

რამდენი წინააღმდეგობა შეხვდა, პოზიციები დათმო და მოჩვენებით კეთილდღეობის ჭაობში ჩაიძირა. ჯერ ერთ დარღვევაზე დახუჭა თვალი, მერე — მეორეზე; მიწერით გეგმის შესრულება გაუტკბა. სუტი დედის მქონე ფუტკრის სკასავით მოუმრავლდა მამალი ფუტკრის მსგავსი მუქთამჭამელები; ამას კიდევ გაუძლებდა კოლექტივი, მაგრამ ისეთ კომბინაციებს ხლართავდნენ, რომ მისი შედეგები ძნელად გამოსასწორებელი ხდებოდა.

თავმჯდომარე გაბრაზებული იჯდა და მაგიდაზე ფანქარს დროგამოშვებით არტყამდა, ლუკას შუბლშეკრულმა შეხედა, გესლიანად შენიშნა: — ბიჭო, ჩხუბისა და დავიდარაბის მაგიერ ცოტა იმაზე რომ გეფიქრა, დროზე მოვიდეო, ხომ არ დაგვაგვიანდებოდა.

— მინდვრიდან მოვდივარ, თუ ვინმეს ვედავები, თუნდაც ვეჩხუბები, მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხის ინტერესებს ზიანი არ მიადგეს, თორემ მეც შემიძლია, დავხურო თვალები და ვუყურო, ხალხის ქონებას ქარს როგორ ატანენ, — ლუკამ პირდაპირ შეხედა და გოროზად თქვა.

— რაო, ხალხის ქონება ქარს მიაქვსო? ერთი ამოშაქრე, სად და როგორ მიჰქონდა, ან ხალხის ქონებას ქარს ვინ ატანდა! — თავმჯდომარემ შეუტია.

— ჯერ თქვენ მითხარით, ვისთან ვიჩხუბე, თუ ამბავი მოგიტანეს, არც ის უნდა დავიწყებოდათ, ეს რისთვის მოხდა, — ლუკამაც გამომწვევად უპასუხა.

თავმჯდომარე ცოტა შეყოვნდა, რაღაცაზე ჩაფიქრდა, ლუკას პასუხმა საღი გადაწყვეტილებისკენ უბიძგა.

— აბა, ტარას, გვითხარი, რა მოხდა, ამ ბიჭმა რატომ გცემა?!

ყველა ამჩემფეხებისაკენ შეტრიალდა; გაკვირვებული სახეები ჰქონდათ ზოგს ეღიმებოდა.

— რა და, საშემოდგომოს ნუ თესავო.

— მაშ რა დათესეო, საგაზაფხულოს დრო ჯერ არ არის და... — ფიფომ ირონიულად შეაწყვეტინა; სხვებმა გაიცინეს.

— სამი სათესით დავიწყე თესვა. ერთში თესლსა ვყრიდი,

უცებ გიჟივით მოვარდა, ჯერ სათესის გარშემო ირბინა, მერე ტომარაში რაც სათესლე ხორბალი იყო სულ მიწაზე წამოყარა; რომ ვუთხარი ამას რათა შვრები-მეთქი, მომდგა და ცარიელი ტომარა მირტყა. თვალები ცოფიანი ძაღლივით ჰქონდა არეული. რა ვიცი, კაცო, ექიმს გაასინჯეთ, ან გვითხარით, რა დროს ემართება, რომ მოვერიდოთ! — ამჩემფეხება გაჩუმდა და დაელოდა, კიდევ რას შემეკითხებიანო.

— ე ბიჭი გიჟი ყოფილა, ყინტორაც ეგრე ამბობს.

— ყველა გადარეული რაღა ჩვენ უნდა დაგვებედოს! — თათბირის მონაწილეები აჩურჩულდნენ.

— ახლა რით იმართლებ თავს?! — რიხით უთხრა ფიფომ ლუკას.

— მე თავის გასამართლებელი არაფერი არა მაქვს. რაც სათქმელი იყო, მაგას ადგილზე ვუთხარ. თუ გაინტერესებთ, რა მოხდა, გარეთ ბრიგადის წევრი ნიკო დგას, ჰკითხეთ და ის გეტყვით, რა უბედურება გვჭირს; მე მეტის თქმის სურვილი არა მაქვს, — ლუკა გაჩუმდა.

გაკვირვებულმა დამსწრეებმა ისევ ატეხეს ჩურჩული.

გრამიტონა ფიფოსთან ახლოს იჯდა, ლუკას პასუხზე თავს უკმაყოფილოდ აქნევდა, თან ისეთ მომენტს არჩევდა, ლუკას რომ არ შეეშჩნია. — თავმჯდომარეს კი ატყობდა, რა სიამოვნებდა და ისე პირმოთნეობდა.

— უყურე, კაცო, — ლუკას სიტყვებზე უჩუმრად ჩაილაპარაკა და თავი უკმაყოფილოდ გააქნია, — ნახეთ რაებსა ბედავს! — თქვა და თავმჯდომარეს ერთგული ფინიას თვალებით შეხედა.

— გარეთ გადით და ის ბიჭი მოიყვათ! — ფიფო დარწმუნებული იყო, რომ ლუკას თავხედურ საქციელს კიდევ ერთი მოწმე მიემატებოდა.

ნიკო შემოიყვანეს, მან კარები მიხურა და ზურგით მიეყრდნო.

— წინ წამოდი! — თავმჯდომარემ უბრძანა. — ემანდ გაჩერდი. — ოთახის შუაგულზე აჩვენა.

ნიკო წინ წადგა.

— აბა, ერთი მოგვიყევი, დღეს ლუკამ ტარასას რატომ სცემა? — რიხიანად ჰკითხა თავმჯდომარემ.

— რა მარტო მაგასა სცემა რა. სანამ მაგას მიტყეპამდა, პირველი მე მამხვდა, — ნიკო ცოტა ხანს გაჩუმდა.

— მთლად გადარეული ყოფილა! — ახლა უკვე ხმამაღლა აყაყანდნენ დამსწრენი.

— უყურე, უყურე, რაებსა ბედავს! — უჩუმრა გაიბრაზა გრამიტონამ და შეხედა თავმჯდომარეს.

— ჰოდა, იმას ვამბობდი, — ნიკომ სიტყვა გააგრძელა, — ხელი რომ გამავლო, ხრამში თავდაყირა ჩამიძახა; მანამდე კი ერთი ორი მითაქა.

— რათა, რათა ვშვრებიო, არ გითხრა მაინც? — თავმჯდომარე ღიმილით შეეკითხა.

— როგორ არ მითხრა, თავიდან მოგიყვებით, თორემ ეგრე ვერ გაიგებთ. დღეს დილას ტარასამ მითხრა, ბაზიდან მინერალური სასუქი გამოიტაო, ტრისტანის მანქანა მომამაგრა. რაიონი გვაწვება, სასუქი გამოიტათო, თორემ რა ჭირად გვინდა, შენ გამოიტა და ალაზანზე ჩვენი მინდვრების თავში ხრამი რომაა, იქ ჩაყარეო. ჰოდა, მეც მივაყენე მანქანა და სასუქი ხრამში გადავუშვი. მანქანის გამოტანა ვერ მოვასწარით, რომ აგრონომი — ლუკა თავზე დაგვადგა. მითხრა, სასწრაფოდ უნდა ამოვზიდოთო. მე ვუთხარი, შენ ვინა ხარ, ამჩემფეხებას დავალებას ვასრულებ მეთქი. — მსმენელებს ამჩემფეხებას ხსენებაზე სიცილი აუტყდათ. — მოკლედ, ვერაფერი შამასმინა, ადგა ერთი ორი მითაქა, ხელი დამავლო და სასუქის გროვაში თავდაყირა ჩამაგდო. მერე ტრისტანა გაგზავნა, ბრიგადიდან ტომრები და ნიჩბები წამოაღებინა, ხალხიც მაიშველია და ის სასუქი ნაკვეთში შეგვატანინა.

— ეგ ბიჭი მართალი ყოფილა, რას ერჩით! — აქეთ-იქიდან გაისმა.

— ბიჭო, რა შორიდან დაიწყე, ჩვენ რაცა გკითხეთ, იმაზე გვიპასუხე! — გაუწყრა მოლოდინგაცრუებული თავმჯდომარე.

— მაიცათ, იქაც მივალ. მემრე ტრისტანას მანქანით პირდაპირ

სათესთან წავედით. ლუკამ ნაკვეთები იგრე კარგად დაამუშავებინა, ერბო აილოკებოდა. ჰოდა, რომ მივედით, ლუკამ სათესები შეამოწმა, გული გაუსკდა, დისკები გაჭედილი იყო, გამოთესვის ნორმაზე ლაპარაკი ზედმეტია. ახლა თესლი იგეთი იყო, ქათმებთან საკენკად რომ მიაქვთ ხოლმე. ლუკამ ხორბალი ტომრიდან მიწაზე წამოყარა, თვალი ხომ არ მატყუებსო. მემრე ერთი მუჭა ამჩემფეხებას აჩვენა, ეს რა არისო, იმან კიდევ ხელი აუკრა, დაუფანტა, შენ არ გეკითხებაო. ლუკამ უთხრა, სათესები გამაიყვა, ეგრე თესვა არ შეიძლებაო, ეს კიდევ დაემუქრა, წადი სანამ არ მოგხვედრიაო და ლუკას ხელი ჰკრა. იმან კიდევ ტომარა იმდენი ურტყა, თავი მაღლა არ ააღებინა. ამჩემფეხება იგრე გაიქცა, ფეხის ქუსლებს კისერზე ირტყამდა.

— შენს მარჯვენას ვენაცვალე, როგორი მართალი ბიჭი ყოფილა! — გაისმა ხმები.

— კარგი, შენ წადი! — უთხრა ჩაფიქრებულმა თავმჯდომარემ.

— მე სულ არ დამიმთავრებია.

— კიდევ ვისა სცემა, კაცო! — სიცილი აუტყდათ მსმენელებს.

— იმას აღარ მოხვედრია, გადარჩა, — ნიკომ მოყოლა გააგრძელა — ლუკამ სათესლე ხორბლის წასაღებად ხითავასთან გამოგვაგზავნა. ის ჯერ არ გვატანდა, რა ჩემი საქმეა, ამჩემფეხებამ სათესლეს მაგიერ სხვა ხორბალი წაიღოო. რომ დავემუქრეთ, ლუკა არც შენ დაგაყენებს კარგ დღესო, შეშინებულმა გაგვატანა. სამაგიეროდ ის უვარგისი ხორბალი დავუბრუნეთ; ზუსტად ეგრე იყო, როგორც მოგიყევით.

— კარგი, წადი! — უხასიათოდ უთხრა თავმჯდომარემ.

— რა მაგარი ბიჭი ყოფილა! — გაისმა ხმები — დალოცვილი მარჯვენა ჰქონია.

— მარჯვენაცა და ძალიან ჭკვიან, მცოდნეს და შრომისმოყვარე ბიჭს ამბობენ.

— მოფრთხილება უნდა, ძმაო, მაგნაირ კაცს, თორემ მკბენარივით დაესევიან. — ხმამაღლა აცხადებდნენ.

ფიფო ჩაფიქრებული იჯდა და ეს ხმები ეკალივით ესობოდა.

— ტარას, სულ აიღე ნამუსზე ხელი?! — უყვირა.

— რა ვქნა, კაცო, ველარა ვწვდები, გაძნელდა მუშაობა, ბიჭოს! — აბურტყუნდა.

— შე უვარგისო, რაც მაგ უთაობით უპრასუხისმგებლობით და ვინ იცის კიდევ რით გააფუჭე, ამ გუშინდელმა ბიჭმა ერთი დაკვრით გამოასწორა; შენ რა ღმერთი გაგიწყრა?! შე მუქთახორა არამზადავ! ვენაცვალე მაგ ბიჭს მარჯვენაში, ტომრით კი არა, ნედლი შვინდის ჯოხით უნდა ეცემე! — ფიფო ყვიროდა.

— ჰო. ეგრე თქვი და ხვალიდან ბრიგადაში მიმსვლელი აღარა ვარ — ამჩემფეხება გაბრაზდა.

ფიფო ბრაზისგან გაფითრდა.

— ვინ გიშვებს ბრიგადაში, შე მამაძაღლო! თუ გაგიმეტე, ხვალიდანვე დასაჭერი გახდები! ამ ახალი აგრონომის საქციელი არ მომწონდა, ბევრ საკითხში თავისებურია, მაგრამ მგონი მართალია; ახალგაზრდობაში მე მაგნაირი მხოლოდ ოცნება მქონდა. გამბედაობა და რისკი არ მეყო. შეიძლება არც მკლავი და ცოდნა მომყვებოდა, რომ მაგასავით პირდაპირი და მებრძოლი ვყოფილიყავი ხალხო, მეამაყება ეგ ბიჭი ჩვენთან რომ არის, თუმცა ბევრი მწარე სინამდვილე მაგემა და მაგის გამო რაიონში გამლანძღეს. მაგრამ მჯერა, რომ ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს, თუ, რა თქმა უნდა, ეყოფა მონდომება და შემართება, — თავმჯდომარე ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე დაუმატა: — მაგან მემინდვრეობის საქმე მოგვიგვაროს, როგორც თავისი ცოდნა და მონდომება უკარნახებს, იგრე მოიქცეს. თუ საქმეს სასიკეთოდ ააწყობს, რაიონიდან ლანძღვას გავუძლებ. ტარასა დღეიდან ბრიგადირი აღარ იქნება. თუ უნდა იქვე დარჩეს, თუ არადა ჯანდაბამდის გზა ჰქონია; ბრიგადირის კანდიდატურა თვითონ აგრონომმა წარმოგვიდგინოს. ამას რომ ვამბობ, მეორე ბრიგადის ბრიგადირსაც ესმოდეს; წესიერად მოიქცევა რა კარგი, არადა ლუკასთან ექნება საქმე.

— სწორეა, ფიფო დავითიჩ, ყველას მოგვეწონა ეგ გადაწყვეტილება! — წამოიძახეს.

— კარგია, კარგია, ეგრე სჯობია! — თავი გამოიდო გრამიტო-

ნამ. ამას რომ ამბობდა თან ლუკასკენ იყურებოდა, დამინახოსო. ლუკა კი თავჩაღუნული იჯდა და, თითქოს ეს ამბავი მას არ ეხებაო., თავის ფიქრებთან კამათობდა.

## გრამიტონის ოინბაზობა

გრამიტონმა რაიკომის პირველი მდივნის — ზაალ დიმიტრიჩის ბინაზე ზარის ღილაკს მოკრძალებით დააჭირა თითი.

— ჩვენი გრამიტონა მოსულა! — მხიარულად შეეგება მეუღლე. — შემოდი, ბიჭო, კარებში რას დგეხარ!

გრამიტონმა მორიგი მოსაკითხი ბლომად შეზიდა, დაიღალა და ცოტა ხნით სკამზე ჩამოჯდა.

— რა კარგია, გრამიტონ, რომ მოხვედი, შენთან ერთი პირადი სათხოვარი მქონდა, თუ შეძლებ, ძალიან დამავალებ.

გრამიტონი სკამიდან სწრაფად წამოხტა და თამამად უპასუხა: — თქვენ რაც უნდა დამავალოთ, სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს, შევასრულებ!

— გრამიტონ, ჩემი უმცროსი ძმა ცოლს ირთავს, ქალაქში ცხოვრობენ და ზოგი რამის შოვნა შეიძლება გაუჭირდეს; იქნებ შენ წაეხმარო, — მორიდებით სთხოვა ქალმა.

— თქვენ არ ინაღვლოთ, ქალბატონო, საქმეს ისე მოვაწყობ, რომ არაფერი გაუჭირდეს; მარტო ის მითხარით, როდისთვისაა საჭირო.

— შაბათისთვის. მანამდე ოთხი დღეა, მოასწრებ?

— როგორ არა, ჩათვალეთ, რომ ყველაფერი მაღალ დონეზე შესრულდება, — გრამიტონა ამაყად შეჰპირდა.

ქალმა მისამართი მისცა და ამ საკითხზე საუბარი დამთავრებულად ჩათვალა.

— სხვა როგორა ხარ, გრამიტონ, ხომ არაფერი გიჭირს? — მზრუნველი ტონით ჰკითხა.

— მე არაფერი მიჭირს, მაგრამ თავმჯდომარე ხელს რომ არ მიშლიდეს, უფრო პირიანად ვიქნებოდი. თქვენთან წამოსვლასაც

ისე ვახერხებ, რომ არ გამიგოს, თორემ შავ დღეს დამაყრის. რამდენი რამის გაკეთება შეიძლება, ჩემზე რომ იყოს, სოფელს ავაყვავებდი.

— ნუ გეშინია, გრამიტონ, ყველაფერი კარგად იქნება; თავმჯდომარეს შენს თავს არ დავაჩაგვრინებთ, — ქალმა ღიმილით უთხრა და კარებამდე მიაცილა...

საღამოთი, თავმჯდომარე მარტო რომ იყო, გრამიტონმა მოკრძალებით შეაღო კაბინეტის კარები და წელში მოხრილმა მორიდებით იკითხა: — შეიძლება?

ფიფომ მაღლა აიხედა, სახეზე უსიამოვნო შეგრძნებამ გადაურბინა, ისევ მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს ჩააჩერდა და თავისთვის ჩაილაპარაკა: — შემოდი.

გრამიტონი მოკრძალებით, ფეხის წვერებით მივიდა და მის მაგიდის წინ სკამზე ჩამოჯდა.

— ქალბატონმა დიდი მადლობა და მოკითხვა დამაბარა თქვენთან, ფიფო დავითიჩ, — პირმოთნე ღიმილით მოახსენა.

— ჰოოო! — სიამოვნების ღიმილი აღიბეჭდა თავმჯდომარის სახეზე. — ხომ არაფერი დაუბარებია? — სხვათაშორის იკითხა.

— ფიფო დავითიჩს გადაეცი, რომ ყოველთვის ჩვენი იმედი ჰქონდესო. თანაც გთხოვთ, შაბათს ქალაქში ჩემი უმცროსი ძმის ქორწილია და ფიფო დავითიჩი ვიცი არ შემარცხვენსო.

თავმჯდომარემ თავი მაღლა აიღო და შეშფოთებულმა შეხედა.

— რას თხოულობს, თუ იცი?!

— თქვენ მარტო უთხარით ბიჭებს, მომეხმარონ, ყველაფერს ისეთ დონეზე მოვამზედაბ, რომ მადლობა გითხრან.

ფიფო ჩაფიქრდა, პასუხს დიდხანს აგვიანებდა; გრამიტონმა თითების მტვრევა დაიწყო, ვაითუ უარი მითხრასო.

— კარგი, ჯანი გავარდეს, როდისთვის უნდა იყოსო? — თავჩაღუნულმა ჰკითხა.

— ოთხ დღეშიო, — გრამიტონმა მოწიწებით შეაპარა.

— წადი და საქმე მიხედე; ბიჭები მოგეხმარებიან! — გრამიტონასთვის შეხედვა აღარ უნდოდა. ლუკას შემდეგ ამ ლორწოიან

პირმოთნეს, ლოკოკინასავით ნატარზე საზიზღარ კვალს რომ ტოვებს, ვეღარ იტანდა. ფანქარი აიღო და ქაღალდზე რაღაცის აღნიშვნების გაკეთებას შეუდგა.

გრამიტონი მოკრძალებით ადგა და კაბინეტიდან, ფრთხილად, უკან-უკან გავიდა.

სამი დღის შემდეგ კი კაბინაში გამოჭიმულ გრამიტონს სატვირთო გაზიკი ქალაქისკენ მიაქროლებდა...

ქორწილში ადრე მისულ ზაალ დიმიტრიჩს სადიდერი კარებში მიეგება: – ჩემს საყვარელ სიძეს ვენაცვალე, ეს რა ქენი, ბიჭო, ჩიტის რძეც რომ არ მოგვაკელი: რა ღვინო, რა მოზვერი, რა ცხვარი, შოთის პური, ქათმები, გოჭები, თევზი, ყველი თუ ბოსტნეული, მოკლედ, იმდენი ხარჯი გამოგვიგზავნე, შვილო, ორ ქორწილს გაისტუმრებს, შენ გენაცვალე, სიძეც ასეთი უნდა! – სიდედრმა საყვარელი სიძე მკერდში ჩაიკრა. გაკვირვებულმა ზაალ დიმიტრიჩმა მეუღლეს გადახედა, მან თვალი ჩაუკრა და თავი ლოყაზე ალერსიანად მიადო.

## საშიში დაავადების ნიშნები

ერთ წელიწადზე მეტი გავიდა, რაც ლუკამ კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა, ხალხი სცნობდა როგორც პირდაპირს, მართალს, პატიოსანს, საქმიანს, განათლებულს, ძლიერს და შეუპოვარს, განსაკუთრებით რიგითი ადამიანები იყვნენ მისი კმაყოფილები. სადაც დაინახავდნენ, ღმერთმა შენისთანა ვაჟკაცები გვიმრავლოსო, ლოცავდნენ, ხელმრუდე და მოხვეჭას მიჩვეულები კი ლუკას ვერ იტანდნენ, გიჟს ეძახოდნენ, თუმცა მისი ეშინოდათ, რაც შეეძლოთ ღვარძლს და ცილისწამებას არ ზოგავდნენ; მათ რიგში იყო გრამიტონაც. ლუკა ისე სძულდა როგორც ტურას მძლავრი კავკასიური ნაგაზი; უფრო ძლიერ კი ეშინოდა. ამიტომ როცა შეხვდებოდა, სულ პირმოთნეთ უცინოდა, ელაქუცებოდა და ცდილობდა, მალე გასცლოდა, კატის გვერდით მყოფი მღრღნელივით მუდმივი შიში ახლდა ლუკასთან, მისი ბრჭყალი არ მომხ-

ვდესო; არადა კოლმეურნეობაში მეორე კაცად მოჰქონდა თავი; თუმცა თავმჯდომარეს მისი ქლესაობა მოყირჭდა და რამდენიმეჯერ სუსხიანად გააპანღურა.

ლუკამ მემინდვრეობაში საქმე ისე ააწყო, მითვისებას და ყალთაბანდობას ვეღარ ბედავდნენ. ამჩემფეხებას ადგილზე მისი მოთხოვნით, ბრიგადირად ნიკო დანიშნეს; ისეთი მონდომებული ბიჭი გამოდგა, ლუკასაც უკვირდა. ნიკოს ბაზიდან ყველაზე მეტი სასუქი გამოჰქონდა. საკმაოდ იყვნენ ისეთები, სასუქის გამოყენების სიკეთე რომ არ ესმოდათ, ან არ აინტერესებდათ, ნიკოს კი იმათი წილიც მოჰქონდა და კარგ მოსავალს იღებდა. თუ არა ლუკა, ნიკოსგან გამოუსწორებელი ყალთაბანდი და უკუღმართი ყალბისმქნელი გამოცხვებოდა. არადა ლუკა ყველგან ვერ მისწვდებოდა, როცა ირგვლივ მიწერა, თვალისახვევა, მექრთამეობა და დატაცება დუღდა; რამდენი ნიკოს მსგავსი ახალგაზრდა საზოგადოების ბალღამად გამოცხვებოდა.

მეორე ბრიგადაში კი ყინტორა არ ისვენებდა.

ერთხელ ლუკას სოფლის მეურნეობის სამმართველოს აგრონომი მინდორში შემოხვდა და ბრიგადირ დომენტიზე გააფრთხილა; არაფერი დაუშავო, სამმართველოს უფროსის დეიდაშვილიაო.

ლუკას გაეღიმა, რაც იმას ევალება, მეც იმ საქმეს ვემსახურები, რა უნდა დავუშვავოო.

ეტყობა, დომენტი დააიმედეს, ხელს ვერავინ გახლებსო, ისიც ხმამაღლა ტრაბახობდა, ვერაფერს დამაკლებენ, სანამ ჩემი დეიდაშვილი ადგილზეაო. თუმცა ლუკასი ეშინოდა, ქურდობას მაინც ახერხებდა. სამაგიეროდ ლუკას ერთგული ჯაგარა ფრთხილად იყო. რამდენიმეჯერ ეცადა ჯაგარას მოცილებას, მაგრამ არაფერ გამოუვიდა; თითქოს ამის პასუხი იყოო, ჯაგარა გამგეობის წევრად დააწინაურეს, ერთხელ ხორბლის ქურდობაზე წაასწრო და იქვე გატყიპა; ყინტორამ ლუკასთან იჩივლა:

— რა მოხდა? — იკითხა ლუკამ.

— ლუკა, ამდენი მოთმენა აღარ შეიძლება, ხომ გახსოვს, როგორი არეულობა იყო. მაშინ იმიტომ ვითმენდი, რომ მხარის

დამჭერი არავინ მყავდა; გული მიკვდებოდა ყინტორა ვირთხასავით მთელი ბრიგადის წილს რომ ხრავდა. რაც შენ მოხვედი და თვალი ამიხილე, ამას რას ვაპატიებ. ჰოდა, ამდენი ამბის შემდეგ ისევ სცადა მოპარვა, მეც გავიხსენე ჩემი ძველი ხელობა; ახლა წავიდეს და თავის ნათესავს მოახსენოს! — ჯაგარამ ყინტორაზე მიიწია.

— თავიდანვე, როცა უკუღმა დადიოდა, ძველი ხელობა რომ გაგეხსენებინა, ამდენს ველარ გაბედავდა. დომენტის მსგავსებისათვის, ეტყობა, ეს ყველაზე კარგი გამოსავალია, — დასძინა ლუკამ.

— შენც მაგას ემხრობი? — ყინტორა აყვირდა.

— აბა, შენ მოგემხრო და ხალხი გაძარცვინო?! — ლუკამ ხმას აუწია.

— ერთმანეთზე უარესები ხართ, რა უნდა გელაპარაკოთ; ხვალიდან აქ გამომსვლელი აღარა ვარ! — ყინტორა ბრაზობით გაბრუნდა უკან.

— წადი, კალთებს არავინ ჩამოგახევს მობრუნდიო! — ჯაგარამ მიაძახა.

— კალთებსაც ჩამომახევთ და მუხლებზე ჩოქვითაც შემეხვეწებით, მაიცა, ჯერ ავიდე ზევით! — ყინტორა ხელების ქნევით იმუქრებოდა.

— შენი კეთილები და ზევით იმისიც, ვინც შენისთანა ვირიშვილს მხარი დაუჭიროს! — მიაყოლა ჯაგარამ.

— ლანძღავთ კიდეც არა?! სწორედ ეგრე ვეტყვი! — ყვიროდა ყინტორა და თან წასასვლელად ბარგს ალაგებდა.

— ჯაგარ, კარგი ცემა არა გცოდნია, თორე ამდენი ვერ უნდა გაებედათ — ღიმილით უთხრა ლუკამ...

მეორე დღეს დილით ყინტორა უკვე სამმართველოს უფროსის კაბინეტში იჯდა.

— რა ვქნა, სოკრატ, — აღელვებული უყვებოდა თავის ნათესავს, — მოკლედ, ის გიჟი აგრონომი ვერავინ მოთოკა, თავმჯდომარე შააშინა, კაცო, რასაც ეუბნება, ყველაფერს უჯერებს. სა-

ტრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ერთი ნაჯიბგირალი ვინმეა, ჯაგარა ჰქვია, ადრე უჩემოდ ფეხს არ დგამდა, მეც ხანდახან ლუკმას მივუგდებდი ხოლმე. რაც ის გიჟი აგრონომი მოვიდა, ჯაგარა გაგიჟდა, ყველა ფეხის ნაბიჯს მიკონტროლებს; ამას წინათ კიდევ მცემა. აგრონომმა კიდე უთხრა, მაგის ცემა ადრე უნდა დაგეწყო, ჭკუაზე რომ მოსულიყოო, თავმჯდომარესთან ვიჩივლე, კარგად უქნიაო, შენ მეტის ღირსი ხარო; მოკლედ, პატივს არ გცემენ, გიჟი აგრონომისა უფრო ეშინიათ, ვიდრე შენი, — ნათესავი გააქეზა ყინტორამ.

— მოიცა, მაგათ ვაჩვენებ სეირს, ჩემს მასხრად აგდებას ვანანებ! არა მცნობენ, არა? ვნახოთ! — ბობოქრობით აიღო ტელეფონის ყურმილი: — თავმჯდომარე ხარ? გამარჯობას ხომ არაფერი გიჭირთ?.. შენ კარგად გგონია, ძალიან ბევრ რამეში კი დავთრები არეული გაქვთ!.. რაში? თუნდაც იმაში, რომ ერთი გიჟი აგრონომი ვერ დაგიმორჩილებია და ბრიგადირები გაურბიან; მართლა გიჟია?.. მაგაზე ჭკვიანი არავინ გყავს? შენ ვეღარა გცნობ. თუ ეგრეა ბრიგადირი დომენტი რაზე გამოაგდო... არ გამოუგდია? აბა როცა სცემენ, რა უნდა ქნას?.. ჩამოვიდეს, იმუშაოს, არავის მოუხსნია? — თუ ის გიჟი აგრონომი იქ იქნება, მე ბრიგადაში არ მივალ! — დაჩაგრული მართლის ტონით გააპროტესტა ყინტორამ.

— მოაცილე მაიდან ეგ აგრონომი, ჩვენც მხარს დაგიჭერთ, ხომ ხედავ, საქმეები სულ აგირია!... აგირია კი არა აგიწყო?... საქმე სანიმუშოდ აქვს?.. კარგი, კარგი! შენ თუ ვერა ნახე, ჩვენები აგიხილებენ თვალებს!... თვალების ახელა არა გჭირდება? კარგი, კარგი ზოგი მერეც თქვი!.. იტყვი? — სოკრატმა საუბარი აღარ გააგრძელა. გაბრაზებულმა ყურმილი დაახეთქა და ზარის ღილაკს ხელის გული დააჭირა...

სამმართველოს აგრონომები ჯერ დამოძღვრა, მერე უბრძანა: — ახლავე წადით ამის კოლმეურნეობაში, — ხელით ყინტორაზე აჩვენა. — იმ გიჟი აგრონომის საქმეები ისე შეამოწმეთ, რომ იმის ხსენება აღარ დარჩეს იქ; მასალები კი გაზეთში გამოაქვეყნეთ!

ყინტორა სიამოვნების ღიმილს ვეღარ ფარავდა, თავისთვის ბურტყუნებდა, — მაშ რა ეგონა, ახლა აჩვენებს სეირს!..

აგრონომები აღფრთოვანებულები დაბრუნდნენ, თუმცა ლუკას საქმიანობის შესახებ იცოდნენ და დიდ პატივს სცემდნენ, როგორც არაჩვეულებრივ მცოდნეს, საქმის ერთგულს და შრომისმოყვარეს, მაგრამ რაც ნახეს, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა...

ახლა მთავარ აგრონომთან ერთად ისხდნენ და ერთმანეთს ნანახის და განცდილის შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ.

— გოგი, — მთავარმა აგრონომმა რიგით მარტაშვილს მიმართა, — ახლა დაჯექი და გაზეთისათვის წერილი დაწერე, დაე, რაიონის ყველა აგრონომმა გაიგოს, როგორია ნამდვილი აგრონომის საქმიანობა, უფროსმაც ხომ თქვა, შემოწმების შედეგებზე გაზეთში გამოაქვეყნეთო, — ორჭოფულად დაუმატა...

სოკრატს დილით მდივანმა რაიონული გაზეთი შეუტანა. უინტერესოდ გადაფურცლა, სურათებს გადახედა, წინა დღეს მაგრად იქეიფა და წაკითხვის სურვილი არა ჰქონდა. გაზეთი ახლა უკუღმა გადმოშალა. ის იყო გვერდზე უნდა მიეგდო, რომ თვალში მოხვდა დიდი შრიფტით დაწერილი სათაური: „აგრონომი, რომელსაც ყველამ უნდა მიბაძოს“. „ვა, ვინ არის, ნეტავ?“ — გაიფიქრა და კითხვა დაიწყო: ლუკა ხუციშვილი სკოლაშიც და ინსტიტუტშიც მოწინავე იყო; ასპირანტურაში ტოვებდნენ, მაგრამ მან სოფელში მუშაობა არჩია, დიდი დაძაბული და დაუღალავი შრომით მიაღწია იმას, რომ ერთ წელიწადში მოსავლიანობა სამჯერ გაზარდა. ლუკა ხუციშვილს წარმოუდგენლად მაღალი პერსპექტივები აქვს დასახული. ვინც მის მგზნებარე საუბარს მოისმენს და მის საქმიანობას ჩაუღრმავდება, მიხვდება, რომ ამ დიდი ცოდნით აღჭურვილ ახალგაზრდისათვის, რომელსაც შრომის სიყვარული არ აკლია, არავითარი მიღწევების ზღვარი არ არსებობს. რასაც იტყვის, აუცილებლად შეასრულებს, რადგან მის მიერ დასახულ სასიკეთო მიზნებს მეცნიერული, კარგად გაანალიზებული და დასაბუთებული ანგარიში ამაგრებს, რომელიც სავსებით რეალურია და იმ ნიჭიერი ახალგაზრდისათვის უფრო

ფართო პერსპექტივებს იძლევა, – სოკრატს ბრაზისაგან თვალთ დაუბნელდა, წაკითხვა ვეღარ შეძლო ციფრებს და ცხრილებს ზერელედ გადახედა, ლუკას საქმიანობას მთელი მეორე გვერდი ჰქონდა დათმობილი. სოკრატი დუდუნებდა და სტრიქონებზე მზერას დააჯირითებდა ისე, რომ შინაარსს ვეღარ იგებდა, მაგრამ ავზე იყო საუბარი თუ კარგზე, ამას ხვდებოდა; მოწოლილმა ბრაზმა აღარ ინება წერილის ბოლომდე ჩათავება. ვიღაცა მეტიჩარა, არამკითხე ავტორი გამოჩნდებოდა; განა გვეკითხებიან, ვისზე დაწერონ?! ერთი ვნახოთ ავტორი ვინ არის, მერე ვაჩვენებ სეირს! – ხმამაღლა ლაპარაკით იმ ადგილს მიადგა, სადაც წერილის ავტორი ეწერა. – გიორგი მარტაშვილი, – წაიკითხა და თვალებს არ დაუჯერა. მეორედ წაიკითხა, ბრაზი ვერ შეიკავა და მდივნის გამოძახების გარეშე დაიღრიალა, – მარტაშვილი მომიყვათ!!!

ფიფო ნადაშვილი კაბინეტში იჯდა, გაზეთი გაეშალნა და, ალბათ, მეათედ კითხულობდა. არაჩვეულებრივ სიამოვნებას განიცდიდა. თავისი ახალგაზრდობა გაახსენდა, როგორი ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას. უნდოდა, ყველა დარგი საათის მექანიზმივით აეწყო, მაგრამ ნებისყოფა არ ეყო წინააღმდეგობებთან ბრძოლაში. ჰოდა, მანაც თანდათან დაიწყო სიყალბესთან შერიგება. ჯერ ერთი პოზიცია დათმო და არასასიამოვნო დაძაბულობა მოიხსნა, რაც წინააღმდეგობასთან ბრძოლას ახლავს. გაახსენდა, ათასი ტონა ნაკელის პირუტყვის სადგომებიდან ნაკვეთში შეტანა რომ დაავალეს. მთელ ტრანსპორტს გაუკეთა მობილიზაცია და სამას ტონაზე მეტის გატანა ვერ მოახერხა. თათბირზე კი ყველა კოლმეურნეობას სასუქის გატანის გეგმა შესრულებული ჰქონდა. მაშინ ფიფო უფროსებმა სასტიკად გალანძღეს. მერე კოლეგებმა უთხრეს, გრამიც არ გაგვიტანიაო, ამათ დაგვავალეს, ჩვენც შევასრულეთ, ცნობა გამოვაგზავნეთ, რომ ნაკელი გატანილია და მორჩაო; ვინც ყველაზე მოქნილად იცრუა, თათბირზე სულ იმას აქებდნენ. ფიფო კი, პატიოსნად რომ გაისარჯა, სახალხოდ გალანძღეს. მეორე დღეს რაიონში ცნობა აფრინა, დავალება შესრულებულიაო. ერთ კვირაში სამასი ტონა ძლივს გაიტანა, ერთ დღეში კი, რომ შეახ-

ურეს, შვიდასი დონა გაზიდა. იმავე საღამოს დაურეკეს და შეაქეს, ყოჩაღ, კრიტიკამ გიშველაო. ახლა ცხვარში ნამატის მიღების გეგმაზე შეახურეს. რაიონში ყველაზე კარგი მდგომარეობა ჰქონდა და თათბირზე თამამად მივიდა. იმ წელიწადს ძალიან მძიმე ზამთარი იყო, ცხვარში დიდი დანაკლისი განიცადეს. ყველა კი ამბობდა გეგმა შევასრულეთ და გადავაჭარბეთო. ერთი ფიფო იყო რომ თქვა: ას ცხვარზე სამოცდათხუთმეტი ბატკანი მივიღე, დოლი დამთავრდა და გეგმას ხუთი ბატკანი დამაკლდაო. ლანძღვა-გინების ქარიშხალი დაატყდა თავზე. თათბირის შემდეგ კი კოლეგებმა უთხრეს: ბიჭო, ნახევარიც ვერ მივიღეთ, მაგრამ გადაჭარბება ვაჩვენეთ. მერე ან დაცემაში, ან იძულებით დაკლაში ჩამოვწერამთ, თუ ასეც ვერ გამოასწორებ, მომავალ დოლს დაელოდებით. ფიფომ ამ მიწერის გამოც გაიგო და კიდევ ერთხელ ამოისუნთქა შვებით. ყოველი მორიგი მიწერის შემდეგ იფიცებოდა, მეტს აღარ გავიმეორებო, მაგრამ სხვა უფრო დიდი ძალა აწვებოდა და არ ეყო ნებისყოფა, ძალა და პრინციპულობა, რომ ამ დაწოლისათვის გაეძლო; ამრიგად თანდათან ეფლობოდა თვალისახვევის ჭაობში. თუ პირველად ცდილობდა, ამ მანკიერებისგან თავის დაღწევას, მერე, პირიქით, თვითონ ეძებდა გზებს როგორ დაეღწია თავი არარეალური, ბატონკაცური, დილეტანტური დავალებებისაგან. მაშინ რა ექნა, როცა თვალთმაქცობას ზევიდან ითხოვდნენ. გაახსენდა, დეკემბრის ბოლოს რომ დაავალეს, სამოცი სულით გაზარდეო ძროხების სულადობა, მანაც აჩვენა ყალბად და მერე მთელი წელი კანკალებდა არ შემამოწმონ და არ დამღუპონო. რამდენი ამგვარი მიწერა ახსოვს, მაგრამ რა ექნა, არ გააკთებდა და ქვეყნის ცოდვებს წამოჰკიდებდნენ, თანაც უკვე გასვარეს და მძევლად ჰყავდათ საჭიროების შემთხვევაში გასაწირად. ახლა ხვდება, სჯობდა პრინციპული და მებრძოლი ყოფილიყო, ვიდრე ასე ამოსვრილიყო ათასი ჯურის უმსგავსობაში. ლუკას რომ უყურებდა, მისი შემართება სიამოვნებას ანიჭებდა, მაგრამ ეყოფოდა კი ენერგია ბოლომდე ასე ბრძოლით სიარულისთვის, თუ ცხოვრების რომელიმე ბოროტ მორევთან მასაც ფიფოსავით უმ-

ტყუნებს შემართება და, ამდენი მწარე დღეების შემდეგ, მოჩვენებითი კეთილდღეობის ჭაობში ჩაეფლობა? ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბედნიერებაა იყო ლუკასავით მებრძოლი, მართალი და პრინციპული ადამიანი, ვიდრე ცხიმიანი კეთილდღეობის მყრალი განცხრომით დაიბინძურო ნამუსი და ზნეობა.

ფიფომ ღრმად ამოიხვნეშა, თითქოს მძიმე ტვირთი მოიხსნაო. თუმცა ცხოვრების დიდი ნაწილი უკვე გავლილი ჰქონდა, მაგრამ რაღაც წილად შვებას იმაში გრძნობდა, რომ ლუკას მოქმედებას მთელი არსებით იზიარებდა და, თუ საჭირო გახდებოდა, ამდენი ხნის ნაფერები თანამდებობა, რომელიც ათას ქარტეხილს გამოატარა და მისი შენარჩუნებისათვის ცოდვები იტვირთა, რომლის სიმძიმე ასე თრგუნავდა, ლაყე კვერცხივით მიწაზე დაეთხლიშა.

ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ყურმილი აიღო. — გამარჯობათ სოკრატ გიგაევიჩ! — ჩასძახა ყურმილში და სახეზე უსიამოვნო გრძნობამ გადაურბინა. — წავიკითხე როგორ არა, ეგ თქვენი აგრონომი-მარტაშვილი ნამდვილად საქმის ღრმა ცოდნით წერს; სწორედ ასეთი აგრონომები უნდა ისხდნენ სამმართველოში, რომ ქვეყანას დაანახონ სასიკეთო საქმე... გადაიყვანეთ?... ცუდი მუშაკია?... რატომ არ უნდა დაეწერა? პირიქით, გაცილებით მეტის თქმა შეიძლებოდა!... გადამიბირა კი არა, სულითა და გულით მივესალმები ამ ბიჭის საქმიანობას; ყველა დარგში ეგრე რომ მუშაობდნენ, არაფერი გაგვიჭირდებოდა!... რატომ გვემუქრები? განა არ უნდა გიხაროდეს ასეთი თავდადებული ახალგაზრდის ხალხისთვის გაცნობა?! ნაკლოვანებებს მაჩვენებ? მეც კარგად ვხედავ, მაგრამ იმას ვგრძნობ, რომ თუ ამგვარ ბიჭებს ხელი არ შევუწყეთ, ჩვენს წარმატებებზე ლაპარაკი ზედმეტია!... ბრმა დეღმდე ვიყავ. ახლა მრცხვენია, რომ ამ გუშინდელმა ღლაპმა თვალები ამიხილა და დამანახა როგორი უნდა იყოს ხელმძღვანელი!... არ ვიქნები და არავის შევეხვეწები დამტოვონ!... ამოვალ და ვილაპარაკოთ!... სამი დღის შემდეგ სპეციალისტებთან ერთად?... კი ბატონო! — ფიფომ ყურმილი დადო და ღრმად ამოიხვნეშა...

დიდი სხდომათა დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. თავმჯდო-

მარეების ინფორმაციებს ისმენდნენ. რაიონის ხელმძღვანელობა ემუქრებოდა იმათ, ვინც მათ დაკრულზე კარგად არ როკავდა გაგანთავისუფლებთო. გამოცდილი თვალი აშკარად შეატყობდა, ვისთან როგორ ურთიერთობაში იყვნენ: ზოგს ორი სიტყვით ისტუმრებდნენ, ზოგს კი თავზე ატეხდნენ დაგროვილ ღვარძლს და ბრაზს. სწორედ ეს ბედი ერგო ფიფოს. როგორც ტრიბუნაზე ავიდა, ისეთი თვალებით შეხედეს, აშკარად ეტყობოდათ ღვარძლის მოძალება.

— ჩვენმა კოლმეურნეობამ საანგარიშო წელს მთელი რიგ წარმატებას მიაღწია, — დაიწყო ფიფომ.

— რა წარმატებას მიაღწიეთ? — სოკრატმა სიტყვა არ გააგრძელებინა.

— აქ სწორედ მაგიტომ ვარ ამოსული, რომ ვქთვა.

— რა უნდა თქვა, როცა კოლმეურნეობაში ყველაფერი მოშლილია! — სოკრატი აღრიალდა.

— ეგრე იოლად გცოდნია ყველაფერი, აქ რაღაზე ამომიყვანეთ?!

— იმიტომ, რომ გვითხრა, როდემდის უნდა გაგრძელდეს თქვენი უსაქმურობა და თვითნებობა?! — სოკრატი ცოფს ყრიდა.

— რატომ ღიზიანდებით, როცა წარმატებები აშკარად სახეზე გვაქვს?! — ფიფომაც შეუტია.

— რომელ წარმატებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ერთი თავხედი აგრონომისათვის ვერ მოგივლიათ! შენი თამადობით ყველა მის დუდუკზე ცეკვავთ! — რა გვარია ის ბიჭი? — დარბაზში პირველ რიგში მჯდომ თავის მუშაკს მიმართა, იმანაც მიირბინა და ყურში უჩურჩულა, — ჰო, ლუკა ხუციშვილი, ხულიგანი, აგრონომისა არაფერი რომ არ სცხია.

— ნეტავ, მაგის მსგავსი ყველა იყოს, რაღა გაგვიჭირდებოდა! — ფიფო ახლა დარბაზს მიუბრუნდა: — თუ გინდათ, როგორია ნამდვილი ადამიანი გაიგოთ, ის ბიჭი უნდა გაიცნოთ: უაღრესად ღრმა ცოდნის პატრონი, პატიოსანი, პრინციპული, გულისხმიერი, შრომისმოყვარე, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი; ყოველთვის

პროგრესის მაძიებელი... აი, მაგალითად სულ ცოტა ხანში რის გაკეთება მოასწრო...

— ბრიგადირს სცემა! — შეაწყვეტინა სოკრატმა.

— შენგან ჩვენ სასიკეთოს ვერაფერს გავიგებთ. ეტყობა თავმჯდომარეობამ ძალიან შეგაწუხა, ვეცდებით გავითვალისწინოთ! — უღრიალა რაიკომის მდივანმა.

ფიფოს გაუკვირდა, აკი გრამიტონი ეუბნებოდა: ასე დამაბარეს, შენს თავმჯდომარეს არაფერი გაუჭირდებაო. ეგონა, სოკრატი ასე აქტიურად მარტო თავისი ნათესავის გამო უპირისპირდებოდა. ახლა დარწმუნდა, რომ რაიკომის მდივანთან უკვე გადაწყვეტილი იყო მისი საკითხი; ირონიულად გაეღიმა.

— ეცადეთ, ეცადეთ! კარგს ვერაფერს ეცდებით, თორე თქვენთან ავის ცდა გასაკვირი არ არის! — ფიფოს ამგვარი პასუხი აშკარა ამბოხს ნიშნავდა განუსაზღვრელი ძალაუღლებით გათავხედებულ ბატონკაცებისათვის.

პრეზიდიუმთან ქალი მივიდა: — ზაალ დიმიტრიჩს ზევიდან ტელეფონზე სთხოვენ, — გადასცა ნაპირზე მჯდომს და ატყდა ჩურჩული.

— თქვენ გააგრძელეთ, თუ აღარ დავბრუნდი, შედეგებზე მომახსენეთ; ამ თავხედს და მის აგრონომს კი ჭკუა ასწავლეთ! — დაიბარა და დარბაზი დატოვა.

— კარგი. შენთან სალაპარაკო აღარაფერი გვაქვს. ის აგრონომი გამოვიდეს, რა ჰქვია? ჰო, ლუკა ხუციშვილი! — სოკრატი ფეხზე ადგა და ლუკას გამოსვლას დაელოდა. ფიფომ ხელი ჩაიქნია. ტრიბუნიდან ჩამოვიდა და თავის ადგილისაკენ გაემართა, გასასვლელში ლუკას შეხვდა, თბილად გაუღიმა და მხარზე წამოარტყა ხელი.

ლუკა ტრიბუნაზე ავიდა.

— აბა, დაიწყე! — უბრძანა სოკრატმა.

— რაზე ინებებთ? — ლუკა თავაზიანად შეეკითხა.

— იმაზე თუ როგორი ცემა-ტყემა გაქვთ გამართული ბრიგადებში.

— მე აქ საქმეზე სასაუბროდ გამომიძახეთ, მეგონა.

— რას ატყობ უსაქმურობისას?! — სოკრატმა იყვირა.

— მაგას, მე მგონი, ჩემზე უკეთ ატყობთ! — ლუკა მოტრიალდა და ჩამოსვლა დააპირა.

სოკრატი გაშრა.

— მოიცა. გვითხარი, რატომ არ შეასრულეთ ნაწვერალზე სასილოსე სიმინდის თესვის გეგმა! — შეაჩერა.

— ჩვენ ნაწვერალზე ნათესი სიმინდიდან სასილოსე მასის მიღების გეგმა სამმაგად შევასრულეთ, თუმცა ეს ზღვარი არ არის; გაცილებით მეტის მიღება შეიძლება და მივიღებთ კიდეც. შემიძლია გაგაცნოთ ის ეკონომიკური ეფექტი, რაც სწორი აგროტექნიკის გატარებას და ინტენსიური მეურნეობის გამოყენებას მოჰყვება, — ყველა სმენად იქცა.

— ეგ ბიჭია ამას წინათ გაზეთში რომ წერდნენ? — დარბაზში ჩურჩული ატყდა.

— შენ გეკითხებიან, რატომ არ შეასრულე ნაწვერალზე სასილოსე სიმინდის თესვის გეგმა! — სოკრატი დორბლს ყრიდა.

— აბა, მე რა ვქთვი ახლა? — ლუკამ დარბაზს მიმართა შემიძლია უფრო დაწვრილებით აგიხსნათ, — ახლა სოკრატს მიუბრუნდა.

— გეკითხებიან, რატომ არ შეასრულე ნაწვერალზე თესვის გეგმა! — სოკრატმა ხმას უფრო აუწია.

ლუკას ირონიულად გაეღიმა.

სოკრატმა ცხრილში ჩაიხედა, რაღაცას ეძებდა, იპოვნა, ზევით აიხედა და ნიშნის მოგებით იყვირა: — საშემოდგომო თესვის გეგმა ვერ შეასრულეთ!

— გასულ წლს საშემოდგომო თესვის გეგმას დაგვაკლდა ას ორმოცი ჰექტარი იმიტომ, რომ იქ თესვა კი არა, თესლის გადაყრა იქნებოდა. რაც დავთესეთ იმით წარმოების გეგმა ხუთმაგად, სახელმწიფოზე მარცვლის მიყიდვა კი სამმაგად შევასრულეთ. თესვის გეგმის შემსრულებლებმა მარცვალი რომ ვერ მიიღეს, მათ მაგივრადაც ჩვენ ჩავაბარეთ სახელმწიფოს. ერთი ცენტნერის

წარმოების თვითღირებულება შემცირდა...

— მოიცა, მოიცა! რამდენს ყბედობ! — სოკრატი აყვირდა.

— თქვას, საინტერესოა, — დარბაზიდან დაიძახეს.

— შენ რატო კითხვაზე არ პასუხქბ, რატომ გინდა თვალები აგვიბა?! გეკითხებიან, რატომ არ შეასრულე თესვის გეგმა?! — სოკრატა ფეხზე ადგა და ხელის ქნევით აყვირდა.

— ამ პასუხს პირველი კლასის მოსწავლეც გაიგებდა. თესვა იმიტომ გვჭირდება, რომ მოსავალი მივიღოთ და არა ვინმესთვის კარიერისტული ამბიციების საკვებად, რომელიც შემოდგომით ბუმერანგივით ხალხის უბედურებად გვიბრუნდება. გპასუხობთ: აგრიტექნიკური ნორმების დარღვევით არცერთი ჰექტარი არ დაგვითესია და არც დავთესავთ, თქვენ რა გაინტერესებთ, ბევრი ჰექტრები დავთესოთ და მოსავალი ვერ მივიღოთ, თუ დავთესოთ იმდენი, რაც გარანტირებულ მაღალ მოსავალს უზრუნველყოფს? — ლუკა სოკრატს მიუბრანდა.

— სწორია, სწორი! — დარბაზიდან დაიძახეს. — აბა, სად გვინდა თესვის ყალბად რომ ვბერავთ, გაზაფხულზე კიდევ დაღუპულში ვაფორმებთ. მართალი ხარ, ლუკა, მართალი! — იძახოდნენ.

სოკრატი მთლად გადაირია. ცხრილში რაღაცის ძებნა დაიწყო, რომელიღაც ციფრს დაადო თითი, სასუქის გატანა იყო. უნდა ეკითხა, მაგრამ გადაიფიქრა, ამასაც მისთვის არასასურველი შედეგი მოჰყვებოდა; რაიონში ყველა-ე მეტ სასუქს ლუკა ეზიდებოდა, სხვები თავის წილს სიხარულით უთმობდნენ.

— ბიჭო, ზრდილობა რა უყავი, ასე თავხედურად რაიონის აქტივის წინაშე გამოსვლა შეიძლება? — უცებ მიახალა.

ლუკა ბრაზისაგან გაფითრდა.

სოკრატმა პასუხის გაცემა არ დააცადა და დაუმატა: — მინდა გკითხო, ინსტიტუტში ზრდილობა არ გასწავლეს?

— მაგ კითხვას სწორი მისამართი თუ გინდათ მოუძებნოთ, საკუთარ თავს დაუსვით! — ლუკამ უპასუხა და ტრიბუნიდან ჩამოვიდა.

— უზრდელი და გაუთლელი ვირი ხარ! — სოკრატმა ყვირილით მიაყოლა.

— არც გაუთლელ და არც გათლილ ვირობაში არავინ გეცილება! თუ მაგ თავხედობას სკამის ძალა გაბედინებს, ვაჟკაცობით ვერ დაიკვეხნი! მაღალ სკამზე კურდღელს თავი ლომი ჰგონია, ეს კარგად დაიხსომე! — ლუკამ სოკრატს ისე შეხედა, რომ კურდღელობა აგრძნობინა. ფიფოს გვერდით რომ დაჯდა, მან მხარზე ხელი დაარტყა და შეაქო: — ალალი ყოფილა, შვილო, შენზე დედის რძე! — სიყვარულით უთხრა და სკამზე ისე შესწორდა, თითქოს დიდი შეტევის მოსაგერიებლად ემზადებაო.

— ეს რა მაგარი ბიჭი ყოფილა! მაგრამ ვაი, რომ მარტო ეგ ერთი გამოდგა ვაჟკაცი, დანარჩენები თვალთმაქცობის, სიცრუის და დამცირების ფასად ცხიმიანი ცხოვრების მონები ვართ, — ჩურჩულებდნენ დარბაზში.

თათბირმა ჩვეულებრივი მოჩვენებითი კეთილდღეობის, თვალთმაქცური მაამებლობის ელფერი დაკარგა; დარბაზში ჩურჩული არ შეწყვეტილა...

სოკრატმა თავბირის შემდეგ რაიკომის პირველ მდივანთან დააქცია თავისი ღვარძლი, რომელიც ბატონკაცურად გაჯგიმულ შუბლზე ნაოჭებს კეცავდა.

— აღარ შეიძლება, ზაალ დიმიტრიჩ, ფიფო ნადაშვილის თავმჯდომარეობა, კოლექტივი დაშლამდე მიიყვანა. ახლა კიდევ იმ დამთხვეულ, ხულიგან აგრონომს უსმენს და წესიერი ხალხი სულ გაურბის; დროზე თუ არ მოვაშორეთ, ყველაფერს აურდაურევს.

— ჰოოო! ეს ჩემთვისაც ცნობილია, კარგი ადამიანები ემდურებიან. თქვენი აზრით ვინ გამოდგება მის ადგილზე? — ღრმად ჩაფიქრებულმა ზაალ დიმიტრიჩმა ისე თქვა, რომ კანდიდატურის შერჩევისათვის შეწუხება ეტყობოდა.

— რა ვიცი, მოვიფიქრებთ, — სოკრატმა იმედიანად უპასუხა.

— აბა, იმ ბიჭს გადახედეთ, რა ჰქვია? მეფრინველეობის ფერ-

მის გამგედ რომ მუშაობს; ძალიან წესიერი დათავაზიანი ჩანს, ეგ ივარგებს, – ისე თქვა, რომ სხვა აღარ იყო მოსაძებნი. – თუ თქვენ თანახმა იქნებით, მომიყვათ, გავესაუბროთ და დროზე გადავწყვიტოთ, თორემ ფოფო იქ ყველაფერს ისე მოშლის, აწყობა გაჭირდება.

გრამიტონის კანდიდატურა ისეთი მოულოდნელი და შეუფერებლი იყო, რომ თვითონ სოკრატსაც კი გაუკვირდა. პირი გააღო, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. რაიკომის მდივნის კანდიდატურას ვერავინ დაიწუნებდა, გინდა ვირი წამოეყენებინა ორკესტრის დირიჟორად...

ლუკა თავისი სახლის მწვანით დაფარულ ეზოში დაღონებული იჯდა. ბაბო ცუდად ჰყავდა. მეზობელ-ქალები ახლობლები, ნათესავები თავზე ადგნენ. მეოთხე დღე ბაბოს არ მოსცილებია. ჯაგარა, ნიკო და ბიჭები ყოველდღე აკითხავდნენ; ზაური ხომ სულ მასთან იყო.

რაიონული თათბირის შემდეგ ლუკას ოპტიმისტური ცეცხლი უსუსტდებოდა. ახლა უფრო აშკარა ხდებოდა დიმიტრი დავარაშვილის ბოლო გაკვეთილის დიაგნოზის სავალალო შედეგების სინამდვილედ მოახლოება.

„რისთვის ვიკლავ თავს?“ ფიქრობდა, „განა ხალხის სასიკეთოდ გარჯას უნდა ებრძოდეს ის, ვისაც სწორედ ეს ევალება? მადლობის მაგიერ ბოროტად მებრძვიან. ნუთუ ავის და კარგის გარჩევა არ უნდა იყოს? ვერ გამიგია, რატომ უცრუებენ კაცს გულს? ერთეულების გაუმაძღრობას რატომ ეწირება ხალხის ინტერესები?! კარგად მუშაობის პირობებში, ისეთი ზღუდეების გადალახვა შეიძლება, დღეს ოცნებაც რომ წარმოუდგენელია. მაშ, ყოველივე ამას რატომ უშლიან ხელს. რატომ თხოულობენ მიწერას, რათა ერთმანეთს თვალები აუბან ხალხის საუბედუროდ?!

კოლექტივში რამდენი ხელმრუდე კაცია, ყველას ვძულვარ, რაიონში რამდენი უკულმართია, ყველა ჩემნაირი კაცის მტერია. რატომ? თვალთმაქცობის და აღვირახსნილი მიწერების პირო-

ბებში ადამიანებში მომხვეჭელობამ და სხვის ხარჯზე საკუთარი კეთილდღეობის ნაჭუჭში ჩაკექტვამ იმძლავრა. ამგვარი ცხოვრების პირობებში რამდენი ადამიანი მახინჯდება. განა ნიკო, ახლა ასე რომ ებრძვის უკულმართობას, დამახინჯებული არ იყო. ქანჩებ-მოშვებული მანქანის საღი ნაწილებიც ფუჭდება. ყველა დეტალის მაგრად მორგებაა საჭირო, თორემ დაიშლება და ჯართად იქცევა. მე რა მინდა, რისთვის ვიბრძვი? მოხვეჭაზე და თვალთმაქცობაზე რომ დავდგე ათას გრამიტონას გავახუნებ. თავპირსაყრელი მექნე-ბა ქონება და ღორის გაუმაძღარობა შეყრილს. სული ხორცით დაბინძურებულს, სიცოცხლეშივე გარდაცვლილს ხალხის წყევლა სატანის ლოცვასავით ამყვებოდა. ვერასდროს ვეღარ ვიგრძნობდი იმ სიამოვნებას, რასაც მართალი და კეთილშობილი კაცი სიკეთის გაღიმებისას რომ გრძნობს. არა, ლუკა, შენ შენი ცხოვრებით უნდა იცხოვრო, სხვამ – თავისით; სიმართლე კი ხალხის ხელშია, მისი პირით ლაპარაკობს და არა სოკრატა უბედურის“... ფიქრი შეუწყდა. ეზოში ზაურის მანქანა შემოვიდა, რომლიდანაც მარინე და ამალია ერთდროულად გადმოვიდნენ. გოგოები ლუკას გადაე-ხვივნენ; ზაურმა მხარზე ხელი შეახო: – ყველა წამალი ვიშოვნე, წავალ, ექიმს მოვიყვან, – თქვა და მანქანისაკენ გაბრუნდა.

– ექიმი, აქ არის, მითხრა, წამალი საჭირო არ არისო, – ძლივს გასაგონად წაიდუდუნა ლუკამ. – თბილისიდან რით ჩამოხ-ვედით? – გოგოებს ჰკითხა.

ამ მანქანით, პირდაპირ აქ მოვედით; დათო სახლში ჩამოვიდა, ბავშვს დედას დაუტოვებს და მოვა, – ამალიამ უპასუხა.

– ზაური ქალაქში იყო?

– ჰო, სპეციალურად ჩამოვიდა, მარინეს წამოსაყვანად; ლუ-კას ბაბო ავადაა და იქნება ცოცხალს მოუსწროო.

ლუკამ ზაურს შეხედა, რაღაც უცნაური სითბო და მად-ლიერება იგრძნობოდა მის თვალებში.

ამალია და ზაური სახლში შევიდნენ ავადმყოფის სანახავად.

– ლუკა, არ მოგწყინდა მიწის ჩიჩქნა და სოფლის ტალახის ზელა? – წყნარად უთხრა მარინემ.

ლუკას ირონიულად გაელიმა.

— შენ რას მთავაზობ, პარკეტზე ფეხის წვერებით ვიარო და წკიპურტით მოვიცილო პიჯაკზე დაცემული მტვრის ნაწილაკი?

— რა საჭიროა ქალაქში ცხოვრების ასე გასარჟება?

— მიწის ჩიჩქნა და ტალახის ზელა სოფელში ცხოვრების ხოტბის შესხმაა.

— ასე რატომ მსჯელობ, ლუკა, მომავალს რატომ ისპობ?!

— რას გულისხმობ მომავალში?

— პარტიაში შეხვალ, თანამდებობას მოგცემენ, შენი უნარის პატრონს დაგაწინაურებენ, რასაც პატივი, კარგი ცხოვრება და უზრუნველი მომავალი მოსდევს.

— მაგ პარტიაში იმიტომ მიძვრებიან გრამიტონას, სოკრატას, თუნდაც ჩვენი რაიკომის მდივნის მსგავსები, რათა პატივი, კარგი ცხოვრება და უზრუნველი მომავალი ჰქონდეთ? ხალხის, ქვეყნის და ერის წინაშე პასუხისმგებლობა კიდევ ფეხებზე უნდა დაიკიდონ და ადამიანთა სოციალური კეთილდღეობის იდეა თავიანთი ეგოიზმით, თვალთმაქცობით, მომხვეჭელობით და ათასი უზნეობით დააბინძურონ?

— ლუკა, თუ პარტიის წევრი არა ხარ, არ დაგაწინაურებენ.

— ვინა თქვა, რომ მე დაწინაურებისათვის სული მძვრება?! ის დააწინაურონ, ვინც ღირსია. თუ ადამიანი იმსახურებს, რა საჭიროა მისთვის თქვენი პარტიის აუცილებელი წევრობა, რომელიც დღეს კარიერისტი მედროვეებით არის დაბინძურებული; თუ დასჭირდებათ, მაგ პარტიის წევრობას დამპალი მსხალივით მოისრიალებენ. იმიტომ, რომ იმ პარტიაში ხალხის კი არა საკუთარი კეთილდღეობის მოსაპირკეთებლად არიან შემძვრალი ადამიანთა სოციალური კეთილდღეობის სოციალურ უბედურებად გადაქცევის სურვილით.

— ლუკა, მე რა ლექციას მიტარებ, იცი, რომ მაგნაირი საუბრისათვის დიდი განსაცდელის წინაშე აყენებ შენს თავს?! — მარინემ უკმაყოფილოდ შეათამაშა მხრები და განზე გაიწია.

ამ დროს ამალია და ზაური სახლიდან გამოვიდნენ.

— ეხ, ძალიან ცუდად არის! — ზაურმა ხელი ჩაიქნია.

— რას ვიზამთ, ასაკიც აქვს და... — ამალიამ სცადა ლუკას დამშვიდება.

— ასეა, ასაკიც აქვს და ბევრიც იშრომა, მაგრმ მე გული მწყდება, რატომღაც უკვდავი მეგონა; მის შემდეგ აქაურობა გამოყრუვდება, — სინანულით თქვა ლუკამ.

— რატომ გამოყრუვდება, მალე შენ და მარინე შეუღლდებით და აქაურობის გამოცოცხლებას სხვა რაღა უნდა, — ღიმილით თქვა ამალიამ.

— შენ ამბობ, რომ ბებიას მაგიერ დავჯდე ამ ქოხში? — მარინემ შუბლი შეიკრა.

— აბა, ეს რა სათქმელია, ქალბატონო მარინე, კომკავშირის თბილისის რომელიღაც რაიკომის მდივანს, პარტიის წევრს, აქტივის კრებებზე პრეზიდიუმში გამოჭიმულს, ამ ქოხში გამომწყვდევა როგორ შეგკადრეს?! — ირონიული ღვარძლით შეანელა ნათქვამი ზაურმა.

— მე კი მეგონა, თუ ადამიანი გიყვარს... — ამალიამ სიტყვა ვეღარ დაამთავრა, ეზოში ზაურის მეუღლე-ლალი შემოვიდა, ლუკას მიესალმა, ანუგეშა: — რა ვუყოთ, ჩემო ლუკა, უფროსი თაობა მიდის, ამას ვერსად გავექცევით; სამაგიეროდ ამ ფუძეზე შენი სახით მისი შთამომავლობა გამრავლდება.

— შენც ახალი რამ თქვი, — ზაურმა ნათქვამი დაუწუნა.

— ახალს და მოულოდნელს შენ ხარ ჩვეული. დღემდე შენთვის ვერ მიპატიებია, პაპუნამ ბოდიში გიხადა, თავისი თავი ლანძღა, სიმთვრალეში რომ დაგარტყა და გთხოვა, დამარტყიო. შენ კი იმის მაგიერ, რომ ვაჟკაცურად შეგენდო, შემოჰკარი და განა ერთხელ? პაპუნას ხელი არ შეუბრუნებია. ახლაც თვალწინ მიადგა მისი დამცინავი ღიმილი და სირცხვილის ოფლს მაყრის. როგორ დამცირდი და მისი დიდსულოვნებას შენი პატარკაცობით რომ უპასუხე! — ლალი ეტყობოდა ამას ძალიან განიცდიდა.

— ეს კარგა ხანია მოხდა, ნამდვილად მივქარე; ჩემი საქციელით ყველას წინაშე დავკნინდი! — სინანულით თქვა ზაურმა.

— რა მოხდა, რატომ არ ვიცი? — ლუკამ იკითხა.

— ადრე, ერთ პურმარილზე ჩემი ამხანაგის საქმრომ ზაურს უმიზეზოდ დაარტყა, თურმე ნასვამს ცუდი ხასიათი ჰქონია. მერე კიდევ შევხვდით პატარა სუფრასთან. პაპუნამ ზაურს დიდი ბოდიში მოუხადა. თავისი უხასიათობა დაგმო და სთხოვა, ოღონდ შემინდე და რამდენიც გინდა მირტყიო. ესაც ადგა და სამი, თუ ოთხი შემოჰკრა. იქ მყოფთაგან ყველამ დაგმო ამის საქციელი, პაპუნამ კი ხელი გადახვია და დიდი მადლობა გადაუხადა. ახლა მითხარით, ქების ღირსია ამის მოქმედება? — სუყველას მიმართა.

— ზაურ, იმან ბოდიში მოგიხადა, შენ კი მაინც ურტყი? — ღრმა ფიქრებში ჩაძირულმა ლუკამ ჰკითხა.

— ჰო, რავი, ახლა როცა ვნახავ, მუხლებში ჩავუვარდები და შენდობას ვთხოვ; მასაც ხომ უღალატა ერთხელ საღმა განსჯამ, — ზაური თავდახრილი იდგა.

— ასე მოგიხდა! — ლალიმ ნათქვამი მოუწონა.

— ეს ყველაფერი ჩემი ბრალია, — ლუკას ირონიულად ჩაეცინა. — პაპუნამ რომ დაარტყა, ზაური დავაფიცე, რომ აუცილებლად სცემდა. ჰოდა, შეიძლება დარტყმა სულაც არ უნდოდა, მაგრამ ჩემთან დადებულმა ფიცმა არ მოასვენა; ეგრე იყო არა, ზაურ? — ეს უთხრა, მაგრამ გულში ზაურის საქციელზე წყრებოდა.

ზაურს ხმა არ ამოუღია.

— ნამდვილად შენი ბრალია ლუკა, ხვალ ვინმე ცოდვიანის შებრალებისათვის დაგ ჰამარშელდის ავიაკატასტროფის მოწყობას დაიბრალებ. ვერა, ვერ შესძლებს შენი სპეტაკი სული ამდენი ცოდვიანის ტვირთის ზიდვას! — მკაცრად თქვა ლალიმ და ზაურს შეხედა, რომელიც დამნაშავე ბავშვივით მოკუნტულიყო.

— ბაბო დიდხანს ვეღარ იცოცხლებს, ამხანაგებს უნდა შევატყობინოთ, — ამალიამ საუბრის თემა შეცვალა. — ლუკას მარტო ბაბო დარჩა, ეულად არ უნდა იგრძნოს თავი. ჩვენ გვერდიდან არ უნდა მოვცილდეთ; ასე არ არის, მარინე?

— ზეგ რაიონის თათბირზე უნდა ვიყო, მერე კომკავშირის

აქტივის კრება გვაქვს, მასზეგ კი კომკავშირის ცეკას ბიუროზე უნდა ვიყო, — მოიჩივლა მარინემ.

— კიდევ კარგი ბებიაშენი დიდიხნის მკვდარია, თორემ შენი კომკავშირის წყალობით დასამარხი დაგრჩებოდა, ან ვიღაცის მიერ სამადლოდ დამარხულის საფლავზე სიტყვის თქმაღა მოგიწევდა მხოლოდ, — დამცინავად შენიშნა ზაურმა.

— ასე რატომ ამბობ, ზაურ, ხომ არსებობს მოვალეობის და პასუხისმგებლობის გრძნობა! — გაუწყრა მარინე.

— ნეტავ რის მაქნისები ხართ. ამდენი თათბირებით, ბიუროებით თუ შეკრებებით საქმის კეთების მაგიერ, იგივე საქმეს ხელს რომ უშლით ფუჭად გაფხორილები, თქვენ თუ არ გინდათ გაიგოთ, ხალხი ამჩნევს ამას, — მწარედ უთხრა ზაურმა.

— არ გეკადრება, ზაურ, საერთო საქმისათვის თავდადებულ ადამიანთა ასეთი ღვარძლიანი ხსენება! — მარინე სასტიკად განაწყენდა.

— ღმერთმა ნუ ქნას, საერთო საქმე თქვენს იმედზე იყოს, თორე რაც გვაქვს, ისაც გაგვიქარბუქდებოდა; დაგჭირდებათ და პირველები თქვენ დაასამარებთ საერო საქმეს! — არც ზაურმა დაუთმო.

ლუკას ხმა არ ამოუღია, მის სათქმელს ზაური ლაპარაკობდა.

მარინე გაწყრა.

— ახლა სახლში წავალ, ჩვენებს ვნახავ და ხვალე ადრე უნდა წავიდე, — მარინე ალაყაფის კარებისაკენ გაემართა. ზაურს რაღაც უნდა მიეძახებინა, ლუკამ ხელი მოსჭიდა და ანიშნა, არაფერი თქვაო...

გრამიტონი სოკრატ ქერაშვილის კაბინეტში იჯდა, ნერვიულობისაგან თითებს იმტვრევდა. სოკრატი ტელეფონზე ლაპარაკობდა. კარგა ხანს ილაპარაკა, გრამიტონი შიშისგან დაილია, ნეტავი რისთვის გამომიძახაო.

სოკრატმა ყურმილი დადო და თითქოს ახლა დაინახაო გრამიონა ღიმილით ჰკითხა: — როგორა ხარ, გრამიტონ?

ყურებამდე გაღებული პირმოთნე ღიმილით სკამზე შეტოკდა

გრამიტონი და ლაქუცით უპასუხა: — კარგადა ვარ, სოკრატ გიგაევიჩ!

— ის გიჟი აგრონომი როგორა გყავთ? — სოკრატმა გაიცინა. — თქვენს თავმჯდომარეს ისეთი რა აჭამა, რომ ისაც გადარია?

— ეხ, სოკრატ გიგაევიჩ, მე თუ მკითხავთ, — გრამიტონმა ოთახი მოათვალიერა, არავინ მისმენდესო და საიდუმლოდ ჩურჩულით უთხრა: — მაგათი მანდ დატოვება არაფრით არ შეიძლება.

— შენზე რომ იყოს, რას იზამდი?

— ჩემზე რომ იყოს, ორივეს ერთ დღეში გავყრიდი მაიდან, — გრამიტონმა ეს რომ თქვა, შემოსასვლელ კარებისკენ გაიხედა, ხმამაღლა ხომ არ მომივიდა და გარეთ ხომ არავინ გაიგოო.

— გრამიტონ, რა აზრისა იქნები, თავმჯდომარედ შენი კანდიდატურა რომ წამოვაყენოთ? — სოკრატმა მოულოდნელად ჰკითხა.

გრამიტონს წარბიც არ შეუხრია, არც დაფიქრებულა, თამამად უპასუხა: — ისე ავაწყობ საქმეს, მეტიჩრებმა ხმა ვერ ამოიღონ; თქვენ კი ყოველთვის ჩემი კმაყოფილი იქნებით.

— თავმჯდომარის წირვა გამოსულია. ახლა ზაალ დიმიტრიჩთან მიგიყვან და ორ-სამ დღეში თავმჯდომარედ გამოგაცხობთ, — სოკრატმა ღიმილით თქვა და ფეხზე ადგა...

სოფელში ხმა გავარდა, ფიფო ნადაშვილს ხსნიანო. ახალ თავმჯდომარის კანდიდატურაზე კი ათასი ჭორი დადიოდა. ვიღაცამ თქვა, გრამიტონას უპირებენ თავმჯდომარეობასო. სიცილად არ ეყოთ, ეგ მექათმეობაში მეწიწილედაც არ ივარგებს, ფერმის გამგეობა კი დიდი სირცხვილი იყოო.

სოკრატმა კარგად იცოდა, რომ გრამიტონის კანდიდატურა დიდ გაკვირვებას გამოიწვევდა, ამიტომ ჯერ კოლმეურნეობის აქტივთან ჩაატარა თათბირი. გრამიტონის კანდიდატურა ყველას ხუმრობა ეგონა, ახარხარდნენ. მაგრამ სოკრატი ფეხზე რომ ადგა და ყვირილით სიწყნარე მოითხოვა, ერთბაშად გაშტერდნენ. გრამიტონი სოკრატის გვერდით იდგა და ისეთი თავხედური გამომეტყველება ჰქონდა, თავი უკვე თავმჯდომარე ეგონა.

— ხუმრობა ცალკე იყოს და ლუკა ხუციშვილის თავმჯდომარეობა ძალიან წაადგებოდა ჩვენს გაჭირვებას, — ვიღაცამ თქვა და ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

— ვინ? გიჟი აგრონომი რომ გყავთ? ის მაიდანაც გასაგდებია! — სოკრატი გაბრაზდა.

— თუ ჩვენ გვეკითხებით, სოფელში კი არა რაიონშიც გაგიჭირდებათ მაგნაირი კარგი მუშაკის მოძებნა, — შეეპასუხნენ.

— თქვენ იმიტომ შეგკრიბეთ, რომ ხალხი დაარწმუნოთ გრამიტონას მხარდაჭერაში. ეს რას ჰგავს?! ყველას რაღაც თანამდებობა გიკავიათ, იცოდეთ, დაგფერთხავთ! — სოკრატმა ცოფი ყარა.

— ჩვენ თუნდაც გავჩუმდეთ, ხალხს რას ეტყვით; გრამიტონას შედარება ლუკასთან შეიძლება?! — აყაყანდნენ.

სოკრატი ჩაფიქრდა, საქმე სერიოზულად შეიძლება გართულებულიყო; თუ რამეს არ იღონებდა, გრამიტონის თავმჯდომარეთ გაყვანა შეიძლება გართულებულიყო.

— აბა, ის ხუციშვილი სად არის, გამოვიდეს, გვითხრას რა შეუძლია! — სოკრატი მოსასმენად მოემზადა. — შეძლებს თუ არა თავმჯდომარეობას.

— ის ვერ შეძლებს და გრამიტონა შეძლებს! — ვიღაცამ წამოიძახა და ყველა ახარხარდა.

— აქ არ არის, ბებია ჰყავს ავად, — ვიღაცამ თქვა.

— ვის რად უნდა ასეთი უდისციპლინო, სამუშაოზე რომ არ ცხადდება! — სოკრატი გაბრაზდა — რატო პარტიულ სასჯელს არ დაადებთ მაგ თავხედს!

— პარტიის წევრი არ არის, — უპასუხეს.

— აბა, თქვენ უნდა გენდოთ? უპარტიოს თავმჯდომარედ რომ გვთავაწობთ, არა გრცხვენიათ?!

— მერე რა მოხდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, პარტორგი ხომ არა, — უპასუხეს.

— გაფრთხილებთ, თქვენგან ზოგი სხვანაირი სარჩელით არ დაისაჯოს! — დაიმუქრა სოკრატი და ლუკას ხსენება აკრძალა.

მეორე დღეს კოლმეურნეთა დელეგაცია ლუკას ესტუმრა,

რომელსაც რაიონული აქტივის კრების შემდეგ მუშაობის სურვილი აღარ ჰქონდა და გულაცრუებული იყო.

ლუკას მოუყვნენ რაიონიდან გრამიტონის თავმჯდომარის კანდიდატად წამოყენების შესახებ და საოცრად გაკვირვებულები სთხოვდნენ, თავმჯდომარედ შენი არჩევა გვინდა და უარი არ გვითხრა, თორე გრამიტონა ყუაზე გაგვიყვანს, დაგვღუპავსო.

— გრამიტონი კი არა, რაიონის ხელმძღვანელები ღუპავენ იმას, რასაც მაგათი მაგია სწვდება. გრამიტონას თავმჯდომარედ დაყენების მსურველს რა უნდა აინტერესებდეს, თუ არა თავისი ეგოისტური, მომხვეჭელური გაუმაძღრობა ხალხის და ქვეყნის დაკნინების ხარჯზე, საზოგადოების ნაძირალა, სარეველა ავკაცობა ჩვენი ცხოვრების ყველა დონეზეა მომრავლებული. ეს განსაკუთრებით საშიშია, როცა მაღალ ეშელონებში არიან გამძვრალი ამგვარი პარაზიტები. ამიტომ საჭიროა ამ უბედურების სისტემატური მარგვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის კეთილდღეობის იდეის დაღუპვა გარდაუვალია; ამას დღეს ასე ცხადად ვერ ვამჩნევთ, ხვალ და ზეგ კი საქმის გამოსწორება შეუძლებელი იქნება. რაც შეეხება ჩემს თავმჯდომარეობას, ეს ყოვლად შეუძლებელია, რადგან ჩემი ხელით ხალხის ძარცვას ვერ შესძლებენ და ამ ბრძოლაში ისევ ხალხი დაზარალდება. კიდევ ის, რომ უპარტიო კაცს თავმჯდომარედ არ გაუშვებენ. მე კიდევ იმ პარტიაში შემსვლელი არა ვარ, სადაც მხოლოდ იმიტომ შედიან, რომ თბილ ადგილზე მოყუჩდნენ, და ხალხი ძარცვონ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვის ლოზუნგით. მაგ პარტიას პროგრამაში ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა უწერია, მაგრამ პარაზიტები, კარიერისტები, დემაგოგები, მომხვეჭელები და ათასი ზნედაცემულია ამჟამად შიგ შემძვრალი, რომელთაგან მხოლოდ უბედურებაა მოსალოდნელი. მე კი სადაც ვიქნები, იქიდან გავაგრძელებ სარეველების მარგვლას, რადგან სხვანაირად ცხოვრება არ შემიძლია.

ლუკას აზრის გამოთქმის შემდეგ მის გადარწმუნების მცდელობა წარმოუდგენელი იყო. მას თავმჯდომარეობა კი არა, პატიოსანი შრომით საერთო კეთილდღეობის მიღწევა სურდა, რასაც

რაიონის უკუღმართი თავკაცები არ დაუშვებდნენ და არც ლუკას თავმჯდომარეობას შეურიგდებოდნენ.

ამის შემდეგ ყველამ ჩაიქნია ხელი. ბრძოლას თავიანთი წილი ცხიმიანი ლუკმის შენარჩუნება ამჯობინეს და სოკრატსაც არ გასჭირებია გრამიტონის თავმჯდომარედ კურთხევა. საერთო კრებად წოდებული ერთი მუჭა აქტივისტების შეკრებაზე...

ლუკას ბებიამ გრამიტონის გათავმჯდომარების შემდეგ სამი თვე კიდევ იცოცხლა; მის გამოფიტულ სხეულს კიდევ შემორჩა ამის ძალა, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და მანაც დაასრულა ამქვეყნიურ უკუღმართობასთან ჭიდილი. ახლა სახლის კუთხეში მდგარ ლუკას ჯგუფ-ჯგუფად მოსული თანასოფლელები უსამძიმრებდნენ.

ფიფო ნადაშვილმა როგორც გაიგო ბაბოს გარდაცვალების შესახებ, მაშინვე ლუკასთან გამოცხადდა და დაკრძალვის ორგანიზაციას მოჰკიდა ხელი. ლუკას მეგობრებიც მოგროვდნენ და აღარ სცილდებოდნენ.

კლარამ ეს ამბავი გვიან გაიგო. თბილისში იყო და ბოლო დროს სამსახურის გარდა არვის აღარ ეკარებოდა. პანაშვიდზე მარტო მივიდა; ავტობუსიდან ჩამოსვლისთანავე ლუკას ბინისკენ გაემართა. ტიროდა კლარა, გული ტირილს ითხოვდა და ისაც ტიროდა, ყველა გადმოვარდნილ ცრემლს შვებად გრძნობდა. თავის ბედს და უიმედო სიყვარულს დასტიროდა; თან გრძნობდა, რომ მისი მოთქმა ესმოდა ლუკას და ეს სიამოვნებდა.

მარინე ახალი მოსული იყო, თავის კომკავშირელ კოლეგასთან ერთად განმარტოვებით იდგა და რაღაცაზე მკაცრი გამომეტყველებით ესაუბრებოდა. ოთახში არ შესულა, თავისი დედ-მამის მონახულების შემდეგ გამოიარა და მალევე უკან გაბრუნებას აპირებდა; მანქანაც უცდიდა.

პანაშვიდი დაწყებული იყო, შალვა შიოშვილი რომ გამოცხადდა იუსტიციის მუშაკის ფორმაში გამოწყობილი, თუმცა ღიპი და სიმსუქნე მის საზეიმო ჩაცმულობას პეწს უკარგავდა; თან სამი კაციც ახლდა. ლუკასთან გაჭიმული მივიდა, აქეთ-იქით იყურე-

ბოდა, თითქოს ამბობდა, შემომხედეთ, როგორი ბიჭი ვარო; ლუკას ხელი ჩამოართვა და მისი თანმხლებლები გააცნო: — ეს სამმართველოდან არის, ჯიგარი ბიჭია, პურმარილიანი და მაგარი საქმის ჩამწყობი, — ერთზე ყურში უთხრა. — ეს კოლეგაა მეზობელი რაიონიდან; მაგასთან კაცი რომ მოკლა, არ გაგცემს; ეს კი მაგარი შანსიანი ბიჭია, სადაც გინდა, როგორიც გინდა ისეთ პურმარილს გაგიშლის, ჩიტის რძეც იქნება. დღესაც დილიდან ვსვამთ; სულ ისეთი ბიჭები ვიყავით, რომ ხომ იცი... ჰოდა, ახლა შენთან ვართ.

ლუკამ განურჩეველი მზერა მიაპყრო, მერე სამძიმარისთვის მოსულ ახალ ჯგუფს მიუბრუნდა.

შალვამ ხალხს მედიდურად გადახედა. მარინეს მოჰკრა თვალი, დობილთან შუბლშეკრული რომ იდგა და თავისი ამალით მასთან მივიდა.

— მარინეს სიცოცხლე! — შალვა შორიდანვე ხელებგაშვერილი წავიდა მისკენ. ერთმანეთი გადაკოცნეს და, გაცნობის ცერემონიის ჩატარების შემდეგ, გულითადი საუბარი გააბეს.

— გავიგე, მარინეს აწინაურებენო, რა კარგია! — მოსვლისთანავე მიაძახა.

— ეს რა დაწინაურებაა, მარინეს წინ უფრო დიდი საქმეები ელის, — აღნიშნა მისმა დობილმა.

— ჩვენც არ დაგვივიწყო, მარინე, შენი ერთი სიტყვა საკმარისი იქნება, პროკურორად რომ გავიქაჩო. მერე ნახე, ჩიტის რძეს არ მოგაკლებ, — საზეიმოდ უთხრა სიამოვნების ღიმილიან მარინეს.

— ეს შეხვედრა აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ; ახლავე წავალ და რესტორანში გავაფრთხილებ, — შალვას ერთმა მხლებელმა თავი გამოიდო.

— არ გინდა, პანაშვიდის დამთავრებისთანავე თბილისში მივდივართ, მანქანა გველოდება; ხვალ მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს, — დიდი საქმეებით დამძიმებული ადამიანის ტონით თქვა მარინემ.

— აუ, რა მაგარია, ნახეთ, ბიჭებო, როგორი თანაკლასელი მეგობარი მყავს; ხვალ და ზეგ ყველა ამის წინ იკანკალებს! — შალვამ სიხარულით თქვა.

ხმაურიანი საუბარი, მხიარული შეძახილები და სიცილი პანაშვიდის დამთავრებამდე გააგრძელეს; მერე კი ლუკას ხელის ქნევით გამოემშვიდობნენ. მარინემ ლუკას ხელი ჩამოართვა, სინანული გამოთქვა დაკრძალვას რომ ვერ დაესწრებოდა და თავისი დობილით მანქანისკენ გაემართა; ლუკა დამცინავი ღიმილით მიაცილებდა.

— ეხ, მაგ გოგოს განდიდების მანიით დაავადებული ჭია ჩასძორომია სულში. მაგნაირები აღარც ოჯახისთვის და არც საქმისათვის აღარ ვარგანან; სანამ კომკავშირული ყალბ ფაფხუნში მიქელგაბრიელს ქალიშვილებად არ ჩაბარდებიან — სინანულით თქვა ზაურმა და უიმედოდ ჩაიქნია ხელი...

ფიფო ნადაშვილი ზაურს, დათოს, ნიკოს, ჯაგარას და ათიოდე სხვა ბიჭს დავალებებს აძლევდა: — ბიჭებო, თითქმის ყველაფერი მზადა გვაქვს, მარტო ხვალ დილაზე ერთი მოზვერი და ჭედილა დაგვჭირდება.

— მოვიკითხავთ, ვის ყავს და ვიყიდით, — თქვა ზაურმა.

— იქნებ გრამიტონამ გამოგვიწეროს, თუ არადა მე მყავს; შენ ყოველშემთხვევაში საღამოზე შეუარე, — ფიფომ ზაურს დაავალა.

— ჯერ აქ არ მოსულა, იქნებ შემოიაროს, აქ ვეტყვი. თუ არადა თავი გავანებოთ, ვიყიდი და ეგ იქნება! — ზაური აღელდა;

— მე რასაც გეუბნები, ის გააკეთე, თორე მოზვერიც მყავს და ჭედილაც, ჩათვალეთ, რომ ხვალ დილით ადრე აქ იქნება, — შეუბღვირა ფიფომ.

— გასაგებია, ფიფო ძია, — თქვა ზაურმა და გრამიტონთან საღამოთი მისვლა გადაწყვიტა.

გრამიტონი პანაშვიდზე არ მოსულა. ზაურს მასთან მისვლა ძალიანაც არ უნდოდა, მაგრამ ფიფოს დავალების შეუსრულებლობა არ იკადრა.

საღამოთი, თავისი სურვილი საწინააღმდეგოდ, ჩაფიქრებ-

ულმა მძიმედ შეაღო გრამიტონის კაბინეტის კარები.

გრამიტონმა, როგორც დაინახა ზაური, საქმიანი კაცის სახე მიღო, მაშინვე ტელეფონის ყურმილს მისწვდა და დარეკვა დაიწყო. ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა, ერთში ყურმილი ეჭირა, მეორეთი ნომერს კრეფდა.

— გამარჯობა, გრამიტონ! — ზაური მიესალმა და მის მაგიდის წინ სკამზე ჩამოჯდა.

გრამიტონმა უხმოდ ბატონკაცურად, მუშაობისგან გადაღლილი კაცის იერით, ნელა დაუქნია თავი.

— სოკრატ გიგაევიჩი მინდა! — როგორც იყო გავიდა ხაზზე. — გამარჯობა, სოკრატ გიგაევიჩ! გრამიტონა ვარ... ჩემთან რეკავდით?... რა დავალება გაქვთ?... თქვენი სიდედრის დედა გარდაიცვალა?... გასაგებია... ერთი მოზვერი, — გრამიტონმა სასწრაფოდ აიღო კალამი და კალენდარზე წერა დაიწყო: — ერთი ჭედილა, — დანარჩენსაც გაუგებრად დუდუნებდა... კაჭრეთში?... ორ დღეში იქ იქნება... საქმეები კარგად არის... იმას? — გრამიტონმა ხმას დაუწია, — მალე მოვუვლი... რაზე ვრეკავდი? მოგიკითხე... არა, არაფერი არ მინდა... კარგად იყავი, — ყურმილი დადო.

— ვა, რამხელა კაცი გამხდარხარ, გრამიტონ, პირდაპირ მიკვირს, შენ ვინ ყოფილხარ! — შეაქო ზაურმა და თან დაუმატა: — ბიჭო, ლუკას ბებია რომ გარდაიცვალა არ გაგიგია:

— გავიგე, მაგრამ შენ თვითონ ხომ ნახე, რა დღეში ვარ, ერთი წუთით მოცლა არა მაქვს, — გრამიტონმა ხელები გაშალა და ამოიხვნეშა.

— შენი ენერგიის პატრონს რა გაგიჭირდება, — ზაურმა გააქეზა, — მოზვერი და ჭედილა მინდა ლუკას ბაბოს ქელეხისათვის. აქეთ მომიწია გამოვლა და შემოგიარე, რომ არ გამოჩნდი, მეგონა, ხომ არ მოკვდა-მეთქი, ისე როგორა გაქვს საქმე, ჯერ არ კვდები? ხალხი კი მაგრად აგიყვანია ხელში, შენი შიშით კანკალებენ, — ზაურს გაბღენძილ გრამიტონის გამასხარავების სურვილი შეუჩნდა.

— გრამიტონ ქარუმიჩს მეძახიან, იგრე მაგრა მიჭირავს თავი,

სულ ფეხის ფრჩხილებზე შემოდიან აქ, – გრამიტონი ტრაბახის ხასიათზე დადგა.

– მაგარი ხარ, გრამიტონ, ეგრე უნდა დაიჭირო თავი, თორემ, ხომ იცი, შეიძლება ზოგმა ყბაცოც კი დაგიძახოს. ჰო, მართლა ყბაცოს ხომ არ გეძახიან? – შეშფოთებული კაცის ტონით ჰკითხა:

– ყბაცო კი არა! – გრამიტონს ბრაზისაგან ლოყებზე სიწითლემ აურბინა.

– მე გაფრთხილებ, მაგრად უნდა იდგე, თორემ შეიძლება დაგისტვინონ. მართლა, გრამიტონ, მოზვერი და ჭედილა სად შეიძლება ვიშოვნო? ხვალ ლუკას ბაბოს დაკრძალვაა და... – ზაურმა გაჭირვებული კაცის სახით შეხედა.

– ძალიან ძნელი საქმეა! – შეიცხადა გრამიტონმა.

– გარეთ ბიჭები ლაპარაკობდნენ, გრამიტონას თანაკლასელიც რომ არ იყოს, კარგი აგრონომია და გრამიტონას რომც არ უნდოდეს, გამოწერა ეკუთვნისო, – სხვათაშორის თქვა.

– მაგას ვეღარავინ ეღირსება, განადგურდა, ძმაო, პირუტყვი; მე აქ წესრიგი თუ არ დავამყარე, ვინ გამაჩერებს, განა ამხელა ნდობა ტყუილად გამომიცხადეს. ადრე რაც ხდებოდა, მორჩა, ხელი იგრე მოვუჭირე, კოლექტივიდან მარცვალს ვეღარავინ წაიღებს! – გრამიტონმა მოკუმული მუჭა წინ გამოსწია.

– აბა, მუჭა გაშალე, – ზაურმა გაკვირვებულმა უთხრა.

გრამიტონმა გაშლილი მუჭა აჩვენა.

– ვა, ეს როგორი თითები გქონია, გრამიტონ, ადრეც ეგეთი გქონდა?

– ჰო, აბა რა, – გრამიტონს ეგონა, ჩემი თითები მოეწონაო.

– ძროხა რომ გვყავდა, ხალიანი გახსოვს? შენი თითები იმის ცურებს მაგონებს. აბა, ხელი მოუჭირე, რძე ხომ არ გამოგდის; ყოველ შემთხვევაში ცინგლით მაინც გარანტირებული ხარ, – ზაური გრამიტონს თითებზე წაეტანა.

– მამასხარავებ? – გრამიტონი აიმრიზა.

— შენ რა გამასხარავება გამოგასწორებს, თავიდან ფეხებამდე მასხარა ხარ. უტვინო! ახლა რაც ამ ხელისუფლებას ცინგლი და წუხწუხი დაუგროვებია სულ შენი ცარიელი თავი აითვისებს. ბიჭო, ადამიანი რით აზროვნებს, თუ იცი? — უცებ ჰკითხა.

— ვიცი, აბა, არ ვიცი? ტვინით.

— ზოგი მართლა ტვინით აზროვნებს, ზოგი თითებით, აი, შენ რომ გაქვს, ასეთ კაცს ტვინი რად უნდა. თხუნელა გინახია? თავისკენ რომ ფხოჭავს; ეჩოც ხომ იცი, დურგლების ხელსაწყოა, ისიც თავისკენ ითლის.

— ეგრეა, ვიცი, როგორ არ ვიცი.

— აბა, თუ იცი, შენ რით აზროვნებ?

— ეგ არ მეცოდინება?

— იცი? ზოგი კუჭით აზროვნებს, ზოგი — თითებით, ზოგი — ბრმა ნაწლავით, ზოგი — სწორი ნაწოავით, ზოგი — შარდის ბუშტით; ზოგი კიდევ თავისი დედის უკანალით! — ზაურმა ხმას აუწია: — დიდი არაფერი მოსწავლე იყავი, მაგრამ ეს მაინც უნდა გცოდნოდა.

— რა, არ ვიცი?

— თუ იცი, მაშინ მითხარი, რით აზროვნებ?

— ყველაფრით.

— შე ძალათ განათლებულო, დედაშენის უკანალი მაინც მოასვენე; იმას თავისი საქმე ყელამდე აქვს. შარდის ბუშტით და, მაგრად გაძღომის შემდეგ, ამონათხევით რამდენიც გინდა იაზროვნე. ჰო, მართლა, ადრე ორ ჭიქაზე გული გერეოდა, მომენტებში შარდიც გეპარებოდა ხოლმე; ჩასველების შემდეგ შენს უფროსებს რა ხასიათზე აყენებ?

— მამასხარავებ?

— შენ რა გამასხარავება გინდა, შე მაწაუკო! ერთი რომ ჩაგცხო, წურწურით გაგივა! ახლაც შარდში ზიხარ, შე განავალო! — ზაურმა ფოცხვერის რისხვა დააკვესა თვალებიდან. გრამიტონს ცოტაღა აკლდა დაეყვირა, მიშველეთო. — იმას რა ჰტვია, ახლა რომ ურეკავდი? ვეღარ გავიხსენე, — ზაური კალენდარს მისწვდა, თა-

ვისკენ მიიცურა და ხმამაღლა წაიკითხა: — ერთი მოზვერი, ორი ჭედილა, ათი გოჭი, სამოცი ქათამი. სოკრატ გიგაევიჩის სიდედრის დედის ქელეხისათვის კაჭრეთში ორ დღეში უნდა იყოს. სწორი ნაწლავით ნააზრევსა ჰგავს. თუმცა არა, საწყობში შემძვრალი ვირთხის აზროვნება გაქვს, შე უღდეურო! — ზაურმა შუბლზე ხელის გული მიარტყა. — ბიჭო, მამაშენს, რაც თავი მახსოვს, სულ ერთი ყურედბაჭრილი ვირი ჰყავს. იცი, იმ ვირს ყურები რატომ დააჭრეს? სხვის ბოსტანში გადავიდა, სათუთად მოვლილი ნათესები მოკორტნა და გააოხრა! — ზაური ფეხზე ადგა, გრამიტონს დამცინავი ღიმილით შეხედა. — ყბაცო, დიდყურა შენთან შედარებით კეთილშობილი ცხოველია, ფრთხილად იყავი, მამაშენის ვირის ბედი სანატრელი არ გაგიხდეს! — კაბინეტიდან გავიდა და კარები ისე მიხურა, მდივან გოგოს ეგონა, გულითადი საუბარი ჰქონდათო.

იმ საღამოთვე ზაური ლუკასთან მივიდა და გულისტკივილით მოუყვა გრამიტონთან რაც მოხდა.

— გასკვირი ის კი არ არის, გრამიტონა რა სამარცხვინო სისულელეს ჩაიდენს, ან ხალხის ქონებას როგორ მიითვისებს, ან რომელი ქარის ქროლვას გაატანს, გასაკვირი და სავალალო ის არის, რომ მთელ ქვეყანას საშინელი დაავადება აქვს გაჩენილი, ეს დაავადებაა ხელისუფლების ყველა დონეზე ხალხის ინტერესების საკუთარ კეთილდღეობაზე გადამაცვლელი, უნიჭო, დემაგოგი, კარიერისტი, მომხვეჭელი არამზადების გაძრომა, ხალხზე ზრუნვის ლოზუნგს ამოფარებულები სიკეთეს და კეთილდღეობას რომ სპობენ და სარეველასავით თავიანთ მსგავსებს ამრავლებენ; გრამიტონიც სწორედ ის პარაზიტია, რომელთა მოდგმაც ქვეყანას პანდემიასავით მოსდებია. მაგათ არც რწმენა, არც სინდისი და ნამუსი, არც ზნეობა არა აქვთ. სწორი იყო დიმიტრი დავარაშვილი, საშიში დაავადების ნიშნები სახეზეა. ეგენი მოუღებენ ბოლოს ყველაწმინდას და სასიკეთოს, — დაასკვნა ლუკამ.

# სიყვარულით გზააბნეული

ლუკას ბაბოს დაკრძალვას მარინე არ დაესწრო. კომკავშირული კრება ჰქონდათ, სადაც პრეზიდიუმში უნდა მჯდარიყო, თანაც ლუკაში ის მიმზიდველობა აღარ ბრწყინავდა, რაც მას ესოდენ ხიბლავდა. ეკადრებოდა კი წარმატებულ კომკავშირულ მოღვაწეს ლუკას მსგავსი, სოფლის ტალახში ჩაფლული აგრონომი; თანაც პარტიაზე ასეთი საშიში შეხედულების მატარებელი საქმრო?

კლარას დიაგნოზი მართლდებოდა, მარინე კერპთაყვანისმცემელი იყო, ლუკას კი კერპის თვისებები დაკარგული ჰქონდა. ამ მხრივ გრამიტონი უფრო ამაღლებული იყო მის თვალში, რომელიც ავტომობილით დასეირნობდა, ლუკა კი მისი ქვეშევრდომი იყო. ვაი, სირცხვილო, გრამიტონზე პატარა კაცი მისი საქმროა! მარინესათვის, როგორც ყველა მისი მსგავსი კომავაშირის ხმაურიან, ფუჭ პომპეზურობას აყოლილ, კარიერიზმის ბაცილით დაავადებულ ახალგაზრდისათვის, დიდკაცობის საზომი დაკავებული სკამის სიმაღლე იყო. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ლუკა მის შეგნებაში თანდათან ხუნდებოდა. თუმცა აღარც ლუკას აინტერესებდა მისი პიროვნება; მხოლოდ ერთხელ მიცემული ფიცის ერთგული, სხვა საცოლეზე ფიქრს ახლოს არ იკარებდა, ღალატად რომ არ ჩასთვლოდა.

საღამო იყო. ციოდა. სოფლელებს ზამთრის დასახვედრად სამზადისი დაემთავრებინათ და ახლა ყველა თბილ ღუმელთან ყოფნას არჩევდა.

ლუკას სახლში შესვლა არ უნდოდა. „ნეტავ კი ვინმე მოსულიყო“, ინატრა. „იქნებ მე წავიდე სადმე?“ – გადაიფიქრა, შეწუხდებიანო. მარტო ყოფნა არ უნდოდა, ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა; ეზოში სიარული დაიწყო. „იქნებ თბილისში წავიდე, მარინე ვნახო და იქიდან ერთად წამოვიდეთ. რა სულელური აზრები მომდის, მარინეს სოფლის გახსენებაზე ალერგია ემართება“, – თავის თავს შეედავა.

ეზოში ვიღაც დაძახების გარეშე შევიდა. ბინდბუნდში ვერ

გაარჩია, ვინ იყო. ქალი მისკენ თამამად მიდიოდა. „კლარა, რაშია საქმე, ხომ არაფერი უჭირს?“ — შეშფოთდა.

— გამარჯობა, ლუკა! გაგიკვირდა არა? ალბათ ვერაფრით წარმოიდგენდი ჩემს სტუმრობას, — კლარამ ხელი ჩამოართვა, მერე ორივე ხელით კისერზე მოეხვია და მხურვალედ აკოცა მისი გამოჩენით დაბნეულ ლუკას.

— ვნატრობდი, ვინმე მოსულიყო, ოღონდ რამდენიც არ უნდა მეფიქრა, ახლა შენ სტუმრობას ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი; რომ იცოდე, რამხელაზე გამახარე! მინდოდა, ვინმეს დავლაპარაკებოდი. არადა ვიცოდი, ამ დროს მხოლოდ სასწაულს შეეძლო ჩემი ნატვრის ახდენა, — ლუკამ ხელები გაშალა და კლარა მკერდში ჩაიკრა. — კლარა სახლში შევიდეთ, ახლავე ავანთებ ღუმელს, ან იქნებ რამეა საჭირო, რომ ვერ გკითხე!

— არაფერი არაა საჭირო, რატომღაც შენი ნახვა მომინდა და მოვედი. გული საშინლადა მაქვს დამძიმებული. სახლში ვიჯექი, დედა და მამა ნათესავებთანი არიან წასულები. მარტო ყოფნამ შემაწუხა, შენი ნახვა მომინდა, უფრო სწორედ, შენი დანახვა მომენატრა; ახლა შემიძლია, სახლში წავიდე და ბედს სამდურავი არ ვუთხრა, — კლარამ წასვლა დააპირა.

— მოიცა, კლარა, გაგაცილებ.

— ამ ბედნიერებას კი აღარ მოველოდი! — კლარას გაუხარდა, ლუკას ხელი გამოსდო და ალაყაფის კარებისკენ გაემართნენ. — მოდი, ლუკა, ცოტა ხანს ვისეირნოთ, სახლში მისვლა არ მინდა.

— ვისეირნოთ, მეც ეს მინდა, — ლუკას გაუხარდა, მარტოდ ყოფნისგან თავის დახსნის საშუალება რომ მიეცა.

— ჯერ სახლში გამაცილე, მერე მოვიფიქროთ რამე, — კლარა მისთვის დამახასიათებელ მხიარულ გოგოდ იქცა.

— წავიდეთ, შენს განკარგულებაში ვარ, — ლუკა და კლარა ბნელ ორღობეში გაუჩინარდნენ.

— ლუკა, იცი რა გადავწყვიტე? — უცებ თქვა კლარამ.

— რა გადაწყვიტე?

— რადგან შენი სიყვარულის ღირსი არ გავხდი, გეფიცები

თუ ნაწყენი ვიყო, მე შენი ღირსი არა ვარ, ისეთ კაცს უნდა გავყვე, რომელიც მხოლოდ სიძულვილს იწვევს და მის სიყვარულს ვერაფრით ვერ შევძლებ, რომ შენს მიმართ ჩემი ნაზი გრძნობა არაფრით არ დაიჩრდილოს; მოკლედ, ლორწოიანი არაკაცი და ლაჩარი პირუტყვი უნდა მოვძებნო.

— შენ კარგად იცი, რომ ძალიან მიყვარხარ და მზადა ვარ შენთვის არაფერი არ დავზოგო; განა ეს ცოტაა? ნამდვილი სიყვარულის ღირსი კი ხარ და ამიტომ ღირსეულ ვაჟკაცს უნდა გაყვე. ეგ რომ ჩაიდინო, პირველ რიგში მე მეტკინება გული, ძალიან მეტკინება! — ლუკა შეშფოთდა.

— მართლა ძალიან გეტკინება? — კლარამ აღფრთოვანებით ჰკითხა.

— გეფიცები, თუ ჩემი რამე გწამს, შენს ყოველ ავკარგს ისე განვიცდი, როგორც შეუძლია ადამიანს, რომელსაც ჩემსავით უყვარხარ.

— გიყვარვარ, ლუკა?

— მე ეს პირველად არ მითქვია, მიყვარხარ, როგორც სრულიად განსხვავებული გრძნობების მეგობარი და განა შეიძლება შენი ეს თვისებები არ დავაფასო?!

— ლუკა, თავი რომ მოვიკლა, რას იზამ?

— შენ თუ ამხელაზე გძულვარ, რომ ისეთი მეგობარი მომიკლა, როგორიცა ხარ, რაზე მოდიოდი ჩემთან?! — ლუკამ შუბლი შეიკრა.

კლარამ ფეხის წვერებზე აიწია და ლოყაზე აკოცა.

— არა, ლუკა, ამას არ ვიზამ, მაგრამ ისეთ რამეს ჩავიდენ, რომ შეგებრალო.

ამ საუბრით მიმავალთ უკნიდან მანქანა წამოეწიათ, მისი ფარების შუქზე გვერდზე მიდგნენ; მანქანამ ჩაუქროლათ.

— გრამიტონა იცანი, ლუკა?

— ვიცანი.

— წამოდი, იმისი სახლისაკენ გავიაროთ.

— წავიდეთ.

გრამიტონის სახლისაკენ მიმავალ ორღობეში შეუხვიეს, საუბრით მიდიოდნენ.

— რამხელა სახლი აუშენებია გრამიტონას! — კლარას გაუკვირდა.

— შრომობს კაცი, — ლუკას გაეღიმა. — იცი, კლარა, ჩვენთან ზაზა მასწავლებელი რომ იყო, ერთხელ თბილისში შემხვდა. — ლუკამ მოულოდნელად წამოიწყო.

კლარას მისი გახსენება არ ესიამოვნა ახლა, ამ ბედნიერ საღამოს, როცა ლუკასთან ასე განმარტოებით, მხოლოდ სანატრელი ოცნებების თანხლებით სეირნობდა.

— რაო? — შეშფოთებულმა ჰკითხა.

— ძალიან გამოცვლილია, ცოლი არ შეურთავს, სულ შენზე ფიქრობს თურმე; კლარა ჩემი ერთადერთი იმედიაო, თქვა.

— ამის მოყოლა რაში დაგჭირდა, ლუკა?

— უცებ გამახსენდა და... — ლუკა ცოტა ხანს ჩუმად იყო, მერე გააგრძელა: — იცი, კლარა, როგორ უყვარხარ? თურმე დღე და ღამე შენზე ოცნებობს; თანაგრძნობის იმედი არა აქვს, თორემ აქამდე მოგძებნიდა.

— მაგ ადამიანმა მომისპო იმის უფლება, რომ შენი ნამდვილი სიყვარულის პრეტენზია მქონოდა; თუმცა ყველაფერი ჩემი ბრალია. — კლარამ ცრემლები მოიწმინდა.

ლუკას ხმა არ ამოუღია. ჩუმად იარეს. ღამის მყუდროებაში მხოლოდ მათი ფეხის ხმა ისმოდა. გრამიტონის სახლს დიდი მანძილით გასცდნენ.

უცებ კლარა შეჩერდა: — ლუკა, მეჩვენება, რომ ვიღაც მოგვდევს, — უთხრა.

— ასეა, კარგა ხანია მოგვდევს, — სოფლის ბოლომდე გავიდეთ და მერე მოვბრუნდეთ. თუ ჩვენ მოგვდევს, ასე უფრო კარგად გაირკვევა, — დინჯად უპასუხა ლუკამ.

— ხომ არ მოვბრუნებულიყავით? — კლარას ხმაში შიში გამოკრთა.

— რა მნიშვნელობა აქვს, ახლა ყველგან ერთია, ადამიანები

არც აქ არიან და არც სოფლის ბოლოს, ჩვენ ხომ ვსეირნობთ, ვიღაც რომ უთვალთვალებლათ, ლუკამ გახსენების ღირსადაც არ ჩათვალა. მის გვერდით კლარას შიში სულ გაუქრა, ორივე ხელით მოეხვია მკლავზე და მაგრად მიეკრა.

სოფლის ბოლოს კაკლის ხეები იდგა, იმას იქით კი ვრცელი მინდორი იწყებოდა. კაკლის ხეებს გასცდნენ. ლუკა უცებ ფოცხ-ვერივით შეიმართა. — კლარა, ადგილზე დარჩი, ახლავე მოვალ! — ესა თქვა და რამდენიმე ნახტომით განაპირა კაკლის ხესთან გაჩნდა. ვიღაცამ გაქცევა სცადა. ლუკამ ზურგში დაარტყა ხელი; უცნობი მიწაზე გაიშხლართა. კლარა უკვე ლუკას გვერდით იდგა. უცნობი წამოდგომას ცდილობდა, როგორც იყო მუხლებზე წამოი-წია. ლუკამ მხრბში დასტაცა ხელი, მაღლა ასწია და მტვრიანი ჯეჯიმივით რამდენიმეჯერ დააბერტყა.

— ვაიმე! — უცნობმა ამოიხრიალა.

გაკვირვებულმა კლარამ თავისკენ შეაბრუნა: — აქ რას აკეთებ, გრამიტონ? — გაოგნებული შეანჯღრია.

— ბიჭო, ღამე მაინც მოისვენე, ასე შეიძლება სოფლისთვის თავდადება?! — სიცილით უთხრა ლუკამ.

— ისე გაუხმეს ამას ცინგლიანი თავპირი! — კლარამ მელოტ თავზე სილა გაუტყლაშუნა.

— რა ვქნა, ყველაფერს გვავალებენ, დღე და ღამე არ ვის-ვენებ, სოფელს ვუვლი, რამე არ მოხდეს, — თავი იმართლა გრამიტონმა.

— შე დორბლიანო, ერთი ყარაული შენ თვითონ გჭირდება, რომ შიშის ბარტყები დაგიფრთხოს. გამოვიდა ხალხისთვის თავ-დადებული კაცი, სოფელზე ზრუნავს, ვაჟკაცობა შენ არა გაქვს და სინდისი; უცოდინარი, უტვინო, მლიქვნელი. ეტყობა ისეთ ნიადაგში ჩავარდი, სადაც შენისთანა ლაყე თესლი ხარობს და ნაყოფს ისხამს; ვაი იმას, ვისაც შენისთანა მყრალის გამოსხმული ნაყოფის გემოს გაგება მოუწევს! შენი კაცობა ვის გაუგონია, შე თავიდან ბოლომდე წუნწუხო! დაგვინახა და უკან გამოგვყვა ბილწი ჭორიკანა, მათხოვარი; ლუკას ბებიის დაკრძალვაზე მოს-

ვლა არ იკადრა, სოფელზე ზრუნავს ეს სოფლის ამომგდები; ვაი იმ სოფელს, რომელსაც შენისთანა გაუმაძღარი პარაზიტი ეყოლება თავკაცად! – კლარა გრამიტონს ეცა და სილაქების ტყლაშატყლუში აუტეხა; ლუკამ ძლივს მოაცალა.

– უკან გავბრუნდეთ, გრამიტონას სოფლის მყუდროების დაცვაში მივეხმაროთ, – ლუკამ კლარას ხელი მოჰკიდა; გრამიტონი ნაცემი ძაღლივით აედევნათ, თან თავის საქციელს ლანძღავდა, „რა ძალა მქონდა, რაზე ავედევნე, ლუკას რომ დავეხრჩვე, ვინ მიშველიდა? იძახე, მე თავჯდომარე ვარო; აქ მარტო საკუთარი მკლავის იმედზე უნდა იყო კაცი, ლუკას მუშტი კი ჩემს მტერს მოხვდეს. ერთად რომ მიდიოდნენ, დამაინტერესა. რას იზამდნენ, თითქოს არ ვიცოდე, რა ურთიერთობაში არიან. ეხ, კლარა არა ყოფილიდო, ფეხებზე დავიკიდებდი, მაგრამ რომ გამოვეკიდე, ამით რა შეიცვალა, ახლა წავლენ და ხელს ვინ შეუშლით! – ფიქრობდა გრამიტონი და კლარას ლანძღვაზე არ რეაგირებდა.

– ესაც გრამიტონას სახლი, შეხვალ, თუ სოფლის საყარაულოდ ისევ აგვედევნები? – სიცილით ჰკითხა ლუკამ.

– მოიცა, ლუკა, ამ ლორწოიანმა სახლში არ უნდა შეგვიპატიჟოს? – კლარამ გაიხუმრა.

გრამიტონი ფიქრიდან გამოერკვა: – შემიოდი რა, გეხვეწებით, ახალი ბინა მაინც დამილოცეთ; ყველაფერი მზადა მაქვს, არაფერზე არ შევწუხდები! – წინ გადაუდგათ.

– გაიგე, ლუკა? არ შევწუხდებიო? ეს სოფლის პარაზიტი, თუ შეწუხდება, ძალიან დაგვავალებს! შევიდეთ, თორემ დაიღალა ეს უბედური ჩვენ ზვერვით, – კლარამ გრამიტონს ხელი ჰკრა, თვითონ და ლუკა უკან მიჰყვნენ...

პირველი ჭიქა გრამიტონმა ასწია და თავისი ხელმძღვანელების სადღეგრძელო დალია.

– ეს რა სადღეგრძელო გისწავლია, ყბაცო, თავი ცარიელი გაქვს და ეგ შენი უფროსობა ყველა სახის ნაგვით გამოგიტენის, – დასცინა კლარამ. – შტერი რომ ხარ, ნუთუ ვერა ხვდებიან?!

— ჩვენი შეხვედრა სულ მშრომელებზე ზრუნვაა; სულ გეგ-მებზე და შესრულებაზე ვსაუბრობთ, — გრამიტონი ბატონკაცურად გაიჭიმა.

— ნახე, რა იოლია უტვინო კაცის გარობოტება? — კლარამ ლუკას მიმართა. — ამას და ამის ხელმძღვანელებს ხალხის ზრუნ-ვაზე ყბედობით კბილები შემოაცვდათ იმავე ხალხის ქონების ღრღნით.

— ხალხი უნდა დავაფასოთ, სულ იმაზე უნდა ვიზრუნოთ. მე, მაგალითად, ხალხზე ფიქრით ვიძინებ და ვიღვიძებ, — გრამი-ტონმა მომართული მარიონეტივით ჩააგალობა.

— ეს უდღეური, განა ადამიანად უნდა დაბადებულიყო? ხომ შეიძლებოდა ღორად, ან მაწანწალა ძაღლად დაბადებულიყო. ახლა კი რამხელა უბედურების მოტანა შეუძლია ადამიანთა იმ ნაწილისათვის, ვისაც ამის გაპირუტყვება სწვდება! — კლარა არ ისვენებდა.

— უბედურებაა, როცა უგნური, ბუნებით ვერაგი და ბოროტი ადამიანი რაღაც ძალაუფლების მპყრობელია. საშინელებაა, როცა ამგვარი უგუნურება ბოროტებაში და პირად გაუმაძღრობაში გადაზრდილი ხელისუფლების სათავეს დაეპატრონება, — გულისტ-კივილით აღნიშნა ლუკამ.

— სწორეა. გეთანხმები. მე საერთოდ ყველაფერში ვეთანხმები ლუკას; უგუნურობა უბედურებაა, აბა რა, — გრამიტონს ერთი მიზანი ჰქონდა მხოლოდ, როგორმე მოეგო ლუკას გული.

— კრეტინია ეს უბედური, ამის თავზე სახარების კითხვას აზრი არა აქვს, რადგან უთავოა, სხვისი ტვინით აზროვნებას კი უნამუსობა, არაკაცობა და გაპირუტყვება შეუძლია. თფუჰ, შე ბინძურო! — კლარამ კიდევ ერთხელ ჩაუთაქა თავში.

გრამიტონი კლარას ლანძღვა-გინებაზე არ რეაგირებდა. მარ-ტო თავში ჩარტყმის დროს ცდილობდა განზე გაეწია.

ქეიფი გაუგრძელდათ. გრამიტონი დათვრა. კლარას გრამიტო-ნის აბუჩად აგდება სიამოვნებას ანიჭებდა. ადგა, გრამიტონს ქვედა ჩანაზე მოჰკიდა ხელი: — აბა, გრამიტონ ეცადე, ზედა

კბილების შიგნით იქნება შესწიო, — მზრუნველი ტონით უთხრა. გრამიტონი ბევრს ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

— მე წაგიყვან ექიმთან, ოპერაციას გაგიკეთებს, ჩანას გაგისწორებს და ყბაცოს აღარ დაგიძახებენ — დაპირდა კლარა.

გრამიტონმა შეიფერა: — კარგი იქნება, კარგი! — სიხარულით დაეთანხმა.

— ამას რა მოვუხერხოთ, ამას! — კლარამ გრამიტონას ხელი აიღო, თითებს დახედა, მოკლე, სქელი, კუპატივით გაბერილი ისე ჰქონდა გაპარჭყული, მოღუნვას ვერ შესძლებსო იფიქრებდა კაცი. — ამას კი არაფერი ეშველება! — კლარამ მოტვლეპილ თავზე ხელი დაარტყა: გრამიტონმა რაღაც ჩაიდუდუნა. — ეს ის ტიპია, ლუკა, წელან რომ გითხარი; ამაზე უკეთესი კანდიდატურის მოძებნა გამიჭირდებოდა, — კლარა მთვრალი იყო.

— მე წავედი, — ლუკა ფეხზე ადგა. კლარა მიხვდა, რომ აწყენინა და რაღაც შვებისმაგვარი გრძნობა დაეუფლა.

— წადი, არავინ გიჭერს! გრამიტონ, შენ გამაცილებ! — გრამიტონი ფეხზე წამოდგა.

ლუკამ სინანულით გააქნია თავი და უკან მოუხედავად წავიდა.

თენდებოდა გრამიტონი კლარას რაცრაცით მისდევდა, თან ხელების ქნევით რაღაცას უყვებოდა; გზაში მანქანა წამოეწიათ, ჩასხდნენ და სოფლის ორღობეში გააქროლეს.

## დინების საწინააღმდეგო მოცურავე

ერთი წელი გავიდა რაც გრამიტონმა თავმჯდომარის მანტია მოირგო. ისეთ კომბინაციებს ატრიალებდა, ამგვარი საქმის ოსტატებს აოცებდა. არაფრის არ ერიდებოდა, ტრაბახობდა, რაიკომის მდივანი ჩემი ახლობელიაო. გრამიტონს კოლმეურნეობა საკუთარი მამული ეგონა. ერთი პრობლემა ჰქონდა მხოლოდ, ლუკასი სიკვდილივით ეშინოდა და სადაც ის ტრიალებდა კომბინაციაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ორჯერ გრამიტონს ისეთი ლექ-

ცია ჩაუტარა, რომ მის გახსენებაზე ენის ქვეშ ვალიდოლს იდებდა. სადაც კი მიუწვდებოდა ენის ტრიალი, ლუკას სთხრიდა, ოღონდ თან შიშით დნებოდა, ლუკამ არ გაიგოსო; იცოდა ყოველივე ეს ლუკამ და ისე არაფრად აგდებდა, როგორც გოშიას კუდის ქიცინით ენაგამოგდებულს მიპარვით კბენა რომ შეუძლია.

მარინესთან ურთიერთობა რაღაც უცნაურ, არასასიამოვნო მოვალეობის განცდას დაემსგავსა. ლუკას მარინესთან სიახლოვე სულაც არ იზიდავდა, რომელსაც ისეთი დაავადება შეჰყროდა ლუკას მსგავსი პატიოსანი, უბრალო და მშრომელი არაფრით არ სჭირდებოდა. მას თანამდებობით განებივრებული, ქარაფშუტა სიტყვების კორიანტელის პროდუქტი, ეგოისტი ბატონკაცები ხიბლავდა; ამიტომაც მისი და ლუკას გზები ერთმანეთს შორდებოდნენ.

ლუკას კლარასთან ყოფნა უფრო უხაროდა. მასთან გულახდილი, ალალი და უშუალო საუბარი ყოველთვის იზიდავდა, ვიდრე მარინესთან რაღაც იდუმალი ეჭვებით გაჯერებული, დაძაბული ურთიერთობა.

ლუკა სახლში იყო და წიგნს კითხულობდა. ზაური ესტუმრა. ეზოში დასხდნენ და პატარა სუფრასთან ტკბილად საუბრობდნენ.

— ამბობენ, მაგრამდ მოჰკიდაო საქმეს ხელი, თუ ეგრე გაგრძელდა, კოლმეურნეობისაგან მარტო რქები და ჩლიქები დარჩებაო, — ირონიულად თქვა ზაურმა,

— როგორ ფიქრობ, გრამიტონა ოინბაზობით კისერს რომ მოიტეხს, ვისი ბრალი იქნება, თუ იცი? — ჩაილაპარაკა ლუკამ.

— სანამ ეს ქვეყანა დიდ-პატარა ვირთხების ხელშია, გრამიტონას კისერს საფრთხე არ ემუქრება, რადგან ის და სხვა უამრავი მისი მსგავსი ამ უკუღმართი ცხოვრების ნაყოფია, — დაასკვნა ზაურმა.

— ამაზე მეც ხშირად ვფიქრობ, უკუღმართი ცხოვრების პირობებში გრამიტონების ზეობაა. ეგენი თავიანთ მსგავსებას ამრავლებენ და ავთვისებიანი მეტასტაზებივით არიან მოდებულები. როგორც დამპალი ვაწლი საღს ალპობს, თუ არ გადააგდე. უფრო

სწორედ კი ავთვისებიანი კიბოს მეტასტაზები არიან ჯანსაღ უჯრედებსაც რომ გადააჯიშებენ. ნორმალური ცხოვრება რომ ყოფილიყო გრამიტონა ამ კოლმეურნეობაში შიკრიკადაც არ ივარგებდა, ეგა და მაგის მსგავსები მხოლოდ საკუთარ ღვარძლსა და უვიცობას შემორჩებოდნენ და შხამის დათხევას ვერ შესძლებდნენ. გრამიტონას რომ ვაკვირდები, რატომღაც კალიგულა მახსენდება, შემზარავი შესახედავი ყოფილა: თხელი, წინ გადმოშლილი თმებით, გაფითრებული სახე, ველური თვალები, გამხდარი ბარძაყები და უზარმაზარი ტერფი. თუ ვინმეს განსაკუთრებით ლამაზ ქოჩორს დაუნახავდა, თავს სჭრიდა; ცხენისთვის მარმარილოს საჯინიბო და სპილოს ძვლის ბაგა ააშენა, ოქროს ნალები დააკრა, მერე სასახლე აუშენა, მსახურები დაუყენა, სტუმრები მოუწვია და ბოლოს კონსულადაც მოუნდომა დანიშვნა. იცოდნენ, ნახევრად შეშლილი რომ იყო, მაგრამ მაინც კარგა ხანს ითმენდნენ და თაყვანს სცემდნენ სულმდაბლურ შიშისა თუ მისი დემონური სიშმაგის გამო; ერთიც მონურ მორჩილებას იწვევს და მეორეც.

სენეკამ მასზე თქვა: — ბუნებამ კალიგულა იმიტომ შექმნა, რომ ეჩვენებინა, სანამდე შეიძლება მივიდეს უსაზღვრო გახრწნილება და ძალაუფლების ერთიანობა.

ახლა გრამიტონას მაყურებელმა შეიძლება თქვას: ბუნებამ გრამიტონა და მისი მსგავსები იმიტომ შექმნა, რომ ეჩვენებინა გახრწნის გზაზე შემდგარ სოციალიზმზე დასეულ პარაზიტთა სახე.

კალიგულა ბედის ტრიალს იმპერატორის ტახტზე რომ არ შეეგდო, ჩვეულებრივი კაცთმოძულე მანიაკი იქნებოდა, რომელსაც მალე მოუგრეხდნენ კისერს და ბოროტების დიდი მასშტაბით დათხევას ვერ შესძლებდა, გრამიტონაც მისი მსგავსი პარაზიტია, ოღონდ მცირე შესაძლებლობის. გრამიტონას მსგავსები ზევით რომ არ ისხდნენ, ეს პატარა ნაძირალები, ვერ იბოგინებდნენ, გრამიტონა იმ დიდი სიმსივნის პატარა საცეცია, თავის წილად რომ ამრავლებს ავსა და ბოროტს.

— მაშ ტყუილად მოვსულვარ, რადგან, შენი აზრით გრამიტონას კისერს საფრთხე ვერ დაემუქრება, — ზაურმა ხელი ჩაიქნია.

— შენ რაღაც იცი, აბა ამოშაქრე, — ღიმილით უთხრა ლუკამ.

— კოლექტივში მძღოლად რომ მუშაობს — არსენა, ხშირად ჩემი მანქანით დადის ხოლმე.

— ვიცნობ, კაცო, — ლუკამ შეაწყვეტინა.

— რომ იცნობ, ეგ მე ვიცი, იმან ერთი ისეთი რამე მომიყვა, რომ არა მგონია ამ საქმით კისერი არ მოიტეხოს.

— ისეთი რა საქმეა?

— კოლმეურნეობისათვის პირუტყვის შესაძენად გრძელვადიანი სესხი გამოუყვიათ. გრამიტონა, ხომ იცი, როგორი ყბედია, ახლა კიდევ მთლად გათავხედებულია, ერთგან პურმარილზე დაუკვეხნია, მაგ ფულს სულ ჯიბეში ჩავიდებო. მეძროხეობის ფერმის გამგისათვის დაუვალებია საქონლის შესყიდვის ტყუილი საბუთების გაკეთება; ახლა ფულს როგორც გამოიტანენ, ჯიბეში ჩაიდებენ. მილიციაში თურმე ელოდებიან, ბუღალტერიაში თავიანთი კაცი ჰყოლიათ, როცა გაიტანენ, ის აცნობებთ; გრამიტონას შეიძლება ვერაფერი დააკლონ, მეძროხეობის ფერმის გამგეს კი გაჭედავენ.

— გრამიტონას გამოსწორება შეუძლებელია, მეძროხეობის ფერმის გამგე ტიმოთე კი პატიოსანი კაცია, ეტყობა გრამიტონამ მისი დასვრა შეძლო. ტიმოთეს ახლა რომ გაუსწორდეს გზა, თავის დღეში მის გამრუდებას აღარ ეცდება და ერთი კარგი მშრომელი კაცი შერჩება სოფელს, — ლუკა რაღაცაზე ჩაფიქრდა.

— რა გადაწყვიტე ლუკა?

— ტიმოთე ფულს როდის გამოიტანს, რომ გაგვაგებინა, — ჩაილაპარაკა ლუკამ.

— ჩვენი თანაკლასელი — ნანა, ბუღალტერიაში რომ მუშაობს, ის გაგვაგებინებს.

— მაშინ ნანა დღესვე უნდა ვნახოთ.

ორივე მაშინვე ნანას სანახავად წავიდნენ, ლუკა გარეთ დარჩა, ზაური ნანასთან შევიდა და მალე დაბრუნდა.

— ფულს ერთ კვირაში გამოიტანენ, ნანა წინა დღით გაგვაფრთხილებს, — მოახსენა ლუკას.

— ტიმოთე თავისი მანქანით წავა ძროხების შესასყიდად თუ ფულს წაიღებს. ჯერ არ ვიცით, როგორ გამოვიყენებთ, ყოველ

შემთხვევაში, მისი მანქანის გასაღები უნდა ჩავიგდოთ ხელში, დანარჩენს მდგომარეობა გვიკარნახებს...

მინდვრის გზაზე ნატარმა ტიმოთემ ტალახით დასვრილი თავისი მანქანა კანტორასთან მიაყენა.

— რა დღეშია შენი მანქანა, ტიმოთე, გაგირეცხო, არ გინდა? — მასთან არსენა მივიდა და კარები გაუღო.

— თუ ამ სიკეთეს მიზამ, ძალიან დამავალებ! — ტიმოთემ მანქანის გასაღები მიაწოდა და შენობაში შევიდა.

კარგა ხნის შემდეგ არსენამ ტიმოთეს გაწკრიალებული მანქანა იქავე დააყენა, საიდანაც წაიღო; ზაურს კი მისი გასაღების ასლი ედო ჯიბეში.

ნანამ როგორც თქვა, ერთი კვირის შემდეგ გააფრთხილა, ხვალ ბანკიდან ფული უნდა გამოიტანონო.

მეორე დღეს ზაური დილიდანვე კოლმეურნეობის ეზოში ტრიალებდა, ლუკა კანტორაში რაღაც საბუთებზე მუშაობდა.

შუადღე გადასული იყო, რომ მის ოთახში ნანა შევიდა და აცნობა: ტიმოთემ ახლა მთელი ფული აიღოო. ლუკა მაშინვე გამოვიდა და ზაურის მანქანაში ჩაჯდა. ნახევარი საათის შემდეგ ტიმოთე გამოვიდა დიდი ჩანთით, მანქანაში ჩაჯდა და ჩანთა გვერდით დაიდო. ცოტა ხანს ასე იჯდა, რაღაცაზე ფიქრობდა. ისევ გადმოვიდა ჩანთით, საბარგულს ახადა, საიდუმლო სათავსოზე მიმაგრებული ფანერა წვალებით ახადა, ჩანთა შიგ ჩადო და ისევ მიაფარა. საბარგული ჩაკეტა.

— რას აპირებს? — იკითხა ზაურმა.

— სადაც წავა, უნდა მივყვეთ, — უპასუხა ლუკამ.

— რა მოიფიქრე?

— ჯერ არაფერი, საქმე გვიკარნახებს, როგორ მოვიქცეთ, ალბათ გრამიტონასთან წავა.

— გრამიტონა ქალაქშია.

— უნდა გავყვეთ.

მართლაც ტიმოთეს მანქანა სოფელს გასცილდა და ქალაქის გზას დაადგა,. ზაურის „მოსკვიჩი“ უკან მიჰყვა.

— ქალაქამდის უნდა ვდიოთ? — ზაურმა იკითხა.

— ვნახოთ, — ღრმა ფიქრებიდან უპასუხა ლუკამ.

ბარჯისხევის ტრასის აღმართს შეუდგნენ.

— გაუსწარი, — უთხრა ლუკამ.

ტიმოთეს მანქანას დიდი სისწრაფით გაუსწრეს, ცოტა ხანს იარეს და მაყვლის ბარდის გვერდით გადააყენეს მანქანა.

— ტიმოთეს ამ ბარდის მოფარებით გავიყვან. თუ ყველაფერი რიგზეა, მანქანის საყვირით ორჯერ მისიგნალე, — უთხრა ლუკამ, მანქანიდან გადმოვიდა და ტიმოთეს გამოჩენას დაელოდა მალე ტიმოთეს მანქანა გამოჩნდა და ლუკა წინ რაცრაცით გადაუდგა.

— ეგრე გაუგებრად სად გაძღა?! — ტიმოთემ უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა და მანქანა გააჩერა.

ლუკა მანქანასთან მივიდა და ტიმოთე ძალათი გადმოიყვანა, რომელიც ჩამოსვლას არ აპირებდა.

— ცოტა ხანს აქეთ მოოოოდი, შშენთან საქმე მმმაქვს! — ლუკამ თითქმის ძალათი გაათრია მაყვლის ბარდისაკენ, თან რაცრაცებდა და ენას ძლივს აბრუნებდა.

— სად მიმათრევს, ეს ოხერი! — შეშფოთებული ტიმოთე გაუძალიანდა.

— ოოოხერი და მამაძაღლია ვინც მრუდე გზაზე დდადის! — გამომწვევად უთხრა ლუკამ. მაყვლის ბარდს მოეფარნენ. — სსსად მმმიდიხარ? — აგდებით ჰკითხა მაგრად მთვრალმა.

— ხევსურეთში მსხვილფეხა უნდა ვიყიდო, — ტიმოთემ უცებ მოიფიქრა, თანაც გაახსენდა, რომ ყალბი შესყიდვის აქტები ხევსურეთზე ჰქონდა დაწერილი.

— მმმსხვილფეხა კი ააარა, წვრილფეხა — თითქო, იმათ ხომ თხებივით პპპატარა ძროხები ჰყავთ, — ლუკამ დამცინავად გაიღიმა.

— რაცა ჰყავთ, ისა ჰყავთ! შენ ის მითხარი, რაზე გამაჩერე, მე დაგვიანებაღა მინდა, იგრეც გვიან მივდივარ! — ტიმოთეს მოთმინების ფიალა გადაევსო.

— მერე, ششე კკკაი კაცო, უუუფულოდ ძროხას ვვვინ მოგცემს!

— ფულიცა მაქვს და ძროხებიც ვიცი. ეხლა თავს არ გამანებებ?! — ტიმოთემ თავისი მანქანისკენ გაიწია. ლუკამ ხელი მოჰკიდა და გააჩერა. მანქანის სიგნალი იგვიანებდა. ტიმოთეზე ხელი მაგრად ევლო და არ უშვებდა, რაღაცაზე ფიქრობდა, ბოლოს როგორც იყო გაბრაზებულმა ხმას აუწია.

— შენ ხევსურეთში მიდიხარ, და ააქ შენმა ძროხებმა მთელი ყანები გადაძოვეს, ეეეს გეკადრება?!

— რა ყანები, რის ყანები, შენ ხომ არ გააფრინე?!

— ვისაცა ჰყავს, აფრენს კიდეც, ააბა შემომხედე, ბარტყებიანს რა მმმიგავს! — ლუკა გაბრაზდა.

— ბარტყებიანი ხარ თუ მწყერებიანი, გამანებე თავი, ბიჭოს, სადაც გამძღარხარ, იქ მაინელე! — ტიმოთემ გაიწია, მაგრამ ლუკას ისე ეჭირა, ადგილიდან ფეხი ვერ მოიცვალა.

ამ დროს ორი სიგნალი გაისმა; ლუკამ შვება იგრძნო.

— აბა ახლა რა გითხრა, ჩამოხვალ და მერე მოგელაპარაკები! — ტიმოთეს ხელი უშვა, გაბარბაცდა, დაეტაკა და კინაღამ წააქცია.

— ამდენის დალევა გაგონილა, რომ ჭკვას კარგავენ?! — წაიბურტყუნა ტიმოთემ და მანქანისკენ წავიდა.

— წწწადი, წწწადი! რომ ჩამოხვალ, მერე ვილაპარაკოთ! — ხელის ქნევით და ენის ბლუკუნით მიაძახა ლუკამ და მანქანისკენ წაბარბაცდა.

ტიმოთე მაშინვე საბარგულს ეცა, რომ ნახა, ჩაკეტილი იყო, დამშვიდდა, საჭეს მიუჯდა და ადგილიდან მოწყვიტა, თან თავის თავს ელაპარაკებოდა: — ეგ ბიჭი მართლა შექანებული ჩანს, ან გიჟია, ან მისი ახლობელი ბიძაშვილი. ძროხებმა ყანა გამოძოვესო, ამხელა მანძილზე გამომეკიდა, ვახ, კაცო! — ხელები გაშალა.

— რაღა დროს ყანაა, კაცო! მაგას ერთი კი არა, ყველა კრამიტი მოსცურებია; გარეგნულად კი არ ეტყობა, სანამ არ შემოგიღრენს!.. — თავის თავს ელაპარაკებოდა და მანქანას თბილისისაკენ მიაქროლებდა...

— ამ ფულს რა უნდა ვუყოთ? — ჰკითხა ზაურმა.

— უკანვე უნდა ჩავაბაროთ სალაროში.

— რათა, მერე უფრო მოხერხებულად რომ მოიპაროს გრამიტონამ?

— ამით ჩვენ ტიმოთეს გადავარჩენთ. გრამიტონას კი ამ ფულის მოპარვის საშუალებას არ მივცემ, თუ ჩემი გჯერა.

— ჩვენ ვინ გამოვდივართ, კეთილი ანგელოზები? — ზაურს ირონიულად გაეღიმა, — არა სჯობია ეს ფული ჩვენ მოვიხმაროთ?

— გგონია ეს ავკაცობა შეგვრჩება?

— ავკაცობა რაზეა თუ ეს ფული მაინც საოხროდ და სამამაძაღლოდ გაიხარჯება.

— ჩვენ კიდევ ხალხის საკეთილდღეოდ შემოვაბრუნებთ.

— მოკლედ, თანამედროვე დონკიხოტობაში არავინ შეგეცილება, რადგან ყველა საკუთარი ცხიმის დაგროვებაზე ფაფხურობს.

— მაგ საკუთარი ცხიმის დამგროვებლებს უფრო მადიანად მიირთმევს სამარის ჭია.

— ამით რა გინდა, რომ თქვა?

— ის მინდა, რომ ადამიანი დროებით ცხოვრობს ამქვეყნად და როგორც მოდის, ისევე მიდის. ადამიანი რომ ხარ, ცხოველისგან შენი ადამიანურობით უნდა გამოირჩეოდე, რამეთუ ადამიანიც ცხოველია თავის განგებისგან ნაბოძები უპირატესობით. ვინც ამ უპირატესობას კარგავს და პირუტყვის გაუმაძღრობაში ფართხალებს ცოცხლად მკვდარია. ჰოდა, ჩემო ზაურ, ძალიან გთხოვ, არ მოკვდე სანამ ცოცხალი ხარ! მოკლედ, ფული ადგილზე უნდა დაბრუნდეს! — ლუკამ გადაწყვეტით თქვა.

ზაური მასწავლებლის მიერ მკაცრი შენიშვნა მიღებული მოსწავლესავით იჯდა საჭესთან და ხმის ამოღებას ვეღარ ბედავდა...

საღამოთი ზაურმა მოლარეს სახლში მიაკითხა.

— აბრამ, ტიმოთემ ეს ფული გამომატანა. სასწრაფოდ სალაროში შეიტანოს და ყველაფერი წესრიგში მოიყვანოს, შეიძლება შეგვამოწმონო.

აბრამა მთელი ღამე სალაროში იჯდა, ფული დათვალა,

ყველაფერი გაასწორა. ტიმოთეს მიერ ფულის გატანის ხელწერილიც გააქრო. სალარო დაკეტა და გათენებისას სახლში წავიდა. დაიბარა: ცუდად ვარ და დღეს ვერ გამოვალო. ამდენი ნერვიულობისაგან და უძილობით მოთენთილი დაწვა და მთელი დღე ეძინა...

ტიმოთემ გრამიტონს იმ ბინაში მიაკითხა, რომელიც ქალაქელ მეძავებთან შესახვედრად ჰქონდა დაქირავებული. მანქანა ჩაკეტა და მესამე სართულზე ავიდა. კარებზე დააკაკუნა. ნახევრად შიშველმა გრამიტონმა ღრეჭით გაულო კარები. მის გამობერილ მუცელს, წინ გამოწეულ ჩანას, ვიწრო მხრებზე დაგდებულ მელოტ თავს და ამ ხორცს, წვრილ გაკნაჭულ, ბრტყელტერფა ფეხებზე შედგმულ მასას რომ შეხედა, ტიმოთეს გააჟრჟოლა.

— ფული მოიტანე? — გრამიტონმა მიუსალმებლად ჰკითხა.

— ჰო, მანქანაში მაქვს.

— ამოიტა. ვიღაც-ვიღაცებს უნდა დავურიგო.

— რა უნდა დაურიგო, კაცო, ათიოდე ძროხა მაინც გვეყიდა! — ტიმოთემ შეიცხადა.

— ფული ამოიტა და ყველაფერს აგიხსნი.

ტიმოთე ეზოში ჩავიდა და მანქანას რომ შეხედა კინაღამ გული შეუღონდა. საბარგული ახდილი იყო. შიგ რომ ჩაიხედა, სათადარიგო საბურავი აღარ დახვდა, აღარც ინსტრუმენტების ჩანთა იყო, ფული კუთხეში სამალავში ჰქონდა ფანერამოფარებული, ფანერა გადასწია და ადგილზე ჩაიკეცა, ჩანთა იქ აღარ იყო. შეშინებული და გაოგნებული აღრიალდა: — გრამიტონ მიშველე!!!

ტიმოთე და გრამიტონი გაძარცულ საბარგულს ჩაჰყურებდნენ.

— რა ვქნა ახლა?! — ტიმოთემ ამოიკვნესა.

— წახვალ და ფულს მოიტან! — დაასკვნა გრამიტონმა.

— საიდან მოვიტან, კაცო?! — ტიმოთემ ხელები გაშალა.

— საიდანაც გინდა! — გრამიტონმა ხელების ქნევით შეაქცია ზურგი და შენობაში შევიდა.

ტიმოთე კარგა ხანს გაშტერებული იდგა. მერე საბარგულის სახურავის დაკეტვა სცადა, არ დაიკეტა, გატეხილი იყო საკეტი. მავთულით დააბა და ეზოს შემოაურა. ერთგან კუთხეში უბნის ბიჭები შეგროვებულიყვნენ, მათთან მივიდა.

— ბიჭებო, სათადრიგო საბურავი მომპარეს, ვინმე ხომ არ დაგინახავთ? — იკითხა.

— რა მოხდა, ბიძაჯან, შეიძლება შენი „ზაპასკა“ არც კი ვარგოდა, ოც მანეთად სუმთლად ახალს მოგიტანთ, — ბიჭებმა შესთავაზეს.

— ინსტრუმენტების ჩანთაც დავკარგე.

— მოკლედ, ყველაფერს ორმოც მანეთად ჩაგაბარებთ; ვიღაც უცნობი ბიჭები მიარბენინებდნენ და წავართვით.

— ბიჭებო, ჩანთით ფულიც ხომ არ მიჰქონდათ?

— ბიძაჯან, რომელი კრეტინი ჩადებს „ბაგაჟნიკში“ ჩანთით ფულს?! თუ ძალიან ბევრი აქვთ, მუთაშაი ინახავენ! — ბიჭები ახარხარდნენ.

ტიმოთემ ორმოც მანეთად საბურავი და ინსტრუმენტები დაიბრუნა, მაგრამ ფულის ასავალ-დასავალი ვერ გაიგო. ინანა, რატომ გრამიტონასთან ფულით არ ავედიო. სოფელში დაბრუნება ვეღარ გაბედა, მთელი ღამე მანქანაში გაათია თავის კოშმარულ ფიქრებთან ჭიდილში...

ტიმოთეს სოფლის შესასვლელთან დახვდნენ. მოსყიდულმა კანტორის მუშაკმა მილიციაში მაშინვე აცნობა, ტიმოთემ ფული გაიტაცაო. ოპერაცია დაიწყო.

— რა ქენი, ტიმოთე, ძროხები იყიდე? — ირონიულად ჰკითხა მილიციის მუშაკმა.

— ჯერ ვერა, — დაბნეულად უპასუხა მთლად გაფითრებულმა ტიმოთემ.

— მანქანა გაუჩხრიკეთ! — სულ გადმოაქოთეს, რაც შიგ იყო. ტიმოთე განურჩევლობის ცივი მზერით მისჩერებოდა მათ მცდელობას.

— მოგისწრია გაქრობა, წავიდეთ, სალაროში გავარკვიოთ!

ტიმოთეს საშინელების მოლოდინში ფეხები აღარ ემორჩილებოდა. ფული მოლარისგან ხელწერილით წაიღო, მერე ყალბი აქტებით უნდა გაესწორებინა ვალი.

ნამძინარევი მოლარე სახლიდან გამოიყვანეს და კარგა ხანს ამოწმეს. ყველაფერი წესრიგში დახვდათ, კაპიკიც არ აკლდათ; არც ტიმოთეს ხელწერილი გამოჩენილა. მილიციის მუშაკები ისე წავიდნენ, სკამზე მოჩვარულად მჯდარ, ნახევრად მკვდარ ტიმოთესათვის ზედაც ერ შეუხედავთ.

— ყოჩაღ ძმაო! — აბრამამ მხარზე დაარტყა ხელი და მძიმე ფიქრებიდან გამოაფხიზლა. — გუშინ ფული რომ არ დაგებრუნებინა, ახლა ჩვენი საქმე წასული იყო.

— მე დავაბრუნე? — ახლად გამოღვიძებულივით იკითხა ტიმოთემ.

— ბიჭო, ზაურა ფიროსმანიშვილს რომ გამოატანე, ლუკას ძმაკაცს, აღარ გახსოვს? თუ იგრე ხარ შეშინებული, რომ გამოშტერდი! მთლად მკვდრის ფერი გადევს. შე დალოცვილო, წინასწარ გაიგე, რას გვიპირებდნენ, ფული დააბრუნე, თან გამაფრთხილე, სალარო წესრიგში გქონდეს, შეგამოწმებენო; ყველაფერი რომ მოგვარდა, ახლა კვდები?

ტიმოთე მკვდარს ჰგავდა. აბრამა შეშინდა, სასწრაფოდ წყალი მიუტანა. ტიმოთემ მოსვა, ცოტათი მოგონდა.

— ჰმ, როგორი გიჟი ყოფილა, ყველა კრამიტდაცურებული მეგონა! ჩემი თავი კი ჭკვიანი, — ჩაილაპარაკა.

— რა გიჟი ყოფილაო, თავი ჭკვიანი მეგონაო, შენ ტვინი ხომ არ გეღრძო?! — აბრამამ შეუტია. — შიშისაგან გამოშტერებულმა ბოდვა დაიწყე?

— ვბოდავ კი არა, აბრამ, ჩვენი უბედურებაა, ნამდვილ ადამიანს რომ არ ვეგუებით და იმის დონემდე ამაღლების ნაცვლად, ვცდილობთ, ავაზაკობის ჭაობში ჩავძიროთ და ეს თუ ვერ მოვახერხეთ, გიჟს ვეძახით! — ტიმოთე ადგა, სახეზე ერთი მუჭა წყალი შეისხა და გარეთ გავიდა. ეზოში ლუკას მოჰკრა თვალი, მასთან მივიდა: — ლუკა, სიტყვები არ მყოფნის ახლა რას გან-

ვიცდი იმის გადმოსაცემად. ჩემს წინ მაცხოვარივით დგეხარ, რომელმაც ადამიანი საშინელ განსაცდელს გადაარჩინა; მეც რომ შემეძლოს ამგვარი სიკეთით ვიარო ამ ცოდვილ დედამიწაზე, ბედნიერი ვიქნებოდი! – ხელები გაშალა, ლუკა მკერდში ჩაიკრა, მერე თვალებიდან ცრემლები მუჭით მოიწმინდა და სირბილით წავიდა, მისი ტირილი რომ არ შეემჩნიათ...

გრამიტონი როგორც ბინაში შებრუნდა, მეძავს ფული მისცა, მუჯლუგუნით გარეთ გამოაგდო და კარი მიიჯახუნა.

– თფუჰ! ამ ბინძურთან რომ ვწვები, მე ქალი ვარ?! – მეძავმა ფული ჩანთაში ჩაიდო და მოხურულ კარებს მიაფურთხა.

– რა ვქნა, როგორ მოვიქცე? – გრამიტონი თავზე ხელებმოჭერილი იჯდა და გადაწყვეტილება ვერ მიეღო. – ტიმოთემ მე რომ დამაბრალოს, ხომ დამიჭერენ! უნდა გავიქცე. ვაიმე, სად გავიქცე; არა, ტიმოთეს დავაჭერინებ და ყველაფერი მაგას დაბრალდება.

მთელი მეორე დღე ამგვარ ფიქრებში გაატარა და ბოლოს გადაწყვიტა: თბილისიდან მილიციის უფროსს დაურეკა: – ახლა სამინისტროში ვარ, გადაუდებელი საქმე მაქვს. ჩემმა მეძროხეობის ფერმის გამგემ ფული გაიცატა, სასწრაფოდ უნდა დაიჭიროთ! – შეეხვეწა.

– დაწყნარდი, გრამიტონ, ყველაფერი რიგზეა, ჩვენ შევამოწმეთ და სალაროში კაპიკიც არ აკლია, – მილიციის უფროსმა ყურმილი დადო და დააყოლა: – ეხ, ჩვენც ძალიან გვინდოდა, ეგ ფული წაღებული რომ ყოფილიყო; შენცა და შენს ფერმის გამგეს ორი მაგდენს მოგატანინებდით, და ყველაფერი მოყომარდებოდა...

გრამიტონის კაბინეტი ხალხით იყო სავსე. ამ დღეს ეკონომიკური სწავლების წრის მეცადინეობა დაენიშნათ, წრეს გრამიტონი ხელმძღვანელობდა; ვისაც მაღალი თანამდებობა ეკავა, ის დანარჩენებზე მცოდნედ ითვლებოდა. ახლა გრამიტონს უნდა ესწავლებინა ყველასთვის ეკონომიკაც, პოლიტიკაც და მორალიც. პირველ მეცადინეობაზე წესისამებრ რაიონიდან წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ლუკა კუთხეში იჯდა, მწარე ფიქრებში გაბლანდულიყო. უკვირდა, ამ ქვეყანას რამხელა სიგიჟე დაუფლებოდა, „განა შეიძლება გრამიტონამ ეკონომიკის სკოლას უხელმძღვანელოს?! რამდენი გრამიტონას მსგავსი გაასარჟებს ამ სკოლაა თუ ტაკიმასხრობას“. ლუკამ ჯერ არ იცოდა, გრამიტონი რას იტყოდა, მაგრამ მისგან ჭკვიანური არაფერი რომ იყო მოსალოდნელი, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა.

გრამიტონი გაბღენძილი იჯდა და ხელში ფანქარს ათამაშებდა. „ხომ არ გაუვარდება?“ – გაიფიქრა ლუკამ. სქელ თითებში გასხლტომის ზღვარზე მყოფ ფანქარს რომ შეხედა.

– ყველანი ვართ? – იკითხა გრამიტონმა.

– ალბათ ყველანი ვართ! – ვიღაცამ წამოიძახა.

გრამიტონმა მის გვერდით მჯდომ რაიონიდან დამსწრე ამხანაგს გადახედა: – დავიწყოთ? – ჰკითხა. მანაც ავტორიტეტულად დაუქნია თავი.

გრამიტონი ფეხდა ადგა, მელოტ თავზე ხელი გადაისვა. ლუკას გაახსენდა, კლარა როგორ ურტყამდა, გაეღიმა, „თმები აღარ ამოუვა“, – გაიფიქრა. „კლარამ თავის გიჟური ჩანაფიქრი თუ შეასრულა, გრამიტონას მაშინ დაუდგება უბედურების ქარბუქი“, – ხასიათი მოეწამლა. „ნეტავ ეს რამ აფიქრებინა? იმის ჭკუიდან მოსალოდნელია“, – გრამიტონს გახედა, „ძროხის ცურებში“ ისევ ათამაშებდა ფანქარს.

– ამხანაგებო, დღეს ეკონომიკური სკოლის მეცადინეობას ვიწყებთ, ეს უბრალო საქმე არ გეგონოთ. გაზეთებს ხომ კითხულობთ, რადიოს უსმენთ, ჩვენს ქვეყანაში რა დიდი ამბები ხდება: ფაბრიკა-ქარხნები შენდება, სოფლის მეურნეობა გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ, რატომ? იმიტომ, რომ მოვერიოთ კაპიტალისტურ სამყაროს. ნატო კბილდაღრჭენილი მოგვჩერებია: ავსტრალია, შვეიცარია, ისლანდია, ნიკარაგუა, აღარაფერს ვამბობ საფრანგეთზე, ინგლისზე და ამერიკაზე რომლებიც დასაგლეჯად მოგვჩერებიან. მაგრამ ბოდიში მოიხადონ, ძვლები ყელში გაეჩხირებათ; ჩვენი ეკონომიკა უძლეველია.

— ავსტრალია რაღა უბედურებაა, რამსიშორიდან გვემუქრება, — ვიღაცამ ჩაილაპარა.

— ავსტრალია კი არა, ავსტრია, — ვიღაცამ გაუსწორა.

— ავსტრია ნეიტრალური ქვეყანაა, იმას ნატოში რა უნდა.

— ავსტრალია და ავსტრია ერთი და იგივე ფლავია! — საქმის ღრმა ცოდნით დაასაბუთა გრამიტონმა.

— ავსტრია ევროპის ცენტრში პატარა, ნეიტრალური სახელმწიფოა.

— შენ ნეტრალური დაუძახე, რომ გამოუშვებს გემებს და რაკეტებს დაგვიშენს, ნეიტრალური გიშველის მაშინ?! კაპიტალისტურია, ესე იგი ნატოა. ნატო, თებრო, კატუშა, ან სათენიკა არ გეგონოს, უბედური ავია, გასაგებია?

— გავიგეთ, გავიგეთ! — აქეთ-იქიდან წამოიძახეს.

— მე წავალ, თქვენ გააგრძელეთ, — რაიონიდან მომაგრებული კაცი ფეხზე ადგა. გრამიტონისთვის შენიშვნის მიცემა ვერ გაბედა, ის ხომ რაიკომის პირველი მდივნის ნაქები თავმჯდომარე იყო.

— დარჩი, მალე მოვრჩები და დანარჩენი პურმარილზე გავაგრძელოთ, — სთხოვა გრამიტონმა.

— არა, წავალ, სხვაგანაც უნდა გავიარო, — ქუდს დაავლო ხელი და ისე წავიდა, თითქოს ოთახში ხანძარი გაჩენილიყო.

ლუკას სირცხვილისაგან შუბლზე ოფლი გამოაყარა. „ამ ოთახში ყველა გრამიტონზე ათმაგად განათლებულია, მაგრამ ერთმა თუ შეუსწორა ნათქვამი. თუმცა გრამიტონასთვის შესწორებას რა აზრი აქვს, მაინც ვერაფერს გაიგებს. მაგრამ, როგორც ყველა უვიცს და ეგოისტს სჩვევია, ისე გადაეკიდება, რომ სოფლიდან გარბოდეს. ამათ რაღა ენაღვლებათ, თუ გრამიტონას ავსტრია და ავსტრალია ერთი და იგივე ფლავი ჰგონია“, — ფიქრობდა ლუკა და დიმიტრი დავარაშვილის დამოძღვრა ახსენდებოდა.

გრამიტონმა ლუკასკენ გაიხედა, ის ხელებში თავჩარგული იჯდა. „ხომ დავახვიე თავბრუ“, გაიფიქრა და პოლიტიკური მიმოხილვა გააგრძელა: — ჩვენი ქვეყანა ყველას დააჩოქებს. ნაპო-

ლეონს ხომ მოტეხა კისერი პატარა კახმა, მა რა ეგონა, რუსეთზე გამოლაშქრებას აპატიებდა?! გიტლერს კიდევ ბაგრატიონმა მოტეხა კისერი, თანაც მაგარი ყინვა იყო და მთელი მისი ჯარი გაიყინა. ახლა ამერიკელები გადარეულან, საბჭოთა კავშირზე იწევენ, არ იციან, რომ რუსეთმა ერთი ბომბი რომ ჩააგდოს, მთელი ამერიკა გაიყინება. მემრე ისევ ჩვენი შესანახი უნდა გახდნენ; წყალი აქედან საზიდი გაუხდებათ.

ლუკამ ვეღარ მოითმინა ამდენი სისულელე, წამოდგა და დაუკითხავად გავიდა გარეთ.

— თუ მადიანად არ გამოძღნენ, წყალი არ მოსწყურდებათ, — ვიღაცამ წამოიძახა.

— მაშინ ჯერ სახაშლამე ხორცი უნდა გავუგზავნოთ, — ახლა სხვამ წამოაყენა წინადადება.

— ჰოდა, სწორედ ეს არის ეკონომიკა ას ძროხაზე ას ხბოს რომ მივიღებთ, — განმარტა გრამიტონმა.

— ზოგი ტყუპსაც იგებს, — ახლა სხვამ გამოიჩინა თავი.

— მით უკეთესი, — დაუდასტურა გრამიტონმა — ერთი ღორი თხუთმეტ გოჭს რომ დააგდებს ეკონომიკაა.

— თორმეტი ძუძუ აქვს, სამს ნამდვილად გაუჭირდება, — ვიღაცა შეწუხდა.

— სამი კიდევ ამერიკელებს გავუგზავნოთ, — სხვები მოეხმარნენ.

— კაცო, მარტო ამერიკელები ხომ არ არიან, ახლა ფრანგები, ინგლისელები და თუნდაც ავსტრალიელები, — შეწუხდნენ.

— ამისათვის ორმოცცურიანი ღორია საჭირო, — დაასკვნეს.

— ჰოდა, რაც მეტია ცური, მით მეტია გოჭი და აქედან გამომდინარე ბარაქა, — განმარტა გრამიტონმა.

დიდხანს იყაყანეს. გრამიტონმა თავისი იდეებით საკმაოდ გაანათლა მსმენელები.

როგორც იყო ეკონომიკის სკოლის მეცადინეობა დაამთავრეს, ნელ-ნელა იშლებოდნენ.

ტიმოთე ლუკასთან მივიდა და გვერდით გაიხმო.

— ლუკა, ამას წინათ შენ გადაგვარჩინე, მაგრამ მაგ ოხერს არაფერი ესმის. მითხრა, მთელი ფული გაიტა, ნაწილს იმ ხალხს მივცემ, რო შეგვამოწმეს და რაც დარჩება, ვერავინ შეგვეცილებაო.

ლუკას მწარედ გაეღიმა. ზაურის ნათქვამი გაახსენდა, რომ ჩავაბაროთ, გრამიტონა მერე უფრო მოხერხებულად მოიპარავსო.

— წადი, ტიმოთე, დაისვენე, — ურჩია ლუკამ.

— შენ რა გადაწყვიტე?

— მე გრამიტონას ცოტა ხნით ყინულის ბომბების გაკვეთილებს ჩავუტარებ და მაგ ფულის მოპარვის მადას სულ დავუკარგავ, — ღიმილით უთხრა ტიმოთეს და მხარზე ხელის მოსმით მოეფერება.

გრამიტონის კაბინეტიდან ყველა გამოსულიყო ხითავას გარდა. ლუკა რომ შეიჭრა შიგ, გრამიტონი რაღაცაზე ეჩურჩულებოდა.

— გადი გარეთ! — ხითავას უბრძანა.

— ვაააა! შენ ვინა ხარ? — იწყინა ხითავამ.

— აი, ვინა ვარ! — ლუკამ კისერზე მოჰკიდა ხელი, კაბინეტიდან გაათრია და ჭიტლაყით ისროლა გარეთ.

— ვაი გრამიტონას ბრანი, ნეტა რისთვის შეუვარდა? — იკითხეს ამის დამნახველებმა.

— ყინულის ბომბებზე გაკვეთილს ჩაუტარებს, — სიცილით განმარტა ტიმოთემ.

ლუკამ კარები მიხურა და გრამიტონს მიუბრუნდა.

— რა გინდა? — ხმის კანკალით ჰკითხა გრამიტონმა.

— როდის დაამარცხა პატარა კახმა ნაპოლეონი?! — ლუკამ საყელოში სტაცა ხელი და მაგიდიდან გამოათრია. — როდის დაესხა ნაპოლეონი რუსეთს? გეკითხები! — უღრიალა.

გრამიტონმა ხმა ვერ ამოიღო. ერთიანად კანკალებდა და კბილს კბილზე აცემინებდა.

— ერეკლე გარდაიცვალა 1798 წელს, ნაპოლენი რუსეთს თავს დაესხა 1812 წელს. ახლა მითხარი, რამდენი წლისა გამოდის

მამაშენის ყურებდაჭრილი ვაირი! – ტიტველ თავზე ხელი მოუჭირა და იატაკზე დაამხო.

– მიშველეთ, მამკლამს! – გრამიტონმა ამოიხრიალა.

ტიმოთემ კარები შემოხსნა. დაბლა პირქვედამხობილ გრამიტონისთვის ლუკას ზურგზე დაედგა ფეხი, გრამიტონი კიდურებს ბაყაყივით იქნევდა.

– რას შვრები, ლუკა, არ შემოგაკვდეს! – ტიმოთემ უყვირა.

– აქ შემოსვლა არავინ გაბედოს! ამან ჯერ იატაკი უნდა ლოკოს თავისი ბინძური ენით. ალოკე! – უყვირა და თავზე ფეხი დააჭირა. გრამიტონმა იატაკს ენა აუსვა.

ტიმოთემ სიცილი ველარ შეიკავა.

– ახლა მითხარი, რა განსხვავებაა ავსტრიასა და ავსტრალიას შორის! – უყვირა.

– მე რა ვიცი, ორივე საზღვარგარეთია, – მტვრის ფურთხებით თქვა გრამიტონმა.

– რომ აგიხსნა, მაინც ვერ გაიგებ, შე ვირისტვინავ! იყბედე როგორც გინდა და აცინე ცხვრად ქცეული მსმენელი!

ამასობაში გრამიტონი მუხლებზე წამოდგა და პირს იწმენდავდა.

– ტიმოთე, ახლოს მოდი! – ლუკამ დაუძახა.

– ხვალიდანვე დაიწყებ ჯიშიანი ძროხების შესყიდვას; ჩემი შემოწმების გარეშე კაპიკს ვერ გაიტანთ!

– ეგრე ქენი, – ტიმოთეს გაუხარდა.

– ეგ საკითხი შენ რომ არ გეხება, – შეეპასუხა გრამიტონი.

– ალოკე იატაკი! – ლუკამ უყვირა და ისეთი ჭიტლაყი ამოჰკრა ცხვირ-პირით იატაკზე გაშხლართა. – ალოკე! – უყვირა.

– ვლოკავ, ლუკა, ვლოკავ! – სასწრაფოდ უპასუხა მორიგი ჭიტლაყის მოხვედრის შიშით.

– ახლა დარწმუნდი, რომ ძროხების შესყიდვა მეხება?!

– გეხება, გეხება!

– ჰოდა, ეგრე. თუ სადმე ამ ამბავზე ენა დაგიძრავს, იატაკის ლოკვა აღარ გიშველის, გაიგე?!

— გავიგე, გავიგე! ავდგე? — იატაკზე ლოყადადებულმა ცალი თვალით შეხედა.

— ახლა გინდა ადექ და გინდა დილამდე მანდ ეგდე! — მიაძახა ლუკამ და გარეთ გავიდა, ტიმოთე სიცილით გაჰყვა უკან.

— რა მოხდა? — გარეთ მყოფნი ტიმოთეს შემოეხვივნენ; ლუკას შეკითხვა ვერ შეჰბედეს.

— რატომ არ იცი, რომ ავსტრია ავსტრალია არ არისო, კუთხეში დააყენა. გრამიტონამ კიდევ კუთხეში დადგომას იატაკის ლოკვა არჩია. ჰოდა, ენით იატაკს აპრიალებს, — სიცილით უპასუხა და ლუკას გამოეკიდა.

ძროხების შესყიდვას ტიმოთემ მცდელობა არ მოაკლო და საუკეთესო, ჯიშიანი საქონელი შეიძინა; გრამიტონმა კი ლუკას შიშით ფულის მითვისება ვეღარ გაბედა.

## შიშის კარნახით ჩადენილი დანაშაული

გრამიტონმა თავისი მოღვაწეობა მითვისება-თვალთმაქცობაზე ააწყო. ისეთი ადამიანები დაიახლოვა, ამგვარი საქმეების მოკვარახჭინება რომ ხელეწიფებოდათ, მაგრამ ვერ იქნა და ლუკას ვერაფერი ვერ მოუხერხა; მისი შიშით ხომ გონება ებინდებოდა. სადაც ლუკას ხელი სწვდებოდა გრამიტონს და მის ამქარს უკულმართობის ჟინი უქრებოდათ.

მეძროხეობის ფერმის გამგე-ტიმოთე ხომ მთლად გამოიცვალა, რაც ლუკამ დაღუპვას გადაარჩინა და ჯიშიანი ძროხები შეაძენინა, თანაც რაც გრამიტონის იატაკზე ხოხიალი მოიხილა, უფროსად ლუკას გარდა აღარავისა სცნობდა. გრამიტონიც აუგის თქმას ვეღარ უბედავდა იმ კოშმარული საღამოს შიშით.

ყინტორა ისევ მუშაობდა, მაგრამ ჯაგარას შიშით საავკაცოდ ვეღარ ჩუჩუნებდა. ჯაგარაც ფხიზლად იყო და ლუკას მხარდაჭერით ამაყობდა. ბრიგადის წევრები გახარებული იყვნენ ხუთმაგი მოსავლის მიღებით; იმდენი ხვდებოდათ, მოპარვა აღარ სჭირდ-

ებოდათ. ყინტორას კი ბოღმა ახრჩობდა, ხშირად იჯდა გრამიტონთან და ლუკაზე ავსიტყვაობით ერთმანეთს ბოღმას უქარვებდნენ.

„როგორმე უნდა მოვიშორო, თორემ სულ ამირევს გეგმებს“, — ფიქრობდა გრამიტონი. ლუკა ჭირის დღესავით სძულდა და ამაზე უარესად ეშინოდა მისი. თუ თავის თანამოაზრეებთან ლანძღავდა, ათას ხრიკებს იგონებდა მის მოსასპობად, ლუკას ყველაფერზე თავს უქნევდა და ერთგული ფინიასავით ელაქუცებოდა. თაგვის გრძნობა ეუფლებოდა კატის წინაშე ლუკას რომ ხვდებოდა, ეს მაშინ, როცა თავისი დიდების ზენიტზე იყო და გრამიტონ ქარუმიჩს ეძახოდნენ. ლუკა თუმცა თავაზიანად ეპყრობოდა, მარტო ის არ მიმართავდა მამის სახელით. იტანდა გრამიტონი ამ „დამცირებას“, იტანდა და გულში ღვარძლსა და ბოღმას აგროვებდა.

— გრამიტონ ქარუმიჩ, თქვენი ძალის პატრონს ერთი გიჟი აგრონომის მოცილება როგორ უნდა გაგიჭირდეთ; გაგვიშხამა სიცოცხლე. ერთ გრამ მარცვალს ვერ დააღწევ. მოსავლის აღებაც ისე ჩათავდა, ხორბლის გაყიდვა ვერ მოვახერხეთ; ხალხი ხომ გააფუჭა, ყველა რევიზორი გახდა, — აქეზებდა ხითავა ისედაც ლუკას უჩუმრა დასაკბენად შემართულ გრამიტონს.

— სწორედ ამბობს გრამიტონ ქარუმიჩ, — კვერი დაუკრა ხითავასთან ერთად შემოსულმა მძღოლმა სიკომ, რომელიც გრამიტონმა თავმჯდომარედ დანიშვნის შემდეგ კოლმეურნეობაში გადმოიყვანა გეოლოგებიდან, შანსიანია გამოგვადგებაო. მართლაც, ეშმაკმა იცის, რა შავი საქმეები კეთდებოდა სიკოს ხელით. გრამიორთან ახლო ურთიერთობით ამაყობდა მეფისნაცვალივით გაჭიმული დადიოდა, ამიტომ ჭიმია შეარქვეს.

ახლა ხითავა და ჭიმია გრამიტონის კაბინეტში ისხდნენ და ლუკას მოცილების გეგმას ამუშავებდნენ.

— თავმჯდომარეობა უნდა, ხალხს ამხედრებს, ჰგონია, საქმე გაგიფუჭდება და მოგხსნიან; ერთხელ ფეხი არ ჩაუვიდა, ახლა არ ისვენებს; მაგას სადა აქვს შენნაირი შანსი უფროსებთან საქმის

მოგვარებაში, — ხითავა აქეზებდა ისედაც გაბოროტებულ გრამიტონს.

— უფროსებთან მოვითათბირებ, ჩამოვალ და კინწისკვრით გავაგდებ! სადაც უნდათ წაიყვანონ! კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა ფლავის ჭამა ჰგონიათ. მე ათასი შემამოწმეს, გამომცადეს, დამაკვირდნენ რა ვიცოდი, რა განათლება მქონდა; ჯერ სოფელში კაცი არ დადის თავმჯდომარეობა რომ შეეძლოს. ჩემი ცვლის მომზადებას ოცდაათამდე წელი დასჭირდება. მეც ვფიქრობ ამ საქმეზე, აბა, როდემდის შევძლებ ამ მძიმე ტვირთის ზიდვას. ამათ კიდევ სწავლა არ უნდათ, მარტო თანამდებობაზე იწევენ, ეგრე კიდევ სად არის, ძმაო, იგრე დამაბერებენ, კაცი არ მომზადდება, თავმჯდომარეობა რომ შეძლოს! — გრამიტონმა თანამოაზრეებს შეშფოთებული თვალებით შეხედა.

— იყავი და გვიხელმძღვანელე, გრამიტონ ქარუმიჩ, მაგას რა სჯობია, ოღონდ ზოგიერთი უვარგისი დროზე მოიშორე; თუ საჭირო გახდება, დაგვავალე და იგრე გავაქრობთ, ეშმაკმაც ვერ მიაგნოს! — ჭიმიამ წაიტრაბახა.

— ჯერ მე მოველაპარაკები ზევით და თუ გაჭირდა, აქ არა ხართ! ... — იმედიანი ტონით დაასრულა საუბარი გრამიტონმა...

სოკრატ ქერაშვილმა გრამიტონი უკმაყოფილოდ მიიღო:

— ის თქვენი გადარეული აგრონომი რა გახდა, დომენტი ტირის, არ გვასვენებსო. თუ შენ ვერ მოგიხერხებია, მე მოგაშორებ თავიდან მერე როგორც უნდა, იგრე იტეხოს თავი!

— რა ვქნა, სოკრატ გიგაევიჩ, ლამის კოლექტივი ამიჯანყოს. მისი მოხსნა უთქვენოდ არ მინდა. რადგან თქვენც ამ აზრისა ხართ, ახლავე გავაგდებ; ბოლოსდაბოლოს მის გამო წესრიგი ვერ დამიმყარებია! — აღშფოთდა გრამიტონი.

— ორ დღეში შენ თუ არ გაგინთავისუფლებია, ჩვენ გავაგდებთ! ჩათვალე, რომ საკითხი ზევითაც შეთანხმებულია, — გაამხნევა სოკრატმა.

— დღესვე გამოვაგდებ! — გადაწყვეტით თქვა გრამიტონმა და ამაყად გამოვიდა სოკრატის კაბინეტიდან.

მანქანაში ისეთი რიხით ჩაჯდა, თითქოს ლუკა უკვე მოხსნილი ჰყავდა. წრიპო მანქანას მიაქროდებდა, თან გრამიტონს აკვირდებოდა, ლუკას ხელების ქნევით რომ ემუქრებოდა; გზაში ცეცხლი ნელ-ნელა გაუნელდა. წარმოიდგინა მის კაბინეტში შესული ლუკა გაღიმებული და ავაზასავით გულგამგმირავი მზერით; რამდენჯერ სცემია ელდა მის შემხედვარეს. „ვაიმე, რატომ ვთქვი, მოვხსნი-მეთქი, სოკრატა იქ ხომ არ მეყოლება, ჩემმა მტერმა იხილოს გაცოფებული ლუკა, თვითონ სამმართველომ იტეზოს თავი. სოფელში რომ ჩავალ, ნეტავი მითხრან, ლუკა მოკვდაო, რას ვიზეიმებ!“ – ფიქრობდა გრამიტონი და ლუკასი იმ წუნკალ ძაღლის მსგავსად ეშინოდა, დაყვირებისას ფეხებში კუდგაჩრილი წკავწკავით რომ გარბის და თან შარდს ღვრის, მაგრამ ყოველთვის მზადაა იმავე ადამიანს უკნიდან მიეპაროს და უკბინოს. დიდი შიშის განცდა ლუკას დაუნდობელ მტრობასთან ერთად გრამიტონში სიკეთის სახსენებელს აქრობდა.

„ხვალ სოკრატამ რომ დამირეკოს და მკითხოს, ლუკა მოხსენ თუ არაო, რა ვუპასუხო? არა, ამ დღეებში სოფელში არ გამოვჩნდები“, – გადაწყვიტა. კანტორაში დაიბარა, სასწრაფოდ ქალაქში გამომიძახესო და იმავე დღეს წრიპომ თბილისისაკენ გააქროლა...

ციოდა. თბილისში არნახული ყინვები დაიჭირა. ქუჩებში გათოშილი თოვლი მანქანების მოძრაობას აფერხებდა. კლარა ფანჯარასთან იდგა და ბუხრებში ღამენათევ, გამურულ ბეღურებს აკვირდებოდა სანაგვე ყუთებში რომ იქექებოდნენ. მოწყენილი იყო. სამსახურის შემდეგ სახლში მოსული თავის ფიქრებში თუ ოცნებებში დაბოდიალობდა. რამდენი არ ეცადა, ოცნებებით ლუკას ვერ მოსცილდა. ლუკას ნახვის შემდეგ ცოტა ხნით ჰყოფნიდა მასთან შეხვედრის სითბო, მერე ისევ ეწყებოდა ლუკას ნახვის სურვილი, რომელიც, რაც დრო გადიოდა, საშინელი დეპრესიით აწამებდა. აღარაფერი არ აინტერესებდა. ლუკაზე ფიქრი იყო მისი შვება და სიცოცხლის წყარო.

კარებზე მოკრძალებული კაკუნი გაისმა. კლარა შემობრუნდა

და კარს მიაჩერდა, კაკუნი განმეორდა. კარები გამოაღო, მის წინ ვიღაც უცხო მამაკაცი იდგა.

— გამარჯობა, კლარა! — უცნობი მოკრძალებული თავაზიანობით მიესალმა.

კლარა დააკვირდა: გამხდარი, ჭაღარა კაცი იღიმებოდა. ზაზა, შემაშფოთებლად დარეკა ხსოვნის ზარმა.

— ზაზა ხარ? — ძლივს თქვა.

— ზაზა ვარ, კლარა, ზაზა, იქნებ შემომიშვა? — სთხოვა.

— მობრძანდი.

ზაზა სკამზე ჩამოჯდა და ხელები მუხლებზე დაიწყო; კლარა მის წინ გაჩერდა.

— მომენატრე, კლარა, და აგერ, მოვედი, — ხმის კანკალით თქვა.

— ძალიან გვიან მოგენატრე.

— ბარემ სულ მენატრები, მაგრამ ახლა გავბედე შენი ნახვა.

— ეხ, მეც მენატრება ერთი ვინმე, მაგრამ...

ზაზა ვერ მიხვდა, ეს რა მონატრება იყო და მზრუნველი ტონით უთხრა: — ვინ არის, იქნებ მე მოგეხმარო მის ნახვაში?

— შენ კი არ მომეხმარები, შენ დამაკარგვინე ის ადამიანი, ვის გარეშეც ჩემი სიცოცხლე ერთი გრძელი გაუთავებელი წამებაა მხოლოდ, — ცრემლების წმენდით თქვა კლარამ.

ზაზა მოვიდა, რომ ბოდიში მოეხადა, მოენანიებინა თავისი საქციელი, კლარასთვის პატიება ეთხოვა, მოეყოლა, უმისოდ რომ მისი სიცოცხლე უაზრო და უშინაარსო იყო და თანაგრძნობა ეთხოვა. გადაიფიქრა, მიხვდა, რომ კლარა ვიღაცაზე უიმედოდ იყო შეყვარებული და მისი თხოვნა მხოლოდ წყლის ნაყვა იქნებოდა.

— დასანანია, კლარა, შემოგიარე, იქნებ რამეში დაგჭირდებოდა ჩემი თანადგომა, — უცებ ამის თქმა მოახერხა.

— ეხ, ბატონო ზაზა, დაუფიქრებელი და თავქარიანი საქციელით ადამიანები ზოგჯერ თავიანთ ცხოვრების გზას სამუდამოდ ერთ მთლიან ეკლით დაფარულ ბარდად აქცევენ ხოლმე, რომლის

გაკაფვას სიცოცხლის ბოლომდე ვერ ახერხებენ და ტანჯვა-წამების ლუკმა ხდებიან; სწორედ მე გახლავართ ამგვარი გზაეკლიანი უბედური! – კლარამ ზაზას ზურგი შეაქცია და ცრემლები ისე მოიწმინდა.

ზაზა ფეხზე ადგა. – მაპატიე, კლარა, რომ ასე დაგამწუხრე, მეგონა, ეს შეხვედრა ჩვენს ურთიერთობაში გაჩენილ ბზარს გაამთელებდა, – თქვა და კარებისაკენ გაბრუნდა.

– მოიცა, მაგიდას გავშლი, მაპატიე, რომ უცებ ვერ შემოგთავაზე! – კლარა დაფაცურდა.

– არ გინდა, კლარა, ვხვდები, რომ შენს ცხოვრებაში ბოროტი ჯადოქარის როლი შემისრულებია; ბოდიშს გიხდი!

– შენ არაფერს შუაში ხარ. მე ჩემი ქარაფშუტა ხასიათის გამო ვისჯები და ღირსიცა ვარ! – დაასკვნა კლარამ.

– ასეა, ყველას თავის ბედის ტრიალი ჰქცევია წერად, – ჩაილაპარაკა ზაზამ. – ნახვამდის, კლარა, თუ როდისმე დაგჭირდეს ჩემი თავი, ბედნიერი ვიქნები თუ არ მომერიდები! – ზაზამ მაგიდაზე პატარა ქაღალდი დადო, რომელშიც თავისი მისამართი ეწერა და გარეთ გავიდა.

კლარას მისი მიპატიჟება აღარ უცდია. ქაღალდი აიღო, კარებთან მივიდა და კიბეზე ჩამავალ ზაზას მიაძახა: – ზაზა ბატონო, როგორ გაიგე ჩემ აქ ყოფნის შესახებ, ან ვინ მოგცა მისამართი?

– ლუკამ, იმან მირჩია, შენთან მოვსულიყავ და შერიგება მეთხოვა. ეხ, ლუკა, ფუჭი გამოდგა შენი მცდელობა! – ხელი ჩაიქნია ზაზამ.

– კარგად ბრძანდებოდე ბატონო ზაზა! – მიაძახა კლარამ და ოთახში შევიდა.

– რამხელაზე შევაბეზრე ლუკა, რომ ამ გზით ეცადა ჩემი ჩამოცილება, ღმერთო ჩემო, განა მე მინდა რომ შეწუხდეს, ან რამეს ვუშავებ?! – ხმამაღლა ქვითინით თქვა, სავარძელში ჩაეშვა და დიდხანს იღრიალა. რატომღაც ახლა ძალიან მოუნდა ლუკას ნახვა. ადგილზე ვერ ჩერდებოდა, მოუსვენრად ტრიალებ-

და. არა, საყვედურის თქმას სულაც არ აპირებდა, თავისი თავის დასჯის სურვილი მოეძალა. უცებ ჩანთას დასტაცა ხელი, სასწრაფოდ ჩაალაგა შიგ საჭირო ნივთები და გარეთ გავარდა...

სოფელში ჩასული კლარა ორი დღე გარეთ არ გამოსულა, დაძაბულ ფიქრში იყო და საკუთარ თავთან დაობდა. რაღაცით უნდოდა ლუკას ყურადღება მიექცია და თავისი უბედურებით მისთვის გული ეტკინა.

საღამო იყო. ლუკა ბუხართან იჯდა და წიგნს კითხულობდა. კლარამ ფანჯრიდან შეიხედა და ფრთხილად დააკაკუნა. ლუკა ფანჯარას დააკვირდა. ფეხზე ადგომას აპირებდა, რომ კარები გაიღო და კლარა დაუკითხავად შევიდა ოთახში.

— კლარა?! — ლუკამ მოულოდნელობისაგან შეჰყვირა და სკამიდან წამოფრინდა.

— მე ვარ, ჩემო ლუკა! — კლარამ თავი ვეღარ შეიკავა, აღრიალდა და კისერზე ჩამოეკიდა.

— რა მოხდა, კლარა, ცუდი ხომ არაფერია?! — ლუკა შეშფოთდა.

— მოხდა, აბა, არ მოხდა?! — სლუკუნით უპასუხა კლარამ.

— რაშია საქმე?

— საქმე იმაშია, რომ შენი უნახაობით ლამის დავიხრჩე! რა გინდა ჩემგან, რა?!! — კლარა აღრიალდა და მკერდზე მუშტები დაუშინა.

ლუკას გაეცინა, მოეხვია და შუბლზე აკოცა.

— მეც ძალიან მომენატრე, ჩემო კლარა? ხომ იცი ჩემთვის უძვირფასესი და საყვარელი მეგობარი ხარ!

— საყვარელი მეგობარი ხარ! — კლარამ გამოაჯავრა. — საყვარელი მეგობარი კი არა მაწყენინე, დამცინე, მლანძღე, შეურაცხყოფა მომაყენე! შემაძულე თავი, რომ შვება ვიგრძნო და ამ კოშმარიდან დავისვენო! რა გინდა ჩემგან, რა?! შემაძულე თავი, შემაძულე! მლანძღე და გამაგდე აქედან როგორც უკანასკნელი მაწანწალა, თუ ჩემთვის სიკეთე გინდა! — კლარა ცრემლების ფრქვეთით ეხვეწებოდა.

— რა გემართება, კლარა, ხომ იცი, რომ შენი ტკივილი ჩემთვის წამებაა. თუ საჭირო გახდა, ჩემს სიცოცხლეს განაცვალებ; გულს ნუ მოკლავ შენი ამგვარი ნერვიულობით! — ლუკა შეეხვეწა.

— ჩემი უბედურება გულს გიკლავს? კარგი, მაშინ გაჩვენებ ჩემს ყველაზე დიდ უბედურებას! — კლარა გარეთ ალქაჯივით გავარდა, ლუკა ფეხშიშველა გამოეკიდა. ცოტა ხანს სდია თოვლში, მერე უკან შემობრუნდა ფეხსაცმელების ჩასაცმელად; თოვლში კლარას კვალს მის სახლამდე მიჰყვა და შინ დამშვიდებული დაბრუნდა.

მეორე დღეს სოფელში უცნაური ამბავი გავრცელდა, გრამიტონა კლარას ცოლად ირთავსო...

გრამიტონს სახლში ქეიფი ჰქონდა, რამეთუ მას ქორწილს ვერ დაარქმევდი. თხუთმეტიოდე თანამოაზრე შეკრიბა და კლარასთან შეუღლებას ზეიმობდა.

კლარამ ლუკას დაპატიჟება მოითხოვა. გრამიტონი ფეხები ჩაუვარდა, შენი ჭირიმე, კლარა, ის აქ რომ მოვიდეს, შეიძლება უბედურება დატრიალდესო. კლარამ მაინც არ მოუსმინა და წრიპო გააგზავნა ლუკას მოსაყვანად.

წრიპომ ლუკას სახლის ალაყაფის კარებს მიაყენა მანქანა და საყვირი გაბმით ჩართო. ლუკა სახლში იყო და ისე ბორგავდა, საყვირის ხმას ყურადღება არ მიაქცია. „კარგი, მაშინ გაჩვენებ ჩემს ყველაზე დიდ უბედურებას“, — ყურებში უწიოდა კლარას გოდებით ნათქვამი და ბოღმა ახრჩობდა, რომ ამ უბედურების მიზეზი თვითონ იყო და კლარას ვერაფრით შველოდა.

წრიპოს საყვირის ღრიალი მოსწინდა და ეზოში შევიდა.

— ლუკა, გამოიხედე, კაცო! — დაუძახა.

ლუკა გარეთ გამოვიდა და წრიპოს გაბრაზებული მიაშტერდა.

— კლარამ გამომგზავნა, ახლავე წამოიყვა, ჩემს და გრამიტონას შეუღლებას დაესწროსო, — მოახსენა.

— შენ მასხარად ასაგდები ჩემს მეტი ვერავინ ნახე?!

— რა მახსრობა, კაცო, ახლაც სუფრაზე გრამიტონას გვერდითა ზის და ლუკა მაიყვაო.

— გრამიტონას გვერდით მექათმეობაში ფროსია რომ არის ის არ დაუჯდება მაგ კვაზიმოდოს, არა კვაზიმოდო სულით სპეტაკი იყო. ეგ სულ-ხორცით მყრალი და ბინძურია, ჰოდა, ბინძურის გარდა გვერდით ვინ მიუჯდება. კლარა კი სულით სპეტაკი და უწმინდესი ადამიანია, თითქმის ანგელოზია, გაიგე? — ლუკა ბოლო სიტყვებს ღრიალით ამბობდა. წრიპოს ხელი დაავლო, მოაბრუნა და ისეთი ჭიტლაყი ამოჰკრა, რომ რამდენიმე მეტრზე გაფრინდა და მიწას პირქვე დაასკდა...

— არ წამოვიდა? — ჰკითხა კლარამ ნაჭიტლაყარ წრიპოს.

— წამოვალო კი არა, გრამიტონას გვერდით ბინძურის გარდა არავინ დაჯდებაო, კლარა კი სულით სპეტაკი, უწმპნდესია, თითქმის ანგელოზიო. მე კი იმ ნადირის ხელში ტყუილად ჩამაგდე! — საყვედურით უთხრა წრიპომ და ნატკენ საჯდომზე ხელი მოისვა.

— როგორ გითხრა, ანგელოზიო? — ჰკითხა კლარამ.

— ჰო, სპეტაკი და უწმინდესი ანგელოზიაო.

— ანგელოზიაო? — კლარა ახლა უკვე ტირილით ეკითხებოდა.

მაგიდასთან აღარ დამჯდარა, ოთახში შევიდა და ტირილით გული მოიოხა. მაგიდასთან კი მთვრალი გრამიტონი გაუთავებლად ტრაბახობდა.

კლარა საწოლზე გაუხდელად იწვა, არ ეძინა, ლუკაზე და თავის კიდევ ერთ თავქარიან საქციელზე ფიქრობდა; ახლა უკვე ნანობდა, რომ ლუკას გული ატკინა. გრმიტონი ოთახში რაცრაცით შევიდა, ხელები გაშალა და კლარასკენ გაემართა. კლარა წამოხტა: — სად მოდიხარ, შე პირუტყვო! — უყვირა.

გრამიტონი შეჩერდა, კლარას შიშმა ისევ გაიხსენა.

— აქ შემოსული არ დაგინახო, შე ბინძურო, თორემ მაგ მყრალ სულს ამოგაძრობ! — უყვირა, მივარდა და სულ კინწისკვრით გააგდო გარეთ.

ამის შემდეგ გრამიტონს შინ მისვლის ეშინოდა. საღამოობით კანტორაში დიდხანს იჯდა. სახლში გვიან ისე შეიპარებოდა ხოლმე, რომ კლარას ვერ გაეგო. უჩუმრა დაწვებოდა და დილით

ისევ გაიპარებოდა, სანამ კლარა გაიღვიძებდა.

საღამო იყო. გრამიტონის კაბინეტში ხითავა და ჭიმია ისხდნენ, ხითავას ცალი თვალი ჩალურჯებული ჰქონდა.

— ყველაფერში ლუკაა დამნაშავე, — უკვე მერამდენედ უყვებოდა ხითავა, — მაგ გიჟმა რაღაცა ჯიშის სიმინდის თესლი მაიტანა, საწყობის კუთხეში ეწყო ტომრებით; გაზაფხულზე უნდა დავთესოო. ჰოდა, ვიღაცეები მოვიდნენ, კარგი ფასი შემაძლიეს, შენც ხომ გითხარი. ის გავყიდე და მის ადგილზე ჩვეულებრივი სიმინდის ტომრები დავაწყე; ის ლაწირაკი ნიკო მოვიდა, ნახა და აყვირდა. ვეუბნები, ბიჭო, გაჩერდი, ცოტა ფულს შენც მოგცემ-მეთქი. გაგიგონია? ისეთი ყვირილი ატეხა, სხვებსაც გააგებინა. ჰოდა, მოცვივდნენ და მცემეს, თორემ ნიკო რას მემერეოდა. ეს კიდევ არაფერი, დემემუქრა, ლუკა რომ გაიგებს, დედა მერე გეტირებაო. ის გიჟი უკვე რამდენი დღეა მინდორში ზის, თევზების ტბორი რომ გაკეთა იქაა, ამ ყინვებში თევზები არ დაიხოცონო. შიშით საწყობში ველარ შავდივარ, ჩემს მტერს,ის რომ გაიგებს... გითხარი, ამას ნუ გავაკეთებდი და ეგე! — ხითავამ შიშით შეხედა არანაკლებად გულგახექთილ გრამიტონს.

— განა მარტო ნიკოა გათავხედებული? შენამდე ხმა არ მოდის, რომ იცოდე, სადაც ორი კაცი ერთად დგას, ლაპარაკობენ, გრამიტონა დროზე უნდა მოვიშოროთ და ლუკა მოვითხოვოთ თავმჯდომარედ, თორე კოლექტივი დაშალესო, — წააქეზა ჭიმიამ.

— ეგრეა, ეგრე! თუ არ მოვიშორეთ, ჩვენი საქმე სულ უკუღმა წავა; ძალიან საშიში ვინმეა, — ჩურჩულით თქვა გრამიტონმა.

— შენ მარტო თქვი და მაგის მოშორებას რა უნდა, მე და ხითავა თევზის ტბორთან დავხვდებით და, სულ მარტო არ არის...

— ორნი კი არა მაგას ოცი კაცი ვერას დააკლებს; მე ხომ ვიცი, რა ჯანის პატრონია, — უიმედოდ თქვა გრამიტონმა.

— ჩხუბს ხომ არ დავუწყებთ, იმან რა იცის, რას ვუპირებთ; უკნიდან რკინის კეტს დავუშვებთ თავში და მოგჭამა ჭირი,

სადმე ხრამში გადავაგდებთ, ძვალმიანიანად რომ დაიკარგოს, – საქმის ცოდნით თქვა ჭიმიამ.

– ეგრე კარგი იქნება. ოღონდ ეს ჭირი მამაშორეთ და მაღარიჩი ჩემზე იყოს! – გახარებული გრამიტონი ფეხზე ადგა და ტაში შემოჰკორა.

შეთქმულები გრამიტონს გამოემშვიდობნენ და გეგმის განხორციელებას შეუდგნენ...

ძლიერი ყინვა იყო. რამდენიმე დღე-ღამე ლუკა თავის საცდელ ნაკვეთს არ მოსცილებია. ზეთის ხილის, ლიმონის, კივის ნარგავები ცელოფანში ჰქონდა შეხვეული, ლეღვის და ბროწეულის ხეებიდან ყინული ჩამობერტყა, ახლა ნაკვეთის ბოლოსკენ წავიდა, სადაც თევზის ტბორი მოაწყო, იქვე მინდვრის გზა გადიოდა, მიწისპირს მუქი ნისლი სევდასავით დასწოლოდა.

ტბორთან, „ვოლგა“ გაჩერდა, მანქანიდან ჭიმია და ხითავა გადმოვიდნენ.

– გამარჯობა, ლუკა, სახლში ხომ არ წამოხვალ? – შესთავაზა ჭიმიამ.

– წამოვალ, ოღონდ ცოტა ხნით უნდა მომიცადოთ, ტბორი გაიყინა, თევზები არ დაიხოცონ უჟანგბადოდ, რამდენიმე ადგილას ჩავამტვრევ და წავიდეთ. მანქანაში ძელაყინი გექნება, – სთხოვა ლუკამ.

ჭიმია საბარგულისაკენ წავიდა, თან ხითავას თვალი ჩაუკრა.

სქელი ნისლი ამ ადგილას საგრძნობლად შეთხელებულიყო; ბუნებას ეძინა, არავითარი ხმა არ ისმოდა.

ჭიმიამ ლუკას ერთმეტრიანი მაჯის სისქე რკინის ნაჭერი მიურბენინა, ლუკამ დახედა, ვერ მიხვდა, რისთვის იყო საჭირო.

– რა არის ეს? – ჰკითხა.

ჭიმია დაიბნა, ფერი დაკარგა, „ხომ არაფერს მიხვდა?“ შეშინებულმა გაიფიქრა. გული კინაღამ გაუჩერდა, სუნთქვა შეუგუბდა. საკმარისი იყო, ლუკას შეკითხვა გაემეორებინა, რომ ყველაფერს დაამღერებდა.

ლუკა შებრუნდა და ყინულში ჭრილების ამოტეხას შეუდგა.

ხუთ ადგილას ფართო ყინულის ჭრილები გააკეთა. ჭიმიამ შვებით ამოისუნთქა, ლუკასთან ახლოს მივიდა და მის საქმიანობას აკვირდებოდა.

ლუკა ერთგან მუხლებზე დადგა, რკინა გვერდით დაიდო, დაიხარა და ჩამტვრეული ყინულის ნაჭრების ამოყრა დაიწყო.

ჭიმიამ ფრთხილად აიღო რკინის ნაჭერი, ხელში შეატრიალ-შემოატრიალა. მუხლებზე მდგარი ლუკა წახრილიყო და ყინულის დიდ ნაჭერს ეჭიდებოდა. ჭიმია ახლა მხოლოდ ლუკას შავი აბრეშუმივით ნაზი და ხშირი თმით დაფარულ კეფას ხედავდა; გული ძალუმად უცემდა. „ახლა, თორემ მერე ამგვარი მომენტი აღარ მექნება“ — გაიფიქრა. ლუკამ ყინულის ნაჭერი ორივე ხელით ამოსწია. ამ დროს ჭიმიამ მთელი ძალით რკინის ნაჭერი დაარტყა კეფაში. ლუკა წინ წაქანდა და თავით ყინულს დაასკდა: სისხლმა იფეთქა და ადამიანის ბოროტების კვალი კეთილი ადამიანის სულივით სპეტაკ თოვლს დაატყო.

— ჩქარა მოდი, მომეხმარე! — დაუძახა გაშტერებულ ხითავას.

ორივემ ლუკა მანქანაში შეათრიეს და უკანა სავარძელზე დააგდეს.

— ალაზანში გადავაგდოთ, — ხითავამ შესთავაზა.

— იქამდე შორია, არავინ შაგვხვდეს. არხი გაყინულია, აქვეა, ჩავამტვრიოთ და შიგ ჩავაგდოთ; მერე ეძებონ, სანამ გადნება, ვერავინ მიაგნებს! — ჭიმია საჭეს მიუჯდა და არხისკენ მიმავალ გზაზე ჩაწოლილ ნისლში გაუჩინარდნენ...

ქიტესა ცხენს მიერეკებოდა, თან მალმალე ლუკასკენ ბრუნდებოდა და აკვირდებოდა, ტყაპუჭს შეუსწორებდა და ცხენს აჩქარებდა.

ორთვალა ხირსას გასცდა. ნისლი ნელ-ნელა ცივგომბორის ქედზე შეცურდა და გზიდან მაღლა აიწია.

ლუკამ დაიკვნესა. ქიტესა სწრაფად შემობრუნდა: — ლუკა! ლუკა! ხმა გამეცი, ბიჭო! ქიტესა ვარ, ამალიას მამა, ლუკა, არ გესმის?! — ყურში ჩასძახა.

ლუკამ ძლივს გაახილა თვალები, ვერაფერს ხედავდა, თავი

საშინლად სტკიოდა, გრძნობდა, რომ სადღაც იყო და თავში მძიმე ეროს ურტყამდნენ. უნებურად ამოიკვნესა; ქიტესამ ისევ ჩასძახა ყურში.

ლუკამ ტუჩები შეატოკა, რაღაცის თქმა უნდოდა; ქიტესამ ტუჩებთან მიუტანა ყური.

— სახლში წამიყვანე, — ჩურჩულებდა ლუკა.

ქიტესა თითქოს ახლა მოვიდა გონს, ცხენს მიუბრუნდა და ლუკას სახლამდე ისე არბენინა, სახრე სულ ზედ დაამტვრია.

სოფელში თოფივით გავარდა ხმა, ლუკა მოუკლავთო. ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი ხალხი ყაყანებდა.

კლარასთვის ეს ამბავი დღის ბოლოს გახდა ცნობილი. წრიპო და გრამიტონი ლაპარაკობდნენ: — თავს იყო გასული, ყველას ჩაგრავდა, ეგე ვიღაცა შახვედრია თავისი ჭკუისა, აბა, რა ეგონა! — ნიშნის მოგებით ამბობდა გრამიტონი.

— ეგ მე ადრე უნდა მემეკლა, გიჟი იყო, შენს ქორწილში დავპატიჟე და ცემა დამიწყო; იქავე გავიგდებდი წიხლს ქვეშ, მაგრამ შენ გეცი პატივი, — დაიტრაბახა წრიპომ.

— მოუკლავთ და კარგად უქნიათ! დაისვენებს ხალხი და სოფელიც! — ხელების ფშვნეტით ამბობდა გახარებული გრამიტონი.

კლარას ელდა ეცა. მაშინვე ლუკაზე იფიქრა, წრიპო ხომ მან გააგზავნა ლუკას დასაპატიჟებლად. ვაითუ ლუკა მოკლეს, მე კი გულის ტკენა მინდოდა. — ვაიმე! — კლარამ თავში შემოიკრა ხელი, მაინც გული გაიმაგრა და მოსაუბრეებთან შევიდა.

— ვინ მოუკლავთო, რას ამბობდით? — იკითხა.

— მა რა ეგონა, ეგე ხო შახვდა თავის ჭკუის! — ნიშნის მოგებით თქვა წრიპომ.

— ვის შეხვდა თავის ჭკუის, ვინ მოკლეს, რატომ არ მეტყვით?! — კლარამ ხმას აუწია.

— ვინა და... — გრამიტონს უნდოდა ეთქვა, ვინც ღირსი იყოო, მაგრამ კლარას რომ შეხედა, გადაიფიქრა, — რავი, ლუკა მოუკლავთო, იძახიან!

— ლუკას მოკვლა გიხარია, შე ჭირიანო?! — კლარა გრამიტონს გაუქანდა, ის სასწრაფოდ ოთახში შევარდა და კარები ჩაიკეტა.

— სადა ჰყავთ ლუკა?! — კლარა ღრიალით ეცა შეშინებულ წრიპოს.

— თავის სახლშიაო, ამბობენ — წრიპომ სასწრაფოდ მოახსენა უკან-უკან რომ გარბოდა.

— ვაიმე, ლუკა!!! — კლარამ საშინელი ხმით დაიწივლა და ლუკას სახლამდე შეშლილის ღრიალით მიიჭრა.

ეზოში შეგროვილებმა აღრიალებული კლარა ვერ შეაჩერეს. ოთახის შესასვლელთან ზაური გადაეღობა. კლარამ შეღრიალა: — ზაურ, ლუკა აღარ არის?!

ზაურმა ხელები გაშალა და შიგ არ შეუშვა.

— ნუ გეშინია, ცოცხალია, გადარჩება! ახლა სიმშვიდე სჭირდება, ექიმები არიან შიგ; ნუ ტირი, ყველაფერი ესმის! — გააფრთხილა.

კლარა უცებ გაჩუმდა. ლუკას გადარჩენის იმედის ნაპერწკალმა გონზე მოიყვანა.

— ცოცხალია? გადარჩებაო, ზაურ?! — რაღაც აუწერელი სიხარული, იმედი და თხოვნა იყო ჩაქსოვილი მის ხმაში.

— ცოცხალია და აუცილებლად გადარჩება! — დარწმუნებით უთხრა ზაურმა.

კლარა ამ საშინელი განცდის შემდეგ მოეშვა, ზაურს მოეხვია, თავი მკერდზე მიადო და აქვითინდა.

სანამ ლუკა არ გამოკეთდა, კლარამ თავი არ დაანება. დღე და ღამე მის სასთუმალთან იჯდა და არავის უშვებდა მოსავლელად, ვაითუ ისე არ მიხედონ, როგორც საჭიროაო. გრამიტონი კი ტრაბახობდა, ლუკას ჩემი ცოლი ადგას თავზე, ისეთი მეგობრობა გვაქვსო; არადა თვითონ ერთხელ არ მისულა მის სანახავად.

ლუკას საწოლთან ზაურიც ხშირად იჯდა. სადაც კი კარგი ექიმი ეგულებოდა, ყველა მოიყვანა. გადარჩენის იმედი მისცეს,

ოღონდ უნდა იწვეს და არ ადგესო, დაუბარეს. ზაურს ეშინოდა, იქნებ კლარას არ დაუჯეროსო და ხშირად იქ იყო.

ქიტესამ პირველად მას მოუყვა, რაც მოხდა და გაიგონა. ზაურმა გააფრთხილა, თქვი, რომ წაიქცა, ქვას დაარტყაო თავი. თუ გონზე მოვიდა და გადარჩა, ყველაფერი გაიკრვევა, თუ არადა... ზაურს ცრემლები მოადგა, მწარე ნერწყვი გადაყლაპა, თავი ვეღარ შეიკავა და ასლუკუნდა: — მათ საძებნად ისედაც ბევრი დრო გვექნება.

ამის შემდეგ ქიტესამ პირი გაიკერა, — რა ვიცი, წაქცეულიყო და ქვისთვის დაერტყა თავი, — ამბობდა და მკერდში მუშტს ირტყამდა: — ჰაი დედასა, უფალო! შენ სამართლიანი იქნები, ეგეთი ბიჭი რომ არ გადაარჩინო?! — მარტო დარჩენილი მოსთქვამდა.

კლარა ბედნიერი იყო ლუკასთან ყოფნით და მასზე ზრუნვით. ექიმების გარდა არავის ანდობდა მის მოვლას, ვაითუ ისე არ გააკეთონ, როგორც საჭიროაო.

ახლაც მის სასთუმალთან იჯდა და ლუკას ხელზე ეფერებოდა. ლუკამ თვალები გაახილა, კლარა იცნო და ძნელად გასაგონად თქვა: — კლარა, შენ?

— შენ შემოგევლე, ჩემო სიცოცხლევ! მე ვარ, ლუკა, მიცანი? — კლარას ამგვარი სიხარული ალბათ თავის სიცოცხლეში არ განეცადა.

— გიცანი, კლარა, აქ საიდან გაჩნდი?

— რაც მოგიყვანეს, იმის შემდეგ არ მოგცილებივარ, მინდა ჩემი სიცოცხლე, ჩემი სუნთქვა გადმოგცე, შენს წამლად დავდნე და ამით ბედნიერი წავიდე ამ წუთისოფლიდან! — კლარა ლუკას ხელზე დაეკონა და კოცნა დაუწყო.

ლუკამ თვალები დახუჭა. კლარა შეშფოთდა.

— ლუკა, ცუდად ხომ არ გახდი?! — ჩასძახა.

ლუკამ თვალები გაახილა: — ნუ გეშინია, კლარა, ახლა უკვე აღარ მოვკვდები, — ძლივს გასაგონად თქვა და თვალები ისევ დახუჭა...

ზაურმა პირლსავე დღეს გააგებინა მარინეს რაც მოხდა.

— მიხედე, ზაურ, ყურადღება არ მოაკლო! — ჩვეული ბატონკაცური ტონით უთხრა. — მე ძალიან დატვირთული ვარ, როგორც მოვიცლი, ვეცდები, ჩამოვიდე და ვნახო.

— ნუ შეწუხდები, ლუკას მნახველები უშენოდაც არ აკლია! ბოდიში, რომ მოგაცდინე და თათბირზე თუ ზეიმზე დასწრების დრო მოგაკელი! — ზაურმა ყურმილი დაახეთქა და მარინეს მისამართით მიაფურთხა.

მარინემ კი რაღაც შვება იგრძნო. ლუკას პიროვნება მის გაზრდილ ამბიციებს ვერ აკმაყოფილებდა, არადა ლუკას საცოლეობა ბოჭავდა, თავის დაძვრენას ცდილობდა, თუმცა ლუკა თავს არ აბეზრებდა და არც ჰქონდა მისთანა ქალზე პრეტენზია, ლუკას ცხოვრების მიზანთან არავითარი საერთო რომ არ ჰქონდა.

ლუკამ სააქაოდ მოიხედა. ახლა მისი სიცოცხლე საფრთხის წინაშე აღარ იდგა. წოლითი რეჟიმი და სიწყნარე იყო საჭირო სრულიად გამოჯანმრთელებისათვის. კლარა ბედნიერი იყო მისი მოვლის საშუალება რომ ჰქონდა, მაგრამ ეს განცდა ზაურმა ჩაუმწარა. ცალკე გაიხმო და მკაცრად უთხრა: — კლარა, ლუკას ძალიან დიდი სამსახური გაუწიე, იშვიათი მეგობარი ხარ. აღარაფერი უჭირს, ნელ-ნელა გამოჯანმრთელდება; ახლა სახლში წადი, ქმარი გყავს და უხერხულია.

— ვინ არის ჩემი ქმარი, გრამიტონა? შენი მიკვირს, ეს კომედია რამ დაგაჯერა? მე ლუკასთვის მინდა ჩემი სიცოცხლე, ვინც რა უნდა თქვას, არ მედარდება?! ოღონდ ლუკა კარგად იყოს, ახლავე ჩავბარდები ეშმაკს ჯოჯოხეთში გასაგლეჯად. ახლა ლუკას აღარაფერი უჭირს, შევალ, დავხედავ და წავალ ჩემს ჭირის გზაზე! — კლარამ ზაურს აცრემლებული თვალებით შეხედა და მასაც აუჩუყდა გული.

ლუკას ეძინა. კლარამ მისი ხელი აიღო, დიდხანს კოცნა, ცრემლებად დადნა, ძლივს იკავებდა თავს, რომ არ აღრიალებულიყო; უცებ წამოხტა, გარეთ გავარდა და იქ კი აღრიალდა.

ზაურმა ამოგმინა, კლარას გამოკიდება და მობრუნება სცადა,

მაგრამ ის უკვე ალაყაფის კარებში გასულიყო. — ოოოხ! — ამოიღ-რიალა და თვალებზე მომდგარი ცრემლები მუჭით მოიწმინდა.

გრამიტონის ბანაკში კი შიშის ზარი რეკავდა. გვიან ღამით ხითავა და ჭიმია სახლში ესტუმრნენ.

— ფრთხილად, კლარა სახლშია! — გრამიტონმა გააფრთხილა, მერე თავის ოთახში ჩაიკეტნენ და დიდხანს ჩურჩულებდნენ.

— როგორ დაუშვით, რომ ცოცხალი გადარჩა?! — გაუწყრათ გრამიტონი.

— სიცოცხლის ნიშანწყალი აღარა ჰქონდა. ცოცხალიც რომ ყოფილიყო, ყინულის ქვეშ ჩავაცურებდით და მორჩენილი იყო, მა-გრამ იმ შობელძაღლმა ქიტესამ სულ რაღაც ორ-სამ წუთში მოგვას-წრო; იმასაც ძაღლის სისხლი აქვს! — ღრენით თქვა ხითავამ.

— რატომ ისაც არ მიაძაღლეთ!

— რა ვიცოდით, მარტო რომ იყო, თორე...

— რა გვეშველება, გონზე თუ მოვიდა! — გრამიტონმა ხე-ლები თავზე მოიჭირა.

— რავი, ქიტესას უთქვია, წაქცეულა და ქვაზე დაურტყიაო თავი, — ანუგეშა ჭიმიამ.

— იქნება გვეშველოს?! — დაბნეულად თქვა გრამიტონმა.

— იქნება, იქნება! — დაეთანხმა ორივე.

ოთახიდან რომ გამოვიდნენ, კლარა შემოხვდათ.

— რასა გავხართ, თქვე უდღეურებო! რაღაც კარგ საქმეზე არ უნდა იყოთ ნატარი, — კაცი ხომ არ მოკალით?! ადამიანის ფერი არ გადევთ! — დაუცაცხანა.

ხმის ამოღება ვერცერთმა ვერ გაბედა, ისე გავიდნენ...

ლუკა უკვე კარგად იყო. საწოლზე წამომჯდარი ზაურს მხ-იარულად ელაპარაკებოდა, სახეზე კი ჯერ ისევ ნაცრისფერი დაჰკრავდა.

— ახლა წამოწექ, დიდხანს ნუ წამოჯდებიო, ექიმმა დაიბარა, — უთხრა ზაურმა.

— უკვე კარგად ვარ, თავის ტკივილიც გამიქრა, თქვენი ხათრი რომ არა, საწოლში რა გამაჩერებდა; მთლად ნორმალურად ვგრძნობ

თავს. ერთი რამ მიკვირს მხოლოდ: სანამ ძალიან ცუდად ვიყავი, სულ კლარა მეჩვენებოდა, თავზე მედგა, არ მცილდებოდა; მისი ზრუნვა რაღაც უცნაურ სიამოვნებას მგვრიდა. კარგად გავხი და გაქრა; გულახდილად გითხრა, გული დამწყდა, — სინანულით თქვა ლუკამ.

ზაურს სიცილი აუტყდა:

— რა გაცინებს?! — ლუკას გაუკვირდა.

— შენ რომ მოგიყვანეს, სოფელში ხმა გავარდა, მოკლესო. კლარას რომ გაეგო, გიჟივით საზარელი ღრიალით მოვარდა, ცოცხალი რომ არ დახვედროდი, ნამდვილად ზედ დაგაკვდებოდა. მას შემდეგ დღე და ღამე თავზე გედგა და ერთი წუთით არ მოგშორებია. ცოტათი რომ მომჯობინდი, მე ვურჩიე, წასულიყო. შენთან შემოვიდა, გეძინა, ხელზე გეფერებოდა, ცრემლებად დადნა, მერე უცებ გავარდა გარეთ და იქ კი აღრიალდა. ვეღარ მივასწარ, თორე შევეხვეწებოდი, დარჩენილიყო; იმის გახსენებაზე ახლაც გული მიკვდება, — ზაურს თვალებზე ცრემლები მოადგა.

ლუკას ელდა ეცა, ხმის ამოღება ვეღარ შეძლო, ისედაც ფერმკრთალი მთლად გაფითრდა და თვალები დახუჭა. ზაური ეცა: — ლუკა, რა მოგდის?! — შეშფოთებულმა უთხრა. ლუკა ისევ იმ მდგომარეობაში იყო. ზაური აღრიალდა: — მიშველეთ, ლუკა ცუ-დადაა! — მეორე ოთახიდან ექთანი შემოვარდა, რაღაც ნემსი გაუკეთა, ლუკამ თვალები გაახილა.

— როგორა ხარ, ბიჭო, რა გული გამიხეთქე! — ზაურმა შე-სტირა.

— არაფერია, ეტყობა ყოფნა-არყოფნის განცდა მომენატრა, — ძლივს თქვა და ისევ დახუჭა თვალები.

— მოიცა, მოიცა! თუ გინდა იმ კეთილ ანგელოზს მოგიყვან, არ დაღონდე! — ზაური შეეხვეწა.

ლუკას მწარედ გაეღიმა: — კეთილ ანგელოზს იქით უჭირს; გამოვკეთდები და ვეცდები დავეხმარო.

— დაწყნარი, ლუკა, ყველაფერი კარგად იქნება, — ზაურმა გაამხნევა.

— მარინემ თუ გაიგო ჩემი ამბავი? — უცებ იკითხა ლუკამ.

— მე გავაგებინე. არ მცალია, ძალიან დაკავებული ვარ, როგორც მოვიცლი, ვნახავო; თავისი უმაღლესობის ყურადღება დაგვამადლა, — ირონიულად თქვა ზაურმა.

— მარინე საშინელი სენითაა დავადებული, რომელსაც კარიერისტული სიხარბე ჰქვია. მე მისთვის უცხო ვარ, აღარა ვჭირდები, თუმცა არც მე მხიბლავს მისი ამბიციურობა; მარინეს მასავით ქარაფშუტა თუ გაუგებს, — ლუკა დაიღალა, ისევ დახუჭა თვალები.

— დამშვიდდი, ლუკა, თუ ვინმე შენი ღირსი არ არის, ეს მისი პრობლემაა მხოლოდ; დაისვენე და საუბარი მერე გავაგრძელოთ, — უთხრა და ადგა.

— მოიცა, ზაურ, მალე მეც ავდგები! — ლუკამ ისევ გაახილა თვალები. ზაური დაჯდა: — სანამ სულ კარგად გახდები ფეხზე არ ადგე, მტერი არ გაახარო! ვერ გეკითხები, რა მოხდა, არადა მოთმინება დამელია, ვინ იცის, წინაც მხვდებიან ის გარეწრები, მე კი აზრზე არა ვარ; ვისზეც ეჭვი მაქვს, მინდა, ვეცე და ყელი გამოვღადრო. ისე კი ქიტესა ძია დროზე გავაფრთხილე, რაც ნახა, არავისთვის ეთქვა, მარტო მე და იმან ვიცით. ყველას ჰგონია, რომ წაიქცა და ქვას დაარტყაო თავი. მე კი მთელი ღამე შენ სახლს არ ვცილდები, ვინ იცის, მკვლელებმა უარესი ვერაგობა არ იკადრონ; რომ ვიცოდე, ვინ არიან, მაშინ სხვა საქმეა, — ზაურმა შემპარავად თქვა და ლუკას პასუხს მოუთმენლად უცდიდა.

— ყველაფერს გეტყვი, იმათაც შეგახვედრებ, როგორც ეკადრებათ, ისე კი ვერაფერი ვაჟკაცები არიან...

მალე ლუკამ ზაურს დაწვრილებით მოუყვა, რაც მოხდა.

— შენ ამ ამბის არაფერი იცი, ავდგები და ქიტესა ძიას ბინაზე მოვუწყოთ საქმის გარჩევა. შენ გააფრთხილე, რომ მის საყარაულოში იხილავს იმ არაკაცებს, — ლუკამ ზაურს სიყვარულით მოუჭირა ხელზე ხელი.

გრამიტონს და მის თანამოაზრეებს შიშმა გაუარათ. ლუკა კარგად იყო, მაგრამ მათზე არაფერი არ თქმულა. ყველამ იცოდა,

რომ ლუკა წაიქცა და თავი ქვას დაარტყა. ირწმუნეს, რომ ლუკას აღარ ახსოვდა რა მოხდა.

გრამიტონი სოკრატს ხშირად ხვდებოდა და თავისი ყოფაქცევით საბოლოოდ დაარწმუნა, რომ იოლად სამართავი ნახევარკაცი და ნახევარცხოველი იყო. ერთხელ სოკრატმა კლარა ნახა და გაუკვირდა, ეს უმშვენიერესი, ქალური ყველა სიკეთის ჰარმონიულად შეხმატკბილებული სასწაული ამ ნაკელის გუდას როგორ გაჰყვაო. გრამიტონს ყველა შეხვედრაზე მეუღლეს უქებდა და ეხვეწებოდა გამაცანიო. ბოლოს თავი დააპატიჟებინა და ახლა ორივე გრამიტონის ბინაზე მაგიდას უსხდნენ.

— შენ თამამად იმუშავე, გრამიტონ, სანამ მე ვარ, უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემს! — შემთვრალი სოკრატი უკვე მერამდენედ იმეორებდა.

გრამიტონი, მოჭარბებული ღვინისა და გრძნობებისაგან ისე იყო გაბრუებული, სოკრატს დროდადრო ეხვეოდა და ლოშნიდა.

— კარგი ცოლი გყავს, გრამიტონ, ძალიან მოუფრთხილდი, თორემ, ხომ იცი, მაგას არავინ დაიწუნებს! — მთვრალი სოკრატი გრამიტონს აფრთხილებდა და შემთხვევით გამოჩენილ კლარას თვალებით ჭამდა.

„საიდან მოათრია ეს ხვადეგი!“ — გაიფიქრა კლარამ, „თუმცა გრამიტონასთან წესიერი ვინ მოვა; ყველა თავის მსგავსს ეძებს!“.

— კლარა, ეს ჩემი მეგობარი სოკრატ გიგაევიჩია, მას ყველაფერში ვენდობი, შენც ენდე, — გრამიტონმა ბლუკუნით თქვა და თავი მაგიდაზე დაუვარდა.

— მაშ, მაშ, ეგრეა, ქალბატონო კლარა! — სოკრატმა თვალი ჩაუკრა და მის ამობურცულ მკერდზე ვნებამოჭარბებული მზერა მიაბჯინა.

„ორი პირუტყვი! დედას გიტირებ თუ თავხედობა შეგარჩინო!“ გაიფიქრა კლარამ და სოკრატს ეშმაკურად გაუცინა.

სოკრატი სკამზე დაიშალა, დადნა.

— მოდი, კლარა, გვერდით დამიჯექი! — თავხედი მოარშიყის უტიფრობით მიიპატიჟა.

კლარა ახლოს მივიდა, დაიხარა და ჩაუჩურჩულა: — ასე რატომ მიცქერით, ბატონო სოკრატ?! განა გრამიტონას მეგობარი არა ხართ?

— გრამიტონა რა კაცია, მყრალი და მთხლეა, დონდლო! — სოკრატმა ხმამაღლა უთხრა, ხელი მოჰკიდა და თავის გვერდით დასვა, მეორე ხელი ბარძაყისაკენ ჩააცურა; კლარამ ხელი მოჰკიდა და მაგიდაზე დაადებინა.

— წამოდი, კლარა, მანქანით გავისეირნოთ, — შესთავაზა სოკრატმა.

— გრამიტონა? — ეშმაკურად უთხრა კლარამ.

— გრამიტონა ვინ ჩემი ფეხებია, გვერდით რომ მეწვე, ხმას ვერ ამოიღებს! — რიხით თქვა სოკრატმა.

— თუ ეგრეა წავიდეთ, — კლარა დაეთანხმა.

სოკრატი ბანცალით ადგა, კლარას უხეშად მოჰკიდა ხელი, — არ ჩაიცვამ? — ჰკითხა.

— ეგრე წამოვალ, რა უჭირს.

გარეთ გავიდნენ. კიბის ბოლო საფეხურიდან მარცხნივ ღრმა ათქვეფილი ტალახით სავსე თხრილი იყო, სოკრატის მანქანა იქვე ხუთიოდე მეტრის მოცილებით იდგა. სოკრატი თავს ვერ იმაგრებდა, კლარას ეჭიდებოდა და თანაც ხელების მოფათურებას ცდილობდა. კლარამ ბოლო საფეხურამდე მიიყვანა და მთელი ძალით ტალახიან თხრილისკენ უბიძგა. სოკრატი გვერდით გადაქანდა და ტალახში მთელი სიგრძით გაიშხლართა. შიგ კარგა ხანს იფართხალა, ჩურჩხელასავით ამოევლო. მძღოლმა ძლივს ამოათრია და სქელი ტალახით დამბალი მანქანისაკენ წაათრია.

— შორს გადააგდე ეგ ნაკელი, სუნი რომ არ მოვიდეს! — მიაძახა კლარამ და კარები მიაჯახუნა.

ოთახში რომ შევიდა გრამიტონს მაგიდაზე თავდადებულს ეძინა, პირიდან დორბლი გადმოსდიოდა და იქაურობას ხრიალით იკლებდა.

— თფუჰჰჰ!!! — კლარამ მიაფურთხა და თავის ოთახში შევიდა...

ლუკა გამოკეთდა, ჯანმრთელობა ძველებურად აღიდგინა, ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი მომხდარაო...

ჭიმიამ თავისი „ვოლგა“ გზის პირას ლამაზად გაფორმებულ წყაროსთან მიაყენა, სავარძელზე შესწორდა და საკეტიდან გასაღები გამოაძრო. კარების გაღებას აპირებდა, რომ მის მანქანას უკნიდან „მოსკვიჩი“ მიადგა. ჭიმიამ საზურგეზე ხელი გადადო და უკან მიტრიალდა, მანქანას დააკვირდა, სანამ რამეს მოიფიქრებდა, წინა მარჯვენა კარები გაიღო და ვიღაცა დაუკითხავად ჩაჯდა შიგ, ჭიმიამ შეხედა და კინაღამ გული გაუსკდა, ლუკა მოჩვენებასავით იჯდა, წინ იყურებოდა, მისკენ არც გაუხედია, ისე თქვა:
— წადი!

ჭიმიამ საკეტს გასაღები ხელის კანკალით ძლივს მოარგო. მანქანა დაიძრა და თვალი სარკისაკენ შიშით გააპარა, უკან ის „მოსკვიჩი“ მისდევდა, „ნეტავ რას მიპირებენ?“ — გაიფიქრა. მუხლები უკანკალებდა, საჭესთან ნახევრადმკვდარი იჯდა.

— საით წავიდე? — ამოიკნავლა.

— იარე! — ლუკამ ისე თქვა, მისკენ არ მიუხედია.

კარგა ხანს ასე იარეს.

— მარცხნივ ჩაუხვიე! — უბრძანა ლუკამ.

ჭიმიას ხელ-ფეხი უკვე აღარ ემორჩილებოდა. „ვაიმე, იმ ადგილისკენ მივყავარ. ნამდვილად მომკლავს და არხში ჩამაგდებს! სჯობია, ახლავე ვცადო თავის შველა, თორემ მერე გვიან იქნება!“
— მარცხნივ გაუხვია, მანქანა უცებ გააჩერა, კარები გააღო და მოხრეშილ გზაზე გადახტა, გასაქცევად ფეხი გადადგა, მის წინ ლუკა იდგა. მაღლა ახედვა ვერ მოასწრო, მუშტი ისე მაგრად მოხვდა ჩანაში, რომ ჰაერში აიწია და გაფრინდა. მანქანის უკანა ფრთას წამოედო, საბარგულის სახურავზე გადაცურდა და უკანა მარჯვენა თვლის გვერდით გაიშხლართა. გონზე რომ მოვიდა, თავისი მანქანის უკანა სავარძელზე ეგდო, საჭესთან ლუკა იჯდა და მანქანას იმ საბედისწერო ადგილისაკენ მიაქროლებდა.

არხის პირას ორი მანქანა გაჩერდა, იქ, სადაც ცოტა ხნის წინათ ქიტესამ ლუკა გადაარჩინა.

ლუკამ მანქანის უკანა კარი გააღო, ჭიმიას კისერში სტაცა ხელი და დაბლა გადმოათრია.

— ერთად ჩავყაროთ არხში თუ ცალცალკე? — იკითხა ზაურმა.

— ვაააი მეეე! — დასაკლავი ხარებივით აღრიალდნენ.

ზაურმა ვეღარ მოითმინა და დაბლა დაგდებულ ჭიმიას წიხლები დაუშინა, ხითავა ისე იყო ნაცემი დასიებულ-დასისხლიანებული, თავპირიდან ცალი თვალი უჩანდა მხოლოდ.

ლუკამ ჭიმიას მხრებში დასტაცა ხელი და ფეხზე დააყენა. ხელის გაშვებისთანავე ისევ ჩაიკეცა; შიშისგან და ცემისგან დამბლა ჰქონდა დაცემული.

— ზაურ, დიდი ქვები მოძებნე, კისერზე მოვაბათ და არხში ჩავუშვათ! — ლუკამ დაუძახა და ორივე წყლის პირას მიათრია:

— შენი ჭირიმე, ზაურ, ქვები არ მოიტანო, არ მომკლათ!!! — ორივე ცალ-ცაოკე თავის გადასარჩენად ყვიროდა.

— თუ გვეტყვიან, ვინ დაავალათ, ჩემი მოკვლა, შეიძლება გადავიფიქროთ, თუ არადა, აქ არა ვართ, — თქვა ლუკამ.

— თუ იკისრებენ, მერე ვნახოთ, — დაეთანხმა ზაური.

— ვიტყვი, ყველაფერს ვიტყვი! — ხითავამ სასწრაფოდ წამოიძახა, ისევ არ გადაიფიქრონო.

— შენ რას იზამ? — ლუკამ ჭიმიას თავზე დააჭირა ფეხი.

— ყველაფერს ვიტყვი — მიწის ფურთხებით თქვა ჭიმიამ.

ორივე „მოსკივიჩის“ უკანა სავარძელზე მიყარეს, ჭიმიას მანქანა გზის მეორე მხარეს დიდ ბუჩქებში მოაფარეს. ლუკა ზაურს გვერდით მიუჯდა და მანქანა ქიტესას ბინისაკენ გააქროლეს.

ქიტესა მიეგებათ. — მარტო ხარ? — ჰკითხა ზაურმა.

— მარტო ვარ, მა რა, ამ დაკარგულში ვის გავახსენდები. შემოდით, შემოდით! — ოთახში შეიპატიჟა.

ლუკამ და ზაურმა ორივე კინწისკვრით შეყარეს ოთახში.

— ამათ ხედავ, ქიტესა ძია? მკვლელები არიან. შენ რომ არა, ჩემს ძვლებიც კი არ ეღირსებოდათ მიწაში დაფლობა. ჰკითხე, ისეთი რა დავაშავე, რომ სასიკვდილო განაჩენი გამომიტანეს.

შეიძლება უბრალო შემსრულებელი მკვლელები არიან და ვიღაცა ბოროტი სულის დავალებას ასრულებდნენ, თუ პრეტენზიები ჰქონდათ, იმის ვაჟკაცობა მაინც რატო არ ეყოთ, დამნაშავის სკამზე დავესვით და ბრალდებები წამოეყენებინათ. ასე დამნაშავის დაუსწრებლად გასამართლება და სიკვდილის განაჩენის გამოტანა თუ გადაწყვიტეს, ალბათ ამის უფლებაც ჰქონდათ მიცემული, ვთქვათ, განგებისგან, ან კაცური მორალისგან. ახლა ჩვენ მოვაწყოთ სამსჯავრო ამათი დასწრებით და აუცილებლად ადამიანური მორალის და ზნეობის დაცვით, განაჩენსაც შენ გამოუტან, — დაუმატა.

— მორალი და ზნეობა კი არა, ესენი აქამდე უნდა გაგვესრისა მორიელებივით!- ზაურმა ვეღარ მოითმინა, ჭიმიას ეცა, ფეხქვეშ გაიგდო და თუ დროზე არ გამოგლეჯავდნენ, ცემით ამოხდიდა სულს.

— შეეშვი, ზაურ, სიკვდილის განაჩენის გამოტანამდე არ მოკლა! — ლუკამ ცოცხალმკვდარი ჭიმია ძლივს გამოსტაცა.

— ესენი ცოცხალი მკვდრები არიან, მაშინ დაიხოცნენ, ადამიანეობაზე უარი რომ თქვეს და ქვეწარმავლობა აირჩიეს! — ზაური ახლა ხითავას მისდგა, რომელმაც თავპირზე ხელები აიფარა და პირქვე გაიშხლართა.

ბოლოს ორივე დასვეს გრძელ სკამზე სისხლს, ცინგლს და ცრემლს ერთად რომ იგლესდნენ დახეთქილ და დასიებულ სახეზე.

— ჭიმი, აბა ჩამოკაკლე, ლაუკას რკინა რატომ დაარტყი? თავი იმართლე, თორემ აზრზე არა ხარ, რა გელოდება! — მკაცრად მიმართა შაქრომ.

ჭიმიამ ხმის ამოღება ვერ მოახერხა.

— გეკითხები, ლუკას მოკვლა რად გინდოდა?!

— მე რაში მინდოდა რა, გრამიტონას უნდოდა, თავმჯდომარემ დამავალა და რა მექნა, არ შემესრულებინა? შენც აქ ყარაულად გრამიტონას დავალებით არა ხარ?! — ამგვარად იმართლა თავი ჭამიამ.

— რო დაევალებინა, შენი ცოლი მამიყვა, უნდა ვიხმაროო, მოუყვანდი?

— ცოლი რა შუაშია.

— სწორედ რომ შუაშია, მიუყვანდი თუ არა?! — ქიტესამ ხმას აუწია. ზაურმა ვეღარ მოითმინა. — შე ნაბიჭვარო, ცოლი რად გინდა, წუნწუხში ზიხარ! — უყვირა და ისეთი შემოჰკრა სახეში, სკამიდან გადმოვარდა და იატაკზე გაიშხლართა. წამოდგომას აღარ აპირებდა. ზაურმა ასწია და სკამზე დააგდო. ტუჩები ისე გასიებოდა გამოფურთხებას ვერ ახერხებდა.

— ეგე ვედრო, პირი მაბიანე! — უბრძანა ქიტესამ.

— ხითავ, შენ მითხარი, ლუკას მოკვლა რაში გჭირდებოდათ?

— გრამიტონასთვის გვინდოდა გვესიამოვნებინა. რკინა ჭიმიამ დაარტყა, მე რა შუაში ვარ, — ძლივს თქვა თავპირდალილავებულმა.

— მაშ, ნაპირზე ხარ არა? — ახლა ქიტესამ შემოჰკრა და იატაკზე გააგორა.

— ბიჭო, რატო ერთი არ დაფიქრდი, ღირდა კი იმ ცხოვრების მუწუკის — გრამიტონას სიამოვნებისათვის ლუკასთანა ვაჟკაცის მოკვლა? კარგი, შენ ტვინი სამაგიეროდ არ გივარგა, ის მაინც გეცოდინება, გრამიტონას ლუკას მოკვლა რაში სჭირდებოდა?

— ეშინოდა, თანამდებობას წამართვესო.

— ბიჭო, სოფელში ვისაც ხელს წამოკრავ, ყველა მაგაზე კარგი თავმჯდომარე იქნება, ყველას გაწყვეტავს?

— ოღონდ თავმჯდომარეობა არ დაკარგოს, თავის მშობლებს არ დაინდობს.

— ჯერ რატომ ლუკას არა ჰკითხეთ, იქნება თავმჯდომარეობით სულაც არ უნდოდა; უდანაშაულო ადამიანს, თუ ეს თქვენი ჭკუით დანაშაულია, რატომ კლავდით?

— ლუკას ჩრდილისაც ეშინია, მასთან ლაპარაკს ვერა ბედავს; პირს უკან კი სულ მის ლანძღვაშია და მომაშორეთო.

— რა ნაძირალაა! — ჩაილაპარაკა ზაურმა.

— შენ რატომღა აიკიდე ცოდვა?! — ქიტესამ ხითავას შეუტია.

— რა ვქნა, შავცდი. მეშინოდა, ლუკა რომ მოსულიყო ყველაფერს აგვიკრძალავდა და მეც მომხსნიდა. მე მოკვლა არ მინდოდა, არც მე არ დამიტყამს რკინა, — ხითავამ თავი ჩაღუნა.

— იგრე როგორ გავერანდით, თქვე მამაძაღლებო, პატიოსანი შრომისკენ მიბრუნებას, კაცის მოკვლა არჩიეთ. იმდენად გაგიტკბათ წუმპეში გორაობა, რომ პატიოსანი კაცის მოკვლა მოინდომეთ, წუმპიდან არ ამოგვიყვანოსო.

— შენ რაღა გინდოდა, ამხელა დანაშაულზე რამ წაგიყვანა? — ქიტესა ახლა ჭიმიას მიუბრუნდა.

— გრამიტონამ შამაცდინა. ლევის გატანაში ხელს გვიშლისო, — ძლივს თქვა ჭიმიამ.

— ლუკამ როდისმე ის ლევი წაგარვა? დაგაბიზღა? ხელი შეგიშალა თუ რა? სადმე ქურდობაზე რომ გადაგყროდა, ნამდვიოად არ გაპატიებდა, მაგრამ კი არ დაგაბეზღებდა, სამარცხვინო საქმეს არ გაგაკეთბინებდა; ჰოდა, შენც და გრამიტონაც მაგიტომ გაუხდით მტრად პატიოსან კაცს. მკვლელები და ლაჩრები რომ ხართ, ზედ გეტყობათ, განა ვაჟკაცი, ეგრე თქვენსავით დაძაბუნდებოდა?! თქვენი არსებობა მარტო კუჭის მოღორებაა და უსაზღვროდ ბევრის მოხვეჭაა იმიტომ ხართ კაცთმოძულეები, ურწმუნოები და ლაჩრები! რომ დაგჭირდეთ, გრამიტონას, ვის დავალებასაც ეგრე მონდომებით ასრულებდით, კბილებით დახრავთ, ოღონდ თავი გადაირჩინოთ. არც კაცობა, სინდის-ნამუსი, ამხანაგი და მეგობარი, არც ცოლშვილი — არა გწამთ, საკუთარი კუჭის მონა პარაზიტებო! თქვენ და თქვენი მსგავსებისაგან გვჭირს დღევანდელი ჭირი. იგრე მრავლდებით, თქვე გამჩენძაღლებო, ხვალ ხალხის და ქვეყნის უბედურებად იქცევით! — ქიტესა სკამზე ჩამოჯდა და დაასკვნა: — ახლა წაიყვათ ეს არამზადები და სწორედ იმ ადგილს ჩაყარეთ, სადაც ლუკას უპირედნენ დახრჩობას!

— ამას ნუ იზამთ, ქიტესა ძია, რასაც დაგვავალებთ, შევასრულებთ! — აღრიალდნენ.

— მე ხომ არ დამირტყამს რკინა, მე განზე ვიდექი, მე მაპატიეთ! — ხითავა მუხლუხებზე დაეცა.

— სულ დაკარგეს კაცობა, პლინიუსის ნათქვამი გამახსენდა: ადამიანები მუდამ ერთმანეთს მტრობენ, არც ერთ არსებას შიში ესოდენ ძლიერად არ ართმევს სულიერ სიმტკიცეს, არც ერთ არსებაში ასე არ მძინვარებს ბოროტება, — ჩაილაპარაკა ლუკამ.

— რაო, რა მინიუსი გაგახსენდა? — ჰკითხა ქიტესამ.

— არაფერი, ისე ჩემთვის ჩავილაპარაკე, რა გადაუწყვიტე, ქიტესა ძია? — შეეკითხა.

— წაიყვათ და არხში ჩაახრჩეთ!

— ხელწერილი ხომ არ ჩამოვართვათ, თუ გამოსწორდებიან იმ პირობით, — თქვა ლუკამ.

— მეც მაგ აზრისა ვარ, — დაეთანხმა ზაური.

— გამოვსწორდებით, ყველაფერსაც დავწერთ! — სიხარულით ატირდნენ.

— ისევ თქვენ შაიბრალეთ არა? ეგრე იყოს, მაგრამ ეს ძაღლის კუდები არა მგონია გასწორდნენ — დაასკვნა ქიტესამ...

რაც მოხდა ყველაფერი დაწვრილებით დააწერინეს, ხელი მოაწერეს, თარიღი დაუსვეს და ქიტესას ჩააბარეს. ქიტესას გამოეთხოვნენ და ოთხივე იმავე გზაზე გაბრუნდნენ, საიდანაც მივიდნენ.

როგორც მანქანა თვალს მიეფარა, ქიტესამ ქაღალდი ღუმელში შეაგდო.

— თუ გამოსწორდებიან, ქაღალდები რაღა საჭიროა, თუ არადა ათასი ამნაირი ქაღალდიც რომ იყოს ამ ხელისუფლებამ ეგენი კი არა, ისევ შეიძლება ლუკა დასაჯონ, — დაასკვნა...

შუაღამე კარგად გადასული იყო ჭიმიას „ვოლგამ“ გრამიტონის ბინას რომ მიაყვირა. ზაურმა თავის მანქანა სახლში დატოვა, ახლა ის და ლუკა უკანა სავარძელზე ისხდნენ.

ჭიმია და ხითავა მანქანიდან გადმოვიდნენ და გრამიტონის ბინის კარებს ბრახუნი აუტეხეს.

კლარამ გამოიხედა. — ვინ არის? — იკითხა.

— ჩვენა ვართ, გრამიტონა გააღვიძე სახლში უნდა შემოვიდეთ, სტუმრები არიან! — ხითავამ უპასუხა.

კლარა ფანჯარაში გაუჩინარდა.

გრამიტონს კლარასი ისე ეშინოდა, ცალკე ოთახში იძინებდა და უფრო მშვიდად რომ ყოფილიყო, კარებს შიგნიდან კეტავდა. ახლა კლარამ კარებზე ბრახუნი რომ აუტახა, გული გაუსკდა, ვაითუ ჩემთან საშაროდ მოსულაო,ეღვიძა, მაგრამ ხმას არ იღებდა.

— გაიღვიძე, შე კრეტინო, თორემ ჩამოვიღებ კარებს! — კლარამ დაუყვირა.

— რა გინდა კლარა, რა?! — დანაშაულჩადენილი და მაგიდის ქვეშ შემძვრალი ბავშვის ტონით ამოიკნავლა.

— გამოეთრიე გარეთ! ხითავა და ვიღაცეები გეძახიან! — დაუყვირა კლარამ და კარებს მოსცილდა.

გრამიტონი ფლოსტების ფლარტუნით გამოვიდა და ღამის სტუმრები სახლში შეიპატიჟა.

ლუკა და ზაურიც ჩამოვიდნენ მანქანიდან და უკან მიმავალ ჭიმიას ისე მიყვნენ, ოთახში რომ შევიდნენ, გრამიტონმა მაშინ შენიშნა და კინაღამ ადგილზე ჩაიკეცა.

სკამებზე ჩამოსხდნენ. გრამიტონი ფეხზე იდგა და გაოგნებულს ვერაფრის თქმა ვერ მოეხერხებინა. ლუკამ ფეხები გაშალა და სკამის ზურგს მხრებით მიაწვა.

„საინტერესოა ამ შუაღამისას ეს უკუღმართები რატომ მიადგნენ ამ არამზადას. რაღაცა ბნელი საქმე ექნებათ ჩადენილი, ან შეიძლება გეგმებს აწყობენ“, გაიფიქრა კლარამ და ცნობისმოყვარეობის ძალამ მათთან შეიყვანა. საღი და ჯანმრთელი ლუკა სკამზე იჯდა. კლარა შუა ოთახში გაშეშდა: „ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს სიზმარია?!“ — ჩაილაპარაკა თვალები მოიფშვნიტა და ისევ დააკვირდა ლუკას: — ლუკა, ნამდვილად შენა ხარ? — ფრთხილად იკითხა, თითქოს ეშინია, ეს მოჩვენება არ გაქრესო. ლუკამ ღიმილით შეხვდა.

— ლუკაა!!! შენ შემოგევლე! ჯანმრთელს და საღსალამათსა

გხედავ, რა ბედნიერებაა!!! – იღრიალა, ლუკასთან მიიჭრა, მუხლებზე დაეცა და ხელები დაუკოცნა. მერე უცებ მოსცილდა, გაშტერებით დააკვირდა: – ღმერთო ჩემო! ლუკას გამოჯანმრთელებას ველირსე! – ლუკას ზურგიდან მოუარა, მოეხვია და ნაჭრილობევი კეფა დაუკოცნა.

– გეყოფა, ხომ დარწმუნდი, რომ ლუკა, ისეთივე ჯანმაგარია, როგორც იყო, – ზაურმა კლარა ლუკას მოაშორა.

– მე ვარ, კლარა, ძალიან მძიმედ რომ ვიყავი, ერთი კეთილი ანგელოზი სულ თავზე მადგა. ცოტათი რომ მოვმჯობინდი, გაქრა,. ახლაც ვერ გავრკვეულვარ, ეს ყველაფერი სასიამოვნო მოჩვენება იყო თუ სინამდვილე, ღიმილით თქვა ლუკამ.

– ის კეთილი ანგელოზი მხოლოდ შენთვის ცოცხლობს და შენით უდგას პირში სული, ჩემო ლუკა! ცოცხალიც იმიტომაა, რომ წამლად დაგადნეს! ახლა მომიყევი როგორ ხარ?

– კარგადა ვარ კლარა, გრამიტონამ დაგპატიჟაო, მითხრეს და მეც წამოვედი, – ლუკამ ირონიულად გაიღიმა.

– შენ დაპატიჟე, გრამიტონ? – გაკვირვებული შეეკითხა. – რატომ მე არ მითხარ? – გრამიტონი ისე იყო ელდნაცემი, ხმას ვერ იღებდა.

– ეს ბიჭები რაღასა გვანან! – ახლა დააკვირდა ცხვირ-პირდაჟეჟილ ჭიმიას და ხითავას. მიხვდა, რაღაც განსაკუთრებული ხდებოდა, მაგრამ ეს რა იყო ვერ ამოხსნა.

– კლარა, შენთან დიდი ბოდიში, ამ უდღეურმა დაგვპატიჟა და მაგიდაზე ერთი ბოთლი ღვინის დადგმაც კი არ ისურვა. იქნებ შენ გარჯილიყავ, – თავაზიანად მიმართა ზაურმა. – ჩვენ აქ უცნაური და საიდუმლო საუბარი გვექნება.

– მაგ საუბარს მეც დავესწრები. უცნაური და საიდუმლო ჩემი ხობია, – სუფრას გავაწყობ. – თქვა და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

ბიჭები რომ მიიპატიჟა, ყველა იმავე პოზაში დახვდა, როგორშიც დატოვა, მარტო ლუკას მოეხარა მარჯვენა ფეხი და მუხლზე თითს ირტყამდა.

— მობრძანდით, ბატონებო! — კლარამ საყვედურნარევი ტონით გამოაცხადა.

ლუკამ ჭიქაში დაისხა ღვინო და ერთი ყლუპი შესვა.

— გრამიტონ, აბა ლუკა ადღეგრძელე, სიკვდილს ძლივს გამოვტაცეთ ხელიდან, შენ კი ერთხელაც არ მოსულხარ სანახავად, სადღეგრძელო მაინც თქვი შე გველის ლაყე კვერცხიდან გამომძვრალო მორიელო! — ზაურმა ვეღარ მოითმინა, მაგიდას მუშტი დაარტყა და წამოხტა, გრამიტონს კეფაში სწვდა და თავი მაგიდაზე დაუგალა. ლუკას დინჯმა გამოხედვამ შეაჩერა, ისევ თავის ადგილას დაჯდა.

ლუკამ ჭიქა ნახევრად შესვა და კლარას მიმართა: — პატივცემულო, კლარა, ნუ გეწბინებათ, მაგრამ ჩვენი სპექტაკლის ბოლო მოქმედებაზე დასწრებას არ გირჩევთ, რადგან აფიშაზე წერია: „მხოლოდ მამაკაცებისთვის“. თანაც რადგან წინა მოქმედებაზე დასწრებული არა ხართ, აზრის გამოტანა გაგიჭირდეთ შეიძლება; გრამიტონას მეუღლეს არ ესიამოვნოს მგონის დასკვნითი ნაწილი, — ლუკამ შეფარული საყვედურით ჩააქსოვა ნათქვამს.

— ბოლო მოქმედებაზე მე სხვაზე გამიგია, რომ ეძინება; თანაც არც მშია და გამოძინებულიც ვარ. რაც შეეხება თქვენი სპექტაკლის შინაარსს, ახლა ვხვდები, რომ რაღაც-რაღაცეები მეც მენიშნება. მეუღლე კი რომ ახსენეთ, ცილისწამება შეიძლება ეწოდოს, რადგან მე არავის — მეუღლე არა ვყოფილვარ და არც ვიქნები. ამ ცხოვრებას კი ჩემი საყვარელი ადამიანისათვის ლოცვით დავტოვებ, შტერი უნდა იყოს ადამიანი, რომ ჩემი გრამიტონას ცოლოა დაიჯეროს! ლორწოიან ლოკოკინაზე მხოლოდ მყრალი მეძავი იფიქრებს რამეს. ამ ბინძურს ჩემი ფეხების ნაბანი წყლის გადაღვრის ბედნიერებას არ ვაღირსებ, რადგან ის წყალი მენანება ამის ხელში ასამყრალებლად! ჩემი დასწრება ამ ბოლო მოქმედებას მხოლოდ სიმძაფრეს შესძენს და მეც დავმშვიდდები, რადგან დამოუკიდებლად გამოძიება აღარ დამჭირდება. კლარა ჩაფიქრდა და უცებ დაუმატა: — არც არამკითხე მაჭანკალს ჩაეთვლება. ადამიანზე ზრუნვად, სიძეობის მაძიებელზე მისამართის

მიცემით აბეზარი თაყვანისმცემლის ჩამოცილების მცდელობა!

ლუკამ ტუჩზე იკბინა, მიხვდა, რომ ზაზა მასწავლებელი კლარასთან მისულა და ამით სასტიკად ნაწყენმა კლარამ ოპერაცია „გრამიტონა“ სისრულეში მოიყვანა. ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, კლარას დამნაშავე ბავშვივით შეხედა, მხრები აიჩეჩა და თავი ჩაღუნა.

კლარას შეეცოდა, მხრებზე ხელი მოხვია, ლოყა მიადო და უჩურჩულა: — არაფერზე არ გემდური, ჩემო ლუკა, მაპატიე თუ ჩემი ყბედობით უხერხულად ჩაგაგდე.

კლარამ იცოდა, რომ ლუკა წაიქცა და ქვას დაარტყა თავი. ბოლო დროს ამ სამეულზე რაღაც ეჭვები აღეძრა, მაგრამ ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა თუ ამხელა დანაშაულზე წავიდოდნენ.

ზაურმა ხელი ჩაიქნია, კლარას აღარ შედავებიან. ხითავას მიმართა:

— შენ რომ ლექსი იცი თავიდან ბოლომდე ისე ჩააგალობე, რომ ერთი სიტყვაც არ გამოტოვო!

ხითავა ფეხზე ადგა და გრამიტონასთან შეხვედრებიდან დღემდე რაც მოხდა არსენას ლექსივით დაამღერა; მერე ჭიმიამ იგივე გაიმეორა.

— შენ ხომ არაფერს დაუმატებდი, გრამიტონ? — ჰკითხა ზაურმა.

გრამიტონი გაშტერებული იჯდა, მკვდრის ფერი ედო და კბილს კბილზე აცემინებდა.

კლარა ძუ ვეფხვივით იჯდა კამარის შეკვრისთვის რომ გამზადებულა, გრამიტონის ხმის ამოღება იქნებოდა ის სტიმული, რომელიც წონასწორობიდან გამოიყვანდა; მაშინ კი ისედაც სულთამობრძავ გრამიტონს ჯოჯოხეთი მოენატრებოდა.

ლუკამ ჭიქა აიღო და ზაურს ანიშნა, ორივე ადგნენ.

— გრამიტონა უდღეურო, რომ გაგჭყლიტო, ფეხი დამესვრება. უფალმა უხსენებელი შხამით იმიტომ დაასაჩუქრა, რომ მიწაზე დახოხავს და ვერაგობის მეტი არაფერი ეხერხება საცოდავს. შენც იხოხიალე მიწაზე და გესლე, ვისაც მოსწვდები,

სანამ უფალი შენს მყრალ ამქვეყნიურობას არ დააკონსერვებს, — თქვა ჭიქა ისევ დადგა და წასვლა დააპირა.

— ცოტა ხანს მოიცადეთ, — როგორც იყო კლარა შოკიდან გამოვიდა. — ბოლო მოქმდებას დაესწარით, არანაკლებ საინტერესო იქნება, რაც აქამდე იყო, — კლარა სამზარეულოში შევიდა და იქიდან გრძელი შამფურით გამოვიდა. გრამიტონის სკამს ხელი ჰკრა, გადააყირავა და იატაკზე გააგორა. კლარა შამფურით გაუქანდა.

— არ გაბედო, კლარა! — იყვირა ლუკამ. კლარა შამფურზე წამოგებას უპირებსო.

კლარამ მთელი ძალით საჯდომზე შემოჰკრა შამფური.

— ვაიმე! — იღრიალა გრამიტონმა და მეორე უარესი დარტყმა მიიღო.

— ახლავე ფეხები დაუკოცნე ლუკას! — უბრძანა.

— დავუკოცნი! დავუკოცნი! არ წამირჭვა, არ დამარტყა! უკვე მივდივარ! — გრამიტონი ლუკასთან ოთხით მიხოხდა და ფეხებზე მოეხვია; მანამდე კი სამი მაგარი დარტყმა კიდევ მოასწრო კლარამ.

ლუკამ განზე გაიწია, მაგრამ გრამიტონი ვერ მოიცილა, ასე გაათრია.

— აულოკე ფეხები შე უდღეურო! — იღრიალა კლარამ და კიდევ შემოჰკრა, ახლა უკვე ზურგზე.

— ვაიმე!!! — დაიღრიალა გრამიტონმა და ლუკას ტალახით დასვრილ ფეხსაცმელს აუსვა ენა.

ზაური კლარასთან მივიდა და განზე გაიყვანა.

შეშინებული გრამიტონი ლუკას ენერგიულად ულოკავდა ტალახიან ფეხსაცმელებს, სანამ ლუკამ არ მოიცილა და განზე არ გავიდა.

— ახლა მოყევი, მე შენი ცოლი ვიყავი თუ შენ — ჩემი ლაქია?! — ღროიალებდა კლარა, რომელიც ზაურს მაგრად ეჭირა.

— ლაქია ვიყავი, ლაქია! — ტირილით ამოიღრიალა გრამიტონმა.

— რომელი ნორმალური დაიჯერებდა, რომ მე ამ ბინძურის ცოლობას ვიკადრებდი?! მოვედი იმიტომ, რომ ლუკას სიძულვილი ამ ბოროტების გაულისთვის კვნესად მექცია; გიქცევ კიდეც კვნესად, შე ნაძირალა! — კლარა ზაურს გაეშვა და შამფურით გრამიტონის ზურგზე ქარბუქი დაატრიალა. — ზაურმა ძლივს მოაცილა.

— გრამიტონა ბინძური კი არა, ვერცერთი მამაკაცი ვერ ეღირსება ჩემთან გაკარებას. მე ჩემს წმინდა ოცნებაზე და სპეტაკ სიყვარულზე ლოცვით დავტოვებ ამ ქვეყანას! — კლარა აქვითინდა.

ლუკამ კლარას მოთქმას ვეღარ გაუძლო. სახეზე ხელები აიფარა — წავედით! — თქვა და კარებისკენ გაემართა.

— მეც მოვდივარ, ამ სიბინძურეში ყოფნით საკმაოდ გავწამდი! — კლარა ოთახში შევიდა და პატარა ჩანთით გამოვიდა.

გრამიტონი ისევ მუხლებზე იდგა. კლარამ გვერდზე რომ გაუარა, წიხლი ამოჰკრა და აღრიალებული იატაკზე გააგორა.

— კარგი ვაჟკაცის, ხალხის ერთგულის, ნათელი გონების, შეუპოვრის, მართლის და პირუთვნელის მტერია ყველა ლაჩარი, მშიშარა, არაკაცი, ადამიანთა მოდგმის წყლული. მორიელს ლომი სძულს, მისი ლომობა შურს მიწაზე მხოხავ გესლის გუდას. თუნდა სიკეთის მეჯლისზე იჯდეს, მუდამ მზადაა მიეპაროს და დაგესლოს, მერე კი დაიმალოს, რათა ფეხი არ დაადგან და არ გასრისონ! თფუჰ! — კლარამ იატაკზე გართხმულ გრამიტონს მიაფურთხა და გარეთ გავიდა.

## ეს ვაგლახი უცხოეთის აგენტია

გრამიტონი მთელი კვირა სახლიდან გარეთ ვერ გამოვიდა, შამფურნაკრავ ადგილებს იშუშებდა. კარზე ყოველ დაკაკუნებაზე იმალებოდა, ისინი ისევ არ მობრუნდნენო. მშობლები, ძველ სახლში რომ ცხოვრობდნენ, თავისთან გადმოიყვანა და ვინც მოდიოდა, ისინი ხვდებოდნენ. არც ჭიმია და ხითავა გამოჩენილან,

ჩალურხებულ ადგილებს იშუშებდნენ. კლარა კი იმ სამახსოვრო ღამის შემდეგ ქალაქში წავიდა და აღარ გამოჩენილა.

გრამიტონი კოლმეურნეობაში გასვლას ვერ ბედავდა. ლუკას დანახვისთანავე ალბათ სული გასძვრებოდა. ისევ სოკრატს უნდა ეხსნა. დილით ადრე შეძვრა წრიპოს მანქანაში და რაიონის ცენტრისკენ გასწია.

— რას გავხარ, ბიჭო, რა დამფთრახლი დეკეულივით იყურები; ისეც კარგად შეფერთხილხარ, ცუდად იყავი? — ჰკითხა სოკრატმა.

— ცუდად რომელია, იმ ალქაჯმა, ჩემი ცოლი რო ერქვა, კინაღამ მომკლა, ძლივს გადავურჩი, — მოიწუწუნა გრამიტონმა.

— რას ამბობ, კაცო, მართლა?! ეგრეც ვიცოდი. იმან მეც შავი დღე დამაყენა. აქ, ჩვენთან რა ღრეობა გამართეო, კინაღამ სახე ჩამომაკაწრა. გიყვარდეს, ერთი ორი მაგარი სილა ვაჭამე. შენ რომ არ დაგძინებოდა, მაშინ კი ვაჩვენებდი სეირს, — დაიტრაბახა სოკრატმა.

— მართლა? — გაუხარდა გრამიტონს. — მე კი სიცოცხლე გამიმწარა, სახლში მისვლის მეშინოდა.

— მართლა? — სოკრატს სიცილი აუტყდა. — ბიჭო, მაგის გვერდით რომ წვებოდი, არ გეშინოდა? როგორც გაბრაზებული ავაზა ჩაიწვინო ლოგინში ისეთი რისკია! — ახარხარხა სოკრატი.

— რას ამბობ, მაგასთან ერთხელაც არა ვწოლილვარ, სულ მეშინოდა, ოთახში არ შამამივარდეს-მეთქი. ჩაკეტილ ოთახში ვიძინებდი, — გრამიტონმა სიფრთხილით თავი მოიწონა.

— მაგ ქალთან ურთიერთობა არა გქონია? — ჰკითხა სოკრატმა.

— რომელი ურთიერთობა, გეფიცები დედას და მამას ერთხელაც არ მიკოცნია! — მართალი კაცის გულახდილობით დაიფიცა.

— ვახ, მა რა ჭირად გინდოდა?!

— რავი, თვითონ მითხრა, შენი ცოლი ვიქნებიო და მეც დამეჯერა, მაგრამ ჩემს მტერს, ცოტაცა და სახლიდან გამაგდებდა, კიდევ კარგი თავისით წავიდა, თუმცა წასვლისას კინაღამ შამფურზე წამომაგო.

— ისე კარგი მწვადი კი გამოვიდოდა შენგან, ცოტა ლორწო რომ არ გერიოს! — სოკრატი ახარხარდა. „მეც არ მიკვირდა, ეს ანგელოზი ამისთანა გომბეშოს როგორ უწვება-მეთქი“, — გაიფიქრა.

— რა გაცინებს, კაცო, ეგ კი მოვიშორე, მაგრამ ლაუკას რა მოვუხერხო? აბა ის არი, თორე ქალს რა უჭირს, ოღონდ ორივე ერთი ჭკუისანი არიან.

— არა სტყუი, — სოკრატი ჩაფიქრდა.

— თუ გინდა, რომ მაგ კოლექტივში შენი სიტყვა გადიოდეს,. მომაცილე ეგ აფთარი, თორემ იგრე შამჭამს, ჩემგან აღარაფერი დარჩება, — გრამიტონს ცრემლები მოადგა.

სოკრატმა დამცინავად შეხედა, „ის გიჟი აგრონომი ამას კი არა, ვეფხვს გოშიასავით ორ ფეხზე ახტუნავებს. თუ დროზე არ მოვაშორეთ, შეჭამს ნამდვიოლად, ნეტა ამისი რა მოსწონს რაიკომის მდივანს, ეგრე რომ იცავს, თორემ შევაჭმევდი, მაგრამ ცუდად წამივა საქმე, დროზე თუ არ ვუშველე“, — გაიფიქრა.

— მოდი, გრამიტონ, მაგას ჩემთან გადმოვიყვან აგრონომად.

— სადმე შორს გადააგდეთ, ახლა აქედან არ მოგვასვენებს.

— ნუ გეშინია, უბრალო აგრონომად გადმოვიყვანთ, თანაც დავაყვედრებთ, დაგაწინაურეთო; მერე კი აქედანაც მოვისრიალებთ, — დაამშვიდა სოკრატმა.

— თუ ეგრეა, კარგი იქნება ნამდვილად! — გახარებულმა გრამიტონმა ხელები მოიფშვნიტა...

იმავე დღეს ლუკა რაიონის ცენტრში გამოიძახეს და სოფლის მეურნეობის სამმართველოს რიგით აგრონომად დანიშნეს. ლუკას უარი არ უთქვამს, პირიქით, კმაყოფილი დარჩა მის წინ უკუღმართობასთან ბრძოლის და ძიების ფართო ასპარეზი იშლებოდა.

სოკრატი კი ვერ ისვენებდა, ახლა ვაჩვენებ მაგ თავხედს, აგრონომია თუ რაღაცა, ჩემს ძალას, სულ თავბედს ვაწყევლინებო, იმუქრებოდა.

მეორე დღე იყო, რაც ლუკა აგრონომად დანიშნეს. აგრონომების ოთახში სოკრატმა შეიხედა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ლუკა

რომ დაინახა, მისთვის პირველი სუსხიანი გაკვეთილის ჩატარება გადაწყვიტა: — რას უყრიხართ! — აყვირდა, სულ ოთხნი იყვნენ: მთავარი აგრონომი და სამი რიგითი. ისინი წამოხტნენ და ახსნა-განმარტება დაიწყეს, რასაც აკეთებდნენ.

ლუკა სკამიდან არ ამდგარა, ამ სცენას გაკვირვებული უყურებდა — უსაქმურეებო! ერთი ფუქსავატი მოგემატათ კიდევ და რაღა გაგიჭირდებათ!

სოკრატის ამ ყვირილზე ლუკას რეაგირება არ მოუხდენია, რაღაც წიგნი აიღო და გადაფურცვლა დაიწყო; დანარჩენები ჯარისკაცებივით გაჭიმულიყვნენ. ლუკამ წიგნი დახურა და პირდაპირ შეხედა.

— რას მიყურებ, ვერ მიცანი?! — უყვირა სოკრატმა.

— გიცანი და ძალიან მეცოდები, უნიჭო შეურაცხყოფის მიყენებაშიც სასაცილოა! — მკაცრად უთხრა.

— რას მიბედავ, იცი, რას გიზამ?!

— მეცოდები, მცირე ტვინით მაგ სკამზე არ შეიშალო!

სოკრატი ოთახში შევარდა და ლუკაზე მიიწია. შუაში ჩაუდგნენ. უცებ ყვირილით უკანვე გავარდა: — გაგსრესავ! — აღრიალდა.

— რომ გამსრისო, ან მუხლი უნდა გქონდეს, ან ტვინი, არცერთი არ გაგაჩნია და სასაცილო ხდები! — მიაძახა ლუკამ გაქცეულ სოკრატს.

ფეხზე მდგარი აგრონომები გაშტერდნენ.

— ხალხო, ასე რამ დაგაბეჩავათ?! ეგ კაცი ეთიკის ყოველ ნორმებს არღვევს. როგორც ვიცი, უცოდიენარი და შტერია, თქვენ კიდევ მისი შიშით კანკალებთ. რას გიზამთ? ადამიანს ყველაზე ძლიერ სიკვდილის შიშით თრგუნავენ, მაგრამ იცით, რომ მშიშარა ადამიანის სიცოცხლე სიკვდილზე უარესია?! გიყურებთ და მეცოდებით, წინაპრების სადღეგრძელოს ისეთი რიხით დალევთ, ერთხელაც არ გაგახსენდებათ. სოკრატამ კურდღლებად როგორ გაქციათ! — ლუკა ბავშვებივით ტუქსავდა, თუმცა ყველა მასზე გაცილებით უფროსი იყო.

— რას მერჩი, ლუკა, ეს საპენსიო ასაკს მიღწეული კაცი მაგ ნადირებს უნდა დააგლეჯინო?! — საყვედურით უთხრა მთავარმა აგრონომმა და დაჯდა.

— ლუკას უკან ქარიშხალი დაჰყვება, აქაც შემოიტანა;. მოკლედ, ამასთან ერთად აღელვებულ ზღვაში იალქნიან გემზე მყოფებივით ვიცხოვრებთ! — თქვა ენტომოლოგმა — ვალერიანმა, — ისე კი ზედმეტ ობს გაგვაყრევინებს და ცოტათი შეიძლება თავმოყვარება გაგვიღვიძოს, — დაუმატა.

— მთავარი აგრონომი — სტეფანე მოსულაშვილი სოკრატ გიგაევიჩთან! — მდივანმა გოგომ გარედან ისე დაიძახა, ოთახში არც კი შესულა და უკან გაბრუნდა.

სტეფანემ წელი ძლივს ასწია: — ახლა მაგის უთავბოლო ყბედობის მოსმენას გაძლება არ უნდა! — ჩაილაპარაკა და ოთახიდან გავიდა.

— რას გავს ეს?- შენი აგრონომები თავხედობენ და თითქოს ამას ვერ ამჩნევ! იცოდე, პასუხს შენ გაგაგებინებთ! — კაბინეტში შესვლისთანავე უყვირა სტეფანეს.

— ვინ არის ჩემი აგრონომი? — სტეფანემ გაკვირვებით მხრები ასწია.

— ვინა და ეგ გიჟი, ხუციშვილია თუ რაღაცა!

— საიდან არის ჩემი აგრონომი? მე დავნიშნე? ვინც დანიშნა მე მკითხა? თუ გიჟი გგონიათ, მაშ ვინც ეგ ჩვენთან გაამწესა, იცოდეს, რომ მე ფსიქიატრიულ სამკურნალოს არ ვხელმძღვანელობ! — სტეფანემ შეუტია.

— რას ჰგავს ეს?! — სოკრატმა თვალები გადმოკარკლა.

— ეს შეკითხვა მე უნდა დამესვა. რაიონულ თათბირზე კინაღამ პრეზიდიუმიდან გადმოგიღო, კიდევ კარგი ჩემი რეკომენდაციით არ მიგიღია, ვინც დაგანიშნინა, იმას გაუწყერ! — სტეფანე შეურაცხყოფის მორჩილად მოსმენას აღარ აპირებდა.

— ჯერ არ შემოსულა თქვენთან და სიგიჟე უკვე გადაგდოთ?

— ეგრეა, დაუმსახურებელი ცემა-ტყეპა ცხვარსაც კი გადარევს.

— შენ ხომ არ გგონია, ძალიან მინდოდა მაგის აქ გადმოყვანა? ზაალ დიმიტრიჩის დავალებაა, ხომ იცი, გრამიტონა როგორ უყვარს, ჰოდა, მითხრა: მოაცილე, გრამიტონას აწუხებსო და...

— რით მოხიბლა რაიკომის მდივანი გრამიტონა პარაზიტმა? სირცხვილია გრამიტონას გამო მაგ ბიჭის შეძულება, რომელსაც ყველა უნდა ვუჭერდეთ მხარს, თუ სამართლიანობაა და საერთო საქმის სიკეთე გვაინტერესებს! — სტეფანემ პირდაპირობით გააკვირა სოკრატი.

— ძალიან დიდი გული გამოაჩინე, რამ გიკბინა?

— რამაც მიკბინა, ის ბიჭი გამოიძახე და გაიგებ; კარგი იქნებოდა, სანამ ჩვენთან შემოაგდებდით, ჯერ თქვენ გაგეშინჯათ მასთან საუბრის სიკეთის გამო! — სტეფანემ სოკრატის კაბინეტი დატოვა.

სოკრატი სტეფანეს ამგვარი მოქცევით გაკვირვებული, პირდაღებული და თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა კარებს, რომელშიც სტეფანე გავიდა. ლუკასთან პირისპირ საუბარი მაინც ვერ გაბედა; კარგად ესმოდა, რომ მის ბატონკაცურ ახირებას ეს უცნაური ბიჭი ისე დახვდებოდა, რაც სოკრატს თავის უსუსურობას აგრძნობინებდა...

სტეფანე ოთახში შევიდა და მაგიდასთან ოხვრით დაჯდა; მერე სიცილი აუტყდა.

— რა გაცინებს? — ჰკითხეს.

— რაღაც ისე მომეჩვენა, რომ ლუკას მაგათ რელსებზე გადაყვანა ჩემი ხელით უნდათ. არადა ვატყობ, რომ ლუკა ყველას თავის რელსებზე გადაგვიყვანს და მერე ნახეთ, რა ქარბორბალა დატრიალდება ჩვენს თავზე.

— რა მოხდა, არ გვეტყვი?

— ის მოხდა, რომ ჩემში თავმოყვარეობამ გაიღვიძა და ისე თამამად ვილაპარაკე, ამდენი მორჩილების უგემური აბების ყლაპვის შემდეგ, განუზომელი სიამოვნება ვიგრძენი. მოკლედ, თუ ახლა ლუკა გამოიძახა და პირისპირ ესაუბრა, კიდევ არაუშავს, თუ არადა მართლა კურდღელი ყოფილა, — დაასკვნა სტეფანემ.

— სკამის გარეშე კურდღელი კი არა, ბაჭიაც არ არის, — შეუსწორეს დანარჩენებმა.

— მე მგონია, რომ ნორმალური ადამიანი ვარ, მინდა, პატიოსნად შევასრულო ჩემი მოვალეობა, ხალხის სოციალური კეთილდღეობის მწამს და მთელი შესაძლებლობით მისთვის ვცდილობ, რასაც ჩემი ორბიტა მისწვდება. დღევანდელი ხელისუფლებაც ამ საქმეს არ ემსახურება თეორიულად? მექრთამეობა, თვალის ახვევა; კომბინატორის, ქურედის და მამაძაღლის მფარველობა ქვეყნის და ხალხის ღალატი არ არის?! ჩემი საქციელი რაზე უკვირთ? ერთი რიგითი აგრონომი ვარ და არავითარი სამსახურებრივი ამბიციები არ მაწვალებს, — მხრების აჩეჩვით თქვა ლუკამ.

— ყველა რომ შენისთანა იყოს, გასაკვირი არაფერი იქნებოდა. მაგრამ ამ მაამებელთა, მლიქვნელთა და საყოველთაო დამტაცებელთა მასაში გამოჩნდი, როგორც ცურცლში მარგალიტი. ჰოდა, ან შენც ცურცლად უნდა იქცე, ან შენს დამარხვას ეცდებიან. რათა ხალხმა არ გაიგოს, როგორია მარგალიტი და როგორია ცურცლი მარგალიტობას რომ იბრალებს, გაიგე? — სტეფანემ ლუკას განმარტება მისცა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა: — ვალერიან, თუ სოკრატამ ლუკა არ გამოიძახა, დაჯექ მანქანაზე და ვაკის მხარეზე მინდვრები დაათვალიერე, მერე რაიონის ყველა მეურნეობა მოინახულეთ და, თუ საჭიროდ ჩათვლით, თათბირი ჩავატაროთ აგრონომებთან. ლუკამ გრამიტონას გაუთეთრა სისხლი, ვნახოთ, რა ფერზე დაუყენებს დანარჩენებს.

— ახლავე წავიდეთ? — ვალერიანი გაემზადა.

— ახლავე კი არა, დაუცადეთ, იქნება სოკრატამ ლუკა გამოიძახოს.

ვალერიანი გარეთ გავიდა და მალევე შემობრუნდა.

— სოკრატა უკვე წასულა სადღაც, — განაცხადა.

— ლუკა ბევრს აურევს სამუშაო გრაფიკს, — ჩაილაპარაკა სტეფანემ...

ვალერიანი საჭესთან იჯდა და ღიღინებდა. ლუკა მინდორს ათვალიერებდა. გაზაფხული ბუნებას ლამაზი ფერებით რთავდა.

მინდორში ტრაქტორები თხუნელებივით დაღოღავდნენ. იქვე. ფერდობზე ნახირი შეფენილიყო. ძროხების ბინასთან ნაკელის მთა აღმართულიყო.

— ვალერიან ეს ბინა ვისია? — იკითხა ლუკამ.

— ხევისპირისა.

— რამდენი წლისა იქნება ეგ ნაკელის მთა?

— რაც თავი მახსოვს, ეგრე დგა და თანდათან უმატებენ; თუ ეგრე გაგრძელდა იალბუზს გაასწროს იქნებ.

— ბიჭო, ეს სიმდიდრე რატო ნაკვეთში არ შეაქვთ?

— როგორ არ შეაქვთ. ქაღალდებით იმდენი ნაკელი აქვთ გატანილი, მთელი სადგომი და ძროხებიც რომ მიაწონო ვერ გადაფარავს.

— შენ ასე არხეინად რომ ლაპარაკობ, უცხოპლანეტელი ხარ?

— ამას რატომ ამბობ?

— აქ რამდენჯერ ხარ ჩავლილი?

— ვინ მოსთვლის.

— არ შეგეძლო, რომ ამის გატანა მოგეთხოვა?

— ლუკა, შენ ან უტოპისტი ხარ, ან თანამედროვე დონკიხოტი. სოკრატ გიგაევიჩი და ყველა რაიონული ბოსი აქეთ დადის, ჩემნაირ არამკითხე მეტიჩარას მარტო ჭიტლაყზე არ დასჯერდებიან, ვალერიანმა საჭეს ხელები გაუშვა, მუხლებზე დაირტყა და დაუმატა: — ბიჭოს!

— უფრო არ უნდა გაუხარდეთ, ჭიტლაყი რაზე უნდა ამოგკრან? — ლუკა გულუბრყვილოდ ლაპარაკობდა.

— ლუკა, შენი თანამდებობა არაფერია, უფრო სწორად, ბატკანი ხარ, ფარის ბოლოს რომ მიჩარჩალებს. ჩეფიჩს და სხვა დანარჩენ თხების ფარა გადასაჩეხად მიჰყავთ, ჰგონიათ, რომ ბალახის და ნეკერის მოკორტნაში აღარავინ შეეცილებათ; ძალიან აწყობს ფარის ბოლოში ბატკანის ამბოხი, რომელსაც ცხვრები ინტერესით მისჩერებიან?! ბიჭო, გაგთელავენ და შენს მისახმარებლად არცერთი ცხვარი არ დაიბღავლებს, არამც თუ მოგეხმარონ.

აგერ, ხევისპირელთა მევენახეობის ბრიგადის სადგომი. ახალი თავმჯდომარე ჰყავთ, ზაალ დიმიტრიჩის ნებიერია, იმასთან ცოტა მოკეტილში იყავი, თორემ კარგი დღე არ დაგადგება, — გააფრთხილა ვალერიანმა და იქით გააქროლა მანქანა.

— მართლა? — ლუკამ იკითხა, თან ვენახებს აკვირდებოდა. — ამას ვენახი ჰქვია? მაყვლიანი ბარდნარი, ან ჯაგნარი მოუხდებოდა, — ღიმილით თქვა ლუკამ.

— იროდიონ პართენიჩიც აქა ჩანს, — ჩაილაპარაკა ვალერიანმა და მსუბუქ მანქანაზე მიუთითა.

ვენახში აკაცია და კვინელი ამოზრდილიყო. ერთ აკაციისთვის გარშემო შემოეთხარათ და ახლა ხუთი კაცი ეჯაჯგურებოდა, მაგრამ ვერ გლეჯავდნენ.

— ხელი კარგად ვერ მოვავლე, — ერთმა მოიჩივლა.

— მე კიდევ ეკლებზე ხელები გადამიტყავდა, — დაუმატა სხვამ.

იროდიონი ოცდათხუთმეტიოდე წლის ახალგაზრდა გაბღენძილი, თავდაჯერებული ბატონკაცური ამპარტავნობით უყურებდა აკაციასთან მოჭიდავეებს; მოსულებს ერთი შეხედა და ისევ იმათ მიუბრუნდა: — საქმე არ იცით, უქნარები და უშნოები ხართ! მაგ აკაციას ცალი ხელით ამოაძრობს კაცი! — დატუქსა, მაგრამ ახლოს არ მისულა.

— ბიჭო, მართლა უშნოები ვართ, იროდიონ პართენიჩი ცალი ხელით ამოაძრობს, — შეაქო ერთმა.

— რავი, მოვიდეს და ამოაძროს, არ ვეცოდებით მაინც?! — უპასუხებს დანარჩენებმა.

ვალერიანი და ლუკა მათთან მივიდნენ; მიესალმნენ.

— გაიცანით. იროდიონ პართენიჩ, ჩვენი ახალი აგრონომი, ლუკა ხუციშვილი, — ვალერიანმა გააცნო.

— მაქვს პატივი ვიცნობდე, — იროდიონმა ლუკას აგდებით შეხედა და ისევ აკაციასთან მოჭიდავეებს მიუბრუნდა.

— გაიწით! მაგას მარტო მე მოვუვლი! — იროდიონმა ყველა ხელის კვრით მიყარ-მობარა, ხელებზე დაიფურთხა და აკაციას დაეჭიდა.

— მიეხმარეთ! — ვიღაცამ დაიძახა.

— მომშორდით! — დაიღრიალა ირ0დიონმა, პიჯაკი გაიძრო და მთელი ძალით მოეჭიდა. ხუთჯერ მაინც დაინაცვლა, მაგრამ ძვრა ვერ უყო.

— ეგ აკაციაზე ყირას უფრო დაიჭერს, ვიდრე მოგლეჯავს, — ჩურჩულით ოხუნჯობდნენ მაყურებლები.

დაიღალა. შუბლზე ოფლმა გამოჟონა. „რა მინდოდა, რაზე დავეჭიდე!“ — თავისთვის ნანობდა აკაციასთან ჭიდილში შერცხვენილი ბღენძკაცი.

— თფუჰ! — მიაფურთხა და ხელები დაიქნია. — წერაქვი მოიტათ და მოუთხარეთ, თორემ ამას ტრაქტორი ვერ ამოგლეჯს! — ირ0დიმ თავი იმართლა და პიჯაკი მოითხოვა.

— აბა, ერთი მე ვცდი, — თქვა ლუკამ და აკაციაზე ხელის მოსავლები ადგილი მოსინჯა.

— გამოვიდა კიდევ ეს ვიღაცა მეტიჩარა! — ირ0დიმ აგდებით აიქნია ხელი.

ლუკამ აკაციასთან ჩაიმუხლა, ხელები მაგრად მოსჭიდა, დაატოკა, ფესვების გაწყვეტის ხმა გაისმა, მეორედ მძლავრად ამოსწია და აკაკცია სარივით ამოაძრო.

— ვა�ა! — კაცებმა გაკვირვებისაგან პირი დააღეს. — ეს ვინა ყოფილა, კაცო!

ლუკამ ხელები დაიბერტყა, აკაცია იქვე დააგდო და გვერდზე მიდგა.

— ეგ ბიჭი ვინ არი? — მევენახეები ერთმანეთს ეკითხებოდნენ.

— ჩვენი ახალი აგრონომია, — ყველას წარუდგინა ვალერიანმა.

— აგრონომი კი არა, ყარამანი ყოფილა! — სიცილით თქვა ერთმა.

— რა, ყარამანი არ შეიძლება აგრონომი იყოს? — შეეპასუხნენ.

— ყარამანი შეიძლება იყოს აგრონომი, მაგრამ ეგეთი აგრონომი გუთანს უტრაქტოროდ გაათრევს, — სიცილით თქვა და სხვე-

ბიც აჰყვნენ; სათითაოდ ართმევდნენ ხელს და ეცნობოდნენ.

ბოღმით გასიებული ირონდი აყვირდა: — რას ყაყანებთ! საქმეს მიხედეთ! ამათ რა ენაღვლებათ, გასართობად არიან მოსულები. იმუშავეთ, თორე ჩემი სამყოფი ყოველთვის იქნება! რაიონის აგრონომები ყბედობის და კუჭის ამოყორვის მეტს არაფერს აკეთებენ, ახლა ეს ყალთაბანდიც მიემატათ და რაღა გაუჭირდებათ! — დაასკვნა ისე, რომ განზე გასულ ლუკას და ვალერიანს გაეგოთ.

— წამოდი, ლუკა, ამას მოვცილდეთ, თორემ ისეა აღგზნებული, თუ შენზე მოსეული, შარს გადავეყრებით, — უთხრა ვალერიანმა. ლუკაც დათანხმდა; მევენახეებს გამოემშვიდობნენ და მანქანისაკენ წავიდნენ.

— არსად დაგეკარგოს ეგ უქნარა ინტრიგანი! — ირონდიმ მიაძახათ; კარგად იცოდა, რაიონის ხელმძღვანელებს როგორ სძულდათ ლუკა და მისი ამგვარი გამასხარავებით მათთან თავის მოწონება უნდოდა. ახლა მევენახეებს მიუბრუნდა და ლუკაზე აუგის თქმით აკაციასთან წარუმატებელი ჭიდილით დაგროვილ ბოღმას იმსუბუქებდა.

— მოდი, მეძროხეებთან შევიაროთ, დაახლოებით რამდენი ტონა ნაკელი იქნება, არ გაინტერესებს? — ლუკას ამ წინადადებაზე ვალერიანმა უარი არ უთხრა და მანქანა ფერმისაკენ წაიყვანა, რომელიც მევენახეების შესასვლელიდან რაღაც ხუთას მეტრში იყო.

მეძროხეები სტუმრებს გამოეგებნენ, ვალერიანმა ლუკა გააცნოთ.

— ეს რამდენი სასუქი დაგიგროვებიათ, — თქვა კლარამ.

— სასუქი კი არა, ნაკელში ვიხრჩობით. აბა, მოდით, დაათვალიერეთ რა დღეში ვართ, — ბრიგადირმა დამწვარი ნაკელის მთას შემოუარა და ახალი უზარმაზარი გორა აჩვენა, რომლიდან გამონადენი წუნწუხი იქვე მოზრდილ გუბეში გროვდებოდა, — ხედავთ, რა დღეში ვართ?! — ბრიგადირს დანარჩენმა მეძროხეებმაც კვერი დაუკრეს.

ლუკამ ნაკელის მთას შემოუარა, თვალით გაზომა, მიახლოვებით იანგარიშა და დაასკვნა: — ათას ტონაზე კარგად მეტი იქნება; რამხელა სიმდიდრეა, — ჩაილაპარაკა.

მევენახეების ბინიდან ჩანდა მეძროხეების სადგომი. ამათ მეძროხეებისკენ რომ შეუხვიეს, ირ0დიმ დაინახა და გაცეცხლდა.

— უყურეთ მაგ უსაქმურებს, ახლა მეძროხეებთან მივიდნენ; აქ საკბილო ვერაფერი ნახეს, ყველს ან რძეს გამოსძალავენ! — აყვირდა. მოკლეზე გაიქცა და მძღოლს გასძახა, მანქანით იქ მოდიო...

— თუ დამიჯერებენ, ორ კვირაში ამ საუქს მოგაშორებთ. თქვენც გეშველებათ და მოსავალიც გაიზრდება, — ამბობდა ლუკა.

— მაღარიჩი ჩვენზე იყოს, მაგრამ ირ0დის ხელში ამის გატანა კი არა, სხვა ნაგავი არ დაგვიყაროს. — სიცილით ამბობდნენ მეძროხეები.

ამ საუბარში იყვნენ, რომ ირ0დი ქაქანით მივარდა.

— ამათ რას შამახვევიხართ, საქმე გამოგელიათ?! ესენი გასართობად დასეირნობენ, რა ენაღვლებათ, მოწველით თუ რძე აგიმჟავდებათ!

— გასართობად კი არა, ნაკელის გატანას შეგვპირდნენ, ე, რო ვიხრჩობით და გასაქანი აღარა გვაქვს, ღმერთი არ არის?! — საყვედურით შეეპასუხა ერთი მეძროხე და დანარჩენებიც აჰყვნენ.

— ვინ უნდა გაიტანოს, ამ ფუქსავატებმა? — ირ0დიმ ლუკაზე მიუთითა.

— გაიტანონ და მოგვაშორონ. შენ გინდა ფუქსავატი დაუძახე, ჩვენი კი მოგვაშოროს, — მეძროხეები აყაყანდნენ.

— რის გამტანია ეს ინტრიგანი, აქაც რამე ოხრობას მოგვიწყობს! — ირ0დის სიამოვნებდა ლუკას ლანძღვა და მისი პასიურობა სტიმულს აძლევდა უფრო მეტი ღვარძლის გადმოსანთხევად.

— წავიდეთ ვალერიან, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროთ ეს

წუნწუხი თავისი ნაკელის ჭიებით! — თქვა ლუკამ და მანქანისკენ წავიდა.

— ვინ არის ნაკელის ჭია, შე ინტრიგანო?! — ირ0დი ღრიალით გაუქანდა.

მეძროხეები წინ დაუდგნენ და ლუკასკენ არ გაუშვეს.

ირ0დი ღრიალებდა და ლუკას ლანძღვა-გინებით იკლებდა, ახლა ლუკა აღარ ჩქარობდა გაცლას. ირ0დის ისე მოაჩვენა თავი, ვითომ გაურბოდა. ამით გათამამებული ირ0დი ლუკაზე ისე იწ-ევდა, ძლივს იჭერდნენ.

— შენ გრამიტონა ხო არა გგონივარ, შე ნაბიჭვარო! იგრე გაგხდი, სახლისკენ უკან-უკან მიდიოდე! — ირ0დს ორი კაცი იჭერდა, ის კი ღრიალებდა და იქაჩებოდა.

— ნაბიჭვრები უმიზეზოდ იგინებიან,— მიაძახა ლუკამ.

— მე ვარ ნაბიჭვარი? შენი კარგები და კეთილები! — ირ0დი ცოფს ყრიდა, ახლა უკვე ყველა მეძროხე იჭერდა.

მევენახეების სმენას მისწვდა ეს წივილ-კივილი და ამბის გასაგებად გამორბოდნენ.

— წავიდეთ, ლუკა, — უკვე მერამდენედ უთხრა ვალერიანმა, მაგრამ ლუკა ახლა არსად წამსვლელი აღარ იყო, ირ0დის მთელი ბატალიონი რომ ჰყოლოდა, ამდენ შეურაცხყოფას არ აპატიებდა.

— შენს კარგებს და კეთილებს მოუარე, ეგ გინება არ მიუ-ტრიალდეთ! — ლუკა დროდადრო აღიზიანებდა, რომ ირ0დს ვნებები არ დასცხრომოდა და ამით არ დამთავრებულიყო მისი თავხედობა, რათა მერე ზევით არ ეტრაბახა, სულ ლანძღვა-გინებით გამოვაგეო.

ამ დროს მოცვივდნენ მევენახეები და ირ0დიმაც გინების სართულებს უმატა.

— გამიშვით, წიხლქვეშ უნდა გავიგდო ეგ ნაბიჭვარი! — აღ-რიალდა.

— გაუშვით, არ გაინტერესებთ ნაბიჭვარი ვინ არის?! — ლუ-კამ შეკრებილთ მიმართა.

ერთი ახალგაზრდა მევენახე მეძროხეების ბრიგადირთან მივიდა და უჩუმრად უთხრა: — გაუშვით, ეგ იგეთი მაგარი ბიჭია თქვენსა და ჩვენს ჯავრს ერთად ამოიყრის. ჯერ ნუ გააშველებთ, სულ გააყრევინებს რაც თავმჯდომარეობით არაკაცობა აბარტყა.

ირ ოდი ცოფსა ყრიდა და ლუკაზე იწევდა. მეძროხეობის ბრიგადირმა დანარჩენებს თვალით ანიშნა, გაუშვითო, იმათაც ვითომ გაეშვათ. ირ ოდი უცებ წინ გავარდა, თავისუფლება იგრძნო, ორი ნაბიჯი გააკეთა და გაჩერდა, ყვირილიც შეწყვიტა.

— ეგრე, შე კაი კაცო, რა ხელები დაგვაწყვიტე, მე კიდევ მეგონა, არემარეს წალეკავდი! — საყვედურით თქვა ერთმა მეძროხემ; დანარჩენებს გაეღიმათ.

— ახლა მიყურეთ, რა ვუყო! — ირ ოდი ლუკას ეცა და მუშტი მოუქნია.

ლუკამ ხელი აუკრა ხელზე, მუშტი აიცდინა და ხელი უბიძგა. ირ ოდი წინ წაქანდა, სამი უნებლიე ნაბიჯი გადადგა, მოტრიალდა, ლუკას ეცა და მუშტების ქნევა ატეხა; ერთიც ვერ მოარტყა, ლუკა იცდენდა. უცებ ლუკამ ხელზე ხელი სტაცა, დაიქნია და მიწაზე გააგორა. ირ ოდი უცებ წამოხტა, ლუკას გაუქანდა, მან გვერდზე გაიწია, ფეხი დაუდო და ისევ გააგორა. ერთი დარტყმით გათიშავდა, მაგრამ აწვალებდა როგორც კატა თაგვს; ოღონდ იმ თაგვს ჯერ ვერ შეეგნო, რომ მის წინ კატა იყო და მასთან თავხედობა კატა-თაგვობად დაუჯდებოდა. ირ ოდი კიდევ წამოხტა., ახლა ლუკამ მკლავზე მოსჭიდა ხელი, კისრულზე წამოიღო, მიწაზე დაგდებას მოერიდა, უკან დაიწია და დამწვარ ნაკელზე ისე მაგრად დაახეთქა, რომ ირ ოდს დააბოყინა; ვეღარ დგებოდა. ლუკას ამით უნდოდა წარმოდგენის დამთავრება, მაგრამ მუხლებზე და ხელებზე დაყრდნობილი ირ ოდი ადგომას რომ ცდილობდა, მაინც ბილწად იგინებოდა: — შენი დედა, შე ნაბიჭვარო! — დაიგინა. ლუკამ წუნწუხის გუბეს გადახედა, ირ ოდს კისერში და შარვალზე დასტაცა ხელი, ეტყობა, შარვალს დუნდულიც მოჰყვა, ისე მაგრად მოუჭირა, რომ ირ ოდი ტკივილისაგან აღრიალდა.

ლუკამ ორივე ხელით მაღლა ასწია, რამდენიმე ნაბიჯი გაა-

კეთა და წუნწუხის გუბეში პირქვე ისროლა. ირ0დი აფარსხ-ალდა და მთლიანად ჩაიძირა, მერე მისი თავი გამოჩნდა, მუხლე-ბზე დამდგარი სახეს ისუფთავებდა და პირიდან წუნწუხს აფურთხებდა. გახარებული მაყურებლები უჩუმრა იცინოდნენ, არ შეგვამჩნიოსო.

ლუკა გუბის პირას იდგა, ირ0დი წუნწუხში ჭკუპაობდა.

— თუ ნაბიჭვარი არა ხარ, წუნწუხში რას უზიხარ! — მი-აძახა ლუკამ.

ირ0დს კი პირი მაგრად მოეკუმა, წუნწუხი არ ჩამოვიდესო.

— მიდი, ბიჭო, ამოათრიე, როდემდის უნდა ატყაპუნოს, — მძღოლს უთხრეს.

— სულ დავისვრები, როგორ უნდა მივუდგე; თვითონ გამოვ-იდეს როგორმე! — შეიცხადა მძღოლმა.

— დასვრა მაშინ ნახე, გვერდით რომ მოგიჯდება! — ახლა უკვე აშკარად ხარხარებდნენ.

— კარგად იყავით, ნახვამდის! — ლუკა ხელის აწევით ყველას გამოემშვიდობა და მანქანისკენ წავიდა.

— ნახვამდის, ნახვამდის! არ დაგვივიწყო! — მიაძახეს. — ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენა! რაც თავხედობა და ყოყლო-ჩინობა ჰქონდა წუნწუხში გასცვივდეს იქნებ, — სიცილით ამ-ბობდნენ ნასიამოვნები მაყურებლები.

მეორე დღეს კი მთელმა რაიონმა იცოდა ირ0დის გმირობის შესახებ. თვითონ ირ0დი იფიცებოდა, ტყუილია, მომიგონესო, მაგრამ ამ ამბის შემდეგ მის სახელს თან აჰყვა — წუნწუხა, ახლა უკვე ირ0დით აღარავინ იხსენებდა: წუნწუხამ ჩაიარა, წუნჩუხა გეძახის, წუნწუხასავით ნუ ხტუნაობ, თორემ წუნწუხა ჩურჩხელად გაქცევო, ეხუმრებოდნენ ერთმანეთს.

სოკრატმა რამდენიმეჯერ გააქეზა ირ0დი, იჩივლე და მაშინვე დავაჭერინებო, მაგრამ მან მკვდარი და ცოცხალი ფიცით შეაწუხა, ასეთი რამ არ მომხდარა, ტყუილად მიგონებენ, თუ არა გჯერა, ლუკას ჰკითხეო, იცოდა, რომ ლუკა ამბობდა, ტყუილია, ამგვარი არაფერი მომხდარაო...

მთავარი აგრონომის დავალებით ლუკამ ორ კვირაში მთელი მინდვრები მოიარა. ახლა აღარავინ უხირდებოდა, პირიქით, რიგითები განსაკუთრებული სიმპათიებით ხვდებოდნენ., კოლმეურნეობის აგრონომები დიდი ინტერესით დაჰყვებოდნენ და ლუკას შენიშვნებს პრეტენზიების გარეშე ღებულობდნენ.

ლუკამ რაც ნახა და რა წინადედებიც ჰქონდა წერილობითი მოხსენებითი ბარათი მთავარ აგრონომს წინ დაუდო.

— თუ მეთანხმებით, უფროსებს თქვენი კომენტირებით წარუდგინეთ. რატომღაც მგონია, რომ კარგი მუშაობის პირობებში მოსავალი ათმაგად და მეტად მოიმატებს, — თქვა და თავის მაგიდასთან დაჯდა.

სტეფანემ რამდენიმეჯერ წაიკითხა, საქაღალდე დახურა და ხელები მაგიდახე დააწყო; ჩაფიქრებული დიდხანს იჯდა. ოთახში ყველა თავისი საქმით იყო გართული. სტეფანემ კი საქაღალდე ისევ გახსნა და, უკვე მერამდენედ, ლუკას ჩანაწერების კითხვა დაიწყო. დიდხანს უკირკიტა, დაამთავრა, საქაღალდე გვერდზე მიაცურა და შემადგენობამოხსნილი ორქლმავალივით ამოიქშინა.

— დღეიდან ჩვენს ოთახს თამამად შეიძლება ეწოდოს ამბოხების შტაბი! — საზეიმოდ გამოაცხადა. — რაც აქ წერია ზოგი რამ ჩემი სურვილიც იყო, მაგრამ ხმამაღლა რა მათქმევინებდა; ზოგზე არც მიფიქრია; ზოგი კიდევ გაბედული მეოცნების ხმამაღლა ნათქვამი მგონია, რომელსაც ახდენა უწერია თუ ყველა ერთხმად ქვეყნის და საერთო საქმის ერთგული იქნება, მაგრამ... — სტეფანე ჩაფიქრდა. — მოკლედ, ეს ყველამ უნდა წაიკითხოთ; სოკრატიმ კი ამის შესახებ არაფერი არ უნდა იცოდეს, ახლა მასთან მივალ და აგრონომებთან გაფართოებულ რაიონულ თათბირის ჩატარებას მოვითხოვ. მოხსენებას ლუკა გააკეთებს. მივდივარ და ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ადიდებულ ალაზანში გადასახტომად ვემზადებოდე, — ღიმილით თქვა და გავიდა...

— რა რაიონული თათბირი აგიტყდათ, უმაგისოდ ხომ არდანბურდანს გადადიხართ! — სოკრატმა წინდადება დაუწუნა.

— ჰოდა, რომ არ გადავდივართ, მოველაპარაკებით, ღონისძიებად

ჩაგეთლებათ; თქვენც დაესწრებით, დავალებებს მისცემთ, ზოგს დატუქსავთ, ზოგს წაახალისებთ და შეკრება დარჩება მხიარული, — სტეფანემ ღიმილით უთხრა.

— კარგი, პირველ მდივანს შევათანხმებ, ოღონდ ეგ თქვენი ლუკა იქ არ აყბედო; საერთოდ ნუ დაასწრებ, სადმე გააგზავნე, თორე რაღაც სისულელეს ჩაიდენს და აგრონომთა შეკრება გიჟების ყეინობას დაემსგავსება; ყველაფერი კი შენზე გადატყდება! — გააფრთხილა...

კლარა, რაც გრამიტონი მიატოვა, მაშინვე ქალაქში წავიდა და აღარ გამოჩენილა. სამსახურის გარდა არსად არ დადიოდა და არც არაფერი აინტერესებდა, საღამოობით სახლში მარტო იჯდა და ლუკაზე ოცნებობდა. თავისი თავისთვის ვერ ეპატიებინა, რომ გრამიტონის ის საშინელი ჩანაფიქრი ვერ ამოხსნა. უცებ გიჟივით წამოხტებოდა და ხელებს თავში წაიშენდა; რა მეშველებოდა, ლუკა რომ დაღუპულიყო; სული შეუგუბდებოდა, ისევ დაჯდებოდა და ატირდებოდა. რაც დრო გადიოდა, ლუკას ნახვის სურვილი უფრო და უფრო მძლავრად ეძალებოდა, სამსახურის შემდეგ მაღაზიაში გაივლიდა, ლუკასთვის რამეს იყიდიდა და მთელი საღამო მის ცქერაში, ოცნებაში ჩაძირული, კლავდა დროს. ბოლოს ვეღარ გაუძლო ამგვარ ყოფას, ლუკასთვის ნაყიდი რაც ჰქონდა, ჩანთაში ჩააწყო და ავტოსადგურში წავიდა...

ლუკა ოთახში იჯდა. მთელი დღე აგრონომებთან თათბირის მასალებზე იმუშავა, ახლა ისვენებდა. სოკრატმა ერთხელ კიდევ გააფრთხილა სტეფანე, როგორმე მოახერხე და ლუკა ამ შეკრებაზე არ დაასწრო,. არადა ეს შეკრება სწორედ ლაუკას მიერ დაყენებულ საკითხებს ეძღვრებოდა. ყველაფრის ინიციატორი კი სტეფანე იყო, რადგან რასაც ლუკა ამბობდა, მასაც ეს აწუხებდა, მაგრამ თქმა ვერ გაებედა; ახლა ლუკა იყო ამის გამკეთებელი და ამგვარ შესაძლებლობას როგორ გაუშვებდა ხელიდან, თუნდაც მისი კარიერა ამით დასრულებულიყო.

კლარამ ფანჯრიდან შეიხედა და მინაზე დააკაკუნა. ლუკა უცებ შემობრუნდა და კლარას დანახვაზე გაშტერდა. კლარა ფან-

ჯარაში გაუჩინარდა,. ლუკას ეგონა, მოეჩვენა და თვალებს იფშ-ვნეტდა, კლარა გრიგალივით რომ შეიჭრა მასთან, ჩანთა იატაკზე დააგდო და მოულოდნელობისაგან გაკვირვებულ ლუკას კისერზე ჩამოეკიდა; ლუკამაც გაშალა ხელები და მკერდში მაგრად ჩაიკრა.

— ღმერთო ჩემო! ნუთუ შენთან ვარ, ჩემო ლუკა?! — კლარამ განზე გაიწია, ლუკას დააკვირდა და ისევ მიეკრა მკერდზე.

— მეც თავი სიზმარში მგონია, კლარა, რა გამახარე ამ მოუ-ლოდნელი გამოჩენით! — ლუკამ ისევ მოხვია ხელები და თავი თავზე დაადო.

პირველი ემოციების დაცხრომის შემდეგ ჩამოსხდნენ და გახ-არებულები შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

— როგორა ხარ, ლუკა? გავიგე, ახალ სამსახურში გადა-სულხარ, — კლარამ შესცინა.

— ჰო, გადავედი, თუ გრამიტონას მომაშორეს, მე კმაყოფილი ვარ. ხვალ რაიონული თათბირი გვაქვს, შეიძლება მეც მომიწიოს სიტყვის თქმა.

— რა კარგია. ისე გამოგაწყობ, რომ იქ შენისთანა არავინ იყოს; თუმცა შენისთანა იქ კი არა, მთელს ქვეყანაზე არავინაა! — კლარამ ჩანთიდან შიგთავსი ამოალაგა.

— ეს რა გიქნია, გოგო! — ლუკა გაკვირვებული მისჩერებოდა.

კლარამ ჯერ კოსტუმი ამოიღო, ლუკას მიაზომა და კმაყო-ფილმა თქვა: — შენი ზომები არ მეშლება.

მას მიაყოლა პერანგი, წინდები, ჰალსტუხები და ბოლოს საუკეთესო ფეხსაცმელები. — ახა, ლუკა, ეს გაისინჯე, — და-იჩოქა, ფეხსაცმელი აიღო და ფეხზე ჩაცმა დაუწყო.

— მოიცა კლარა, მე თვითონ, — ლუკამ ჩაიცვა და გაიარა.

— ხომ არ გიჭერს?

— არა, თითქოს ჩემს ფეხზეა შეკერილი.

— ვიცოდი, არ შემეშლებოდა.

— ეს ყველაფერი რა ღირს, კლარა?

— სამსახურში პრემიაში მოგვცეს. ჩემი ძმისთვის მინდა-მეთქი; ხომ მართალი მითქვია, ლუკა?

— შეიძლება ძმას არ უყვარდე, ჩემნაირად, მაგრამ პრემიაში რატო შენი ტანსაცმელი არ აიღე?

— იმიტომ, რომ ყველაფერი საჭიროზე ბევრი მაქვს, შენ კი გახუნებული საცმელებიც გიცვდება, რადგან ახლის შესაძენად არც გცალია და არც სურვილი არა გაქვს. მე კიდევ შენზე ფიქრი და ზრუნვა მაცოცხლებს და სამაგიეროდ მხოლოდ იმას ვითხოვ, კარგად და ბედნიერად იცხოვრო! — კლარამ ღიმილით შეხედა. მის თვალებში ლუკამ უზომო სიხარული ამოიკითხა.

— არ ვიცი, როგორ და როდის გადაგიხდი ყოველივე ამას, მაგრამ მჯერა, რომ ისე გადაგიხდი, როგორც შენს უსაზღვრო კეთილშობილებას ეკადრება, — ლუკამ კლარას ხელი მოჰკიდა და მკერდზე მიიკრა.

— ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, რომ ასე თბილად მიმიღე; სიცოცხლის მიზანიც შენზე ზრუნვაა ჩემთვის! — კლარა ხელზე ნახად მომეფერა და საქმეს შეუდგა.

ყველაფერი გააწკრიალა, დააუთოვა, თავისი ადგილი მიუჩინა. ახლა ლუკას სთხოვა, ისე გამოწყობილიყო, როგორიც წავიდოდა ხვალ თათბირზე, ლუკას უარი არ გამოუვიდა, კლარამ თავის გემოვნებით გამოაწყო, განზე გავიდა, შემოუარა და გაკვირვებულმა ორივე ხელი ლოყებზე მიიდო.

— ღმერთო ჩემო! ვერ დავიჯერებ ამგვარი ვაჟკაცი მეორეც თუ დადის დუნიაზე! — კლარა მუხლებზე დადგა და ფეხებზე მოეხვია.

— რას შვრები, კლარა, გაგიჟდი?! — ლუკამ ფეხზე წამოაყენა და მოეფერა.

კლარამ თავი მკერდზე მიადო და აქვითინდა.

— რა გაქვს გოგო სატირალი?!

— არაფერი, სიხარულის ცრემლებია, — კლარამ ცრემლები მოიწმინდა და ოთახის დალაგებას შეუდგა.

ივახშმეს. რამდენიმე ჭიქა ღვინოც დალიეს. კლარამ სუფრა აალაგა და წასასვლელად სამზადისი დაიწყო.

— შენ მშობლებს ეძინებათ, გულები გინდა გაუხეთქო, ამ

დროს საიდან მოგვევლინაო? დარჩი, აგერ, მეორე ოთახში, ხვალ კი მიხვალ თქვენებთან, — ურჩია ლუკამ.

— გრამიტონას იქ დარჩენით გულს ვუხეთქავდი, სულ ჩაკეტილ ოთახში ეძინა, არ შემომივარდეს და ჯოხით არა მცემოსო; შენ კი პირიქით გეშინია მგონის, არ შემომივარდეს და მოფერება არ დამიწყოსო. ნუ გეშინია, ლუკა, მე შენი ნახვითაც უსაზღვროდ ბედნიერი ვარ და არასოდეს შეგიბღალავ მარინეს სიყვარულს; რადგან არ მაგდებ, დავრჩები და უხერხულობას არაფრით არ შეგიქმნი.

— სიტყვებით ვერ გამოვხატავ, ჩემთვის არ უძვირფასესი ხარ, რაც შეეხება ჩემს და მარინეს შორის ურთიერთობას, რატომღაც მგონია, რომ მოპირდაპირე პოლუსებზე ვდგევართ და არცერთს არ გვინდა მისი მიტოვება. მარინეს სიყვარული კი წარმატებულ კარიერისტს ეკუთვნის მხოლოდ, — დაასკვნა ლუკამ...

დიდი დარბაზი ხალხით გაიჭედა. აგრონომების გარდა ბრიგადირები, მოწინავე რიგითები და თავმჯდომარეებიც მოსულიყვნენ.

— სოკრატ გიგაევიჩ, ყველა მოსულია არ დავიწყოთ? — მოახსენა სტეფანემ.

— ზაალ დიმიტრიჩი დაკავებულია, თუ იმანაც მოისურვა დასწრება, ორი-სამი საათით მოცდა მოგვიწევს.

— რას ამბობ, ხალხი დაიშლება; სამი საათი როგორ უნდა იცადონ.

— კაცს დავაყენებ კარებთან, კარგი ბიჭია და ვინმე წავიდეს?

სტეფანე ცოტა ხანს ჩუმად იჯდა.

— დაურეკე, იქნება უმისოდ ჩატარების ნება დაგვრთოს; მერე როცა მოიცლის, მოვიდეს, — ურჩია სტეფანემ.

სოკრატმა დიდი ყოყმანის შემდეგ ყურმილი აიღო და პირველ მდივანს დაურეკა, — თქვენ დაიწყეთ, მე როგორც მოვიცლი, შემოგიერთდებით; თუ ვერ მოვედი, ყველაფერი დაწვრილებით მომახსენე! — ზაალ დიმიტრიჩმა ყურმილი დადო და სოკრატმა შვებით ამოისუნთქეს.

— თათბირს შენ წაიყვან, მე თუ საჭიროდ ჩავთვლი, ჩემს სათქმელს ვიტყვი! — დაავალა სტეფანეს და იმანაც გაიხარა.

თუმცა აგრონომების შეკრება ერქვა და ამისათვის თავი დიდად არ შეუწუხებიათ, ჩვეულებისამებრ რაიონის მთელი ხელმძღვანელობა გამოიჭიმა პრეზიდიუმში.

სტეფანე ჯერ ადგილებიდან ინფორმაციებს ისმენდა, ფრთხილობდა, ლუკას გამოსვლას ისეთი გაღიზიანება არ გამოეწვია, რომ თათბირის გაგრძელება აღარ მოხერხებულიყო; ამიტომ ლუკას გამოსვლა ბოლოსთვის შემოინახა.

სოკრატი ყველა გამომსვლელს კრიტიკული რეპლიკებით აჩერებდა და გრძელი აზრის გამოთქმით ამთავრებდა. თათბირი კარგად ცნობილ, უღიმღამო, სტანრდარტულ სიტყვების და შენიშვნების კალაპოტით მიმდინარეობდა. პრეზიდიუმში და დარბაზში მთქნარებას უმატეს; ზოგი თვლემდა, სოკრატი კმაყოფილი იყო, შენიშვნებით და დარიგებით თავი მოიწონა; ყველას თავისი ძალა აჩვენა. ზაალ დიმიტრიჩიც არ მოვიდა და საკუთარ სტიქიაში იყო. მერე დიდი რიხით მოახსენებდა, კრების მაგარი აქტივობით ჩატარების შესახებ.

გამომსვლელი გამომსვლელს სცვლიდა, ერთნაირი და მომაბეზრებელი საუბრით სოკრატიც დაიღალა თუ მობეზრდა, დაამთქნარა. დროა, სტეფანემ გაიფიქრა და ადგა: — ახლა აგრონომი გაგაცნობთ წინადადებეს სამუშაოთა უკეთ წარმართვისა და რაიონში არსებული მდგომარეობის შესახებ, — გამოაცხადა და ლუკას ანიშნა, გამოდიო, რომელიც დარბაზში იჯდა.

კოსტუმში კოხტად გამოწყობილი, ჰალსტუხიანი მშვენიერი ინტელიგენტი სოკრატს ეუცხოვა.

— ვინაა, დედაქალაქიდან ჩამოვიდა? — გაკვირვებულმა იკითხა.

— უცხო არაა, ჩვენიანია, — დაამშვიდა სტეფანემ.

— კაცო, ეგ ლუკა არ არი, მაგან რა უნდა თქვას?! — სოკრატს თვალები გაუფართოვდა.

— ვნახოთ, რას იტყვის, აქ მაგიტომ არა ვართ, — სტეფანემ

უპასუხა და მოსასმენად მოემზადა.

ლუკამ ჯერ რაიონის მიღწევებზე და წარმატებებზე ისაუბრა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს მიერ გატარებული ღონისძიებებიც არ დაივიწყა, რაც სტეფანეს მიერ მიწოდებული ცნობებით და რჩევით იყო ნაკარნახევი.

— რა კარგად ლაპარაკობს. მე კი სულ სხვანაირი მეგონა, ზაალ დიმიტრიჩი რომ ისმენდეს, ძალიან მოიწონებდა; ჭკვიანი ბიჭი ჩანს, — გაუხარდა სოკრატს.

— რა წარმატებებიც ჩამოვთვალე ათჯერ და ასჯერ მეტი იქნებოდა, ყველაფერს პატიოსნად, ხალხის და ქვეყნის სიყვარულით რომ ვაკეთებდეთ, მომხვეჭელობის და საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად საერო-სახალხო ქონებიდან ცხიმიანი ლუკმის დატაცების მანკიერებამ ბევრი მოწამლა ეს კი ისეთი გადამდები დაავადებაა ირგვლივ ვისაც კი მისწვდება, ამახინჯებს. რამდენი უხარისხოდ მოხნული და დაუმუშავებელი ნაკვეთი ვნახე, საიდანაც არაფრის მიღება არ მოხერხდება. ხვნათესვის გეგმას კი არ უნდა იძლეოდნენ ზევიდან, მოითხოვონ რამდენი რა სახის პროდუქციაა საჭირო, იქნება რაც მევალება ას ჰექტარზე კი არა ათზე მომყავს. ეგრე ნაკვეთსაც კარგად დავამუშავებთ და დამატებით რაც გვინდა, იმას მოვიყვანთ.

— სწორია! — დაიძახეს დარბაზიდან და ტაში დააქუხეს.

ლუკამ ახლა რწყვის და სასუქების გამოყენების პრობლემებზე ისაუბრა.

— ყველა წარმატების საწინდარი კი ვინც უშუალოდ მუშაობს მისი დაინტერესებაა, — დასძინა — წვრილმანი ქურდობა მსხვილმა მომხვეჭელობამ გააჩინა. გლეხმა კარგად იცის, რომ ყოველ მოყვანილ ჭირნახულში მისი წილიცაა, იმასაც კარგად ხედავს, მსხვილი მტაცებლები როგორ ეზიდებიან მის ნაოფლარს, გული უტყდება და თვითონ როგორც ახერხებს, ისე იპარავს. ამრიგად გამოვიდა, რომ მეურნეობები მსხვილმან-წვრილმანი დამტაცებლებით აივსო. გამოსავალი ზოგიერთის შერჩევით დაჭერა კი არ არის, მშრომელთა სათანადო ანაზღაურებით დაინტერე-

სება უნდა იყოს. ადამიანი სამსახურში რომ მიდის, იმაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, კომბინაციებით რა მიითვისოს. შრომის ანაზღარება ისეთი უნდა იყოს, რომ მისი ენერგია ქურდობა-დატაცებაზე კი არ უნდა იხარჯებოდეს, მთლიანად შემოქმედებით საქმიანობას უნდა ხმარდებოდეს.

დარბაზში ახმაურდნენ — სწორია, ეგრე უნდა იყოს! — დაიძახეს და ტაში დააქუხეს.

ამ დროს ზაალ დიმიტრიჩი შემოვიდა. სხვა დროს მთელი დარბაზი ფეხზე დგებოდა და ტაშით ხვდებოდა. ახლა მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

— სწორია, მართალს ამბობს! — იძახოდნენ და ტაშს უკრავდნენ.

ზაალ დიმიტრიჩი პრეზიდიუმში გაბღენძილი დაჯდა და სოკრატს ჰკითხა: — რა ხდება, რა სწორიას ღრიალებან?

— იმ გიჟმა აგრონომმა თავისებურად გაუტია და...

— ვნახოთ, ვნახოთ! — თქვა ზაალ დიმიტრიჩმა და დარბაზს გოროზი მზერა მოავლო.

— გაუთავებელი ღრეობები და პურმარილი, ზემდგომებთან გაგზავნილი ძღვენი; ეს გოჭები, ქათმები, ბატკნები, დეკეულები რყვნის ჩვენს საზოგადოებას და ნუ დავივიწყებთ, მშრომელი ადამიანების წილია, უბოდიშოდ რომ ვტაცებთ. ყველამ ის უნდა იკმაროს, რაც ოფიციალურად ეძლევა. უკმარისობა კომბინაციებით და ქრთამით ათმაგად და ასმაგად კი არ უნდა გადაფარონ, რაც ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებას რყვნის, ერთობლივად უნდა დადგეს საკითხი ანაღზაურების სრულყოფის შესახებ,— ისევ ატყდა სწორიას ძახილი, რასაც ტაში მიაყოლეს,— კაცობრიობის წარმოშობიდან სოციალური კეთილდღეობის და თანასწორობის საზოგადოების შექმნა ადამიანთა ოცნება იყო, ამას კი შეგნების სათანადო მომწიფება სჭირდებოდა, რათა ადამიანში მომხვეჭელი და ჯუნგლების გაველურება დაკნინებულიყო და თანდათან მოსპობილიყო. ამას თითქოს მივაღწიეთ, მაგრამ თუ მომხვეჭელობა არ აღმოიფხვრა, უამრავი პრობლემის წინაშე დადგება ხალხის სოციალური კეთილდღეობის იდეა,— ისევ იქუხა ტაშმა.

ზაალ დიმიტრიჩმა გაბრაზებულმა შეხედა სოკრატს,– ეს ახლად გამომცხვარი ინტრიგანიღა გვჭირდებოდა?! – თვალები დაუბრიალა, იმან კი თავის მხრივ სტეფანეს წაუსისინა: – ეს რა ჩაიდინე, ჩემი დაღუპვა გინდა?!

ლუკა კი საუბარს აგრძელებდა დროდადრო სწორიას და ტაშის აკომპანიმენტით.

– ადამიანმა თავისი ენერგია სასარგებლო შრომით საქმიანობას უნდა მოახმაროს. რაც შეეხება მისი შრომის დაფასებას, დაწინაურებას თუ დაჯილდოვებას. ამაზე საერთო საქმისათვის თავდადებული, ზნემაღალი და სინდისიერი ხელმძღვანელი მუშაკები უნდა ზრუნავდნენ, ვისთვისაც მლიქვნელობა, მაამებლობა, ათასნაირი ძღვენი და ქრთამი უცხოა; ვისთვისაც ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, სინდისი და პატიოსნება ყველაზე დიდი სიხარულია, – დარბაზში ტაშმა იქუხა.

ლუკა ტრიბუნიდან ჩამოვიდა. თავის სკამთან ტაშით მიაცილეს.

– მიმართვის ტექსტს გავაცნობ, – სტეფანემ სოკრატს უთხრა.

– მიმართვის წაკითხვა უნდა, – სოკრატმა ზაალ დიმიტრიჩს მოახსენა.

– ვისი შედგენილია?

– ვისი შედგენილია? – სოკრატი სტეფანესკენ შეტრიალდა.

– ძირითალში ლუკა ხუციშვილის.

– მიმართვა არა ეშმაკი და ქაჯი! – ზაალ დიმიტრიჩი ფეხზე ადგა. მას სოკრატი და მთელი პრეზიდიუმი აჰყვა. ერთმანეთის მიყოლებით გავიდნენ. დარბაზშიც აიშალნენ, ლუკას შემოეხვივნენ და შეკითხვები დააყარეს...

– შენ რა პროვოკაციას გვიწყობ, ამხანაგო! – ზაალ დიმიტრიჩმა კაბინეტში უღრიალა სოკრატს – აგრონომების შეკრებაა თუ ინტრიგანების თავყრილობა?! გეკითხები, თუ იცოდი, რა დიდი დანაშაული იტვირთე, თუ არ იცოდი და ყეყეჩივით ჩამოჯექი იქ, ორჯერ მეტი დანაშაული გამოგდის, როგორც თანამდებობაზე

გამოჭიმულ დებილს და შეუფერებელს!

სოკრატი მოკუნტული იდგა და ხმას ვერ იღებდა.

— გაარკვიეთ, ეგ ვაგლახი აგრონომი უცხოეთის აგენტი ხომ არ არის! — უშიშროების უფროსს დაავალა.

— უცხოეთის აგენტი კი არა, ჩვენი ქვეყნის ერთგული და განათლებული პატრიოტი დავინახე მაგის გამოსვლაში, — დინჯად უპასუხა მან.

— რა ვიცი, გვიან მოვედი და ალბათ მომეჩვენა, — ზაალ დიმიტრიჩმა უკან დაიხია. სოკრატსაც მოეშვა დაძაბულობა.

კაბინეტიდან ყველა დაითხოვა, მარტო სოკრატი დაიტოვა. ახლა მაგიდასთან ხელებში თავჩარგული იჯდა, სოკრატი ფეხზე იდგა და დაჯდომა ვერ გაებედნა.

— ჰოოო! — როგორც იყო ზაალ დიმიტრიჩმა ხმა ამოიღო. — მართლაც ამგვარი გამოსვლის გამო დასჯა არ გამოვა, ბევრი უჭერს მხარს. ისეთ რამეზე უნდა მოვსპოთ, თორემ ბევრს გააფუჭებს. ნახე დარბაზში რამდენი ინტრიგანი იჯდა, ტაშისკვრით რომ ჭერი ჩამოიღეს.

— მეც მაგ აზრისა ვარ, ზაალ დიმიტრიჩ, ისე უნდა მოვსპოთ, რომ სხვებს ინტრიგანობის მადა დაეკარგოთ, — პირმოთნედ დაეთანხმა სოკრატი.

— ახლა წადი და იმ ბიჭის სიტყვა ამომიტანე, თავიდან ბოლომდე უნდა ვიცოდე, რა იყბედა.

— ზოგი წაიკითხა, ბევრი კი ზეპირად ილაპარაკა.

— დაწერილი რაც არის მომიტა, ზეპირად რაც თქვა, ის კიდევ შენ მომიყევი.

მალე პირველ მდივანს ლუკას სიტყვა წინ ედო და თავს უკმაყოფილოდ იქნევდა. სოკრატმა კი ზეპირად იმდენი რამ გადასცა, რაც ლუკას აზრადაც არ მოსვლია; მისი ღირსეულად მოცილება კი ამის შემდეგ მტკიცედ გადაწყვიტეს.

## ნახევარი ჭიქა ღვინის და შეუჭმელი ლუკმის ფასი

ახლა ლუკას ტყუილუბრალოდ აღარ უხირდებოდნენ, სადაც მიდიოდა, რიგითი ადამიანები დიდი სიხარულით ხვდებოდნენ, ხელმძღვანელები კი პირმოთნე მისალმების და პატარა გასაუბრების შემდეგ ცდილობდნენ მალე გასცლოდნენ. ლუკა ყველასთან თავაზიანი, ტაქტიანი და თავმდაბალი მოსაუბრე იყო, მაგრამ იცოდნენ, რომ წრეგადასულ თავხედობას შეეძლო მისი ამ ზომიერებიდან გამოყვანა, მაშინ კი წუნწუხას ბედის გაზიარება მოუწევდა თავხედს.

აგრონომებიდან ყალბი ცნობების გაგზავნაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. სტეფანესაც არ უნდოდა ამის გაკეთება, ამიტომ ლუკას იშველიებდა, რა ვქნა, ასეთი რამ რომ ნახოს, არ გვაპატიებსო. სოკრატიც თავის სკამზე ხტოდა, მაგრამ ლუკას ვერაფერს უბედავდა. აგრონომების ამბოხი მეცხოველეებსაც გადაედოთ და განაცხადეს, სულადობის ყალბად მომატებას აღარ დავუშვებთო, ახლა უკვე განგაში ატყდა; ლუკას ბრალია ყველაფერი და სათანადოდ უნდა დაისაჯოსო.

ცხელოდა. უწყლობით შეწუხებულ ხეებს ფოთლები დასჭკნობოდათ. მარტო არხის პირას მდგარი ძეწნა გალაღებულიყო, მცირე ნიავზე მიწამდე დაკიდებულ, მწვანე ფოთლებით შემოსილ ტოტებს სამაიას მოცეკვავეებივით წყნარად აქანავებდა, იქვე რესტორნიდან ღრიანცელის და არეული სიმღერების ხმა ისმოდა.

ლუკა მინდორში უნდა წასულიყო. იქ მიმავალ მძღოლს დაუბარა, არხის პირას დაგელოდებიო. ძეწნასთან მოწყობილ ხის საფეხურებთან მივიდა, არხში რომ ეშვებოდა, პერანგი გაიხადა და არხის წყლით პირი და სხეული გაიგრილა; პერანგი ჩაიცვა და ძეწნის ჩრდილში გაჩერდა.

რესტორნის საბანკეო დარბაზის ფანჯრები არხის პირას მდგარ ძეწნას გადაჰყურებდა, გრძელ მაგიდას ოთხი კაცი უჯდა. საჭმელები რამდენიმე სართულად თეფშებით, მათლაფებით და ტაფებით ერთმანეთზე ეწყო, მოქეიფენი კარგად შეზარხოშებულები იყვნენ. იუს-


РЕСТОРАН

ტიციის უმცროსი მრჩეველის ფორმაში გამოწყობილმა შალვა შიოშვილმა დიდი ჭიქა შეავსო და სადღეგრძელოს სათქმელად ფეხზე ადგა. რაღაც განსაკუთრებულის თქმა უნდოდა და ღვინით დაბუჟებულ გონებას დაავიწყდა, დროის მოსაგებად ფანჯარას მიაჩერდა; გარეთ, ძეწნის ჩრდილის ქვეშ მდგომ კაცს დააკვირდა.

— ვახ, ეს ხომ ლუკაა! — ჩანგალი რამოდენიმეჯერ შემოჰკრა ნახევრად დაცლილ ბოთლს.

მიმტანი სასწრაფოდ შემოვარდა და მის წინ მოწიწებით გაჩერდა.

— გისმენთ, ზახარიჩ! — პირმოთნედ მიმართა.

— ახლავე გავარდი და ძეწნის ქვეშ კაცი რომ დგას, აქ მოიყვანე! — უბრძანა.

— ახლავე აქ მოვაბრძანებ! — მიმტანი ძუნძულით წავიდა.

— მოდით, ბიჭებო, ამ ბარაქიანი სასმისით ვისაც პურის ჭამის შნო და მარიფათი აქვს, იმ სასახელო ვაჟკაცებს გაუმარჯოს — დაიწყო შალვამ...

მიმტანი ლუკასთან აქოშინებული მიიჭრა. სუფთა, მაგრამ გახუნებულ პერანგს და გაცრეცილ შარვალს რომ შეხედა. ლუკამ მის თვალში ღირებულება უცებ დაკარგა. აქ კაცი მხოლოდ ძვირფასი ტანსაცმლით და ჯიბის სისქით ფარსდებოდა, მხარბეჭიანი, დაკუნთული, მაღალი და მოქნილი ვაჟკაცი არაფრად ღირდა, „ალბათ, სადგურის მტვირთავია“ — გაიფიქრა.

— წამოდი, რესტორანში გეძახიან! — აგდებით უთხრა და იმდენად იყო დარწმუნებული, რომ გაჰყვებოდა, უკან გაბრუნდა.

ლუკას სახეზე დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა.

მიმტანი რაკი დარწმუნდა, რომ უკან არ მისდევდნენ, მობრუნდა. ლუკა დამცინავად მისჩერებოდა მის ღიპზე გაქონილ ხალათს.

— წამოდი, კაცო, არ გესმის? — ამგვარი ხეპრე ადამიანის ნახვა გაუკვირდა, სულაც რომ არ გაუხარდა მისი მიპატიჟება — წამოდი, გეძახიან! — უბრძანა.

— ვინ მეძახის?

— უბრალო კაცი ხომ არ გგონია, რომ გაიგო ვინ არის, სულ ცეკვით წამოხვალ.

— მოცეკვავეა?

— მოცეკვავე კი არა, პროკურატურის გამომძიებელი — ზახარიჩია თავისი ძმაკაცებით.

— ზახარიჩია? ვა�ა, რას ამბობ, ზახარაც მანდ არის?

— რა ზახარა, რის ზახარა, სამი იგეთი ძმაკაცი ჰყავს, სულ ხარებივითა სვამენ.

— გულისრევა ჯერ არ დაწყებიათ?

— ზახარიჩზე და მის ძმაკაცებზე ეგრე ლაპარაკი როგორ შეიძლება, წამოდი, თორემ ეწყინებათ!

— მერე, ცივი წყალი გამოგელიათ?

— ცივი წყალიც გვაქვს და ლიმონათიც.

— ჰოდა, ნაწყენებს ცივი წყალი მოუხდებათ, დაალევინე!

— კაცო, ზახარიჩს ცივი წყალი რათ უნდა, ღვინოს ლუდის ბაკალითა სვამს.

— ჯერ ერთი, მაგნაირ კაცს არ ვიცნობ, მეორეც, მსმელები, მჭამელები და მუცელღმერთები სხვა ეკლესიაში ლოცულობენ, სადაც ჩემისთანა კაცი არ შედის, გაიგე?! ახლა მიბრუნდი და გაძუნძულდი!

გაკვირვებული მიმტანი ჩანაჩამოვარდნილი შეჰყურებდა, ეს ვინ გამოვიდა, ამხელა კაცის მიპატიჟება რომ გამიქარბუქაო.

ლუკას მოსწყინდა მასთან ლაი-ლაი, თვალებში რისხვის ნაპერწკალი გამოუკრთა. — წადი,უთხარი იმ შენს ზახარიჩია თუ გულბაათ ჭავჭავაძე, იმ კაცს რესტორნისთვის არა სცალია, საქმეზე მიდიოდა-თქო! გაიგე? — ლუკამ ხელი წაავლო, ამხელა ღიპიანი ხორცის მასა თოჯინასავით შეაბრუნა და მსუბუქად უბიძგა.

მომტანს უკან აღარ მოუხედია, ისე გაძუნძულდა.

— ეს რა ღვთის ამოძაგებული ყოფილა! — თავისთვის ბუტბუტებდა.

— არ გამომყვა, ვიღაც უცხვირპირო ჩანს, ზახარიჩია თუ

ყარამანი მე მაგასთან ჭამაყლაპისთვის არა მცალიაო, — თავისებურად მოახსენა ლუკას ნათქვამი.

შალვამ სადღეგრძელოს თქმა შეწყვიტა: — არ უთხარ, შალვა გემახისო? — გაკვირვებულმა ჰკითხა.

— ერთი მაგის ოხერი დედაც! რას გადაეკიდე. ვინ ნაბიჭვარია ჩვენთან მოსვლას რომ არ კადრულობს! წავალ და სულ კინწისკვრით მოვათრევ! — დაიტირაბახა ერთმა, სქელ კისერს ძლივს რომ აბრუნებდა და ადგომა დააპირა.

— არ გინდა, მე თვითონ, — შალვამ ჭიქა დადგა.

— გაანებე თავი, ვიღაცა რქიანი ჩანს, მაგას ჩვენთარ რა უნდა, ჯიბეში ნახევარი ლიტრა არაყი ედგმება, — დაცინვით თქვა ჩასუქებულმა ავტოინსპექტორმა.

— ერთი ავყია ვინმეა, ჩემთან სწვალობდა, თავი მაღლა ეჭირა. ახლა აგრონომია და ერთი გახუნებული პერანგი ვერ გამოუცვლია; მინდა, ვაჩვენო, ვინ არის მაგარი ბიჭი, — შალვამ მხრები ამაყად აათამაშა.

— მაიცა, მაიცა! ეგ ხომ არ არი ის გიჟი აგრონომი ზაალ დიმიტრიჩს რომ ეჯავრება? — იკითხა მეორე მილიციელმა.

— ჰო, ეგ არის. მოვიყვან და მაგრად გავათახსიროთ; აქედან სულ ხოხვით უნდა გავუშვათ.

— მიდი, მიდი! მოიყვა, მაგას ვაჩვენებ, როგორ უნდა არაკაცის გაპანღურება! — თავიანთ ძალაში დარწმუნებულებმა ახალი გასართობით გაიხარეს.

შალვა საერთო დარბაზზე გავლით ამაყად გაემართა გასასვლელისაკენ.

კუთხეში მდგარ მაგიდიდან სამი კაცი წამოხტა ფეხზე, ყველას ხელში ჭიქა ეჭირა: — ზახარიჩს სიცოცხლე! — ერთხმად დაიძახეს. შალვამ ხელის აწევით უპასუხა: — ბიჭებს გაუმარჯოს!

კარი გააღო და გარეთ გავიდა. ძეწნის ჩრდილში მდგარ ლუკასთან დინჯად, თავდაჯერებული კაცის ნაბიჯებით მივიდა, ხელი ჩამოართვა და გადაეხვია.

— ეს რას ჰგავს, ლუკა, სკოლის ამხანაგს ვეღერ სცნობ?! — უსაყვედურა.

— რას მატყობ, რომ ვერ გიცანი? — ლუკას გაეღიმა.

— აბა, მომტანმა რომ გითხრა, ზახარიჩმა გამოგზავნაო.

— სკოლაში ზახარიჩით არავინ მახსოვს, შალვა თუ ზახარიჩია ამაზე მარჩიელობა ნამდვილად არ დამიწყია.

— კარგი, დანარჩენი იქა ვთქვათ, — დარწმუნებულმა, რომ ლუკა უარს არ ეტყოდა, ხელი მოჰკიდა და რესტორნისაკენ გაიწია.

— კაცს ველოდები, აქ უნდა დავხვდე, გადაუდებელი საქმე მაქვს, — ლუკამ ისე თქვა, რომ შალვას სულ გაუფრთხნენ ბატონკაცობის ბარტყები.

ცოტა ხანს ჩაფიქრდა: — ლუკა, ახლავე მოვალ, — რესტორანში შევიდა, კუთხეში მდგარ მაგიდიდან ერთი ააყენა და გამოიყოლა.

— ეს აქ დაიცდის, ის კაცი რომ მოვა, ჩემთან მოიყვან! ხომ გაიგე?! — უბრძანა მოყვანილ კაცს.

— ვინ უნდა მოვიდეს? — იკითხა მან.

ლუკამ კიდევ უარის თქმა აღარ ისურვა. არც სუფრიდან აყენებული კაცის აქ ლოდინი იკადრა.

— შენი აქ დგომა საჭირო არაა, თუ მოვიდა. მომძებნის, — უთხრა.

— აგაშენა ღმერთმა, აბა, წავიდეთ! — რესტორანში რომ შევიდნენ, შალვამ ორივე ხელი ასწია, კიდევ ერთხელ მიესალმა ყველას და საბანკეტო დარბაზისაკენ გაემართა.

— გაიცანით, ჩემი თანაკლასელი ლუკა ხუციშვილი! — შალვამ თანამეინახეებს საზეიმოდ მიმართა.

სქელკისერამ, ავტოინსპექტორმა და მილიციის ოფიცერმა ისე გაუწოდეს ხელი, თითქოს მოწყალება გაიმეტესო.

— მაქვს პატივი ვიცნობდე, — ჩაილაპარაკა მილიციელმა და ლუკა ჯერ სკამზე არ დამჯდარიყო, რომ ნახევარლიტრიანი ბაკალი ხელში მიაჩეჩა.

— აბა, ჯერ ეს გადაჰკა, დანარჩენებს თანდათან მოგაყოლებთ რომ დაგვეწიო!

ლუკამ ბაკალი გამოართვა და მაგიდაზე დადგა. თვითონ დაჯდა, პური და ყველი გადაიღო. სქელკისერამ მოკბეჩა არ დააცადა, თავზე დაადგა, ის ბაკალი აიღო და პირთან მიუტანა.

— დალიე, ბიძია, დალიე! იცი, ჩვენ რამდენი გვაქვს დალეული? დღეს რომ სვა, ვერ დაგვეწევი!

ლუკამ ბაკალი გამოართვა და მაგიდაზე დადგა, თლილის ჭიქა აიღო, ღვინო დაისხა.

— თქვენ გაგიმარჯოთ! ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებთ, — თქვა და ჭიქა ნახევრად შესვა.

— შენ რომ არ გეთქვა, ჯანმრთელობა და ბედნიერებყა გვაკლდა სწორედ! — ღვარძლიანად თქვა ავტოინსპექტორმა.

— ეგრე არ გამოვა, ბიძია, აქ განა იმიტომ მოგიყვანეთ, რომ როგორც გნებავს იგრე სვა?! ვერ ხედავ, როგორი ვეშაპივით მსმელი ვაჟკაცები არიან?! — ხელი გაიშვირა სკამზე გათხლეშილებზე, — ეგრე პეწენიკობით როგორ უნდა დაგვეწიო! — შეუტია სქელკისერამ.

— მე აქ შესაჯიბრებლად არ მოვსულვარ, არც ღვინის სმაში რეკორდის დამყარებას არ ვაპირებ, შალვას ხათრი აღარ გავუტეხე, თორემ სულაც არ მინდოდა აქ მოსვლა! — ლუკამ ჩვეული სიდინჯით თქვა, მაგრამ თავის შეკავება ძალიან უჭირდა.

— შენ, ძმაკაც, ღვინო დუდუკი და ქალები არ გაგიგონია? ან იქნებ ამ სიამოვნებაზე გამწყრალი ხარ? — ჰკითხა მილიციის ოფიცერმა.

— ალბიკრუსის ქადაგებასთან ერთი მუხლი დაგაკლდა მხოლოდ. ის ამბობდა: არ არსებობს საჭმელი ხორცის გარდა; არ არსებობს სასმელი ღვინის გარდა; არ არსებობს სიხარული, ქალის გარდა“, თქვენ ხორცი დუდუკით შეცვალეთ.

— რა ხორცი კი გვეჯავრება? სანაძლეოზე ერთ მოზვერს ხაშლამად შევჭამ და ზედ მთელ ჭედილას დავაყოლებ ყაურმად, — დაიტრაბახა სქელკისერამ.

— ჰეროსტრატესაც ხომ სჭირდება მიმდევრები; ყველა თავისებურებად ახერხებს ჰეროსტრატობას, — დაასკვნა ლუკამ.

— ის პროსტრატე თუ პურმარილის მოყვარული იყო, ნამდვილად ღირსეული მემკვიდრეები ვყოლივართ, მაგრამ ეგ აბრიკაუსი ვიღაა, რატომ დუდუკიც არ გაიხსენა? — სიცილით თქვა სქელკისერამ.

— შუა საუკუნეების დროინდელი პრაღელი პროფესორი იყო და ხალხს თავი ჭამა-ყლაპვის ქადაგებით დაახსომა, — განუმარტა ლუკამ.

— მალადეც აბრიკუს! — სქელკისერამ ისევ აიღო ბაკალი და დაძალებას აპირებდა, რომ ორმა კაცმა ერთი ყუთი შამპანური შემოიტანა: — ზახარიჩს და ბიჭებს დამამზადებელი ძმაკაცებისაგან! — საზეიმოდ განაცხადეს.

— თქვენ გენაცვალეთ! თქვენს ვაჟკაცობას ვენაცვალე! — შალვამ ხელები გაშალა. — მოდით, ძმებო, სუფრა დაგვილოცეთ!

ლუკას რომ აძალებდნენ ის ბაკალი ჯერჯეროით ორივემ გამოცალა. ძმაკაცობა, ვაჟკაცობა, ადამიანობა, სიყვარული, მეგობრობა, მხარში დგომა, ქართველობა, მოკლედ, სიტყვების და აფუტკნული გრძნობების კორიანტები დააყენეს; მერე უკან-უკან წავიდნენ, გასასვლელთან ხელი პირთან მიიტანეს, კოცნა გამოუგზავნეს და გავიდნენ.

— აი, ეს არის, ძმაო, ცხოვრება და ვაჟკაცობა! ვინც კაცური კაცია ყველა გვაფასებს; ჩვენ რა უნდა გაგვიჭირდეს! — აღფრთოვანებით თქვა შალვამ.

— ისინი კი გვაფასებენ, მაგრამ ეს შენი ნაცნობია თუ რაღაცა კაცად არ გვაგდებს, აბრიკოსები თუ კალისტრატეებით თავბრუს გვახვევს, ერთი წესიერი ჭიქა არ დალია; მიმტანს დაუძახეთ კომპოტი ან შაშა და კოლა მოუტანოს! — დამცინავად თქვა ჩამრგვალებულმა, წითელლოყება ავტოინსპექტორმა.

— დალიე, ლუკა, სუფრის წესს და ვაჟკაცების სურვილს ვერ გაექცევი! — ბრძანა შალვამ და დიდი ჭიქა შეუვსო.

— ლუკამ მწარედ ინანა, რომ მაინც გამოიჩინა სისუსტე და შალვას გამოჰყვა; ახლა კი ამ გათავხედებულ ბატონკაცების შემოტევების მოგერიება უხდებოდა.

— მაგ ჭიქას ვერ დავლევ, შალვა, შემოვედი, რომ გადღეგრძელოთ და უნდა წავიდე.

— ჰო, ბიჭო, მთელი დღე აქ იმიტომ ვზივართ, რომ შენ გელოდებით, მოვიდეს და გვადღეგრძელოსო! მოხვედი? მადლობა თქვი შემოპატიჟებაზე! აიღე და დალიე, რა გადაგვაყოლე, თითქოს შენს მეტი საქმე არა გვქონდეს! — შეუტია მილიციის ოფიცერმა.

ლუკა რაღაცის თქმას აპირებდა, შალვამ არ დააცალა.

— ბიჭო, ჭკუა მაინც ვერ ისწავლე?! შენ ხარ საქმიანი და ჩვენ უსაქმურები გგონივართ? — ორივე ხელი ჩაიყო ჯიბეებში და ფულის ბღუჯები ამოიღო, — ამას მონაგრება არ უნდა? შენ სიზმარშიც არ მოგელანდება, რაც მე ფული მაქვს. რას იჭიმები, არ გიხარია, რომ ეს ვაჟკაცი ხალხი თავს გიყადრის?! იცი, ეს ბიჭები ვინ არიან? თუ დასჭირდებათ, მთელ საქართველოს იყიდან; ვინც ახლომახლო შანსიანი და ფულის გამკეთებელია, ყველა ამათი მეგობარია. ჩვენთან თუნდაც სუფრაზე ერთი ჭიქის აწევას ხალხი ნატრულობს; შენ კიდევ გეხვეწებიან, დალიეო. თავს იგრე იჭერ, თითქოს შენზე ფულიანი კაცი ქვეყანაზე მეორე არ დადის! რასაც შენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში იშოვი, ამათ ერთ დღეში იმაზე ათჯერ მეტის შოვნა შეუძლიათ; ჯიბეში ჩაგისვამენ შენი გახუნებული პერანგით და ისე გატარებენ! მთელი დღე მიწასა ჩიჩქნი თხუნელასავთ და საქმე გგონია! ამათ წუხელ საზამთროთი დატვირთული ასი მანქანა გაუშვეს. თითო ხუთას მანეთს იძლევა. განა მარტო საზამთროს მანქანებია? ათასი კიდევ სხვაა. იმ ბაღში მებაღე რომ ბღუნაობს, რა ჩემი ფეხები რჩება; აქა გროვდება, აქ! — შალვამ ხელი ჯიბეზე დაირტყა — შე კაი კაცო, ამგვარ შანსიანებთან პურის ჭამის საშუალება მოგეცი, მადლობის მაგიერ თავი ისე გიჭირავს, თითქოს ნახევრად მშიერი არ დადიოდე მინდორ-მინდორ! აიღე ჭიქა და დალიე ისე, რომ შიგ წვეთიც არ დავინახო! — თავისი აგიტაციის მაგიურ ძალაში დარწმუნებულმა შალვამ ისე უბრძანა, ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ ამგვარ ადამიანების გვერდით ლუკა პირმოთნედ და უყოყმანოდ დალევდა.

ლუკას პირში ლუკმა არ ჩაუდვია. ხელში პური ეჭირა და ისიც თეფშზე დადო. სკამის ზურგს მიწოლილი იჯდა და შალვას შეგონებას ისმენდა.

— დაამთავრე? — ჰკითხა შალვას, რომელიც გასართობად ქათმის ფრთას წიწკნიდა.

— მეტი რაღა გითხრა, თუ გამგები ხარ, უნდა გაიგო! — რიხით, დამრიგებლურად უთხრა შალვამ.

— ადრე არ იყავ მთლად ჭკუადალაგებული, ეტყობა არამადნაშოვნმა ფულებმა სულ აგირიეს ისედაც არეული თავ-გზა. ვისი ფულებით ტრაბაზხობ, თუ იცი?! ოფლი დაღვარე, ვაჟკაცობა მოიხმარე, თუ მამაშენის დანგრეული ორთვალა გაყიდე? იმხელა ჭკუადაფანტული ხარ, პატივს რაში გცემენ, ვერ გაგიგია! ეგ ფორმა მშრომელმა ხალხმა რომ მოინაგრა, იმიტომ ჩაგაცვეს, კანონს პატიოსნად ემსახურო, შენ უნამუსოდ ბზარი რომ გაუჩინე და იქიდან გამოჟონილ სისხლს, რომელიც ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას სჭირდება, სწოვ, ძღები; პარაზიტად ხარ გადაქცეული, თან ყველაზე საშიშ პარაზიტად, რომელსაც კანონის გამმრულებელი ვირთხა ჰქვია. აღვირახსნილი ღრეობა ვაჟკაცობა გგონია. ისეთივე პარაზიტი ხარ, როგორიც ტკიპაა სისხლით გაბერილი, ბოლოს რომ მოსძვრება ჯანმრთელი ცხოველის ორგანიზმს, მტვერში და ნაგავში ჩავარდება, თუ ფეხი არ დააჭირეს და არ გასრისეს, უამრავ თავის მსგავს უბედურებას გაამრავლებს. შენ ვერ მიხვდები, ვერ განიცდი იმ სიამოვნებას, რასაც, შენი სიტყვით, მიწის ჩიჩქნა ჰქვია. პარაზიტმა, რომელიც ძროხას სისხლს სწოვს, როგორ უნდა გაიგოს ის ბედნიერება ცურებგავსილი თავის მომავალს ბღავილით რომ უხმობს. იმ მიწის ჩიჩქნამ ჩვენი მხარის მშრომელებს ბედნიერება უნდა მოუტანოს, შენ კი ზიხარ მათ არტერიაზე და სისხლს აცლი. ზნეობის და ნამუსის ნატამალი რომ გქონდეს, ხალხში არ უნდა ჩნდებოდე, არა თუ რესტორანში ფულების ტრიალით და არამი ქონების ტრაბახით აიკლო ქვეყანა! — ლუკამ ლუდის ბაკალი მაგიდაზე ღრმად შეაცურა და ფეხზე ადგა.

— ეს ვინ მოიყვანე, შალვა, ნახე, როგორ გამოგვლანძღა პატიოსანი ხალხი?! თვითონ მათხოვარი ჩანს, გახუნებული პერანგი ვერ გამოუცვლია, ვაჟკაცების პურმარილი შურს; შხამად არ უნდა ამოვადინოთ, რაც აქ საჭმელი ცეცხლა?! — წამოიშალნენ და ლუკას შემოეხვივნენ.

— ახლავე მივამტვრევ ცხვირ-პირს, — ავტოინსპექტორმა ლუკაზე მიიწია.

— მოიცა, მე თვითონ მოვუვლი! — შალვამ ინსპექტორი მარცხენა ხელით დაიჭირა და ლუკას მარჯვენა მთელი ძალით მოუქნია.

ლუკამ მუშტი აიცდინა. ახლა მილიციელმა მოუქნია, მას ხელი აუკრა, მუშტმა ცხვირთან ჩაუქროლა.

ლუკას მუშტი-კრივის გარეშე სურდა გაცლა და მოქნეულ მუშტებს მხოლოდ იგერიებდა. მაგრამ ფულით და სკამით გაზულუქებულებს თავიანთი თავი უძლეველი ეგონათ და ლუკას ყოველი მხრიდან უტევდნენ. პასიურობა აღარ ხერხდებოდა. მილიციის ოფიცერს, განსაკუთრებით რომ აქტიურობდა, ლუკამ ყბაში მაგრად ამოჰკრა. ის უკან გაქანდა, მაგიდას დაეჯახა, ზედ გადაცურდა, მთელი ჭურჭელი და ხორაგი თან გაიყოლა, მაგიდის კიდეზე სუფრაზე ხელის მოვლება მოასწრო, გადაითრია და იატაკზე ბრაგვანი მოადინა, მაგიდა ზედ დაეცა და ჭურჭლის მსხვრევის ხმამ ყურთასმენა წაიღო. ახლა ავტოინსპექტორს დააჯახა მუშტი, ის კედელთან მდგარ ტანსაცმლის ჩამოსაკიდებელს მიასკდა, გადააქცია და ზედ ჩამოკიდებული ქუდები დაბლა გაიშალა; სქელკისერას მუზმუზელა მუცელში მაგრად დაარტყა, კრიკალავით მოღუნულს სახეში მარცხენა ხელი ჰკრა და კუთხეში ზურგით მიაგდო, რომელიც უნებლიედ ფეხებგაშლილი მიჯდა და მაშინვე არწყია, ზეც ჩამოისხა და ირგვლივ დაახვავა, რაც იმ დღეს უზომოდ ჩაისხა და ჭამა.

ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ღვინისაგან დაბუჟებული შალვა გაშტერდა, თავისი თანამეინახეების უიმედო მდგომარეობამ და ლუკას შესაძლებლობის გახსენამ დააფრთხო; ხელის

გაქნევა ვეღარ გაბედა. ლუკამ ორივე ხელი მაგრად ჩაავლო პროკურორის ფორმიან საყელოში, ძალუმად შეანჯღვრია, დაიქნია და უბიძგა. შალვა კედელს ზურგით მიასკდა, დარეტიანებული სკამზე მოწყვეტით დაეცა, ჭახანით ჩაამტვრია და სკამთან ერთად იატაკზე გაიშალა.

ხმაურზე ერთი იმათთაგანი შემოვარდა, შამპანურის ყუთი რომ შემოიტანეს.

— ბიჭებო, ზახარიჩს სცემენ! — დაიღრიალა და ლუკას ეცა.

ლუკამ ისეთი სიძლიერით დაარტყა გარეთ გავარდა, მოპირდაპირე კუპის კარები ზურგით შეიტანა; სუფრასთან ექვსნი ისხდნენ; თითო თითო თავში და ბოლოში, ორ-ორნი კი აქეთ-იქიდან, იმ ორის მხრიდან სუფრას ზურგით დაეტაკა, მაგიდა გადააქცია და ოთხივე ქვეშ მოიტანა; თავში და ბოლოში მჯდომნი გადარჩნენ და ფეხზე წამოხტნენ.

ლუკა მიმტანთან მივიდა და ხალათის ჯიბეში სამმანეთიანი ჩაუდო, — ეს ნახევარი ჭიქა ღვინის და ორიოდე ლუკმის ფასი, რომელიც არ მიჭამია; დანარჩენი თავთიანთი არამად ნაშოვნი ფულით გაასწორონ! — დინჯად გამობრუნდა, დიდი დარბაზი გადაჭრა და გარეთ გავიდა.

კუპეში გადაყირავებულ მაგიდასთან აფართხადებული ოთხეული გინებით და მუქარით დგებოდა ფეხზე. შიგ ზურგით შევარდნილი კაცი კი იატაკზე გაშლილ ჭურჭელში უგონოდ ეგდო.

— ეს რა გვიყო ამ შობელძაღლმა! — ხელი დაავლეს. შესასვლელში გაათრიეს და დარბაზში ისროლეს.

— ბიჭებო, ჩვენებსა სცემენ! — დაიძახეს კუთხეში მსხდარმა დამამზადებლებმა და ბოთლები ესროლეს, ვინც მათი ძმაკაცი დარბაზში შემოაგდეს. ერთი ბოთლი დარბაზის მეორე მხარეს სუფრაზე დაეცა.

— ვის ესვრი, შენი დედა! — ახლა ამ სუფრიდან წამოიშალნენ და ატყდა ბოთლების სროდა და მუშტის ტრიალი.

ერთი ბოთლი ბუფეტის მაცივრის მინას მოხვდა და ჩაამსხ-

ვრია. გაბრაზებული ჩაფსკვნილი მებუფეტე დარბაზში დანით გამოვარდა; ვიღაცამ თავში სკამი დაარტყა და გონდაკარგული იატაკზე დავარდა.

ახლა ყველა მაგიდა აიშალა; ვინ ვის ურტყამდა აღარ გაიგებოდა.

ლუკა ისევ ძეწნის ჩრდილში იდგა, რესტორნის დიდი დარბაზის ფანჯარა ბოთლმა რომ გამოამტვრია და ასფალტზე დაიმსხვრა, რესტორანი კი კუდიანი ჯადოქრის ქოხივით ზანზარებდა, ვიღაცა გარეთ გამოვარდა და გიჟივით უმისამართოდ გაიქცა.

დარეტიანებული მებუფეტე იატაკზე იჯდა, დახლის იქით კი ყველაფერი ილეწებოდა. მზარეულმა პატარა სარკმელი გამოაღო და დარბაზში შეიხედა, კედელს ბოთლი მიასკდა და ნამსხვრევები ირგვლივ გაიშალა. მან მაშინვე მიკეტა სარკმელი და აღარც გამოჩენილა.

შალვა და მისი ამფსონები ნელ-ნელა მოგონდნენ, რესტორანში ღრიალი, გინება, ჭურჭლის და ავეჯის ლაწალუწი ისმოდა.

— უნდა ავითესოთ, აქ რომ გვნახონ თავი მოგვეჭრება! — თქვეს და გვერდების ზელვით, კვნესა-ღრეჭით უჩუმრა გამოვიდნენ, სათადარიგო კიბით ეზოში ჩავიდნენ, მანქანაში ჩასხდნენ და იქაურობას გაეცალნენ.

რესტორნიდან სამი თავპირდასისხლიანებული კაცი გამოვარდა, ერთი წაიქცა და ვეღარ დგებოდა. ცოტა ხანში მილიციის მანქანა გამოჩნდა სირენის წივილ-კივილით, მას სხვებიც მოჰყვნენ, მალე სასწრაფო დახმარების მანქანაც აღრიალდა; თეთრხალათიანი ადამიანები რესტორანში საკაცეებით შერბოდნენ...

## ერთი კაცი იდგა წნორის ქვეშ

რესტორნის დიდ დარბაზში ერთადერთ დაუმტვრევლად გადარჩენილ მაგიდასთან მილიციის გამომძიებელი იჯდა. ყველაფერი მილეწ-მოლეწილი ეყარა. რვა კაცი საავადმყოფოში წაიყვანეს.

— რა მოხდა? — დაკითხვას მზარეულიდან იწყებდა.

— რა ვიცი, კაცო, დარბაზში ხმაური რომ ატყდა, „ფორ-თოჩკაში“ გამოვიხედე, კიდეც ბოთლი სულ ახლოს კედელს მი-ასკდა, მეც დავხურე „ფორთოჩკა“ და სანამ თქვენ არ მოხვედით გარეთ აღარ გამომიხედია.

— შენ რაღა იცი? — ახლა მებუფეტეს მიმართა.

— ბანკეტის მხრიდან შემდეგ კი კუპეში ხმაური და ლაწა-ლუში ატყდა. მერე იმ შოფრებმა, კუპეში რომ ქეიფობდნენ, გულწასული დამამზადებელი დარბაზში შემოაგდეს; იმის ორმა ამხანაგმა კუთხიდან შოფრებს ბოთლები დაუშინეს. ერთი ბოთლი აგერ, ბოლო მაგიდას დაეცა, ახლა ისინი წამოიშალნენ და ერთი ბოთლი მაცივარს მოხვდა, სულ ჩაამსხვრია. მეც წამოვხტი, დახ-ლიდან რომ გამოველ, ვიღაცამ თავში სკამი დამარტყა და თქვენს მოსვლამდე გავითიშე.

— შენ რაღაც იტყვი? — ახლა გაქონილხალათიან მიმტანს მიუბრუნდა.

— ერთი კაცი იდგა წნორის ქვეშ, საბანკეტოდან მითხრეს, ჩვენთან მოიყვაო.

— შენ ხომ არ გააფრინე?! წნორის ქვეშ ერთი კაცი იდგა თუ ათასი, ეგ ბებიაშენს მოუყევი! შარი საიდან დაიწყო, შენ ეგ თქვი! — უყვირა გამომძიებელმა.

— ჰოდა, შარი სწორედ წნორის ჩრდილიდან დაიწყო. მე მი-ველი და ვუთხარი, გეძახიან-მეთქი, იმან კიდევ სულ კინწისკვრ-ით გამომაგდო, არ მოვდივარო. მემრე საბანკეტოდან ერთი გამოვ-იდა, არც იმას გამოჰყვა. იმან ის დამამზადებელი მიიხმარა, შოფრებმა უგონოდ რომ გამოათრიეს და როგორც იყო დაითანხ-მეს. საბანკეტოში შესვლისთანავე ღვინის ლუდის ბაკლით დალ-ევა დააძალეს, იმან არ დალია,. ბოლოს შელაპარაკდნენ, შემეეხ-ვივნენ და ცემა დაუწყეს. ის კიდევ იგეთი მაგარი გამოდგა, ყველა მიყარ-მოყარა და საშველად შევარდნილ დამამზადებელს იგეთი მაარტყა, რომ უკან-უკან გამოვარდნილი შოფრების კუპე-ში შევარდა. მე სულ საბანკეტოსთან ვიდექი, მალ-მალე მეძახოდ-ნენ და მეც შავრბოდი. ის კაცი ჩემთან მოვიდა, ჯიბეში სამი

მანეთი ჩამიდო, ეს ნახევარი ჭიქა ღვინის და ორიოდე ლუკმისა, რომელიც არ შამიჭამიაო და წავიდა, ეგ იყო და ეგ. ყველაფერი ამის შემდეგ დაიწყო.

— აბა, ერთი ის შოფრები მოვიდნენ, ჩხუბი რომ დაიწყეს! — ოთხი თავპირდალურჯებული კაცი მოიყვანეს.

— ექვსნი ვიყავით, ორი საავადმყოფოში წაიყვანეს, — მოახსენეს.

— ჩხუბი რატომ დაიწყეთ?! — გამომძიებელმა ხმას აუწია.

— ჩვენ რაზე დავიწყეთ, ძმაკაცს დაბადების დღე ჰქონდა და წყნარად კუპეში ვჭუკჭუკებდით. უცებ ის დამამზადებელი, „ზადნით“ შემოფრინდა, ეგრევე დაგვეტაკა და მაგიდიანად აგვაყირავა. უგონოდ ეგდო, ჩვენც ავდექით და ზალაში გავიტანეთ; იმის ძმაკაცებმა კიდე ბოთლები დაგვიშინეს.

— საბანკეტოში ვინ ისხდნენ?

— რავი, ერთი პროკურორი, ორი მილიციელი და ერთი უფრო დიდი პროკურორი ქალაქიდან.

— საბანკეტოში ვინ ისხდნენ? — ხმას აუწია გამომძიებელმა.

— ჩვენ რა ვიცით, ვიღაც ბობოლები ისხდნენ.

— საბანკეტოში ვინ ისხდნენ? — მიმტანს ჰკითხა.

— რავი, ერთი პროკურორი იყო, ორი მილიციელი, მგონი ერთი კიდევ უფრო დიდი იყო ქალაქიდან.

— ვინ იყვნენ, არ იცნობ? — გამომძიებელმა ხმას დაუწია.

— მე საიდან უნდა ვიცოდე, მოვიდნენ და წავიდნენ.

— კარგი, შენ ცალკე მოგელაპარაკები!

გამომძიებელმა ყველას დაკითხა, მაგრამ ძეწნის ქვეშ მდგარი კაცი მიმტანის გარდა არავის უხსენებია...

გაქონილხალათიანი მიმტანი ცალკე ოთახში მარტო დაიბარა და დაკითხვა გააგრძელა: — აბა, ჩამოკაკლე, საბანკეტოში ვინ იყვნენ, თუ არ გინდა, რომ ეს ყველაფერი შენ წამოგკიდო!

— კაცო, ხალხში არ გითხარი, ვინც იყვნენ. დაიბარეს, ჩვენზე კრინტი არ დაძრაო. თქვენები იყვნენ, თუ საჭიროდ ჩათვალეს, თვითონ გნახავენ.

— მიქარვას თავი დაანებე, მითხარ, ვინ იყვნენ, თორემ ახლავე შეგაგდებ კამერაში!

— კაცო, იმათ მითხრეს, მაგრამ მე ხომ არ გიმალავ: პროკურორი შალვა, ავტოინსპექტორი გელა, მილიციელი — მისტერა და ერთი სქელი კაცი იყო ქალაქიდან — იპოლიტე პავლოვიჩს ეძახოდნენ, ეტყობა, ყველას უფროსი იყო.

— ვახ, ბიჭო, ბიჭო! — გამომძიებელი დაიბნა. კარგა ხანს მდუმარედ იჯდა, — ხმა-კრინტი არავისთან წამოგცდეს, გაიგე?! — მიმტანს თვალები დაუბრიალა.

— ჰოდა, მეც ეგ არ გითხარი.

— თქვენი ყველა მუშაკი გააფრთხილე, იმათზე არაფერი თქვან! — საქაღალდე დახურა და წასასვლელად ადგა...

— შალვა, რა ხვთის რისხვა შემოიყვანე, ეგრე რომ ჩაგვიმწარა პურმარილი, — ძლივს ამოიკნავლა იპოლიტე პავლოვიჩმა.

— ბიჭო, ჩემი თანაკლასელიაო, რომ აიტეხე, მაშ იმდენი აღარ იცოდი, რა ძალის პატრონი და რა ხასიათისა იყო, გაბითურება რომ მოუნდომე?! უსაყვედურა მისტერამ.

— ღვინო ოხერია, მთვრალი ბაჭია მგელს გალახავს, ჰგონია, — ღვარძლიანად თქვა საჭესთან მჯდარმა გელამ.

— მე ვარ ბაჭია? — იკითხა შალვამ.

— ერთხელ კი არა, ორჯერ ბაჭია ხარ! თავში გაქვს რაღაცა ავარდნილი! იმდენი როგორ არ უნდა მოტვინო, რომ იმას შენი ფულები ფეხებზე ჰკიდია, ჯიბეში ჩაგისვამენო, ჩაისვი ჯიბეში?! კინაღამ მოაკვლევინე ჩემი თავი. რაც მაჭამეთ, შხამად ამომადინეთ! პროკურორობით სხვებს რომ აშინებ, იმდენი როგორ არ უნდა გცოდნოდა, რომ იმას ეგრე ვერ შეაშინებდი. ეტყობა დიდი განათლებულიც არის, აბრიკოსებით რომ დაგვცინა, ჩვენ კიდევ ბვრის ჭამით ვტრაბახობდით. ეგეთები ძალიან საშიში არიან, თავში სულ სხვა აზრები უტრიალებთ; ეს შტერი კიდევ, ფული ბევრი გვაქვსო! — იპოლიტ პავლოვიჩი უზომოდ ნაწყენი იყო. — სამი ორგანოს მუშაკი და მეც რესპუბლიკის პროკურატურის წარმომადგენელი ისე გვაბურთავა, ხელი ვერ გავატოკეთ;

თქვენს მიერ დაცულ კანონიერებას დავაფურთხე!

— მაგან ერთი თავმჯდომარე ძროხის წუნწუხში აბანავა და მას შემდეგ იმას წუნწუხას ეძახიან. ეს ამბავი არ უნდა გახმაურდეს, თორემ მასხრად აგდება არ აგვცდება, — თქვა გელამ და იკითხა: — იპოლიტ პავლოვიჩ, სად მიგიყვანოთ?

— სასტუმროს უკნიდან მიაყენე, რომ არავინ გვნახოს, სასწრაფოდ გავსუფთავდები და აქაურობას უნდა მოვშორდე! ჩემს იქ ყოფნაზე სიტყვა არ დაგცდეთ! ვაჟკაცობა მარტო ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოების თქმა არ არის! — იპოლიტე დასვრილ საცმელებზე ზიზღით იყურებოდა...

გამომძიებელი პირველად გელას და მისტერას შეხვდა თავის განყოფილებაში.

— ყველაფერი გავარკვიე, მაგრამ თქვენთან გასაუბრების გარეშე არაფერს არ ვამბობ, — დაიწყო: — მაინც რა მოხდა?

— რა მოხდა და შალვამ დაგვხატა. ის ბიჭი, აგრონომად რომ მოიყვანეს, საბანკეტოში ძალათი მოათრია. ჩვენც დაძალება დავუწყეთ, დალიეო. რაღა დაგიმალოთ, შალვას მისი გაბითურება უნდოდა; ჩვენც მივყევით. მოკლედ, ისე მივიდა საქმე, ცემა დავუპირეთ. იმან კიდევ ოთხივე თითო მორტყმით დაგვაწყნარა. ძალიან უბედური მაგარი ვინმე ყოფილა, ჯერ-ჯერით ლაპარაკობდნენ.

— მე რა ვქნა? საქმის დაწვრილებით გამოძიება დამავალეს; ზაალ დიმიტრიჩი მკაცრად ითხოვს. გაუგია, რომ მაგ აგრონომს ამ საქმესთან კავშირი აქვს და მაგრად უნდა რომ დაჭედოს.

— ჩვენზე რომ გაიგოს?

— უმაგისოდ ვეცდები ყველაფერი მაგ ბიჭს წამოვკიდო.

— ფრთხილად იყავი, დიდი ძაღლის ლეკვია!

— რამდენი მაგაზე მაგარი ბიჭები მიხოხიალებია, — ამაყად თქვა გამომძიებელმა...

ლუკა მეორე დღეს სამსახურში ჩვეულებრივ გამოცხადდა. ნახევარი საათიც არ იყო გასული, მილიციდაან მოაკითხეს, დაკითხვაზე გიბარებენო.

გამომძიებელი დიდ ოთახში იჯდა. მისი მაგიდის გარდა სამი

სხვაც იდგა, მაგრამ ოთახში მარტო თვითონ იყო. ლუკა რომ შევიდა, ზევით აიხედა და ისევ ქაღალდებში ჩარგო თავი.

— თქვენ მიბარებდით? — ჰკითხა მან.

ამან თავი ზევით აიღო, შეხედა, არაფერი უთქვია, თავი ისევ ქაღალდებში ჩარგო.

— ეტყობა მისამართი ამერია, — ლუკა უკან გაბრუნდა.

გამომძიებელი ტალანში გამოეკიდა.

— სად წახვედი, შენთანა მაქვს საქმე! — დაუძახა.

— ქაღალდებში საქმიანობას რომ მორჩები, მაშინ მოვალ!

— მოდი, შენ გელოდები, მოდი! — როგორც იყო მოაბრუნა.

— ათი მაგიდა, ორმოცამდე სკამი, უამრავი ჭურჭელი, კარები, ფანჯრები, მოკლედ, სამიათას მანეთამდე ზარალი მიაყენე რესტორანს! — მრისხანედ უთხრა.

— მე მივაყენე?

— ჩემთვის ყველაფერი ცნობილია.

— საიდან არის ცნობილი?

— საიდან და გვერდებიდან. ახლა კამერაში შეგაგდებ და გაიგებ საიდან, როგორ სცემე ორგანოს მუშაკებს და დამამზადებელს.

— ხუთ კაცს ვცემე?

— ცემა წონაზეა.

— ის ხუთივე რომ აწონო, შვიდას კილოგრამამდე იქნება. მე მეტრა ოთხმოცდასამი სანტიმეტრი და ოთხმოცი კილოგრამი ვარ. ვინ ვისა სცემა, ახლა მაგ წონის თეორიით გაარკვიე.

— შენ იმათ ვერა სცემდი, გაბრაზებულმა რაც კი ხელში მოგხვდა, დალეწე და დაარბიე.

— ბებიაშენის დოქიც მე გავტეხე?

— რომელი დოქი?

— ხუთი წლის წინ წყაროზე რომ გაუტყდა; სახლში რომ მიხვალ, ჰკითხე.

— რას მიედ-მოედები, ბებიაჩემი ათი წელია მოკვდა, როგორ უნდა ვკითხო?!

— მაშინ სიზმარში თუ ნახო შეეკითხე.

— მაიმუნობ?

— ხუთი დღის წინ იორში კაცი რომ ჩავარდა თავისი ცხენიანი ორთვალათი, არც ის გამოგრჩეს.

— ეგ რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ დილით იმ გზაზე მე გავიარე, ოთხი საათის შემდეგ კი იმ კაცმა გაატარა თავისი ორთვალა, ცხენი რაღაცას შემოფრთხა, იორში ჩაცვივდნენ; ცხენი დაიხრჩო, კაცი კი ძლივს გადაარჩინეს.

— მაშინ შენ სად იყავი?

— ალბათ მე უკვე ჩათმაში ვიქნებოდი.

— იმ საქმეში, აბა, შენ რა შუაში ხარ?

— ამ შენს მიერ გამოძიებულ საქმეში რაღა შუაში ვარ?!

გამომძიებელი დაიბნა. ცოტა ხანს ჩუმად იყო, მერე უცებ დაიწყო: — ყველამ შენ დაგადო ხელი, იმან დალეწაო რესტორანი. საბანკეტოში ვინც იყო და დამამზადებელიც ამას ამბობს.

— ეგენი შვიდას კილოგრამამდე რომ არიან, რატომ არ შემაჩერეს?

— შენ ძალიან გაუტიე. ახლა კამერაში შეგაგდებ და დაგავიწყებ დოქის და ორთვალას ზღაპრებს! — გამომძიებელი ტელეფონს მისწვდა.

ლუკამ ორივე ხელი დასტაცა მხრებში, სკამსა და მაგიდას შორის ისე ამოაძრო, როგორც კოდალამ ფუღუროში შემალული მატლი.

— რატომ გგონია, რომ ამ კატა-თაგვაობაში კატა ხარ?! ფრთხილად იყავ, შენზე ძლიერ მტაცებელს არ შეეჭამო! თუ ასე გააგრძელებ, იცოდე, მოგრეხილი კისრის სამკურნალოდ წლები არ გეყოფა, თუ სიცოცხლე არა! — მკაცრად გააფრთხილა, ერთხელ კიდევ ასწია მაღლა, მტვრიანი პიჯაკივით დაბერტყა და ოთახიდან გავიდა.

— აუ! ეგ ვინა ყოფილა კაცო! — გამომძიებელმა ჯერ ვიღაცეების გამოძახება დააპირა, მერე გადაიფიქრა. — არა, მაგასთან ეგრე უბრალოდ ჭიდაობა არ შეიძლება. დაბმული თუ არ დავკითხე,

შეიძლება შემოვეხარჯო, არადა ჩემი მომრევი არავინ მეგონა. ძალიან საშიშია! — ხმამაღლა თქვა და თავის მაგიდას მიუბრუნდა...

რესტორანში მომხდარი ცემა-ტყეპის და მტვრევა-მსხვრევის ამბავი ყველას პირზე ეკერა. ხალხმა გაიგო, რომ პროკურატურის და მილიციის მუშაკებმა აგრონომი ლუკა ძალათი მოიპატიჟეს და აბუჩად აგდება დაუწყეს, ლუკამ კიდევ ისინი გატყიპა და რესტორანი დატოვა; რის შემდეგ ატყდა დიდი ჩხუბი და იქაურობა დაილეწა.

ზაალ დიმიტრიჩმა დაწვრილებით გაიგო, რაც მოხდა. გამომძიებელს დაავალა, ლუკა მაგრად გაჭედეო, მაგრამ ეს ლუკასთან შეხვედრის შემდეგ შეშინდა. ცრუ ჩვენებების აღებისას კოშმარივით ახსენდებოდა, ლუკამ როგორ ამოაძრო მაგიდიდან და დაბერტყა, არც ის გაფრთხილება ავიწყდებოდა, რომ ამ კატა-თაგვობაში კატის როლი სულაც არა ჰქონდა გარანტირებული.

ზაალ დიმიტრიჩის კაბინეტში გამომძიებელი დაიბარეს, სოკრატიც იქ იყო.

— აბა, მოგვახსენე, რესტორანში რა მოხდა? — ფრიად შეშფოთებული კაცის ტონით თქვა ზაალ დიმიტრიჩმა.

გამომძიებელმა დაიწყო დამამზადებელი რომ შევარდა კუპეში და იქიდან გააგრძელა.

— ეგ დამამზადებელი გიჟი იყო, თავისი ინიციატივით რომ შევარდა?

— არა. სხვა მიეხმარა.

— ვინ სხვა?

— საბანკეტოში ჩვენი მუშაკები უბრალოდ პურს სჭამდნენ.

— ვინ იყვნენ?

გამომძიებელი შეყოყმანდა, იმათი გამოჩენა არ უნდოდა.

— ახლა წადი და სუყველა აქ მომიყვა, მე თვითონ გავესაუბრები!

გამომძიებელი წელმოწყვეტილი ადგა. შალვა, გელა და მისტერა მალე მოძებნა; იპოლიტე შალვოვიჩზე საუბარიკი არ უნდა ყოფილიყო.

— ბიჭო, ლუკა შენი თანაკლასელია? — მათი კაბინეტში შესვლითანავე ჰკითხა ზაალ დიმიტრიჩმა.

— დიახ, ზაალ დიმიტრიჩ? — შალვამ მოწიწებით უპასუხა.

— თქვენს პურმარილზე რა უნდოდა?

— გარეთ იდგა და მე შემოვიპატიჟე.

— არ იცოდი, რა ვაგლახი იყო, თქვენთან პურის ჭამის ღირსად რაზე გახადეთ!

— კიდევ არა მცოდნია, რამხელა არაკაცი ყოფილა.

— ჰოდა, ეგ არაკაცი დღეს მთელ რაიონს გვირევს, უნდა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელოების წინაშე შევრცხვეთ, მუშაობაში ხელს გვიშლის; ახლა ბოროტი ხულიგნობაც დაიწყო. გამომძიებელს ყველაფერი კარგად მოუყევით და ჩაატუსაღეთ! — ზაალ დიმიტრიჩმა ფანქარი დააკაკუნა მაგიდაზე, ამით უნდოდა საუბრის დამთავრება.

— რატო იქავე არ დაიჭირეთ და კამერაში არ შეაგდეთ! — სოკრატმა თავი გამოიდო.

— მისი გამეტება არ გვინდოდა და... — შალვამ ყველას დაასწრო.

— არ გინდოდათ და ეგრე თავზე ხელის სმით უფრო გათავხედდა, — სოკრატმა არ იცოდა რესტორანში ამათი გმირობის შესახები.

— ისე გაგიხმეთ თავი! უზომოდ ძღებით და ფულის შოვნით ტრაბახობთ; რის დამჭერი იყავით, თქვე ბედოვლათებო! იმ ბიჭმა ისე მიგტყიპათ, სუყველა თქვენსავე ამონათხევში ფართხალებდით. ყველაზე დიდი დამნაშავე შენა ხარ, პროკურორის ფორმით რომ დაბრძანდები, შე ფუქსავატო! მაგ ფორმას თუ დაკარგავ, იცოდე, მეძროხედაც არ ივარგებ! ეს ოთხივეს გეხებათ. ახლა წადით და ისეთი საქმე შეკერეთ, რომ ლუკა ციმციმ წაიღოს ციხეში! ის სადღა გდია, რესპუბლიკიდან რომ გახლდათ გასიებული?! ყველაფერი დაწვრილებით ვიცი, ვაი თქვენი ბრალი, თუ ამ საქმეს თავი ვერ გაართვით! — ზაალ დიმიტრიჩი ცოფს ყრიდა; ოთხივე გაჭიმული იდგა და ხმას ვერ იღებდნენ. — მოსცილდით აქაურო-

ბას! ხუთი დღის ვადას გაძლევთ: გაფრთხილებთ, რესტორნის დანაშაული თქვენ არ აიკიდოთ!

ოთხივე სწრაფად გავიდა. სოკრატიც მოემზადა წასასვლელად.

— შენ დარჩი! — უბრძანა ზაალ დიმიტრიჩმა. მდივანი ქალი გამოიძახა და აგრომების მოყვანა დაავალა.

აგრონომების ოთახში სტეფანე, ორი აგრონომი და ლუკა იყვნენ, პირველ მდივანთან რომ გამოუძახეს.

— ლუკა, შენ არ წამოხვალ, ისედაც ხათაბალა არ გაკლია. ვეტყვი, რომ მინდორში გაგაგზავნე. ვიცი, იქ სასიკეთო არაოფერი მოხდება. ჩვენ დამცირებას მიჩვეულები ვართ, შენ კი... — სტეფანე უხალისოდ ადგა.

— არც მე არა მაქვს სურვილი მაგ თანამდებობებით გაბერილ ინდაურებთან შეხვედრისა! — ლუკა გამომძიებელთან შეხვედრის შემდეგ ისე იყო გაღიზიანებული, წონასწორობას კარგავდა.

— რა დღეში ვართ, კაცო! — სტეფანემ ოხვრით თქვა, თან დაუმატა: — ლუკა, დაგველოდე, შენც ხომ უნდა გაიგო, რა უნდათ.

— ის ხულიგანი რა უყავით, თქვე უსაქმურებო! — ზაალი მათი კაბინეტში შესვლისთანავე აღრიალდა.

— რომელი ხულიგანი? — გაკვირვებული მოკრძალებით იკითხა სტეფანემ.

— ისე წახდით და გაფუჭდით, გახულიგნდით და დაკარგეთ ნამუსი, რომ ვეღარ გაგიგიათ, ვინ რა დონის არამზადაა!

სტეფანემ ხმა არ ამოიღო.

— მთელი სოფლის მეურნეობა ხომ მოაოხრეთ, ახლა რესტორნებს დაეცით და აიკლეთ. დაგიძახეთ იმიტომ, რომ გავიგო, ხვალ რომელი დარგის აოხრებას აპირებთ.

სამივე მდუმარედ იდგნენ.

— კიდევ კარგი აქ არა გდია ის არგასაზრდელი, თორე აქედანვე ხელებგაკრულს გავაგზავნიდი. ახლა რას აპირებთ, აბა, ამოშაქრეთ! — ზაალი სტეფანეს მიაჩერდა.

— რას უნდა ვეპირებდეთ, არ ვიცი. ჩვეულებრივ ვმუშაობთ, თუ ვინმემ იხულიგნა, ამისათვის გყავთ ხალხი, რომ გამოიძიონ; ჩვენ რა შეგვიძლია.

— ის ხომ შეგიძლიათ, რომ მთელი თქვენი მუშაკებით ინტრიგანებად და ყბედებად იქეცით. რა ვუყოთ ახლა ამათ?! — სოკრატს მიუბრუნდა.

— იმ ბიჭს დაიჭერენ, ესენი კიდევ ადამიანურად უნდა ამუშავდნენ, — განმარტა სოკრატმა.

— გაიგე?! — იყვირა ზაალმა.

— მე ადრეც ადამიანურად ვმუშაობდი, არავინ არ დამიგლეჯია, — წყნარად თქვა სტეფამენმ.

— უყურეთ ახლა ამას, ხომ არ გინდა, იმ ბიჭს მიგაყოლო!

— მე ჯერ არ ვიცი, იმ ბიჭმა რა ჩაიდინა, რას უპირებთ და რად უნდა მიმაყოლოთ მე. თუ იმას რესტორნის ამბავს ედავებით, რა შუაში ვარ მე?! — სტეფანეს ბრაზი ერეოდა.

— იმ შუაში ხარ, რომ შენი იდეოლოგიით და შენი დარიგებით მოქმედებდა; იმ რესტორაში შენი დავალებით გაგიჟდა. იცი, თვითმფრინავის გამტაცებლებს რატომ მიაყოლეს მღვდელი?

— მღვდელი რომ იყო იმისათვის.

— თავიდან გეტყვი: ერთი ჯგუფი თავხედი ახალგაზრდებისა შეიკრიბა და შეითქვნენ თვითმფრინავი გავიტაცოთო. მართლაც მოინდომეს გატაცება. მაგრამ მფრინავმა თურქეთის ნაცვლად თვითმფრინავი თბილისში დასვა; სუყველა დაიჭირეს და დახვრეტა მიუსაჯეს.

ჩვენი ღირსეული ხელმძღვანელი, პარტიის ერთგული შვილი, ედუარდ შევარდნაძე ამას აპტიებდათ?! ჰოდა, მღვდელი ჩიხლაძე მიაყოლა ზედ, რომელიც თვითმფრინავში სულაც არ ყოფილა.

— დახვრიტა? — სტეფანემ ისე იკითხა, თითოს ეს ამბავი ყველას პირზე არა ჰკერებოდა.

— დახვრიტა!

— მაინც რამხელა სიკეთე გამოუჩენია, იმ ქვეყნად სულიერი მოძღვარი გაუყოლებია; განა ეს დიდსულოვნება დასაფასებელი

არ არის? – შეფარული ირონიით მოიწონა შევარდნაძის საქციელი სტეფანემ.

ზაალი შეყოვნდა, რა უთხრას, დიდსულოვნება გაიზიაროს, თუ დაუნდობელი კაცის კანონის ძალით ანგარიშსწორება.

– იცი, რატომ დახვრიტა მღვდელი? იმიტომ, რომ მათ თავისი უკულმართი ქადაგებით ტვინი აურია. ჰოდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავის გატაცებაზე აზრზეც არ იყო, სტაცა იმ წვერში ხელი, გაიყვანა და მიახვრიტა. ვენაცვალე ედუარდ ამბროსევიჩს! იცის, როგორ მოუგრიხოს კისერი. ახლა მიხვდი შენს დანაშაულს? კამჩატკაზე რომ ყოფილიყავ, ჩამოგიყვანდით და ვირის აბანოში შეგაგდებდით; მერე გეყვირა, რესტორნის საქმეში მე რა შუაში ვარო! ჩვენმა ძვირფასმა ხელმძღვანელმა, ედუარდ შევარდნაძემ მაგარი მაგალითი მოგვცა, ვინც თვალებში გვეჩხირება, რასაც გვინდა, იმას დავაბრალებთ. თუ გვინდა ბატკანს მგლების ხროვის დაგლეჯა-განადგურებას წამოვკიდებთ, გაიგე?! – ზაალმა ხმას აუწია.

– გავიგე, როგორ არ გავიგე! ან დაბრალება რად გინდათ, ყველაფრის გარეშე რომ შეაგდოთ ვირის აბანოში, შედავებას ვინ გაგიბედავთ, – პირმოთნედ თქვა სტეფანემ. გამგები კი ამაში ღრმა ირონიას ამოიკითხავდა;

– ეგ მოგიხდა! ძლივს შეგაგნებინეთ ჩვენი ძალა. იმ ბიჭს ამ დღეებში გაკოჭავენ; თქვენ კი ტაბიკების მტვრევას შეეშვით და მორჩილად იმუშავეთ!

– გასაგებია, ზაალ დიმიტრიჩ, როგორც გვეტყვით, ისე ვიმუშავებთ, – სამივემ მორჩილად უპასუხეს.

– ახლა წადით და ჭკუით იყავით! – ზაალმა კმაყოფილებით ხელები მოიფშვნიტა...

ლუკა ოთახში იჯდა და ფანხჯარას მისჩერებოდა, სტეფანე თავისი აგრონომებით რომ შევიდა. კარგა ხანს ხმა არავის ამოუღია. ლაპარაკის სურვილი არც ლუკას ჰქონდა, რაღაცაზე ღრმად ჩაფიქრებულიყო.

– ლუკა, დაპატიმრებას გიპირებენ, ეგრე ჯდომა არ გამოგა-

დგება, რამე იღონე, – სტეფანემ ხმა ამოიღო.

ლუკას მწარედ გაეღიმა: – თქვენ პატიმრებისგან რით განსხვავდებით? უფრო სწორედ, საქათმეში შეყრილ ქათმებს მაგონებთ. როცა უნდათ მაშინ დაიჭერენ ურჩ ყვინჩილას თუ მორჩილ კვერცხმდებელ დედალს და მაინც კმაყოფილები ხართ, საკენკი რომ გაქვთ. მითხარით, რა უფრო საამაყოა: მონური მორჩილების ფასად მაძღარი სტომაქით უშფოთველი ცხოვრება, თუ მართალი, პირუთვნელი, ხალხის საკეთილდღეოდ გაბრძოლებისათვის დევნილი მგელივით ნახევრად მშიერი კუჭით წანწალი?

– ლუკა, შენ გაზაფხულის კი არა, შემოდგომის მერცხალი ხარ. ჩვენმა დღევანდელმა სოციალიზმმა ან თავისი ნეკერი უკვე მოკორტნა, ან ისე ძლიერ დაავადდა, რომ სულ მალე გააწკრიალებს ეჟვანს. ჰოდა, შენისთანებისათვის ისე აცივდება, რომ გაიყინებით. ვისაც კი სადმე ხელი მიუწვდება, ყველა იპარავს თავისი თანამდებობის შეძლებისამებრ. ხალხის ჯავრი აქვთ სწორედ, არ შესცივდესო; გაფრინდი, ბიძია, სანამ ძალიან აგიცივდება, – ვალერიანმა გააფრთხილა.

– სად მიპირებ გადაფრენას?

– თბილ ქვეყნებში.

– სად არის ეგ თბილი ქვეყანა?

– ჰეკატესთან ლაპლანდიაში. დაჯექი და იოცნებე რამდენიც გინდა ამ ჩვენი ბუტაფორიად ქცეული სოციალიზმის საერთო სახალხო სამოთხედ გადაქცევაზე. ბიჭო, რატო ვერ ხვდები, რომ ედუარდ შევარდნაძიდან ზევით და ქვევითაც ყველა სკამოსანი გახრწნილია და მთელ ქვეყანას ხრწნიან. იცი, ახლა რა გვითხრა? შევარდნაძემ მღვდელი იმიტომ დახვრიტა, რომ თავისი ქადაგებით იმ ბავშვებს ტვინი აურიაო, თორემ თვითმფრინავის გატაცების შესახებ არაფერი არ იცოდაო. სტეფანეს კიდევ უთხრა, თუ ჩვენ გვინდა, კამჩატკიდან ჩამოგიყვანთ და რესტორნის საქმეზე ვირის აბანოში შეგაგდებთო. ამას გვასწავლის ჩვენი ედუარდ შევარდნაძეო; ახლა ამ არამზადების ბანდას შენი წმინდა სინდისით გამოასწორებ?! – ვალერიანი ზაალთან შეხვედრით დათრგუნული იყო.

— ვალერიან, მონური მორჩილების ფასად გამძღარი სტომაქით უშფოთველი ცხოვრება არჩიე?

— ნუ არჩევ თუ გინდა.

— ქრისტე, ბიბლიის თქმით, ოცდაცამეტი წლის ჯვარს აცვეს; ალექსანდრე მაკედონელიც ოცდაცამეტი წლის მოწამლეს. ისტორიკოს არიანეს თქმით, მისმა მასწავლებელმა, ფილოსოფოსმა არისტოტელემ ვირის ჩლიქით საწამლავი სტიქსი გაუგზავნა მეფის მწადე კასანდრას, რომელმაც ღვინოში ჩაუწვეთა; რობესპიერს იმ გილიოტინით მოჰკვეთეს თავი, რომელზეც ის სხვას ისტუმრებდა; ციცერონს მისავე მეხოტბე რომაელებმა თავი გააგდებინეს, რადგან პოლიტიკურ ბრძოლაში მოწინააღმდეგემ გაიმარჯვა; კალიგულა, ნერონი, დომიციანე, კომოდუსი ხალხს დაუნდობლად რომ ხოცავდნენ, ძაღლებივით დახოცეს; ვასკო ნუნეს და ბალბოას, რომლებმაც პირველად იხილეს წყნარი ოკეანე, უმადურმა ესპანელებმა თავები მოჰკვეთეს მათ მიერვე აღმოჩენილ მიწაზე; კიდევ რომელი გითხრა? ჰიტლერმა, მთელი მსოფლიო თავისი რომ ეგონა, თავი ძლივ მოიკლა, მისი ცხედრის დასაწვავად ერთი კანისტრა ბენზინის შოვნა გაუჭირდათ; ჯალალ ედ დინი სამასქალიანი ჰარამხანით დაბრძანდებოდა, ბოლოს ქურთებმა შუბით მაწანწალა ძაღლივით მოკლეს. ნახე? სიკვდილი არავის არ ინდობს. არც მეფეები არ არიან ძაღლური სიკვდილისგან დაზღვეული. ზოგი ტრაბახობს, ეს ცხოვრება კარგი სმა-ჭამით და ქეიფით მოვკორტნეო; სხვებისთვის ბედნიერება ხალხის ხსოვნაში პატიოსანი კაცის სახელის დატოვებაა. ეგრეა, ჩემო ვალერიან, ყველა თავის ხასიათის და რწმენის ტყვეა. ოღონდ, ისე მაინც არ უნდა იცხოვრო, რომ სიცოცხლეშივე არ მოკვდე, — ლუკამ დასკვნა გაუკეთა თავის ნათქვამს.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ სტეფანემ ამოიღო ხმა.

— ლუკა, პაპაჩემის მონაყოლიდან მახსოვს: თურმე ერთ სამეფოში მდინარე ჩამოდიოდა და ყველა იქიდან სვამდა წყალს. ერთხელ მისანმა გააფრთხილათ: დასალევი წყალი ბლომად მოიმარაგეთ, თორემ ერთი კვირის შემდეგ ვინც მდინარის წყალს და-

ლევს გაგიჟდებაო. ყველამ მოიმარაგა, მაგრამ რომ გაუთავდათ, მდინარის წყალი დალიეს და გაგიჟდნენ. მარტო მეფეს ჰქონდა ბევრი ჭურჭელი და გადარჩა. ეს გაგიჟებული ხალხი ხტუნვა-ხტუნვით-მანჭვით მეფის სასახლისკენ დაიძრა. — რა ვქნა, როგორ მოვიქცე? — თავის მრჩეველს ჰკითხა მეფემ. — შენც ხტუნვა-მანჭვით შეხვდი, თავიანთი ჭკუის ეგონები და ხელს არ გახლებენ, თუ არადა გაგწეწავენო, დაარიგა იმან. შენ, ბიძია, ამ კუჭის მონა მომხვეჭელების მორჯულება რომ მოინდომე, შეგჭამონ გინდა?!

— აბა, რა ვქნა?

— შენც მაგათსავით იცრუე, ითვალთმაქცე, იმლიქვნელე, მოიხვეჭე, აქე და ადიდე უფროსები, უმცროსებს დედა უტირე; ნახე სად გამოიჭიმო. რაც ზევით და ზევით ახვალ, უფრო და უფრო დიდი მომხვეჭელი, მლიქვნელი, მატყუარა და დემაგოგი გახდები; მეტი რა გინდა?!

— მე არა, ეგ ვალერიანს უნდა, — სიცილით უპასუხა ლუკამ.

კიდევ ერთი აგრონომი შემოვიდა.

— გიორგი მარტაშვილს ვახლავართ! — საზეიმოდ თქვა სტეფანემ და ხელი გაუწოდა. — როგორ გაქვს საქმე საცდელ სადგურში? რაც აქედან მოგისრიალეს იშვიათი სტუმარი გახდი.

— აქ მოსვლის არავითარი სურვილი არა მაქვს, თქვე სოკრატის დუდუკზე მოცეკვავეებო, — გიორგიმ გაიცინა.

— სოკრატის დუდუკზე ცეკვამ არ მოგისრიალა აქედან. რა ძალა გქონდა მისი დავალებით წერილი რომ გამოაქვეყნე, — ვალერიანი ჩაერია კამათში.

— აქ თქვენთან სადაოდ არ მოვსულვარ. ახლახან მილიციაში ვიყავი ჩემს საქმეზე. ლუკასთან მოვედი, რომ გავაფრთხილო: ძალიან ემუქრებიან, ქვეყნის ხალხი ჰყავთ დაკითხვაზე, რაც სურთ, იმას აწერინებენ? მალე დაიჭერენო, ამბობენ.

— ახალი რა თქვი?

— ახალი კიდევ ის არის, რომ დღეს თუ არა ხვალ ლუკას დარაჯერად მოვლენ.

— ლუკა, სახუმაროდ არ არის საქმე, იქნებ დროებით გაერიდო აქაურობას, — ურჩია სტეფანემ.

— თქვენ გგონიათ, მომეშვებიან? პირიქით, განგაშს ატეხენ, დამნაშავე გაიქცაო, — თქვა ლუკამ და ტელეფონზე დარეკა.

— შალვა ხარ? ... ის შენი გასიებული ძმაკაცები წამოიყვა, ახლა მე გეპატიჟები რესტორანში... არა გცალიათ? ახლა მომისმინე: რაც თქვენ ერთ დღეში შოულობთ, მე ხომ მთელი ჩემი სიცოცხლე იმდენს ვერ მოვაგროვებ ეგრეა არა? ჰოდა, ახლა რაც თქვენ ერთ წელიწადში იშოვნით, ათ წუთში უნდა ამოგათხევინოთ... ამას რატომ ვამბობ? აბა, როგორ დაწერე, შემოგვივარდაო?... არ დაგიწერია? ახლა მიდი, ის ნაჯღაბნი გამოიტა და შეჭამე! გაიგე? თუ დღეს არ შეჭამ, ხვალ და ზეგ ძალიან გამძღარზე გამოგაწმენდინებ იმ ნაჯღაბნით ბინძურ ადგილს და შეგაჭმევ!... ამოიღე ხმა, შე ნაბოზარო, თუ ბოზო!... რა მინდა? ის მინდა, რომ იმ ნაკელის გუდებს, შენთან რომ იყვნენ, გადასცე, ხალხის საძარცვავად შემოცმული ფორმა ვერ უშველით! რაც შენ შეგპირდი, იმათაც ისე მოუწევთ. ნაძარცვ ფულებს კიდევ სულ კისრიდან ამოგაცლით!... ტყუილად ვბრაზობ? ახლა მანდ კაბინეტში რომ გაქვს იმ ქაღალდით ივარჯიშეთ, თორე უცებ გაგიჭირდებათ, თქვე პარაზიტებო!...

შალვას ყურმილი გაშეშებულ ხელში შემორჩა, ხმას ვერ იღებდა. უცებ შეშფოთდა, ვაი თუ აქ მოვიდესო, ყურმილი დააგდო, გარეთ გავარდა და მდივან გოგოს დაუბარა, ვინც გინდა მოვიდეს, აქ არა ვარო. ქუჩაში გასვლა ვერ გაბედა, მეზობელ ოთახში შეძვრა და კარები ჩაიკეტა.

— კიდევ ვის უპირებ, ლუკა, ტუალეტის ქაღალდით გამოძღომას? — შეშფოთებული კაცის დამფრთხალი ღიმილით ჰკითხა სტეფანემ.

— ახლა მილიციაში მივდივარ, გამომძიებელს და მის კლიენტებს გავესაუბრები, — ლუკა ფეხზე ადგა.

— წადი, ბიჭო, მოსცილდი აქაურობას! — ურჩია ვალერიანმა.

— ეს ქვეყანა ერთ დიდ საპატიმროდ აქციეს, სად დაემალები

ამ ძალათ კომუნისტებს. პატიოსან და მართალ კაცს ციხეში თუ შეხვდები, თორე გარეთ დადედლებულ და დაჩიავებულ სიცოცხლის მონებს ცხვრის ფარასავით მირეკებიან ეს გაუმაძღრობაშეყრილი, სოციალური კეთილდღეობისათვის მებრძოლის ნიღაბაფარებული ვაგლახები...

გამომძიებლის ოთახის კარებთან ექვსი კაცი შეჯგუფებულიყო, დანარჩენები იქვე ტალანში მიმოდიოდნენ. ლუკამ მისწიმოსწია და კარებთან მივიდა.

— ხალხი ჰყავს, შესვლა არ შეიძლება, — უთხრა ერთმა.

ამ არამკითხე კარის მცველს ლუკამ ისე შეხედა, ენა ჩააყლაპინა.

— ეგ არის ის ბიჭი, ვისზეც გვავალებენ? — ვიღაცამ იკითხა.

— ეგ არის პროკურორები თავის ამონარწყევში რომ აბანავა.

— წავიდეთ აქედან, თორე აქ რაღაც ალიაქოთი დატრიალდება, ჩვენც კარგი დღე არ დაგვადგება ტყუილის ყბედობისათვის, — თქვეს.

გამომძიებლის ოთახში ის და მისტერა ორ კაცს ესაუბრებოდნენ; ლუკა რომ შევიდა გაკირვებულები გაჩუმდნენ.

— შეაგროვეთ ჩემი დაპატიმრებისათვის საჭირო სიყალბე? — იკითხა ლუკამ.

ხმა არავის არ ამოუღია.

იმ ორში ერთი დამამზადებელი იცნო.

— გამარჯობა შენი. აბა, ვისაც ველოდებოდი, რომ არ მომიყვანე, — უსაყვედურა.

— თუ არ შეწუხდებით, პროკურატურიდან იქნებ შალვა მოიყვანოთ, — სთხოვა გამომძიებელს.

მანაც მაშინვე დარეკა. შალვა აქ არ არისო უთხრეს. — როგორც გამოჩნდება, აქ მოვიდეს! — დაიბარა და ყურმილი დადო.

— მისტერ, რამდენი წლისა ხარ? — ჰკითხა ლუკამ.

— ორმოცდაექვსის.

— მე ოცდახუთის ვარ. გახსოვს, ამ კაცმა სადღეგრძელო რომ

თქვა კაცური-კაცობის, ქართველობის, ძმობის და ათასი სხვა?

— როგორ არა.

— ჰოდა, თქმა მარტო იმისათვის ხომ არ არის საჭირო, რომ დიდი ჭიქა ბოლომდე დალიო და ყველა ნათქვამი შიგ ჩააყოლო, რათა მეორე დღეს მოინელო?! ახლა მე პატივცემულ გამომძიებელს მოვუყვები, როგორც იყო და თუ რამე არასწორად მოგეჩვენოთ, თქვით.

ლუკამ რესტორნის ამბავი დაწვრილებით მოყვა, გამომძიებელი იწერდა, — სამი მანეთის გადახდაც არ დავიწყებია და დაამთავრა.

— თუ შეიძლება, ხმამაღლა წაგვიკითხეთ, — სთხოვა გამომძიებელს.

ის იყო კითხვა უნდა დაეწყო, შალვამ კარებში თავი შემოყო. ლუკას დანახვაზე უკან გაქცევას აპირებდა, რომ ლუკამ შემოდი! — ისე უყვირა, შალვა მუხლმოკვეთილი შემოვიდა.

— ახლა პატივცემული გამომძიებელი წაგვიკითხავს ჩემს მონაყოლს, თუ რამეში არ ეთანხმები, თქვი! — უთხრა ფერდაკარგულ შალვას...

გამომძიებელმა კითხვა დაამთავრა.

— ასე იყო? — ჰკითხა შალვას. ის შეყოყმანდა.

— შალვა, თუ რამე შენს ფანქტაზიაში არა ჯდება, ჩაასწორე, — ურჩია ლუკამ. — თქვი, ეგრე იყო თუ არა! — ხმას აუწია.

— ეგრე იყო, — ძლივს გასაგონად თქვა შალვამ.

— მაშინ მიდი და მოაწერე ხელი, — ლუკამ კალამი მიაჩეჩა და გამომძიებლის მაგიდასთან თითქმის ძალით მიიყვანა; შალვამ უხალისოდ მოაწერა ხელი.

— შენ რაღას იტყვი? — დამამზადებელს მიმართა.

— ეგრე იყო, ძმაო, ეგრე! — პირმოთნედ თქვა და ნუმაშტარ ჩანაზე ინსტიქტურად ხელი მოისვა.

— ჩანაზე კი ნუ იდებ, კალამი აიღე ხელში და მოაწერე!

მანაც მაშინვე შეასრულა.

— ბატონო მისტერ, თქვენ რას იტყვით?

— ეგრე იყო და...

ლუკამ კალამი და ქაღალდი მიართვა. მანაც ხვნეშით მოაწერა ხელი.

დარჩენილი სუფრის წევრები თუ სხვა აზრის იქნებიან, აქა ვარ პატივცემულო გამომძიებელო, გამომიძახეთ და შევხვდები. ახლა რას მიპირებთ, წავიდე თუ უნდა დამაპატიმროთ?

— რა ვიცი, კაცო, ამათ ადრე სულ სხვა ჩვენებები აქვთ მოცემული, — ორჭოფულად თქვა გამომძიებელმა.

— თუ შეიძლება შალვას ადრინდელი ჩვენება გამაცანით..

გამომძიებელმა ქაღალდებიდან ამოარჩია და წაკითხვა დაიწყო.

შალვა და ორი მილიციელი პურის საჭმელად რომ შავიდნენ, სქელკისერა ნახსენები არ იყო, სასწრაფოდ უნდა წაეხემსათ და საქმეს შესდგომოდნენ. ამ დროს მთვრალი ლუკა რესტორაში ვიღაცას ეჩხუბებოდა, შალვა რომ დაინახა, გინებით გაუქანდა და ლანძღვა დაუწყო. ამათ წესრიგისაკენ მოუწოდეს და სასწრაფოდ წავიდნენ, რადგან საქმეზე ეჩქარებოდათ.

— ეგრე იყო? ლუკა დამამზადებელს მიუბრუნდა.

იმან ხმა არ ამოიღო.

— მისტერ, კაცურად თქვი, ამ სიცრუის მომჩმახს რა ეკუთვნის?!

მისტერა თავჩაღუნული იჯდა.

ლუკამ ორივე ჩვენება აიღო.

— აქედან რომელიც მოგონილია შეჭამე, ორივეზე გაქვს ხელი მოწერილი. შეჭამე, თორემ მაგ დასვრილი არაკაცობის გამოწმენდით შეგაჭმევ, როგორც შეგპირდი! — შალვას ორივე ქაღალდი მიაჩეჩა. — თუ ჩემი დაპატიმრება გადაწყვიტოთ, აგრონომების ოთახში მომაკითხეთ! — უთხრა გამომძიებელს და გარეთ გავიდა. იქ შეგროვილი კაცებიდან ყველა გაპარულიყო.

— რომლის შეჭმას აპირებ? — ირონიულად ჰკითხა გამომძიებელმა შალვას.

შალვას ხმა არ ამოუღია.

— რადგან აქედან გაუშვი, ბიჭები გააგზავნე და აგრონომების ოთახიდან წამოიყვანონ, — ურჩია მისტერამ.

— აქ რომ იყო, რატო მაშინ არა თქვი, ტვინპეპლიანი ჭედილასავით რომ უქნევდი თავს, შე ბედოვლათო, ამაზე ხელს რატომღა აწერდი! — შეუღრინა გამომძიებელმა და ქაღალდი თვალებთან აუფრიალა.

— რომელი დავხიო? — შალვას ორივე ქაღალდი აჩვენა.

შალვა გაოგნებული იდგა.

— ეგ იგეთი ქვის ნატეხი ჩანს, თუ არ დავხიე ნამდვილად შეგაჭმევს! — თქვა და ყალბი ჩვენება ნაკუწებად აქცია...

ლუკას დაპატიმრების მექანიზმი კი მთელი სიმძლავრით ამუშავდა. მილიციაში სპეციალური ჯგუფი მოამზადეს ლუკას დასაკავებლად. ზაალის ბოლო განკარგულებაღა იყო საჭირო ლუკაზე თავდასხმის მოსაწყობად. დანარჩენ ბრალდებებს მერე იოლდად შეაკოწიწებდნენ.

ხალხში კი ანეკდოტად დადიოდა ამ მართალი ბიჭის მოსპობას როგორ ცდილობდნენ. რესტორანში ჩხუბის მონაწილენიც გაკვირვებით ყვებოდნენ ძალათი როგორ დააწერინეს იმ ბიჭის მიერ ცემის და რესტორნის დარბევის შესახებ, რომელსაც არ შეხვედრიან და არც კი იცნობდნენ. მთელი რაიონი ამაზე ლაპარაკობდა და ხელმძღვანელობის მიერ ჩადენილ აუარებელ უკუღმართობას იხსენებდა.

ზაალ დიმიტრიჩთან ყოველივე ამის შესახებ ისაუბრეს და გადაწყვიტეს, არ ღირდა ასე გახმაურებული საქმის, რომელშიც ორგანოს მუშაკებიც იმხილებოდნენ, ასე გაგრძელება. როცა ლუკას სხვა უფრო კარგად მოფიქრებული სატყუარით გამოჭერა შეიძლებოდა.

— მაგ ბიჭს სხვანაირადაც მოვუგრეხთ კისერს. ხალხში უსამართლობაზე და ძალადობაზე ყბედობასაც მოვუღებთ ბოლოს, — დაასკვნა ზაალმა.

## თუ გინდა წარმატებას მიაღწიო, ყველაფრის კადრება შეიძელი

ლუკა აგრონომების ოთახში თავის პოზაში იჯდა და ჭერს მისჩერებოდა. სტეფანე დედაქალაქში გასაგზავნ ინფორმაციას ამზადებდა. მორჩა, ახლა სოკრატთან წავიდა გასაცნობად. რამდენიმე ხნის შემდეგ მობრუნდა და სკამზე ოხვრით ჩამოჯდა.

— ჩაასწორა. უფრო სწორად, როგორც სურდა, ისე გააყალბა. ახლა ხელი უნდა მოვაწერო და გავაგზავნო, — ჩაილაპარაკა და ლუკას გახედა. მას თითქოს არ გაუგიაო ხმა არ ამოუღია.

— ეეეხ! — სტეფანემ ხელი ჩაიქნია და წერას შეუდგა.

ლუკა ტელეფონს მისწვდა. — შალვა ხარ? რას შვრებით, რესტორანში ახლა მე დაგპატიჟოთ, თუ შენ გამომიგზავნი დამამზადებელს?! — ლუკას სულიერ სამყაროში რაღაც გარდატეხა ხდებოდა. ამ უსამართლობის და სიყალბის ჭაობში მისი ფართხალი მეოცნების ფუჭი ფაფხური იყო მხოლოდ. — ლუკა, მთელი ჩემი შესაძლებლობით ვიბრძოლე და ეგ საქმე მოვასპობინე; ახლა შენ აღარ მოგედავებიან. — ძმაკაციც ასეთი უნდა. სად შევხვდეთ, მადლობა რომ მოგიხადო!... არა გცალია? მე მცალია. ის დამამზადებელი გამომიგზავნე, თუნდაც გაქონილხალათიანი მიმტანი. დღეს შენთან და თუნდაც იმ ქონის გუდებთან ქეიფის ხასიათზე ვარ, გაიგე?! — ლუკა პასუხს არ დაელოდა და ყურმილი დააგდო.

— რას აპირებ, ლუკა, არ მეტყვი? — სტეფანემ ჩაილაპარაკა.

— ისეთს არაფერს, ბატონო სტეფანე. მაშინ ძალიან ბევრი ფულის შოვნით ტრაბახობდნენ, მინდა, გავიგო, რას უშვრებიან იმდენს.

— შეეშვი მაგათ, ლუკა, ძალიან ბევრნი არიან, თანაც კანონი და სამართალი მაგათ ხელში ტაკიმასხრის ოინბაზობადაა ქცეული.

ამ დროს ოთახში ფერმის გამგე ტიმოთემ შემოიხედა.

— ლუკა, ცოტა ხანს გარეთ გამოდი, — სთხოვა.

— რაშია საქმე? — გასვლისთანავე ჰკითხა ლუკამ.

— წამოდი, კუთხეში მივდგეთ, არავინ დაგვინახოს, — ტიმოთეს ლუკასთან ერთად გამოჩენისა ერიდებოდა.

განცალკევდნენ.

— ლუკა, ხომ იცი, რა ჯიშიანი საქონელი შევიძინეთ. ახლა გრამიტონამ სულ გამაყიდინა. აქტებით კი აქაურობას ვერ შეეგუ-ვნენ და დაიხოცნენო.

— ამას მე რატომ მეუბნები?

— იმიტომ გეუბნები, რომ შენს წინაშე თავს მოვალედ ვთვლი და ამას რომ გაიგებდი, სირცხვილით თვალებში ვერ შემოგხე-დავდი.

— ახლა არა გრცხვენია, რომ ის ჯიშიანი პირუტყვი გაან-იავე?!

— მაშინვე მინდოდა შენთვის მეთქვა, მაგრამ ქვეყანა იყო შეყ-რილი, დასაჭერად დასდევენ და ზედმეტი ხათაბალა აღარ გჭირდ-ებოდა. მე კიდევ გრამიტონა მოხსნას მიპირებდა თუ ამას არ გა-ვაკეთებდი. ვიღაცა ოხერს დანიშნავდა და ხელი აღარაფერში შეეშლებოდათ. ახლა ფული ჩემთანაა, საღამოზე გრამიტონას უნდა მივუტანო.

— კიდევ რა გაყიდა?

— ექვსასი სული დარჩეული ცხვარი. დაფრთხნენ და ხრამში გადაიჩეხნენო.

— კარგი, წადი, საღამოზე შეგხვდები...

შებინდებისას ტიმოთემ გრამიტონის სახლის კარებზე დააკაკუ-ნა. გრამიტონმა შინ შეიპატიჟა. ოცი წუთის შემდეგ გრამიტონმა ტიმოთე გამოაცალა. ის იყო, კარები უნდა მიეხურა, რომ ლუკამ მხარზე დაადო ხელი.

— საღამო მშვიდობისა, გრამიტონ, ხომ არაფერი უჭირს-მეთქი, გამოგიარე.

შეშინებული გრამიტონი გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა.

— კარგადა ვარ, არაფერი მიჭირს, — ძლივს ამოიკნავლა.

— მაშინ ჩემთან წამოდი, თითო ჭიქა დავლიოთ. თუ გეზა-რება, შენ შემიპატიჟე.

— დღეს მაგისთვის არა მცალია, სხვა დროს იყოს.

— რამ გაგაწუნკლა, სუფრას მე გავშლი! — ლუკამ ხელი უბიძგა, სახლში შეაგდო და თვითონაც შეჰყვა.

— გამარჯობა, ლუკა! — სამზარეულოდან წარბებშეღებილი, პომადით ტუჩებშეთხუპნული, გამობერილ მკერდგაშიშვლებული და გავასქელი, ჩამრგვალებული ქალი გამოვიდა.

— ვااა! გოგო შენ თებრო არა ხარ?

— თებრო ვარ, ლუკა, — ნაზად ჩამოართვა ხელი და გაიპრანჭა.

— ეს საიდან, გრამიტონ?

— ჩემი ცოლია, მეფრინველეობაში რომ მყავდა, ის არი.

— თებრო, თბილისში მიუცემელი არავინ დატოვე, გაფრენილს იჭერდი, ახლა მარტო გრამიტონაზე დაგიდგა საქმე? — ღიმილით ჰკითხა ლუკამ.

— ახლა აღარ ვაძლევ, ლუკას ვენაცვალე, მარტო გრამიტონისათვის მემეტება! — გადაწყვეტით განაცხადა თებრომ.

— ბიჭო, ეს ქალი სოკრატასთან თუ გამოაჩინე, ძველი ხელობა გაახსენოს იქნებ, ისეთი ხვადაგია, — გააფრთხილა.

— სოკრატა ამის უფროსი რომაა? ერთხელ იყო აქ.

— მერე არ გიპწკინა?

— მიბწკინა და უარესიც მომთხოვა, მაგრამ აი, ჩააფურთხოს, უარი ვუთხარი.

— ყოჩაღ, გრამიტონ ეს რა ერთგული ცოლი გიშოვნია!

— ერთგული უნდა იყოს, აბა რა, სხვა კაცებში ნატარ ქალს სახლში არ შამოვუშვებ! — შუბლი შეიკრა გრამიტონმა.

— თებრო, სხვა კაცებს რომ აძლევს, რა ჰქვია? — ჰკითხა ლუკამ.

— ბოზი, — ვნებიანი ღიმილით უპასუხა.

— ადრე რომ ბოზობდა, იმას რაღა ჰქვია?

— კარგი ერთი, ლუკა! — გაპრანჭულმა თებრომ მხარზე ვნებიანად მოუთათუნა ხელი. — იმას კიდევ ნაბოზარი, — თან გადაიხარხარა.

— ზუსტად ასეთი მეორე ცოლი მოგიხდებოდა, გრამიტონ. გოგო, რქები კი არ დაადგა! — თებროს თითი დაუქნია.

— პირველი ცოლი როდის მყავდა; თებრო ჩემი პირველი ცოლია.

— აბა, კლარა ვინ იყო?

— ვხუმრობდით, კაცო, სულ ჩემს დატუქსვაზე იდგა. გეფიცები, ოთახში უჩუმრა შავიპარებოდი ხოლმე და კარებსა ვკეტავდი, კლარა არ შამამივარდეს და რამე არ დამარტყას-მეთქი. ეს წარმოდგენა ვიღაცისთვის თუ რაღაცისთვის სჭირდებოდა; მაგრამ სანამ წავიდოდა, მე კინაღამ გული გამიხეთქა, — ოხვრით თქვა გრამიტონმა.

ლუკას სიცილი აუტყდა.

— თებრო, შეამოწმე, გრამიტონას თავზე უკვე ხომ არ დაადგი რქები.

თებრომ მოტიტვლებულ თავზე ხელი მოუსვა: — არა, ჯერ არა აქვს, — ღიმილით თქვა.

— კაცის თავზე რქებს რა უნდა, ირემი ხომ არა ვარ! — გაიკვირა გრამიტონმა.

— თუ დასჭირდა, თებროს შეუძლია ქორბუდას რქებით შეგმოსოს, — ღიმილით თქვა ლუკამ და თებროს გახედა.

შემიძლია, მაგრამ ჯერჯერობით ურქებოდ ვატარებ! — თებრომ გადაიხარხარა.

— თებროს შეუძლია სუფრა გაგვიშალოს? — ლუკამ იკითხა.

— ვეცდები, — ღიმილით თქვა თებრომ.

— შენ როგორც სხვა რამეში წარმატებული მცდელობა გქონდა, აქაც თუ იმნაირად მაგრად გაისარჯე, კარგი სუფრა გააწყო იქნებ, — წააქეზა ლუკამ.

— მე ყველაფერი მაგრად გამომდის! — უკანალის ვნებიანი რხევით და კისკისით წავიდა სამზარეულოსაკენ.

— გრამიტონ, ერთი მაგარი საქმეა, არ გინდა, ბლომად ფული გააკეთო? — ლუკამ სერიოზული სახე მიიღო.

— რა არის? — გრამიტონმა ყურები ცქვიტა.

— ბიჭო, ის ჯიშიანი საქონელი რომ გაყიდე, ერთმა მითხრა, ათას მანეთს მივცემო.

— მე კიდევ მუქთად, ექვსას მანეთად გავყიდე! — გრამიტონამ მუხლებზე დაირტყა ხელი.

— მაგ საქმეს ეშველება.

— როგორ?

— ის ფული თუ ისევ გაქვს, მივუტან და ათასად გადავათავებინებ, თუ არადა ვეტყვი, სხვას ორ ამდენად უნდა მივცემეთქი.

— ეხ, სასაკლაოში უკვე დახოცავდნენ.

— შენ ფული მოიტა, სულ კისრიდან ამოვაცლი იმ არამზადას!

— მართლა?

— მიდი, დროზე გამოიტა!

გრამიტონი გაძუნძულდა და ტიმოთეს მოტანილი ჩანთა გამოუტანა ლუკას.

— დათვალე? — ჰკითხა ლუკამ.

— დათვლა რად უგდა, ტიმოთეს დათვლილი აქვს.

— კიდევ რა გაყიდე?

— ცხვარი.

— მიდი, ფული გამოიტა, ორი იმდენი უნდა გამოვართვა და მოგიტანო.

გრამიტონმა მეორე ჩანთაც გამოუტანა.

— დარჩა კოლექტივში კიდევ რამე გაუყიდავი? — ლუკას ცალყბად გაეღიმა.

— დედას ვუტირებ, მოუკორტნავს არაფერს გავუშვებ!

— ახლა მითხარი: ერთი ძროხა ექვსას მანეთად გაყიდე, მე უნდა ათასად გავყიდო, ათასის რამდენი პროცენტია ექვსასი?

— აუ, პროცენტი რათ მინდა, ოთხასი მანეთით მეტი იქნება, მორჩა და გათავდა.

— აბა, რომ მოახსენებ ხოლმე გეგმა ამდენი პროცენტით გადავაჭარბეო, როგორ ახერხებ?

— ეკონომისტები მიცოცხლოს ღმერთმა.

— ის ჯიშიანი ძროხები საყასბოდ რომ გაიმეტე ღმერთმა რომ გიწყინოს.

— ღმერთი სად არი. მე გავყიდე და იმათ როგორც უნდათ, იგრე მაიხმარონ.

— მართლა, გრამიტონ, ჭიმია და ხითავა როგორ არიან?

— კარგად. რა უჭირთ.

— ხომ არ ნერვიულობენ, რომ ვერ მომკლეს?

— ნერვიულობენ კი არა... — გრამიტონს შიში შეეპარა.

— შენ როგორღა ხარ, დაისვენე, არა? კარგი. ახლა ამ ფულს წავიღებ და თუ კიდევ რამის გაყიდვას გაბედავ, მოვალ და იმასაც წაგართმევ. რომ მოგეკალი, ამდენი ფულისთვის რა უნდა გექნა? ნახე რა კარგად დაგიჯდა ჩემი გადარჩენა? — ლუკა ადგა, ჩანთები აიღო, გრამიტონი ჩანაჩამოვარდნილი მისჩერებოდა.

— აკი ათას მანეთად გავყიდი და ცხვრის ფულს კიდევ ორმაგად მოგიტანო? — ამოილუღლუღა.

— გრამიტონ, შენ ფული კი არა, ყურებში ყოველდღე სახრე გჭირდება ადამიანად რომ იქცე. იმ უფალს მადლობა უთხარ, რომელიც არა გწამს, ჭიტლაყის გარეშე რომ გტოვებ! — ლუკა წავიდა. გრამიტონი გაშეშებული იდგა.

თებრომ სამზარეულოდან თეფშები გამოიტანა.

— რათ წავიდა? — იკითხა გაკვირვებულმა.

— რავი, წავიდა, — უპასუხა გაოგნებულმა გრამიტონმა.

ტიმოთე ლუკას გარეთ დახვდა. — რა ქენი? — ჰკითხა.

— აჰა, ეს ფული, კაცურად მოიხმარე; გრამიტონასავით შენც ბევრის მოხვეჭის ჭიამ არ შეგაცდინოს! — ლუკამ ჩანთები ხელში მიაჩეჩა და წასვლა დააპირა.

— ამას მე რად მიტოვებ, კაცო, რა უნდა ვუყო?! — ტიმოთე შეწუხდა.

— სინდისს დაეკითხე! — მიაძახა ლუკამ და ბნელში გაუჩინარდა...

მარინე დააწინაურეს. კომკავშირის თბილისის ქალაქკომში

გადაიყვანეს. შალვა მის მშობლებს სისტემატურად უგზავნიდა ძღვენს, — გრამიტონიც არ ივიწყებდა. მარინეც უზომოდ იყო მათი მადლიერი. შალვამ ახლა თბილისში მოუხშირა მარინესთან სტუმრობას და საჩუქრების მიტანას, თან დააყოლებდა-ხოლმე: — მე რომ პროკურორი ვიყო, უფრო კარგად შევძლებდი თქვენებისთვის ყურადღების მიქცევასო. მარინეც ჰპირდებოდა, დიდ ხალხს ვიცნობ და მაგ სურვილს მალე შეგისრულებო. მართლაც შალვას მოქნილობას მარინეს მცდელობაც მიემატა და მალე რაიონის პროკურორად აკურთხეს.

ახლა შალვა მთელი კვირა თბილისში იყო და მარინეს ხშირად ხვდებოდა. მის ნიჭსა და უნარს ხოტბას ასხამდა და უხაროდა, რომ ასეთი ადამიანი მისი თანაკლასელი იყო. მარინეც იფერებდა მის ქათინაურებს და სიამოვნებით ასდევდა ურთიერთ მაამებლობის გაცვლაში.

შალვამ მარინეს სამსახურში მიაკითხა. მარინემ კაბინეტში მყოფ ვიღაც ქალს წარუდგინა ნიჭიერი პროკურორი, თავისი თანაკლასელი. დიდხანს ისაუბრეს, თანაკლასელებიც გაიხსენეს; კლარას გრამიტონთან ცელქობა არ გამორჩენიათ.

— ეგ სულ ტყუილი იყო, კლარამ თავისი ჩვეულებისამებრ გააბითურა გრამიტონა, — დაასკვნა შალვამ.

— ეს როგორ?

— ხომ გახსოვს, როგორი ავარდნილი იყო. ჰოდა, გრამიტონას უთხრა, ვითომ შენი ცოლი ვარ, მაინტერესებს ხალხი რას იტყვისო. ორიოდე კვირა იყო მასთან და ისეთ დღეში ჩააგდო, გრამიტონა სახლში იმალებოდა, არ მომკლასო; ბოლოს მაგრად სცემა და წავიდა.

— ერთად არ უცხოვრიათ?

— გრამიტონას ნათქვამს გეუბნები: კოცნა რომ დაუპირე, კინაღამ სული ამომხადაო ცემით. მაგ გოგოს ლუკას სიყვარული აბოდებს, ლუკასაც უყვარს და მეტი რაღა უნდათ, ორი გადარეული ერთად აიკლებენ ქვეყანას.

— ლუკა რაღას აკეთებს?

— რას უნდა აკეთებდეს, მთელ რაიონს შეაძულა თავი, ინტრიგანი, ყბედი და საშინელი მაბეზღარაა; რაიკომის მდივანი დასაჭერად დასდევს. ამას წინათ რესტორანში გალეშილმა იჩხუბა, ყველაფერი მილეწ-მოლეწა, კაცებს თავპირი ჩაამტვრია, ზოგი საავადმყოფოშიც კი წაიყვანეს; უნდა დაეჭირათ. რაღა არ ვიღონე, ქვეყანა, ძმაბიჭები, უფროსები შევაღონე და ძლივს გადავარჩინე. იმხელაზე უმადურია, ისევ მე მემდურის. რომ იცოდე, მარინე, მაგის დასახსნელად მაგის წონა ფული მაქვს დახარჯული; სხვა რა ვქნა?!

— ვინ იფიქრებდა, რომ ცხოვრებაში ასეთი არანორმალური კაცი დადგებოდა. — სინანულით თქვა მარინემ.

— ახლა ყაჩაღობის გზას დაადგა, თავმჯდომარეებს სახლში უვარდება და ფულებს ართმევს,— შალვამ ხმას დაუწია და თითქმის ჩურჩულით უთხრა: — ამას წინათ გრამიტონას მივარდნია და სახლში რაც ფული ჰქონია წაურთმევია.

— მერე თქვენ რას აკეთებთ?

— ჩემი თანაკლასელია, ვმფარველობ, მაგრამ როდემდის დავიცავ; ბოლოსდაბოლოს ყაჩაღის ძმაკაცობას დამაბრალებენ. გრამიტონამაც არსად გამოაცხადა, თანაკლასელი როგორ გავიმეტოო, მე გამანდო მარტო. საკმარისია აღარ დავიცავ, რომ მაშინვე დააპატიმრებენ; არადა მეც მიღრენს, ფულებს დაგაყრევინებო, — შალვამ მოიჩივლა.

— მაგის საქციელი მეც არ მომწონს, პარტიას და კომკავშირს ვერ იტანს, კარიერისტებს და ქარაფშუტებს ეძახის; ნამდვილად კისერს მოიტეხს, — წყრომით თქვა მარინემ.

— კლარა კი გიჟდება მაგაზე. როგორც ვიცი, არც ლუკაა გულგრილი. ეგრეა, ავანას ჩავანა შეეფერება, — შალვამ დამცინავად ჩაიცინა. — ამ ბოლო დროს შენ არ შეგხვედრია?

— არა მაქვს სურვილი, მაგას უნდა, რომ ყველა თავის ჭკუაზე აცეკვოს. ადამიანის გამოცნობაში შევცდი, მაგრამ ყველაფერი დროულად გაირკვა და ამაზე განგებასთან მხოლოდ მადლობა თუ მეკუთვნის,— მარინემ შუბლი შეიკრა.

დიდხანს ისაუბრეს, მერე ერთად გამოვიდნენ და შალვამ სახლამდის მიაცილა...

ლუკამ გრამიტონის მონახულების შემდეგ სამი თვე კიდევ იარა სამსახურში, მაგრამ გული არ უდგებოდა. ყველგან მოჩვენებითი კეთილდღეობის და მიწერების კარსუელი ბრუნავდა. ლუკა მის შეჩერებას აღარ ცდილობდა. დარწმუნდა, რომ მისი ფაფხური გარღვეული ჯებირის წყალში ჩაყოფილი ხელით შეკავებას ჰგავდა; ეს უზარმაზარი სიცრუის ნაკადი თან გაიტაცებდა და დაახრჩობდა.

— ლუკა, რამდენიმე ხნით სადმე წადი, ამათ თვალში აღა მოედები და იქნება დაწყნარდნენ, თორე არ ისვენებენ, შენი გაქრობა უნდათ. ახლა კიდევ შევესწარ მაგათ საუბარს, ვინც ლუკას ახლობელი და მეგობარია ყველა დააშინეთ, ახლოს არ გაეკარონ, მერე კი ეგ ბიჭი სარივით უნდა ამოვაძროთ ჩვენი ცხოვრებიდანო, — გააფრთხილა სტეფანემ.

— მე რას ვუშავებ. ახლა მაინც ხომ არაფერს ვაკეთებ, ისედაც აცრუებული მაქვს გული. ჩემგან რაღა უნდათ? — გაუკვირდა ლუკას.

— არ გენდობიან, კიდევ რაღაცას ჩაიდენსო.

— ბატონო სტეფანე, რაკი ეგრეა, სულ მოვცილდები აქაურობას, მაგრამ ჯერ რამდენიმე დღით წავალ, იქნება მეც დავმშვიდდე, — სთხოვა ლუკამ.

— რამდენი ხნითაც გინდა მოსცილდი აქაურობას. ჯერ კი ჩვენთან ისევ აგრონომად იქნები, სანამ შენ თვითონ არ გადაწყვეტ განთავისუფლებას, — სტეფანემ სიყვარულით დაარტყა მხარზე ხელი და თბილად გამოაცილა ოთახიდან.

ლუკამ იმავე დღეს შეკრა ბარგი და თბილისში წავიდა. მეგობრები ბევრი ჰყავდა, ვისთანაც შეეძლო დარჩენა. მაგრამ ჩასვლისთანავე სამბოს სექციაში გამოცხადდა; იქ ბევრი ამხანაგი და თაყვანისმცემელი ჰყავდა. მისი გამოჩენა ძალიან გაუხარდათ. პერსპექტიულმა, ძლიერმა სპორტსმენმა ჭიდაობის გაგრძელება არ ისურვა და სოფელში წავიდა. მწვრთნელი აკაკი იოსელიანი გაბუტული შეხვდა, მაგრამ მაინც ჩამოართვა ხელი და მკერდში ჩაიკრა.

— ლუკა, ხომ არ დაგვიბრუნდები? იქნება მეც მერგოს ბედ-

ნიერება მსოფლიო ჩემპიონის გაზრდის, — ამ სიტყვებში თხოვნაც იყო და მოვალეობის შეხსენებაც.

— მოვიფიქრებ, — იმედიანად უთხრა ლუკამ.

— ლუკას გაუმარჯოს! — ერთმა სპორტსმენმა ვარჯიშს თავი დაანება და ლუკასკენ გაიქცა.

— პაპუნას სიცოცხლე! — ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— ვარჯიში განაახლე? — ჰკითხა ლუკამ.

— იმ ამბის შემდეგ, შენ რომ შეგხვდი, მივხვდი, რომ ჭამაყლაპვას, ზოგიერთი დროსტარებას რომ ეძახის, სპორტში და შრომაში დროსტარება სჯობია, მეც როგორც თავისუფალ დროს ვპოულობ, აქ ვარ.

— პაპუნა, კარგი ვაჟკაცი ხარ, საქმით დაამტკიცე, რომ დედის ძუძუ გაქვს ნაწოვი, — ლუკამ მეგობრულად მოუთათუნა ხელი მხარზე.

მათთან აკაკი იოსელიანი მივიდა, ლუკას მხარზე დაადო ხელი და დამცინავად უთხრა: — ერთ დროს მაგარი ბიჭი იყავი. ამდენი ხნის გაყალთაბანდებით ქუჩის მაჩხუბრის დონეზეც აღარ იქნები. ვარჯიში სუსტს ძლიერად აქცევს, ძლიერს კი უძლეველად; შენ განსაკუთრებული ძლიერი იყავი, ასეთები იშვიათია, მაგრამ რად გინდა, არა სჯობდა ეგ ფიზიკური მონაცემები უფრო მონდომებულ ახალგაზრდას ჰქონოდა?! — მწვრთნელმა ლუკას თავმოყვარეობის ძარღვი შეუტოკა, იქნებ ამით უკანვე მოებრუნებინა.

ლუკას გაეღიმა.

— რას იღიმები, თუ გინდა, ახლავე დაგიმტკიცებ საშუალო მოჭიდავესთან შეხვედრით, — მწრთვნელმა ხალიჩიდან ერთი მოჭიდავე გამოიწვია, — ამას შეხვდები? — ლუკაზე მიუთითა.

— როგორც მეტყვით, — მიიღო პასუხი.

— აბა, გაიხადე, — უთხრა ლუკას.

— გახდა რად მინდა, — ლუკამ იქვე მიიღო მოჭიდავის საწყისი პოზა,— მოემზადე! — გააფრთხილა მოწინააღმდეგე და, ისაც რომ მზად იყო, სანამ მწრთვნელი, ეტყოდათ, ხალიჩაზე გადითო, სუფთად გააკრა იატაკზე.

მწრთვნელს სიამოვნებით ჩაეღიმა, მაგრამ თავი შეიკავა, — ხომ გითხარი, ქუჩის ხულიგანის დონის ხარ, სად გაგონილა იატაკზე ჭმდაობა! — გაუწყრა. — აბა, ახლა ჩოხა ჩაიცვი და ვნახოთ, რა შეგიძლია!

ლუკა ორი საათის განმავლობაში ხალიჩიდან არ ჩამოსულა. მისი წამქცევი მოჭიდავე არ გამოჩნდა; პაპუნაც რამდენიმეჯერ გააკრა ხალიჩაზე.

— შენ არ გაქვს უფლება ისეთი მოჭიდავე როგორიც ლუკაა ქვეყანას დაუკარგო და არარაობად აქციო! — მწრთვნელი ყვიროდა და თვალებზე მომდგარ ცრემლებს იწმენდდა.

ლუკას რაღაცის თქმა უნდოდა.

— შენი ხმა არ გამაგონო! ხვალიდანვე შეუდგები ვარჯიშს! — მწრთვნელმა ტირილით უბრძანა.

— მე თბილისში ბინაც არა მაქვს, თანაც სოფელში ვმუშაობ, — ლუკამ თავის გამართლება სცადა.

— ბინასაც გიშოვნით და სამსახურსაც, ოღონდ ჩვენთან დარჩი, — სთხოვა პაპუნამ. — დედაჩემის დედის ოროთახიანი ბინა თავისუფალია, ბებო ჩემთან გადმოვიყვანეთ; ლუკამ იცხოვროს იქ სანამდისაც საჭიროდ ჩათვლის.

— ძალიან კარგი. ამ დღეებში ჩვენთან სამსახურს ვუშოვი. მეტი რაღა გინდა? ჰო, მწრთვნელმა ჯიბეები მოიჩხრიკა, — აჰა, ეს ორასი მანეთი, ცოტა ხნით გეყოფა.

— ფული არ მიჭირს, ბინასაც ვიშოვი, ოღონდ ჯერ არ მცალია, საკითხები მაქვს მოსაგვარებელი.

— საკითხები აქვს მოსაგვარებელი! — გამოაჯავრა მწრთვნელმა. — მთა და ბარი უნდა გაასწოროს. ბიჭო, მთელი კომუნისტური ვერხუშკა გაიხრწნა, უღალატეს იმ იდეას, რასაც ადამიანთა კეთილდღეობა, სოციალური უზრუნველყოფა, თანასწოროობის და ბედრიერი ცხოვრებისათვის პატიოსანი სინდისით და ზნეობით ბრძოლა ჰქვია. რიგით კომუნისტებს, მშრომელებს კიდევ სჯერათ რაღაცის, მაგრამ ვისაც კი თანამდებობა უკავია, ვისაც კომუნისტის პარტბილეთი ფულით უყიდია თანამდებობაზე გასაძ-

რომად შენ იმას მექრთამეობასა და კომბინაციაზე ხელს ააღებინებ?! ეს ხომ იმათი ცხოვრების მიზანია. პარტიის ვერხუშკა, მთავრობა, პროკურატურა, სასამართლო და მილიცია; ახლა ყველა წარმოების და ვაჭრობის უზარმაზარი ქსელი ამ საქმეზეა. იცი, რომ ერთი უკულმართი მომხვეჭელ ხელმძღვანელთა ბანდა მთელ კოლექტივს თავის ბინძურ კვალზე მიათრევს?! შენ ამ უზარმაზარ ბრბოს, რომელსაც გამდიდრების, გაუმაძღრობის და უზომოდ ბევრის მოხვეჭის ცოფი შეჰყრია შეჩერება და განკურნება რომ მოგინდომებია შიშველი ხელებით და პატიოსნების რწმენით დონკიხოტი არა ხარ?! რაც მიგვატოვე და წახველ, შენი ყველა ნაბიჯი ვიცი. სიკვდილს შემთხვევით გადაურჩი, ახლა შეჭმას გიპირებენ; გაანებე ყველაფერს თავი და დროებით ჩვენთან შეეფარე, სანამ ედუარდ შევარდნაძის მსგავსი ბანდიტები დაპატრონებიან აქაურობას! — მწრთვნელი ნერვიულობდა.

ლუკა ჩაფიქრებული იდგა. — ახლა რომ წამოვიდე, რამეს დამაბრალებენ და ქვეყანას შეყრიან, გაიქცაო, — წყნარად ჩაილაპარაკა.

— მარტო აღარ ხარ, მთავარია იქაურობას მოსცილდე; ჯერ შვებულება გაიფორმე, მერე ვნახოთ, — დაასკვნა მწრთვნელმა.

— მე ლუკას წავიყვან, ბინას ჩავაბარებ, — თქვა პაპუნამ და ლუკას ხელი გამოსდო...

ბინა დაათვალიერეს, პაპუნამ გასაღები ჩააბარა და იქ ბედნიერი დაბინავება უსურვა. — ახლა წავიდეთ რესტორანში და ჩვენი დღევანდელი შეხვედრა აღვნიშნოთ, — შესთავაზა პაპუნამ,

— წავიდეთ, — დაეთანხმა ლუკა. — ოღონდ მასპინძელი მე უნდა ვიყო.

პაპუნას ჩაეცინა...

შალვამ თბილისში სტაჟირების საქმე ჩააწყო და ახლა ყოველდღე აკითხავდა მარინეს, რომელიც ამ წარმატებულ, მოქნილ და პერსპექტიული მომავლის მქონე თანაკლასელს გულთბილად ხვდებოდა. ახლაც მარინესთან იყო და პირმოთნედ ესაუბრებოდა, რაც მარინეს ესოდენ სიამოვნებდა.

— ხომ იცი, ჩემს უფროსებთან სანდო კაცი ვარ, ჰოდა, ყველა ამბობს, მარინე ძალიან ჭკვიანია, მაგას კიდევ დააწინაურებენო? წარმოგიდგენია როგორ გამიხარდებოდა?! ვამაყობ ჩემი ყველაზე ძვირფასი მეგობარი რომ ხარ!

მარინეს სახეზე სიამოვნების ღიმილმა გადაურბინა.

— ყოჩაღი ხარ, შალვა, შენ წინ წახვალ; ცხოვრების ავკარგში ბრწყინვალედ ერკვევი, — მარინემ თავის წილად შეაქო.

— მარინე, პლენუმზე გამომსვლელთა სიტყვები მოვიტანე, ხომ არ გადახედავთ? — ოთახში შემოსულმა მშვენიერმა ქალმა მოახსენა.

— შენ წაიკითხე, ჩაასწორე და შემდეგ სიტყვებში გამომსვლელებს დაურიგე. მე ამისათვის ვერ მოვიცლი, საუკეთესო მეგობარი მეწვია, — მარინემ შალვა გააცნო.

— ალინა, — ქალმა ნაზად გაუწოდა ხელი.

შალვამ საათზე დაიხედა. — სამუშაო საათები რამდენი ხანია დამთავრდა, ამდენი ხნის ხალხისთვის გარჯის შემდეგ თქვენც ხომ გეკუთვნით დასვენება.

— რას გულისხმობ?

— რესტორანში წავიდეთ, საუბრის გაგრძელება იქაც შეიძლება, თან ცოტათი განიმუხტებით ამდენი ხნის დაძაბული მუშაობის შემდეგ.

— რა კარგია! — ალინამ ხელი ხელს შემოჰკრა.

მარინე ჩაფიქრდა: — სიტყვები რომ არ შეგვიმოწმებია? ისეთი რამ არ წამოაყრანტალონ, რომ თავი მოგვეჭრას; ხომ იცი, პარტიის ცეკადან დაგვესწრებიან.

— ნუ დარდობ. პლენუმი ათი დღის შემდეგ გვაქვს, ყველა სიტყვას ტაშის ნოტზე ავაწყობ, — ღიმილით თქვა ალინამ.

— კარგი, შალვა, ორ საათში მე და ალინა ინტურისტის საზაფხულო შესასვლელთან მოვალთ, ოღონდ ისეთი ადგილი შეარჩიეთ, რომ თვალში არავის მოვხვდეთ.

— ჩემს ერთ კარგ მეგობარს წამოვიყვან, ყველაფერი მაღალ დონეზე იქნება, — შალვა შეპირდა.

ალინა სიხარულით შეხტა: — რა კარგი მეგობარი გყოლია, მარინე! ჩვენც ხომ გვეკუთვნის ზოგჯერ განმუხტვა!

შალვა მარინეს და ალინას რესტორნის შესასვლელთან დახვდა ყვავილების თაიგულით ხელში.

— რა არაჩვეულებრივია! — ალინამ გამოართვა, დაყნოსა და მარინეს მიაწოდა: ნახე, როგორი დახვეწილი გემოვნების მეგობარი გყავს, იცის კარგებში უკეთესის არჩევა.

— გმადლობ, ქალბატონო, ალინა! — შელვამ ხელზე აკოცა.

მარინეს სიამოვნებისაგან სახე გაუბრწყინდა.

ეზო გადაჭრეს, მარჯვნივ, აივნის ქვეშ, ყველასგან მოშორებით, კუთხეში მდგარ მაგიდასთან ჩასუქებული და მოსწრებულმუცლიანი კაცი ტრიალებდა პროკურორის ფორმით; სუფრა გამზადებული იყო.

— გაიცანით, ამ რაიონის პროკურორი ბიკენტ ანტონიჩი; ჩემი მეგობარი — მარინე ანზოროვნა და მისი თანამშრომელი — ქალბატონი ალინა, — შალვამ გაცნობის საზეიმო ცერემონია ჩაატარა და ყველა მაგიდასთან მიიპატიჟა...

პაპუნამ და ლუკამ რუსთაველის პროსპექტზე გავლით გასწიეს რესტორნისკენ. გზაში სამი ძმაკაცი შემოემატათ, ქაშვეთის ეკლესიას ჩაუარეს და ინტურისტის საზაფხულო რესტორანთან შეაჩერეს თავიანთი არჩევანი. გარეთ დასხდნენ, თითო ლიტრი ღვინო მოატანინეს; ცოტას სვამდნენ, დროს გულითად საუბარში ატარებდნენ. ლუკას გამოჩენით გახარებულები იყვნენ და შეკითხვებით არ ასვენებდნენ.

— ლუკა, დაამყარე კომუნიზმი შენს რაიონში? — ერთმა ჰკითხა.

— რაიონში კი არა, ჯერ ბრიგადიდან დაიწყო.

— ბიჭო, ვინც ამაზე უნდა იზრუნოს გაუმაძღრობაშეყრილნი ფეოდალიზმში და კაპიტალიზმში მიგვათრევენ, ტრიბუნიდან კი კომუნიზმისაკენ მივქრივართო, გაჰყვირიან; სოციალიზმის ჭირისუფლობა კი ლუკას შეატოვეს, — ერთხმად ახარხარდნენ.

— მასწავლებელი მყავდა — დიმიტრი დავარაშვილი, უაღ-

რესად პატიოსანი და სიმართლის მოყვარე იყო. ის ამბობდა: სოციალური კეთილდღეობისა და თანასწორობისათვის ჯერ უმრავლესობის ტვინი არ მომწიფებულა, ამიტომ საჭიროა ძალით და დისციპლინით უნდა მივაღწიოთ ამას, სანამ ადამიანის ტვინი საამისოდ არ მომწიფდებაო. ახლა აღარც ძალაა და აღარც დისციპლინა, ვისაც რის შნო აქვს, იპარავს, თვალთმაქცობს და ამ ჩვენს ნანატრ სოციალიზმს ჯუნგლების განუკითხაობაში მიათრევენ, — დაასკვნა ლუკამ.

— შენ კიდევ გინდა, რომ ადამიანში მომძლავრებული მომხვეჭელი, მიმთვისებელი, ნადირი შეაჩერო და სიკეთისკენ შეაბრუნო?

— მე ამ ზვავის შეჩერება არ შემიძლია, მაგრამ მომხვეჭელად და ნადირად გადაქცევა არ მინდა, ეს არის და ეს.

— მარტო ხარ, ლუკა, ერთი კაციც არ გამოგყვება, ყველა მზად არის, როდის გამოცხადდება სახალხო ქონების დატაცების მარათონი, რომ რაც შეიძლება დიდი ლუკმა მოგლიჯონ მომკვდავი სოციალიზმის სხეულიდან.

— ლუკას შეეშვით, თვითონ კომუნისტთა თავკაცები სპობენ იმას, რასაც მათი წინამორბედები მშიერი კუჭით და გაფხეკილი შინელით, დიდი რწმენით და სისხლის ღვრის ფასად ქმნიდნენ. ლუკა კი კომუნისტიც არ არის; უბრალოდ პატიოსანი კაცია და სხვანაირად არ შეუძლია, მორჩა და გათავდა, — პაპუნამ ჭიქა ასწია: — ძმებო, ამ ჭიქით ლუკას ჩვენთან მიბრუნება ვადღეგრძელოთ! ლუკა დაავადებულია; განგებას ვთხოვოთ, რომ ეს დაავადება რაღაცა დოზით ჩვენც გადმოგვედოს! — სიყვარულით თქვა პაპუნამ.

შალვას მაგიდაზე კი მიმტანები კერძების მიტანას ვერ ასწრებდნენ. ხუთ სართულად ეწყო თეფშები, შალვა მაინც არ ისვენებდა, ახალ-ახალ დავალებებს იძლეოდა.

— კარგით რა, შალვა, ამდენის შეჭმას ოცი კაციც კი ვერ შეძლებს, — ნაზად თქვა ალინამ.

— ჩიტის რძეც უნდა იყოს აქ, ჩემი უხვირფასესი მეგობარი

და მთელი საქართველოს სიამაყე – მარინა ანზოროვნა გვეს-წრება; ეს ხუმრობა საქმე არ არის! – შალვა წამოდგა, მიმტანი გამოიძახა. – კიდევ რით გაგვახარებ? – ჰკითხა.

– რაც კი შეგვეძლო, ყველაფერი მოგართვით, – პირმოთნედ მოახსენა.

– რაღაც ასიტრინის მწვადს ვერ ვხედავ! – შალვამ შუბლი შეიკრა.

– ასიტრინა არა გვაქვს.

– ვაი სირცხვილო! – შალვამ ორმოცდაათმანეთიანი მიაწოდა. – ახლავე გავარდი, სადაც გინდა იყიდე და ასიტრინის მწვადით მოდი, მარშარაფი არ დაგავიწყდეს! იცი, ამ სუფრაზე ვინ გვეს-წრება? ქალბატონი მარინა ანზოროვნა, ჩვენი ახალგაზრდობის სიამაყე! – მაღალფარდოვნად უთხრა და მარინეზე მიუთითა.

– კი ბატონო, – მიმტანმა მარინეს პირმოთნედ გაუღიმა და უკან-უკან წავიდა.

მარინე სიამოვნებისგან დადნა და შალვას მადლიერად გაუღიმა.

– ბიკენტ ანტონიჩ, ქალბატონო ალინა, მე დღეს უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ მარინა ანზოროვნა ჩვენს გვერდითაა; უაღ-რესად განათლებული, ნიჭიერი, ენციკლოპედიური ცოდნის მფლო-ბელი. სკოლაში მასწავლებლები გაოცებულები იყვნენ, ამგვარი უნიჭიერესი არ გვყოლია და არც შეიძლება მეორე დაიბადოსო. მოსწავლეები დაშოკილები ვიყავით მისი ტალანტით; მასწავლე-ბლებს იქით ასწავლიდა. ვერ წარმომიდგენია, რომელმა მაღალმა თანამდებობამ უნდა დაიტიოს ქალბატონი მარინა ანზოროვნას მრავალწახნაგოვანი, უზარმაზარი ცოდნის შესაძლებლობა, – როლში შესული შალვა მარინეს აკვირდებოდა და ამდენი ქებით კმაყოფილის მადლიერი შემოხედვა ახალი ქებისათვის სტიმულს აძლევდა. – ქალბატონ მარინა ანზოროვნას გაუმარჯოს! – შალ-ვამ მოზრდილი ბაკალი ბოლომდე გამოცალა, მარინეს გაუღიმა და დაჯდა.

ახლა ბიკენტ ანტონიჩი გაიკრიფა ენად, მარინე იმდენი აქო, თვითონაც უკვირდა, ამდენი როგორ მოვიფიქრეო.

შალვამ და ბიკენტიმ სმით თავი მოიწონეს. მარინემ და ალინამ სამიოდე ჭიქა დალიეს, გამხიარულდნენ.

შალვამ ცოტა ხნით გავლა მოითხოვა. ფეხზე ადგა, მარინეს გაუღიმა და ჩვეული მხრების ამაყი თამაშით წავიდა. ლუკას მაგიდას გვერდით ჩაუარა და ტუალეტისაკენ გაემართა. თავი ისე დაიჭირა, ვითომ ლუკა ვერ შენიშნა, განზე გაიხედა, მაგრამ კინაღამ მუხლები მოეკვეთა. ლუკა ბიჭებთან ლაპარაკში იყო გართული, გამვლელ-გამომვლელებს ყურადღებას არ აქცევდა; შალვას თვალი მაშინ მოჰკრა, როცა ხეს უნდა მოფარებოდა.

— ვახ, რესტორნების ჭია, — ჩაილაპარაკა და ადგა.

— სად მიდიხარ, ბიჭო, რა ჭია აგიტყდა? — ბიჭებმა შეაჩერეს.

— თქვენ გააგრძელეთ, მალე მოვალ, — უპასუხა ლუკამ და გასასვლელისკენ წავიდა. ქუჩა დაათვალიერა, — არ წასულა, — ჩაილაპარაკა.

შალვა ტუალეტიდან გამოსვლას ვერ ბედავდა, ვაითუ დამინახოს და შარი ამიტეხოსო. ფრთხილად გამოვიდა, სუფრასთან ბიჭებს შორის ლუკა ვერ დაინახა და სასწრაფოდ თავისი მაგიდისაკენ წავიდა. დაჯდა და შვებით ამოისუნთქა.

მარინეს მის ამგვარ საქციელზე გაეცინა, ზეთისხილი აიღო, ტუჩებთან მიიტანა და გაშრა, მათკენ ლუკა მიდიოდა.

ლუკა ვერაფრით წარმოიდგენდა მარინეს აქ ყოფნას, უბრალოდ შალვასთვის ჩვეული ღრეობის ჩამწარების სურვილი შეუჩნდა. მარინეს დანახვისთანავე, თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ გზა გადაუღობა, ადგილზე გაშეშდა.

შალვამ ჯერ მარინეს შეხედა, გაუკვირდა, რა დაემართაო, მერე მათგან ექვსიოდე ნაბიჯზე მდგარ ლუკას რომ მოჰკრა თვალი, მონუსხულივით გაშტერდა.

ლუკა ქანდაკებასავით იდგა გაჭიმული და ფეხის გადადგმა ვერ მოეხერხებინა.

— ღმერთო ჩემო! ვინ არის ეს მშვენიერი ვაჟკაცი, ანტიკური მოქანდაკის გამოძერწილი აპოლონია თუ ქართული გენის იშვი-

ათი გამოვლინება?! – ლუკას დანახვაზე შამპანურით შეხურებულმა ალინამ აღფრთოვანებით წამოიძახა.

ლუკა კი იდგა და გატოკებას ვერ ახერხებდა. იდგა მხარბეჭიანი, მოქნილი, მოქანდაკის მიერ მარმარილოში გამოკვეთილი სასწაულებრივი სულშთაბერილი ქმნილება და მათ მაგიდას გაოცებული მისჩერებოდა.

ხმის ამოღებას არავინ ცდილობდა. ეს რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ალინა ადგა, ლუკასთან მივიდა, ხელი მოჰკიდა და სთხოვა: – იქნებ ჩვენს მაგიდასთან მობრძანდეთ და ერთი ჭიქა შამპანურით გვადღეგრძელოთ, – ლუკას პასუხს არ დაელოდა, რომელიც ენის მოტრიალებას ვერ ახერხებდა და გაჯიუტებული ბავშვივით მიიყვანა მაგიდასთან.

– იცნობდეთ, ჩემი აღმოჩენილი, გაცოცხლებული სასწაული, – ალინამ ლუკა დანარჩენებს წარუდგინა, სკამი შესთავაზა და თითქმის ძალით დასვა; შამპანურის ბაკალი შეუვსო და მიაწოდა: – იქნებ გვადღეგრძელოთ და თქვენი გაცნობის ბედნიერება გვაღირსოთ. დღეს აქ მოვედით ჩემი მეგობრის საყვარელი, პერსპექტიული, მისთვის ყველაზე ახლობელი და ძვირფასი თანაკლასელის და პროკურორის პატივსაცემად, – ალინამ მარინეზე და შალვაზე მიუთითა, რომლებიც დაბნეულები ისხდნენ და სადღაც იყურებოდნენ.

ლუკა ფეხზე ადგა, მარინეს მიაჩერდა.

– ვა�ა, მართლა?! აქ სად მოვსულვარ, ნამდვილად დავიბენი! მოკლედ, გაგიმარჯოს, მარინე, შენს კაბინეტში ყველას რომ არა აქვს შესვლის უფლება, შენი ყველაზე ახლობელი, ძვირფასი, ღირსეული და თანამდებობის მონა შალვათი! ეგრეა ბიჭო? ადექ ფეხზე, გადღეგრძელებნ შენ ღირს მეგობართან ერთად! – ლუკამ მარცხენა ხელი დაავლო მხრებში და ფეხზე წამოაყენა, – ნათქვამია, ქვაბი დაგორდა და საფარობელი იპოვაო. ღორს სალაფავი რომ აკლია, მაშინ ჭყივის, ნაკელში წოლა კი არ აშფოთებს. ეგრეევა სინდისზე, ნამუსზე და ზნეობაზე მწყრალად პოსტის გლახა! – ლუკამ შამპანურით სავსე ბაკალი ტუჩებთან მიიტანა,

ასე ცოტა ხანს მიაჩერდა მარინეს, რომელიც ორივე ხელით მაგიდას დაყრდნობოდა და გაქვავებული იჯდა, — გოგო, სოფლის ტალახი იმიტომ შეიძულე, რომ შენს ყველაზე საყვარელ მეგობართან რესტორანში თანამდებობაზე გეოცნება?! — რაღაცაზე ჩაფიქრდა, ბაკალი მაღლა ასწია, შალვას მრისხანედ შეხედა, მარინესკენ გადაიხარა და მის წინ მდგარ ჩახოხბილიან ჯამში ჩაასხა, — ახლა შენმა საყვარელმა მეგობარმა ალოკოს, ფუტუროს მატლივით მარტო გამოხვრისათვის რომ არის დაბადებული! ეგ წუნწუხი დალიე, ამ ქალბატონს უმადლობე, — ალინაზე ანიშნა, — რომ არ ჩაგასხი; სხვა დროს გადაგითავებ! — შალვას უთხრა და უცებ გაბრუნდა.

— მარინე, იცნობდი მაგ ახალგაზრდას? — ჰკითხა გაკვირვებულმა ალინამ.

— კი, კიდევ კარგი, რომ შენს მიერ გაცოცხლებული სასწაული უბედურებად არ გვექცა! — უსაყვედურა მარინემ.

— შენ რაღა დაგემართა, ხმა რომ ვერ ამოიღე! — ბიკენტმა შალვას გაკვირვებულმა შეხედა.

— იცი, ეგ ვინაა? ლუკა ყაჩაღი, მე რომ გიყვებოდი. მაგისთვის კაცის მოკვლა არაფერია, — ჩაილაპარაკა გაოგნებულმა შალვამ.

— ახლავე დავაჭერინებ!

— არ გინდა, რაიონში ისეთ საქმეს უმზადებენ, ვერაფრით დაიძვრენს თავს. ეგაც შენი ანტიკური მოქანდაკის გამოძერწილი აპოლონი! — ღვარძლიანად გაურია ალინას მისამართით ნათქვამს.

— საიდან გიცნობდათ თქვენ და მარინეს? — ჰკითხა ალინამ.

— ჩვენი თანაკლასელი იყო, მაგის გამოსწორება არ მოხერხდა. — შალვამ ხელი ჩაიქნია, — ინტრიგანია და წარმატებულ ადამიანებს ვერ იტანს, თვითონ ყველაფერში ხელმოცარული.

— თქვენ რაც გინდათ, ისა თქვით, მე კი მაგნაირი ვაჟკაცის მიერ ერთი დღით შეყვარებაზე სიცოცხლეს არ დავიშურებდი, —

ალინამ შამპანურის ჭიქა აიღო, — ლუკას გაუმარჯოს და მისი სახით ყველა ვაჟკაცს! — თქვა და ჭიქა ბოლომდე გამოცალა.

— მე მივდივარ, — მარინე ადგა

— წავიდეთ, — ბიკენტიც დაეთანხმა.

წამოიშალნენ.

— შალვა, თქვენ ალბათ ასიტრინის მწვადს დაელოდებით, — დამცინავად უთხრა ალინამ.

გარეთ გავიდნენ.

— ჯერ მარინა ანზოროვნას გავაცილებთ, მერე ალინას მივიყვანთ, — ბიკენტიმ მანქანის კარები გამოაღო.

— მე გავისეირნებ, აქვე ვცხოვრობ, — ალინა ფეხით წავიდა. შენობის კუთხესთან მივიდა. იმათ მანქანით რომ გაიარეს, უკან მობრუნდა.

ლუკას მაგიდას რომ ჩაუარა, ბიჭები რაღაცაზე კამათობდნენ; ცოტა ხნით შეჩერდა, ხელჩანთაში რაღაცის ძებნა დაიწყო. ერთხანს ლუკას მზერა დაიჭირა, თვალი თვალში გაუყარა, მერე ჩანთა შეკრა და იმ მაგიდისაკენ წავიდა, სადაც ისხდნენ; ლუკა უკან გაჰყვა.

— რა დაკარგეთ, ქალბატონო? — როგორც წამოეწია, ჰკითხა.

— არ ვიცი, მგონის ბინის გასაღები. არა, აქ მქონია, მე კი მეგონა, აქ დავკარგე, — ალინა უკან გამობრუნდა, — ხომ არ გამაცილებ? — მოულოდნელად ჰკითხა.

— სიამოვნებით. ბიჭებო, მე ქალბატონი უნდა გავაცილო. პაპუნა, ხვალ შეხვდებით, — ლუკამ ხელი აუწიათ და გასასვლელისკენ წავიდა. ალინამ ხელი გამოსდო და ღიმილით გაჰყვა.

— სად გაგაცილოთ? — ქუჩაში რომ გავიდნენ, ლუკამ ჰკითხა.

— ჯერ რატომ არ მეკითხები, რა მქვია?

— როგორ გითხრა, ისეთ საზოგადოებაში გიხილეთ, თქვენთან სიფრთხილეა საჭირო.

— ჩახოხბილის კოტიეილის დამზადებაში შეგატყეთ, რომ

ძალიან ფრთხილობთ. მე ალინა მქვია, მარინასთან ვმუშაობ. ვარ უმაღლესი განათლებით. მყავდა მეუღლე, ვერ შევეწყე და გავცილდი; ახლა ვცხოვრობ სოლოლაკში, ყოფილი მეუღლის ბინაში. შეყვარებული არა მყავს, ყოფილ ქმართან შერიგებას არ ვაპირებ; კიდევ რა გაინტერესებთ?

— რაც მოყევით, მე არც მაგის თქმა მითხოვია.

— კარგი, მაშინ შენ იქნებ მითხრა რამე შენს შესახებ.

— ჩემი სახელი უკვე იცით, დიდი არაფერი ბიოგრაფია მაქვს; ერთი უბრალო ადამიანი ვარ.

— შენი მსგავსი უბრალო ადამიანი ნეტავ ათასში ერთი მხვდებოდეს. მშვენიერი ვაჟკაცის დანახვით მაინც გავახარებდი გულს. სანამ სახლამდე მიმაცილებდი იქნებ რუსთაველზე გაგვესეირნა.

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო.

გახარებული ალინა ლუკას ორივე ხელით ჩამოეკიდა და მკერდით მხარზე მიეკრა.

— ლუკა, პირველად რომ დაგინახე, თვალებს არ დავუჯერე, მეგონა, ანტიკური ქანდაკება გაცოცხლდა; ასეთ მშვენიერ ვაჟკაცს საცოლე არა გყავს? — ალინა შეჩერდა და თვალებში შეხედა.

— შეიძლება ერთ დროს კიდეც მყავდა, — ლუკას ნაღვლიანად გაეღიმა.

— მერე რა მოხდა?

— ის მოხდა, რომ მის კარიერისტულ ამბიციებს ჩემი უბრალოება ვერ შესწვდა.

ალინას რაღაც ენიშნა, უცებ ჰკითხა: — მარინეს საიდან იცნობ?

— მე მაგ გაბღენძილ არარაობას არ ვიცნობ.

— არც შალვას იცნობ?

— როგორ გითხრა, უკეთესი იქნებოდა არ მცნობოდა.

— რა გაწყენინა?

— იცით რა, ალინა? კეთილშობილი ადამიანი პირველ რიგში თავისი თავისთვის არის? ავყია, ბოროტი, ღვარძლიანი სხვის

მაგინებელი უპირველესად თავის თავს წამლავს და აგინებს, რამეთუ ყოველივე ათმაგად უბრუნდება.

— იმიტომ შესთავაზე ჩახოხბილის კოქტეილი?

— ეგ ბინძურები გამურული ლამპის შუშებით და ტურტლიანი ფეხსაცმელებით სვამენ ღვინოს და ეს ვაჟკაცობა ჰგონიათ.

— ლუკა, შენ რა გგონია ვაჟკაცობა?

— პატიოსანი შრომა, ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვა და, თუ საჭირო გახდება, რწმენისთვის, რომელსაც ხალხის ბედნიერებისთვის ბრძოლა ჰქვია, სიცოცხლეს არ დაზოგვა.

— ამას ამბობს ყაჩაღი, რომლისთვისაც კაცის მოკვლა არაფერია?

— მე ვარ ყაჩაღი და კაცის მკვლელი?

— მე საიდან უნდა ვიცოდე, შალვამ დაგახასიათა ასე.

— სწორი უთქვია. მაგის მსგავსი არამზადებისათვის ყაჩაღიცა ვარ და მკვლელიც; ეგენი ხალხს სიხლს სწოვენ.

— ლუკა, წარმოდგენილი მაქვს თქვენი გამოსვლა პარტიის კრებაზე.

— კრებაზე რა მინდა.

— აბა, რანაირი პარტიის წევრი ხარ?

— ვინა თქვა, რომ მე პარტიის წევრი ვარ?

— ლუკა, შენ პარტიის წევრი არა ხარ?

— არც კომკავშირელი ვყოფილვარ. მე იმ პარტიაში ვერ შევალ, სადაც მექრთამეები, მომხვეჭელები, კარიერისტები და ათასი ჯური ნაძირალა მიძვრება, რათა თანამდებობა ფულით იყიდოს კომბინაციების ოთურმის დასატრიალებლად, რომელთაც თავიანთი მსგავსებით გაავსეს იგი და პატიოსან ადამიანებს დევნიან.

— ლუკა, შენ მარინას საქმრო ხარ.

— საიდან იმარჩიელე?

— მარინამ საიდუმლოდ მითხრა: საქმრო მყავს, ერთ დროს მიყვარდა კიდეც, მაგრამ სულელური იდეები აქვს, პარტიას ლანძღავს, დაწინაურების წინააღმდეგია, ისე კი გარეგნულად კარგი ვაჟკაცია და სოფელში აგრონომობას ვერ ეშვება; მე არ შემეფ-

ერებაო. შენი საუბრის შემდეგ და, რაც რესტორანში ჩაიდინე, დავრწმუნდი, რომ ის კარგი ვაჟკაცი შენა ხარ. მარინას კარიერიზმის ბაცილა უზის ტვინში, თორე შენნაირ ვაჟკაცს ჯოჯოხეთში არ მივატოვებდი, — ალინა ხელზე მაგრად მოეკიდა.

— ერთდროს მიყვარდა კიდეცო, — ლუკამ ჩაილაპარაკა.

— ლუკა, შენ მართალი თქვი, ადამიანი ავს აკეთებს თუ კარგს პირველ რიგში თავისთვისაა ეს. საკმაოდ დაგიმძიმე ხასიათი. სახლში მიმაცილე, აქვე, ახლოს ვცხოვრობ, დაე დამინახონ, რა არაჩვეულებრივი კავალერით მივალ, — ალინა ამას ამბობდა და თან ეკვროდა...

— ამოდი, მეორე სართულზე ვცხოვრობ, ყავით გაგიმასპინძლდები, — ალინა თავის სადარბაზოსთან იდგა და ლუკას ხელს არ უშვებდა!

— არა, მე წავალ, ისედაც ბევრი დრო წაგართვი.

— რა იყო, ბიჭო, მარინასი ხომ არ გეშინია, არ გიკბენ.

— მარინას მიმართ ამიერიდან ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოხსნილი მაქვს; თქვენი კბენა კი, ალბათ, ბევრ ვაჟკაცს ენატრება.

— ჰოდა, ხელს რაღა გიშლის...

ალინამ სუფრა გააწყო, მიუხედავად ლუკას პროტესტისა, შამპანურის და კონიაკის ბოთლები მოიტანა და მაგიდასთან დაჯდა.

— ლუკა, მართალია რესტორნიდან მოვდივართ, მაგრამ ოჯახი ხომ უნდა დამილოცო. რას დალევ?

— რასაც თქვენ შემომთავაზებთ.

ალინამ შამპანური დაასხა. — ლუკა გაგიმარჯოს, კეთილი იყოს შენი ფეხი ამ ბინაში! — ჭიქა ტუჩებთან მიიტანა და ნელ-ნელა ბოლომდე გამოცალა. — შენზე რაც მარინასგან გამიგია, რაც ვნახე და მოვისმინე უაღრესად პატივისცემის გრძნობით განმაწყობს შენს მიმართ, — დაუმატა.

ლუკას უხერხულად გაეღიმა, ჭიქა აიღო, სიტყვის თქმას აპირებდა, რომ უცებ კარებზე საშინელი ბრახუნი ატყდა.

— გააღე, კარები, შე ბოზო, საყვარლები სახლში რომ მოგყავს! — ვიღაც კაცი ღრიალებდა და კარების შემტვრევას ლამობდა.

— შენ არ გეკითხები, ჩემთან ვინ მოდის, შე არაკაცო! — ალინა ადგა და კარები გააღო! ოთახში სამი კაცი შემოვარდა.

— შენთან გაყრილი ვარ და უკვე მერამდენედ გაგაფრთხილე, მილიციაში ნუ დამარეკინებ, თორე აქედან ბორკილდადებულს წაგიყვანენ! — ალინამ თითის ქნევით გააფრთხილა.

— მე შენთან არაფერი მაქვს სათქმელი. ამ ვაჟბატონს ახლა გავიყვან და გავაბრტყელებთ ისე, რომ შენი მისამართის გახსენებაზე ისტერიკები ემართებოდეს! აბა, გამოგვყევი, ჯიგარო, ალინას დევნაში გასაჟიმი არ გახდე!

— ხელს ვერ დააკარებთ! — ალინა აწიწინდა.

— ნუ ნერვიულობ, ძმაო, მოვაცილე და მივდივარ. მოკრძალებული პატივისცემის მეტი არაფერი მიფიქრია მე, — ლუკამ დაწყნარება სცადა.

— ძმაო კი არა, ადე, გამოეთრიე გარეთ, შე ახვარო! — უყვირა, ხელი დაარტყა მხარზე და სკამიდან წამოგდება სცადა.

— გაანებე თავი, შე არაკაცო! — ალინა წივილით მივარდა; ორმა ალინა დაიჭირა.

ლუკა სკამიდან უცებ წამოფრინდა, მხარზე რომ ეჭიდებოდა, იმ ხელში სწვდა, დაიქნია და იატაკზე დაახეთქა. ახლა იმ ორს მიუბრუნდა და ერთიმეორის მიყოლებით ისროლა გარეთ. ამასობაში იატაკზე გაშხლართული ამდგარიყო. ლუკამ კისერში სტაცა ხელი და სულ კინწისკვრით ჩაიყვანა ქუჩაში. ის ორი იქ დახვდათ და ლუკაზე მიიწიეს. ყველაფერი ელვისებურად მოხდა, ალინა კიბეზე რომ ჩამორბოდა, გაკვირვებული შედგა: ორნი დაბლა ეყარნენ, მისი ყოფილი ქმარი ლუკას მუხლებმოკვეთილი მარცხენა ხელით ეჭირა, რომ არ წაქცეულიყო.

— რას იტყვი, კიდევ ჩაგიტარო კაცად ქცევის გაკვეთილი? — ჰკითხა.

— აღარ მინდა, თავი დამანებე, — სისხლის ფურთხებით ძლივს თქვა მან.

— ალინასთან არა გნახო, თორე მოგტეხე კისერი! — ლუკამ მარჯვენა ხელი დაადო თავზე და კისერი მოუტრიალა.

— არ მინდა! — აღრიალდა ის.

— იცოდე, ალინა ჩემი საყვარელია, ახლა ბოდიში მოუხადე და აქეთ აღარ გაიარო! დროზე! — უყვირა ლუკამ.

— ბოდიში, ალინა, მორჩა, აქაურობას აღარ გავეკარები, — ძლივს თქვა.

ლუკამ როგორც გაუშვა ხელი, მუხლებზე დავარდა.

— წაიყვა ეს ორი და დამეკარგეთ აქედან, თუ არ გინდათ, რომ ეს პროცედურები უფრო აქტიურ ფორმებში ჩაგიტაროთ; ჩემი პიროვნების დადგენას ნუ ეცდებით! გაიგეთ?! — უყვირა.

— გავიგეთ! — უპასუხეს. ვაივაგლახით და ლასლასით წავიდნენ, თან უკან იყურებოდნენ, არ გამოგვეკიდოსო.

ლუკამ ალინას ხელი გამოსდო. — წამობრძანდით, ქალბატონო, — უთხრა და გაოგნებული თავისი ბინის კარებამდე აიყვანა. კარგად ბრძანდებოდეთ, დიდ ბოდიშს გიხდი, საყვარელი რომ მოვიგონე; სხვა დროს აღარ შეგაწუხებენ, — უთხრა და გამობრუნება დააპირა.

ალინამ ხელი სტაცა: — ნუთუ იმ ჭიქას არ დალევ, სამადლობელი რომ არ დაგაცადეს?

— სხვა დროს იყოს, თუმცა სადაც არ უნდა წავიდე, უსიამოვნება თავზე საყრელი მაქვს; აღარ მინდა ხასიათი გაგიფუჭო.

— ამაზე კარგ ხასიათზე ჯერ არ ვყოფილვარ. რაც მაგ არაკაცს გავეყარე, ისეთი გაკვეთილი მიიღო, აქეთ გამოხედვას ვეღარ გაბედავს; მოდი, მოდი! — ლუკას ხელი მოჰკიდა და თითქმის ძალით შეიყვანა ოთახში. — დაჯექი, ლუკა, ახლა კარებზე აღარავინ დააბრახუნებს, შენი შემწეობით მეც საბოლოოდ დავისვენე; შენი საყვარლობა კი ათასჯერ მირჩევნია, იმ არაკაცის ქმრობას.

ლუკამ ჭიქა აიღო: — შენ გაგიმარჯოს, ალინა, ბოდიშს გიხდი, რაც ვთქვი; გისურვებ ბედნიერი ოჯახის შექმნას! — ლუკამ ჭიქა გამოცალა და წასვლა დააპირა.

— რა გემართება, ლუკა, ნუთუ ამხელაზე საშიში თუ საძულველი ვარ, რომ ცოტახანს აქ გაჩერება არ შეგიძლია?! — გამწყრალმა ალინამ თვალცრემლიანად უსაყვედურა.

— ოღონდ არ გაწყრე და, თუ არ შეგაწუხებ, ხვალამდე აქედან ფეხს არ მოვიცვლი, — ღიმილით უთხრა ლუკამ...

მაგიდასთან დიდხანს ისხდნენ, გულახდილად ისაუბრეს. ალინა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ლუკა უაღრესად კეთილშობილი, კაცთმოყვარე, განათლებული, თავდაბალი და, თავხედ არაკაცთა რისხვა იყო. ლუკამ დალია და მოილხინა; ალინა გახარებული იყო, ამის შემდეგ საძულველი ქმრადყოფილი ვეღარ შეაწუხებდა.

— ახლა წავედი, — ლუკა წასასვლელად ადგა.

— შენთვის საწოლი გამზადებულია. გასაღები შიგნიდან გაუკეთე, თუ გეშინია, ვაჟიშვილობა არავინ წაგტაცოს, — ღიმილით უთხრა ალინამ.

— რომ წამტაცოს, სად ვიჩივლო, მარინესთან? — უპასუხა ლუკამ და წასვლა გადაიფიქრა...

დილით ალინა და ლუკა ერთად გამოვიდნენ ბინიდან.

— ხომ ნახე, რომ საშიში არა ვარ, ამის შემდეგ შეგიძლია თამამად დარჩე ჩემთან, — ირონიულად უთხრა ალინამ.

— ხომ შეიძლება მე გავხდე საშიში, თანაც ვერავინ დამძრახავს შენნაირ მშვენიერ ქალთან სიახლოვეს, — უპასუხა ლუკამ.

— ნეტავ არ იქნება, — კისკისებდა ალინა.

ალინა სამსახურში მხიარულ ხასიათზე გამოცხადდა. მარინე კი ისეთი აფორიაქებული იყო, მთელი დღე ვერ ისვენებდა, ალინასთან დალაპარაკება უნდოდა, მაგრამ ის ერიდებოდა საამისოდ ვერ მოიხელთა.

სამუშაო საათები დამთავრდა. მარინე თავის კაბინეტში იჯდა და უაზროდ რაღაც ქაღალდებს ფურცლავდა; მასთან ალინა შევიდა.

— როგორ გიკითხოთ, მარინა ანზოროვნა? რაღაც დღეს ისეთ ხასიათზე ხარ, შენთან შემოსვლა ვერ გავბედე, ხომ არაფერი მოხდა? — ჰკითხა.

— ხომ იყო თავხედი ის ლუკა, სუფრა რომ აგვირია, თავზე დიდი წარმოდგენა აქვს, ხულიგანი! — მარინეს თვალებზე ცრემლები მოადგა.

— შალვაც ამდგარიყო და კინწისკვრით გაეგდო. ორ პროკურორს ერთი დაუპატიჟებელი სტუმარი რა გაუხდათ?!

— უცნობი კი არა, იცი ვინ იყო? მე რომ გეუბნებოდი, ჩემი საქმრო-მეთქი ის იყო; ახლა შეადარე ეგ და შალვა, როგორ ვცდებოდი.

— ლუკას და შალვას შედარება როგორ შეიძლება, ჩემო მარინა, შალვას პროკურორობა რომ ჩამოართვა, ქარაფშუტა არარაობად დარჩება, ლუკა კი ყველაფრის გარეშე, ქალის საოცნებო, ფეხადგმული, კეთილშობილი ვაჟკაცობაა.

— ასე რით მოგხიბლა, ან ერთი შეხედვით ხულიგანი რაინდად როგორ წარმოიდგინე?

— აქედან რომ გავედი, შემთხვევით შემხვდა და სახლამდის მიმაცილა. იქ ჩემი ყოფილი ქმარი და მისი ორი ამხანაგი დაგვესხნენ თავს; ისეთი დღე აყარათ, არასოდეს არ დაავიწყდებათ. ისე კი მოკრძალებული და თავაზიანია, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს ეკადრება.

— სხვა რამეც ხომ არ შემოგთავაზა?

— რომ შემოეთავაზებინა, ნამდვილი ვაჟკაცი კი არა, ის ახვარი პროკურორი იქნებოდა, ჭამა-სმით რომ იწონებდა თავს; თუმცა ასეთი ვაჟკაცის ალერსს რომელი ქალი არ ინატრებდა.

— მეც მოხიბლული ვიყავი, ერთ დროს მაგ ვაჟბატონით, სანამ ღრმად არ ჩავუფიქრდი მის საქციელს; მაგას არაფერი არა სწამს, საკუთარი თავის გარდა; შეუძლია საკუთარ ხუსტურებს შესწიროს ყველაფერი და თუნდაც საყვარელი ადამიანის ინტერეჩსები.

— არ გეკამათები, მარინა ანზოროვნა, ერთი კი ცხადია, თუ ჭეშმარიტი სიყვარულია, მისთვის ადამიანს უნდა შეეძლოს ყველა სხვა ინტერესის შეწირვა, — ალინამ მარინე ისე მიატოვა, თითქოს ძლიერ შეურაცხყვესო...

ლუკა სახლში გვიან დაბრუნდა. მთელი დღის დაძაბული ვარჯიშის შემდეგ სხეულში სასიამოვნო მოთენთილობას გრძნობდა. საწოლზე წამოწვა და წიგნის კითხვას შეუდგა. ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ყურმილი დაუდევრად აიღო, ალბათ, რომელიმე პაპუნას ნაცნობი თუა, – გაიფიქრა.

– გამარჯობა, ლუკა, როგორა ხარ? – ალინა იყო. – ასე შეიძლება ადამიანის გაწირვა, რომ შენი შიშით აღარავინ მეკარება?! შენ კი სულ მიმატოვე, გაწყენინე რამე?

– ძალიან დატვირთული ვარ; ახლაც დაღლილი მოვედი.

– რას აკეთებ?

– წიგნს ვკითხულობ.

– რესტორანში გეპატიჟები.

– რესტორანში დროს ფლანგვა ჭამის და სმის ხათრით, არ გეზარება?

– ჩემთან ამოდი, რესტორანზე უკეთეს სუფრას გაგიშლი.

– კარგი, მოვდივარ, – ლუკამ ამაზე უარის თქმა აღარ ისურვა.

ალინა მხიარულად შეხვდა. – მეგონა, ქალის შიში სჭირს და ჩემთან მოსვლას ვერ გაბედავს-მეთქი, – ირონიულად, ოღონდ არც მთლად ეჭვის გარეშე უთხრა.

– რა გამორიცხულია ქალის შიში მჭირდეს შენი მარინეს გადამკიდეს, – ლუკამ ხელი მოჰკიდა, მძლავრად მიიზიდა, მკერდში ჩაიკრა და ჩაკოცნა.

– უხ! – ალინამ ამოიხვნეშა – კინაღამ არ დამახრჩე! – თქვა და ლუკას ახლა თვითონ ჩაეხუტა.

იმ ღამეს ლუკა ალინასთან დარჩა. დილით ალინამ ღიმილით გააცილა: – ვეფხვივით ლამაზი და საშიში ხარ, კიდევ კარგი წუხელ ალერსით არ დამახრჩე, მაგრამ ბედნიერია, შენთან ერთხელ ალერსით დატკბობის სითბო ვისაც ერგება; მე კი დღეს სამსახურში წასვლის თავი აღარა მაქვს, – ღიმილით უთხრა და ნაზად მოეფერა...

კლარამ ლუკას შესახებ კარგა ხანია არაფერი იცოდა; მოუს-

ვენრობა თანდათან მოეძელა. რამდენჯერ გადაწყვიტა, ჩავალ სოფელში, ლუკას ვნახავ და იმავე დღეს დავბრუნდებიო, იმდენჯერ ხელის შემშლელი გარემოება გამოუჩნდა; რაც დრო გადიოდა, ლუკას უნახაობა აუტანელი ხდებოდა. ბოლოს, გაიგო, რომ ლუკას რესტორანში უჩხუბია და დასაჭერად დასდევენო; უცებ ჩაალაგა ჩანთაში საჭირო ნივთები და შეშლილივით გავარდა გარეთ.

სოფელში ლუკას შესახებ ვერაფერი გაიგო. ზაურმაც ცივად მიიღო, ლუკამ რაიონის ხელმძღვანელობას თავი შეაძულა, მის გამო მეც ამითვალწუნეს და დასაჭერად დამდევენ, იმის ძმაკაცი ხარო. ვინც მაგასთან იმეგობრებს, ან მაგის ჭკუაზე ივლის კარგი დღე არ დაადგებაო. მე კი ოჯახიანი ვარ და სულაც არა მაქვს სურვილი დონ კიხოტს სანჩო პანსასავით დავდევდეო; კლარა გაოგნებული შეჰყურებდა.

— ლუკას მეგობარი უფლისმიერი კეთილშობილებით დაჯილდოვებული ადამიანი უნდა იყოს, შენ კი საბრალო ეგოისტი ყოფილხარ, რომელსაც ვაჟკაცობა და მეგობრის ერთგულება მანამდე ჰყოფნის, სანამ მის უზრუნველ კეთილდღეობას საფრთხე არ ემუქრება. მეცოდები, ჩემო ზაურ, რომ ლუკას სამეგობროდ კეთილშობილობა და ვაჟკაცობა არ გეყო. ამქვეყნად ჭამისთვის და გაძღომისათვის მოსული ვაშლიდან თავამოყოფილი მატლიცაა! — ბოლო სიტყვებზე უკვე ყვიროდა. კლარამ ზაურს აღარ მოუსმინა, სირბილით გამობრუნდა და რაიონის ცენტრისაკენ გაემართა. იქ აგორონომებისაგან გაიგო, რომ ლუკა უკვე ერთი თვეცაა თბილისშია; დროებით აქაურობას გაერიდაო.

— ღმერთო ჩემო! მთელი თვე თბილისშია და ერთხელაც არ გავახსენდი. მე ხომ მისგან არაფერს ვითხოვ, მხოლოდ მინდა, რომ კარგად იყოს და დროგამოშვებით დავინახო ხოლმე, ასე როგორ ვძულვარ, რომ ისიც კი არ უნდა, მის სიცოცხლეს წამლად დავედო! — კლარა ატირდა და თბილისამდე ისე ჩავიდა, თვალებზე ცრემლი არ შეშრობია. თავის ბინაში ტირილით თვალებაწითლებული მივიდა. — ზედმეტი ყურადღებით თავი მოვა-

ბეზრე; თავაზიანია, ხათრით არაფერს მკადრებს, ისე კი, ალბათ, დასანახად ვერ მიტანს. ამის შემდეგ მხოლოდ შორიდან თუ დავინახავ, ამას ვიკმარებ, რადგან ბედმა მისი სიყვარულით ტანჯვა მარგუნა, — ამგვარი მოთქმით ავიდა კიბეზე და გასაღები მოამზადა კარების გასაღებად. ზედ მიმაგრებული ქაღალდი დაინახა, თვალებს არ დაუჯერა, ლუკას ნაწერი იცნო: — მეხუთედ მოვდივარ. შენი ნახვის ღირსი ვერ გავხდი. ახლა იძულებული ვარ, ეს ქაღალდი დაგიტოვო. შენი ჭირვეული ხასიათი რომ ვიცი, მეშინია, ქალაქშიც ხომ არ მოძებნე გრამიტონას მსგავსი უბედურება ჩემთვის გულის გასახეთქად! ლუკა.

კლარამ სიხარულისგან შეჰყვირა, ქაღალდი მკერდში ჩაიკრა, თვალებს არ დაუჯერა, კიდევ დახედა, წაიკითხა, თვალთ დაუბნელდა, წაბარბაცდა და კედელს მიეყუდა. — ღმერთო ჩემო! ნუთუ ეს მართალია?! — წამოიძახა. — ხუთჯერ ყოფილა აქ, რა ვიცოდი! ნეტავ ახლა სად არის, სად ვეძებო, როგორ ვიპოვნო? — კლარა ოთახში შევარდა, ჩანთა დააგდო და გიჟივით გავარდა გარეთ...

მარინეს კაბინეტის მოსაცდელში ახალგაზრდები რაღაცაზე კამათობდნენ, მდივანმა გოგომ გააფრთხილათ, ხმადაბლა ილაპარაკეთ, კაბინეტში ხმაური შადის და ხელი ეშლებაო. იმათ ყაყანი არ შეწყვიტეს და მდივანი იძულებული გახდა, ოთახიდან გაეყვანა ყველა. მისაღებში კლარა შევიდა.

— მარინე აქ არის? — იკითხა.

— მარინა ანზოროვნას დღეს არავისი მიღება არ შეუძლია, ძალიან დაკავებულია, — ცივად უპასუხა მდივანმა.

— ისეთი რა საქმეა, რომ ორი წუთი ვერ მომისმინოს.

— ეგღა მაღლია ვიღაც-ვიღაცეებს ანგარიში ვაბარო; არ სცალია და მორჩა!

ამ დროს ზარი დაირეკა. მდივანი კაბინეტში შევიდა, კლარაც შეჰყვა.

კაბინეტში მარინე მარტო იყო და რაღაც ქაღალდებს ათვალიერებდა.

— ხომ გითხარი, მარინა ანზოროვნას არ სცალია; ახლავე გადი გარეთ! — უყვირა მდივანმა გოგომ.

— როცა უსაქმოდ ზიხართ, მაშინაც არა გცალიათ? შენ ვინ მაიმუნი ხარ, გარეთ მაგდებ?! რატომ არ მეკიეხები, მე ძალიან მსიამოვნებს აქ მოსვლა?! ახლა გადი გარეთ, სიტყვა მაქვს სათქმელი! — ისეთი ტონით უთხრა, გოგო დაიბნა და გაკვირვებულმა მარინეს შეხედა, ის კი ისე იყო გაოგნებული, ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა; კლარამ ხელი მოჰკიდა და გარეთ შეაბრუნა.

— ბევრი დრო რომ არ წაგართვა, ლუკას მისამართს ხომ არ მომცემ, რაღაცაზე უნდა გავაფრთხილო, — პირდაპირ საქმით დაიწყო.

— ლუკას მისამართი დეზერტირების ბაზრის გვერდით ხულიგნების საკრებულოში უნდა იკითხო, აქ პატიოსანი ახალგაზრდების სალოცავია, — შუბლშეკვრით უპასუხა მარინემ.

— ლუკა არ ვარგა და შენა ხარ პატიოსანი, შე ადამიანობიდან და ნამუსისაგან გარეცხილო არარაობავ?! — კლარამ უყვირა.

— მე ვარ ნამუსისაგან გარეცხილი? — მარინე გაწიწმატდა.

— ერთი დამავიწყდა კიდევ, მეძავი ხარ, პროსტიტუტკა, რომლისთვის სიყვარული გამორჩენის წყაროა. შე უბედურო კარიერისტო, ისე გაქრები ამ ქვეყნიდან სიყვარულის მწველ და სასიამოვნო განცდას ვერ ეღირსები, რადგან განგებისგან დასჯილი ეგოისტი ხარ. ეს გრძნობა არ გაგაჩნია როგორც ბოროტ გრძნეულს, რომელმაც მშვენიერი უფლისწული მოაჯადოვა. შენი უნამუსობით თუ ლუკას სპეტაკ და ნაზ სულს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენე, დედას გიტირებ, მე გიჩვენებ რა შეუძლია ნამდვილ სიყვარულს! — კლარამ გასასვლელად კარები გამოაღო, ერთხელ კიდევ მობრუნდა: — პრასტიტუტკა! — მიაძახა და გარეთ გავიდა.

კიბეზე რომ ჩადიოდა, ალინა სირბილით წამოეწია, — გენაცვალე, თქვენ ლუკას ეძებთ? — ჰკითხა.

— ვაიმე, ქალბატონო, თქვენ ლუკას იცნობთ? — კლარამ გაბრწყინებული თვალებით შეხედა.

— ყველაფერს გეტყვით, ჯერ გავიცნოთ ერთმანეთი. ალინა, აქ ვმუშაობ.

— კლარა, — მანაც გაუწოდა ხელი.

— თქვენ ლუკასი რა ხართ?

— მე ლუკას ჩრდილი ვარ, მის გარეშე მისი ჩრდილივით გავქრები. სიცოცხლის ჩათვლით რაც გამაჩნია ყველაფერი ლუკასთვის შემიწირია? მისგან კი მოვითხოვ, ჯანმრთელი და ბედნიერი იყოს. ჩემი ბედნიერება კი მის ბედნიერებად დაფერფვლაა, — კლარა ატირდა.

— ბედნიერი ხარ, ჩემო კლარა, რომ ასეთი სიყვარული შეგიძლია; განგება ამგვარად მხოლოდ თავის რჩეულებს აჯილდოვებს! — ალინამ კლარა მკერდში ჩაიკრა და მის ცრემლებს საკუთარი შეურია...

კლარა სახლში დამშვიდებული დაბრუნდა. ახლა უკვე იცოდა, რომ ლუკა კარგადაა, თავის ამხანაგის ბინაში ცხოვრობს, ჭიდაობაში ვარჯიშობს და ძალიან დიდი პერსპექტივები აქვს, ალინამ რაც იცოდა, ყველაფერი მოუყვა. არც ის დაუმალავს, რომ ლუკა ძალიან მოეწონა და სიამოვნებით შეიყვარებდა, მაგრამ ლუკასთან წარმატების იმედი ნურავის ნუ ექნება, რადგან ხვადაგად დაბადებული კი არა კეთილშობილი და იშვიათი რაინდული ბუნების ვაჟკაცია.

ახლა, როცა იცოდა ლუკას მისამართი და ტელეფონის ნომერიც ჰქონდა, მის ნახვას აღარ ჩქარობდა. ლუკა კი არაა ჩემთვის, მე ვარ იმისთვის თავდადებული და ჩემთან შეხვედრით არ შევაწუხებ, მუდამ ყურადღების ქვეშ მეყოლება და მაშინ გამოვჩნდები, როცა მისთვის საჭირო ვიქნები, — ესაუბრებოდა თავის თავს კლარა და ამდენი ხნის ძებნით გამწარებულმა პირველად მშვიდად დაიძინა...

შალვამ მარინესთან და მის მშობლებთან სიარულს მოუხშირა; მარინეც მას ყველაზე საუკეთესო მეგობრად თვლიდა. რას იზამ, ხასიათებმა ერთმანეთი კარგად შეითვისეს; კარიერისტის ბაცილაჩასახლებულ მარინესაც ხომ თავისი მსგავსები მოსწონდა.

რაც ლუკამ რაიონი მიატოვა, შალვა თამამად ავრცელებდა მისი სახელის შესალახ ჭორებს, რის გამოც რაიონის ხელმძღვანელობაში სანდო კაცის სახელი გაიმაგრა. მარინეც ლუკას აუგად იხსენებდა და რესტორანში მაშინდელი შეხვედრა ლუკასთან, შალვას მარინეს გულის მონადირების შანსს აძლევდა; როცა მარინეც ასე აქებდა და ძალიან თბილად ხვდებოდა. ქალაქში ხშირად ჩადიოდა, რაც მარინეს მონახულება რესტორანში გასეირნებით მთავრდებოდა. ლუკასთან არასასიამოვნო შეხვედრის შემდეგ ინტურისტი შეიძულეს, ახლა რესტორანი თბილისი იყო მათი სისტემატური დროსტარების ადგილი. როცა ღვინო მოეძალებოდათ და შუბლი გაუხურდებოდათ, ლუკაზე ღვარძლიანი საუბრით იფხანდნენ ეგოიზმით ობმოკიდებულ გულს.

კლარა სახლში მოწყენილი იჯდა და ლუკაზე ოცნებობდა. როგორ უნდოდა მისი დანახვა. შენობის კუთხეში ლუკას გამოჩენამდე იდგებოდა, მერე მისი დანახვით დამშვიდებული გამობრუნდებოდა, სანამ სურვილი მახრჩობელა გველივით არ შემოეხვეოდა და ამ საშინელი განცდისაგან თავის დასაღწევად ლუკას ძებნას არ დააწყებინებდა.

ტელევიზორი ჩართო, რაღაც სპორტული გადაცემა მიმდინარეობდა; სხვა არხზე გადართვა დააპირა.

— ჩვენი სიამაყე ლუკაა, ახლა აგერ ხალიჩაზე ვარჯიშობს; ის იდეალური სპორტსმენია, — ლაპარაკობდა შუახანს გადაცილებული კაცი.

კლარა დენდარტყმულივით შეხტა. ხალიჩაზე მოჭიდავის ჩოხაში გამოწყობილი ლუკა იცნო; გული კინაღამ გაუჩერდა.

— იდეალური სპორტსმენი როგორ უნდა გავიგოთ, ყველას რომ ამარცხებს? — ჰკითხა კორესპოდენტმა.

— იდეალური სპორტსმენი პირველ რიგში სამაგალითო უნდა იყოს ცხოვრებაში: თავმდაბალი, კაცთმოყვარე, კეთილშობილი, მართალი, პირუთვნელი და, რაც მთავარია, თავისი ქვეყნის და ერის უსაზღვრო პატრიოტი; რასაკვირველია, იგულისხმება მისი იშვიათი ფიზიკური სიძლიერე; ასეთი გამორჩეული სპორტსმენი

თავის თავს არ ეკუთვნის, ის სამშობლოს საკუთრებაა; ბედნიერია ის ერი, რომელსაც ამგვარი შვილები მრავლად ჰყავს.

— შეიძლება თქვენ იდეალურ სპორტსმენს გავესაუბროთ?

— არაფერი გამოგივათ, მას არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი.

საუბარი ამით შეწყდა.

ტელევიზორში ახლა ჭიდაობას აჩვენებდნენ.

კლარამ ლუკას ვეღარსად მოჰკრა თვალი; რამდენიმე ხნის შემდეგ საუბარი მწრთვნელთან ისევ განახლდა.

— სად არის ის თქვენი იდეულარი სპორტსმენი?

— წასულა. არა უშავს, სულ მალე ქალაქის პირველობაზე იხილავთ.

გადაცემა დამთავრდა. კლარა ადგილზე ვეი ისვენებდა. ლუკას დანახვა კი არა, ახლა მისი ნახვა და ტელევიზიით განცდილის გაზიარება სურდა. ტელეფონს ეცა, დარეკა, არავინ უპასუხა; ამის შემდეგ ყოველ ოც წუთში რეკავდა, ანგარიში აერია, რამდენჯერ დარეკა, ბოლოს უპასუხეს.

— კლარა, საიდან იცი ამ ტელეფონის ნომერი? — ლუკამ კლარას არაფერი ათქმევინა , ისე გაიხარა.

— ტელევიზორში გადმოსცეს, კარგად ჭიდაობს და ჩემპიონი გახდებაო. თან ტელეფონის ნომერიც თქვეს, ვისაც მასთან გავლა მოესურვოს, რუსთაველის თეატრში დაპატიჟოს, ძალიან უყვარს სპექტაკლზე ჩაძინებაო; თუ ისურვებ, შესასვლელთან ბილეთებით დაგელოდები.

— ახლავე მოვდივარ, ბილეთებით მე დაგელოდები! — თუმცა ჯერ ადრე იყო, ლუკა სახლში ვეღარ გაჩერდა, მაშინვე თეატ-რისკენ გაემართა. დააგვიანდა. კლარა იქ დახვდა.

ლუკა შორიდანვე მენიშნა, ჯერ თავის შეკავება სცადა, მოვა და უბრალოდ ხელის ჩამორთმევით მივესალმებიო. ვერ შეძლო, მისკენ გაიქცა, კისერზე მოეხვია და მხურვალედ აკოცა. ლუკამაც ხელები გაშალა და მაგრად ჩაიკრა მკერდში. კლარა უზომოდ უყვარდა, ეს სიყვარული მეგობრული ეგონა, მაგრამ თანდათან ხვდებოდა, რომ ეს უფრო მეტი იყო და სულ გაურბოდა იმ უფრო

მეტს. ახლა კი თავი ვეღარ შეიკავა და კლარა დიდი ხნით განშორებული შეყვარებულივით გადაკოცნა.

კლარა ისე იყო გახარებული, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ჰქონდა სათქმელი, მალმალე წამოიძახებდა: ლუკა, ჩემო ლუკა! მისი ხელების მოფერებით ვერა ძღებოდა. ლუკაც ძლიერ იყო გახარებული. ჩემო კლარა, რაღაც განსაკუთრებული სითბოთი ეუბნებოდა, მხარზე ხელი მოეხვია და ზედ მიეხუტებინა.

პირველი შეხვედრის ემოციები ნელ-ნელა ჩაუცხრათ. ლუკაში მარინეს კარიერისტული მისწრაფებებით საბოლოოდ შერყვნილი და დამახინჯებული შეხედულებები მის მიმართ სიყვარულის კი არა, სინანულის გრძნობას იწვევდა და საჭიროების შემთხვევაში, მის დაცინვასაც არ მოერიდებოდა. მარინეს ხასიათში ამგვარ გადახრებს ჯერ მნიშვნელობას არ აძლევდა, მაგრამ თანდათან ამან ისეთი ძალა შეიძინა, რომ ლუკა ღრმად ჩაფიქრდა მათი ერთად ცხოვრების საჭიროებაზე; ბოლოს მხოლოდ მოვალეობის გრძნობაღა აკავებდა; რესტორაში შეხვედრამ კი იმის საშუალება მისცა, რომ ამ უხერხულობისაგან განთავისუფლებულიყო...

სპექტაკლის მიმდინარეობის დროს კლარას ლუკას ხელი მუხლზე ედო და ნაზად ეფერებოდა. ბევრის თქმის სურვილი ჰქონდა, მაგრამ ახლა ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდა; განუზომელი ბედნიერების ბურუსმა სიტყვის თქმის უნარი წასტაცა.

— ვიშ, რა მშვენიერი წყვილია! — ანტრაქტზე ვიღაცამ ისე ხმამაღლა თქვა, რომ მათ სმენას მისწვდა.

— მაგას ვერ ვეღირსები, მაგრამ ახლა ისედაც ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულება, რადგან ჩემი სიცოცხლის მიზანი გვერდით მყავს; ალბათ, ამას ყველაზე კადნიერი ოცნებებითაც ვერ მივწვდებოდი, — ლუკას შეხედა, თვალებში ცრემლი მოადგა, შერცხვა, თავი დახარა და ფრთხილად მოიწმინდა.

— წყვილი რომ გავხდეთ, მაშინ თუ იქნები ბედნიერი? — ლუკამ ღიმილით ჰკითხა.

კლარა გაფითრდა. კინაღამ წაიქცა, წაბარბაცდა. ლუკამ ხელი

მაგრად მოჰკიდა და თვალებში ჩახედა; კლარას მკვდრის ფერი ედო.

— რა მოგივიდა, გოგო?! — შეშფოთებულმა ჰკითხა.

— არ მინდა, ლუკა, მაგას ვერ გადავიტან, მირჩევნია ასე შენზე ზრუნვაში ჩავიფერფლო. ახდენილი ოცნებით მოვარდნილ ბედნიერებას კი ნამდვილად ვერ გავუძლებ, დავიფერფლები? ხომ ნახე, მისი გახსენებით კინაღამ გული გამიჩერდა, — კლარამ ლუკას ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა, შენი ჭირიმე, მეორედ აღარ თქვაო.

ლუკას შეეცოდა. ხელი მაგრად მოუჭირა და სიყვარულით შეხედა, თავი დახარა და მკერდზე მიიკრა. ახლა მეორე მოქმედების დაწყებამდე ტალანში დასეირნობდნენ.

— ბედნიერება ყველას თავისებურად ესმის, — დაიწყო ლუკამ, — ჩემთვის ბედნიერებაა ირგვლივ როცა ყველა კარგად და ბედნიერადაა. ოჯახზე ზრუნვა, საყვარელი მეუღლე და შვილები, პატიოსანი შრომა, სამშობლოს და ჩემი ერის კეთილდღეობა და მის სასიკეთოდ ჩემი წვლილის შეტანაა, საღამოთი ძვირფას ცოლშვილთა ჭუკჭუკი, შრომით მოპოვებული სიკეთის შერგება; არცერთი არამი ლუკმა — აი, რა არის ბედნიერება.

ზოგისთვის ბედნიერება სულ სხვაა; უამრავი ქონების მოხვეჭა, სხვათა დამონება, ირგვლივ მყოფთა გაჭირვებაზე საკუთარი გაუმაძღრობის ზეიმი; ზოგისთვის ბედნიერება ცოფიანი აფთრის ცხოვრებით დატკბობაა. თემურლენგი ასობით ადამიანთა თავებით პირამიდებს აგებდა; კაცობრიობას მხოლოდ ნგრევა და უბედურება მოუტანა. ჩინგიზ ხანი რომ დაიბადა, ამბობენ, მუჭაში შედედებული სისხლი სჭერია და თავის სიცოცხლეში სისხლით ვერ გაძღა.

ადამიანები ძალაუფლებისათვის საკუთარ შვილებს, მამებს, ძმებს, ნათესავებს ყელს ღადრიდნენ. იმას კი არ ფიქრობდნენ, იყვნენ კი თავისი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობით ამ მაღალი ადგილის ღირსი. ოღონდ თვითონ ყოფილიყვნენ ზევით წამომჯდარი, სხვა ყველაფერი ჭირსაც წაეღო. დღემდე ეს საზიზ-

ღარი სენი არ ასვენებს კაცობრიობას; უამისოდ ეს მოკლე წუთისოფელი უფრო შვებით გასავლელი იქნებოდა.

ძალაუფლებისათვის ლტოლვა და ძალაუფლების მქონის ადამიანთა გოდებით გაუმაძღრობა კაცობრიობის უბედურება და განუკურნებელი სენია, — ლუკამ კლარას ხელი მოუჭირა და თვალებში ჩახედა.

— არაფრის მოსმენა არ მინდა, მე შენი სიცოცხლით ვცოცხლობ და ჯოჯოხეთშიც შენთან ყოფნას ვარჩევ სხვა ყოველგვარ ამქვეყნიურ ნებივრობას, — კლარას ნათქვამზე მესამე ზარიც დარეკა და სპექტაკლის დაწყება აუწყათ.

თეატრიდან გამოსული კლარა და ლუკა პროსპექტზე მოსეირნობდნენ. უცბ მათი ყურადღება რესტორნიდან გამოსული ჯგუფის ჟრიამულმა მიიპყრო. მარინე ალინა, შალვა და კიდევ რამდენიმე კაცი და ქალი ერთად შეჯგუფებულიყვნენ და ქეიფის შემდეგ ერთმანეთს ქათინაურებით ამკობდნენ.

— კლარა, ხომ არ შევბრუნდეთ? მაგათთან შეხვედრით სულაც არ მინდა დღევანდელი საღამოს ტკბილი განცდები გავიმწარო, — შესთავაზა ლუკამ.

— შევბრუნდეთ. მაგათი ახვარი დედაც ვატირე! — სიცილით უპასუხა კლარამ.

ჯერ შეჩერდნენ. პატარა ხანს წაისაუბრეს, მერე შეტრიალდნენ და უკან წავიდნენ.

— ორი ნაძირალა! — კბილებში გამოსცრა მარინემ.

ალინა მხიარულ საუბარში იყო გართული, მარინეს ნათქვამი რომ გაიგონა, უნებლიედ ჰკითხა: — ვისზე თქვი?

— ვენ შენიშნე? ლუკა და ის გათახსირებული კლარა აქეთ მოდიოდნენ, ჩვენ რომ შეგვნიშნეს, უკან გაბრუნდნენ; აგერ სად მიეთრევიან! — მარინემ ხელით აჩვენა.

— ვიშ, ნამდვილად ისინი არიან! ღმერთო ჩემო! რა მშვენიერი წყვილია. რამდენი ხანია არ მინახია, გავიქცევი, ვნახავ და მაშინვე მოვბრუნდები! — ალინა პასუხს არ დაელოდა, ისე გაიქცა მათკენ.

— ესეც არის აკარაკი! — მარინემ მის მიმართ გადააფურთხა.

— რა ხდება? — შალვა, აქამდე თანამეინახეებთან ქათინუარებს რომ აბნევდა, მარინეს საქციელით დაინტერესდა.

— ორი ნაძირალა დავინახე და ხასიათი მთლად გამიფუჭდა, — ლუკა და კლარა დაანახვა ალინამ დიდი სიხარულით რომ გადაკოცნა.

— დედას ვუტირებ, ახლა კი გავამწარებ მაგათ! კლარა ამ უბანში ცხოვრობს. მთელი უბნის შავები ჩემი ძმაკაცის — ბიკენტ ანტონიჩის ხელში არიან, — შალვა შეზარხოშებულ თანამესუფრეს მიუბრუნდა: — ბიკენტ ანტონიჩ, გახსოვს „ინტურისტში“ პურ-მარილი რომ ჩაგვიშხამეს?

— როგორ არა.

— ის ლუკა აქა ბრძანდება. ამ უბანში ერთი გავარდნილი საყვარელი ჰყავს; მოდი, ამ უბნის შავებს მაგრად გავაწეწინოთ, — შესთავაზა შალვამ.

ბიკენტი კარგად შექეიფიანებული იყო და საგმირო საქმეების ჩადენის ჭია შეუჯდა განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე კანონის დამცველს.

— ახლავე, ჩემო შალვა, მაგაზე გულს დაგწყვეტ? — უპასუხა და ღვინის სმისაგან გაბეცებული თვალებით გამვლელებს დააკვირდა, იქვე, ჭადრის ხის ძირში შეგროვილ ბიჭებიდან ერთს დაუძახა.

— ამ უბნელი ხარ? — ჰკითხა.

— დიახ, — მიიღო პასუხი.

— აბა, მინოსა გეცნობება.

— მინოსას ვინა არ იცნობს.

— რადგან იცნობ, წადი, მოძებნე და უთხარ, პროკურორი ბიკენტ ანტონიჩი გიბარებს-თქო.

— პროკურატურაში მილიციელები გამოგელიათ? მე ბოზობა უნდა დამაწყებინოთ? — ბიჭმა შუბლი შეიკრა.

— ცუდ საქმეზე არ ვეძახი. ჩემი ძმაკაცია. წადი, უთხარი და თუ არ აწყობს, ნუ მოვა, — დაუყვავა ბიჭს; ბოლოს დაითანხმა ბიჭი რომ მიდიოდა, გაკვირვებული ბუტბუტებდა: — ვახ, მინოსა და პროკურორის ძმაკაცი?!

ათ წუთში ბიჭმა მინოცა მოიყვანა, იქვე პროსპექტზე ყოფილიყო. კოხტად ჩაცმული, ორმოცი წლის ინტელიგენტი, ვერავინ იფიქრებდა, რომ ის შავი იყო. ბიკენტს თავაზიანად მიესალმა.

— კპზ-ში თქვენი ვინმე ზის? — ჰკითხა ბიკენტიმ.

— ორია ბინის ქურდობაზე, ერთმა კი მანქანიდან მაგნიტოფონი მოიპარა.

— ხვალვე სამივე გარეთ იქნება.

— ეს როგორ?

— როგორ და ეგრე. აგერ, სამნი რომ დგანან, — ალინა ისევ ლუკას და კლარას ესაუბრებოდა. — იქიდან ორი უნდა გაწეწო.

— ერთი გოგო ჩვენი უბნელია, ძალიან წესიერი გოგოა, ფაბრიკაში მუშაობს; ორს არ ვიცნობ.

— შენი უბნელი გოგო და ის ვაჟბატონი იგრე უნდა აბურთაო, სიცოცხლე შესძულდეთ! — მერე სხვებს რომ არ გაეგოთ ხმადაბლა დაუმატა: — ეგ ვაჟბატონი მაგრად დააუთავეთ და გოგო კიდევ მაგის წინ კოლექტიურად იხმარეთ.

— მე ვინ გგონივარ, ანტონიჩ, ამას როგორ მკადრებ?! — მინოსა საავდროდ მოიქრუშა.

— იმ ბინის ქურდებს, ისეთ სროკს ავკიდებ, ციმბირამდე ციმციმ წაიღებს. მაგნიტოფონის ქურდს კიდევ რაც მაგნიტოფონები დაკარგულა, სულ მაგას დავაბრალებ, გაწყობს?

მინოსა ჩაფიქრდა: — კარგი, ხვალიდან შევუდგები საქმეს, — დაეთანხმა.

— ხვალიდან კი არა, ეგ ბიჭი სახლამდე მიაცილებს, მიდით და აუსრულეთ, რაც დაგავალე.

მინოსას მწარედ გაეღიმა, — გასაგებია. ოღონდ ბიჭები ხვალვე გამოუშვი. მაგათ კი ისე გავხდი, რომ თავიანთი ფეხით გარბოდნენ კუკიაზე.

— შენ იცი, ოღონდ ნუ დახოცავ, გაათახსირე.

მინოსა უხასიათოდ გამოეთხოვა. „მე ქურდი მქვია, ეგ კი პატიოსნების და სამართლიანობის დამცველი — პროკურორი, სადისტი, მამაძაღლი! დავაფურთხე ასეთ ქვეყანას!“ — ფიქრობდა

და თან მოქმედების გეგმას აწყობდა.

ალინამ კლარას მიპატიჟებაზე უარი თქვა, დიდი ხნის საუბრის შემდეგ გამოეთხოვა, უკვე გვიანია, სხვა დროს შევხვდეთო; მოქეიფენი უკვე დაშლილიყვნენ...

კლარას ბინისკენ ვიწრო ქუჩით მიდიოდნენ. წინ გაჩერებული ოთხი კაცი მთლიანად კეტავდა გზას.

— იქნებ გაგვატაროთ, — თავაზიად სთხოვა ლუკამ.

— თუ გაეტევით, გაიარეთ, — დამცინავად უპასუხა ერთმა.

ლუკას გაელიმა.

— რას იღრიჭები ყველის ვაჭარივით, ერთ სულზე ასი მანეთი ღირს აქ გავლა; ორასი მანეთის გადახდა მოგიწევს.

— მაგდენი არა მაქვს, ზოგი სხვა დროს იყოს.

— ხვალ გრამაფონშია. გოგო დაგვიტოვე და აქედან ააცვი!

— სულ ეგ არის? — ლუკამ დამცინავად იკითხა.

— რას იცინი, შე ახვარო! — ერთმა ლუკას ხელი მოუქნია, რომელზეც ხელი სტაცა და ასფალტზე გააგორა.

ყველაფერი სწრაფად მოხდა, ორიც პირველის გვერდით დააგდო.

— საკმარისია! — მინოსამ ლუკას ბრძანების კილოთი უთხრა: — წავიდეთ და თქვენთან ვილაპარაკოთ.

— წავიდეთ! — უპასუხა ლუკამ. კლარაც აედევნათ. — ბიჭებო, ჩემზე ნაწყენები ნუ იქნებით! — ლუკამ მიაძახა, ტანისამოსის ფერთხვით რომ დგებოდნენ.

— სად მივდივართ? — კლარამ იკითხა.

— შენთან, იმედია უარს არ გვეტბყვი, — უთხრა ლუკამ.

— თქვენ წადით, მე თვითონ მოგნახავთ! — უბრძანა ბიჭებს და მინოსა ლუკას გაჰყვა.

მეორე სართულზე ავიდნენ, კლარა ორივეს ბინაში შეუძღვა.

— სუფრას თუ გაგვიშლი, ძალიან დაგვავალებ, ჩემო კლარა, — სთხოვა ლუკამ. — მოდი ჯერ ერთმანეთი გავიცნოთ, ლუკა ხუციშვილი, — მინოსას ხელი გაუწოდა.

— მინოსა — ამირან დევდარიანი, — მიიღო პასუხი.

— ბატონო ამირან, თქვენი გარეგნობა ყველა კეთილშობილ კაცს გულს გაუხარებდა. როგორ შეგიძლიათ ამგვარი ბოროტი ხულიგნების მოთმენა? რა მოხდა, იქნებ დაგიშავეთ რამე?

— ჯერ შენ მიპასუხე, ბიკენტ ანტონიჩი რატომ გემტერება?

— ეგ ვინ არის?

— პროკურორია.

— რა იცი, რომ მემტერება, როცა მაგ კაცს არ ვიცნობ.

— ის გიცნობს შენ და ამ ქალბატონს.

— რა მინდაო, რას მედავება?

— ეგ შენ უნდა მითხრა. ჩვენი რაიონის პროკურორია. წეღან დამიძახა, თქვენი თავი დამანახა, თქვენთან ერთი სხვა ქალიც იყო, ის არა, ეგ გოგო და ბიჭი მაგრადო...

— რა მაგრადო?

— ენა ვერ იტყვის იმ სიბინძურეს, რის მკადრებელიც მე არა ვარ. ჩვენი ორი ბიჭია დაჭერილი ბინის ქურდობაზე, ერთი ლაწირაკი კი ავტომობილიდან მაგნიტოფონის მოპარვაზე დაიჭირეს; სამივეს განთავისუფლებას შემპირდა თუ... ახლა მე და შენ უნდა მოვიფიქროთ ძაღლების ლუკმა რომ არ გავხდეთ.

ლუკა ჩაფიქრდა. ახლა უკვე ყველაფერი ნათელი იყო, ეტყობა შალვამ და მისმა თანამეინახეებმა ახალი ვერაგობა დაგეგმეს.

კლარამ სუფრა გააწყო.

— ჩვენი გაცნობისა იყოს! — ლუკამ ჭიქა მინოსას დაურტყა.

სიტყვის უთქმელად შეექცეოდნენ საჭმელს.

— ამ ოჯახის უფროსს და ჩვენს მასპინძელს, ქალბატონ კლარას გაუმარჯოს! — ეს სადღეგრძელოც შესვეს.

— ქალბატონი კლარა შენი რაა? — იკითხა მინოსამ.

— კლარა ჩემი თანაკლასელი, საკუთარ სიცოცხლეზე ძვირფასი ხატივით სალოცავი მეგობარია — სუფთა და სპეტაკი, — აუხსნა ლუკამ.

— მინოს, ამ უბანში ცხოვრობ და კარგად უნდა მიცნობდე, მეგობრობაც შემიძლია და ვერაგი ადამიანისათვის სამაგიეროს ღირსეულად გადახდაც. ლუკას უსაზღვრო მეგობრული სიყვარუ-

ლისათვის მიმიძღვნია ჩემი სიცოცხლე, მე ლუკას ბედნიერებისთვის მლოცველი ვარ; ჩვენ მეგობრები ვართ და სხვა არაფერი; ბოროტ ადამიანს ჩემთვის ესაც შურს.

რამდენიმე ჭიქის დალევის შემდეგ უფრო გაეხსნათ გულახდილი საუბრის სურვილი. პირველი მინოსამ დაიწყო: – ახლა რაკი ერთმანეთი გავიცანით და ერთად ჭიქაც ავწიეთ, გულახდილი საუბრის უფლება გვაქვს, – მან დაწვრილებით მოუყვა რაც დაავალა ნაქეიფარმა პროკურორმა, – მე მაშინვე მეწყინა, ასეთი რამ რომ მკადრა, მაგრამ დაჭერილი ბიჭების განთავისუფლება შემპირდა და მეც ეშმაკობა ვიხმარე. ვიფიქრე, დავხვდები, შევაშინებ, მერე სახლში ყოფნას ვაიძულებ, იმ ახვარ პროკურორს კი მოვახსენებ, შენი დავალება შესრულებულია-მეთქი, მაგრამ რას ვიფიქრებდი, ლუკა რომ ასეთი მაგარი და ღირსეული ვაჟკაცი იყავი. მაგარი ბიჭი ჩანხარ, – მინოსამ ლუკას გაუღიმა, ხელი ასწია და ლუკას ხელებზე დაურტყა.

გამხიარულდნენ. საუბარი გაუგრძელდათ.

კლარა დაწვრილებით მოუყვა, რაც მარინეს, შალვას და მათ შესახებ ჩვენთვის ცნობილია. არც რესტორნის ამბავი გამორჩა, ლუკას დაჭერა რომ უნდოდათ და ახლაც არ აკლებდნენ მცდელობას.

– ბიჭო, შენ თითქმის „პაბეგში“ ყოფილხარ. მოგიკვდეს მინოსა თუ ძმობა არ გაგიწიოს! – მინოსამ ერთხელ კიდევ დაურტყა ხელი.

მოქმედების გეგმა შეადგინეს: კლარა და ლუკა ერთი კვირის განმავლობაში არ გამოჩნდებოდნენ...

მეორე დღეს მინოსამ ბიკენტ ანტონიჩი თავის კაბინეტში მოინახულა და დავალების ბრწყინვალედ შესრულების შესახებ მოახსენა, თანაც დაუმატა: ისეთ დღეში არიან, მთელი კვირა ფეხზე ვერ დადგებიან და, თუ დაგვავალებ, იმ ილეთს კიდევ გავიმეორებთო.

გახარებულმა ბიკენტიმ მაშინვე შალვას დაურეკა; დიდხანს იცინეს და იხარხარეს. მერე მარინეს დაურეკა და დიდი წარმატების შესახედ აღფრთოვანებით მოახსენა.

— ეგ მარინე ვიღაა? — ჰკითხა მინოსამ.

— დიდად წარმატებული ქალბატონია; მალე კიდევ უფრო დააწინაურებენ, — აუხსნა.

— ამხელა დიდ ქალბატონს იმ ახალგაზრდების ეგრა დასჯა რაში დასჭირდა?

— ხომ იცი, ადამიანს რაც მეტი ძალაუფლება აქვს, მით დაუნდობელია.

— ეგ დიდი თანამდებობის ქალბატონი თავის დაბმული ქმრის წინ კოლექტიურად რომ იხმარონ, როგორ მოეწონება?

— ჯერ ერთი, რომ გაუთხოვარია, მეორე კიდევ ისეთი საქმრო ჰყავს, ვინ რას გაუბედავს. ახლა რომ დავურეკე, შალვა მაგის საქმროა; იმათაც მაგის სასიამოვნოთ მოვუწყეთ გართობა.

— ჰოოო! — მრავალმნიშვნელოვნად თქვა მინოსამ. — იმ ბიჭებს როდის გამოუშვებ?

— ბიჭო, ჭკვიანი მგონიხარ, ბინის ქურდობაზე და ათას ოხრობაზე დაჭერილების განთავისუფლებას როგორ მთხოვ?!

— აბა, მომატყუე?

— მოგატყუე თორე დიდი ვინმე მყევხარ! მადლობა თქვი, თუ ახლავე კამერაში არ შეგაგდე ქალის კოლექტიური გაუპატიურებისათვის!

— მაგარი ხარ, ბიკენტი პროკურორო, შენი კაცობით გაგიმარჯოს! არც ჩვენა ვართ უკბილო ბიჭები. ისე კი მაგრად უყარაულე, ის თანამდებობის ქალბატონი თქვენი მეთოდით არავინ წამოიხიოს! — მინოსა კარებთან მივიდა: — თუ მაგ ბიჭებს არ გამოუშვებ, გადაგდება ჩვენიც მოიხილე! — მე ქურდი მქვია, ეგ კიდევ პროკურორია. ამდენი ნაბოზრები თუ ბოზები ერთად რა ძალამ შეყარა, კაცო?! — გარეთ გამოსულმა ჩაილაპარაკა და იქაურობას გასცილდა.

შალვა იმავე საღამოს ესტუმრა მარინეს და, სასიხარულო ცნობა, რომ დაბმულ ლუკას წინ კოლექტიურად გააუპატიურეს კლარა, დიდი სიცილ-კისკისით გაარჩიეს; დროდადრო ბიკენტს ურეკავდნენ და თავიანთ ემოციებს სიხარულით უზიარებდნენ.

ალინა ამ ამბავს შემთხვევით შეესწრო და გაოცებული დარჩა.

— ეს თუ მართალია, რა გიხარიათ, ხალხო?! არადა ამას ვერაფრით დავიჯერებ, თქვენ ლუკას ჩემზე უკეთ იცნობთ; განა ისეთი არაკაცია, რომ ამგვარი შეურაცხყოფის შემდეგ სიცოცხლე ისურვოს? ან ლუკა ისეთი ბატკანია, რომ ასე იოლად დაიმორ-ჩილონ?! ეს ზღაპარი უფროა, ვიდრე სინამდვილე, — ალინას ამის მეტი აღარაფერი უთქვია, ამგვარი ბოროტების მომსმენი მარინეს კაბინეტიდან გაოგნებული გამოვიდა...

მინოსას წასვლის შემდეგ კლარა და ლუკა დიდხანს მდუმარედ ისხდნენ, ამ საზარელი განზრახვის მოსმენის შემდეგ ლაპარაკის სურვილი არ ჰქონდათ. ლუკამ დაამთქნარა და ჩათვლიმა.

— შენი საწოლი გასწორებულია, გადი მეორე ოთახში და დაიძინე, — ურჩია კლარამ. — კარის ჩაკეტვა არ გინდა, შენც ხომ გრამიტონა არა ხარ, — სიცილით უთხრა.

— რატომღაც არ მეშინია, — ლუკამ ხელები გაშალა, კლარა მკერდში ჩაიკრა, ნაზად აკოცა, — ახლა წავედი, — თქვა და თა-ვისი ოთახისაკენ გაემართა. კლარამ საწოლამდე მიაცილა. ხე-ლზე მოეფერა და უკან გამობრუნდა.

მეორე დღეს სახლიდან არ გასულან, ლუკა მინოსას ამხ-ანაგების ბედზე წუხდა და ფრთხილობდა, მათი მიზეზიტთ ბიჭების განთავისუფლება არ ჩაშლილიყო. ხუთ საათხე კი მინოსამ დარე-კა. საღამოზე რესტორანში გეპატიჟებით, ამ ნაბოზრებს უნდა დავუმტკიცო, რომ კაცური კაცობა მათთვის ურგები ხილიაო.

— ეტყობა მინოსა გააცურეს, — ჩაილაპარაკა ლუკამ. ეს დღე ხომ დავრჩით სახლში, ჩვენც ხომ გვეკუთვნოდა ერთად ყოფნა, — ღიმილით შეხედა კლარას, რომელიც სიხარულით კისერზე ჩამოეკიდა.

მალე შეშფოთებულმა ალინამ დარეკა: — რაღაც საზიზღარ ამბებს ყვებიან მარინესთან, ლამის გული გამისკდეს! — ტირილით ამბობდა.

— ჩვენ კარგად ვართ, საათნახევრის შემდეგ სასტუმრო თბილისის შესასვლელთან მოდი, დანარჩენს იქ გაიგებ, — უპასუხა კლარამ...

სასტუმრო თბილისის რესტორნის შესასვლელთან მინოსა თავისი სამი ამხანაგის თანხლებით იცდიდა. ალინა გამოჩნდა, ჭადრის ხესთან გაჩერდა; მოუსვენრობა ეტყობოდა.

— რა მაგარი ნაშაა, — ეტყობა კუროს ელოდება, — გაჭორეს.

ალინამ ლუკა და კლარა შორს შენიშნა და მათკენ სირბილით წავიდა. ორივეს ისე გადაეხვია, თითქოს წლების განმავლობაში დაკარგული ოჯახის წევრები არიანო. შეხვედრის ემოცია რომ დაცხრა, ტირილი აუვარდა. — როგორ მიხარია კარგად რომ ხართ, თქვენზე ისეთი რამ გავიგე, გული როგორ არ გამისკდა! — ცრემლების წმენდით თქვა.

— ისეთი რა გაიგე? — ჰკითხეს.

— ენა ვერ იტყვის იმ საზიზღრობას, რასაც მარინეს კაბინეტში ჰყვებოდნენ.

— ლუკა დააბეს და კლარა კოლექტიუორადო?...

— ღმერთო ჩემო! ეს საიდან იცით?

— სასურველი სინამდვილედ წარმოიდგინეს, რადგან ამგვარი დავალება მისცა იმან ვისაც კანონის დაცვა ევალება, — ამ საუბრით მიუხლოვდნენ მინოსას ჯგუფს.

— იცნობდეთ. ადრე თქვენთვის ვინ ვიყავით არ ვიცი, ახლა კი კეთილის მოსურნედ ჩაგვთვალეთ, — მინოსამ თავისი ძმაკაცები წარულგინათ და ყველა რესტორანში შეიპატიჟა.

— ბოდიშს ვიხდი, მე ვერ შემოვალ. ახლა მარინე თავისი პროკურორებით მოვა და მეც დაპატიჟებული ვარ; გარეთ დავიცდი, ვითომ არც შეგხვედრივართ, ხომ იცით, როგორი ეჭვიანი თანაკლასელი გყავთ, — ალინამ მოიბოდიშა და განზე გადგა...

მინოსას ყველაზე თვალსაჩინო ადგილას დაეკავებინა მაგიდა, სუფრა მდიდრულად გაეწყოთ. წყნარად, უსიტყვოდ ისხდნენ. უკვე რამდენიმე სადღეგრძელო შესვეს.

— ლუკა შენს წინაშე თავს შერცხვენილად ვგრძნობ. სხვა ვინმე ლაწირაკი რომ ყოფილიყო სინდისის ძარღვიც არ შემიტოკდებოდა. შევაშინებდი, შინიდან გარეთ არ გამოსულიყვნენ,

არც ვეტყოდი, ამას რატომ ვაკეთებდი, ახვარ პროკურორს კი სულ სხვანაირად მოვახსენებდი, მაგრამ შენ სულ სხვა ყოფილხარ. ვაჟკაცობა, ძმაკაცის სიყვარული, კეთილი გული და არაკაცების რისხვა ეს ის თვისებაა, რის გამოც ასე ძლიერ შეაყვარე თავი იმ კოლექტივს, სადაც შენ ჭიდაობ; სწორედ მაგ თვისებათა გამო ასე ძალიან სძულხარ იმ ახვარ კანონის ვირთხებს. მე შენი ყველა ნაბიჯი შევისწავლე და ამ ბიჭებთან ერთად გთხოვ, შენი კეთილის მსურველებად ჩაგვთვალო. შენი ანგარიში თვითონ იცოდე. ჩემს გაბითურებისათვის კი ჯავრს არ შევჭამ. თუ რამეში ჩვენი გვერდში დგომა დაგჭირდეს, შენთან გავიგულე, — მინოსას გრძნობები მოეძალა, ლუკასთან ვახტანგურად დალია და ძმურად გადაეხვია.

ამ დროს დარბაზში შალვას და მარინეს ხმიაურიანი სამეგობრო შემოვიდა. ალინას გარდა სამი სხვა ქალიც ახლდათ, აქედან ერთს ბიკენტ ანტონიჩისთვის გამოედო ხელი, მეორე პროკურორის ფორმაში სქელკისერა იპოლიტ პავლოვიჩი იცნო ლუკამ, შალვა და მარინეც ხელმკლავით შემოვიდნენ; მათ კიდევ ხუთი უფროსი ასაკის კაცი შემოჰყვათ. ცოტა ხანს დარბაზის შუაგულში გაჩერდნენ, სანამ საბანკეტოში შევიდოდნენ. მინოსას მაგიდისათვის ყურადღება არ მოუქცევიათ, თუმცა ლუკას და კლარას მათთან ყოფნით თანაც ასეთ მხიარულ სიტაუციაში, მარინე სასტიკად გაწბილდა; შალვა და ბიკენტი კი ისე დაიბნენ, ენის გატოკება გაუჭირდათ.

მინოსა სიხარულისაგან ენად გაიკრიფა. ბაკალში შამპანური დაისხა და ხმამაღლა, ირგვლივ ყველას გასაგონად დაიწყო.

— ჩემო მეგობრებო, ამ სასმისით ადამიანში რაც კარგია, ნამუსიანია, პირიანია, სიყვარულია, ღვთისნიერია იმას გაუმარჯოს! სხვა დანარჩენის ღვარძლის, შურის, სიძულვილის და არაკაცობის დედა ვატირე! — ბოლო სიტყვები ისე თქვა, თითქოს ეს ბიკენტის და მის გვერდით მყოფებს ეხებაო.

— გაუმარჯოს! — ერთხმად წამოიძახეს. ყველა ადგა, მათ შორის კლარაც და ისეთი სითბოთი შეაზავეს მინოსას ნათქვამი,

რომ იპოლიტთან ხელმკლავით მდგარმა ქალმა შენიშნა: — რა კეთილშობილი ადამიანები ჩანან; თანაც რა მშვენიერი წყვილი ამშვენებს მათ სუფრას, — ლუკა და კლარაზე ანიშნა.

— მაგათი კეთილშობილება შალვას ჰკითხე, — ღვარძლიანად შეუღრინა იპოლიტმა და საბანკეტო დარბაზისკენ გაიწია...

ქეიფი გაგრძელდა. მინოსამ კლარა და ლუკა ერთად ადღეგრძელა და მალე შეუღლება უსურვა. ლუკას გაეღიმა, კლარამ წამოიწია, უნდოდა ეთქვა, ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართო; ლუკამ ხელი მოჰკიდა და თვალებში შეხედა, სიტყვა არ ათქმევინა.

— ეგრე ტკბილად შეგაბეროთ! — მინოსამ მაგიდაზე დაცლილი ბაკალი პირქვე დადგა. ისეთი ხმამაღლი იყო ეს ნათქვამი, რომ საბანკეტო დარბაზში კი არა, რესტორნის გარეთაც გაიგონებდნენ.

— ნაძირლები! — კბილებში გამოსცრა მარინემ.

— მაგათ დედას ვუტირებ, ისე ჩავაშხამებ მაგ შეუღლებას თავბედი იწყევლონ; კლარასთვის ალბათ მეორე ოფიციალური ქორწილი იქნება გრამიტონას შემდეგ, — ჩაიქირქილა შალვამ.

— არაოფიციალურში შენც ხომ არ მიიღე მონაწილეობა? — ირონიული ღიმილით შეეკითხა მარინე.

— თუ მინდოდა, უარს როდის ამბობდა, ზედ მეხეოდა. მე სულ სხვა კაცი ვარ, გრამიტონას გადორბლილის დანახვა გულს მირევს, — დაიტრაბახა შალვამ.

— ნეტავ თუ კიდევ დარჩა ბინძური ვინმე მასთან რომ არ გდებულიყო?! — მარინემ ზიზღით შეიჭმუხნა სახე. — ამ დროს იპოლიტე ფეხზე ადგა და ყურადღება მოითხოვა: — მეგობრებო, მე დღემდე არ შემხვედრია ისეთი შეფერებული წყვილი, როგორიც მარინე და შალვაა, — მოულოდნელობისაგან მარინე სკამზე შეხტა. — ორი კლასის მერხიდან დღემდე განუყრელი და უერთგულესი მეგობარი. ვუსურვოთ, ეს მეგობრობა უფრო გაეღრმავებინოთ და საბოლოოდ გაახარონ თავიანთი კეთილის მსურველები!

ხმაურით წამოიშალნენ და ისე ადღეგრძელეს, თითქოს უკვე შეუღლებულები ყოფილიყვნენ...

— გარეთ გადი და მაგათ შოფრებთან გაარკვიე რა ხალხია იმ საბანკეტოში შეკრებილი, — მინოსამ ერთ თავის მხლებელთაგან დაავალა.

ის მალე შემობრუნდა და პასუხი მოუცტანა: — ოთხი მანქანით არიან: ერთი ბიკენტისაა, ერთი რაიონიდან ჩამოსული პროკურორი ყოფილა ვიღაც შალვა, ორი კიდევ უცხო კაცებისაა მთავრობაში უმუშავიათ. ერთი გოგო კომკავშირის ვერხუშკიდანაა. ერთი კაცი — სქელკისერა რესპუბლიკის პროკურატურიდანაა; დანარჩენები წვრილფეხობაა ცოლები და რავი შეიძლება საყვარლებიც იყვნენ.

კიდევ ცოტა ხანს დარჩნენ, გულითადად ისაუბრეს. ბოლოს წყნარად აიშალნენ და ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

საბანკეტოში კი კისკისი, ხორხოცი, სმაში შერკინებულთა ქათინაურებით და ტრაბახით შენელებული ღრიანცელი შუაღემემდე არ შეწყვეტილა.

ლუკამ კლარა სახლამდე მიაცილა; ახლა უკან გაბრუნებას აპირებდა.

— სად წახვალ? — ჰკითხა კლარამ.

— პაპუნა ჭელიძის ბებიის ბინაში.

— პაპუნა ჭელიძე შენი ამხანაგია, მისი ბებია კიდევ შენი ამხანაგის ბებია, — ირონიულად თქვა კლარამ.

— ეგ რატომ გამახსენე?

— ამ შუაღამეში პაპუნას ბებიის სახლში რომ მიდიხარ, ნუთუ იმ ქალბატონის დონეზე მაინც არა ვარ, რომ ასე გულცივად არ დაფრთხე?

— რა ვიცი, ჩემო კლარა, არ მინდა რომ... — ლუკა დაიბნა, სათქმელი ვერ დაამთავრა.

— წადი, ლუკა, შენთან ყოფნით უზომოდ გამანებივრა განგებამ; კლარას დედა ვატირე, თუ ზედმეტი შეწუხებით თავი მოგაბეზრო! — კლარა ოთახში შევიდა და თვალცრემლიანი სავარძელში ჩაჯდა.

ლუკა უხერხულად იდგა ნახევრადშეხსნილ კარებში. ზედმეტი

მორიდებით კლარას გული ატკინა. ოთახში შევიდა. კლარა ხელებში თავჩარგული იჯდა. ლუკამ მის წინ ჩაიმუხლა და კალთაში თავი ჩაუდო. კლარამ მოკრძალებით, ძალიან ფრთხილად, თითქოს ეშინია ეს მოჩვენება არ გამიქრესო, თავზე ხელი გადაუსვა. „ნუთუ ეს სინამდვილეა?“ კლარა ოცნების ბურუსში გაეხვია. ლუკამ მისი ხელი აიღო და აკოცა. მოჭარბებული ემოციებისგან კლარა ტირոდა. ლუკა ადგა, ორივე ხელი მოხვია, აიტაცა, მკერდში ჩაიკრა და მხურვალედ ჩაკოცნა. ახლა კი მათი შეჩერება არავითარ ძალას არ შეეძლო. ამდენი ხნის ერთმანეთისკენ ლტოლვიდან თავშეკავების შემდეგ ალერსის მორევში ჩაიძირნენ.

დილით კლარას ლუკას მკერდზე თავდადებულს გაეღვიძა. ფრთხილად დახედა, ნაზად აკოცა და თვალები დახუჭა.

## მუხთალია ბოროტებაზე დამყარებული მომხვეჭელობა

ლუკას რაიონიდან წასვლით გრამიტონი დამშვიდდა. ახლა აღარავისი ეშინოდა და რაც სურდა. თამამად აკეთებდა. პოლიტინფორმაციებზე ისეთ ყინულის ბომბების მუქარას აფრქვევდა, ამერიკელებს რომ გაეგოთ, გული უომრად გაუსკდებოდათ. გრამიტონი პატარა შენიშვნასაც ვერ იტანდა, თავი ყველაფრის მცოდნე და ყოვლისშემძლედ წარმოედგინა. განსაკუთრებით საიდუმლო საქმეების შემსრულებელი ჭიმია და ხითავა ჰყავდა. კვირა არ გავიდოდა, რომ მათთან თათბირით არ მოეფხანა ამბიციებით დაავადებული სული.

— შენი ყველას ეშინია, გრამიტონ ქარუმიჩ, რაც ის გიჟი ლუკა გაქრა, ენა ჩაუვარდათ, დადედლდნენ. ზაურას მაშინ გრძელი ენა რო ჰქონდა, ახლა ზეთში ჩავარდნიოლ წიწილასავით დადის, — ამაყად თქვა ხითავამ.

— ვერ მამინელებია, მაშინ უღმერთოდ რომ გვცემეს, თანაც სიკვდილს ძლივს გადავურჩით; ლუკას წასვლით ყველამ ჩაისვარა. მარტო ეს რქიანი ქიტესა უბერავს ძველებურად. არადა მაშინდელი

დაწერილი მაგას აქვს, სადმე რომ მიიტანოს, კარგი დღე არ დაგვადგება, — ხითავამ შეშფოთება გამოთქვა.

— ის ამბავი მარტო ზაურამ, ქიტესამ და კლარამ იციან. ზაურა იგრე შაუშინებიათ, იძახის, ლუკას ახლოსაც არ გავიკარებო; კლარა ქალაქშია ეს ამბავი სულაც აღარ აშფოთებს; აი, ქიტესა კი სახიფათოა, შეიძლება ჩაგვიშვას, თან საბუთიც აქვს და... — გრამიოონას ჩვეულებისამებრ ტუჩი ჩამოუვარდა.

— ქიტესა რომ არ ყოფილიყო, ლუკა უკვე გასაღებული გვყავდა. მინდორში მარტო გდია, მაგის გაქრობას რა უნდა, თანაც გრძელი ენა აქვს, ქაღალდსაც წავართმევთ და მორჩა, — დაასკვნა ჭიმიამ.

— მოკლედ, ქიტესა უნდა მოისპოს, მერე ნახე დანარჩენების დაშინება, — ბრძანა გრამიტონმა.

— ისედაც ყველა დაშინებულია, მაგრამ ჩვენ არავის ჯავრს არ შავჭამთ, — დაიტრაბახა ჭიმიამ...

კლარა და ლუკა ვახშმის შემდეგ ტელევიზორს უყურებდნენ, დათო ჯარიაშვილმა რომ დარეკა.

— გუშინ საველე ბინაში ჩემი სიმამრი — ქიტესა ჩამომხრჩვალი ნახეს. რა ვიცი, დაადგინეს, თავი ჩამოიხრჩოო; საამისო არაფერი სჭირდა, — ტირილით ლაპარაკობდა.

ყურმილი კლარამ აიღო და წივილი ატეხა.

— რა მოხდა? — ლუკა ეცა.

— ქიტესა ძიას თავი ჩამოუხრჩვია.

ლუკამ ყურმილი გამოსტაცა. — რომელი ხარ, რა მოხდა? — ჩასძახა.

— დათო ვარ, ლუკა, ქიტესამ — ჩემმა სიმამრმა თავი ჩამოირჩო საველე ბინაზე, — სლუკუნით თქვა დათომ.

— ქიტესა ძია თავს არ ჩამოიხრჩობდა. ახლავე მოვდივარ! — ლუკამ ყურმილი დადო. — ქიტესა ძია ჩამოუხრჩვიათ, ჩემი გადარჩენა სიცოცხლის ფასად დაუჯდა, — ჩაილაპარაკა.

— ვინ ჩამოახრჩობდა, ლუკა? — კლარა გაკვირვებული მიაჩერდა.

— იცნობ შენ იმათ, ჩემმა შემწყნარებლობამ დაღუპა ის, ვინც სიცოცხლე შემინარჩუნა. მორიელს მორალის კითხვით კბენას ვერ გადააჩვევ! — ლუკა ფეხზე წამოდგა. ახლავე მივდივარ.

— მეც წამოვალ. ამ დღეებში აქ მარტო დარჩენილს გინდა, გული გამისკდეს?! ხელს არაფერში შეგიშლი?! ამალიას ხომ უნდა ამ მწუხარების ჟამს თანადგომა, წამოვალ რა, ლუკა, — კლარამ ისეთი თვალებით შეხედა, ლუკამ უარი ვეღარ უთხრა.

დილით ისე ადრე დაადგათ თავზე, ჭირისუფლების გარდა არავინ იყო.

ამალიამ მიატირა: — თავი ჩამოიხრჩო, მართალია მთლად ხელგაშლილად არა ვცხოვრობდით, მაგრამ თავის ჩამოსახრჩობი არაფერი ჰქონდა.

ლუკამ ღრმად ჩაფიქრებულმა შეხედა, ხმა არ ამოუღია, არც მიუსამძიმრებია. აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაცაზე გაცოფებული იყო და ამ მდგომარეობაში ყველას მიმართ ცივი და მიუკარები ჩანდა.

— მიცვალებულის ოთახიდან ყველა გაიყვანე და შენ დარჩი! — უჩვეულოდ გაბზარული ხმით უბრძანა დათოს.

გაკვირვებული ქალები სიტყვის შეუბრუნებლად გავიდნენ.

— ქიტესა ძიას სხეული უნდა დავათვალიერო, მომეხმარე, — უთხრა დათოს.

სხეულზე მრავალი ჩალურჯებული ადგილი, ორგან ბლაგვი საგნის დარტყმისაგან კანი გახეთქოდა. მარჯვენა ხელი მოტეხილი აქვს, — ჩაილაპარაკა ლუკამ.

— უწამებიათთ და ჩამოუხრჩვიათ! — ლუკამ ისეთი რისხვა ჩამდგარი თვალებით შეხედა, რომ დათოს გააცია. — ბოთე, ეს არის თავი ჩამოიხრჩოო?! — ნებისყოფის დიდი დაძაბვით უხდებოდა თავის შეკავება. ბოლოს ვეღარ შეძლო.

— ااااუუუხ! — ისე იღრიალა ამის გამგონს ეკალი დააყარა. მუხლებზე დაეცა და ქიტესას ზედა დაემხო. დაჭრილი ლომივით ღრიალებდა. დათო ახლოს მისვლას ვერ ბედავდა. ამალია, მისი დედა და რამდენიმე ქალი იქვე კარებთან შემოსულიყვნენ და ფეხი წინ ვეღარ გადმოედგათ.

ლუკა ცოტათი დამშვიდდა, ფეხზე ადგა და გვერდითა ოთახში გავიდა, დათო უკან დამნაშავესავით აედევნა; ამალია და მისი დედაც შევიდნენ მასთან. ლუკა მდუმარედ, ღრმა ფიქრებში ჩაძირული იჯდა; ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა.

— დაკრძალვა როდის გადაწყვიტეთ? — იკითხა ლუკამ.

— ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ფინანსურად ცოტა გვიჭირს; ოთხ-ხუთ დღეში შეიძლება მოვასწროთ, — მოკრძალებით თქვა დათომ.

— ამ სოფელში ყველაზე მართალი, პატიოსანი და ნამდვილი ადამიანი მოკლეს, ყაჩაღების, დამტაცებლების, ათასი ჯურის არამზადის და ლაჩრების გულის გასახარად, — ლუკა ცოტა ხანს დადუმდა.

— მოკლეს?! — ამალიამ და მისმა დედამ ლოყები ჩამოიკაწრეს.

— სიტყვა არსად დაგცდეთ, მალე ყველა დამსახურებულად მიიღებს. რაც შეეხება დაკრძალვას, ამ აპტიოსანმა კაცმა იმდენი იშრომა, დაკრძალვის და საფლავის მოწყობის ხარჯზე თქვენ არავითარი საზრუნავი არ გექნებათ, — ლუკა გარეთ ეზოში გავიდა, დათოც უკან მიჰყვა.

— ტიმოთე ხომ იცი, მეძროხეობის ფერმის გამგე რომ იყო, გრამიტონას გაუნთავისუფლებია, სანამ სადმე გაგვასწრებს, ახლავე ნახე და აქ მოიყვა, — უთხრა დათოს და ისაც სიტყვის უთქმელად გავარდა.

მალე ტიმოთე ქაქანით მოვიდა. ლუკა როგორც დაინახა, მისკენ ხელებგაშლილი წავიდა და გადაეხვია, ერთად დასხდნენ და წაისაუბრეს.

— ტიმოთე ბატონო, ხომ ვართ პატიოსანი ბიჭები? — უცებ ჰკითახ ლუკამ.

— ჩემმა მზემ! როგორც გამატანე, იგრევე მაქვს დამალული; უშენოდ კაპიკიც არ მოაკლდება.

— პატიოსანი ხარ, ტიმოთე ბატონო, მადლობა უფალს, ამ სოფელს შენისთანები რომ ამშვენებენ! ახლა აი რას გთხოვ: ნახ-

ევარი დაიტოვე და როგორც შენმა სინდისმა გიკარნახოს, ისე მოიხმარე, ნახევარი ამ საღამოს ჩემთან მოიტანე. კიდევ ერთსა გთხოვ, იქნებ ჯაგარა მოძებნო და გვიან ღამეს ჩემთან მოვიდეს; შენ არ შეგაწუხებდი, მაგრამ არ მინდა ვინმეს თვალებში მოვედო, — ლუკა ადგა და ტიმოთეს კიდევ გადაეხვია.

— ლუკა, ამდენს რომ მიტოვებ, მეშინია, იქნებ ისე ვერ გამოვიყენო, როგორც საჭიროა და შენთან შევრცხვე, — ტიმოთე შეწუხდა.

— შერცხვენა თუ გინდოდა, სულ შენთან იყო. არა, ტიმოთე, შენ ის კაცი არა ხარ ნამუსი რომ ფულში გაცვალო, — უთხრა ლუკამ და მხარზე სიყვარულით მოუთათუნა ხელი...

საღამოთი ტიმოთემ ლუკას ფული მიუტანა; მოგვიანებით კი ჯაგარამ მიაკითხა.

— ბიჭო, სად გადაიკარგე, მეგონა, ამ ნაბიჭვრებმა რაღაცა უგდეს-მეთქი! — მისი დანახვით გახარებული ჯაგარა ლუკას გადაეხვია.

— ამ ნაძირალებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი, ძველი ძმაკაცები ისე დაუშინებიათ, ახლოს არ მიდგებიან.

— ზნაჩიტ, ისინი საძმაკაოდ არ ვარგებულან.

— მართალი ხარ და შენც იმიტომ დაგიბარე, რომ შენი ვაჟკაცობის მჯერა, ვერც შეგაშინებენ.

— მოგიკავდეს ჯაგარა თუ გიმუხთლო, ან ამ ახვრებმა შენთან ძმაკაცობის აკრძალვა გამიბედონ! — ჯაგარამ მუშტი მკერდზე დაირტყა.

— ჯაგარ, ქიტესა ძია აწამს და იგრე ჩამოახრჩეს, ვიცი ვინც იქნებოდნენ. ზაური დამიშინეს, ჩემთან გაკარებისა ეშინია, თორე ისე კარგი ვაჟკაცია. შენ თუ ისურვებ მკვლელების სამსჯავროზე დაგასწრებ.

— ჩამოახრჩეს? ოხ, მაგათი დედა! მოკლედ, ლუკა, შენს გვერდით მიგულე. მენდე როგორც საკუცარ თავს; ჯაგარა მოკვდეს თუ გაგაწბილოს!

— კარგი. დანარჩენი ქიტესა ძიას დაკრძალვის შემდეგ ვილაპარაკოთ.

— ლუკამ ფულის დიდი შეკვრა წინ დაუდო. — ეს ზაურს მიატუნე, იმისი წილია. — ერთი იმხელა შეკვრა ჯაგარას მიაწოდა, — ეს კიდევ შენია. კაცური სინდისით და პატიოსნებით დაიმსახურე.

— ეს რა ფულია, კაცო, ხელსაც არ დავაკარებ!

— გეფიცები, ჯაგარ, ვირთხებს წავართვით. ადრე სხვანაირად ვფიქრობდი, მაგრამ რამდენი ვეცადე ისევ ვირთხების ხელში ხვდებოდა. მას შემდეგ, რაც ჩემზე ნადირობა დაიწყეს, ბევრ რამეზე გული ამიცრუვლა, ყაჩაღებთან პატიოსნებით ბრძოლა უტოპიაა; ყაჩაღს თავისი ენით უნდა ელაპარაკო. ამ ფულს, ჩემი გაგებით, ვინც იმსახურებს იმას ვაძლევ. ხომ იცი, რომ არაკაცებს ვერ ვიტან, ჰოდა, თუ ეჭვი გეპარება, მაგ ფულს ნუ აიღებ.

— ძაღლის შვილი ვიყო, ფული კი არ მინდა, შენი წყენინების მეშინია, — ჯაგარამ ფული აიღო. — ზაურას რა ვუთხრა?

— ლუკამ გამომატანა, ოჯახს მოამხარე-თქო. თუ დაგიბრუნა, უკან მიაყარე და წამოდი...

იმავე ღამეს ლუკამ ჭირისუფლებს ფული მიუტანა, ამდენი ფულის დანახვაზე თვალები დააჭყიტეს.

— ეს ქიტესა ძიას პატიოსანი შრომის ძალიან მცირე ნაწილია, რომელიც მომხვეჭელ ყაჩაღებს წავართვით. თავის დაკრძალვაზე და საფლავის კეთილმოწყობაზე უნებლიედ იზრუნა.

ლუკას შეკითხვა ვერ გაუბედეს.

— აიღე ეს ფული და დაკრძალვის ორგანიზაცია ისე მოაწყე, როგორც იმ კეთილშობილ ადამიანს ეკადრება. ქიტესა ძია არ მომკვდარა, ის გარდაიცვალა, რამეთუ ამ მოკლე წუთისოფელში პატიოსანი მშრომელის საამაყო სახელი დატოვა, — უთხრა დათოს, რომელიც გაოგნებული მისჩერებოდა.

მარინე დაკრძალვაზე არ მოსულა. დეპეშა გამოგზავნა და ბოდიში მოიხადა, რომ სამსახურში გადატვირთვის გამო ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

ლუკა ხალხში არ ჩნდებოდა, მაგრამ გრამიტონმა მაინც გაიგო ლუკა ჩამოვიდაო და კინაღამ გული გაუჩერდა. ჭიმიამ

ანუგეშა: — რავი, ბიჭებს დავავალე, ვინც იქ ტრიალებენ, ლუკა არავის უნახავს, კლარა კი თურმე ამალიას სულ გვერდით უზის და მასავით გლოვობს.

— ვაიმე! კლარამაც ხომ იცის ის ამბავი; თანაც ჩემ მტერს მაგის გაცოფება! — რა ვქნა, პანაშვიდზე მაინც ხომ უნდა მივიდე! — ამოიტირა გრამიტონმა.

— შიგ ნუ შეხვალ, კლარა კიდევ გარეთ არ გამოდის.

— ლუკა?

— ხომ გითხარი, ლუკა იქ არავის უნახავს. თუ კიდევ გამოჩნდა, ხალხში რა უნდა ქნას, — დაამშვიდა შიშისგან გაოგნებული გრამიტონა...

შალვა პანაშვიდზე ისეთი გაბღენძილი მივიდა, როგორც მამალი ინდაური დასტვენის მოლოდინში. ვიღაც პროკურატურის ორი თანამშრომელიც ახლდა. დათოს ხელი მოწყალებასავით მიუგდო და მიცვალებულის ოთახში შევიდა. ამალიას და მის დედას რაღაც მისამძიმრების მსგავსი გაურკვეველი სიტყვები ესროლა. კლარას დანახვაზე შეცბა, რომელიც ზედ არ უყურებდა, სწრაფად ჩაუარა და გარეთ ისეთი გაჭიმული გამოვიდა და ხალხს ისე გადახედა, თითქოს გამარჯვებული სარდალი ტრიუმფისათვის შეგროვებულ ტყვეებს ათვალიერებსო. თუთის ჯალღის ქვეშ მდგარ ლუკას მოჰკრა თვალი და ტრიუმფატორის ყოყლოჩინობა უცებ გაუფრთხა, სწრაფად გვერდზე გაიხედა, ვითომ ვერ დაინახა; ასეთ გაურკვევლობას ცოტა ხანს შერჩა. ის იყო წასვლა დაეპირა, რომ მხარზე ვიღაცის მძიმე ხელი იგრძნო, შემობრუნდა, მის წინ ლუკა იდგა. ვაი შენს შალვას, დაიბნა, ხმის ამოღება ვერ შეძლო.

— ქიტესა ძიას რა დაემართა, ბიჭო?! — ისე ჰკითხა, თითქოს მას ადანაშაულებდა, რატომ დაემართაო.

— რა ვიცი, ალბათ კლიმაქსი ჰქონდა, თორე თავს რატოჩამოიხრჩობდა, — შალვამ ჩაიდუდუნა.

— ექსპერტმა გითხრა, რომ თავი ჩამოიხრჩოო?

— ექსპერტი რა საჭირო იყო, თავი ჩამოიხრჩო და ეგ არი.

— ეგ არი, ეგ არი! ახლა აქედან დროზა მოცოცხე, სხვა საქმეები არ გაგიცივდეს! — ლუკამ სხვებისგან შეუმჩნევლად მარცხენა იღლიასთან მაგრად მოუჭირა ხელი და უბიძგა.

ტრიუმფატორად მოსული შალვა ისე წავიდა, როგორც სხვის ბაღში ქურდობისათვის გატყეპილი მაწანწალა...

გრამიტონი თავისი ქვეშევრდომების ჯგუფით გამოცხადდა. თანამოაზრეებმა შეაგულიანეს, ნუ გეშინია, ლუკა იქ არ იქნებაო და გრამიტონიც თამამად შემოვიდა ეზოში. დათოს და მის გვერდით მდგარ რამდენიმე ახლობელს ხელი ჩამოართვა, მიუსამძიმრა, ოთახში შესვლა არ ისურვა და გამობრუნდა, მაგრამ ვაი ამ გამობრუნებას, თუთის ხესთან ლუკას მოჰკრა თვალი, თან თითი დაუქნია, აქ მოდიო. იქამდე მისვლა არ უნდა, გრამიტონს მუხლები აუკანკალდა; ახლა რა მოხდება, ვინ იცის; ჭიმია და ხითავა გვერდით რომ ახლდნენ, უცებ გაუჩინარდნენ. გრამიტონი ნელ-ნელა შეტრიალდა და სახლში მწევარისაგან დამფრთხალი კურდღელივით შევარდა. ცხედარის კუბოს ჩქარი ნაბიჯით შემოუარა, ისე, რომ ჭირისუფლებისთვის ზედაც არ მიუხედავს. ოთახში ჩვეულებისამებრ მხოლოდ ქალები ისხდნენ, კაცები გარეთ ეზოში გამოდიოდნენ. გრამიტონმა მეორე რიგში ქალებს შორის ცარიელი სკამი დაინახა, ვიწრო გასასვლელში ვაი-ვაგლახით გაიარა და როგორც ვირი ხბორებში, მათ შორის ჩაჯდა. დროებით შვება იგრძნო, მერე რა, ამქვეყნად ადამიანის მოვლინებაც ხომ დროებითია, მაგრამ ამ დროებითობაშიც ყველას თავისი წარმოშობა ეამაყება, თუნდაც ის ვირი იყოს. მაგრამ ადამიანი თუ სიცოცხლეშივე მკვდარია, არცერთი პირუტყვი არ ისურვებს მის ტყავში შეძრომას.

გრამიტონი იჯდა და სულაც არ გრძნობდა უხერხულობას უცნაურად აჩურჩულებულ ქალებში მარტო ყოფნით, მთელი დღე საღორეში იჯდებოდა და გარეთ არ გამოვიდოდა, ოღონდ ლუკას არ შეხვედროდა. ნახევარი საათი ამ მდგომარეობაში იყო, ბოლოს დათო მივიდა და გარეთ გაიყვანა. აქედან წასვლას აპირებდა, რომ ცნობისმოყვარეობა იყო თუ შინაგანი რაღაც ინსტიქტი თუთის

ხისკენ გაიხედა და ლუკას თვალებს შეეჯახა. იმან თითით ანიშნა, აქ მოდიო. მუხლების კანკალით წავიდა.

— ბიჭო, ქიტესა ძიამ თავი ჩამოიხრჩო? — მისალმების გარეშე ჰკითხა ლუკამ.

— ჰო, აბა.

— ჰო აბა, ჰო აბა! შენ რა იცი, რომ თავი ჩამოიხრჩო?

— ეგრე ამბობენ.

— იმას აღარ ამბობენ, ქიტესა ცოცხალია და მკვლელებს დედას უტირებსო?!

— მართლა?

— ეჭვი გეპარება, რომ ქიტესა ძია ცოცხალია და ამბობას, გრამიტონა მოვიდეს, თავი როგორ ჩამოვიხრჩე, უნდა მოვუყვეო?

— მე უნდა მომიყვეს? — გრამიტონმა რაღაც არაამქვეყნიურად წამოიკნავლა.

— გინდა შენს მაგიერ მე მითხრას?

— რა?

— ახლა სახლში წადი, გარეთ არ გამოხვიდე, არც არავინ მიიღო, სანამ მე არ გნახავ. თორე ქიტესა ძიას ვერ გადაურჩები, გაიგე? თუ ერთი სიტყვაც წამოგცდა, რაც გითხარი, მაშინვე გაჭიმავ ფეხებს! აბა, ახლა მოუსვი! — ლუკამ გრამიტონიც შალვას მიაყოლა, ოღონდ გრამიტონი უფრო ჩავსრილი მიდიოდა...

ჯაგარამ ზაურს გვიან ღამით დაუძახა და ფული გადასცა, ლუკამ გამომიტანაო.

— ჩემი არავითარი ვალი არა აქვს, არც მითხოვია, — ზაურმა ფული უკანვე მიაწოდა.

— შენ ვაჟკაცი ლუკასთან გვერდით ყოფნით იყავი. ახლა იგეთივე ახვარი ხარ, როგორც ყველა ჩასვრილი! ეგ ფული აიღე და ხატის წინ მოინანიე ლუკასგან გაფრთხობა! — ურჩია ჯაგარამ და უკან გაბრუნდა.

— ლუკა სადაა? — ზაურმა მიაძახა.

— ლუკა ყველგანაა, საცა საჭიროა. თუ მთლად არ გახუნებ-

ულხარ, მოძებნე; ლუკასთვის ხელის კვრით მთელ ცხოვრებაში ხელწაკრული დარჩები იცოდე! — უპასუხა ჯაგარამ...

ქიტესას დაკრძალვის შემდეგ გრამიტონი სახლიდან არ გამოსულა, ლუკას დავალებას ასრულებდა, ეშინოდა, რამე უბედურება არ შემთხვეოდა. სამი დღის შემდეგ, საღამოთი ქიტესას ორთვალაზე მჯდომმა ჯაგარამ მიაკითხა, კოფოზე გვერდით მოისვა და მინდვრის გზას დაადგა. კარგა ხნის დუმილის შემდეგ გრამიტონმა იკითხა: — სად მივდივართ?

— ქიტესას ბინაზე, — მიიღო პასუხი, თან ჯაგარამ სადავეები და სახრე გადაულოცა, ამის შემდეგ შოფერი შენ იქნებიო.

გრამიტონს ჯაგარას შიში ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, ეს სულაც არ შეუშლიდა ხელს, რომ არ გაჰყოლოდა და ქვეყანა შეეყარა, მაგრამ ლუკას ნათქვამი და ქიტესას მიმართ თავისი ცოდვის შეგნება ყოველგვარ საწინააღმდეგო მოქმედების უნარს უკარგავდა.

ორთვალა ქიტესას საველე სადგომის ეზოში შევიდა. ოთახიდან სინათლე გამოდიოდა. იქვე საჯინიბოს გვერდით ორი მსუბუქი მანქანა იდგა. ჯაგარა გრამიტონს ოთახში შეუძღვა. ხითავა მაგიდასთან იჯდა, ზაური თავზე დასდგომოდა და ნაწერს აკვირდებოდა, ლუკა კედელთან მიდგმულ გრძელ სკამზე იჯდა და ჭერს მისჩერებოდა.

— მოდით, აქ დასხედით, ხელს ნუ შეუშლით შემოქმედებით მუშაობაში, — ლუკამ ორივე თავის გვერდით მიიწვია.

დიდხანს ისხდნენ მდუმარედ.

მორჩა. ხითავამ წერა დაამთავრა. ზაურმა ნაწერი გამოართვა. წაიკითხა. — რაღაცას ჰგავს, — ჩაილაპარაკა.

— აბა, ახლა თვითონ წაგვიკითხოს! — მოითხოვა ლუკამ და ხითავამ ხმამაღლა წაიკითხვა დაიწყო: — ადრე მე და ჭიმიამ გრამიტონას დავალებით ლუკას მოკვლა ვცადეთ. ჭიმიამ უკნიდან თავში რკინა ჩაარტყა. გვეგონა, მოვკალით და არხში ჩაგდება გვინდოდა, მაგრამ ქიტესამ ტაჩკით გამოიარა და გადაარჩინა. მაშინ ლუკამ გვაპატია, ქიტესასთან მიგვიყვანა, რაც ჩავიდინეთ დაგვაწერინა და

ბოდიში მოგვახდევინა. ყველაფერი კი გრამიტონას ბრალია,ეშინოდა, თავმჯდომარეობას წაგართმევსო. ახლა კიდევ დაგვავალა,ქიტესას ის ქაღალდები წაართვით და მოკალითო. ბინაზე რომ მოვედით,ქიტესამ დაიფიცა, თქვენ როგორც წახვედით, ქაღალდები დავწვიო, თან გვ-ლანძღავდა, არაკაცები ხართო. ჭიმიამ გვერდში რკინა შემოჰკრა, ქიტესა წაიქცა,ჩვენ წიხლით ვცემეთ. ჭიმიამ რკინა ორჯერ კიდევ შემოჰკრა, ერთი ხელში მოხვდა და მოტეხა, ის კი მაინც გვლანძ-ღავდა. ჩვენ საჩეხის კოჭზე თოკი ჩამოვაბით და ჩამოვახრჩეთ. იმავე საღამოს მოვახსენეთ გრამიტონას, რომელსაც ძალიან გაუხარდა. ახლა სინდისმა შეგვაწუხა და თავის ჩამოხრჩობა გადავწყვიტეთ.

— ზუსტად ასეთივე აღსარება დაწერა ჭიმიამ,— თქვა ზაურიმ.

— ქიტესას ჩამოხრჩობა ძალიან გახარებია. ახლა ორივემ გრამი-ტონა ჩამოახრჩოს ისე, როგორც ქიტესა ძია; ხომ კარგი იქნება, გრამიტონ? — ჰკითხა ლუკამ.

— მე რათ უნდა ჩამომახრჩონ? — გრამიტონს ფერი ეცვალა.

— თუ არ ჩამოგახრჩობენ,მაშინ მაგათ ჩამოვახრჩობთ. აირჩიონ რომელიც აწყობთ.

— ჩამოვახრჩობთ, აბა რა ჩვენი ბრალია, მაგან დაგვავალა! — ორივე აყვირდა.

— მაშინ დროზე, არ გადავიფიქროთ,— ჯაგარამ წააქეზათ.

ორივე გრამიტონას ეცა, ის კი აყვირდა: — მიშველე, ლუკა, მე ხომ შენ ყველაზე ძალიან მიყვარხარ!

— ისე ჩამოახრჩეთ, როგორც სხვაზე გიბრძანათ,— დაავალეს.

ისინი კი გრამიტონს უკვე საჩეხში მიათრევდნენ, რომელიც ღრიალებდა და თავგანწირვით იბრძოდა. ორივემ გრამიტონი წიხლ-ქვეშ გაიგდო და ცემა-ტყეპით გააყოფინეს ყულფში თავი.

— მიშველეთ! — ღრიალებდა გრამიტონი, სანამ თოკი მაგრად არ წაეჭირა და ხრიალი არ დააწყებინა.

ჭიმიამ და ხითავამ თოკი დაჭიმეს და გრამიტონმა სიკვდილს ჩახედა თვალებში.

— ცოტა ხნით დაუშვი! — უბრძანა ზაურმა და გრამიტონმა შვებით ამოისუნთქა.

— გრამიტონა ხომ არაფერს დაწერს? — იკითხა ლუკამ.

— ყველაფერს დავწერ, ყველაფერს! ოღონდ ეს თოკი შემხსენით! — აღრიალდა გრამიტონი და მუხლებზე დაეცა.

— თუ ეგრეა, მაშინ შენ და ჭიმიამ ხითავა ჩამოახრჩეთ, — ურჩია ზაურმა.

— ხითავა უნდა ჩამოვახრჩოთ, მაგის ბრალია ყველაფერი! — ორივე დიდი მონდომებით ეცა ხითავას. დიდხანს იძიძგილეს. ახლა ხითავას გააყოფინს თავი ყულფში და ასწიეს.

— მოიცათ, ეგრე არ გამოვა. ტაჩკაზე შეაყენეთ და თოკი ისე მოაბით ყელზე.

გრამიტონმა სასწრაფოდ ორთვალა უკუ სვლით შეიყვანა საჩეხში და გარდიგარდმო გადებული ძელის ქვეშ დააყენა.

ხითავა ორთვალაზე აათრიეს, თოკი ისე დაჭიმეს, რომ ფეხებით ძლივს სწვდებოდა ორთვალას და ფეხის წვერებზე იწევდა, თოკი რომ არ წასჭეროდა.

— ახლა მეორე ბოლო სვეტზე მაგრად მოაბით, — ურჩია ზაურმა.

ხითავა დასაკლავი კერატივით ღრიალებდა.

— მიდი, შენც გაუყარე ყულფში თავი, ვითომ შენც გახრჩობენ, დაწყნარდება, — ჭიმიას ურჩია ჯაგარამ. — მაგას როგორ ავწევთ, შენ ჩამოგხსნით.

— ჭიმიაც შედგა ორთვალაზე და ანუგეშა: — აბა რა გაყვირებს, ხუმრობენ. აჰა, მეც ჩამოვიცვამ თოკს, — უთხრა და ყულფში გაყო თავი.

გრამიტონმა მისი მეორე ბოლოც ისე მოჭიმა და მაგრად დაახვია სვეტზე. ჭიმიამ ფეხის წვერებზე აიწია, ახლა ორივე ფეხის წვერებზე აწეულები ცდილობდნენ, რომ თოკი არ წასჭეროდათ.

ლუკა, ზაური და ჯაგარა მანქანაში ჩასხდნენ.

— გრამიტონ, ეგ „ტაჩკა“ ქიტესა ძიას სახლში მიიტანე, უთხარი ჯაგარამ გამამატანა-თქო! — დაუძახეს გრამიტონს და მანქანა დაძრეს.

— დროზე მამხსენი თოკი, თორემ ფეხები დამეღალა, ვიხრჩობი! — ახრიალდა ჭიმია და ხითავაც აჰყვა.

გრამიტონი ორთვალის კოფოზე მოეწყო და აღვირი მოზიდა.

— გრამიტონ, ტაჩკა არ დაძრა, თორემ ჩამოვიხრჩობით! — ხრიალებდნენ ყულფში თავგაყრილები.

— აბა, რა ვქრა, პატრონს არ მივუტანო?! — გაბრაზდა გრამიტონი.

— ჩამოგვხსენი და მიუტანე. შენ კი არა ჩვენ მივუტანთ. — ეხვეწებოდნენ.

— თქვენი გამოჩენა იქ არ შეიძლება, მიხვდებიან, რომ ქიტესას ჩამომხრჩობელები ხართ!

— მოდი, ჩამოგვხსენ! — ეხვეწებოდნენ.

— თქვენ რომ მახრჩობდით!

— გეხუმრეთ კაცო, შენ ვინ ჩამოგახრჩობს. ხომ ნახე შენი შიშით როგორ დაფრთხნენ ისინიც.

— მე რომ ჩამოგხსნათ, ცხენი რო დააფრთხეს, მემრე რაღა ვქნა?! — გრამიტონმა ცხენს სახრე გადაუჭირა; ჭიმია და ხითავა თოკზე აფართხალდნენ...

ამ დროს ზაური თავის მანქანით იმ ადგილს გასცდა, სადაც ლუკას უპირებდნენ ჩაგდებას.

— როგორ იცით, გრამიტონა უკვე ჩამოიხსნიდა თოკიდან თავის ძმაკაცებს? — სიცილით იკითხა ჯაგარამ.

— ჭიმია სწრაფად მაინც არ წამოვა თავის მანქანით, რომ არ შეგხვდეს. ის დაწერილი ქაღალდები რა უყავით?

— იქვე მაგიდაზე დავყარე. რა აზრი ჰქონდა, ჩვენ გული მოვიფხანეთ, თორე ამ უკულმართ ქვეყანაში როგორც უნდათ ისე კერავენ საქმეს; ის ქაღალდები ალბათ გრამიტონამ მოხვეტა.

— შეცდომა ხომ არ მოგვივიდა. ეგ ისეთი კრეტინია, შეიძლება ორთვალა წამოიღოს და ისინი ყულფში თავგაყრილები დატოვოს, — ჩაილაპარაკა ლუკამ.

— ეგ რამ გაფიქრებინა, ლაჩარი, ვერაგი, დეგენერატი და კრეტინია, მაგრამ იმხელა ადამიანობა მაინც აქვს, ეგ სისულელე არ ჩაიდინოს, — დაამშვიდა ზაურმა.

შუაღამე გადასული იყო, გრამიტონმა ქიტესას სახლის ალაყაფის კარებთან ორთვალაში შებმული ცხენი მიაყენა და თავის სახლისკენ ძუნძულით წავიდა...

ლუკა და კლარა იმვე დღეს წავიდნენ ქალაქში. ახლა ბინაში მდუმარედ ისხდნენ. სიჩუმე კლარამ დაარღვია: — როგორ ფიქრობ, ლუკა, ჭიმია და ხითავა მაგ შენი მორალის გაკვეთილის შემდეგ გამოსწორდებიან? შენი მოკვლის მცდელობა შერჩათ და ქიტესა ძია შეეწირა ამ საქმეს, როგორ გგონია, ახლა უარესს არ ჩაიდენენ?

— ვერ გეტყვი, რომ მართალი ვარ, მაგრამ მათი სიკვდილით დასჯის უფლება არავის მოუცია ჩემთვის; ვერც კანონის ხელში ჩავაგდებდი, რადგან შალვა და მასზე უარესი პარაზიტები საქმეს ისე წარმართავდნენ, რომ გრამიტონებს და ხითავებს შეიძლება მადლობა დაემსახურებინათ; მათთვის არასაიმედო ადამიანები კი დაესაჯათ. ცემა არ აკლდათ, მაგრამ ამბობენ, დათვებს ცემა ასუქებსო, — ლუკას გაეცინა.

— რა ვიცი, ლუკა, შენთან ახლოს ყოფნით იმხელაზე დაბნეული ვარ, ალბათ, სწორ დასკვნებს ვერ ვაკეთებ, — კლარა ლუკას მოეხვია და მხურვალედ აკოცა. — ნეტა თუ იქნება ვინმე ჩემზე ბედნიერი, ან ქვეყნად თუ ვინმეს ჰყვარებია ჩემნაირად თავისი რჩეული?

— ამბობენ, რომ რომაელ ქალს — არიას ქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდა თავისი ქმარი — პეტ ტრაზეუსი, რომელსაც ნერონმა თავის მოკვლა მიუსაჯა; ტრაზეუსს სიკვდილის ეშინოდა. ქმარი რომ გაემხნევებინა, არიამ პირველმა დაიკრა მკერდში ხანჯალი და შესძახა: — ნონ დოლეტ! — არ მტკივაო, — ღიმილით უთხრა ლუკამ.

— ეგრე არ მომწონს. მე შემიძლია დავიწვა, თუ ჩემი ფერფლი წამლად მოგეცხება; ოღონდ იცოცხლო; თავის მოკვლისაკენ ვერაფრით წაგაქეზებ, — კლარა ლუკას ჩაეხუტა, — რა ტკბილი თაფლობის დღეები გვქონდა, ქიტესა ძიას უბედურება რომ არ ყოფილიყო!

— რა საამური იქნებოდა ცხოვრება, კლარა, ირგვლივ ბოროტი ადამიანები რომ არ იყვნენ, — ლუკამ კლარას თვალებში ჩახედა და მაგრად ჩაიკრა მკერდში. — ბოროტებას სიძულვილი, სიხარბე, კარიერიზმი და ათასი უბედურება ბადებს. რამხელა სიამოვნებას მიიღებდნენ შალვა და მარინე მინოსას მათი სურვილი რომ შეესრულებინა; სწორედ ზემოთ ჩამოთვლილმა უბედურებამ ჩაასახლა მათ სულში სატანა.

— რა ვიცი, ლუკა, ჩვენ ხომ მათთვის არაფერი დაგვიშავებია.

— საშინელებაა ძალაუფლებას გაბოროტება რომ ახლავს.

— ნერონის ცოლი — საბინა პოპეა იმხელაზე ბოროტი იყო ნერონს ბევრი ახლობელი ადამიანი მოასპობირა. ვირის თბილ რძეში ბანაობდა. ამისათვის რომში ხუთასი მეწველი ვირი ჰყავდათ. სასტიკი და ვერაგი ქალი იყო. ხუთასი ვირის რძეში ბანაობით განებივრებული ქალბატონი ნეორონმა წიხლის ცემით მოკლა. სიკეთე და სიყვარული ადამიანის ბედნიერებისათვის აუცილებელია. როგორ ფიქრობთ, ბიკენტის სულში სატანა რომ არ ბუდობდეს, ამგვარ საზარელ დავალებას მისცემდა მინოსას? არა, ჰოდა, უნდა დაისაჯოს!

— რას აპირებ, ლუკა?

— ვნახოთ, ცხოვრების დინება გვიკარნახებს...

ლუკა ვარჯიშზე ძველებურად დადიოდა. ამავე დროს ბიკენტის ბინას სისტემატურად აკვირდებოდა და ყველა წვრილმანს აქცევდა ყურადღებას.

პაპუნას ბებიის ბინაში ხშირად მიდიოდა და იქიდან კოჭლი, ჯოხზე დაყრდნობილი, შუა ხნის, ჭაღარა კაცი გამოდიოდა. ახლა უკვე იცოდა, ბიკენტის ბინაში რამდენი ადამიანი ცხოვრობდა, როდის გამოდიოდნენ და როდის ბრუნდებოდნენ. ერთხელ, როდესაც ბინაში მარტო ცოლი და თვითონ იყვნენ, ვიღაცამ კარებზე დააკაკუნა და დეპეშის მოტანა ამცნო. ქალმა კარების სამზერში გაიხედა, ჭაღარა კაცი დაინახა; საეჭვო არაფერი იყო და კარები გაუღო. უცნობმა მაშინვე პირზე მიაფარა ხელი და ბიკენტისთან მაითრია, რომელიც მუხის სკამში განცხრომით ჩაჭედილიყო.

წამოხტომა სცადა, მაგრამ თავში ისეთი მუშტი მოხვდა, რომ უგონოდ დაემხო. თვალები რომ გაახილა, თავისავე სკამზე საიმედოდ იყო დაბმული.

— სადა გაქვს ფული?! — იდუმალი და ბოხი ხმით ჰკითხა ჭაღარამ.

— ფული სადა მაქვს, — ამოიხრიალა ბიკენტიმ.

— თუ არ მეტყვი, ამ ქალს შენს თვალწინ დაკვლავ! — ჭაღარამ ქალს ყელზე დანა მიადო.

— რა ვქნა, ფული არა მაქვს, — გადაწყვეტილით თქვა ბიკენტიმ.

— რა გქვიათ, ქალბატონო? — ჰკითხა უცნობმა.

— ქსენია.

— აბა ილოცეთ, თქვენმა ქმარმა დასაკლავად გაგწირათ?

— ბიკენტი უთხარი რამე, ნუ დააკვლევინებ ქსენიას! — ქალი შეეხვეწა.

— მე რა შემიძლია, დაბმული ვარ; ფული კიდევ არა მაქვს!

— ოხრად უნდა დაგირჩინო ხალხის ძარცვით რაც მოიხვეჭე. ამ ქალბატონს რას ვერჩი, დასაკლავი შენა ხარ! — ჭაღარამ ქალი გაუშვა და ბიკენტის დააბჯინა დანა ყელში.

— მიშველე, ქსენი, მიეცი რაცა გვაქვს! — ხრიალით შეეხვეწა ბიკენტი.

— შენი არაფერი არ მინდა, უნდა მოკვდე, — დანა ბიკენტის ყელში ჩხვლეტავდა.

— არ გინდათ, ნუ მომკლავთ, ფულს მე გაჩვენებთ, — ისე აუღელვებლად უთხრა ქალმა, თითქოს რაღაცის ფასზე გაჯიუტებულ გამყიდველს ევაჭრებაო.

ჭაღარამ ბიკენტის პირში ჩვარი ჩასტენა და ქსენიას ხელკავით გაჰყვა.

სათავსოს მსგავს ოთახში შევიდნენ. ქალმა ერთმანეთზე დაწყობილი ლეიბები გადმოყარა და ფულით სავსე ყუთი გამოაჩინა.

— ხომ ამდენი ფული აქვს, მე ახლოს არ მაკარებს; მევახშესავით ძუნწი და გაუმტარია, — მოიჩივლა ქალმა.

ჭაღარა ამდენი ფულის ნახვას ვერაფრით წარმოიდგენდა, ერთხანს დაიბნა, მერე დიდი ჩანთა მოაძებნინა ქალს, ფულით გაავსო. რაც დარჩა დიდ პარკში ჩააწყო. — ეს შენთვის გადამალე, რომ მაგ წუწკმა მექრთამემ ვერ მიაგნოს? ამის შემდეგ მისგან კაპიკიც აღარ დაგჭირდება, — უთხრა და ქალს პარკი მიაწოდა. ქსენიამ ის ფული ლეიბებს უკან გადამალა და ჭაღარას მადლობის ნიშნად ნაზად აკოცა.

ბიკენტის ოთახში შევიდნენ.

— ერთი რიტაული დამრჩა ჩასატარებელი, ციხეში დავიფიცე, რომ შენ ცოლი შენს თვალწინ უნდა!... — ჭაღარამ სათქმელი არ დაამთავრა, ბიკენტის პირიდან ჩვარი ამოაძრო. — რა იტყვი? შენი ნებართვის გარეშე ხელს არ დავაკარებ. თუ არადა ყელი უნდა გამოგჭრა! — ჭაღარამ დანა ხელში შეათამაშა. — ჰა, რას იტყვი?! — დანა ყელთან მიუტანა და მარცხენა ხელი პირზე მოუჭირა.

— რაც გინდა ქენი! — ძლივს ამოიხრიალა ბიკენტიმ.

ჭაღარას მწარედ გაეღიმა.

— რა ვქნა, ბიკენტი, გავიხადო? — ჰკითხა ქალმა.

— რას მეკითხები, მე რა შემიძლია სკამზე დაბმულს; რაც გინდა ისა ქენი!

— ნუ გეშინია, შენ თავს არ მოვაკვლევინებ! — ქალმა კაბის გახდა დაიწყო.

— არ გინდა, სხვა დროს იყოს! — ჭაღარა კაცმა ქალი შეაჩერა.

— რა, კიდევ აპირებთ მოსვლას? — რაღაც შეფარული მოლოდინით ჰკითხა ქალმა.

— შეიძლება, თუ ეს ნაოხირალა ქრთამის აღებით ვერ გაძღა! — ჭაღარა კაცმა ბიკენტის პერანგის შიგნით ასანთის კოლოფი ჩაუდო. — როგორც გატოკდები აფეთქდება. სანამ ეს ქალბატონი მობრუნდება, წყნარად იყავი, თორემ დააქვრივებ შენს ტურფას! — მუქარით უთხრა და ჩანთა ხელში აიღო — გაიგე?! — დააყოლა.

— გავიგე! გავიგე! — სასწრაფოდ უპასუხა ბიკენტიმ.

ქსენია და კოჭლი ჭაღარა კაცი ქუჩაში ისე მიდიოდნენ, ახლო ნათესავებს თუ არა დიდი ხნის ნაცნობებს მაინც ჰგავდნენ; ერთი შენობის კუთხეში ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

— ჩემზე ნაწყენი არ დარჩეთ, ქალბატონო, თქვენი ღორმუცელა ქმარი კიდევ ბევრს გაძარცვავს კანონის გაუკუღმართების ძალით; სამაგიეროდ ახლა თქვენ საკუთარი ანგარიში გექნებათ გახსნილი, — ხელი გაუწოდა. ქსენიამაც დაახვედრა თავისი და ნაზად აკოცა, თან დააყოლა: — კარგად იყავი, ნაწყენი სულაც არა ვარ.

სახლში რომ მიბრუნდა, ბიკენტი შიშით ოფლში ცურავდა, არ გავტოკდე და უცებ არ ავფეთქდეო. ქსენიამ ასანთის კოლოფი რომ ამოაცალა, მაშინ მიეცა გული და მკაცრად უსაყვედურა: — რა იყო, ქალო, მაშინვე კაბის გახდა რომ დაიწყე?!

— როგორც მახსოვს, შენ დართე ჩემი გაუპატიურების ნება, მე რაღა უნდა მექნა, დაკვლას გიპირებდა და... შენი გულისათვის გავწირე ჩემი პატიოსნება, — დააყვედრა ქსენიამ...

ლუკა სისტემატურად დადიოდა ვარჯიშზე, მაგრამ ცხოვრება ისე აირია, რომ აღარავის აინტერესებდა აღარც სპორტი და აღარც შეჯიბრები. ოჯახებში ნელ-ნელა მიძვრებოდა გაჭირვება. მიმხვეჭელობა, მექრთამეობა, განუკითხაობა ამ ქაოსში ლეშზე დასეული მატლებივით დაძვრებოდნენ. ხალხი ამ ცხოვრებას აღარ ეგუებოდა და რაღაც ახალი, უკეთესი მომავლის იმედით დიდი ინტერესით ასდევდა არაფორმალების მიერ მოწყობილ არეულობას. თანდათან პროდუქტების სიმცირემ იჩინა თავი. ბენზინის გასამართ სადგურებთან უზარმაზარი რიგები იდგა. იყო ჟამი ადამიანში მხეცის გაღვიძებისა. ჯერ კი როგორც დიდი ქარიშხლის წინ ნიავის ქროლვა, გამხეცების ეს სიმპტომები არავის არ აფრთხობდა, პირიქით უკეთესი ცხოვრების მოჩვენებას აყოლილები არსებულის განუკითხავი განადგურებით აჩქარებდნენ უბედურების გრიგალის დატრიალებას. ცხოვრება თანდათან იხევდა უკან, შემდეგში დამანგრეველი ინერციით რომ შეიჭრებოდა იმ ჯოჯოხეთში, რომლიდანაც თავის დაღწევა ადამიანთა განუხორ-

ციელებელ ოცნებად დარჩებოდა. ჯერ კი დრაკონი კვერცხიდან იჩეკებოდა და, როგორც ყველა პატარა, უვნებელ კრავად ეჩვენებოდა ხალხს სულ მალე ჯოჯოხეთის ცოფად რომ გადაიქცეოდა. გაჭირვება კი ოჯახებს ისე ეპარებოდა, როგორც ანაკონდა წყლის დასალევად მისულ შვლის ნუკრს.

პაპუნა დარბაზში კაედელთან მიდგმულ გრძელ სკამზე მოწყენილი იჯდა. ლუკა გვერდით მიუჯდა და თანაგრძნობით ჰკითხა: — რას დაღონებულხარ, რამე ხომ არ გიჭირს?

— რა ვიცი, ლუკა, ცხოვრება გაჭირდა, ბებია ჩემიც ავად გახდა... მოკლედ, ამ ცხოვრების უკუღმართობამ მეც მიწია და...

— ნუ გეშინია, შენს გვერდით მიგულე, უფრო თამამად დავხვდებით უკუღმართობას, — ღიმილით უთხრა, — საღამოზე შენი ბებიის სანახავად მოვალ; ყველაფერი კარგად იქნება, — გაამხნევა. მხარზე მეგობრულად მოუთათუნა ხელი და ადგა...

ლუკა საღამოთი პაპუნას ესტუმრა, ბებია მოინახულა, პატარა სუფრა გაშალეს, ღვინო დალიეს, გამხიარულდნენ.

წასვლის დროს ლუკამ რაღაც შეკვრა დატოვა. ეს ჩემი მეგობარი პაპუნას ბებიის წამლობისა და მომსახურებისათვისო, თქვა და ისე სწრაფად წავიდა, სიტყვის თქმა ვერ მოასწრეს.

პაპუნას ბებიის ბინის გაყიდვა უნდოდა, მაგრამ რადგან ლუკა ცხოვრობდა იქ, მიუხედავალდ უკიდურესი საჭიროებისა, პაპუნა არაფრით არ აკეთებდა ამას.

ლუკას წასვლის შემდეგ ამანათი რომ გახსნა, პაპუნამ გაკვირვებისაგან თვალები გააჭყიტა: — ამ ფულით ჩემი ბაბოს ბინისთანა ოთხი ბინა მოუვიდოდა, — ჩაილაპარაკა.

— ეგ რა ღვთისნიერი ძმაკაცი გყოლია, შვილო! — პაპუნას ბებიამ ნათქვამს ლოცვა-კურთხევა დააყოლა.

— ხომ არ გაიგო, რომ ბინის გაყიდვა გვინდოდა? — პაპუნას დედამ იკითხა.

— არა, დედა, წამომცდა, გამიჭირდა-მეთქი და ნახე რა ჩაიდინა?

— ახლა მისმინე, შვილო: ბინის გაყიდვა გვინდოდა, ოთხი

ბინის ფულზე მეტი გვაჩუქეს, რა გვეკუთვნის ჩვენ? – იკითხა ბებიამ...

მეორე დღეს პაპუნამ ლუკას ცოტა ხნით პასპორტი სთხოვა. ორი დღე არ გამოჩენილა. მესამე დღეს ლუკასთან მივიდა და ბებიის სახლში წასვლა სთხოვა, იქ კი საზეიმოდ გადასცა ბინის ლუკაზე გაფორმების საბუთი.

– ამიერიდან საკუთარ ბინაში იცხოვრებ, – ღიმილით უთხრა და ძმურად გადაეხვია.

– არა ძმაო, ამგვარ საჩუქარს არ მივიღებ და შენს ბებიას უბინაოდ ვერ დავტოვებ; თუმცა შეუძლია თავი შვილიშვილად მიმიღოს, – ლუკამ ქაღალდის უკან დაბრუნება სცადა.

– ლუკა, ამ ბინას შენი ხათრით არ ვყიდიდი, თორემ გადაწყვეტილი მქონდა მისი გაყიდვა. ბოლოსდაბოლოს იმდენი ფული გვაჩუქე, ოთხი ბინა მოგივიდოდა, მე რატომ იმის ღირსად არა მთვლი, რომ ბინა გაჩუქო?! მე კაცობამ მაშინ მიმტყუნა, რომ ფულის ჩუქებამდე არ გავაკეთე ეს, ჰოდა, ხმამაღლა ვაცხადებ: შენხელა კაცთმოყვარეობამდე ამაღლებას ბევრი მიკლია.

ლუკას გაეღიმა, ხელები გაშალა და პაპუნას გადაეხვია.

– ახლა კი გვეკუთვნის რესტორანში ჩავაქროთ ბებიის საჩუქრით აშლილი ემოციები, – თქვა ლუკამ. – მაღარიჩიც მე მეკუთვნის...

დიდხანს ისხდნენ რესტორანში, ტკბილად ისაუბრეს, შეზარხოშდნენ, ძმობის და ურთიერთ პატივისცემის ემოციები დააცხრეს; ღიღინით გამოვიდნენ რესტორნიდან...

ახლა ლუკა ვიწრო ქუჩით მხიარულად მიდიოდა კლარასთან. წინ მინოსას სამი ძმაბიჭი შემოხვდა.

– როგორ ხართ, ბიჭებო? – ნაქიეფარი ლუკა მხიარულად მიესალმა.

– როგორ უნდა ვიყოთ, მინოსა დაიჭირეს.

– რათა, რა ჩაიდინა?

– ბიკენტ ანტონიჩი ხომ იცი, ჩვენი რაიონის პროკურორი, ტყუილად რაღაცა დააბრალა და შეაგდო კამერაში. დღეს ცალკე

დაუკითხია და უთქვია, კოჭლი, ჭაღარა ყაჩაღი შენ მომიგზავნე, ახლა გაჩვენებ სეირს, ისეთ საქმეებს წამოგკიდებ, აზრზეც რომ არა ხარო. მინოსა გაგიჟებულია, ბიკენტ ანტონიჩს თავისი ბინის დაყაჩაღების გახმაურება არ უნდა, სხვა რაღაც შეთითხნილ საქმეს ჰკიდებს; არადა აზრზე არა ვართ, ვინ დააყაჩაღა ბიკენტი.

ლუკა ჩაფიქრდა. ჭაღარა კოჭლი მივიდეს ბიკენტისთან ბინაზე და დაემუქროს, რომ მინოსა გაანთავისუფლოს. არა, ამით ეჭვს აღძრავს, თითქოს ის ჭაღარა მინოსასთან კავშირში იყოს. არადა...

— როგორ უნდა ვუშველოთ მინოსას? — იკითხა.

— გამომძიებელთან სანდო კაცი მივაგზავნეთ, დაიბარა: ბიკენტი არ ვიცი მე, ასი ათასი მანეთი მოიტანოს და გამოვუშვებო. კარგად ვიცით, რომ ბიკენტისთან შეკრულია. არადა მაგხელა ფულის შოვნის ვარიანტი არ არის.

ლუკა კარგა ხანს მდუმარედ იდგა?

— ახლა ჩვენ წავედით, — ბიჭებმა წასვლა დააპირეს.

— მოიცათ, იმ გამომძიებელს ფულს ვინ მიუტანს? — იკითხა ლუკამ.

— სანდო კაცი.

— ახლა წადით და ის სანდო კაცი ნახეთ, ხვალ საღამოთი შეპირებული ფული ექნება. ზეგ თუ მინოსა გარეთ არ გამოიყვანა, ის სანდო კაცი და თვითონ გამომძიებელიც მიქელ-გაბრიელთან მოიკითხონ თავიანთმა პატრონებმა, გაიგეთ?

ბიჭები გაოგნებულები იდგნენ.

— რას მიყურებთ, ვერ გაიგეთ, რა ვთქვი?!

— როგორ არა, მაგრამ რა ვქნათ?

— სასწრაფოდ ნახეთ სანდო კაცი, გამომძიებელს მოელაპარაკოს. თუ ყველაფერი კარგადაა, ხვალ საღამოს ჩემგან მიიღებს შეპირებულ ფულს, ზეგ კიდევ მინოსასთან ერთად ვიქეიფებთ.

— ხვალ საღამოთი სად განახოთ?

— კლარას ბინაზე დაგელოდებით ხვალამდე, — ლუკა ბიჭებს გამოეთხოვა...

ორი დღის შემდეგ კი მინოსას და მის ძმაკაცებთან ერთად

რესტორანში მინოსას განთავისუფლებას ზეიმობდა.

ქვეყანა ნელ-ნელა ეფლობოდა სახალხო ქონების დატაცება-განადგურების ქაოსში, რომელიც ეროვნული მოძრაობის ლოზუნგით ანტიეროვნული ადამიანების ხელით კეთდებოდა. დავარაშვილის წინასწარმეტყველება თავისი სწორი გზით მიდიოდა. ხელისუფლებაში თუ სხვა ხელმძღვანელ პოსტებზე გამძვრალი კომუნისტებად წოდებული მედროვე პარაზიტები ხალხის ქონების დატაცებით გასუქებულნი სტარტისთვის მზად იყვნენ ახალ, სავსებით განსხვავებულ მანტიაში შესაძრომად. ხედავდა ყოველივე ამას ლუკა და გული სწყდებოდა, რომ ახლა ქვეყანაში არ იყო ძალა, რომელიც ამ საშინელებას წინ აღუდგებოდა. თუ კიდევ სადმე იყო ლუკას მსგავსი სასიკეთო რწმენის ერთგული სულიერი ეს უკუღმართობის ქარიშხალი ოკეანეში ჩაკარგულ ნაფოტივით ათამაშებდა.

ლუკა ქუჩაში ჩაფიქრებული მიდიოდა ოკეანის ტალღებზე მოქანავე ნაფოტის განცდით. აკშარად გრძნობდა უბედურების ქშინვას, რაც ქვეყანას ემუქრებოდა, მაგრამ ვერაფრით შეეძლო ამის შეჩერება,. რამეთუ ხალხი მოლასგან შეცდენილი მრევლივით თვითონ მიძვრებოდა ამ განსაცდელში უკეთესი მომავლის იმედით. ლუკას ოცნება პატიოსანი შრომა და ბედნიერი ოჯახის სითბო იყო. თანამდებობრივი გაწამაწია და გაბღენძილი ბატონკაცის ამბიციები გულს ურევდა. მას შეეძლო ყველაზე წარმატებული კარიერისტი და მომხვეჭელი ყოფილიყო, არმად მოხვეჭილი ფულით პურმარილებზე ღრეობასა და თავის მოწონებაშიც ვერავინ აჯობებდა, მაგრამ მას პატიოსანი შრომით მოპოვებული უბრალო ბედნიერება ენატრებოდა, ესაც იმ შემთხვევაში, როცა ირგვლივ ყველა ბედნიერი და ცხოვრებისგან კმაყოფილი იქნებოდა. სხვათა უბედურების მორევში მოცურავე ბედნიერებაში ცხოვრება კი მხოლოდ სიცოცხლეშივე გარადცვლილთა პირვილეგია იყო. რაც უფრო ღრმავდებოდა ჯუნგლების განუკითხაობაში ერთ დროს ნორმალური ურთიერთობა ადამიანთა შორის, მით უფრო მატულობდა სიცოცხლეშივე გარდაცვლილთა რიცხვი, საკუთარი

კეთილდღეობა და გაუმაძღრობის ავხორცობა. თანამემამულეთა უბედურებაზე რომ აუშენებიათ. იღვიძებდა ადამიანში დამცრობილი და დაჩაჩანაკებული მხეცი ადამიანში ადამიანობის მოსასპობად. იღვიძებდა რათა სიცოცხლეშივე გარდაცვლილთა გაუმაძღრობას გადაეჭამა ადამიანში ადამიანურობის მიერ შექმნილი სიკეთე. – არ მოკვდე სანამ ცოცხალი ხარ! – უნებლიედ ხმამაღლა შეუძახა საკუთარ თავს ლუკამ. – უცებ შეკრთა, მიიხედ-მოიხედა არავის შეუმჩნევია მისი ამგვარი დავა საკუთარ თავთან. ფიქრის ძაფი გაუწყდა და მისი გადაბმა აღარ უცდია.

ვიღაც ქალი ჩქარი ნაბიჯით დასცილდა, კარგა მანძილზე გაასწრო, ახლა საპირისპიროდ მომავალი ლუკას დაჟინებით დააკვირდა, გასცდა, მობრუნდა და ლუკას უკან გაჰყვა; კარგა ხანს სდია, ბოლოს ახლოს მივიდა და ხელი გაუყარა.

– გამარჯობათ! – ქალი უღიმოდა.

– გამარჯობათ! – ლუკამ ისე შეხედა, ვითომ ვერ იცნო, არადა პროკურორის მეუღლე ქსენია იყო.

– ვერ მიცანით?

– ბოდიში, მაგრამ ვერა, ქალბატონო!

– მე თქვენ რესტორანში გნახეთ მშვენიერ ქალთან და ძმაკაცებთან ერთად. პროკურორ ბიკენტისთან ერთად ვიყავი; მარინა და შალვაც იქ იყვნენ.

– შეიძლება, – ლუკამ დაბნეულად უპასუხა.

– ერთად ხომ არ გავისეირნოთ?

– გავისეირნოთ.

– რესტორანში მაშინ გავიგე, რომ მარინა და შალვა შენი თანაკლასელები ყოფილან. ვიღაც მინოსას დაავალეს შენი დაბმა და იმ ქალის შენს თვალწი გაუპატიურება.

– ვინ დაავალა?

– ჩემმა მეუღლემ შენი თანაკლასელების გულის მოსაგებად გასცა ამგვარი დავალება.

– მერე?

– მერე ის, რომ დავალება არ შესრულდა. სამაგიეროდ ამას

წინათ ჩემი ქმარი, ბიკენტი დააბეს და მე კინაღამ გამაუპატიურეს.

— რატომ კინაღამ?

— იმიტომ, რომ დამბული შენსავით კეთილშობილი აღმოჩნდა. იმდენი ფული დამიტოვა, სად დავხარჯო არ ვიცი, ბიკენტის კი ჩემთვის კაპიკიც არ ემეტებოდა; ახლა იმდენი ფული მაქვს, ვერ დათვლი.

— მე რატომ მეუბნებით ამას?

— შენგან მინდა სწორედ...

— ჩემგან რა გინდა?

— სეირნობის შემდეგ თუ სახლში მიმიპატიჟებ, მადლობელი ვიქნები, კარგი? — ქალი ვნებიანად მიეკრა.

— ბიკენტი რომ გაგიბრაზდეს, — ირონიული ღიმილით უთხრა ლუკამ.

— ბიკენტი სახელადაა კაცი, შინაარსით კი ვაგლახია.

— ალბათ ვაგლახის ცოლობა ვაგლახ ქალს უნდა ენატრებოდეს.

— მე შემატყე რამე ვაგლახის?!

— პირველად გხედავ და რა ვიცი...

— პირველად მხედავ?! — ქალი ჩაფიქრდა. — კარგი, შენთან წავიდეთ, იქნებ ბიკენტი რომ აღარ იქნება, უარი აღარ თქვა... სხვა დროს კი ჩემთან შევხვდეთ, — ქალი ისე უყურებდა, მის გულში ნადების გამოცნობა ძნელი არ იყო.

— რაზე ვთქვი უარი?... — ლუკა დაიბნა, მიხვდა, რომ ჭაღარა ყაჩაღი ქალისთვის გამოცანა არ იყო.

— მაგას შენთან გეტყვი. არა მგონია ამაზე უარი მითხრა, სულაც არა ვარ დასაწუნებელი ქალი; თანაც შეხვედრის გარდა სხვა არაფრის პრეტენზია არა მაქვს. წავიდეთ! — ლუკას მკერდით მიეკრა. — ჩქარა წავიდეთ, არავინ დაგვინახოს, — დაუმატა.

პაპუნას ბებიისეულა ბინაში შევიდნენ, ქსენიამ ოთახი მოთვალიერა, მერე ლუკას მოეხვია და აკოცა.

— ჩემი ხელით ვიხდიდი და უარი თქვი. ისე კი კარგი იქნე-

ბოდა ბიკენტისათვის რქები მის თვალწინ დაგვედგა.

ლუკა ქალის მოცილებას აპირებდა, მაგრამ რაც მოისმინა, ამის შემდეგ მის წყენას მოერიდა. ქალი კი დიდი ხნის უნახავი შეყვარებულივით ეფერებოდა. მორჩა, სურვილი დაიკმაყოფილა, ახლა სავარძელში მიბნედილი იჯდა.

— ჩემი ხელით ვიხდიდი და უარი თქვიო, როდის იყო ეს? — ლუკამ გაკვირვებით ჰკითხა.

— გულმავიწყობა დასაძრახი სულაც არ არის, როდესაც იგი კეთილ განზრახვას ემსახურება, — ჩაილაპარაკა ქალმა და გააგრძელა: — ერთი ჭაღარა კოჭლი ტიპი ისეთი კეთილშობილი და ვაჟკაცური მომეჩვენა, რომ ალინას დახასიათების შემდეგ შენ მეგონე; თანაც ბიკენტიზე შურისძიების მიზეზიც გქონდა და... — ქალს ირონიულად გაეღიმა.

— მაგ ამბავს შენი ქმარი მინოსას აბრალებდა და სულ სხვა ბრალდებით დააჭერინა კიდეც.

— ბიკენტი არაკაცია და მეც ჩემებურად ვუხდი სამაგიეროს. დღევანდელი შეხვედრის შემდეგ ჩემს თანამოაზრედ გთვლი; როცა მომენტი დამიდგება, ბიკენტის საწოლში ჩავატაროთ ალერსის გამოცდა, — ქსენია ადგა — ახლა წავედი. გარეთ ნუ გამომყვები, როცა საჭირო იქნება, მე თვითონ დაგიკავშირდები, — ლუკას მოეხვია, მოეფერა და წავიდა...

კლარას ლუკას დანახვა ოცნებად რომ ჰქონდა, ახლა ყოველ დღე გვერდით ჰყავდა, ვერაფრით ვერ დაეჯერებინა, რომ ეს სინამდვილე იყო და ბედნიერების განცდით ლუკასთვის სიხარულის მინიჭების სურვილით დნებოდა.

ლუკამ იმდენი ფული მიუტანა გოგო გაოგნებული იყო. — სადაც გაჭირვებულს, მშიერს და დავრდომილს ნახავ, დაეხმარე. ეს კანონით აღჭურვილი ყაჩაღის და გამომძალველის ფულია; ჩვენ კი როგორც შევძლებთ ისე ჩავამწაროთ პარაზიტებს გაუმაძღრობა, — დამოძღვრა, მაგრამ გაკვირვებულ კლარას ამით სარწმუნო ვერაფერი გააგებინა, არც ის უკითხია, ამდენი ფული საიდანო.

ლუკას სოციალური კეთილდღეობის, სამართლიანობის და პატიოსნებისათვის ბრძოლის ცეცხლი უნელდებოდა. ჰხედავდა, ცხოვრება უსამართლობის, ძალადობის, თვალთმაქცობის, მომხვეჭელობის, კარიერისტ მედროვეთა მოჩვენებით პომპეზურობის ჭაობში როგორ იძირებოდა და არავითარი ძალა არ ჩანდა მის შესაჩერებლად; ის მარტო იყო თავის პრინციპებთან და პატიოსნებასთან. ბევრი თანაუგრძნობდა, მაგრამ ხალხის კეთილდღეობისათვის თავის ზვარაკად მიტანას ამქვეყნიურ არსებობისათვის ცოდვილობას არჩევდნენ. ცხოვრება გათითოკაცების გაპირუტყვებაში ისვრებოდა და თან მიჰყავდა მასა იმ ადამიანებისა ადამიანურობის პირობებში სიკეთის, პატიოსნების და კაცთმოყვარეობის სამსახურში რომ იქნებოდნენ.

ასე აქცია ფაშიზმმა უამრავი გერმანელი მკვლელად. ფაშისტური პროპაგანდის ისტერიას აყოლილები ჰაილ ჰიტლერის ღრიალით კაცობრიობის უბედურებად რომ იქცნენ, უფრო დიდი განსაცდელის წინაშე კი თვითონ გერმანელი ერი დააყენეს. არ გამოჩნდა ძალა, ხალხი რომ გამოეფხიზლებინა ნაცისტური ბანგისაგან. პირიქით, რაც უფრო უახლოვდებოდა ფაშისტებს კატასტროფა, უფრო გაცოფებით ეჭიდებოდნენ ხელისუფლებას და ამ უბედურებას გერმანელ ხალხს აბრალებდნენ.

იღუპებოდა ხალხის თანასწორობის და კეთილდღეობის ნათელი რწმენა, მომხვეჭელობა და ძარცვა-რბევის ველური ჟინი ეუფლებოდა ადამიანთა შეგნებას. ლუკა ის უბრალო კაცი იყო, რომელსაც პატიოსანი შრომა, წყნარი და უშფოთველი ყოფა სურდა ყოველგვარი ზედმეტი ფუფუნების გარეშე, იმ პირობებში, როცა ყველა კარგად იცხოვრებდა, თორე როცა ირგვლივ გაჭირვება და უბედურებაა უაზრობაა და მოჩვენებითია ფუფუნებაში ნებივრობა.

კომუნისტური პარტიის წევრობა პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა მედროვეთა ხროვას და ყველა იქ შემრომას ცდილობდა თბილი და მსუყე თანამდებობის მოსანადირებლად. „ადამიანი უნდა შრომობდეს პატიოსნად და ამგვარ გაწამაწიაში

ენერგიას არ უნდა ხარჯავდეს, ვინც რას იმსახურებს, ის უნდა მიიღოს სამართლიანი და პატიოსანი ცხოვრების პირობებში“, ფიქრობდა ლუკა და სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ მყვირალა კანონიერების და თანასწორობის პროპაგანდის უკან ძალადობა და განუკითხაობა მძვინვარებდა. ამ ცხოვრების სასიკეთოდ მობრუნება შეუძლებელი იყო, რამეთუ ადამიანებს რაღაც სიგიჟის მსგავს ანარქიისკენ სწრაფვა დაუფლებოდა. დავარაშვილი გაახსენდა, სოციალური კეთილდღეობის და თანასწორობისათვის კაცობრიობის გონების მომწიფებას, ალბათ, კიდევ ბევრი საუკუნე დასჭირდება, თუ მანამდე ადამიანებმა თვითონ არ ამოჭამეს ერთმანეთი. ადამიანში გამძლავრებული მოხვეჭის და გამხეცების ინსტიქტს, რომელიც მრისხანე ძალის ზემოქმედებით დაკნინებული იყო, ახლა მისი აღარ არსებობს პირობებში ველარაფერი ველარ შეაკავებდა. ეს და მისი მომდევნო თაობები, მხოლოდ განგებამ იცის რამდენი ხნით, მოხვეჭის ველურ განუკითხაობაში სატანჯველად იყო განწირული, სანამ არ დაამცრობდა მის შეგნებაში გაღვიძებულ მხეცს. კაცთმოყვარეობის და ცივილიზებული კაცობრიობის ოცნება თანასწორი და ბედნიერი ცხოვრებისა საპნის ბუშტივით ქრებოდა...

გრამიტონი ქიტესას ალაყაფის კარებიდან სახლამდე სირბილით მივიდა. იქაურობა დაათვალიერა, ხომ არავინ დამინახაო და ბინაში ქურდულად შეძვრა. თებრო ღრეჭით შეეგება, მაგრამ მასთან ღლაბუცის სურვილი კი არა, ენის მოტრიალებას ვერ ახერხებდა; თებრო ხელის კვრით მოიშორა და საწოლზე მიეგდო.

შუადღე გადავიდა. გრამიტონი ისევ ისე გაუხდელად იწვა. თებრომ გააღვიძა: — წრიპო მოვიდა, ხომ არაფერში ვჭირდებიო.

— სად არი?! — გრამიტონი გიჟივით წამოხტა. სახლში შემოსულ წრიპოს ეცა. — ახალი ამბავი ხომ არაფერია?

— არაფერი, რომ არ გამოხვედი, მოგაკითხე, — მიიღო პასუხი.

— ჯერ არავის გაუგია. აბა, წავიდეთ მინდორში! — გრამიტონი გარეთ გაძუნძულდა.

„ამდენი ხანი თუ იქ არიან დაკიდებულები, დაიხრჩობიან ნამდვილად“, — ფიქრობდა და წრიპოს ქიტესას ბინისკენ აჩქარებდა.

როგორც ქოხს მიუახლოვდნენ, წრიპომ ყვირილი დაიწყო: — ვიღაცეები ჩამოუხრჩვიათ!

— იქნება მე არ მოვიდოდი, თვითონ არ უნდა ჩამოსულიყვნენ?! — აბუზღუნდა გრამიტონი.

— ხითავა და ჭიმიაა, აგერ ჭიმიას მანქანაც! — წრიპომ თავისი მანქანა საჩეხთან მიაყენა.

თვალებგადმოკარგლულ, ენაგადმოგდებულ სახეებს რომ შეხედა, გრამიტონი გაბრაზდა: — მე რას მეღრიჯებით, მეჩქარებოდა, „ტაჩკა“ უნდა მიმეტანა ქიტესასთან, ბიჭოს! თქვენ რაღაც მელოდებოდით, ვერ ჩამოხვედით;-

— რა „ტაჩკა“ უნდა მიგეტანა, ან ჩამომხრჩვალი კაცები თვითონ როგორ ჩამოვიდოდნენ?! — გაკვირვებული წრიპო გრამიტონს მიაშტერდა.

— მიდი, მიეხმარე, ხომ ხედავ, თავისით ჩამოსვლას ვერ ახერხებენ! — დაავალა და ოთახში შევარდა; დაბნეული წრიპო უკან მიჰყვა.

გრამიტონი მაგიდაზე დაყრილ ქაღალდებს ეცა.

— აქ არის, აქ! ჩემი ბრალი არ არი, თვითონა წერავენ თავი უნდა ჩამოვიხრჩოთო! — იყვირა და ფურცლები მუჭით მოხვეტა.

— შენ რა იცი, შიგ რა წერია, ჯერ ხომ არ წაგიკითხია, — წრიპომ ქაღალდის გამორთმევა სცადა.

— წადი, ისინი ჩამოხსენი! მე აქ რას მომჩერებიხარ, ჩამოკიდებულები ისინი არიან! — აღრიალდა გრამიტონი.

წრიპო გარეთ გავარდა.

გრამიტონმა ქაღალდების კითხვა დაიწყო.

— თვითონ ჩამოუხრჩვიათ თავი, მაგრამ ჩემზე რაღად წერენ, მოკვლა გრამიტონმა დაგვავალა?! — მიშტერებოდა და ერთსა და იგივეს იმეორებდა.

წრიპომ თოკები შეაჭრა და ორივე ხმაურით დაასკდნენ მიწას.

შეშინებული გრამიტონთან შევარდა: — რომელიც ხელში ქა-

ღალდებს ატრიალებდა და ერთსა და იგივეს გაუთავებლად ბუტ-ბუტებდა: — მე რა შუაში ვარ, მე როდის დავავალე მოკალითო.

— ვისი მოკვლა დაავალე? — წრიპომ ჰკითხა.

დიდხანს იდგნენ მდუმარედ. ბოლოს ისევ წრიპომ ამოიღო ხმა: — იმათ რა ვუყოთ?

— ჭიმიას მანქანაში ჩავსხათ და შენ სოფელში წაიყვან.

ორივე ჭიმიას მანქანის უკანა სავარძელზე ვაი-ვაგლახით მოათავსეს.

— ახლა დაჯექ და ესენი თავიანთ სახლებში ჩამოარიგე! — დაავალა წრიპოს.

— მეშინია, ამათთან მარტო ვერ დავჯდები! — წრიპო გაჯიუტდა.

— მიდი, მე უკან მოგყვები! — უყვირა, ძალათი დასვა საჭესთან და კარები მიუხურა; თვითონ მეორე მანქანით უკან მიჰყვა. მინდ-ვრის გზას როგორც გასცილდნენ, წრიპოს მანქანას გაასწრო, სახლში მივიდა, ოთახში ჩაიკეტა და ქაღალდების კითხვა დაიწყო.

— ეხ, ჩემზე რომ არ დაეწერათ, სამივე მუჭაში მეყოლებოდა, — გრამიტონმა გაბერილი თითები მოკეცა.

— ქაღალდები მე მაქვს, ჩემზე ეჭვს ვეღარ აიღებენ; ახლა შალვას ვეტყვი, ეგენი ჩამოახრჩობდნენ-მეთქი, ისაც დაიჭერს და ცემა-ტყეპაში რასაც უნდა, იმას აკისრებინებს, — ქაღალდები კარ-გად დაკეცა და ლეიბის ქვეშ ამოდო. იმედიანი ღიმილით წამოდგა ფეხზე და ჩანაფიქრის წარმატებაში დარწმუნებული გაიჭიმა.

წრიპომ ხითავა და ჭიმია თავიანთ ოჯახებში ჩამოარიგა, აწივლებულ ჭირისუფლებს ხელების ქნევით რაღაც აუხსნა და გრამიტონის სანახავად წავიდა...

იმავე დღეს გრამიტონი უკვე რაიონის პროკურორ-შალვასთან იჯდა და საიდუმლოდ უყვებოდა მისი ერთგული ადამიანების ჩამოხრჩობის შესახებ: — მაგ საქმეში ნამდვილად ზაურა და ჯაგარა ურევიან; მთავარი კი ლუკაა, მისი დავალებით მოხდა ყველაფერი, — პირზე ხელის მიფარებით უჩურჩულა.

— რა საბუთი გაქვს? — შალვა სკამიდან წამოხტა.

— საბუთი არა, მაგრამ ინტუიცია მეუბნება.

— შენს ინტუიციას ხომ არ ჩავაკერებ საქმეში!

— ინტუიციას რათა, დაიჭირე, კამერაში გვერდები დაუზილონ და თუ გინდა ედუარდ შევარდნაძის მოკვლას დაიბრალებენ.

— სუ, რას ამბობ, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრზე მაგის თქმას როგორ ბედავ?! — შალვამ შიშით კარებისაკენ გაიხედა.

— მერე რა, როცა იქნება ხომ... — გრამიტონს უნდა ეთქვა, მოკლავენო, მაგრამ გადაიფიქრა, — როდისმე ხომ მოკვდება.

— თუ მოკვდება, ეგენი რა შუაში არიან.

— საქმეც მაგაშია, ძალა ხომ გაქვს, ვინ გედავება, ქოთანს ყური საიდან მოაბა.

— გრამიტონ, ძალა მაქვს, მაგრამ საქმე ისე უნდა მოაკვარახჭინო, რომ ხალხს ტყუილი მართალად მოაჩვენო.

— ვინც ხმას ამოიღებს, ისაც მაგათ მიაყოლე.

— შენ მართალი ხარ, მაგრამ მაინც პატარა ოინბაზობაა საჭირო. შენ ეგ მითხარი, ჯაგარა ძველებურად უბერავს?

— უბერავს კი არა, ლუკას მარჯვენა ხელია, ყველას აშინებს; მეც ამიხტება ხოლმე.

— ზაური როგორღა იქცევა? დავემუქრეთ და კარგადაც მოიკუნტა.

— მოიკუნტა კი არა, ლუკასთან გვერდით როცაა სატანად იქცევა ხოლმე; ჩემი ბიჭები მაგათ ჩამოახრჩეს, მიდი, დედა უტირე!

— შენ რაღაც იცი და არ მეუბნები.

გრამიტონი ცოტათი შეფიქრიანდა, ჩემზე ხომ არაფერი გაიგოო. ეჭვი მოთოკა და თამამად უთხრა: — ხომ გითხარი, გუმანი მეუბნება, ეგენი ჩვენი მტრები არიან, ჰოდა, მომენტი მოგეცა, მიდი, მიაწექი!

— მივაწვები კიდეც! — შალვამ მაგიდას მუშტი დაარტყა...

პირველად ჯაგარას დაესხნენ თავს. ჩხრეკისას პისტოლეტის ვაზნები, პორნოგრაფიული კასეტა, ბაღჩაში დაგდებული ღილაკიანი დანა აღმოაჩინეს? ნახევარი ტონა ხორბალიც დაუმატეს და

ახლა ესენი საიდან ჰქონდა აზუსტებდნენ: – ვაზნები კი გიპოვნეთ, მაგრამ პისტოლეტი სად დამალე?! – დამცინავად შეუბღვირა გამომძიებელმა.

– შენ ბალღობაში თავი კედლისთვის ხომ არ მიგირტყამს?! – ჯაგარამ შეუტია.

– მაგას რად კადრულობ!

– იმიტომ ვკადრულობ, პისტოლეტი შენა გკიდია და ეგ ვაზნებიც შენია.

– აბა, ხალხს რომელი პისტოლელით აყაჩაღებ?

– ჩემი პისტოლელტი დასაყაჩაღებლად არ გამოდგება.

– აბა რაში იყენებ?

– შენი ცოლის მსგავსების დასაგრიალებლად; არც დედაშენს აწყენდა, ნაბიჭვრები რომ არ დაეყარა, შენი დედაა!!! – ჯაგარამ გინებას სარუთლებიც მოუმატა და გამომძიებელი ისე გაიგდო წიხლქვეშ, რომ ვაზნები კი არა საკუთარი კბილები და დაჟეჟილი გვერდები გაუხდა საგლოვი.

მილიციელები ამგვარ კადნიერებას არ მოელოდნენ, დაბნეულები ჯაგარას მიესივნენ, მანაც მუშტები დაატრიალა. ერთმა მილიციელმა ზურგით კარები გაიტანა და კიბეზე გაიშხლართა, მეორე ფანჯრიდან გადავარდა, დანარჩენებმა იატაკზე გაშხლართული გამომძიებელი მიატოვე და გარეთ გაცვივდნენ. ჯაგარამ ამით ისარგებლა, უკანა კარიდან გავიდა, მეზობლის ღობეეს გადაევლო და სახლის უკან ფერდობზე ბუჩქნარში გაუჩინარდა; მისი დადევნების სურვილი აღარავის ჰქონდა...

ლუკა პაპუნას ბებიისეულა ბინისაკენ ჩაფიქრებული მიდიოდა, საფიქრალი კი ბევრი ჰქონდა. ახალგაზრდული ოცნებები საპნის ბუშტივით უქრებოდა. აგრონომის სპეციალობა სოფლის მეურნეობის აყვავებაში თავისი წვლილის შეტანის სურვილმა აფიქრებინა. რამდენი ახალგაზრდა ჩაება ცხოვრების ფერხულში ლუკასავით სასიკეთოდ შემართული და ახლა დაბნეულები უკანონობის, თვალთმაქცობის, დატაცება-მოხვეჭის და სიცრუე-ცილისწამების ყბადაფჩენილ ხახაში ფართხალებენ. ლუკას ეგონა, ეს

ყველაფერი მანკიერებები ბნელ დ გაველურებულ წარსულს გა-ჰყვა, წინ კი მხოლოდ ნათელი და შემოქმედებითი შრომით საა-მურად ქცეული ცხოვრება ეგულებოდა. – რა საშინელება ხდება! – შეშფოთებულმა ხმამაღლა წამოიძახა. მიმოიხედა, ხომ არავინ მისმენდაო. მარტო იყო და ფიქრი გააგრძელა: „ეს მხოლოდ უბე-დურების დასაწყისია, განუკითხაობის ქარიშხალი მერე იქნება“.

ვიღაც ბიჭმა ქალის ჩანთით წინ გადაურბინა და მოსახვევში გაუჩინარდა, მას წივილით ქალი მისდევდა: – არ გაუშვათ, ჩანთა გამტაცა! ღმერთო ჩემო, საბუთები მქონდა შინ, დავიღუეე! – ქალი ყვიროდა და მთელი შესაძლებლობით გარბოდა.

ლუკა უცებ ადგილს მოსწყდა, ქალს გაასწრო და როცა ბიჭი რომელიღაც ეზოში უნდა შევარდნილიყო, ხელი სტაცა. ბიჭმა გაიბრძოლა, მაგრამ ვერ გაეშვა.

– უხ, შე სასიკვდილევ! – ქალი მასთან მიიჭრა და ბიჭს ცემა დაუპირა.

ლუკა გადაეღობა.

– ამას მე მოვუვლი, ქალბატონო, აი თქვენი ჩანთა, ნახეთ, ხომ არაფერი გაკლიათ.

ქალმა ჩანთა გამოართვა, შიგთავსი შეამოწმა, ყველაფერი ადგილზე დახვდა.

– ახლავე მილიციას გამოვუძახებ, რომ ეს გარეწარი ციხეში ჩაალპონ! – ისევ დააპირა მისი ცემა.

– წაბრძანდით, ქალბატონო, ამ ბიჭს მე მივხედავ, – ლუკამ საშუალება არ მისცა ბიჭისთვის ჩაერტყა.

– შენ ვინა ხარ, რომ მიხედო- ამას მილიცია მოუვლის რო-გორც ეკადრება, ან იქნებ ამის მსგავსების მფარველი ხარ?! – ქალმა ახლა ლუკას შეუტია.

– ქალბატონო, თქვენ იმას აკეთებთ, რომ შემდგომში ჩანთა-გატაცებულს აღარავინ გამოექომაგება. სიკეთეს უმადურობით ნუ პასუხობთ, თორე უმადურობამ უბედურებად იცის გადაქცევა, – ლუკამ ქალს ისე შეხედა, რომ უმადურობის სურვილი ხელად გაუნელა.

— დიდი მადლობა! — თქვა და იქაურობას გასცილდა.

თითქოს იმ ქალის წასვლას ელოდებოდაო, ლუკას პატარა გოგო ეცა.

— გაუშვი ხელი, გაუშვი! დედა ავადაა, საჭმელი არა გვაქვს. გაუშვი ხელი, გაუშვი! — გოგო აღრიალდა.

ლუკამ ბიჭს ხელი არ გაუშვა, გოგო მეორე ხელში აიყვანა და ჰკითხა: — სადაა ახლა დედაშენი?

— სახლში წევს, — ცრემლების წმენდით უპასუხა გოგომ.

— აბა, წავიდეთ, თქვენი დედიკოს სანახავად.

— მე არ წამოვალ, რომ უთხრა, ჩანთას იპარავდაო, დედა უფრო ცუდად გახდება, — ბიჭი გაჯიუტდა.

— ნუ გეშინია, დედას არაფერს ვეტყვი, თუ სჭირდება წამლებს მოვუტან, — დაამშვიდა ლუკამ...

ბავშვების დედა ოთახში ტახტზე ჩაცმული იწვა. ლუკა ბავშვებთან ერთად ოთახში რომ შევიდა, ქალი წამოჯდა. გამხდარს და ფერმკრთალს რაღაც მძიმე ნაღველი ჩაგუბებოდა თვალებში.

— რა მოხდა? — შეშინებულმა იკითხა.

— არაფერი, ქალბატონო, ეს გოგონა ტიროდა, დედა ცუდად მყავსო და გადავწყვიტე, თქვენთან მომეყვანა, — განუმარტა ლუკამ.

— დიდი მადლობა, კეთილო ადამიანო, ჩემთან მოსვლისა რომ არ შეგეშინდა, ან არ მოგერიდა.

— რატომ უნდა შემშინებოდა?

— იმიტომ, რომ რაც ჩემი ქმარი დააპატიმრეს, ყველამ ზურგი შემაქცია იმის შიშით, რომ თვითონაც ამ ხელისუფლების ძალადობის მსხვერპლი არ გახდნენ.

— რატომ დააპატიმრეს?

— ავტოსატრანსპორტო კანტორაში მუშაობდა ინჟინრად. დირექტორი პრინციპული კაცი ჰყავდა. პარტიის ცეკას მდივანი რაღაცაზე განაწყენებული ჰყოლია. ჰოდა, იმანაც დაავალათ, დააპატიმრეთო. ჯერ დააპატიმრეს და მერე დაიწყეს მისთვის ბრალდებების შეკოწიწება. ჩემს ქმარს მიადგნენ, თქვი, რომ ქრთამს აძლევდიო. ვერ დაითანხმეს და ისაც დააპატიმრეს. რაღაც

ვაზნები ჩაუყარეს და მანქანის საბანრუგლში პისტოლეტი აღმოუ-ჩინეს, რომელიც საერთოდ არ უნახია. კრება ჩაატარეს და ჩემი ქმარი დამნაშავედ გამოაცხადეს. ახლა ამით შეშინებულები ვისაც ავალებდნენ იძახიან, დირექტორს ქრთამს ვაძლევდიო. მაშ რა უნდა ქნან, ჩემი ქმარივით ხომ არ დააღუპინებენ ოჯახს. მე ავად ვარ, ოჯახის სარჩენად კაპიკიც არა მაქვს. ხუთი თვეა რაც ჩემი ქმარი დააპატიმრეს და არ ვიცი, სადა ჰყავთ. ახლობლები კეთროვანივით გვერიდებიან ხელისუფლების შიშით, ჩვენც რამე არ დაგვაბრალონო, — ქალმა თავი ვეღარ შეიკავა და მწარედ აქვითინდა.

— დაწყნარდით, ქალბატონო, ვეცდები როგორმე შეგიმსუბუქოთ მდგომარეობა, — ლუკა წასასვლელად წამოდგა.

— თქვენ რა მოვალე ხართ, ბატონო, ყველასთან მიტოვებულებს მიეხმაროთ.

— მარტო მე კი არა, ვისაც ადამიანობაზე პრეტენზია აქვს და სიცოცხლეშივე არ გარდაცვლილა, ყველა მოვალეა დაგეხმაროთ, მაგრამ რა ვუყოთ, როცა უზნეობის ტალღა წალეკვით გვემუქრება. შენ რა გქვია, ვაჟკაცო? — ლუკამ ბიჭს თავზე გადაუსვა ხელი.

— მალხაზი. ისე მახოს მეძახიან.

— შენ? — ახლა გოგოს შეეკითხა.

— მე აღათი გზირიშვილი ვარ, დედას ნარგიზა ჰქვია, მამა იასონია გზირიშვილი, — აღათიმ მთელი ოჯახი გააცნო.

ლუკას გაეცინა და გოგოს მოეფერა.

— თქვენი მეუღლე სადა ჰყავთ, ქალბატონო ნარგიზა?

— რაც დააპატიმრეს ვწევარ. ეს ორი დღეა წამოვდექი. ჩემი დედამთილი ამბობს, სუკის იზოლატორში ჰყავთ, მაგრამ არ მაჩვენებენო.

— თუ იცით, საქმეს ვინ იძიებს?

— გამოძიება რათ უნდათ, დაბრალებით კი პროკურატურას არაფერი ეშლება, თვითონ უდიდესი მექრთამეები უდიდეს საქმეთა გამომძიებლად ჰყავთ.

— სწორედ ეგ არის ჩვენი ცხოვრებიტს სატკივარი. მე ლუკა

ხუციშვილი ვარ, აქვე ახლოს ვცხოვრობ. მახოს გავიყოლებ, ჩემს ბინას ვაჩვენებ, თუ რამე დაგჭირდეთ, მახოს დააბარეთ; ვეცდები, როგორმე მოგეხმაროთ, — ლუკამ მახოს ხელი მოჰკიდა და კარებისაკენ წავიდა.

— მეც წამოვალ რა, — შეეხვეწა აღათი.

— წამოდი, — ლუკამ აღათი ხელში აიყვანა.

— რა უცნაურია, ყველამ მიგვატოვა, ჩვენც შარში არ გავეხვიოთო, ეს უცხო ადამიანი კი დახმარებას გვპირდება, — ჩაილაპარაკა ნარგიზამ. ლუკა კი ამ დროს ბავშვებზე ხელჩაკიდებული ქუჩაში მიდიოდა.

— მახო, შემპირდი, რომ ამიერიდან აღარ იქურდებ; ხომ ნახე, რომ დედასთან არ დაგაბეზღე, თუ რამე დაგჭირდეს, მე მითხარი, — მახო მორჩილად უქნევდა თავს.

— ახლა ჩემ ბინას გაჩვენებ, აქ იშვიათად მოვდივარ. თუ ვერ მნახავ, კარებთან წერილი დამიტოვე და მე თვითონ მოგაკითხებთ, ოღონდ არ იქურდო.

— მე ქურდი არა ვარ. დედა ცუდადაა. წამლის და საჭმლის ფული არა გვაქვს, ბაბო ცალკე ცხოვრობს, იმასაც უჭირს.არავინ არ გვეხმარება, არავის არ ვებრალებით, — მახოს თვალებზე ცრემლები მოადგა.

— კარგი, ახლა აღარ გაგიჭირდებათ, — ლუკამ ქაღალდის შეკვრა მიაწოდა. — ეს დედას მიუტანე, ცოტახანში მეც მოგაკითხებთ. დედას გადაეცი. ბაბოსაც მიეხმაროს. აბა, კარგად იყავით, — ლუკამ ბავშვები გარეთ გააცილა...

— დედა, ეს რაღაც გამომატანა, თანაც დამაბარა, ბაბოსაც მიეხმარეო, როგორ უნდა მივეხმაროთ, ჩვენთვის პურის ფულიც არა გვაქვს, — მახომ დედას ქაღალდის შეკვრა გადასცა.

ნარგიზამ გახსნა და შეჰკივლა: — ღმერთო ჩემო! ეს რამდენი ფული გამოუტანებია!

— რა კარგია, რა კარგია! — აღათიმ ცეკვა დაიწყო.

— თურმე რატომ უთქვია, ბაბოს მიეხმარეთო, — ჩაილაპარაკა ნარგიზამ.

## არეული მონასტერი

ლუკა ვარჯიშობდა და თან ახალგაზრდებს წრთვნიდა თავის მწრთვნელთან ერთად; თუმცა აგრონომობიდან არ ანთავისუფლებდნენ. მთავარი აგრონომი — სტეფანე მოსულიშვილი და დანარჩენებიც ვერ შელეოდნენ, ლუკას სახელს გათავხედებულ მედროვეთა წრეგადასულ მიწერებიდან თავდასახსნელად იყენებდნენ. სოკრატსაც უხაროდა, ლუკა რომ არ ჩანდა, მისი გახსენებაც ზარავდა და იყო ასე გამქრალი მეამბოხე აგრონომი.

ქვეყანაში კი ისეთი ქაოსი, არეულობა და საშინელი განუკითხაობა იღებდა ინერციას, რომელიც ყველაფერს წალეკვით ემუქრებოდა, თუმცა არავინ ფიქრობდა ამაზე. ჯერ სათამაშოთი, ქუჩაში არეულობა რომ ერქვა, ხალხი ერთობოდა რადგან ამგვარი რამ წარმოუდგენლად ეჩვენებოდა.

უზარმაზარი სოციალისტური ბანაკი ირღვეოდა ხელისუფლების სათავეში თავტყირპიანი ბედოვლათის — გორბაჩოვის მოსვლით უნდა დაგვირგვინებულიყო ის პროცესი, სტალინის სიკვდილის შემდეგ ტაკიმასხარა ხრუშჩოვმა რომ წამოიწყო სოციალიზმის ავტორიტეტის შელახვით და სახალხო ქონების უთავბოლო განიავებით. ვერავითარი გარეგანი ძალა ისე ვერ შეარყევდა სოციალიზმის ბურჯებს, როგორც ხრუშჩოვის აბდაუბდა რეფორმებმა და სოციალისტური სიწმინდეების დასვრამ შეძლო, რაც შემდგომში უნიჭო ბრეჟნევის უუნარო, თვითკმაყოფილი, განდიდების მანიაშეყრილი მმართველობისას ფარულად გრძელდებოდა; ყველაზე საშიში კი ბზარი იყო, ოომელიც ხალხის რწმენაში გაჩნდა. საკუთარ კეთილდღეობაზე გაცოფებულმა სწრაფვამ, მომხვეჭელობამ, კარიერისტული ამბიციებით შებყრობილ ურწმუნო, თვალთმაქც, დემაგოგთა გაუმაძღრობა სოციალიზმის მძლავრ ბურჯებს ორგანიზმში შემძვრალი ბაცილასავით შლიდა და ასუსტებდა. ჯერ კიდევ ფეხზე იდგა ეს გიგანტი, მაგრამ ავადმყოფობა თანდათან ძალას იკრებდა, რამეთუ მკურნალობის მაგიერ თავქარიანი ხელმძღვანელობის საქმიანობით რღვევის პროეცესი უფრო ძლიერდებოდა, თვითონ აყვავებად და წინსვლად

რომ ნათლავდნენ. გორბაჩოვი და ის ტაკიმასხარა იყო, რომლის გონება შეზღუდული გაწამაწია ხალხის უბედურებად უნდა ქცეულიყო. ამ ვაგლახმა ყველა უსინდისო მედროვე, თავისი ხალხის და ქვეყნის ინტერესების პიროვნულ ამბიციებზე გადამცვლელი, სინდისისა და ზნეობისაგან გარეცხილი პირუტყვის ცხოველურ ინსტიქტებჩასახლებული მუხთალი დააწინაურა და თავის გვერდით დაიყენა. სწორედ ამგვარი ადამიანური ამაღლებული გრძნობებისგან გაძარცული ედუარდ შევარდნაძე დაინიშნა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად, რომელმაც საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად მუშაობისას საქართველოში უბედურების და ყოველგვარი ბოროტების კალო დიდი მონდომებით აბრუნა. ეს იყო ადამიანთა მოდგმა სიმუხთლეჩასახლებული ურწმუნო არსება, რომელსაც შეეძლო კომუნისტობიდან თუ დასჭირდებოდა, ყველაზე ყბადაღებული ფაშისტი გამხდარიყო და სინდისის ძარღვი არ შეტოკებოდა, რამეთუ ის არ გააჩნდა. სწორედ ამგვარი სოციალიზმის მხურვალე იდეოლოგი და საბჭოთა კავშირის თავდადებული ბღენძი ახლა კაპიტალიზმს უქნევდა ფოჩიან კუდს, რამეთუ ახლა ეს იყო მისთვის მომგებიანი. ამ ადამიანს საკუთარი არაფერი არ გააჩნდა არც რწმენა და არც ერთგულება; ღალატი და სიცრუე კი მისი ცხოვრების და არსებობის ძირითადი მასაზრდოებელი წყარო იყო. სწორედ ამგვარი ადამიანი ჰქცეოდა უბედურებად ქართველ ხალხს და ამგვარი წვრილ-მსხვილი პარაზიტი დასეოდა სოციალიზმს, უღებდნენ კიდეც ბოლოს. დავარაშვილის დიაგნოზი მართლდებოდა, მაგრამ მკურნალი არ ჩანდა და დაავადებამ ისეთ დამანგრეველ ზღვარს მიაღწია, რომ მკურნალობას ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა, თუმცა ამაზე თავს არავინ იწუხებდა. გორბაჩოვის ირგვლივ შეკრებილი ხროვა ყოველგვარ მუხთლობაზე მიდიოდა. ამ მუხთალთა შორის იყო ქართველთა უბედურება – ედუარდ შევარდნაძე საქართველოში განუკითხაობის, თვალთმაქცობის, მოხვეჭა-მექრთამეობის და ადამიანთა უბედურების ქარბუქი რომ დაატრიალა და ახლა მთელს საბჭოთა კავშირში იყენებდა ამ გამოცდილებას.

თბილისის ქუჩებში გამოსული უკმაყოფილოთა მოძრაობა აგორდა, მას სეირის მაყურებლებიც აჰყვნენ და ეროვნულ მოძრაობაში გადაიზარდა; რომელსაც უამრავი თბილი ადგილის მაძიებელი აფერისტი, ავანტიურისტი, თაღლითი, ყალთაბანდი და ცრუპენტელა მიეტმასნა. დგებოდა ჟამი სახალხო ქონების დარბევა-დატაცებისა; ხალხის მოტყუება-დაბეჩავებისა; მაღალგანვითარებული საქართველოს გაპარტახების და ფეოდალურ ეგოიზმამდე დაქანებისა.

ლუკას თაობა სოციალისტური სახელმწიფოს თანდათანობითი გახრწნის და რღვევის პერიოდში ცხოვრობდა. ახლა კი ეს გახრწნა და რღვევა ნგრევაში გადაიზარდა. უამრავი პოლიტიკური პარტია იჩეკებოდა კომუნისტური პარტიის დადამბლავების ფონზე; ეს დადამბლავება ურწმუნო, კარიერისტ-მომხვეჭელ, ეგოისტ, დემაგოგთა მიერ მისი დაბინძურების შედეგი იყო, რის გამოც ხალხმა მისი ნდობა და რწმენა დაკარგა. ახლა ეს თანამდებობით ქონებაშეძენილი მომხვეჭელები სახალხო ქონებიდან დიდი ლუკმის მოსატაცებელ სტარტზე იდგნენ. უცხოურმა აგენტურამ ისარგებლა იმით, რომ საბჭოთა კავშირს უნიჭო, დემაგოგი, ვაგლახი კარიერისტები მოექცნენ სათავეში, რომელთაც ბიუროკრატულ ნაჭუჭს იქით, არაფრის დანახვა არ შეეძლოთ: არც სოციალიზმი სწამდათ და არც დემოკრატიად მონათლული კაპიტალიზმის კაციჭამიობისა ესმოდათ რამე, ფართოდ გაშალა თავისი პროპგანდისტული ქსელი. მოსახლეობის იდეური გახრწნისა და გაუკუღმართების მიზნით. მთელი მათი შეტევის ღვარძლი და პროვოკაციები რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, რამეთუ სოციალისტურ რესპუბლიკათა ურყეობა ხალხთა მეგობრობის საძირკველზე იდგა ამ შენობის სიმაგრე კი რუსი ხალხის სოციალური კეთილდღეობის რწმენაზე იყო დამოკიდებული. რუსეთში ამ რწმენაში ბზარის შეტანა სოციალისტური სახელმწიფოს დაშლის საწინდარი იყო. სეპარატიზმი და ნაციონალიზმი კი ის სატყუარაა, რომელიც ადამიანებს ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებდა, დაანგრევინებდა ყველაფერ იმას, რაც ხალხის სა-

კეთილდღეოდ შექმნილიყო. ყველაზე აქტიურად საქართველოში მოქმედებდა ხალხის გაუბედურების ეს პარაზიტი? საამისო ნიადაგიც ნახა. როცა კომუნისტობა პრივილეგიას ნიშნავდა, თითქმის ყველა მეხუთე კომუნისტი გახდა; ცრუმორწმუნეობაა მღვდელი და ეკლესიაო და ყველამ მიატოვა ეს რწმენა, თუ სადმე მღვდელს ნახავდნენ, დასცინოდნენ და ქოქოლას აყრიდნენ; სოციალიზმის ერთგულებას იბრალებდნენ და კომუნისტური პარტიის დიდებას გაჰყვიროდნენ. ახლა იყნოსეს, რომ ხალხთა მეგობრობის იდეას საფუძველი ერყეოდა, ნაციონალურ და ეროვნულობის ერთეულებს ეტმასნებოდნენ; ეკლესიებში დარბოდნენ და, თუმცა სახარების არაფერი გაეგებოდათ, სანთლის ანთების და პირჯვრის წერით უფლისმიერის სახელის დამკვიდრებას ცდილობდნენ; სოციალური კეთილდღეობის საფუძვლებს მოსდგნენ იმპერიალურიაო: უფასო სამედიცინო მომსახურება, საყოველთაო უფასო განათლება, ბინების კომუნალური მომსახურება და უფასოდ დარიგება, კოოპერაციული სავაჭრო სისტემა, სოფლის მეურნეობაში მიწების კოლექტიური დამუშავება სასაცილოდ გაიხადეს. ამის საფუძველზე დაიწყო ყოველივე სასიკეთო, რაც მშრომელების ხელით იყო შექმნილი, დარბევა, მიტაცება და განადგურება. ცხოვრება უკან-უკან მიგორავდა, იმპერიალისტური დემაგოგია თავის საქმეს აკეთებდა, კომუნისტური თავკაცობა მათი დირიჟორობით გალობდა; ხალხი კი ვერ ხვდებოდა საშინელი ჯოჯოხეთის განუკითხაობის მოახლოებას. ეროვნულმა გათიშულობამ ყველაზე მაგრად საქართველოში მოიკიდა ფეხი, ოსებში და აფხაზებში სეპარატიზმის ბაცილა ჩასახლდა და ქართულ ეროვნულ მოძრაობას დაუპირისპირდა, საქართველოში აგორებული ანტირუსული ისტერიას ისინი რუსეთთან მეგობრობით პასუხობდნენ; აქედან დაიწყო ქართველი ერის გოლგოთის გზა. უცხოური აგენტურა გულუხვად აფინანსებდა რუსეთის მიმართ უნდობლობის გაღვივებას, მრავალი ახალგამომცხვარი პოლიტიკური პარტია სიამოვნებით იღებდა მათ მოწყალებას და მედროვე პოლიტიკოსები მონდომებით სპობდნენ საქართველოში დამკვიდრებულ ერებს შორის მეგობრობას. მონ-

ასტერი ირეოდა. თბილი და პრივილეგირებული მდგომარეობის მიღწევისათვის ყველაფრის მკადრებელი კარიერისტები დაფაცურდნენ ახალგამომცხვარ პარტიებში შესაძრომად. ფულით ნაყიდ კომუნისტობას მალავდნენ და ტრაბახობდნენ, მთელი ცხოვრება კომუნისტობის წინააღმდეგ ვიბრძოდითო; ამგავრად არეულ ქვეყანაში დემაგოგების, გამცემების, აფერისტების, ყოველგვარი ნაძირალების ზეობის ხანა დგებოდა.

ლუკა მტკივნეულად განიცდიდა ამ არეულობის აგორებას, მაგრამ არც მას და არც მრავალ მის მსგავსს ამ პროცესის შეჩერება არ შეეძლოთ, რადგან ყოველივე ეს დიდი ხნის დაწყებული იყო გახრწნილი, ჩრდილდაკარგული, უიდეო, უზნეო, დოყლაპია ხელისუფალთა მიერ, რაც საზოგადოების სხეულის ყველა უჯრედს მოსდებოდა; ბოლოს კი ყოველივე ამას თავტყირპიანი ბედოვლათი — გორბაჩოვი და მისი ნაძირალათა ხროვა აგვირგვინებდა.

ბინდდებოდა. ლუკა სავარძელში იჯდა და გაზეთებს ათვალიერებდა. კლარა სამზარეულოში ფუსფუსებდა; გარედან მომიტინგეთა შორეული ხმაური ისმოდა.

კარებზე ფრთხილი კაკუნის ხმა გაისმა. ლუკა სმენად იქცა. კაკუნი უფრო ხმამაღლა განმეორდა. ლუკამ კარები გააღო; მის წინ წვერმოშვებული ჯაგარა იდგა.

— ჯაგარას გაუმარჯოს! — ერთმანეთს გადაეხვივნენ. ოთახში შევიდნენ.

— რა წვერმოშვებული ხარ, არაფორმალობა ხომ არ დაიწყე? — ღიმილით ჰკითხა ლუკამ.

ხმაურზე კლარა სამზარეულოდან გამოვიდა და ჯაგარა გულთბილად მოიკითხა. — ახლავე გავშლი სუფრას, — თქვა და ისევ სამზარეულოში შებრუნდა.

— აბა, დაწვრილებით მოყევი, როგორ არიან ხითავა და ჭიმია, გაუარათ ჩამოხრჩობის ელდამ? — ლუკამ გაიცინა.

— ლუკა, შე მართლა არაფერი იცი?! — ჯაგარამ გაკვირვებისაგან თვალები დააჭყიტა. — ბიჭო, არ გაგიგია, რომ ორივე ჩამომხრჩვალი ნახეს?!

— რააა!!! შენ ხომ არ შეიშალე! — ლუკა ფეხზე წამოვარდა.

— შენ რაღაც არაამქვეყნიური სიკეთითა ხარ მონათლული და გგონია, სხვებიც ადამიანები არიან. ლუკა, ზოგს ადამიანის სახე აქვს, მაგრამ ნაგავში ჩაბუდებული მორიელი უზის სულში. ბიჭო, იმ ყულფში თავგაყოფილი არამზადების გრამიტონას იმედად დატოვება შეიძლებოდა?! ჩაუტარე შენც რაღა მორალია თუ კაცური კაცობის გაკვეთილი; გრამიტონამ კი ორივეს დედა უტირა! თუ ეგრე იყო საჭირო, ჩვენვე ჩამოგვეხრჩო, არ იმსახურებდნენ თუ რა! — ჯაგარამ საყვედურით შეხედა.

— ჯაგარ, ეს როგორ უნდა მომხდარიყო, მაშ, გრამიტონამ ისინი არ ჩამოხსნა?! — ლუკამ თავზე ხელები მოიჭირა.

— ჩამიხსნა კი არა, იმ ღამითვე „ტაჩკა“ ქიტესას ღობესთან მიუყენებია, მეორე დღეს კი წრიპოსთან ერთად ჩამომხრჩვალთა სანახავად წასულა.

— გრამიტონა რომ არამზადაა ვიცოდი, მაგრამ ამ საქციელს რა ვუწოდო, ჩემი ტვინის შესაძლებლობები ვერ სწვდება, — ლუკა გაოგნებული იყო.

— წრიპო ამბობს, ჩამოკიდებულები რომ დაინახა, აყვირდა, იქნება მე არ მოვდიოდი, მა არ უნდა ჩამოსულიყვნენო. მე რას მელრიჯებით, ხომ იცოდით, ქიტესასთან „ტაჩკა“ უნდა მიმეტანაო. მოკლედ, ისინი ყულფში თავგაყრილები დატოვა და წრიპოსთან სულელურად თავის გამართლებას ცდილობდა.

— ქაღალდები იქ დავტოვეთ, არა? — იკითხა ლუკამ.

— უცნაური ხალხი ვართ. რას ვაწერინებდით, თუ იქავე დავაყრიდით! გრამიტონა მაშინვე ოთახში შევარდნილა და ქაღალდები იქვე რომ დაუნახია, აყვირებულა, თვითონ წერენ, რომ ჩემი ბრალი არ არისო. წრიპო გაკვირვებულა, საიდან იცი, ჯერ ხომ არ წაგიკითხიაო. მოკლედ, ლუკა, შენმა ადამიანობისკენ მობრუნების მცდელობამ არ გაამართლა. მორიელს ლექციებით კბენას როგორ გადააჩვევ, როცა ის შობელძაღლი საკბენად გააჩინა მამაზეციერმა! — ჯაგარამ მწარედ ჩაიცინა.

— ახლა რა ხდება?

— მე დაპატიმრება დამიპირეს. სახლში ექვსნი მამიცვივდნენ. გამოვიქეცი, მილიციელებს ცხვირპირი დავუნაყე; ზაური კი დაუჭერიათ. ახლა, „პაბეგში“ ვარ. თურმე ზაურისთვის ნარკოტიკები და რაღაც ვაზნები ჩაუწყვიათ, მეც ამას მაბრალებენ. ისე კი უნდათ, რომ ჩამოხრჩობა წამოგვკიდონ; ალბათ შენც მალე მოგადგებიან. ზაური მეცოდება, აწამებენ თურმე დაიბრალეო, — ჯაგარამ ღრმად ამოიოხრა.

— რამდენი ხანია რაც ეს მოხდა?

— მეორე კვირაა რაც ჩემთან მოვიდნენ; იმავე საღამოს ზაური დაიჭირეს. გრამიტონა თურმე იკვეხნის, რა ეგონათ, იმ ბიჭების ჩამოხრჩობას შევარჩენდიო.

— სასწაულებრივი შერწყმაა კრეტინის ვერაგობასთან, ამგვარი პარაზიტები დაასიეს ჩვენს დღევანლდელობას და რა გასაკვირია ცხოვრების ასეთი გაუკუღმართება, — ჩაილაპარაკა ლუკამ. — თუ იცი, ის ქაღალდები სად უნდა იყოს? — უცებ ჰკითხა.

— თუ არ დახია, გრამიტონასთან იქნება. შენი ეგრე ყოფნა კი სახიფათოა; ყოველწუთს შეიძლება მოგაკითხონ. მეც თუ აქ მნახეს, გიყვარდეს როგორ ზღაპრებს შეგითითხნიან, — ჯაგარა ფრთხილობდა.

— შენ მარტომ თუ შეძელი თავის დაღწევა, ახლა ორნი ვართ, — ლუკამ ღიმილით დაარტყა მხარზე ხელი.

პური ჭამეს. ჯაგარამ იბანავა, სუფთად გამოეწყო. ლუკამ ტელეფონზე დარეკა.

— მინოსას სთხოვეთ, — ჩასძახა ყურმილში.

— მინოსა არა ფლავი! შენ ვიღაცა ოხერი ხარ, მისამართი შეგეშალა! — ქალი ბრაზობდა. — ვინ მამაძაღლმა მოგცა ამ ტელეფონის ნომერი?!

ლუკას ახლა გაახსენდა მინოსას ნათქვამი: — ამ ნომერზე მხოლოდ ყველაზე სანდო ბიჭები მირეკავენ, ოღონდ მინოსა არ ახსენო, ამირან დევდარიანი იკითხეო. ნომერი ისე აკრიფა. — ქალბატონო, ამირან დევდარიანს სთხოვეთ, — მოკრძალებით მიმართა.

— შენ ვიღაცა ჩამშვები ხარ, გიცანი, წეღან ვიღაც მინოსა იკითხე, ახლა დევდარიანიო. მისამართი შეგეშალა, ვიღაცა ოხერი ხარ, ეგრე ახვრების ინკუბატორში დარეკე! — ქალი ყურმილის დაგდებას აპირებდა.

— ქალბატონო, შემეშალა, ამირანს გადაეცი, ლუკას უნდა-თქო შენი ნახვა, — მოასწრო ამის თქმა, სანამ ქალი გათიშავდა.

— ვაიმე, თქვენ ლუკა ხართ? — ქალი უცებ მოლბა.

— დიახ, ქალბატონო.

— ამირანი ახლა სახლში არ არის, მოვძებნი; სად მოვიდეს?

— ჩემთან ველოდები.

ნახევარ საათში მინოსა ლუკასთან იყო.

ჯაგარა გააცნო და საქმის ვითარება აუხსნა: — ეს ჩემი ძმაკაცი „პაბეგშია", დასაპატიმრებლად მოსულებს გამოექცა. თუ სადმე მისწვდნენ, არ დაინდობენ. მოკლედ, სანამ მე იქიდან მოვბრუნდები, უნდა შემინახო.

— სად მიდიხარ, ლუკა, შენი დაჭერაც უნდათ; შეიძლება აქ მოგაკითხონ, — ჯაგარა შეშფოთდა.

— ეგრე აჩქარება არ ივარგებს, — აზრი გამოთქვა მინოსამ.

— ჩემი მეგობარი დაუჭერიათ, რაღაც უნდა ვუშველო, ეგრე უმოქმედობა არ გამოვა.

— მოიცა, ლუკა, მოვიფიქროთ, როგორ სჯობია; ცხელ გულზე მოქმედება საქმეს წაახდენს, — დაარიგა მინოსამ.

— მე უკვე მაქვს მოფიქრებული. ეს ყველაფერი იმ ერთუჯრედიანი პროკურორის მამაძაღლობაა, შენ ცნობილი სიბინძურე რომ დაგავალეს; ახვრებს ჰგონიათ, რომ მათ ვერაგობას სათანადო უკუგება არ მოჰყვება. მაგათივე უტვინობა, ლაჩრობა და ვერაგობაა ჩვენი მოკავშირე.

— ლუკა, კარგი ბიჭი ხარ, მკლავიც მოგდევს, მაგრამ გამოცდილება გაკლია; მეც გამოგყვები, — შესთავაზა მინოსამ.

— შენ აქ უფრო ხარ საჭირო. ეს ჩემი ძმაკაცი თუ დაიჭირეს, გზაშივე ჩამოსწერენ, წინააღმდეგობა გაგვიწიაო. ამ მოძალადეებს

კი ძველებურად აღარ უმართლებთ თემიდას მახვილის უკუღმა ქნევა, სკამებზე მთლად იმედიანად ვეღარ სხედან; ვინ იცის, დღევანდელი არეულობა რას უმზადებთ. მოკლედ, შენ იცი, — მინოსას გამომშვიდობების ნიშნად ხელი გაუწოდა.

— წავიდეთ, ძმაო, — მინოსამ ჯაგარას მხარზე დაადო ხელი.

— რას მიშვრები, ლუკა, გამიყოლე კაცო! — შეეხვეწა ჯაგარა.

— ჩემი გაგებით იქ შენი ყოფნა მხოლოდ ხელს შეგვიშლის. ჩამოვალ და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ. ახლა დრო ცოტა მაქვს, — ლუკა ჯაგარას გადაეხვია და ორივე კიბემდე მიაცილა.

— ფრთხილად იყავ, ლუკა, თუ დაგჭირდე, ჩემი ტელეფონი იცი, — მინოსამ ჯაგარას ხელი მოჰკიდა და ორივე კიბეზე დაეშვნენ. კლარა ამ ხნის განმავლობაში მეორე ოთახიდან ყველაფერს გულის ფანცქალით ისმენდა.

— ლუკა, მეც მოვდივარ! — გადაჭრით უთხრა.

— ეგ არ გამაგონო. შენი საქმე ნამდვილად არ არის, აქ დამელოდე, რამდენიმე დღეში ჩამოვალ, — ლუკამ ბავშვითი დატუქსა.

— ლუკა, სადაც გინდა წადი, შენს საქმეში არ ვერევი, ოღონდ კარგად მყავდე. ხომ ხედავ, როგორი დამშვიდებული ვარ. ახლა კი ვერ მოვისვენებ. სანამ ჩამოხვალ, მე აქ გული გამისკდება. რას დაგიშავებ, სახლში ვიქნები, დავალაგებ, შენი სიცოცხლით მაცოცხლე, სხვა რასა გთხოვ! — კლარას ცრემლები მოადგა.

ლუკამ შეხედა, კლარა ცრემლებს იწმენდდა, შეეცოდა და უცებ გადაწყვიტა: — გაემზადე! — ღიმილით უთხრა.

კლარამ სიხარულით შეჰკივლა და მკერდზე მიეკრა...

ბნელოდა, წრიპომ გრამიტონა სახლში მიიყვანა, მანქანიდან სავსე კალათები ჩამოაწყო და თან მიჰყვა; უკან მალე გამობრუნდა.

— ხვალ დილით ადრე მოდი, შალვა უნდა ვნახო, სანამ სამსახურში გავა! — გრამიტონმა მიაძახა. თუმცა თავისი ჩვეულებისამებრ უკვე მრავალჯერ უთხრა ერთი და იგივე.

წრიპომ მანქანა დაძრა. უცებ თავზე ვიღაცამ ხელი დაადო და მაგრად მოუჭირა.

— ვაიმე! — მოულოდნელობისგან გულგახეთქილმა მანქანა დაამუხრუჭა.

იმ ხელმა თავი ისე მძლავრად შეუტრიალა, რომ კისრის მალებმა ტკაცუნი დაუწყეს.

— ლუკა! — შეშინებულ წრიპოს კინაღამ გული გაუჩერდა.

— თუ კისრის მოტეხა არ გინდა, როგორც გეტყვი, ისე მოიქეცი! — უბრძანა.

წრიპო ისე იყო შეშინებული, ხმის ამოღება ვერ მოახერხა.

— ახლა ჩემთან წადი!

წრიპომ მანქანა ლუკას სახლს მიაყუდა, ალაყაფის კარები გააღო და მანქანა ეზოში შეიყვანა.

ახლა ოთახში კლარა, ლუკა და წრიპო მაგიდას შემოსხდომოდნენ. ლუკამ ღვინო დაასხა. — ცოცხლად მკვდართა შესანდობარი იყოს! — თქვა და ჭიქა გამოცალა.

წრიპოს შიში გაჰქრობოდა და ლუკას უშუალობით დამშვიდებული თავისუფოლად საუბრობდა.

— ცოცხლად მკვდარი როგორიღაა? — იკითხა.

— ცოცხლად მკვდარია უსინდისო, მატყუარა, სხვის უბედურებაზე თავის ამქვეყნიურ ყალბ, პირუტყულ ბედნიერების მომხვეჭი, ადამიანური სპეტაკი სულის მუწუკი; ცოცხლად მკვდარია ის, ვისაც ხალხი წყევლა-კრულვით იხსენებს, საფლავში კი მხოლოდ ლანძღვა-გინებას ჩააყოლებს; ამქვეყნად მათგან მყრალი კვალი რჩება, რომელიც მათი გახსენებასავით ზიზღით გაქრება, — აუხსნა ლუკამ.

— იმათ შესანდობარი კი არა, ჯოჯოხეთის საგზური მოუხდებოდა, — თქვა წრიპომ და ჭიქა გამოაცალა.

— ეგ მოგიხდა, თუმცა ასე გამეტებისათვის ცოდვანი არიან. შენ კი, ჩემო წრიპო, გრამიტონას მძღოლის ფონზე ცუდი ბიჭი არ უნდა იყო. ჰოდა, თუ მართლა ასეა, დაწვრილებით მოყევი ქიტესა ძიას ბინაზე რა მოხდა, — უთხრა ლუკამ.

— ძაღლის შვილი ვიყო თუ სიმართლე გავამრუდო: შუადღე გადავიდა, გრამიტონა კი კანტორაში არ გამოჩნდა, მეც სახლში

მივაკითხე. ახალი ამბავი ხომ არაფერიაო, გიჟივით მეცა. მემრე მინდორში წავიდეთო და პირდაპირ ქიტესა ძიას ბინაში წამიყვანა. ჩამომხრჩვალები რომ დაინახა, აყვირდა, მე რას მელოდებოდით, რატო არ ჩამოხვედითო. ოთახში შევარდა, მაგიდაზე დაყრილი ქაღალდები ჯერ არ წაეკითხა და იღრიალა, თავი თვითონ ჩამოუხრჩვიათ და მე რაში მაბრალებენ, გრამიტონამ დაგვავალაო. გააფრინა ხო იცი, თან იგეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ იმათი ჩამოხრჩობის შესახებ უკვე წინასწარ იცოდა; დაწერილის შინაარსიც იცოდა და ჩემთან ოინბაზობდა.

— შალვას თუ ხვდება ხოლმე?

— პროკურორს?

— ჰო.

— მეორე დღესვე ნახა, მასთან დიდხანს დარჩა; იმის შემდეგ თითქმის ყოველდღე ხვდებიან. ერთხელ ბარაქიანი ძღვენიც მივუტანე. სამი დღის წინ კიდევ გრამიტონასთან მაგარი ღრეობა ჰქონდათ.

— რაზე ლაპარაკობდნენ?

— სუფრასთან მე არ მივდივარ ხოლმე, მაგრამ ვიცი, რომ ჯაგარას მოკვლით ემუქრებოდნენ, ზაურის ძვალ-რბილს გავუერთიანებთ და მალე ლუკასაც მივაყოლებთო.

— რას გვედავებიან?

— იმ ბიჭების ჩამოხრჩობა უნდა ავკიდოთო.

— ჩვენ თუ არ ჩამოგვიხრჩვია.

— ეგ იმ შალვასაც სჯერა, მაგრამ ტრაბახობს, რასაც მინდა იმას დავაბრალებ და ვაძახებინებ, მართლა ეგრე იყოო.

— წრიპო, თუ გინდა, რომ ცოცხლად მკვდრებში არ ჩაგთვალოთ, რასაც გეტყვი, უნდა შეასრულოო, — ლუკამ საათს დახედა. — პირველი დაიწყო, — ჩაილაპარაკა.

— ძაღლის შვილი ვიყო თუ გიმტყუნო! — წრიპომ მკერდზე დაირტყა მუშტი.

— ახლა გრამიტონასთან წავიდეთ, — ლუკა ფეხზე ადგა.

კლარამ ისეთი თვალებით შეხედა, თითქოს ეუბნებოდა, მეც

წამოვალო, — შენთან ვინმე მოვა და თავისი მანქანით მოგემსახურება, — უთხრა ლუკამ...

წრიპომ გრამიტონი ძლივს გააღვიძა.

— რა ამბავია, რა ქვეყანა შეყარე?! — ფანჯარაში თავგამოყოფილმა უკმაყოფილოდ უყვირა.

— კარები გააღე, სასწრაფო საქმეა, — წრიპომ უპასუხა.

— მაგ ოხერს, ამ შუაღამისას რა უნდა; თებრო, მიდი, დაელაპარაკე! — დაავალა ცოლს.

თებრომ კარები ნახევრად გააღო, უნდა ექთვა, რა გინდაო, ვიღაცამ მძლავრი ხელი ხელზე მოჰკიდა. შეშინებულს აღარ ახსოვდა, ლუკა როგორ შევიდა და ახლა პერანგისამარას გრამიტონთან მიაძუნძულებდა.

ხმაურზე გრამიტონმა თებროს დაუძახა: — რა უნდოდა ამ შუაღამისას მაგ დამთხვეულს! — ბორჯომის ბოთლი გახსნა და მოიყუდა თუ არა, ეგრევე გაშეშდა, მასთან შესულ ტიკივით გაბერილ და დამრგვალებულ თებროს უკან, თავს ზევით მხარბეჭს თვალი ააყოლა და ლუკას დამცინავ ღიმილს შეეფეთა. ხელიდან ბოთლი არ გავარდნია, ეგრე თვალებდაჭყეტილი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე გაიყინა.

— დრო არა მაქვს, იმ ქაღალდების წასაღებად მოვედი, ჩვენ რომ ვიცით, — წყნარად უთხრა ლუკამ.

გრამიტონს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ენა ვერ დაიმორჩილა.

— მეც ვიცი ის ქაღალდები, ახლავე მოვიტან, — გრამიტონმა სიტყვა რომ ვერა თქვა, თებრო წაეხმარა. გარეთ გავარდა და მალე ორი ფურცელი მოიტანა. — სულ ლეიბის ქვეშ ინახავს, ისე უფრთხილდება, — ბეჯითი მოსწავლესავით მოახსენა.

ლუკამ ქაღალდები დაათვალიერა. — ის არის, — ჩაილაპარაკა. — აბა, ახლა პირი დაბანე და კარგად გამოაწყე; ატაში უნდა წავიყვანო, — დაავალა თებროს.

— წამოდი, ჩაგაცმევ, ეგრე ტრუსში ხომ არ იქნები, — თებრომ გრამიტონს მიმართა.

— აქ მოუტა, პირიც აქ დაბანე; ცელქი ბავშვია საღორეში არ

გაიპაროს, ისევ ამოისვრება, — უპასუხა ლუკამ და თებრო ღიმილით გავიდა.

წრიპო კედელზე მიყუდებული იდგა და შიშისგან ძეგლად ქცეულ გრამიტონს შეჰყურებდა.

— ახლა წადი, სანამ გრამიტონს თებრო გამოაწყობს, ტიმოთე ნახე და სთხოვე, თავისი მანქანით აქ მოვიდეს.

— ახლავე, — წრიპომ სამხედრო წესით აუღო ხელი და გარეთ გავარდა.

გრამიტონი იმავე პოზაში იდგა; გრძელტოტებიანი ფართო ტრუსი ჩასავარდნად ჩასწეოდა.

— აიწი ტრუსი, შე ვაგლახო! — სიცილით უთხრა.

გრამიტონმა ბოთლის ხელიდან გაშვება ვერ მოიფიქრა, მარცხენათი ჩაეჭიდა ტრუსის რეზინს და ასე დაიჭირა.

ლუკას აღარაფერი უთქვამს, იქვე სკამზე ჩამოჯდა; გრამიტონი კი ბორჯომის ბოთლით ტრუსის რეზინჩაჭიდებული იმავე პოზაში დარჩა, სანამ თებრომ საცმელები არ მოუტანა, რომელსაც კაბის ჩაცმა არც კი გახსენებოდა.

„ვინც ამის თავმჯდომარეობა მოახვია ხალხს თავზე, ადამიანი ჰქვია?! რამდენი უსიამოვნოება მოუტანა იმათ, ვისაც მაგის გავლენა მისწვდა. ახლა სამმართველოს უფროსი, რაიკომის მდივანი და მათ მიერ მოწონებული გრამიტონების პარპაში რაიონში, მერე მთელს საქართველოში და ბოლოს საბჭოთა კავშირში; სავალალო შედეგიც სახეზეა. გრამიტონა მექათმეობის ფერმაში მომვლელად რომ ყოფილიყო, ერთი ჭკუამხიარული კრეტინი იქნებოდა, ომელიც ხალხს მხოლოდ გაართობდა. ქიტესა ძიაც ცოცხალი იქნებოდა, ხითავაც და ჭიმიაც, მთლიანად კოლმეურნეობა ხალხის სასიკეთოდ იარსებებდა. ახლა წარმოვიდგინოთ საფუარივით მომრავლებული გრამიტონების პარპაში მთელ საბჭოთა კავშირში. გენერალური მდივნიდან მოყოლებული ყველა ხელმძღვანელ ორგანოში ამგვარი პარაზიტის მიერ დათხეული შხამის მიერ მოწამლული სხეულის აგონია“, — ხალხი გონზე რომ მოვა, ძალიან გვიან იქნება! — ხმამაღლა ჩაილაპარაკა.

ამასობაში თებრომ გრამიტონს ჩააცვა.

— პირის დასაბანად წავიყვანო? — ჰკითხა ლუკას.

— აქ მოუტანე ტაშტი, თუმცა ამის სიბინძურისგან გარეცხვას ალაზანი არ ეყოფა! — მკაცრად უთხრა ლუკამ.

თებრომ გრამიტონი საქორწილოდ მოპრანჭულ ლუარსაბ თათქარიძესავით გამოაწყო. ახლა სკამზე იჯდა და მორიგი მოქმედების დაწყებას გულის კანკალით ელოდებოდა.

— ტიმოთე უკვე აქ არის თავისი მანქანით, — გამოაცხადა ახლად შემოსულმა წრიპომ.

— შალვას სადა ვნახავთ? — ლუკამ გრამიტონს ჰკითხა.

— რაიონის ცენტრში ბინა მიიღო, ახლა იქ ცხოვრობს, — სხაპასხუპით უპასუხა გრამიტონმა.

— წავიდეთ მის სანახავად, — ლუკა ადგა და გრამიტონი წინ გაიგდო.

ტიმოთეს სთხოვა, კლარა წამოეყვანა და პროკურორის ბინასთან დალოდებოდა. თვითონ კი წრიპოს მანქანით გრამიტონი შალვას სანახავად წაიყვანა.

გრამიტონმა ნაბახუსევი შალვა ძლივს გააღვიძა, რომელმაც ასე ადრე შეწუხებისათვის მკაცრად გამოკუთხული შუბლით გააღო კარი. ხელში პისტოლეტი ეჭირა, ლუკას დანახვაზე ასწია და მაშინვე ლუკას ხელში აღმოჩნდა, მისი ამოგრეხილი ხელი კი ლუკას მტკიცედ ეჭირა.

სამივე ბინაში შევიდნენ.

— ბიჭო, ეგრე რამ გაგიცია გული, რომ სტუმრად მოსულ თანაკლასელს პისტოლეტით ხვდები?! — უსაყვედურა და ამოგრეხილი ხელი გაუნთავისუფლა.

შალვამ ნატკენი ხელის სრესვაში პასუხი არ გასცა.

— ზაური რატომ დააპატიმრე! — უცებ მრისხანედ უთხრა და პისტოლეტი შუბლზე მიადო.

— დაპატიმრებული არ არის, დროებით დააკავეს გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, — ხმის კანკალით უპასუხა შალვამ.

— რას იძიებთ?

— ხითავას და ჭიმიას ჩამოხრჩობას.

— ზაური რა შუაშია?

— ინფორმაცია მოგვივიდა, რომ... — შალვამ გრამიტონს შეხედა და ენა მოიკვნიტა.

— ინფორმატორი ვინაა?

— ერთი.

— ერთია თუ ერთი მეათედი, რატომ არ გითხრა, რომ მამაშენმა ჩამოახრჩო.

— მამაჩემი როგორ ჩამოახრჩობდა?

— ზაური როგორღა ჩამოახრჩობდა! მოკლედ, დაწყნარდი, ჩამოვსხდეთ და ეს წაიკითხე, — ლუკამ გრამიტონისგან წამოღებული ქაღალდები მიაწოდა, — ამას გრამიტონა მალავდა, — აუხსნა.

შალვამ ორივე ფურცელი დიდი მონდომებით რამდენიმეჯერ წაიკითხა.

— ლუკა, მოკვლას გიპირებდნენ? — ჩურჩულით ჰკითხა.

— მიპირებდნენ კი არა, მკვდარი ვიყავი, ქიტესა ძიას რომ არ გადავერჩინე.

— თავი რაღად ჩამოიხრჩეს, ნამუსმა შეაწუხათ?

— მაგაზე კი გრამიტონა გიპასუხებს. აბა, თავიდან ბოლომდე ჩამოფქვი შენი სიმუხთლის მარცვალი! — ლუკამ გრამიტონს შეუბღვირა.

— რა მარცვალი, ლუკა, მე ეგეთი არაფერი არა მაქვს, ან რით უნდა ჩამოვფქვა?! — გრამიტონი აწუწუნდა.

ლუკას დამცინავად გაეღიმა. — ყველაფერი მოუყევი, ჭიმიას და ხითავას როგორ ავალებდა ჩემს მოკვლას და ქიტესა ძია როგორ მოაკვლევინე, — აუხსნა.

— მე რა შუაში ვარ, იმათ მოკლეს, ბიჭოს! — გრამიტონი აბუზღუნდა.

— არც იმას იტყვი, ჭიმია და ხითავა როგორ ჩამოახრჩე, თუ მე გავხსნა შენი სიმუხთლის ყულაბა? — ლუკამ გრამიტონს ისე შეხედა თითქოს ეკითხებოდა ვთქვაო.

— გრამიტონ, თავს ნუ ისულელებ, იცოდე, დასაჭერი გამიხდები! შალვამ პროკურორის ყინული გაურია მუქარას.

გრამიტონი მოიბუზა.

— ახლა გამოკითხვას მოვრჩეთ, იმედია მაგ ქაღალდებს არ შეჭამ, — ზაურს როდის გამოუშვებ?

— სამსახურში გავალ, მასალებს გავეცნობი და იქ გადავწყვეტავთ! — შალვამ ბატონკაცური იერი დაიბრუნა.

— ვინ გადაწყვეტამთ, შენ, გრამიტონა და წრიპო? — ლუკას ბრაზი მოერია. — ჩაიცვი! — უბრძანა და საძინებელი ოთახისკენ უბიძგა.

ლუკამ კარადის გვერდით მოზრდილი სეიფი დაინახა.

— რას ინახავ მაგ ზარდახშაში? — ჰკითხა.

— ზარდახშა რაღაა? — შალვამ გაკვირვებით შეხედა.

— აბა, ამ სეიფის გასაღები მომეცი! — ლუკამ ხელი გაუწოდა.

— მანდ საიდუმლო დოკუმენტებს ვინახავ, უცხო პირებს ეკრძალებათ მისი ნახვა, — შალვამ განზე გაიწია.

— მომეცი გასაღები თუ გინდა, რომ უცხო პირს არ შეეჭამო! — ლუკამ თვალები დაუბრიალა.

შალვამ კარადის უჯრიდან გასაღები ამოიღო, მიაწოდა და ღრმად ამოიოხრა.

ფულის შეკვრებს ზევიდან პისტოლეტი ედო. იქვე ბლომად ბრილიანტის ბეჭდები და უამრავი ძვირფასეულობა ეწყო.

— ეს სულ ერთ დღეში იშოვნე? მე რომ მთელ სიცოცხლეში ვერ მოვინაგრებ არა? ახლა ამ ყველაფერს მე მჩუქნი? — ლუკამ პისტოლეტი აიღო და შალვასკენ შეტრიალდა.

— ეგ პისტოლეტი ტაბელურია, მოიკითხავენ, — განუმარტა შალვამ.

— მეორე პისტოლეტს, ფულს და ძვირფასეულობას არ მოიკითხავენ?

შალვამ ხმა ვერ ამოიღო.

— ორი სახე გაქვს, შალვა, პროკურორის და ყაჩაღის, მაგრამ

შენ ყველა ყაჩაღზე საშიში ხარ, რადგან პროკურორის ნიღბით ყაჩაღობ. ყაჩაღი მგელია, ფარიდან ცხვრის მოტაცებას რომ ცდილობს; შენ კი ძაღლის ტყავგადაცმული მგელი ხარ შენი მსგავსების მიერ ფარის დაცვა რომ გაქვს დავალებული; ახლა წარმოიდგინე რამხელა ზიანს აყენებ ქვეყანას, მატერიალურზე რომ არაფერი ვთქვათ, მორალურს და ზნეობრივს! შენ ის გადაგვარებული ადამიანი ხარ, რომლის გამოსასწორებლად სინდისით, ზნეობით და მორალით ზემოქმედება რომ არა სჭრის, რამეთუ ველარ გამოსწორდები; შენთვის ისეთი წამალია საჭირო, როგორც ბაღლინჯოსათვის დუსტი. — ლუკამ სეიფიდან საქაღალდე გამოიღო. შიგ შალვას პარტბილეთი, პირადობის მოწმობა და სხვა ქაღალდებთან ერთად ვრცელი მოხსენებითი ბარათი აიღო, რომელშიც საშიში ბანდის გამოაშკარავების შესახებ ეწერა, ლუკას ხელმძღვანელობით, კაცის კვლა და ყაჩაღობა რომ ბრალდებოდა. მათგან ერთი დაკავებული ჰყავდათ, მეორე — ჯაგარა გაექცათ, თვითონ ლუკა კი თბილისში იმალებოდა.

— ყოჩაღ, შალვა! მეზღაპრის ფანტაზია გქონია, ორდენს იმ შენი უფროსებიდან მოელი, თუ მე უნდა გაგიჩალიჩო?! — ლუკა თავს ძლივს იკავებდა, — ჩემგან ორდენს ახლავე მიიღებ, მოდი აქ! — მესამე სართულის აივანზე კინწისკვრით გაიყვანა. დაბლა გადაიხედა, ტიმოთე უკვე მოსულიყო, ის და კლარა მანქანასთან იდგნენ. — დიდი მხტომელი ადრეც არ იყავი, ჭამა-ყლაპვით გაბერილს აქედან გადახტომამ ვშიშობ, მუცელი არ გაგიბზაროს! — ლუკამ კისერზე მოუჭირა ხელი.

— ლუკა, ამას ნუ იზამ! გეფიცები, ყველაფერს გამოვასწორებ; ზაურსაც დღესვე გამოვუშვებ! ფერდაკარგული შალვა თვალცრემლიანი შეევედრა.

— ტიმოთე! ჩვენთან ამოდით, შალვა გეპატიჟებათ! — ლუკამ დაუძახა.

ოთახში შევიდნენ. შავლა პროკურორის ფორმაში გამოეწყო. კარებზე კაკუნი გაისმა. ამდენი ხანი ყეყეჩივით მდგარი გრამიტონი წავიდა კარების გასაღებად, ტიმოთე და კლარა რომ დაინახა,

ეხლავე მოვალო, თქვა და გარეთ გავარდა. ის იყო კიბეზე უნდა დაშვებულიყო, რომ კლარამ სტაცა ხელი. — სად მიძვრები, შე დორდლიანო! — უყვირა და ოთახში შეათრია.

— პურმარილის მოტანა მინდოდა, — გრამიტონმა თავი იმართლა.

— გრამიტონს პურმარილის მოსატანად აგზავნით? — იკითხა ტიმოთემ.

— პურზე რა მოგახსენოთ, მარილი კი ნამდვილად სჭირდება, — უპასუხა ლუკამ. — ქეიფის დემინო, გვასაუზმებ, თუ ჩვენ შეგვაწერებ სუფრის გაშლას? — შალვას მიმართა.

— რაღაც რაღაცეები მაქვს მაცივარში, — შალვამ სამზარეულოში შესვლა დააპირა.

— შენ აქ დარჩი, კლარა მოგვემსახურება, — ლუკამ შალვა მაგიდასთან დასვა.

კლარამ ძეხვის ნაჭერი, ყველი, ხიზილალის ქილა და ნახევარი ბუხანკა იპოვა. შამპანურის ორი და კონიაკის სამი ყუთიც აღმოაჩინა და სუფრაზე ბოთლები დააწყო; ბოლოს კი ორლულიანი თოფით გამოვიდა.

— ეს საღა იპოვე? — ჰკითხეს.

— კარს უკან იყო მიყუდებული.

— ტყვიამფრქვევი და ხელყუმბარები თუ გაქვს შენახული? — სიცილით ჰკითხა ლუკამ.

— ტყვიამფრქვევზე რა მოგახსენოთ, მაგრამ იქ სხვა თოფიც ვნახე, — თქვა კლარამ და მალე კარაბინი გამოიტანა.

— სად აღმოაჩინე ეგ არსენალი, გოგო? — ჰკითხა ტიმოთემ.

— კარადაში კიდევ უყუდია ასეთი რაღაცეები, — თქვა კლარამ.

— ვინმე უდანაშაულოს, ამათ რომ არ მოსწონთ, ორიოდე ვაზნას ჩაუდებენ და დამნაშავედ გამოაცხადებენ შალვას მსგავსი არალეგალური არსენალის მფლობელი კანონის დამცველები; ვაი, თქვენს მიერ წარყვნილ დღევანდელობას! — მწარედ უსაყვედურა ლუკამ.

— ცხრა საათი გახდა, სამსახურში დაგვიანებაზე ხომ არ გისაყვედურებენ? — ჰკითხა ტიმოთემ.

— სამსახური ამას ემსახურება და არა პირიქით, ვინი უნდა უსაყვედუროს, — განუმარტა ლუკამ.

— რესტორნიდან ცოტა რამეს ამოვიტან, — კლარამ წასვლა დააპირა.

— სეიფიდან ფული აიღე, შალვას არ ეწყინოს, თქვენი დასაპატიჟებელი რა მჭირს, სეიფი ქრთამით მაქვსო გავსებული, — შეახსენა ლუკამ.

— ცოდოა, ფულის გარეშე ბუმბულივით ნიავმა არ წაიღოს, — თქვა კლარამ და გარეთ გავიდა, ტომოთეც გაჰყვა.

— ჩვენ აქ ვერთობით, ზაური კი მშიერი ზის, რას იფიქრებენ პატიოსანი ადამიანები?! — ლუკამ შალვას შეხედა.

— წავალ და გამოვაშვებინებ, — შალვა წამოდგა.

— დარეკავ და აქ მოაყვანინებ. აქ, სადაც მოსამართლედ სინდისი და ზნეობა იქნება! — ლუკას სულში დაგუბებული ქარიშხალი გარეთ გამოღწევას ლამობდა.

შალვა მაშინვე ტელეფონს ეცა.

— დარეკე შენს სამსახურში და მისი განთავისუფლების საბუთიც გაუმზადონ.

— ისე, სხვათაშორის არის დაკავებული, არავითარი საბუთი არ არის საჭირო, — შალვამ განუმარტა.

— ზაური ფიროსმანიშვილი რომ არის დაკავებული, ჩემთან ბინაში მოიყვათ! მიქარვას თავი დაანებე, შალვა ვარ შიოშვილი, მაგის მაგიერ შენ არ შეგაგდო „კამერაში“! — დააფეთა ტელეფონის მავთულის ბოლოს მყოფი და ყურმილი დადო. შალვამ ახლა თავისი გამოკუთხული შუბლით ქვემდგომთა ელდა და რისხვა წარმოადგინა, ზემდგომთა მიმართ უსაზღვრო მაამებლად და მლიქნვლობად რომ გადაკეთდებოდა.

— რაზე გაუხეთქე გული იმ მილიციელს? — ჰკითხა ლუკამ.

— უსაბუთოდ დაჭერილზე საბუთი მომთხოვა.

— ეგრე განუკითხავად დეკეულს არ შეაგდებენ ბაკში. თქვენ

რა ჯიშის მოძალადეები ხართ?! სამართლიანობის თუ არა გწამთ, განგების ძალის მაინც არ გეშინიათ?! – ლუკა შალვას გაოცებული შეჰყურებდა.

– კარგი რა, ლუკა, ამ ცხოვრებას ვინც როგორ ახერხებს, ისე იყენებს.

– ბიჭო, თუ ასეა, შენს ძალას რაღა ჩემზე და ზაურიზე სცდი; ისეთი რა ბალღამი დაგიგროვდა?!

– რა ვიცი, რა ვიცი! ხომ გითხარი, ყველაფერს გამოვასწორებ, – შალვამ ხელები თავზე მოიჭირა.

კლარამ და ტიმოთემ სუფრა გააწყეს; მაგიდას შემოუსხდნენ.

– გრამიტონ, წრიპოს გადასძახე, ზაურის მეუღლე-ლალი მოიყვანოს, – დაავალა ლუკამ.

გრამიტონა კარებს ეცა, გარეთ გასასვლელად.

– აივნიდან გადასძახე-მეთქი, შე კრეტინო! – ლუკა ადგა, კისერში ხელი მოსჭიდა და აივანზე გაიყვანა.

გრამიტონი აღრიალდა: – წრიპო, წრიპო! ზაურის ცოლი-ლალი საჩქაროდ აქ მოიყვანე! გაიგე?

– გავიგე, გავიგე! – წრიპომ ამოსძახა.

– ხომ მაგრად დავავალე! – გრამიტონმა ლუკას მორჩილად შეხედა; ლუკას მწარედ გაეღიმა.

– ზაურს როდის მოიყვანენ? – ლუკა ვერ ისვენებდა.

შალვამ ისე დარეკა ტელეფონზე.

– ფიროსმანიშვილის მოყვანას რად აგვიანებთ! – ყურმილში მრისხანედ ჩასძახა.

– პატარა წესრიგში მოვიყვანთ, ძალიან გალახულია, – მიიღო პასუხი.

– მალე ქენით, მალე! – ბრძანა.

ლუკას შამპანურის ბაკალი ეჭირა და ნელ-ნელა წრუპავდა; გრამიტონი საჭმელს ღორის გაუმაძღრობით აქრობდა; შალვას კრიჭა შეკვროდა, მაგიდაზე ხელებდაწყობილი გაუნძრევლად იჯდა. ტიმოთემ კონიაკის ბოთლი აიღო და შალვას დაუსხა.

– დალიე, ბიჭო, ხასიათს გამოგიკეთებს, – უთხრა.

— მეც დამისხი, — გრამიტონმა ორივე მხარეს გამოტენილი პირით საჭმლის მარცვლების ფანტვით უთხრა და ჭიქა მიაწოდა.

ტიმოთემ გაულიმცლიმცა.

— ამ ჭიქით, ჩემს ყველაზე ძვირფას მეგობარს, ჩემს საყვარელ ადამიანს, ჩემს ძმას და მეგობარს, უძვირფასეს ლუკას გაუმარჯოს! — საჭმელის ღეჭვაში ჭიქა ასწია და აქნევით გამოცალა. სული შეუგუბდა, ხველა აუტყდა, ძლივს გაიმართა, — არა ძმაო, ლუკა ჩემნაირად არავის არ ეყვარება, ამას ვენაცვალე! — პირზე ხელი მოისვა, დორბლი მოიწმინდა და ლუკაზე საკოცნელად მიიწია.

ლუკამ მკერდზე ხელი მიაჭირა და ზიზღით უთხრა: — დაეგდე მანდ!

— რა ხდება? — კლარა სამზარეულოდან გამოვიდა.

— გრამიტონმა ლუკას სადღეგრძელო დალია და ამტკიცებს, რომ მასზე ძალიან ლუკა არავის უყვარს, — ღიმილით უპასუხა ტიმოთემ.

— ეს კრეტინია, სიძულვილი სიყვარულში ერევა. შალვამ არ დალია? — იკითხა.

შალვამ ჭიქას წამოავლო ხელი. — ლუკას გაუმარჯოს! ყოველთვის ვიყავი და ახლაც შენს საუკეთესო მეგობრად ჩამთვალე! — ჭიქა აქნევით გამოცალა.

კარებზე კაკუნი გაისმა. კლარამ გააღო.

— ზაურ, რას გავხარ, ბიჭო! — შეძახილზე სუფრიდან წამოიშალნენ. ჭუჭყიანი, თვალებჩაცვენილი, გამხდარი, ტანისამოსდაჭმუჭნული ზაური ოთახში შემოიყვანეს; მებადრაგე მილიციელიც შემოჰყვა.

ლუკა ფეხზე ადგა. მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა; შალვაც ფეხზე იდგა და უხერხულად იშმუშნებოდა. ლუკამ კონიაკი დაუსხა. — ადღეგრძელე შენი ხაოიანი ენით, — უთხრა.

— ზაურის გაუმარჯოს! კეთილი იყოს შენი აქ მობრძანება! — შალვამ ჭიქა გამოცალა და ზაურს ხელი გაუწოდა.

— ახალი დაბანილი მაქვს! — უთხრა ზაურმა და შალვას გამოწვდილი ხელი ჰაერს შეატოვა.

ლუკამ ხელები გაშალა და ზაური მხურვალედ ჩაიკრა მკერდში.

ზაური მაგიდასთან დასვეს. ლუკამ მებადრაგე პოლიციელი ჭიქა მიაწოდა.

— დალიე, ძმობილო, შენ მეტს აღარ შეგაწუხებთ, აქ პატარა სასაუბრო გვაქვს; თუ საჭირო გახდა გრამიტონაში გაგიცვლით.

მილიციელმა ჭიქა გამოართვა. — გაგიმარჯოთ! — თქვა. კონიაკი გადაჰკრა და შალვას შეხედა, რა ვქნაო.

— წადი, შენი მოვალეობა შესრულებული გაქვს! — უთხრა შალვამ.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. გრამიტონს ზაურის მოსვლა თითქოს არ გაუგიაო. თავაუღებლად ჭამდა. უცებ ჭამა შეწყვიტა, მაღლა აიხედა: — მე რაზე უნდა გამცვალოთ, რა დავაშავე?! მე ლუკა ყველაზე ძალიან მიყვარს; ვისაც ლუკა ეჯავრება, იმაზე გაცვალეთ! — წამოიყვირა და ჭამა გააგრძელა.

— რა ვქნათ ახლა, შალვა? — ლუკამ შალვას შეხედა.

— ზაური არსად არ ფიგურირებს, ეს თავისუფალია, ჯაგარას დაკავების სანქციას გავაუქმებ.

— ამას რას უპირებ? — ლუკამ სეიფიდან ამოღებული ქაღალდი თვალწინ დაუტრიალა. — ჩემი ხელმძღვანელობით აღმოჩენილ ბანდას ვის გადააბარებ?

— ეს შავი პირია, ჯერ არ დამიბეჭდია, არც არსად გამიგზავნია. მოკლედ, ამას ვაუქმებ.

ლუკამ ქაღალდი დახია, ჭიქა აიღო: — შალვა შიოშვილის გაცოცხლების მცდელობას გაუმარჯოს! და ცოცხლად გარდაცვლილთა შესანდობარი იყოს გრამიტონას თამადობით! — თქვა და შამპანური მოსვა.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! რადგან ალავერდს ჩემთან გადმოვიდა ლუკა, ჩემი თამადობით ყველას შესანდობარი იყოს, — გრამიტონმა კონიაკის ჭიქა გამოცალა, პირი მოიწმინდა. — ლუკამ იცის ადამიანის დაფასება, იმიტომაც დალია ჩემი თამადობით ყველას სადღეგრძელო, — თქვა და გაბღენძილი კაცის მზერა მოატარა ირგვლივ.

ლუკას მწარედ გაეღიმა. ზაურს სიცილი აუტყდა. ტიმოთე კი გაკვირვებული მისჩერებოდა გრამიტონს.

— ღმერთო ჩემო! ამაზე კრეტინი არ ითქმის, რაღაც ენით გამოუთქმელი სიბილწე, ვერაგობა და სიცრუეა დეგენერატის და კრეტინის უბედურებაში შეზელილი, — ზიზღით თქვა კლარამ.

შალვამ ჭიქა აიღო და ფეხზე ადგა: — ჩვენს ძმობას და მეგობრობას გაუმარჯოს! სანამ ცოცხალი ვარ, ჩემო ლუკა, თქვენზე ავს არავის ვათქმევინებ! — თქვა და ჭიქა ჩვეული ტემპით გამოცალა. უფრო გრძელი და ძარღვიან ქათინაურებით შენელებული სიტყვის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ ლუკას შემოხედვამ ორპირის ქათინაურების ჟინი გაუქრო.

დაბლა წრიპოს მანქანის საყვირის ხმა გაისმა, კლარამ გადაიხედა.

— ლალი მოვიდა! — საზეიმოდ გამოაცხადა.

მალე აქვითინებული ლალი ზაურის მკერდს ცრემლებით ალბობდა.

ლუკა ფეხზე ადგა და დინჯად დაიწყო: — შალვას ცოტა დროს კიდევ წავართმევთ და ჩვენ ჩვენი გზით წავალთ. ამან კი კანონის მახვილი თავისი სინდისის კარნახით ისე იქნიოს, რომ ამიერიდან ჩვენ შეგვეშვას, თორე სიმართლეს რომ ემსახუროს მშიერი დარჩება. ჩვენმა ყოვლისშემძლე პროკურორმა უკვე იცის, რომ ჭიმიამ და ხითავამ გრამიტონას დავალებით თითქმის მომკლეს, მხოლოდ ქიტესა ძიას წყალობით გადავრჩი, რაც მას წამებით ჩამოხრჩობად უქციეს. მაშინ მე და ზაურმა ორივეს ვაპატიეთ, გვეგონა, რომ ამით სიკეთის გზაზე დავაყენებდით. ჩვენი შეცდომა თუ ჰუმანურობა ქიტესა ძიას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ისინი ამ უკუღმართთა მიერ გაუპატიურებული კანონის ხელში არ ჩავაგდეთ, რამეთუ შალვასნაირი მექოთნე პროკურორები სიმართლეს თიხის ჭურჭელივით ყიდიან. ჰოდა, ერთხელ კიდევ ვცადეთ მათთვის სიკეთის გზა გვეჩვენებინა, მაგრამ ახლაც შეგვეშალა, იმ უბედურების ადამიანებად ქცევა რომ გვინდოდა, გრამიტონა კრეტინში ჩაბუდებული მორიელი ვერ შევნიშნეთ, ან არ წარმოგ-

ვედგინა ამგვარი რამ; რის გამოც ამ არარაობამ, უფრო სწორედ, სიცოცხლეში გარდაცვლილმა ტრაგედიად აქცია ჩვენი კაცად გადაკეთების გაკვეთილი. დაე, პროკურორმა შალვამ შეგვინდოს ამგვარი წინდაუხედავობა. გრამიტონას კი, როგორც გონებრივად ჭლექიან არამზადას თვითონ შეურჩიოს მკურნალობის მეთოდი. ზაურს ხმას აღარ გასცემთ! ჯაგარას დევნას შეეშვებით! გასაგებია?! — ლუკამ რისხვა ჩამდგარი მზერა მიაბჯინა შალვას.

— ეგრე იქნება, გეფიცები! — შალვა ფეხზე წამოდგა. — ამ საქმეზე ლაპარაკი აღარ იქნება! — საზეიმოდ გამოაცხადა.

— ახლა ჩვენ წავალთ. შენი პარტბილეთი, ტაბელური იარაღი და ბრილიანტების ნაწილი მარინესთან მოიკითხე. ეგაც იმ შემთხვევაში, თუ პირობა შეასრულე. თუ არადა ილოცე! შალვა, ჩვენს მიმართ მუხთლობას შეეშვი, თორე ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი! რაც მაგ სეიფში ფულია ჯაგარას და ზაურის მორალური ზარალის კომპენსაციად ჩათვალე. უფალს კიდევ მადლობა უთხარ ყველაფრისათვის. იცოდე, მუხთლობის შემთხვევაში მესამეზე უფრო მაღალი სართულიდან გადმოფრენის ბედნიერება შენს სახელზე თვლემს. ისე მოიქეცი, რომ ამ ბედნიერებამ სამუდამოდ დაიძინოს. გრამიტონას შენ გიტოვებთ, სიკეთეში მოგახმაროს! — ლუკამ შალვას მხარზე დაარტყა ხელი.

სეიფის შიგთავსი ჩანთაში ჩააწყეს და გულთბილად გამოეთხოვნენ გულცივ ბოროტებას.

— გრამიტონა სადღაა? — იკითხა წრიპომ ტიმოთეს მანქანაში რომ სხდებოდნენ.

— გრამიტონა და შალვა თაო ჩემოს მღერიან, — ლუკამ ერთი შეკვრა ფული მიაწოდა. — ეს შენ გაწეული სამსახურისათვის. შალვასთან და გრამიტონასთან არ თქვა, თორემ წაგართმევენ, — სიცილით უთხრა და ტიმოთეს მანქანაში ჩაჯდა. ზაური სახლში მიიყვანეს, ლუკამ შალვას ფულიდან ბლომად დაუტოვა. ლალისაც აჩუქა შალვას სეიფიდან აღებული ბრილიანტის ბეჭდები. — ეს მორალური ზარალის საკონპენსაციოდ, — ზაურს გადაეხვია. ბოდიშიც მოუხადა, რომ გვიან გაიგო მისი დაპატიმრების შესახებ და ტიმოთეს მანქანით ქალაქისკენ გასწიეს.

ტიმოთემ ფული არაფრით არ გამოართვა, მაგრამ ბრილიანტის ბეჭდებზე უარი აღარ გამოუვიდა...

ახლა კლარას ბინაზე ჯაგარასთან და მინოსასთან ტკბილად საბურობდნენ. კლარა სამზარეულოში ფუსფუსებდა. ჯაგარა სუფთად ჩაცმული, გაპარსული და გაპეწიანებული სავარძელში გაჭიმულიყო. მინოსას გვერდით მშვენიერი მანდილოსანი იჯდა.

— ეს ის ქალბატონია ტელეფონზე რომ გიპასუხა. შემაწუხა, ლუკა გამაცანიო და წამოვიყვანე, — გააცნო მინოსამ.

— მადონა, — ქალმა ნაზად თქვა და ლუკას ხელი გაუწოდა.

— ჩვენი რძალია? — იკითხა ლუკამ.

— ამგვარი რძლები არ მოგაკლდება. ჯერჯერობით კარგად ასრულებს თავის მოვალეობას, სანამ ლიმიტი გაუთავდება, — აუხსნა მინოსამ.

— კარგი, რა ამირან, რა ლიმიტი, რის ლიმიტი, მე შენ არ მომწყინდები, — ქალმა წყენით მოკუმა ტუჩები.

— შენ მოგწინდები კი არა, სანამ მე მომწყინდები-მეთქი. არა ბიჭო, ერთ დედაკაცს შევაბერდები ამდენი ძუკნას მაყურებელი! — მინოსამ შეუბღკირა.

— ასეა თუ ისე, დღეს ჩვენი რძალია და ჩემგან საჩუქარი ეკუთვნის, — ლუკამ ბრილიანტის საყურეები და ბეჭედი გამოიტანა მეორე ოთახიდან და მადონას მიაწოდა.

— ვაიმეეე! რა ძვირფასი რამეა! რა ვქნა ამირან? — მინოსა მიაჩერდა.

— გაძლევენ გამოართვი, გცემენ გაიქეცი, შე ჩემანალა! — მინოსამ ამ ნათქვამს ერთი ძარღვიანი გინებაც დააყოლა. — ლუკა, ეს ჩემი დროებითი დედაკაცი შენ ეგრე რომ დამისაჩუქრე, მე კი შენი ნამდვილი ცოლისთვის არაფერი მიჩუქნია, ეს ნამუსია?!

— ჩემი არ იყო, პროკურორის სეიფიდანაა, — სიცილით უპასუხა ლუკამ.

— შენ კომკავშირში რომ არ ყოფილიყავ, ჯარში არ გემსახურა და არც პარტიაში იყო, კარგი ქურდი იქნებოდი, — განუმარტა მინოსამ.

— არც კომკავშირელი ვყოფილვარ, არც-ჯარში, და არც პარტიის წევრი არა ვარ. ქურდიც არასდროს ვიქნები. უბრალოდ მექრთამე პარაზიტებს ვართმევ ნაძარცვს, მაგრამ მაგათი გამოსწორება არ შეიძლება.

კლარამ სუფრა გაშალა. კარგა ხანს იქეიფეს და იმხიარულეს. წასვლისას ლუკამ მინოსას ერთი შეკვრა ფული ჩაუდო ჯიბეში.

— ეს რაღაა, კაცო?! — მინოსას გაუკვირდა.

— იმ პროკურორმა გამოგიგზავნა, ჩვენ რომ ვიცით, ცოდვა შემინდოსო, — ღიმილით უთხრა ლუკამ.

— მოკლედ, კვალიფიკაციის ასამაღლებლად შენ უნდა მოგემაგრო; აბა მე შენთან შედარებით რა სახსენებლი ვარ?! — მინოსა დაღონდა.

— მინოს, ძმაო, ქურდობა კარგი საქმე არ არის. კანონის ძალით ნაქურდალის და გამოძალული თანხის კონფისკაცია კი არ გვაწყენდა. ახლა ჯაგარა მე დამიტოვე, საშიში აღარაფერია. იმ პროკურორს ამინისტია გამოვაცხადებინეთ, — სიცილით უთხრა და ჯაგარასთან ერთად მინოსა თავისი სატრფოთი ქუჩამდე გააცილა.

ჯაგარა ერთ კვირამდე სახლში არ გაუშვა, სანამ არ დარწმუნდა, რომ შალვა დანაპირებს ასრულებდა. ბოლოს ჯაგარას ფული და მეუღლისათვის ძვირფასეულობა გაატანა. შალვას გაუფორმებელი პისტოლეტიც მისცა, ტყეში მეორედ რომ გაიჭრები, იარაღი გექნებაო.

შალვა კი მარინესთან ყოველდღე რეკავდა, ჩემი საბუთები და იარაღი ხომ არ მოუტანიათო.

ლუკამ შალვას საბუთები, ტაბელური იარაღი, და ძვირფასეულობა, რომელსაც გაჩუქებული ბეჭდები არც კი შეტყობია, ჩანთაში ჩაალაგა და კლარას გადასცა, მარინესთან მიიტანეო.

— იქ მივალ, ოღონდ ალინას ვთხოვ, რომ გადასცეს, — თქვა კლარამ.

— კარგი გამახსენე, — ლუკამ ბეჭედი, ძვირფასი ყელსაბამი კულონით და სამაჯური შეარჩია, — ეს ალინას გადაეცი; შენთ-

ვისაც აირჩიე, რაც მოგეწონება. სხვებსაც ვაჩუქეთ, მაგრამ აქ იმდენია, რა უნდა უყონ?

— რაც არ უნდა ბევრი ჰქონდეთ, ერთიც რომ დაკარგონ, გული გაუსკდეთ იქნებ; მე კი მაგ ბინძურების არაფერი მინდა, დაე, თავიანთ გაუმაძღრობას გადაჰყვნენ! — კლარამ ჩანთა აიღო, ალინას ტელეფონზე დაურეკა მანდ დამხვდიო.

საჩუქრები რომ გადასცა, ალინა სიხარულისაგან კინაღამ შეიშალა. ოღონდ მარინეს არ უთხრა, თორემ შეიძლება შალვამ წაგართვასო, გააფრთხილა და ჩანთა მარინესთან გაატანა.

## ბრძოლა თბილი ადგილისათვის

შალვა მეორე დღესვე გაჩნდა მარინესთან. ჩანთა ჯერ მკერდში ჩაიხუტა, მერე სასწრაფოდ გახსნა. პისტოლეტი და საბუთები რომ ნახა, ცოტათი დამშვიდდა. ძვირფასეულობის დათვალიერების შემდეგ მწარედ ამოიგმინა: — ზოგიერთი რამ მოუპარიათ! — კბილების ღრჭენით ვიღაცას დაემუქრა.

— ფული სადღაა, ფული?! — მარინეს ისე შეხედა, ვინმე იფიქრებდა, ამ ქალს გადაუმალიაო.

— სულ ეს იყო! — გაოცებულ მარინეს წყენა შეეტყო.

— ვაიმე! რამდენი ფული წამართვეს! — შალვამ ხელები თავზე მოიჭირა და სკამზე სასოწარკვეთილი დაეშვა.

— ვინ წაგართვა, ან რა მოხდა, შალვა, არ მეტყვი? — მარინეს ცნობისმოყვარეობა მოეძალა.

— იმ გათახსირებულმა ლუკამ გამძარცვა! — შალვამ ამოიღრიალა.

— აბა, დაწყნარდი და ყველაფერში გამარკვიე, — მარინემ დაუყვავა, — პროკურორი კაცი როგორ გაგძარცვა, როცა მთელი მილიცია გემორჩილება.

— ხომ იცი, როგორი თავხედია, არაფერს არ ერიდება; მე კიდევ როგორც თანაკლასელს ვუფრთხილდები.

— ამბობ, გამძარცვაო. იარაღი, საბუთები, ძვირფასეულობა და

ფული წაგართვა, შენ კი უფრთხილდები; ეს წრედაგასული ჰუ-მანურობაა თუ?! – მარინემ ხმას აუწია.

– მთლად ეგრეც არ არის, თავზე მოულოდნელად დამესხა და ჩემი იარაღი იგდო ხელში.

– რატომ დაგესხა თავს, საშენოდ მოუვლის ხოლმე სიგიჟე?!

– მარტო მე რათა, გრამიტონას კინაღამ გული გაუხეთქა.

– გრამიტონას გული როგორ უნდა გაუხეთქოს, რაც არა აქვს?! მოკლედ, შალვა, გულახდილად მომიყევი, რატომ მოხდა ყოველივე ეს; შენც კარგად გიცნობ და ლუკასაც, – მარინემ შუბლი შეიკრა.

შალვამ შორიდან დაიწყო: – თურმე ლუკას მოკვლა უცდიათ ხითავას და ჭიმიას, ისე კი ამბობდნენ: წაიქცა და ქვას დაარტყაო თავი. მოკვლა კი გრამიტონას დაუვალებია. ქიტესა რომ არ შეს-წრებოდათ, ლუკს არხში ჩააგდებდნენ და დაისვენებდა ქვეყანა.

– რა თქვი? ლუკა არ წაქცეულა? ქვეყანა დაისვენებდა? მაგ ბოროტებაში შენც ხომ არ მიგიღია მონაწილეობა? – მარინე ფეხზე წამოხტა.

– რა გემართება, მარინე?! მე იმას გიყვები, რაც ჩემთვის ამ ბოლო დროს გახდა ცნობილი. უფრო ზუსტად რომ გითხრა, ლუკასგან გავიგე. მე კი გრამიტონას დასმენით დავაპატიმრე ზაური; ჯაგარა გაგვექცა და ლუკა გააფრთხილა, – მერე დაწვრ-ილებით მოუყვა, ლუკას სახლში შევარდნა, მისი ძვირფასეულო-ბის მოტაცებამდე რაც მოხდა. ბოლოს ღრმად ამოიოხრა და დაასკვნა: – ყაჩაღია აბა რა!

მარინე ღრმად ჩაფიქრებული უსმენდა.

– ამბობ, პისტოლეტი წამართვაო.

– ჰო, ეგრე იყო.

– მესამე სართულიდან გადაგდებას მიპირებდაო.

– მაშ?!

– სეიფიდან ყველაფერი წაიღოო. გრამიტონამ სადღეგრძელო დალია, ჩემი ყველაზე საყვარელი მეგობარიაო. შენ როგორ დალიე? ზაური გაუშვი, ჯაგარას ამინისტია გამოუცხადე, ლუკას ძმობა

შეფიცე, რატომ? ადრე ხომ ამობობდი, ყველს ციხეში ამოვალ-პობო!

— ახლა სულ სხვა მტკიცებულებები გაჩნდა.

— ადრე რა მტკიცებულებები გქონდა, კრეტინ გრამიტონას დასმენა? ამბობ, ტიმოთეს მანქანით წამოვიდნენო, რატომ გზაშივე რ დააპატიმრე?!

— არც ეგრეა საქმე.

— მაშ როგორაა?!

— ლუკას დაჭერა ეგრე იოლი როდია, თან იარაღიც ჰქონდა; მთელი რაიონის მილიცია ვერაფერს დააკლებდა.

— ამხელა ძალაუფლებით აღჭურვილს ლუკასი გეშინია, რა გამოდის? ლუკა შენზე ძლიერია?! სადღეგრძელოს თქმაში უძ-ლეველი ხარ, ისე კი...

— მე მაგას სხვანაირად მოვუვლი.

— როგორ, გრამიტონას მეთოდით მკვლელებს მიუგზავნი?

— გრამიტონა უტვინოა, ისე დავგეგმავ, წვეთი არ გაუვა.

— ჯერ კი შენ გაგდის წვეთი, თუ მეტი არა! — მარინემ შალვას ისე შეხედა, ხმის ამოღების სურვილი დაუკარგა! — აიღე შენი ამანათი და წადი! ფრთხილად იარე, გზაში ლუკა არ გად-აგეყაროს! — დაცინვით უთხრა.

— ეს ჩემგან საჩუქრად, — შალვამ ბრილიანტის ბეჭედი მია-წოდა.

— ისედაც გვარიანად გაზარალეს, ცოდო ხარ, მაგრად შეინახე! — მარინე ფანჯარასთან მივიდა საუბრის დამთავრების ნიშნად. შალვამ ჩანთა აიღო და უხმოდ გავიდა.

მარინე ფანჯრიდან ხედავდა, შალვა როგორ მიდიოდა იღლი-აში ჩანთაამოდებული. — თფუჰ! — მიაფურთხა და ფანჯარას მოს-ცილდა. სკამზე ჩამოჯდა და ღრმა ფიქრით ლუკას და შალვას ირგვლივ ტრიალებდა. ,,შალვა პროკურორობის გარეშე არარაობაა, ფულსაც და სახელსაც კანონის მახვილის უკუღმა ქნევით იხვეჭს. ბუნებას მისთვის ვაჟკაცობის მაგიერ მლიქვნელობის, ჩალიჩის, თვალთმაქცობის და მუხთლობის უნარი მიუცია, რაც ესოდენ ფა-

სობს დღეს. ლუკა კი ვაჟკაცობა, პატიოსნება, სიმართლე და კაცთ-მოყვარეობაა, რომელსაც ასე ვერაგულად ებრძვიან გრამიტონას და შალვას მსგავსი უკულმართები, მხოლოდ მიპარვით კბენა რომ შეუძლიათ, პირისპირ კი მუცელზე ხოხავენ, როგორც ყველა ქვე-წარმავალი. ღმერთო ჩემო! განა შეიძლება ლუკას მსგავსი ვაჟკაცის შალვასთანა არარაობაზე გადაცვლა?! – მარინემ თავზე მოიჭირა ხელები. ,,ლაჩარი. სახლში მთელი არსენალი ჰქონდა და ერთმა ლუკამ ფეხების საწმენდ ჩვრად აქცია, თუმცა ჩვარია პროკურორის მანტიაში შემძვრალი". მარინემ ახლა წარსულის დღეებს გადაავლო მოგონების თვალი. ჯაგარასთან ლუკას ჩხუბი და შალვას სიმხდალე გაიხსენა და ზიზღით გააჟრჟოლა. ლუკას მუშტის შიშით ძლიერმა და თავხედმა ხულიგანმა როგორ მოუხადა ბოდიში. ლუკამ როგორ ჩაუმწარა გაზულუქებულ პროკურორებთან ქეიფი რესტორანში. ,,შალვა ხომ სუფრასთან ახლოს მოსვლასაც ვერ გაბედავდა. ლუკას თანამდებობა რომ ჰქონდეს". მარინეს გაუჭირდა იმის წარმოდგენა შალვასნაირი გაჩალიჩების პირობებში რა შეეძლო ლუკას. ,,ქვეყანა ირევა, ლუკას შეუძლია ჰქონდეს ლიდერობის პრეტენზია. რამხელა შეცდომა დავუშვი! ახლა ვისმინო დედალმაშო და ქარაფშუტა შალვას ტრაბახი. გამოაგდებენ პროკურორობიდან და დარჩება ნიავწაღებული ბუმბული", ფიქრობდა მარინე და კომუნისტური პარტიის დაკნინების მაყურებელი ახალ გამძლავრებულ პარტიაში შესაძრომ ხვრელს ეძებდა. ხვრელები კი, გაგიხარია, ბლომად იყო. ჯერ კი სწორ პროგნოზირებაში არ უნდა შემცდარიყო, ხომ შეიძლება კომუნისტურ პარტიას ძველებურად გაებრძოლა და მუმლივით გამრავლებული არაფორმალები დაეფერთხა. მაშინ კი ყველას მოეკითხებოდა პარტიიდან პარტიაში თბილი ადგილის ძიების გაწამაწია. გამძლავრებული უკმაყოფილება, რაც ქვეყანაში მედროვე თავკაცთა აღვირახსნილობამ გამოიწვია, არყევდა სოციალიზმის ბურჯებს. გაზულუქებული პრივილეგირებული ფენა კომუნისტობის ერთგულებას რომ იბრალებდა, გასუქებული ვირთხებივით სოროში იმალებოდა ქარიშხლის დამთავრების შემდეგ ისევ რომ დაეთრიათ მსუყე ნაჭერი.

მარინეს ფიქრის ძაფი გაუწყვიტა კაბინეტში შესულმა ალინამ.

— ცუდადაა საქმე, ჩვენ აღარაფრად გვაგდებენ. კომკავშირის და პარტიის წევრობის ბილეთებს ყრიან და ახალ პარტიებს ეტმასნებიან, — მოახსენა.

— ახალი რა თქვი? ეგ მედროვეთა ხასიათშია. მისწრებაზე არიან ცხიმიანი ნაჭრის დასათრევად, ოღონდ აჩქარება შეიძლება თავის ტკივილად ექცეთ. ვინ იცის, ასე უმოქმედოდ რისთვის არიან კომუნისტი თავკაცები; ხომ შეიძლება რეპრესიების ქარბუქი დაატრიალონ?

— ეგ აღარ მოხდება, მაგათ გაყიდეს ის, რასაც ემსახურებოდნენ. თავტყირპიანი გორბაჩოვი და მისი ხროვა ედუარდ შევარდაძის ჩათვლით დიდ ნაჭრებს ითრევენ და ხალხის უბედურებით დანაყრდებიან, — დაასკვნა ალინამ.

— შეიძლება არც ტყუოდე, სახალხო ფრონტიდან მოვიდნენ?

— აქ არიან და შენგან დახმარებას ელოდებიან.

— გადაეცი, რომ მათთან ვარ. ყველაფერს შევასრულებ, ოღონდ ამჯერად არ გამოვჩნდები, ამ ეტაპზე ასე ავჯობებს.

ალინამ კმაყოფილი ღიმილით დატოვა მარინეს კაბინეტი.

მდგომაორეობა კი თანდათან უფრო უმართავი ხდებოდა. ცხრა აპრილის მიტინგის დარბევის შემდეგ კომუნისტურ პარტიას დამბლა უფროდაუფრო ბოჭავდა. ეროვნული მოძრაობა მძლავრ ძალად გადაიქცა. მას მიაწყდა უამრავი ბედის მაძიებელი მედროვე ავანტიურისტი.

მარინე ახლა უკვე სახალხო ფრონტის ტრიბუნიდან ტალახში სვრიდა კომუნისტების საქმიანობას და თავს იწოდებდა იმით, რომ მუდამ იმ სისტემის წინააღმდეგ იბრძოდა.

ახლადგამოჩეკილი პოლიტიკოსები რუსეთის ლანძღვით ცდილობდნენ პრინციპული მებრძოლის სახელი მოეპოვებინათ და ნდობა დაემსახურებინათ დამფინანსებელ უცხოელებთან. ამ საქმეში განსაკუთრებით სახალხო ფრონტი აქტიურობდა. მარინე პირად საუბრებში, თუ მიტინგის ტრიბუნიდან ენერგიულად ატალახებდა იმას, რასაც აქამდე მთელი თავისი შესაძლებლობით ემსახურებოდა

და თითქმის თვითონაც სჯეროდა, რომ საბჭოთა იმპერიას მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში თავდაუზოგავად ებრძოდა.

ამგვარად ჩასაძირად განწირული კომუნისტური ხომალდის ვირთხები ახალი საკბილოს ძიებაში მიძვრებოდნენ სხვადასხვა პარტიებში საპატიო ადგილის მოსანადირებლად, იბადებოდა მრავალი ავანტიურისტული ინიციატივა, რომელთა ავტორებს თავის გამოჩენა უნდოდათ ამ დიდ არეულობაში, შედეგი კი ან არ აინტერესებდათ, ან წარმოდგენა არ ჰქონდათ ამას რა შეიძლება მოჰყოლოდა. რუსეთიდან გამოგზავნილი უამრავი ტვირთი რაც სასიცოცხლოდ სჭირდებოდა საქართველოს სახალხო მეურნეობას დაიკარგა; ქვეყანამ მძიმე და გამოუსწორებელი ეკონომიკური დარტყმა მიიღო.

სამხრეთ ოსეთში მდგომარეობა შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მივიდა; ყველაფერი აირია აფხაზეთში რუსეთის დაუმსახურებელ ლანძღვას ეწირებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. აფხაზებსაც და ოსებსაც რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა უნდოდათ, რასაც საქართველოში აგორებული ანტირუსული ისტერია არ ეგუებოდა. ეთნოკონფლიქტები ადამიანთა სიცოცხლეს ითხოვდა. ქართველი ხალხის მფარველი ღვთაება სატანასთან ბრძოლას აგებდა. საქართველოს მეგობარი ქვეყანა მტრად ინათლებოდა ნამდვილი მტრების მიერ გონებაარეული ადამიანების მიერ, რაც მთელი ქართველი ხალხის სურვილის საწინააღმდეგოდ ხდებოდა, რათა მეგობრის გარეშე დარჩენილი საქართველო იოლად დეამორჩილებინათ და ქართველი ხალხი დაებეჩავებინათ, გაეძარცვათ და გაემათხოვრებინათ.

მოშლილი დისციპლინის და თვითნებობის ფონზე სამხედრო ნაწილებიდან იარაღის და ტექნიკის გაყიდვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. პოლიტიკურ გაერთიანებებს და უბნების მიხედვით შექმნილ საძმოებს თავიანთი შეიარაღებული ჯგუფები ჰყავდათ. ქვეყანაში ძალადობა და ქაოსი მძვინვარებდა.

თავტყირპიანი ბედოვლათის მიერ წამოწყებული „უსკარენიე“ და „პერესტროიკა“ ისევე ქარაფშუტული იყო, როგორც თვითონ

გორბაჩოვი. სავალალოა ისეთი დიდი ქვეყნის სათავეში, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო, უნიჭო კაცი და თანაც თუ ის თავისი ნაქარევი ტვინის ნაყოფს ქვეყანას რეორგანიზაციად მიაჩეჩებს. მაშინ კი უბედურება გარდაუვალია. სწორედ ეს უბედურება იღებდა ინერციას საბჭოთა კავშირის ხალხების ეროვნული და ნაციონალური ქიშპობის გაღვივებით მსოფლიოში დიდი მტაცებლების ყბაში ასაფართხალებლად, რომელთაც ეროვნულობის ლოზუნგით, საბჭოთა კავშირის ხალხების ერთმანეთზე დასაგლეჯად დაგეშვით რუსეთის დაშლა და დაქუცმაცება სჭირდებოდათ. რუსეთი იყო საბჭოთა კავშირის ხალხების შემაკავშირებელი ძალა, რომელსაც ხალხთა შორის მეგობრობა ადუღაბებდა; მეგობრობის მტრობით შეცვლა იყო ის პანდორას სკივრი საბჭოთა კავშირის ხალხებს არნახულ უბედურებას რომ უმზადებდა. ასე ნელ-ნელა იძირებოდა განუკითხაობის, ძალადობის, გაუმაძღრობის, გარყვნილების და ყოველგვარი უბედურების ჭაობში სოციალური კეთილდღეობის, თანასწორობის, ძმობის და მეგობრობის კაცობრიობის ყველაზე სანუკვარი ოცნება.

გაკომუნისტებული პარაზიტებისაგან შეწუხებული ხალხი დიდი ენთუზიაზმით მიდიოდა იმ მიტინგზე, რომელსაც ბოლოს ეს პარაზიტები და მათი მსგავსი ვიგინდარები უნდა მიეყვანა ხელისუფლების სათავეში ახალი ნიღბებით და ველური კაპიტალიზმის კაციჭამია იდეოლოგიით.

ერთხელ კიდევ გაიბრძოლა შერყეული სისტემის თავმოყვარეობამ და ცხრა აპრილს თბილისში მიტინგის დარბევა მოაწყო. მიტინგის მოთავეები დააპატიმრეს. დაფრთხა, დაშინდა და ჩრდილს შეეფარა ეროვნულ მოძრაობას აყოლილ მედროვეთა ხროვა. გადამალული პარტბილეთები მოძებნეს და მტვრის ფენა მოაცილეს. თუ რეპრესიები გაგრძელდებოდა, მზად იყვნენ, პარტიის ერთგულების ნიღბით დარეოდნენ იმ „მოღალატე“ ელემენტებს, გუშინ მათ გვერდით დგომისათვის ნემსის ყუნწში რომ ძვრებოდნენ: მაგრამ მოსკოვიდან დაწყებული საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესი შეუქცევადი იყო.

1956 წლის 9 მარტს გაცილებით დიდი სისასტიკით დახვრიტეს მომიტინგეები ხრუშჩოვის ბრძანებით და შემდეგ ისევ მომიტინგეებს ადანაშაულებდნენ. ახლა კი დარბევის მოთავეები თავს იმართლებდნენ, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, არ ვიცით, მიტინგის დარბევის ბრძანება ვინ გასცაო.

ინგრეოდა საბჭოთა კავშირი, ზანზარებდა უზარმაზარი ხალხთა ერთობის სახელმწიფო. ხელისუფლების და პარტიის მედროვე ქამელეონები თავშესაფრის ძებნის გაწამაწიაში ცდილობდნენ ნანგრევების ქვეშ არ მოტანებულიყვნენ, რათა გადარჩენილებს ყველაზე დიდი ნაჭერი დაეთრიათ.

მთელს საქართველოში მიტინგების გრიგალი ტრიალებდა. უზენაესი საბჭოს არჩევნები დაინიშნა და გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიას მეთაურობით ბლოკმა მრგვალმა მაგიდამ. მთელი ეს ამბავი ანტირუსული გამძვინვარების ფონზე მიმდინარეობდა. აფხაზებმა და ოსებმა კი რუსული ორიენტაცია არჩიეს და საქართველოდან გამოსაყოფად აიშალნენ. აზერბაიჯანიდან სომხების გამოყრა დაიწყეს. ყარაბაღში სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის დაპირისპირება სისხლის ღვრაში გადაიზარდა. შუა აზიაში ფერგანიდან ადრე საქართველოდან გადასახლებული გათურქებული მესხები თუ თურქები გამოყარეს. მოლდავეთში კომპაქტურად დასახლებულ დნესტრისპირელებსა და მოლდაველებს შორის დაიღვარა სისხლი. შეირყა ხალხთა შორის მეგობრობის და ურთიერთ პატივისცემის რწმენა, იგი ნაციონალურმა სეპარატიზმმა შეცვალა და დაერივნენ ერთმანეთს, რამეთუ ყველა სთვლიდა, რომ მისი უფლებები იზღუდებოდა ვიღაც სხვის მიერ. იმ სხვათ საქართველოში რუსეთი მიიჩნიეს და დაიწყეს ყოველივეს უარყოფა რაც რუსეთთან და რუსულთან იყო დაკავშირებული. არადა თვითონ რუსეთიც იწევდა დამოუკიდებლობისათვის, ის ვიღას გაურბოდა?! ნაციონალური გაუცხოების ბაცილა მეტ ნაკლებად ყველას შეეროდა საბჭოთა კავშირის მძლავრი სხეულის დასარბევად.

აირია მონასტერი. ეროვნული მოძრაობა ებრძოდა იმპერიას, რადგან ეს იმპერია სოციალისტური იყო, ყოველგვარი სოციალ-

ური კეთილდღეობის მონაპოვარი, იმპერიულ უბედურებად ითვლებოდა. ნაციონალიზაცია პრივატიზაციამ შეცვალა. ახლა უკვე საერთო სახალხო ქონებად წოდებული სახელმწიფო ასევე კოლმეურნეობათა და ვაჭრობის კოოპერაციული ქონების განუკითხავი დატაცება დუღდა.

იყო ჟამი მედროვეთა ახლებური ბუმბულით შემოსვისა, რასაც მოქნილი ქამელეონები წარმატებით ახერხებდნენ.

ლუკა ყოველივე ამას შორიდან გულისტკივილით უმზერდა და მასში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა. ქალაქის გარეუბანში მიწის ნაკვეთი აიღო და მის დამუშავებაში იკლავდა შემოქმედებითი შრომის წყურვილს. ხეხილის ბაღი გააშენა, სხვადასხვა ჯიშები დაამყნო და იშვიათი შედეგები მიიღო. ბოსტნეულ-ბაღჩეულის განსაცვიფრებელ მოსავალს იღებდა. პატარა სადგომიც მოაწყო პირუტყვისათვის. ღორები ჰყავდა, ახლა ცხვარი, თხა და ძროხა უნდოდა შეეძინა. ქოხიც ააშენა ისეთი, რომ შიგ მუდმივად შეეძლო ეცხოვრა. ასე ცდილობდა ლუკა ცხოვრებისეული უკუღმართობიდან გამოთიშვას და ნაწილობრივ ახერხებდა კიდეც, მაგრამ სად გაექცეოდა ზღვაზე მოქანავე კუნძზე შემომჯდარი ბეღურა წუთისოფლის განუკითხაობის სუსხიან სინამდვილეს. თვალების დახუჭვით ტოროლა რაობას არარაობად ვერ აქცევს. სირაქლემა მხოლოდ საკუთარ თავს უქმნის ქვიშაში თავის ჩამალვით უსაფრთხოების ილუზიას. ლუკა კი არც ტოროლა იყო და არც სირაქლემა, ის არც ამ ცხოვრების უკუღმართობას ემალებოდა, მას ადამიანთა გონების დაჩრდილვა აშფოთებდა და იმის შეგნება, რომ ამის მკურნალობა ხელთ არ ეწიფებოდა, ბრძოლის შემართებას უქრობდა. დღე და ღამე შრომით აყუჩებდა უკუღმართ ცხოვრებასთან პაექრობის სურვილს. კლარა ყოველ დღე აკითხებდა და მასთან ყოფნით სიცოცხლის წუთებს ატკბობდა.

ქუჩებში ხალხი დარბეული სკის ფუტკარივით ირეოდა, თითქოს სახლში აღარავინ დარჩაო. პოლიტიკური ვნებათალელვა კანში ვერ ტეულიყო, ადამიანთა უზარმაზარი მდინარე ბობოქრობდა, ვიღაცას თუ რაღაცას წალეკვით ემუქრებოდა.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას ებრძოდა ყველა პარტია თუ პოლიტიკური გაერთიანება, რომლებიც მრგვალ მაგიდაში არ მოხვდნენ. ხალხი იოლად რომ მართო, უნდა დააბეჩაო, ამიტომ ჯერ ასე ბობოქრობდა, რადგან არ დაბეჩავებულიყო, ამის მეთოდს კი ედუარდ შევარდნაძე იყო დაუფლებული, მოსკოვიდან თეთრი მელას ცბიერებით რომ მისჩერებოდა საქართველოს და მზად იყო იქ შესაძრომად როგორც მელა საქათმეში. გამსახურდიას ხელისუფლებამ მცირე დროში მოახერხა ინტელიგენციის შეძულება, ამას მიჰყვა უმაღლესი სასწავლებლები და მასმედია, რუსეთთან გართულებულ ურთიერთობას ამერიკასთანაც დაემატა და ეთნოკონფლიქტების ცეცხლმოდებულ საქართველოს საშინელი ეკონომიკური უბედურება დაემუქრა. არც რუსეთში იყო დალხინებული ცხოვრება, საბჭოთა კავშირის დაშლის ქაოსი მასაც ღრიღნიდა. ამერიკას კი სულაც არ აწყობდა საქართველოში მისი უამართავი ხელისუფლება და აირია მონასტერი. ვისი ფარული ხელი მართავდა ყოველივე ამას და რამდენ სვლაში იყო გათვლილი სასურველ ფინიშამდე მისვლა ამას დრო და მომდევნო მარიონეტ ხელისუფლებათა კუნტრუშზე შეიძლებოდა გარკვევა. ახლა კი მთავრობის სახლის წინ ხალხით გაჭედილი მიტინგი ბობოქრობდა; ტელევიზიის შენობასთანაც უამრავი ხალხი შეკრებილიყო. მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ზვიად გამსახურდიას თავისივე გვარდია გადაუდგა და თბილისის ზღვასთან დაბანაკდა. ხელისუფლების მიერ მისი დამორჩილების მცდელობა სისხლიანი შეტაკებით დამთავრდა.

მთავრობის სახლის წინ შეხლა-შემოხლას თოფის გასროლა მოჰყვა და დაიწყო შეიარაღებული შეტაკება, რომელშიც ტანკები, ჯავშნიანი მანქანები და არტილერიაც ჩართეს. პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეები უზენაესი საბჭოს შენობაში გამაგრდნენ. გვარდია, გასამხედროებული კოსტავას საზოგადოება და ციხიდან გამოშვებული მხედრიონელები ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ; თბილისის ცენტრი ცეცხლში გაეხვია. კიდევ ერთი ბაზალეთის მსგავსი უბედურება აბოლდა. ქართველთა მიერ ერთ-

მანეთის სისხლის ღვრის სამარცხვინო დიდი შეტაკების სამას ცხრა შემთხვევა დათვალა ლევან სანიკიძემ. ახლა კი სამას მეათე სირცხვილის ცეცხლი გიზგიზებდა; ქართველები დაუნდობლად ჟლეტდნენ ერთმანეთს. რა მიზეზით, რისთვის დაერივნენ ერთმანეთს? გვარდიაც ხელისუფლებისა იყო და კოსტავას საზოგადოებაც, ისეთი რა უთანხმოება დაებადათ, რომ სისხლის ღვრის გარეშე ვერ მოთოკეს. ეს იყო შეგნება ყალბი ძლიერებისა, რაც იარაღმა შესძინათ და თანამდებობის ხელში ჩაგდების ამბიციებით იყო შენელებული. რომ გეკითხათ, რისთვის ხოცავდნენ ერთმანეთს, ისეთ მიზეზს მოიტანდნენ, მხოლოდ მაღალი სიცხის ზეგავლენით თუ დაღვრის მოძმის სისხლს ამის გამო ადამიანი.

ზვიად გამსახურდიას უამრავი შეცდომის გარდა აკლდა დიპლომატიური მოქნილობა; მისთვის სიცრუეც უცხო იყო, რაც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობიდან უმუშევრად დარჩენილ, ყოველგვარი სიმუხთლის მკადრებელ, თავისი ქვეყნის და ერის ინტერესებით მედუქნესავით მოვაჭრე ედუარდ შევარდნახეს თავზე საყრელად მოეპოვებოდა.

რა მიზანი ჰქონდა ამ აჯანყებას, რევოლუციას თუ პუტჩს? შენ წადი, ხელისუფლებაში ჩვენ უნდა მოვიდეთო. რით იყო ქვეყნისათვის მათი მოსვლა უკეთესი მთელი დღე შეეძლოთ ელაპარაკათ, რომლისგანაც რეალურს ვერაფერს დაასკვნიდი, გარდა ქვეყნის სასიკეთო მიმართულების უცოდინარ ეგოისტთა ამბიციური ინტერესებისა. ერთი კი ცხადი იყო, მზადდებოდა ქართველი ხალხის ყველაზე დიდი უბედურების, დღემდა არნახული მოღალატის, მუხთლის და კაცთმოძულის – ედუარდ შევარდნაძის ღვარძლის მეორედ და უფრო ენერგიულად დათხევა საქართველოში. ზვიად გამსახურდიას როგორი შეცდომაც არ უნდა დაეშვა ქართველი ერის სიყვარულში ბრალს ვერ დასდებდით; ის ამერიკელთა მიმართ ლაქუცს და ლაქიობას არ იკადრებდა. ჰოდა მოძებნეს ქართველი ერის ჭირი და ვაება. სამას მეათე ქართული სირცხვილი ახალ-ახალ სირცხვილის და უბედურებას ამზადებდა.

## მრუდე გონების ბორგვა

ლუკა პაპუნასეულა ბინისკენ მიდიოდა. სოლოლაკის უბანი უკაცრიელი იყო. იქვე ცენტრში ბრძოლის გნიასი იდგა. დროდადრო შეიარაღებული ნიღბოსნები ქუჩაზე გადარბოდნენ ხოლმე. აქა-იქ ავტომატის მოკლე ჯერის ხმა ისმოდა. ვინც თავისი მოძმის სისხლს ღვრიდა, ვერ ხვდებოდა, რომ მისი უკუღმა შებრუნებული ტვინით მხოლოდ სატანას ემსახურებოდა, რომელსაც საქართველო თავის ჯოჯოხეთის გრძნეულთა სუფრაზე გემრიელ ნაჭრად სჭირდებოდა. სიგიჟეშეყრილ შეიარაღებულ ადამიანთა ფუსფუსს ლუკა გულისტკივილით აკვირდებოდა, საკუთარი ქვეყნის უბედურებად რომ ირჯებოდნენ და ეგონათ, რაღაც კეთილ საქმეს ემსახურებოდნენ. ბევრი კი იმ გამარჯვებაზე ფიქრობდა, რომლის მიღწევის შემთხვევაში განუკითხავი ძარცვა-რბევით გაიგრილებდნენ გაუმაძღრობის სიცხეს.

ლუკა თავის სადარბაზოში შევიდა. კიბეზე ვიღაც ქალი ჩამოდიოდა, შეტრიალდა, რომ ქალი გაეტარებინა და უკაცრიელ ქუჩას დააკვირდა. ვიღაცამ ნაგავი ტროტუარზე დაყარა, მაშინვე მიესია რამდენიმე ძაღლი და ნაგვის რევიზიას შეუდგნენ; იქვე ეყარა ადრე დაყრილი და გადაქოთებული ნაგავი.

ქალმა მხარზე ნაზად დაადო ხელი და თავისკენ შეაბრუნა: — გამარჯობა, ლუკა, რამდენი ხანია გეძებ, ძნელი სანახავი გახდი, — უთხრა, მოეხვია და აკოცა, — ახლაც შენთან ვიყავი, ბოლოს მაინც გამიმართლა და გნახე.

— რაში დაგჭირდი ამ გაგანია ომში, ქალბატონო ქსენია? — ჰკითხა გაკვირვებულმა ლუკამ.

— ნუ გეშინია, ამჯერად შენთან საარშიყოდ არ მოვსულვარ, უფრო სერიოზულ საქმეზე უნდა მოგელაპარაკო? მერე კი არც არშიყი გვაწყენდა, — ქალი ვნებიანად უღიმოდა. — სახლში ხომ არ შევსულიყავით, არ მინდა, რომ ჩვენი შეხვედრის შესახებ ვინმემ გაიგოს.

— სასწრაფო საქმე მაქვს, მალე უნდა წავიდე, ამ უკაცრიელ

ქუჩაში ვინ უნდა დაგვინახოს, — ლუკა ფრთხილობდა, ოთახში მარტო დარჩენილმა არშიყი არ მომთხოვოსო.

— კარგი, სწორე გითხრა, მეც მეჩქარება, თორე შენთან ღლაბუცს რა სჯობდა. მოკლედ, ჩემმა პარაზიტმა ქმარმა, რაღაც მაგარი კომბინაცია გაითამაშა, თუ ვინმე გაძარცვა, სახლში დიდიძალი ფული მოიტანა. მე ახლოს არ მაკარებს; საერთოა, რამდენიმემ უნდა გავიყოთო. ვიცი, მატყუებს. ჭაღარა კოჭლი კაცის სცენა უნდა გავითამაშოთ. მერე თუნდაც ბიკენტის თვალწინ გამაუპატიურე, — სათქმელი ავხორცის ღიმილით დაასრულა.

— მაგ ოპერაციის ჩატარებას როდის აპირებ? — ჰკითხა ლუკამ შეფარული შეშფოთებით.

— ის სახლში უნდა იყოს, თორე ისე არ დამიჯერებს და მე დამაბრალებს, ახლა ქალაქიდან გასულია, ალბათ ომის დამთავრებას ელოდება. დაგირეკავ და ზუსტ დროს გაგაგებინებ, მაგრამ შენი დაჭერა რომ არ ხერხდება, როგორ მოვიქცეთ; სადაც ხშირად ხარ, იმ ბინის ტელეფონი მომეცი.

ლუკა ჩაფიქრდა, კლარას ბინის ტელეფონის ნომრის მიცემა არ უნდოდა, მაგრამ ამ აბეზარ დედაკაცს სხვანაირად ვერ მოიცილებდა. — ამ ნომერზე დამირეკე, სახლში თუ არ დაგხვდე, ამბავი დამიტოვე, — დაარიგა.

— ეს ვისი ბინის ტელეფონია?

— ჩემი მეუღლის.

— ლუკა, შენ ცოლი გყავს? — ქსენიამ თვალები დაჭყიტა გაკვირვებისაგან.

— დიახ.

ქალი ჩაფიქრდა. მერე თითქოს რუბიკონი გადალახაო, ხელი ჩაიქნია; — არა უშავს, მეც მყავს ქმარი, მაგრამ ამით სასიყვარულო გატაცებას ხელი არ ეშლება. უფრო ხელსაყრელი გამოდგეს მგონია. ჩემთან იმას დაარეკინე ხოლმე; ახლა უკვე აღარ მეშინია შენი დაკარგვის, — გადაიხარხარა.

ლუკას მისი თავიდან მოცილება ეჩქარებოდა და ყველაფერზე თავს უქნევდა; სახეზე კი დაგვიანებული კაცის მოუთმენლობა აღბეჭდოდა.

— კარგი, ლუკა, მეც ძალიან მეჩქარება, მალე დაგირეკავ და დაწვრილებით მაშინ მოვილაპარაკოთ, — გაოგნებულ ლუკას გამოემშვიდობა, აკოცა და სწრაფად წავიდა.

ლუკა ბინაში შევიდა, სავარძელში ჩაჯდა და ტვირთმოხსნილივით ამოიხვნეშა. ეს ქალი რა ჭირად გადაეკიდა. აშკარაა, რომ იცნო და ახლა თავისი მექრთამე ქმრის ერთობლივ გაძარცვებს სთავაზობს, თანაც ეს ღალატი, არ ყოფნის, დიდი სურვილი აქვს ქმრის თვალწინ გაუპატიურებისა. ნეტა პირველადაც ასეთები იყვნენ, თუ მოხვეჭის გაუმაძღრობამ გადააქცია ისინი მანიაკალურ უბედურებათა ტყვედ? ამ ქალის ძალადობას ახლა კი დააღწია თავი, მაგრამ რა შეაკავებს ვნებააშლილ ძუკნას?! საამისოდ მას აღარ გაეკარება, ოღონდ გართულების გარეშე უნდა ჩამოიცილოს. ეტყობა მაგ ოჯახისთვის გაუპატიურება გართობა უფროა; ფულის გულისთვის კი ეგ ცოლქმარი ერთმანეთს ცოფიანი ძაღლებივით დაგლეჯენ. ლუკა დიდხანს ფიქრობდა. რაც არ უნდა მომხდარიყო, იმ ოჯახში მიმსვლელი აღარ იყო, მაგრამ ქსენიას უმტკივნეულოდ ჩამოცილება უბრალო საქმე არ იქნებოდა.

ბინიდან გამოვიდა. მთავრობის სახლის მხრიდან ძლიერი სროლის ხმა ისმოდა, რომელსაც დრო და დრო აფეთქებაც უერთდებოდა. მისი ბინის ახლოს სროლა გახშირდა. შეიარაღებული კაცები ქუჩაზე გადარბოდნენ და ისროდნენ. გამსახურდიას მომხრეებს პუტჩისტები სოლოლაკშიც დასდევდნენ. ლუკა კლარას სახლისკენ გაემართა. რუსთაველის პროსპექტი გადაკეტილი იყო. კოსტავას საზოგადოების შეიარაღებული ხალხი უნივერმაღში გამაგრებულიყვნენ და ზვიადის მომხრეებს აქედან უკეტავდნენ გზას მთავრობის სასახლისაკენ. გამსახურდიას მომხრეები მაინც ახერხებდნენ ალყიდან გამოღწევას და მათზე პუტჩისტები ნადირობდნენ. ახლაც ეტყობა რომელიღაც ჯგუფმა იქიდან გამოაღწია და სოლოლაკში აქცევდნენ ერთმანეთის სისხლს. ავად წიოდნენ კედლიდან ასხლეტილი ტყვიები. გარეთ კაცის შვილი არ ჩანდა, ზოგჯერ ავტომატის სროლით ნიღბიანი გვარდიელები თუ გადაირბენდნენ. ტყვიით ჩამსხვრეული მინა ზრიალით ასკდებოდა

ასფალტს. კუდამოძუებული ძაღლები მაინც ბედავდნენ მიმოფანტული ნაგვის ქექვას. საბურავებმოხსნილი და გაძარცული მანქანები ეყარა აქა-იქ.

ბიჭმა გადაირბინა ქუჩა და მაღალი შენობის ეზოში გაუჩინარდა. მალე გამოჩნდა, თან ავტომატს და ჩანთას მოათრევდა.

ლუკამ მახო გზირიშვილი იცნო, — მალხაზ! — დაუძახა.

ბიჭი შეკრთა. ჯერ გაქცევა დააპირა, მაგრამ ლუკა იცნო და მისკენ მშვიდად წავიდა.

— იქ მკვდარი კაცი გდია, კიბის ქვეშ იმალებოდა და მომკვდარა, ერთი კიდევ აგერ, იმ სადარბაზოში წევს დაჭრილი, სიარული არ შეუძლია, ზვიადისტია, ჩვენთან მხედრიონელები ქეიფობენ, რომ ნახონ, ნამდვილად მოკლავენ.

— მხედრიონელებს თქვენთან რა უნდათ?

— მამაჩემი ციხიდან მათთან ერთად გამოვიდა. ამბობს, ესენი მხედრიონს მიტმასნებული ყაჩაღები არიან და მათი სახელით სარგებლობენ თორე მაგათ არც მხედრიონი და არც გვარდია არა სწამთო.

— აბა, წამოდი, ის დაჭრილი ვნახოთ, — ლუკამ ბიჭს ავტომატი გამოართვა.

სადარბაზოში კაცი იჯდა, ზურგით კედელს მიყრდნობოდა, სახე სისხლით ჰქონდა დასვრილი; ამათ დანახვაზე გვერდით მიგდებული ავტომატისკენ გაიწია.

— ნუ გეშინია, შენი მოხმარება გვინდა მხოლოდ, — ლუკამ დაამშვიდა.

— ლუკა, შენა ხარ?! — დაჭრილს გაუხარდა.

— რომელი ხარ? — ლუკამ თითქოს იცნო დაჭრილი, მაგრამ დარწმუნებული არ იყო.

— ზაზა მასწავლებელი ვარ, ლუკა, ფეხებში დამჭრეს, სიარული არ შემიძლია, მგონის თავშიც მომხვდა რაღაც.

— ნუ გეშინია, ახლავე წაყიგვან საავადმყოფოში, — ლუკამ გაამხნევა.

— არ გამოვა, მაგათ ხელში თუ ჩავვარდი, მომკლავენ.

ლუკა ჩაფიქრდა, „შეიძლება საავადმყოფოში თავიანთი ხალხი ჰყავთ პუტჩისტებს“ — გაიფიქრა.

— კარგი, ჩემთან წაგიყვან, იქ ვერ მოგწვდებიან, — ზაზა ზურგზე წამოიკიდა, ავტომატები მარცხენა ხელით აიღო და ქუჩაში გავიდა; ჩანთა წამოკიდებული მალხაზი უკან მიჰყვა.

ზაზა ორვიე ფეხში იყო დაჭრილი, ტყვია მხარში და თავშიც მოხვედროდა, მაგრამ საშიში არ იყო. ლუკამ ჭრილობები მობანა, ზეწრით შეუხვია.

— ექიმმა უნდა გნახოს, — დაასკვნა.

— ექიმს სად ნახავ, ეგრე ვიქნები, თუ მოვკვდი, სულაც არ მენაღვლება, — ზაზამ ჩაილაპარაკა.

— ჩვენს სადარბაზოში ქირურგი ცხოვრობს, ბატონ თენგიზს ეძახიან, — იქნება ის მოვიყვანოთ.

ლუკამ მოფერებით თავზე ხელი გადაუსვა. მალხაზი გახარებული იყო, რომ ექიმის აღმოჩენით ლუკას ასიამოვნა...

მალხაზის ბინიდან ღრიანცელის ხმა გამოდიოდა.

— ყოველ დღეს სულ ეს ამბავია. მაღაზიებიდან თუ საწყობებიდან პროდუქტები მოაქვთ, თვრებიან, მერე კიდევ ქუჩაში გადიან და ვაი იმას, ვისაც გადაეყრებიან. სადაც ჩხუბია იქ არ მიდიან, ქალაქში დაწანწალებენ და ადამიანებს აწიოკებენ; დედა სულ ამბობს, ეგ ნაძირალები სახლში შემოსაშვები არ არიანო. მამა არ უჯერებს, ისაც თვრება და პირს არ იპარსავს, — შესჩივლა მალხაზმა.

— შენ სერიოზული საქმე გამოგიჩნდა, ზაზა ბიძიას მიხმიარება უნდა; ოღონდ ოჯახში არ თქვა, თორე იმ წვეროსნებმა შეიძლება მოკლან, — ლუკამ გააფრთხილა.

— ეგენი როცა სახლში არიან, მე აღათი მეზობლებთან გამყავს, ან ერთად ვართ ხოლმე ეზოში. დედა სულ ნერვიულობს, მაგათ ღრიალში თავი მტკივდებაო; სულ მეორე ოთახში წევს.

— როცა ეგენი ახმაურდებიან, შენ და აღათი ჩემთან წამოდით.

— არა საშიშია, ჩემს ძებნაში ეგ დაჭრილი კაცი არ ნახონ.

— კარგი, ჯერ ბატონი თენგიზი ვნახოთ, დანარჩენებზე მერე მოვიპალარაკოთ.

ქირურგი სახლში დახვდათ.

ზაზა გაშინჯა.

— ოპერაციაა საჭირო, — ჩაილაპარაკა, — ოღონდ ინსტრუ-მენტები და მედიკამენტები დამჭირდება. დღეს გვიანაა, ხვალ ვეცდები რაც საჭიროა ყველაფერი წამოვიღო, — ჭრილობები შეუხვია, მალხაზმა და ლუკამ სახლამდე მიაცილეს.

კიბეზე მალხაზის მამა შეხვდათ, ნასვამი იყო.

— სად დაეთრევი, ბიჭო! — უყვირა.

— ეს ლუკაა, მამა, ჩვენ რომ გვეხმარებოდა, — მალხაზმა სასწრაფოდ აუხსნა.

— ლუკა? ჰო, მახსოვს როგორ არა.

— თქვენ იასონი ხართ? — ლუკამ ჰკითხა.

— ჰო!

— მგონი მეც მახსოვს. მინოსას შენი დახმარება ვთხოვე, როჭოს დაავალა.

— როგორ არა, ეს შენ სთხოვე? მაგრად მფარველობდა. ახლა ჩემთან ძმა ბიჭები არიან, მათთან მინოსას სახელი არ წამოგცდეს, მინოსამ ყველა არაქუშდად დასვა; შემოდი, დავლიოთ, — თავისთან მიიპატიჟა.

ლუკას უარი არ გაუვიდა, ისაონს ბინაში შეჰყვა.

მაგიდასთან ხუთი წვერმოშვებული, სამხედრო ფორმიანი კაცი იჯდა. ავტომატები საკმებზე მიეყუდებინათ, პისტოლეტი ქამარში გაერჭოთ, რომელზეც დანა და ხელყუმბარები დაეკიდებინათ. ჯი-ბიდან ავტომატის სათადარიგო მჭიდი მოუჩანდათ. იატაკზე ცარ-იელი ბოთლები ეყარა; კუთხეში კონსერვის ქილები და სხვა რაღაცის ყუთები ეწყო. მაგიდა ისე იყო გადატვირთული და არეული ნაჭამ და ხელუხლებელ ხორაგს ერთმანეთში ძნელად გაარჩევდა კაცი. კონიაკის, ღვინის და არყის ბოთლები მაგიდაზე რომ ვერ დაეტია ფეხებთან ეწყოთ.

— გაიცანით, ჩემი ოჯახის მოამაგე, — იასონი ღვინის სმით გაელმებული თვალებით მიაჩერდა.

— ლუკა, — მახო მიეხმარა.

— ლუკა, — გაიმეორა იასონმა.

— ვიბრიონა, — ერთმა გაქონილი ხელი გაუწოდა.

— ტყემალა, ჩოჩორა, ლოკოკინა, სლოკინა, — ყველა გაეცნო.

— შენ ვის მხარეზე ხარ, ჯიგარო? — რიხიანად მიმართა ლოკოკინამ.

— მე? საქართველოს და ქართველი ხალხის.

— ისინი ქართველები არიან, ჩვენ სისხლს რომ ვაფურთხებდით? შენ ვის ებრძვი?! — ვიბრიონამ გამომწვევად უთხრა.

— მე არავის არ ვებრძვი.

— მაშინ ჩვენი მტერი ყოფილხარ. ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია.

— რომის იმპერიაში ვინც მაგნაირად სჯიდა, დამარცხდა. იულიუს კეისარმა კი გაიმარჯვა. იცი რატომ? ვინც მე არ მებრძვის, ყველა ჩემი მეგობარიაო, — განუმარტა ლუკამ.

— მაშ, ჩვენ დავმარცხდებით?! — წამოიშალნენ.

— ძალადობა დროებით იმარჯვებს; ბოლო სიმართლისათვის მებრძოლისაა.

— მაშ. ჩვენ სიმართლისათვის არ ვიბრძვით?!

— მა ერ მითქვამს, ეგ შენ თქვი!

— ახლავე მიგაცხრილავ? — ვიბრიონამ ავტომატისკენ გაიწია.

ლუკა ავაზასავით დაიძაბა. იარაღის მოხმარების საშუალებას არავის მისცემდა პატარა ოთახში. ამ შემთვრალ არამზადებთან აშკარა უპირატესობას გრძნობდა. დანარჩენებიც შეათვალიერა იარაღისკენ რომ წაიღეს ხელი. ერთ წუთში ყველას ერთმანეთზე მიაწყობდა, მაგრამ ეს ოჯახი ამგვარ ალიაქოთისთვის არ ემეტებოდა.

— არავინ გაბედოს ჩემი მეგობრის წყენინება, თორემ ძალიან ძვირად დავუსვამ! — იასონმა იღრიალა და ნახტომისათვის მომზადებულ ავაზასავით დაიძაბა.

მალხაზი ვიბრიონას წინ დაუდგა. — ლუკა ძიას ხელს ვერ

ახლებთ, ის ჩემი მეგობარია; ავტომატზე ნუ მიდგება, თორემ!... დაიმუქრა.

ვიბრიონა სკამზე დაეშვა. სხვებიც შემოუსხდნენ მაგიდას.

— კარგად იყავით! — თქვა ლუკამი და კარები გამოაღო.

— იცოდე, შევხვდებით! — დაემუქრა ვიბრიონა.

— არ დაგავიწყდეს, რომ იარაღით უიარაღოზე მუქარა ვაჟკაცობა არ არის, უიარაღოდ ვიბრიონა კი არა ლოკოკინაც არა ხარ; რა კარგად სცნობიხარ, თქვენს ნათლიას! — უპასუხა ლუკამ და ამ ნათქვამით გაკვირვებულ პარაზიტებს გარეთ გასულმა კარები მიუჯახუნა, მალხაზი გამოეკიდა.

— ნუ გეშინია, ლუკა ძია, შენთან ავტომატი რომ დავტოვეთ ავიღებ და ამათ დედას ვუტირებ! — გაამხნევა.

— არაკაცების დედა ისედაც ნატირებია; მთავარია სიძულვილმა სიყვარული არ მოგიწამლოს; ეგენი კი უბედურები არიან სიძულვილის ტყვეობაში, — ლუკამ მალხაზს მხარზე დაადო ხელი, — წამოდი, ჩემთან იყავ, სანამ ეგენი წავლენ.

რუსთაველის პროსპექტზე სროლა არ წყდებოდა. იწვოდა სასტუმრო „თბილისი“, პირველი სკოლა, სუკის იზოლატორი, შინაგან საქმეთა სამინისრო, თვითონ მთავრობის სახლი. მძლავრი აფეთქებები აზანზარებდა მიდამოს. სროლა იყო სოლოლაკშიც. დანარჩენ რაიონებში ცხოვრება შედარებით ნორმალურად გრძელდებოდა. ზოგჯერ დაკარგული ტყვია თუ გაიწივლებდა. პოლიციის თუ მილიციის ხსენება არსად არ იყო. ავტომობილით გარეთ გამოსვლას ვერავინ ბედავდა დაყაჩაღების შიშით. დროდადრო დაჭრილების გადამყვანი მანქანები დაქროდნენ წივილ-კივილით.

მათე და მალხაზი ქუჩაში მიდიოდნენ. კანტიკუნტი სროლის ხმა ისმოდა. შორს, ქუჩის ბოლოს კაცი გამოჩნდა. კედელზე ხელის მიბჯენით ძლივს მიდიოდა, მეორე ხელზე წამოდებუოლი ღვედით ავტომატს მიათრევდა; თავის ნატარზე სისხლიან კვალს ტოვებდა.

— პაპუნა! — შესძახა ლუკამ და მისკენ გაიქცა. პაპუნას ძალა გამოელია, ფეხის გადადგმა ვეღარ შეძლო და კედლის ძირას ჩაიკეცა...

ბატონი თენგიზი ახლა პაპუნას ჭრილობებს ათვალიერებდა. მარჯვენა მხარში და გვერდში იყო დაჭრილი, სისხლი ბევრი დაეკარგა; ოპერაციის დაყოვნება არ შეიძლებოდა.

— მანქანა მყავს, მაგრამ ქუჩაში გატანის მეშინია, წამართმევენ; არადა ოპერაცია თუ დაგვიანდა, დაიღუპება, — დაასკვნა ქირურგმა.

— მე გამოგყვები, თითს ვერავინ დაგაკარებს! — ლუკამ ერთი შეკვრა ფული ჩაუდო ჯიბეში.

— რას შვრები, კაცო, ფული რა შუაშია! — თენგიზმა შეიცხადა.

— იმ შუაშია, რომ ყველა საჭირო წამალი უნდა წამოიღო, ბენზინიც ხომ გინდა, ვიღაც ხომ დაგეხმარება ოპერაციის დროს და ვინ იცის ათასი გაუთვალისწინებელი რამ! — უპასუხა ლუკამ და ავტომატი აიღო.

— მეც წამოვალ, ლუკა ძია! — მალხაზმა ერთი ავტომატი დაითრია.

— შენ აქ ამათ უყარაულე, ოღონდ ავტომატით არ იცელქო! — დაავალა ლუკამ...

ქირურგი საჭესთან იჯდა. სამგან ეცადნენ მანქანის გაჩერებას ბალნიანი და ნიღბიანი შეიარაღებული ჯუფები.

— გვარდია! დაჭრილებისთვის წამლებზე მივდივართ! — ღრიალებდა ლუკა და მიმავალი მანქანიდან ჰაერში ისროდა.

თენგიზმა მისი ყველაზე ერთგული მედდა, დოდო წამოიყვანა, საჭირო მედიკამენტები და ინსტრუმენტები წამოიღო.

ორივეს გაუკეთეს ოპერაცია, დოდო რამდენიმე დღე დარჩებოდა დაჭრილებთან, თენგიზიც ყურადღებას არ მოაკლებდა. მალხაზიც სულ მათთან იყო, თავს მოვალედ თვლიდა დაჭრილები დაეცვა; როცა ბალნიანი ავაზაკები ღრეობდნენ, მაშინ მალხაზის დაც მათთან იყო.

ზაზას თავის და გვერდის ჭრილობები მძიმე არ იყო. ფეხებში ძვლები გადაურჩა, მაგრამ გატოკება არ შეეძლო. პაპუნა კი მძიმედ იყო და უგონოდ იწვა.

ზაზამ თვალები გაახილა. ოთახი დაათვალიერა. — ვინ არის აქ? — იკითხა.

— როგორა ხარ? — დოდო მასთან მივიდა.

— სადა ვარ?

— ლუკას ბინაზე. ოპერციამ კარგად ჩაიარა, მალე გამოჯანმრთელდები, — ანუგეშა.

ზაზა პაპუნას საწოლს მიაჩერდა. — იქ ვინღა წევს? — იკითხა.

— მძიმედ დაჭრილი გვარდიელია.

— გვარდიელთან მე რა მინდა?! მაგათ დაანგრიეს ქვეყანა! — ზაზა შეშფოთდა.

— ვინ დაანგრია და ვინ აშენებს, იქ გაარკვიონ, თავიანთ ხუშტურებზე ქალაქს რომ აოხრებენ, აქ ყველა ერთია. მტერმოყვარის გასარკვევად ერთმანეთს კი არ უნდა ვხოცავდეთ, ცოტა ჭკუას უნდა მოვუხმოთ! — დოდო გამწარებული იყო ამ ვაკხანალიით ისე, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი.

— ეს მაგათ უნდა უთხრა, ცოფიანი ძაღლებივით რომ დაგესივნენ!

— კარგი, კარგი! ჯერ უნდა გამოკეთდე. ვის აქვს ჭკუა ქვეყნის საუბედუროდ შეტრიალებული, მერე გაარკვიეთ აგერ, შენი ავტომატი კედელზეა მიყუდებული! — დოდო გაუწყრა.

ზაზა გაჩუმდა, მაგრამ გადაწყვიტა, როგორც კი სიარულს შეძლებდა, აქედან წასულიყო, სადაც მისი საძულველი გვარდიელი იწვა...

პაპუნა გამოკეთდა, ლაპარაკობდა, თუმა ადგომა ჯერ არ შეეძლო.

ახლა ზაზა და პაპუნა ხშირად დაობდნენ. ორივეს თავი მართალი ეგონა, მათი მოწინააღმდეგე კი მოღალატე იყო.

რუსთაველის გამზირზე ბრძოლა დამთავრდა. ზვიად გამსახურდიამ თავისი მომხრეებით მთავრობის სახლი დატოვა და სასომხეთისკენ წავიდა. ერთი ავტობუსი მისი მომხრეებით კი გამოიჭირეს და ყველა დაცხრილეს.

ახლა პაპუნას უპირატესობა ჰქონდა, გამარჯვებულთა წარმომადგნელეი იყო, ზაზას კი ყოველ წუთს შეიძლებოდა გასწორე-

ბოდნენ. ზაზა ამას განიცდიდა და ჭრილობებიც ნელა უხორცდებოდა. ნაპოლეონის მკურნალ ლარეის, რომელმაც ბოროდინოს ბრძოლის დროს დღე-ღამეში 150 ოპერაცია გააკეთა, დასკვნა მართლდებოდა. გამარჯვებულებს დამარცხებულებზე ადრე რომ უხორცდებოდათ ჭრილობა.

— თქვენ საქართველო მოკალით! — ედავებოდა ზაზა პაპუნას.

— ჩვენ საქართველო მოძალადეებისაგან და თვითდაჯერებული ყეყეჩებისაგან ვიხსენით! — უმტკიცებდა პაპუნა.

ლუკა მათ დავას პირველად შეესწრო, მეორე ოთახში იყო და ყველაფერი ესმოდა.

— რაზე დაობთ? — იკითხა.

ისე ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს არ აცდიდნენ და თავს აბსოლუტურად იმართლებდნენ.

— მეგონა, ჩვენი ფეოდალური ხანის უბედურება ისტორიის ხავსმოდებულ თაროზე შემოვდეთ, თურმე როგორ ვცდებოდი, — ჩაილაპარაკა ლუკამ და მაგიდასთან დაჯდა.

— რა შუაშია ფეოდალური ხანის უბედურება?! — ზაზა შეედავა. — საქართველო 975 წელს გაერთიანდა სამი დიდი ერის შვილის: ტაო-კლარჯეთის მმართველის — დავით კურაპალატის, ქართლის მმართველის — იოანე მარუშისძის და ბაგრატ მესამის ძალისხმევით. 978 წელს ბაგრატ მესამე მთელი დასავლეთ საქართველოს მმართველიც გახდა. მაშინდელი ქართლის მმართველი — იოანე მარუშისძე ისეთივე ეგოისტი ფეოდალის მსგავსი რომ ყოფილიყო მხოლოდ თავისთვის რომ უნდათ ეს ქვეყანა, ასეთივე რომ ყოფილიყო დავით კურაპალატი მოხდებოდა საქართველოს გაერთიანება? არა! ერთიანმა საქართველომ ღირსეული ერისკაცების ძალისხმევით დიდების მწვერვალს მიაღწია. ვერავითარი მტერი ვერ დაგვამარცხებდა, თუ იქნებოდა საქართველოს ერთიანობისათვის ზრუნვა იმ ეგოისტ ფეოდალებისა, მხოლოდ თავისი ნაჭუჭის ჩაკეტვაზე იღწვოდნენ. გიორგი ბრწყინვალემ შეძლო მონღოლების უღლის დამხობა და საქართველოს გაერთიანება, მაგრამ თემურ-ლენგის ლაშქრობებმა ძლიერ შეარყია და

დაასუსტა ქართული სახელმწიფო. ამ კრიტიკულ მომენტში ქვეყანას ყველაზე უფრო სჭირდებოდა ერთიანობისათვის ბრძოლა; გაერთიანებულს კი ვერავითარი ძალა ვერ ჩამოგლეჯდა სამთავროებს. მაგრამ მოხდა საპირისპირო, რადგან ცენტრალური ხელისუფლება დასუსტდა, ყველა უდღეურმა ეგოისტმა ცალკე გაიწია. ქართლის მეფე-კონსტანტინე წლების მანხილზე ენერგიულად, მაგრამ უშედეგოდ, იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის. ბოლოს 1490 წელს ქართლის სამეფო დარბაზმა სცნო საქართველოს პოლიტიკური დაშლის ფაქტი. 1491-92 წლებში მეფეებმა და სამცხე-ჯავახეთის მთავარმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკარულებაზე და საზღვრები დააწესეს. ასე დასრულდა საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაშლის პროცესი. შეიქმნა: ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოები; – სამცხე-საათაბაგოს სამთავრო. იმერეთის სამეფოში სამეგრელოს და გურიის მთავრები ცალკე იწევდნენ. ქართლში ქსნის და არაგვის საერისთავოები, საამილახვრო, საციციანო და საბარათიანო დამოუკიდებლად არსებობისათვის ყოველგვარ სიმუხთლეს კადრულობდნენ. ნახეთ რა იშვიათად იბადებოდნენ იოანე მარუშისძის მსგავსი ერისკაცები? რომელ გარეშე მტერს შეეძლო საქართველოს ასე განადგურება, ვისი ბრალი იყო ჩვენი ასეთი დაკნინება?! იმავე ქართველების, დიდი ყანწით რომ სვამდნენ საქართველოს სადღეგრძელოს, ფაქტიურად კი მისი კეთილდღეობის ბაცილად ქცეულიყვნენ; ამიერიდან საქართველოს გაერთიანება შეუძლებელი შეიქმნა პირველ რიგში ქართველი ფეოდალების გაპირუტყვების გამო. აბა, გარეშე მტერს რაში აწყობდა შენი გაერთიანება და გაძლიერება. საქართველოს ერთიანობის ყველაზე დიდი მტერი ისევ და ისევ ქართველთა ეგოისტური ამბიციები და მუხთლობა იყო. მტერს ჩვენთვის იმდენი სისხლი არ დაუდენია, რაც ჩვენ ერთმანეთის სისხლი ვათხიეთ. ქართველი ქართველს საქონელივით ყიდდა უცხოელებზე, აქედან, აღებული ფლით ქართველების და საქართველოს სადღეგრძელოს სვამდა. ამას რა ვუწოდოთ ცინიზმი, უგუნურობა, ეგოიზმი, ღალატი, თუ ყველაფერი ერთად?

ამ საშინელი სენით თქვენცა ხართ დაავადებული; რამ აგაღებინათ იარაღი ქართველთა გასაჟლეტად?

— ჩვენ დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვით, ესენი კიდევ იმპერიის აგენტები არიან, — გაცხარდა ზაზა.

— აგენტები თქვენა ხართ, საქართველო უბედურებისაკენ მიგყავთ, — არ დაუთმო პაპუნამ.

— თქვენ იმპერიის აგენტები, დამოუკიდებლობის მტრები ხართ! — აყვირდა ზაზა.

— დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ლოზუნგით სპობთ საქართველოს. ქართველები ქართველებს ხოცავთ, ეგ დამოუკიდებლობა ვიღასთვის გინდათ?! მიქელ-გაბრიელი ისედაც დამოუკიდებელია. თვითონაც არ იცით, რისთვის იბრძვით. მხოლოდ იმან იცის ყველაფერი, ვის ხელშიც ყასბის დასანახად ქცეულხართ; იმას კი სამშობლო და ხალხის კეთილდღეობა ფეხებზე ჰკიდია და აბნევს სიცრუის ციურ მანანას. — ლუკა გაჩუმდა. სიტყვის თქმის სურვილს არავინ ამჟღავნებდა; ლუკამ გააგრძელა თავისი დამოძღვრა: — გიორგი ბრწყინვალეს მიერ გაერთიანებული და გამძლავრებული საქართველო თემურ-ლენგის რვა ლაშქრობამ წელში გატეხა. სწორედ ახლა იყვნენ საჭირო იოანე მარუშისძის მსგავსი მამულიშვილები ქვეყნის ერთიანობა, აღორძინება და გაძლიერება სალოცავ სიწმინდედ რომ ექნებოდათ. ამის მაგიერ მთავრებმა და ფეოდალებმა ქვეყნის დაქუცმაცება-დაკნინებას მიუძღვნეს თავიანთი ეგოისტური, უზნეო, ვერაგობით დამძიმებული ამქვეყნიური ცოდვილობა. სამცხის ათაბაგმა-ყვარყვარე ჯაყელმა მეფესთან ბრძოლაში ირანის მბრძანებელი უზუნ-ჰასანი დაიხმარა. მეფე გიორგი მერვე კახეთში გადავიდა და თავისთვის ცალკე სამეფო შექმნა. ურჩმა ერისთავებმა თავიანთი ნაჭუჭის გამოყოფა დაიწყეს. საქართველო შინა ომებით დაძაბუნდა. არავითარ გარეშე ძალა ქვეყნისთვის ამდენი უბედურების მიყენება არ შეეძლო, რაც ძალაუფლებისათვის ლტოლვის ეგოისტურმა მუხთლობამ შეძლო. 1490 წლის შემდეგ დაქუცმაცებულ საქართველოს გლეჯდნენ, ანადგურებდნენ და იტაცებდნენ ძლიერი მეზობლები. საქართველოს ხსნაზე და გაერთიანებაზე ოცნებაც კი

შეუძლებელი იყო. ტაო-კლარჯეთი თურქეთმა გადაყლაპა და მოინელა კიდეც. რაც დავრჩით, გავერთიანდით და ქართული სიამაყე აღვიდგინეთ. თუ იცით, ვისი დახმარებით მოხდა ეს? რუსეთსაც რომ თურქეთის მსგავსად გადავეყლაპეთ და მოვესპეთ, დღეს სადაოც აღარაფერი გვექნებოდა. ვისი გენიალური გადაწყვეტილების წყალობით ვარსებობთ? ერეკლე მეორე ქართველების და საქართველოს გადამრჩენია, დღეს ესოდენ რომ ატალახებენ ეროვნული მოძრაობის ქარაფშუტები. რუსეთს რომ ლანძღავთ, თან პირჯვარს იწერთ და სანთელს ანთებთ, თუ ღმერთი გწამთ, რატომ არ გეშინიათ იმავე ღმერთის?! როგორ ფიქრობთ, ამგვარ უმადურობას გაპატიებთ! რატომ ვერ მიმხვდარხართ, რომ რუსეთის ლანძღვა დასიცხული ტვინის ბოდვაა მხოლოდ. თუ არა რუსეთი საქართველო ისტორიის ხავსიან თაროზე შემოდებულ, გამქრალ ქვეყნების გვერდით იქნებოდა და მის ესოდენ დაღუპვაზე ცრემლებს არავინ დაღვრიდა. ასე რომ დაერიეთ ერთმანეთს, საკუთარი ხედვა არა გაქვთ?! რუსეთს ემდურით და მტაცებლებს ეხუტებით; ეს ცოფი საიდანი შეგეყარათ?! არადა რუსეთი რა შუაშია, როცა, ამ ხელისუფლებას თავისი შექმნილი გვარდია, კოსტავას საზოგადოება გაუწყრა. ერთმანეთს შურის და ამბიციების ზემოქმედებით დაერიეთ, თანამდებობები ვერ გაინაწილეთ და რუსეთს აბრალებთ საკუთარ თავში განდიდების მანიის დუღილს! ეს ჭირი სჭირდა საქართველოს, მეგონა განვიკურნეთ და სწორედ ახლა, ქვეყნის ყველაზე კრიტიკულ მომენტში გამოიღვიძა. ჯერ სადაა, უბედურების ჯირითს ამის შემდეგ მოვიხილავთ ალბათ. თქვენ კარგად დაფიქრდით, გაიგეთ, რომ მხოლოდ იარაღი ხართ ქართველთა უბედურებად შემართულ სატანის ხელში. ისე ნუ იქცევით, როგორც რომელიღაც ვაგლახი მთავრის ლაშქარში მყოფი ყმა გლეხი თავისავე თანამემამულეების დასარბევად დაბინდული გონებით ამხედრებული.

საქართველო პატარა ქვეყანაა, ყველა დიდი მტაცებელი მის გადასანსვლას ცდილობს. ასე იყო ჩვენს წელთააღრიცხვამდე და ასეა დღესაც, მხოლოდ შეჭმის ფორმა და მეთოდები შეიცვალა. თუ ადრე უმად ჭამდნენ, ცივილიზაციის გაფურჩქნის ეპოქაში

ვალებით შებოჭილს, გაღატაკებულს და გამათხოვრებულს დემოკრატიის პილპილმოყრილს მიირთმევენ. დღევანდელი ჩვენი უგნური საქციელით საქართველოს დაბეჩავებას და დემოკრატიის პილპილით შენელებას ვუწყობთ ხელს, რათა დიდი სიამოვნებით მიგვირთვან დანა-ჩანგლით ხელდამშვენებულმა, კარზე მომდგარმა დევებმა.

დღევანდელი ახლად გამომცხვარი ეროვნული მოძრაობის ნიღბიანი კარიერისტები, საქართველოს ერთიანობის ბაცილა მთავრებივით სპარსეთის და თურქეთის წყალობაზე რომ აგებდნენ თავიანთ ბოროტ მიზნებს, იმ დევების ლაქიებად ქცეულნი გემრიელ ლუკმას უმზადებენ საქართველოს სახით.

ზაზა და პაპუნა ხმას ვერ იღებდნენ, დოდოს შპრიცი შერჩენოდა ხელში და მონუსხულივით გაქვავებულიყო.

— საღამოს მოვალ და დოდოს შევცვლი, — თქვა ლუკამ და ისე წავიდა, ხმა არავის არ ამოუღია.

დოდომ ორივეს გაუკეთა ნემსი, წამლები დაალევინა, მერე სავარძელში ჩაეშვა და ფიქრებს შეერია.

კარგა ხანს იყვნენ ასე მდუმარედ.

— ახლა მაინც მიხვდებით, რომ ეს სისხლის ღვრა ფსიქიურად შეშლილი, ეგოიზმით გაჟღენთილი ტვინის საღ განსჯაზე გამარჯვების შედეგი რომაა, რაც ხალხს და ქვეყანას უბედურებად ექცა. ვინ იცის, შეიძლება ისეთი უგუნურობის დასაწყისი იყოს, რომლისგან მიყენებულ ჭრილობის მოშუშებას საუკუნეები არ ეყოს; ღმერთმა დაგვიფაროს! — დოდომ პირჯვარი გადაიწერა. — დავას და კინკლაობას შეეშვით, თუ რამე დაგჭირდეთ, სამზარეულოში ვიქნები, დამიძახეთ. ახლა მე ვარ თქვენი გენერალიც და პრეზიდენტიც. ზედმეტი ხმა არ გავიგო, თორემ ნემსს ისე გიჩხვლეტავთ, ენის ტლიკინის სურვილი სამუდამოდ დაგიფრთხეთ! ნუ დაგავიწყდებათ, რომ ორივეს ქართველი კაცის სისხლი ცოდვად გაწევთ და ყველაზე საზიზღარი დამნაშავეები ხართ! — დოდომ კიდევ ერთხელ გადაუბრიალა თვალები და სამზარეულოში გავიდა.

ამ ამბის შემდეგ ზაზა და პაპუნა ერთმანეთს ღვიძლი ძმები-

ვით დაუშაქრდნენ. ახლა ისინი აღარც გვარდიელები და აღარც ხელისუფლების დამცველები აღარ იყვნენ. გაბოროტება და ღვარძლი მოიცილეს, რომელმაც ესოდენ დაუბნელათ გონება და სამშობლოს დაცვის ილუზიით მასვე მიაყენეს ზიანი; ახლა ისინი მხოლოდ ჩადენილი ცოდვებისგან განწმენდაზე ოცნებობდნენ.

მალხაზი რუსთაველის გამზირზე მიმოფანტულ მასრებს აგროვებდა. დამწვარ შენობებშიც შეძვრა, მაგრამ ვიღაც ავტომატიანებმა გამოაგდეს.

ქალაქში აქა-იქ სროლის ხმა ისმოდა. პუტჩისტები მოწინააღმდეგეზე ნადირობდნენ დამხობილი ხელისუფლების მომხრეთა დემონსტრაციები რამდენიმე ადგილას დაარბიეს.

მალხაზი სროლის ხმისკენ გარბოდა, გაუსროლავ და გასროლილ ვაზნებს აგროვებდა. ერთხელ მამამისის ძმაკაც წვეროსნებსაც გადაეყარა მაღაზიებს რომ არბევდნენ. ისინი მძარცველები იყვნენ მხედრიონელთა ნიღაბში შემძვრალნი; ადრე თუ ვინმეს ჯავრი სჭირდათ, ახლა ანგარიშს ასწორებდნენ, ამის გამო იასონი ხშირად ედავებოდათ; ლუკასთან შეხვედრის შემდეგ კი მათთან ურთიერთობა საბოლოოდ გაწყვიტა. ახლა წაქეიჭების შემდეგ იასონი გაიხსენეს.

— ნახე, ბიჭო, მაგ ახვარმა როგორ გაისქელა,— ვიბრიონა არ ისვენებდა.

— ვინ ჩემი ფეხებია, კაცად ჩავაგდეთ, იარაღი ვაშოვნინეთ, ახლა პატიოსნება მოინდომა და ჭკუის სწავლებას გვიბედავს.

— ჭკუის სწავლებას ვაჩვენებ მე. აბა, წამოდით! — ვიბრიონამ კბილები გააღრჭიალა.

იასონი ეზოში შეხვდათ.

— ბიჭო, გვღალატობ და ვიღაც მაიმუნ ლუკას უძვრები?! — მისალმების მაგიერ შეუტია ვიბრიონამ.

— ღალატი რა შუაშია, მე ხალხის ასაწიოკებლად არ გამოვდგები, — მკვახედ მიახალა იასონმა.

— წადი, სიმონ, ავტომატი ჩაგვაბარე, ნამდვილ ვაჟკაცს მოუხდება.

— ავტომატი ჩემია, იმ ვაჟკაცმა თვითონ იშოვნოს.

— ხომ არ გინდა, ცხვირპირი აგინთო! — ვიბრიონამ მისკენ მოიწია.

— შენს ცხვირპირს მოუფრთხილდი, ახლა შეაყოლე და არავისში შეგეშალო!

— შეგაყოლებ მე შენ! — ვიბრიონამ ავტომატის კონდახი ჩასარტყმელად შემართა.

იასონმა დაასწრო, მუშტი დააჯახა და მიწაზე გააგორა.

— რად გაჩხუბებთ, ავტომატი ჩაგვაბაროს და მორჩა, — ტყემალამ შემრიგებლური ტონით თქვა.

— ავტომატი არა ბუს კვერცხები არ გინდათ! — იასონი ფიზიკურად ძლიერი კაცი იყო და კაფანდარა არამზადების იარაღით თავხედობაზე გაღიზიანდა.

ვიბრიონა მუხლებზე წამოდგა და მოულოდნელად იასონს ავტომატის ჯერი მიუშვა.

— უხ თქვენი! — ამის თქმა მოასწრო იასონმა და მრავალი ტყვიით დაცხრილული წაიქცა.

მალხაზი ამ დროს ეზოში შემოდიოდა.

— მამა! — დაიღრიალა და მისკენ გაიქცა.

— შე ძაღლის ლეკვო! — ვიბრიონა მისკენ მიტრიალდა და ავტომატის ჯერი მიაყოლა. მოხერხებულად ვერ იდგა მუხლებზე, კარგად დასამიზნებლად გასწორება სცადა. ამასობაში მალხაზი უკან გაიქცა. ქუჩაში უნდა გავარდნილიყო, კიდევ აყეფდა ავტომატი და ბიჭიც კედელს მიეფარა. ახლა ლუკას ბინისკენ გარბოდა. კიბეზე რომ ადიოდა, სისუსტე იგრძნო. კარები ლუკამ გაუღო.

— რას გავხარ, ბიჭო, სად დაიჭერი?! — ლუკამ ოთახში შეიყვანა.

— ჩქარა, ავტომატი მომეცი, ის ყაჩაღები უნდა დავხოცო, მამაჩემი მოკლეს! — ბიჭი სუსტდებოდა, სისხლი ჩამოსდიოდა.

ლუკამ სასწრაფოდ გახადა ხალათი. მარცხენა მხარი ჰქონდა ტყვიით გაკაწრული; ჭრილობა შეუხვია.

— ახლა წავალ, ლუკა ძია, მამაჩემი მოკლა იმ გათახსირებულმა ვიბრიონამ? ავტომატი გამატა, დედა უნდა ვუტირო! — მალხაზი ტირილით ამბობდა.

— წავიდეთ, ოღონდ ავტომატი არ გვინდა, იმათ უმაგისოდაც მოვუვლი, — ლუკამ ბიჭს ხელი მოჰკიდა და წავიდნენ.

იასონი თავის ბინაში დაესვენებინათ. მკვლელებს ავტომატი წაეღოთ და წასულიყვნენ. ნარგიზა მწუხარებისაგან ხმას ვეღარ იღებდა, აღათი კი ღრიალებდა. მალხაზის დანახვაზე ძმას ჩაეხუტა და უფრო ხმამაღლა აღრიალდა.

— შენც გიპირებდნენ მოკვლას, შვილო?! — ნარგიზამ ძლივს ამოიღო ხმა.

— მე წავალ. ხვალიდან თქვენთან ვიქნები. ვერაფრით განუგეშებთ, მაგრამ ყურადღებას არ მოგაკლებთ, — ლუკამ ნარგიზას წინ თანაგრძნობის ნიშნად მძიმედ დახარა თავი; აღრიალებულ აღათის მიეფერა და წასვლა დააპირა.

— ლუკა ძია, ფრთხილად იყავ, შენს მოკვლასაც ეცდებიან! — მალხაზმა მიაძახა.

ლუკა მობრუნდა, მალხაზი მკერდში ჩაიკრა, მოეფერა და გულდამდუღრული გარეთ გავიდა.

მთელი კვირა იასონის დაკრძალვის ორგანიზაციას მოანდომა. ზაზა და პაპუნა გამოკეთდნენ. ლუკას დამოძღვრის შემდეგ ისე დაძმობილდნენ, უერთმანეთოდ ყოფნა ვერ წარმოედგინათ.

ამ ხნის განმავლობაში იასონის ყოფილი ძმაკაცები აღარ გამოჩენილან. დროებით ქალაქიდან გავიდნენ რაიონებში საყაჩაღოდ. ზაზა და პაპუნა ლუკას ბინაზე იყვნენ, ახალი საზრუნავი ჰქონდათ, ზაზას გადარჩენა იყო საჭირო გამარჯვებულთა ანგარიშსწორებისგან.

მალხაზს მალე მოურჩა ტყვიით განაკაწრი. მიუხედავად მძიმე მწუხარებისა, ნარგიზამ იმ ავაზაკთა ღრეობა-აყალმაყისგან დაისვენა, ფიზიკურადაც უკეთ იყო; ლუკა ისე დაეხმარა, რომ კარგა ხანს არაფერი გაუჭირდებოდათ. მალხაზი კი არ ისვენებდა, მთელი დღე ქალაქში დაეხეტებოდა. სადაც ბანჯგვლიან ავტომატიანს

დაინახავდა, აედევნებოდა, მათ თავშეყრის ადგილას ტრიალებდა, მაგრამ ვიბრიონას ბანდის ასავალ-დასავალს ვერ მიაგნო. ზაზას და პაპუნას არ სცილდებოდა, ავტომატის ხმარებას ასწავლიდნენ. ლუკას ეხვეწებოდა, მოკლე სადესანტო ავტომატი მკვდარ კაცს რომ ავაცალე, მე მომეციო. ლუკა უარს არ ეუბნებოდა, მაგრამ აფრთხილებდა, ქუჩაში არ გაიტანოო.

ზვიად გამსახურდიას მომხრეების დევნამ თბილისიდან რაიონებში გადაინაცვლა. ხელისუფლების დამხობა ქვეყნის მართვაზე იოლი აღმოჩნდა. პუტჩისტებმა, ვიღაცის ფარული ხელით რომ იმართებოდნენ მოიწვიეს ედუარდ შევარდნაძე ომით და არეულობით აოხრებულ საქართველოს მიწასთან გასასწორებლად. სამეგრელოს და აფხაზეთის ქართველობა არაფთრით ეგუებოდა ამ მარადიული იუდას საქართველოში მობრუნებას და მანაც საძულველ სამეგრელოს წვეროსანი დამრბევები შეუსია. რაც სამეგრელოში ხდებოდა თემურ-ლენგს გააკვირვებდა, იღვრებოდა ქართველთა სისხლი ქართველთა მიერ. ახლა უკვე მერამდენედ ზეიმობდა ქართული სირცხვილი.

სამეგრელო საქართველოს ხერხემალიაო, განაცხადა მარადიულმა იუდამ და სამეგრელოს განადგურებით ცდილობდა საქართველოს ხერხემალში გადამტვრევას.

სამეგრელოდან ნაძარცვით დატვირთული ავტოკოლონები დაიძრა. ყველა არამზადა და ავაზაკი სამეგრელოს მიაწყდა ხუნტის დამცველთა სახელით. კარგი დღე საქართველოს არც სხვა რეგიონებს ადგათ. აჭარაშიც მოინდომეს შეჭრა შეიარაღებულმა ბანდებმა, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოახერხა ამის აღკვეთა; მარტო აჭარა გადაურჩა საყოველთაო დარბევის გრიგალს.

საღამო იყო. ლუკა სავარძელში იჯდა და გაზეთს კითხულობდა, კლარა სამზარეულოში ტრიალებდა. ტლევიზია სამეგრელოს ამბებს გადმოსცემდა. ლუკამ გაზეთი დადო და ტელევიზორს მიაჩერდა. „რისთვის ღვრიან ქართველები ერთმანეთის სისხლს?“ — გაიფიქრა. „მხოლოდ იმიტომ რომ ხელისუფლებაში ჯდომის

სიგიჟე მოსძალებიათ. ყველას თავისი წილი ამბიციები აწუხებს ქვეყნის და ერის საუბედუროდ. ის კი არ აშფოთებთ, რომ იმ კარიერისტული ცოფით მოწამლულ ტვინს ქვეყნისთვის მხოლოდ უბედურება რომ მოაქვს. მერე რა, მთავარია უფროსი იყოს. ეს ისეთივე პათოლოგიაა, როგორც შალვას გუნდის კაპიტნობის სურვილი. როცა ადამიანი ამგვარი დაავადების მატერებელია თავის შესაძლებლობის დონეზე ავრცელებს უბედურების სამსალას. შალვას შეგნება თავიდანვე მოწამლული იყო კალათბურთზე, პურმარილზე, სუკში დასმენაზე თუ პროკურატურაში ყველგან ამ პრინციპით აგებს თავისი კეთილდღეობის უბადრუკ ნაჭუჭს. ამგვარი საშინელებით არის ჭკუადაბინდული ედუარდ მარადიული იუდას ამქვეყნად ცოდვილობა, ვისთვისაც წმინდა და სპეტაკი არაფერია, რომელსაც სამშობლო და თავისი ერი არაფრად უღირს, ვისაც არაფერი არა სწამს გარდა თავისი ბინძური, ეგოისტური ამბიციებისა; გუშინდელ შეუვალ კომუნისტს არ სცხვენია დღეს კაპიტალიზმზე ქადაგების, ხვალ კი, თუ დასჭირდა, დაბადებიდან ფაშიზმის ერთგულებას დაიბრალებს; ვაი ამ ეგოისტი ქამელეონის ხელში მრავალტანჯულ საქართველოს! სანამ თვითონ ძალა შესწევს ქართველებს ჭირში და ვარამში მოხარშავს კუდიანი ჯადოქარივით, თავის შემდეგ კი იმდენ უბედურების ვიბრიონს დატოვებს ეს სოფლის დამაქცევარი გზირი, რომ ძალიან ძლიერი ხელი და ჭკვიანი მკურნალი გახდება საჭირო დასუსტებული და განწირული ორგანიზმიდან ამ საშინელი პარაზიტების გამოსაყვანად და ქვეყნის ასაღორძინებლად“ — ლუკა ამ ფიქრში ჩაძირული გულისტკივილით მისჩერებოდა ტელევიზორს, საიდანაც მოკრძალებულად აჩვენებდნენ სამეგრელოს დარბევის სურათებს და მაინც საზარელი იყო, ყველა ღირსეული ქართველისათვის. ეკრანის მიღმა კი რა ჯოჯოხეთის ქვაბი დუღდა და მხოლოდ გადარჩენილ თვითმხილველთა გულგასახეთქ მონაყოლიდან ხდებოდა ცნობილი. შევარდნაძეს სახიდან კი მისი მარადიული იუდას ღიმილი არ შორდებოდა.

ტელეფონის ზარი აწკრიალდა. კლარამ უპასუხა. — ქალბა-

ტონო, მე პროკურორ ბიკენტ ანტონიჩის მეუღლე ვარ, საჩქარო საქმეა, აუცილებლად მჭირდება ლუკასთან დაკავშირება.

— ბიკენტ ანტონიჩის მეუღლე? — კლარამ ლუკა შეხედა. ლუკამ ანიშნა, სახლში არა ვარო.

— სახლში არ არის, ქალბატონო, რა გადავცე?

— პირადად მინდა საუბარი, როდის მოვა? ისეთი საჩქარო საქმეა თქვენთან მოვალ და დაველოდები.

— ნუ შეწუხდებით, ქალბატონო, საღამოს დარეკეთ. ვეცდები, მოვძებნო და სახლში დაგახვედროთ. კარგად ბრძანდებოდეთ! — თურმე ისე სჭირდები პროკურორის მეუღლეს, მანდ მოვალ და დაველოდებიო, — ღიმილით თქვა კლარამ.

— თუ კიდევ დარკა, ველაპარაკები, თორე ისეთი აბეზარია არ მოისვენებს.

— თუ სჭირდები, რა მოასვენებს. ეტყობა იმ ბიკენტის მაგ-ისთვის ვერ მოუცლია, — კლარამ გაიცინა.

— შეიძლება ასეცაა. როცა ოჯახში სიყვარულს პირუტყვის ინსტიქტები სცვლის, მაშინ ცოლ-ქმრობა კატა-ძაღლობას ემს-გავსება, — განმარტა ლუკამ.

— მე კიდევ შენი ფილტვებით ვსუნთქავ, ურომლისოდაც და-ვიხრჩობი, უჰაეროდ გავიგუდები. ერთი სურვილი მაქვს მხოლოდ, კარგად იყო და ზედ წამლად დაგადნე; შენს გასათბობად დავიწვა, ჩემო ძვირფასო! — ცრემლმორეული კლარა ლუკას მოეხვია და აქვითინდა.

— რა გატირებს, გოგო, ერთად არა ვართ! — ლუკამ ხელები მოხვია და მკერდში ჩაიკრა.

— რა ვიცი, ლუკა, რამე ცუდის გაფიქრებაც კი მზარავს, შენზე ზრუნვაში მინდა დავიფერფლო და ეს მტანჯავს იმ საშინე-ლი განცდებით, რასაც ვაი თუ ჰქვია. არადა შენი კარგად ყოფნით ვმშვიდდები და უსაზღვრო ბედნიერება მამშვიდებს. მაგრამ ეს ვაი თუ მუდამ გულს მიხეთქავს. უშენოდ ერთი წუთითაც ვერ ვი-ცოცხლებ, რადგან შენი სიცოცხლით ვცოცხლობ, — კლარა ამას ცრემლების ფრქვევით ამბობდა.

— დაწყნარდი, კლარა, სიყვარულის გარეშე ვერც მე წარმომიდგენია ცხოვრება. არც მე ვარ პროკურორი ბიკენტი და არც შენა ხარ ქალბატონი ქსენია, — სიცილით უთხრა ლუკამ.

ტელეფონზე დაირეკა. ლუკამ აიღო ყურმილი.

— ლუკა, ამირანი ვარ დევდარიანი. ახლა ჩემთან პატარა პურს ვჭამთ. მადონას ინიციატივით გვინდა შენთან მოვიდეთ და ოჯახი დაგილოცოთ, ხომ გცალია?

— მობრძანდით, მინოს ბატონო! ერთად დავლოცოთ უკუღმართი ცხოვრების მსხვერპლი დღევანდელობა, — ლუკამ ყურმილი დადო და კლარას შეხედა.

— ნუ სწუხარ, ლუკა, ისეთ სუფრას გავშლი, არ შერცხვები. რამდენი იქნებიან?

— თვითონ მინოსა თავისი მადონათი და შეიძლება თავისი განუყრელი სამი ძმაკაციც ახლდეს. ეტყობა სასმელმა მინოსას გრძნობის სიმი გაუღიზიანა. რა ვუყოთ, გრძნობის გარეშე არც ხომ ჩვენა ვართ. — ლუკა წამოდგა, — რა მოგიტანო? — იკითხა.

— არაფერი არ არის საჭირო, ყველაფერს მოვაგვარებ, — კლარა სამზარეულოში გავიდა.

ერთ საათში მინოსა და მადონა მოვიდნენ.

— ვახ, ეს რა სუფრა გაგიწყვიათ, მე კიდევ ბიჭები გავაგზავნე რამერუმის მოსატანად, — გაშლილი სუფრის დანახვით გაკვირდა მინოსა.

დასხდნენ. მინოსა შეზარხოშებული იყო.ჭიქაში ღვინო დაისხა.

— ღირსეული წყვილი ხართ, თქვენი შეუღლების ღირსეულად აღნიშვნა მინდოდა, მაგრამ მადონამ არ მოისვენა და ჩვენი პატივისცემა რომ გამოგვეხატა, პატარა საჩუქრებით მოვედით. — ქაღალდში შეხვეული რაღაც ეჭირა, გახსნა და ვერცხლის ქამარხანჯალი ლუკას საზეიმოდ მიაწოდა — ეს ჩემი ფულით ვიყიდე, ძმობას გეფიცები! ის ფული რა გზით ვიშოვნე რა საკითხავია. კარგად იცი, მე „ზავოდ-კრავოტის“ კაცი არა ვარ. ეს კიდევ ქა-

ლბატონ კლარას პირადად ჩემგან, — მინოსამ ჯიბიდან პატარა პისტოლეტი ამოიღო, — არეული ცხოვრებაა, ლუკა ყოველთვის გვერდით ხომ არ გეყოლება, მუშტით რომ დაგიცვას; ჰოდა, ეს იქნება შენი მუშტი. ეს ორი ოქროს საათი კი მადონასგან მიიღეთ საჩუქრად. ყველაფერი სიყვარულით და კეთილი გულით არის მოძღვნილი. გაგიმარჯოთ და ბედნიერად შეგაბეროთ! — მინოსამ ჭიქა ბოლომდე გამოცალა.

ახლა მადონამ არ დაზოგა თბილი სიტყვები თავისი უდიდესი სიმპათიები ამ მცირე საჩუქრით რომ გამოხატა. რამდენიმე სადღეგრძელო ჰქონდათ დალეული მინოსას ცნობილი სამი ძმაკაცი მძიმე ჩანთით რომ მოადგნენ. სუფრა გაახლეს. კლარა და მადონა სამზარეულოში დატრიალდნენ. ქეიფი გახურდა. შებინდდა. ტელეფონზე დაირეკა. ლუკამ ყურმილი აიღო.

— გისმენთ, ქალბატონო ქსენია, — მხიარულად ჩასძახა ყურმილში.

— დრო არა მაქვს, ჩემი ბინიდან გირეკავ. ზეგ საღამოს ცხრა საათის შემდეგ სახლში მარტო მე და ბიკენტი ვიქნებით, კარებს ღიას დავტოვებ, ფულს გავიყოფთ; შენ კი იმის წინ ჩვენ რომ ვიცით, კარგად იყავი, — ისე უცებ დადო ყურმილი, ლუკამ ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო. ცოტა ხანს ასე დარჩა, ყურმილი დაახეთქა და სუფრისკენ მოღუშული შეტრიალდა.

— ვინ ქსენია იყო, ბიჭო, რა ტყემლის წვენით შეგინელა ხასიათი? — ღიმილით ჰკითხა მინოსამ.

— ცალკე გეტყვი, — უთხრა ლუკამ და საუბრის თემის მხიარულ ნოტაზე გადაყვანა სცადა, მაგრამ ტყემლით შენელებული ხასიათი ვეღარ დაშაქრა.

ცოტა ხანს კიდევ დარჩნენ. წასვლის დროს მინოსამ ცალკე გაიყვანა და კიდევ ჰკითხა: — ვინ იყო, ისეთი რა გითხრა, ასე რომ მოგშალა?

— ეგ ქალბატონი პროკურორ ბიკენტის მეუღლეა. ზეგ საღამოს ცხრა საათის მერე კარს ღიას დავტოვებ, დაგვაყაჩაღე, ფული შუაზე გავიყოთ; წასვლისას კი ბიკენტის თვალწინ გამაუპატი-

ურეო, — ლუკამ ღვინის ზეგავლენით თქვა ყველაფერი, რის გამხელაც კი უჭირდა საკუთარ თავთან. მაშინვე ინანა, მაგრამ გაფრენილ სიტყვას უკან ვეღარ მოაბრუნებდა.

— როგორი ჩათლახიც ბიკენტია, ოჯახიც ისეთი ჰქონია, — მინოსამ ამას ძარღვიანი გინებაც დააყოლა და ლუკას გამოემშვიდობა...

მეორე დღეს მინოსა თავის ძმაკაცებთან ერთად პურს ჭამდა, მადონა ემსახურებოდათ.

— კარგი ბიჭია ლუკა, ჩვენთან კაცური დამსახურება აქვს, მაგრამ ის შობელძაღლი ვიბრიონა რომ ვერ გამოვიჭირეთ, — სინანულით თქვა მინოსამ.

— მაგათ, ჩარტყმული დედა ვატირე, როგორ აგულავდნენ!

— მარტო ეგენი კი არა დღეს ყველა ბოზად ნამყოფი გულიაობს.

— მაგათი დედა... ვირთხებივით მოედვნენ ქვეყანას.

— ამ ხელისუფლებას ეგ ვირთხები სჭირდება, სანამ თვითონ მაგათ არ დაუწყებენ კბენას.

— დაუჭამიათ ერთმანეთი, ჩვენ კი არ უნდა დავეკბენინოთ, — დაასკვნა მინოსამ.

— ეტყობა ლუკას მაგათი ეშინია, იმ ვიღაც ქსენიამ რომ დაურეკა, ხასიათი დაუბალღამა; ვიბრიონამ თუ დაარეკინა.

— ბიჭო, შენ ლუკა კიდევ კარგად ვერ გაგიცვნია. ასი ვიბრიონა წარბს ვერ შეუტოკებს. ის დედაკაცი პროკურორ ბიკენტის ცოლი იყო.

— ვااა!

— რა მინდაო?

— ზეგ საღამოს ცხრა საათის შემდეგ სახლში მარტო მე და ბიკენტი ვიქნებით, კარს ღიას დავტოვებ, შემოდი, ჩემ ქმარს ფული წაართვი და შუაზე გავიყოთ; მერე ჩემი ქმრის წინ გამაუპატიურეო.

— ვااა!!! — გაკვირვებისგან თვალები დააჭყიტეს.

— ბიჭო, ეს რამ აფიქრებინა!!!

— ეს შეუძლია გათახსირებული კაცის ჩათლახ ცოლს.

— ლუკას რაღაზე გაუფუჭდა ხასიათი, მაგას რა სჯობია, ქალი თვითონ ეპატიჟება.

— ბიჭო, ლუკა მაგის მკადრებელია?!

— მაშ, არ წავა?

— რას წავა, ხომ ნახეთ, თავს ძლივს იკავებდა; გადაირია კაცი.

— მაშინ ჩვენ წავიდეთ. თუ კარს ღიას დატოვებს, თანაც მარტო ცოლქმარი იქნებიან, მაგას რა სჯობია.

— არა, ეგ არ შეიძლება, ლუკასთან თავს შევირცხვენთ!

— კარგი რა, მინოს, ასეთი საქმის ხელიდან გაშვება შეიძლება? ან ლუკას რატომ უნდა ეწყინოს.

— ის ქალი მაშინვე მიხვდება, რომ ეს ლუკამ მოუწყო. ამის გაკეთება ლუკას ჩაშვება იქნება. „კარობჩე“, ლუკას ნებართვის გარეშე ამაზე არც კი იფიქროთ! — მინოსამ შუბლზე ნაოჭები დაკეცა...

მადის აღმძვრელი გამოდგა სამეულისთვის ეს საქმე. გარეთ გასულებმა ცალკე მოილაპარაკეს: მინოსას ნუ ვეტყვით, ისე გავაკეთებთ, ვერავინ გაიგოს. ქვეყანა არეულია, ვის კლავენ და ვის ძარცვავენ, მომკითხავი არავინაა; ძაღლი პატრონს ვერა სცნობს, მინოსას კი ბოლოს, კარგ ხასიათზე რომ იქნება, მაშინ ვუთხრათ და წილიც მივცეთ, გადაწყვიტეს...

საღამო მოახლოვდა. ქსენიას ნერვიულობა დაეტყო, ვერ ისვენებდა. ბიკენტი სავარძელში იჯდა და ტელევიზორს უყურებდა. ქსენიამ მოახერხა ბიკენტის სამალავიდან ფული თვითონ დაემალა და მოსალოდნელი ძარცვისათვის ამ სამალავში ცოტა დატოვა; ლუკას კი ეტყობოდა, გუშინ სადღაც წაიღოო. დარწმუნებული იყო, ძარცვამდე ბიკენტი სამალავს არ შეამოწმებდა, ფულის გაქრობა კი მძარცველს დაბრალდებოდა. ახლა ბიკენტისთან ერთად ტელევიწორს უყურებდა და ნერვიულობისგან ხელებს ისრესავდა.

ნიღბიანი კაცები ისე უცებ შემოცვივდნენ, სკამიდან წამოდ-

გომა ვერ მოასწრო. ერთი მას დაადგა თავზე და პირზე ხელი მიაფარა. ამასობაში ორი ბიკენტის საიმედოდ აბამდა თავისავე სავარძელზე. რაღაცის ამოღრიალება სცადა და პირში იმხელა ჩვარი ჩასჩრეს, ძლივს სუნთქავდა.

— ფული და ძვირფასეულობა გამოაჩინეთ, თორემ გაგატყავებთ! — ერთმა ქსენიას სისინით უთხრა და დანა ყელთან მიუტანა.

„ნეტა ლუკა რომელია? ან ეს ორი ნაგავი რაში დასჭირდა, ისედაც ხომ ყველაფერი გარკვეული იყო“, — ფიქრობდა. ქსენია და სამივეს დიდი ინტერესით აკვირდებოდა. „არა, ლუკა აქ არ არის, ეს კაფანდარები ლუკას როგორ შეედრებიან“, დაასკვნა და შიში მოეძალა. „ვაი თუ სულ სხვები არიან, ან ლუკამ გამოგზავნა ბოროტი განზრახვით!“.

— ამოიღე ხმა, მე ძუკნავ? — ერთი ყელში სწვდა.

— არაფერი არა გვაქვს, — ძლივს ამოიხრიალა.

— გავჩხრეკავთ და თუ ვერაფერი ვიპოვნეთ, ორივეს დაგკლავთ!

— არ გინდათ, ფულს მე გაჩვენებთ, — ქსენიამ ორი მძარცველი მომზადებულ სამალავისკენ წაიყვანა.

ფულის შოვნით გახარებულმა ძვირფასეულობაც მოითხოვეს და ქსენიამ ყოველდღე რომ ხმარობდა ის სამკაულები სასწრაფოდ ჩააბარა. მძარცველები კმაყოფილები იყვნენ ნადავლით. ახლა ოთახები მოიარეს და რაც მოეწონათ ჩანთაში ჩაალაგეს. ბოლოს სავარძელზე მიბმული ბიკენტის ოთახში შეგროვდნენ.

— ახლა ერთ პატარა ოპერაციას ჩავატარებთ და ჩვენი სტუმრობაც დამთავრდა, — განაცხადეს. ბიკენტის პირიდან ჩვარი ამოაძრეს და ყელზე დანა მიაბჯინეს.

— დიდი ცოდვიანი ხარ, ბიკენტი ბატონო, და აგერ, მოგადგა მიქელ-გაბრიელი. წყნარად გამოგჭრით ყელს და შენც ციმციმ გაფრინდები ჯოჯოხეთში.

— ეგ არ ქნათ! რასაც მთხოვთ შეგისრულებთ! — ბიკენტი ატირდა.

— რადგან ჯოჯოხეთის ეგრე გეშინია, ერთი რამ გიხსნის

მხოლოდ ამ ქალბატონს დაავალე, რომ სამივეს დაგვიწვეს ან სული, ან ქალბატონი.

— თქვენ გათახსირებულო ნაძირალებო! — ქსენია აწიწინდა და მაშინვე მიაფარეს პირზე ხელი.

— დაუჯერე, ქსენი, დაუჯერე! არა უშავს, მე არ გისაყვედურებ! — ბიკენტი ეხვეწებოდა.

ქსენია კი გააფთრებით იქნევდა ფეხებს.

— მაშინ ნებას გვაძლევ ძალით ვიხმიაროთ? — შეეკითხნენ.

— იხმარეთ, იხმარეთ! ნებას გაძლევთ! — სასწრაფოდ უპასუხა ბიკენტიმ. რა მეშველება, რომ გადაიფიქრონო.

ქსენიას ტანისამოსი შემოახიეს. გაცოფებულმა ქალმა ერთს ისეთი შემოჰკრა, თვალებიდან ნაპერწკლები აყრევინა. მაგრად მიბეგვეს და რიგი დააწყეს. ბოლოს გონდაკარგული, ნამუსახდილი შეატოვეს ბიკენტის და გაუჩინარდნენ.

ათი დღე გარეთ არ გამოსულა ნაჟეჟი და თვალებჩალურჯებული ქსენია; ბიკენტის საყვედურებით იკლებდა. იმას კი ამის ჯავრი სულაც არ ჰქონდა, დაკარგულ ფულზე ნაღვლობდა; გამოძიებაზე არც უფიქრია. ქალაქში სამეგრელოდან მოტაცებული მანქანებით დაგრიალებდნენ წვეომოშვებული მოძალადეები, მაგარი ბიჭი იყავ და გეკითხა, საიდანო.

მართალია ქსენია უკიდურესად შეურაცხყვეს. მაინც მისი დაგეგმილი ოპერაციის ძირითადი მიზანი მიღწეული იყო: ბიკენტის ფული მიითვისა, ქმრის თვალწინ გაუპატიერებაც შეუსრულდა, მაგრამ ლუკა რომ არ იყო, თან კოლექტიური ძალადობა აცოფებდა.

ლუკასთან დაკავშირება რამდენიმეჯერ სცადა; ყოველთვის ზაზა ხვდებოდა პაპუნა უკვე თავის სახლში გადავიდა, ზაზა კი ვერ ბედავდა გამოჩენას და ლუკას პაპუნასეულა ბინაში რჩებოდა. ქსენია კლარას ბინაში არ რეკავდა, შიშობდა, კლარას მომხდარის შესახებ არ გაეგო. კარგა ხნის მცდელობის შემდეგ როგორც იყო უპასუხა.

— შენ ბრძანდები, ვაჟბატონო?! დედას გიტირებ! ხომ არ გგონია, ჩემი აბუჩად აგდება შეგრჩა?! — ქსენიამ შეტევით დაიწყო.

— რას მემუქრები, ქალბატონო ქსენია, ან ვინ გკადრა უბაჩად აგდება?!

— სამი ყაჩაღი რომ გამომიგზავნე და ბიკენტის თვალწინ ჩემი გაუპატიურება დაავალე, შენ კაცი ხარ?! მე გენდე, შენ კიდევ უკანასკნელი ნაძირალასავით ჩამიშვი!

— რას ამბობთ, ქალბატონო ქსენია, გამაგებინეთ, რა მოხდა!

— ის მოხდა, რომ დათქმულ საღამოს ღია კარებში სამი ნიღ-ბიანი შემოიჭრა, ფული და ყველაფერი წაიღეს; მე კიდევ სამივემ ბიკენტის თვალწინ... — ქალს ტირილი აუვარდა.

— რას ლაპარაკობ! ვინ იყვნენ?

— ეგ შენ უნდა გკითხო.

— გეფიცები, ეს საშინელება ახლა პიოველად შენგან მესმის, აუუუ! — ლუკა აღრიალდა.

— რა გაღრიალებს, სინდისმა შეგაწუხა?!

— თავს მოვიკლავ თუ მაგ საქმეში ბრალს დამდებ! დედას ვუტირებ, ვიპოვი ვინც იყვნენ და მწარედ ვაზღვევინებ! აუუუ! — ლუკა ისევ აღრიალდა.

ქსენიამ ვერაფრის თქმა ვეღარ შეძლო, ლუკას განცდა მასაც გადედო და მის მიმართ ბრაზი სინანულით შეეცვალა...

— ახ, მინოს, ეს როგორ იკადრე! — ყურმილის დადებისთანავე იყვირა ლუკამ და თავზე მოიჭირა ხელები.

— რა მოხდა, ლუკა? — ჰკითხა შეშფოთებულმა ზაზამ.

— ის მოხდა, რომ ჭორიკანა, არაკაცის ყბედობა სირცხვილად მექცა! — ლუკა გარეთ გავარდა...

რესტორანში, კუთხეში მიდგმულ მაგიდასთან მინოსა თავისი სამი ძმაკაცით ქეიფობდა.

— რამდენი ხანია ლუკა აღარ გვინახავს, ნეტა როგორ არის? — თქვა ერთმა.

— მაშინდელი პურმარილის შემდეგ, არც მე მინახავს, — უპა-სუხა მინოსამ.

— ნეტა როგორ ხასიათზე იქნება?

— როგორ ხასიათზე უნდა იყოს, რამე ხომ არ იცით?

უკვე შუა ქეიფში იყვნენ. მართალია ბევრი არ დალიეს, მაგრამ ღვინომ მაინც გაუხურათ შუბლი.

— „კარობჩე“ მინოს, ეს შენი წილია, — ერთმა ფულის შეკვრა წინ დაუდო, რაკი ჩათვალა, რომ ამის თქმის დრო დადგა.

— ეს რა ფულია? — მინოსას გაუკვირდა.

— იმ პროკურორს ავართვით, მისმა ცოლმა რომ დაურეკა ლუკას. ფეხები მაგრად აფხლაკუნა, მაგრამ სამივემ ხოშიანად გავჟიმეთ, აბა რა ეგონა, ლუკას ცოლის გაწბილება რომ დაგვავალა.

— შენ ხომ არ გააფრინე?! — მინოსა ფეხზე წამოვარდა, — ლუკასთან ხომ მომეჭრა თავი!

— ლუკასთან თავი კი არ მოგვეჭრა, ვაჟკაცურად გამოვედით; სამაგიერო დამსახურებულად მივუზღეთ.

— ბიჭო, რა ბოზურად მოქცეულხართ! — მინოსამ ამის მთქმელს საყელოში სტაცა ხელი და ფეხზე წამოაგდო.

— მინოსას გაუმარჯოს! — მოპირდაპირე კუთხეში ხუთი შეიარაღებული წვეროსანი მაგიდას იკავებდა.

მინოსამ იქით გაიხედა და ძმაკაცს ხელი უშვა. — ვიბრიონა თავისი ახვრებით, — ჩაილაპარაკა და დაჯდა.

— ბიჭო, ლაპარაკს არ კადრულობ? ძველი დრო ხომ არ გგონია, ქურდად რომ მოგქონდა თავი; ახლა ქურდებიც ჩვენა ვართ, ყაჩაღებიც და მთავრობაც, გაიგე?! — ვიბრიონას სკამის თავზე დაედო მარცხენა ხელი, მარხჯვენათი კი ავტომატის კონდახს ჩასჭიდებოდა.

— მთავრობაში კი არა, ჩარტყმულებში ხარ, ცოტა ჩაწეულად ილაპარაკე, არავისში შეგეშალოთ! — გააფრთხილა მინოსას ერთმა ძმაკაცმა.

— ის სხვა დრო იყო, რომ გულაობდით, ახლა ჩვენი დროა, ჩაწეულად თქვენ ილაპარაკეთ, თორემ!...

— თორემ რა შე ახვარო! მაგ ავტომატს იქ შეგთხრი, სადაც შენისთანა ბოზებს ეკადრებათ! — მინოსას ძმაკაცები წამოიშალნენ.

ვიბრიონას წვეროსნებიც წამოდგნენ და ავტომატები მოიმარჯვეს.

— თქვე დაბადებიდან ბოზებო! — მინოსას ძმაკაცი მათკენ მუქარით წავიდა.

ვიბრიონას წვეროსნებს ნერვებმა უმტყუნათ და შეშინებულებმა ცეცხლი გახსნეს. მინოსამ მოასწრო, „ნაგანის“ გასროლა, ვიბრიონაც წაიქცა. დანარჩენები შეუჩერებლად ისროდნენ. მინოსა და მისი ძმაკაცები სისხლის გუბეში და ჭურჭლის ნამსხვრევებში ეყარნენ.

წვეროსნები დაჭრილ ვიბრიონას მხარში შეუდგნენ და რესტორნიდან გავიდნენ.

ლუკამ მადონასთან დარეკა და მინოსას სად იქნებოდა გაიგო. რესტორნიდან სროლის ხმა რომ მოესმა, ფეხს აუჩქარა. ვიბრიონას ბანდელები ამ დროს გამოცვივდნენ გარეთ, დაჭრილი მანქანაში ჩასვეს და გაიქცნენ. ლუკამ შორიდან მოჰკრა მათ თვალი. დარბაზში რომ შევიდა, ყველა იქ მყოფი პირქვე იყო გართხმული და გატოკებას ვერ ბედავდნენ.

ლუკამ მინოსას თავი აუწია. — მინოს, ცოცხალი ხარ? — ჩასძახა.

მინოსამ თვალები გაახილა.

— ვინ იყვნენ, მინოს, გესმის ჩემი! ვინ იყვნენ?!

— ვიბრიონა მობრუნებულა ქალაქში, — ძლივს თქვა მინოსამ.

— სასწრაფო გამოიძახეთ! — უკვე აფუსფუსებულ ხალხს დაუყვირა ლუკამ. — ნუ გეშინია, მინოს, ყველაფერს ვიღონებ, რომ მოგარჩინო! — ჩასძახა.

მინოსამ ძლივს გაახილა თვალები.

— მადონა, მადონა ნახე, იმან იცის ამ ახვრების ბუნაგის მისამართი, — მინოსამ თვალები დახუჭა.

— მინოს! მინოს! — ჩასძახოდა ლუკა, მაგრამ მინოსას აღარაფერი ესმოდა, ლუკა ფეხზე ადგა და ასე გაშტერებული დიდხანს დარჩა.



დახოცილებს საკაცით ეზიდებოდნენ. ტელევიზიიდანაც მოვიდნენ, ყველაფრის გადაღება და ინტერვიუების აღება დაიწყეს. ერთი ლუკასთან მივიდა და რაღაც ჰკითხა, ლუკამ ხელის კვრით მოიშორა. ირგვლივ თეთრხალათიანი კაცები ირეოდნენ. ლუკამ ერთხელ კიდევ მოიცილა ტელეკორესპონდენტი და გაოგნებულმა იქაურობა მიატოვა...

ქსენია ტელევიზორში უკანასკნელ ცნობებს უსმენდა. გამოაცხადეს, რომ ოთხი ქურდი რესტორანში დაცხრილეს. სისხლში ამოსვრილი გვამები აჩვენეს. ლუკაც გამოჩნდა. ტელეკორესპონდენტი ხელის კვრით რომ მოიცილა თავიდან და ხმის ამოუღებლად გასცილდა.

— ყოჩაღ, ლუკა! მართალი ვაჟკაცი ხარ! დაემუქრე და შეასრულე კიდეც; მაგ მძარცველებს ჩემი გაწბილება არ აპატიე! — წამოიძახა.

— რას ამბობდი, რა მძარცველებიო, ვინ არ აპატია? — იკითხა მეორე ოთახიდან შემოსულმა ბიკენტიმ.

— ის მძარცველები, ჩვენ რომ დაგვაყაჩაღეს, ვიღაცა მაგარმა ვაჟკაცმა სულ ამოწყვიტა, — გახარებულმა ქსენიამ უპასუხა.

— ვინ იყო, ვინ ამოწყვიტა, იცნობ? — ბიკენტიმ გაფართოებული თვალებით იკითხა.

— მე საიდან უნდა ვიცოდე, მაგ საქმეს შენ ემსახურები, შე ბედოვლათო, თფუჰ! — ქსენიამ მიაფურთხა და ოთახიდან გავიდა...

მალხაზი საღამოობით ხშირად იყო ზაზასთან. ძალიან უყვარდა ლუკა და თუ გაიგებდა, უნდა მოვიდესო, მაშინ ხომ აღარ სცილდებოდა იქაურობას. ტელევიზორში ყველამ ნახა მინოსას და მისი ძმაკაცების ამოწყვეტა. ლუკა ზაზასთან საუბრობდა. მალხაზმა ყური მოჰკრა, რომ ისინი ვიბრიონას ბანდამ დახოცა. ისაც გაიგო, დაჭრილი ვიბრიონა რომელ უბანში იშუშებდა ჭრილობას. ლუკას კი ჯერ არ გადაეწყვიტა, როგორ გადაეხადა სამაგიერო; დახოცვა მის გეგმაში არასდროს არ შედიოდა.

მალხაზმა ვიბრიონას სამყოფელის დასახუსტებლად იმ უბანში მოუხშირა სიარულს. ერთხელ დაინახა ის ოთხი ბანდიტი, უჩ-

უმრა აედევნა და ვიბრიონას ადგილსამყოფელი დაადგინა. კერძო ბინის პირველ სართულზე იწვა, ფანჯრიდანაც შეიხედა და მოქმედების გაბედული გეგმა იმ დღესვე მოიაზრა. სახლში მარტო ზაზა რომ იყო ავტომატი და სათადარიგო მჭიდი ისე მოიპარა, ზაზამ ვერაფერი გაიგო. თავისი მამის ლაბადა ჩაიცვა და მის ქვეშ ამოიფარა. დამალული ავტომატით ვიღაცის ხის ღობეს ამოფარებული დიდხანს იცდიდა, სანამ ვიბრიონას ძმაკაცები მანქანით არ მოგრიალდნენ. რაღაც ჩანთები გადმოალაგეს და ბინაში შეზიდეს. მთელი საათი კიდევ იცდიდა. ახლა მათი ბინიდან არეული სიმღერა და ყაყანის ხმა ისმოდა. მალხაზმა ავტომატი ფეხზე შეაყენა და ოთახში ფანჯრიდან შეიხედა. ვიბრიონა საწოლზე წამომჯდარიყო. მაგიდა მასთან მიეცურებინათ. ოთხივე შემოსხდომოდა საჭმელით და ბოთლებით გადატვირთულ მაგიდას. მალხაზმა კარები რომ შეაღო, მათ ყაყანში გაარჩია: — მაშ რა ეგონათ, ხომ ვაფურთხებინეთ სისხლი! — ტრაბახობდნენ.

— სისხლის ფურთხებას ახლა გაჩვენებთ! — დაიღრიალა მალხაზმა. ყველა მისკენ შეტრიალდა.

— მახო, ავტომატი დააგდე, თორემ გაგათავებთ! — იყვირეს და ხელი ქამარში გარჭობილ იარაღისკენ წაიღეს.

მალხაზმა სასხლეტს გამოსწია. ავტომატი ისე აუთამაშდა, კაინაღამ ხელიდან გაუვარდა. ტყვიები ხან ჭერ, ხან იატაკს და ხან კედელს მიასკდნენ. ბიჭი ცდილობდა ხელში მაგრად სჭეროდა. რამდენიმე ჯერმა მაგიდას გარდიგარდმო გადაუარა. ჩოჩორა, ტყემალა და სლოკინა იატაკზე უძრავად ეყარნენ. ვიბრიონა მაგიდის ქვეშ შემძვრალიყო და თავზე წაეფარებინა ხელები, ლოკოკინა დაჭრილი იყო, მაგრამ არ ტოკდებოდა.

მალხაზმა მჭიდი მთლად დაცალა. მის ახლით შეცვლას ცდილობდა. საშინელი სროლის შემდეგ სიჩუმე უცებ ჩამოვარდა. ლოკოკინამ ფრთხილად აიხედა. ბიჭი ავტომატს ჩაჰკირკიტებდა. პისტოლეტი დაუმიზნა და ესროლა. მალხაზს ავტომატი ხელიდან გაუვარდა, უკან უნებლიე ნაბიჯი გააკეთა და შემოსასვლელში წაიქცა.

ყველაფერი რომ მიწყნარდა, ვიბრიონამ გატოკება გაბედა. მაგიდაში გავლილი ტყვია ფეხში მოხვედროდა. ეტკინა, — მიშველეთ! — აღრიალდა.

მარტო ლოკოკინა შეტოკდა.

მალე მეზობლებიც მოგროვდნენ. სასწრაფო მანქანებიც ერთდროულად მოგრიალდნენ. ექიმმა შესასვლელში სისხლით დასვრილი მალხაწი გასინჯა და ხელი ჩაიქნია, მოთავებულიაო ამის საქმე. ვიბრიონა საკაცეზე რომ დააწვინეს, იქაურობას ღრიალით იკლებდა, ფეხი მტკივაო, მსუბუქად დაჭრილი ლოკოკინაც წაიყვანეს. ტყემალა, ჩოჩორა და სლოკინა კი მალხაზთან ერთად მორგში წაასვენეს.

საავადმყოფოში ახალი ხელისუფლების დაჭრილ დამცველ დაჭრილებთან მოათავსეს და დამხობილ ხელისუფლების მომხრეების მიერ დაჭრილ მხედრიონელებად გააფორმეს. მხედრიონელები კი იყვნენ, მაგრამ სახელს მხოლოდ საძარცვავად იყენებდნენ როგორც ამ გასამხედროებული ორგანიზაციას მიტმასნებული მრავალი ავაზაკი.

## უკუღმართი ცხოვრების მსხვერპლნი

ქალაქის განაპირას კარგად მოწყობილ კარმიდამოში მუშაობით დაღლილი ლუკა მწვანე ბალახზე გულაღმა გადაწოლილი ზეცას მიშტერებოდა, ტანში სასიამოვნო მოთენთილობას გრძნობდა. ცაზე ღრუბლებს დააცურებდა ნიავი და მეოცნებე ადამიანის თვალს ფიგურების ძერწვით ართობდა. აგერ, სივრცეში აცურებული ღრუბლის ფთილა ორკუზიან აქლებს დაემსგავსა, მერე იგივე აქლემი რქიან ჭინკად გადაკეთდა, რომელიც ციხე-გალავანის გოდოლმა შეცვალა, იმავე გოდოლს ახლა არწივის ფრთები გამოება და სხვა ღრუბლებს შეუერთდა ახალ-ახალი ფიგურების გამოსაძერწად. ღრუბლების იქით კი უსასრულო სივრცე ადამიანის გონებისათვის ჯერაც მიუწვდომელ უამრავ საიდუმლოს მალავდა. ეს გალაქტიკა კი ამ უსასრულობაში ისეთივე მცირე იყო,

როგორც კოღო დედამიწაზე. დედამიწა კი ამ გალაქტიკაში მტვრის ნადილაკიც ვერ იქნებოდა, ადამიანებს ასე უსაზღვროდ დიდი რომ ეჩვენებოდათ ასწლეულების წინ და ასე რომ პატარავდებოდა ადამიანის გონების სიმძლავრის მატების შესაბამისად. „უამრავი ვარსკვლავი ცოცხლობს გალაქტიკაში ჩაქრობა და პლანეტად გადაქცევა მათი სიკვდილის ტოლფასი რომაა. ამგვარად მარტო ჩვენს გალაქტიკაში მილიონამდე ცივილიზაციის ჰიპოთეზაა გაციებულ სხეულს ლეშზე დასეული მატლებივით რომ ჭამენ. ყველაფერი ჩნდება და გარკვეული დროის შემდეგ კვდება. ამ უზარმაზარ სივრცეში მილიონობით წლები კი ადამიანის სიცოცხლის წამებზე მცირეა. სულთმობრძავ დედამიწას იმდენი სახის სულიერი დასევია, საკვირველია ყველა როგორ დაიტია ნოეს კიდობანმა. დატევას კიდევ რა უჭირს, ერთმანეთის შესაჭმელად არიან შექმნილი და ამ საქმეში ყველას ადამიანი სხობია, რემათუ მისი შეუჭმელი და შესაჭმელად დაწუნებული არაფერია. ზოგი მხოლოდ მცენარეს მიირთმევს, ზოგი – მხოლოდ ხორცს. ადამიანი კი ყველაფერს მიირთმევს რაც მოძრაობს და დაღოღავს, ასევე – ყველა მცენარეულს თვით წიწაკის და პილპილის ჩათვლით. იგი ყველა ცხოველზე გაუმაძღარი, მომხვეჭელი, ეგოისტი, დაუნდობელი და ვერაგია. ეს თვისებები კი მის ადამიანურობას პირველყოფილ უმეცრებისკენ მიათრევს. დროთა განმავლობაში ადამიანში ადამიანურობა თანდათან ჩრდილავს პირველყოფილ ინსტიქტებს, ბოლოს სიყვარული და სიკეთე იზეიმებს სიძულვილსა და ბოროტებაზე, თუ მანამდე სიძულვილის სამსახურში გაუმაძღრობამ დედამიწაზე ადამიანის ხსენებასთან ერთად სიცოცხლე მთლიანად არ მოსპო“. – ფიქრობდა ლუკა და ცაზე მოცურავე ღრუბლებს ოცნების თვალით ხატავდა.

ქვეყაგაში აგორებულ უბედურების ტალღას, რომელსაც ღალატის და უვიცი კაცების ამბიციური სიბეცის გაუმაძღრობა ახლდა, ქალაქგარეთ განმარტოებით თავს არიდებდა, რამეთუ მისი სავალალო სვლის შეჩრება არ შეეძლო.

მოხდა ის, რასაც დავარაშვილი ამბობდა: კომუნისტმა

თავკაცებმა მოხვეჭილი ქონება, რომელიც ფარულად ჰქონდათ, დაიკანონეს მათ მიერვე მომსპარი სოციალიზმის ნანგრევებზე შეთითხნილ სახელმწიფოში, რომლის სოციალურ წყობას საბაზრო ეკონომიკა, ბურჟუებს-ბიზნესმენები, მიწათმფლობელებს-ფერმერები უწოდეს და შეიქმნა რაღაც დღემდე არ არსებული ძალადობის და მოხვეჭის სახელმწიფოს მსგავსი, რომელიც მანამდე არსებულ არცერთ ფორმაციაში არ ჩაეტეოდა. ეს იყო თანამედროვე ცივილიზაციის მოხვეჭაზე დამყნობილი მცენარე, რომელიც საზარელ, უზნეო, დაუნდობლობის ნაყოფის მოსხმაზე იყო გათვლილი.

ქართველი ერი ზნეობრივმა სიწმინდემ, ნამუსის და სინდისის სისპეტაკემ, წინაპართა და უფროსი თაობის თაყვანისცემამ, სამშობლოს, ენის და რწმენის უსაზღვრო ერთგულებამ გადაარჩინა ისტორიის გოლგოთის გზაზე გაქრობას. ახლა კი ყოველგვარ სიწმინდეს, რაც ერს მტკიცედ ადუღაბებდა, ომი ჰქონდა გამოცხადებული და მისი დასვრა-დაბინძურებით საქართველო იქ მიჰყავდათ, სადაც მრავალი ერი განისვენებდა, ამგვარ დაავადებას თავის დროზე რომ ვერ უმკურნალეს. ქვეყანას კი მარადიული იუდა დაუფლებოდა თავისი მუხთალთა ხროვით და უამრავ ახალ იუდას ჩეკავდა მომავალის უფრო მაგრად დასაბალღამებლად. ადამიანების მოხვეჭა-დატაცების სიკეთისაკენ მობრუნება ერთობ რთული იქნებოდა. ლუკა დონ კიხოტობას არ აპირებდა, რამეთუ ამ უბედურების ღვარცოფის შეჩერება დროს და ადამიანთა დაბუჟებული გონების გამოფხიზლებას შეეძლო მხოლოდ; მანამდე კი, ვინ იცის, რას დატოვებდა უბედურების და ბოროტების ძალთა თარეში.

ხის ღობეში ჩატანებული კუტიკარი გაიღო, ლუკამ იქით გაიხედა კლარა დიდი კალათით შემოდიოდა. ლუკა მუხლებზე დადგა და გახარებულმა ხელები გაშალა. კლარამ კალათი იქვე დადგა და მისკენ გაიქცა. ლუკა წამოხტა, მკერდში ჩაიკრა და ალერსით გააბრუა.

— აუჰ! — კლარამ სული მოითქვა და ისევ მთელი ძალით

მიეკრა. ეს უბედნიერესი წუთები საუკუნეებად რომ ქცეულიყვნენ, მაინც არ ეყოფოდათ; არადა რა მოკლეა ბედნიერების ბილიკი ამ უსასრულოდ ქცეულ უბდურების უდაბნოში. ერთმანეთს მოფერებით ისე ტკბეობდნენ, თითქოს ამ დილას დაშორებულები კი არა წლობით უნახავები აქ შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ახლა მწვანე მოლზე ისხდნენ და ტკბილად საუბრობდნენ.

— ამხელა კალათი რაზე ათრიე, საღამოს სახლში არ მოვიდოდი, — თბილად და მზრუნველად უსაყვედურა ლუკამ.

— ჩვენი წარმოება გაჩერდა, ყველაფერს ყიდიან, მე კი სახლში შენი სურათის ყურებას, შენი ხილვით ტკბობა ვარჩიე; უშენოდ ამხელა დრო რაზე უნდა გამეფლანგა, — კლარა მოეხვია და სახე სიხარულის ცრემლებით დაულბო.

სიყვარულით გაჟღენთილ ბედნიერების ბურანს დიდხანს შემორჩნენ. მათ ირგვლის ამურის ფრთებშესხმული ფერადი ოცნების ჩრდილები დაქროდნენ.

ახლა ქოხის წინ ღია ცის ქვეშ მოწყობილ მაგიდაზე კლარას მიერ განწყობილ პურმარილს შემოსხდომოდნენ. კუტიკართან ავტომობილი გაჩერდა. პაპუნა ეზოში მხიარულად შემოვიდა.

— კარგია, რომ გახსოვარ! — ლუკა მიეგება.

— ხვალ აფხაზეთში მივდივართ მე და ზაზა; გამოგიარე გამოსამშვიდობებლად, — ღიმილით თქვა პაპუნამ. ლუკას დამოძღვრის შემდეგ ძმებივით შეუყვარდათ ერთმანეთი.

— უცხოს ეგონება, ძმათამკვლელ ომში კი არა, პანტის საკრეფად მიდიოდეთ, — ლუკა გაუწყრა.

მაგიდასთან დასხდნენ.

— აბა, რა ვქნათ, ლუკა, გაგრაში ქართვლების თავებით იბურთავეს და მოვითმინეთ, ახლა სოხუმი შეიძლება დაეცეს.

— როგორ დაეცემა, შევარდნახემ ხომ თქვა, ეს რომ მოხდეს გადავდგებიო, — საუბარში კლარა ჩაერია.

— კაცი საღამოთი დილით ნათქვამის საპირისპიროს ამბობს; თანაც თავისივე გამოფურთხულს ისე ლოკავს, არ ალოკვის

შეპირება ავიწყდება; მაგის სიტყვას კაცი ენდობა?!

— აბა, რა ვქნათ, ლუკა, ცუდადაა საქმე ქვეყანა იღუპება.

— შევარდნაძის ხელში სხვა რის იმედი გქონდათ?! ხალხი რატომ ვერ ხვდება, რომ ეგ ქართველთა უბედურების დემონია. ჰეროსტრატე მაგასთან უბრალო გონებაშეზღუდული სახელისმაძიებელი ეგოისტი იყო. ამან მთელი საქართველო დააყენა უბედურების გზაზე, იმაზე აღარაფერს ვამბობ, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა უბედურებაში რა წვლილი მიუძღვის, თავისი მაგიის ძალას სადამდეც აწვდენს სიკეთეს, სიყვარულს, სიხარულს და ბედნირებას სპობს, მათ ადგილას ნარის ეკალივით ამრავლებს ბოროტებას და თქვენ გინდათ ამ მარადიული იუდას ჩანაფიქრი სასიკეთოდ შემოაბრუნოთ?!

— ჩვენ აფხაზეთის გადარჩენა გვინდა.

— რომელიც შევარდნაძემ უკვე გაყიდა და ზედ ათასობით გულუბრყვილო, ქვეყნის სიამაყე ახალგაზრდების სიცოცხლე მიაყოლა. ვისთან მიდიოდა აფხაზეთში საომრად, როცა იქ უმრავლესობა ქართველები იყვნენ. საიმისოდ არ ეყო ტვინი, რომ ყველაფერი მშვიდობიანად მოეგვარებინა?! მაგას იქ მცხოვრები ქართველების ჯავრი აწვალებს და თავისი მეთოდით უსწორდება კიდეც. რა საჭირო იყო აფხაზეთში ომობანას თამაში. რატომ ვერ ხვდებით, რომ მაგისთვის სამშობლო და ერი არაფერს ნიშნავს?! ეგ კაცი ადამიანთა მოდგმის უბედურებადაა მოვლენილი; მაგას უფრო დიდი ფუნქცია აქვს მინიჭებული. ქართველთა უბედურებად ისეთი ახალი თაობის გამოჩეკა, რომლის ჰეროსტრატობა შევარდნაძის ბოროტებას დაჩრდილავს და აკვნესებულ ხალხს მარადიულ იუდას მოანატრებს!

— იქ თითქმის საშიში აღარაფერია. დაზავდნენ. შევარდნაძეს მძიმე ტექნიკა გამოაქვს, თანაც განაცხადა, ვინც სოხუმიში არ დაბრუნდება, მოღალატედ ჩაითვლებაო, — პაპუნა პოზიციებს არ თმობდა.

— თქვენ როგორც გწამთ, ვიცი ისე მოიქცევით. მე კი მჯერა, რომ იმ იუდას მუხთლობის არსენალი ამოუწარავია და ქართ-

ველთა უბედურებად დასათხევი ღვარძლის პარკუჭი რამდენიც არ უნდა დაათხიოს, მაინც არ დაეცლება.

— მორჩით დავას, ღვინო არ დაგიძმარდეთ, — კლარამ ჭიქები ღვინით შეავსო.

აფხაზეთში დაღუპულთა შესანდობარით დაიწყეს. ქეიფი გაუგრძელდათ. ბოლოს ლუკამ გზა დაულოცა და სიფრთხილისკენ მოუწოდა. მეორე დღეს პაპუნა და ზაზა აფხაზეთში გაფრინდნენ. რამდენიმე დღეში მძიმე ტექნიკის გარეშე დარჩენილ ქართველებს სეპარატისტებმა შემოუტიეს და დაიწყო ქართველებზე სატანის წყევლის ასრულება.

შევარდნაძე კი ჩვეული ღიმილით ტოვებდა აფხაზეთს; მისი გეგმები წარმატებით სრულდებოდა, უბედურების დოლაბებზე ქართველთა სიცოცხლე შეუჩერებლად იფქვებოდა.

ლუკამ მალხაზის სიკვდილი მძიმედ განიცადა. დაკრძალვამდე მის ოჯახს არ მოსცილებია; რაც საჭირო იყო, ყველაფერი შეასრულა, მაგრამ ამით მწუხარება არ გაუნელდა; სიცოცხლით სავსე, გულთბილი და მამაცი ბიჭი გაუკუღმართებულმა ცხოვრებმა შეიწირა. ახლა თავის მეურნეობაში წასასვლელად ემზადებოდა. ტელეფონზე დაირეკა. ყურმილი კლარამ აიღო.

— რას ამბობ, ნარგიზა, შენ და აღათი ახლავე ჩვენთან წამოდით! — შეშფოთებულმა უცებ ამის თქმა მოასწრო.

— რა გაუჭირდა ნარგიზას? — ლუკამ ყურმილი გამოართვა.

— ლუკა, ვიბრიონა და ლოკოკინა მოგვივარდნენ, მე და აღათის მოკვლით დაგვემუქრნენ. წასვლისას დაგვიბარეს, ზუსტად სამი დღის შემდეგ მოვალთ, თბილისიდან გადაიკარგეთ, თორე სადაც დაგიჭერთ იქ... — ქალს ტირილი აუვარდა, — მერე აგკუწავთო, — ქალი მოსთქვამდა. — რა გვეშველება, ლუკა?!

— ახლავე მოვდივარ. გარეთ ფეხი არ გამოდგათ! — ისე გავარდა, კლარამ სიტყვის თქმა ვერ მოასწრო...

— გაუპატიურებას გვიპირებდნენ, მეზობლებმა ხმაური ატეხეს, თორე სადღაც მიგვათრევდნენ. ბოლოს დაგვემუქრნენ: ზუსტად სამ დღეში მოვალთ, ბინა ჩვენ გვჭირდება, თქვენ კი ისე გადაი-

კარგეთ, არსად გადაგვეყაროთ, თორემ... — და ისევ ის საზარელი მუქარა, — ტირილით მოუყვა ნარგიზა.

— ახლა ორივე ჩემთან წამოდით, კლარასთან იქნებით. ბინის გასაღები მე მექნება. თუ სამ დღეში მოვლენ, ხუთშაბათს უნდა გამოჩნდნენ. ხუთშაბათის შემდეგ კი თქვენს შეწუხებას ვერავინ გაბედავს, — ლუკამ ორივე კლარას ჩააბარა და თავის მეურნეობაში წავიდა.

ამ ამბის შემდეგ ნარგიზა და აღათი კლარასთან იყვნენ, ლუკა კი ყოველ ღამე მათ ბინაში რჩებოდა. ხუთშაბათს მთელი დღე იქ დარჩა. დაღამდა. მომხდურები არ ჩანდნენ. ლუკა სავარძელში იჯდა და წიგნს კითხულობდა. შუაღამე გადავიდა. ჩაეძინა. კარებზე ბრახუნი ატყდა. ლუკა წამოდგა, სათვალთვალეში გაიხედა, ვიბრიონა და ლოკოკინა იყვნენ. ლოკოკინას ავტომატი მხარზე გადაეკიდებინა, ვიბრიონა კი კარებს კონდახს უღერებდა. ისე უცებ გააღო კარები, ვიბრიონა მოქნეული ხელის ინერციით ოთახში შებარბაცდა. მუცელში ძლიერი მუშტის დარტყმამ იატაკზე დასცა, ავტომატი ხმაურით დაუვარდა. მოულოდნელობისაგან გაოგნებული ლოკოკინას სტაცა ხელი, კისრულზე წამოიღო და ისე დაახეთქა, რომ სული გასაფრენად აუფართხალდა.

ლუკამ ორივე ოთახში შეათრია და კარები ჩაკეტა. ლოკოკინა უგონოდ ეგდო, ვიბრიონა კი იკლაკნებოდა და ადგომას ცდილობდა.

ორივეს შეიარაღება: ავტომატები, ხელყუმბარები, პისტოლეტები, დანები მაგიდაზე დააწყო.

ვიბრონა ვაი-ვაგლახით იატაკზე წამოდგა.

ლუკამ ერთი დანა ქარქაშიდან ამოიღო და ხელის გულზე ფხა შეუმოწმა.

ლოკოკინა შეტოკდა, დაიკვნესა, ადგომა სცადა და ტკივილისგან სახე დაეღმანჭა.

— ეგდე მანდა! — ლუკამ უბრძანა და ისაც დაჯდა იატაკზე.

— მალხაზი რომელმა მოკლა?! — რისხვაჩამდგარი ხმით იკითხა.

— ამან, — ვიბრიონამ სასწრაფოდ უპასუხა, ჩემზე არა თქვასო.

— მე კი არა! — შეშინებულმა ლოკოკინამ ინსტიქტურად წამოიძახა.

— მაშ ვინ?!

უნდა ეთქვა, მე კი არა, ამანო, გადაიფიქრა, — ტყემალამ. — დაუფიქრებლად წამოიძახა.

— მკვდარმა ესროლა?

— სანამ მოკვდებოდა, გასროლა მოასწრო.

— ეგრე იყო? — ლუკა ვიბრიონას მოუბრუნდა.

— ჰო, — ძლივს თქვა.

— მაშ წეღან რად მატყუებდი?!

თავჩაღუნული ვიბრიონა ხმას არ იღებდა.

— ნარგიზას და აღათის გაუპატიურებას რათ უპირებდით?! — ლუკას თვალებში ისევ აკიაფდა რისხვის ნაპერწკალი.

— მე არა, ამან. პირიქით, ვეუბნებოდი, ეგ არ ქნა-მეთქი, — ლოკოკინამ სხაპასხუპით უპასუხა.

ვიბრიონას უნდა ეთქვა, შენ კიდევ მახო რომ მოკალიო, მაგრამ უცებ გადაიფიქრა.

— მაშინ აი დანა, კვერცხები გამოაჭერ და აგერ, ტაფაზე შეწვი, თუ აყვირდება, უმის ჭამა მოუწევს, — დაასკვნა ლუკამ. ლოკოკინას ამ როლმა გადააფიქრებინა ვიბრიონას წეღანდელი განზრახვა.

— მე რათა?! — აბღავლდა ვიბრიონა.

— იმათა, შე პარაზიტო! — ლუკას მოთმინებამ უმტყუნა და წიხლი ამოჰკრა; ვიბრიონას გული შეუღონდა.

ახლა ლოკოკინას მიუბრუნდა:

— მე არა, მე არა! — ლოკოკინა შეეხვეწა.

— შარვალი გახადე და დააჭერ რაც გითხარი! — უბრძანა.

— ახლავე, ახლავე! — ლოკოკინამ ვიბრიონას წვალებით ჩაუწია შარვალი და ჯიბიდან ჯაყვა ამოღიო.

— არ ქნათ! — აღრიალდა გონზე მოსული ვიბრიონა.

ტელეფონზე დარეკეს. კლარა იყო. — რა ხდება, ლუკა, არ მოვიდნენ? — იკითხა.

— მოვიდნენ და ერთმანეთს კაკლებს აჭრიან.

— რას შვრები, არ გაგიჟდე.

— ყურმილი ქალბატონ ნარგიზას გადაეცი, — ლუკამ კი ყურმილი ვიბრიონას მიაწოდა, — სთხოვე, გაპატიოს, თუ არადა მოგიწევს შენი ბინძური კაკლების ღეჭვა.

— მაპატიე, ქალბატონო ნარგიზა! — ყოველდღე შენზე ვილოცებ. რაც გინდა მთხოვე, მთხოვე კი არა დამავალე, შენი მონა ვიქნები! — ნარგიზა იქიდან უბრაზდებოდა. — მაპატიე, ქალბატონო ნარგიზა! — ვიბრიონა აქვითინდა.

ლუკა კარგა ხანს ჩაფიქრებული იდგა, „რა უყოს ამ ახვრებს? ხომ არ დახოცავს. არადა ხვალ ისევ ის არამზადები იქნებიან. მგლის თავზე სახარების კითხვა როდის სჭრიდა“.

— ადექით! — გადაწყვეტილება მიიღო.

გახარებულმა ვიბრიონამ სულელური ღიმილით აიწია შარვალი.

მაგიდაზე დახროვილი იარაღი ტომარაში ჩააწყობინა და ლოკოკინას წამოჰკიდა, რადგან ვბბრიონა ფეხზე ძლივს იდგა.

ეზოში ჩავიდნენ. საჭესთან ლოკოკინა დასვა, ვიბრიონა გვერდით მოუსვა. ორივე მხარზე უკანა სავარძელზე მჯდარი ლუკას ხელს გრძნობდნენ დამოკლეს მახვილივით.

მანქანა ბარათაშვილის ხიდზე გაჩერდა, ორივე ძირს ჩამოიყვანა და თავისი ხელით ჩააყრევინა წყალში ტომრის შიგთავსი.

— ცურვა იცი? — ჰკითხა ლოკოკინას.

— ვიცი, აბა რა! — შეკითხვა იუკადრისა.

— შენ? — ახლა ვიბრიონას ჰკითხა.

— ცურვა არ მეცოდინება?

— ძალიან კარგი. ახლა ჩახტით და თქვენი იარაღი ამოიღეთ.

— რას ამბობ, კაცო, მაგას აკვალანგისტებიც ვერ ამოიღებენ.

— მაშინ აბა რა ვქნათ? ძალიან დაბინძურებულები ხართ ჩადენილი ცოდვებისგან, გადახტით, გაირეცხებით და იქნებ ბოროტებაც გამოგებერტყოთ თავიდან!

მტკვარი დაგუბებული იყო და დინება ძლივს ეტყობოდა.

ტანისამოსის გახდას არ აპირებდნენ. ლუკამ ვიბრიონას ხელი დაავლო. — გაიხადე, თორემ ეგრე გადაგაგდებ, ტანისამოსი დაგამძიმებს! დაემუქრა.

— ვიხდი, ვიხდი! — საჩქაროდ უპასუხეს.

ახლა ორივე ტრუსებში იდგნენ და გადახტომას ვერ ბედავდნენ.

ლუკამ ორივე ერთმანეთის მიყოლებით ისროლა წყალში და ხიდის მოაჯირიდან დააკვირდა მათ ფართხალს. მერე მანქანა მარცხენა ნაპირთან მიაყენა, სადაც მდინარიდან ამოსვლა შეიძლებოდა.

ლოკოკინა ვაი-ვაგლახით მიცურდა ნაპირთან და გამოშვერილ რკინას ჩაეჭიდა, ვიბრიონა რკინას ვერ მისწვდა და ლოკოკინას ფეხში ხელის წავლება მოასწრო, რკინაზე ჩაბღაუჭებული ლოკოკინა ფეხზე მოჭიდებულ ვიბრიონას მოცილებას ცდილობდა.

— გამიშვი ხელი, გამიშვი! — უყვიროდა და თან მეორე ფეხს ურტყამდა.

ვიბრიონას ხმის ამოღების თავი არ ჰქონდა, ძალაგამოლეული მარტო იმას გრძნობდა, რომ ხელს თუ გაუშვებდა, წყალი წაიღებდა და გადარჩენის ამ იმედს სასოწარკვეთილი ებღაუჭებოდა. ყოველი წიხლის შემდეგ კი სულ უფრო და უფრო უჭირდა მოჭიდება. მორიგი დაწიხვლისას ხელი გაუშვა და წყალმა წაიღო.

ლუკა ნაპირიდან უყურებდა. დაიხრჩობა! შეშფოთდა. ამათი დახოცვა არ უნდოდა, მხოლოდ ჭკუის სწავლება და მათი ნორმალური ცხოვრებისაკენ მობრუნება სურდა. წყალში გაუხდელად გადაეშვა და ვიბრიონა ნაპირზე გამოიყვანა დაღლილობის და განცდებისგან მოჩვარული. ახლა ლოკოკინა ამოათრია, რკინაზე ხელი რომ გაეშვა და წყალს მიჰქონდა. ორივე ერთმანეთის გვერდით ქაშაყებივით დააწყო და იქაურობას მოსცილდა. ესენი კი ძლივს მოგონდნენ, ხველებით და წყლის რწყევით წამოდგნენ,

მანქანა იქავე იდგა, ტანისამოსი ჩაიცვეს და უმძრახებივით ჩასხ-დნენ შიგ. ამის შემდეგ მათ ძმობაში ბზარი გაჩნდა, თუმცა კიდევ ერთად დადიოდნენ. ნარგიზას შეწუხება კი არა, იმ ამბის გახ-სენებაც შიშის ზარს გვრიდათ. ძმობაში გაჩეილი ბზარი კი თან-დათან პირს აღებდა მათი ძმობის გადასაყლაპად. ძარცვა-დაყა-ჩაღების სურვილი გაუქრათ, ქეიფსაც ერიდებოდნენ, ღვინის ზეგავლენით შეკავებული უნდობლობის ძმარი არ გადმოენთხიათ. მაინც მოუწიათ ქალაქგარეთ გზასთან მოწყობილ სასადილოში ერთად პურის ჭამა. თითო ბოთლი ღვინოც დაიდგეს.

— გაგვიმარჯოს! — თქვა ვიბრიონამ და ჭიქა გამოცალა.

— ამინ! — დააყოლა ლოკოკინამ.

— ძმობას და მეგობრობას გაუმარჯოს! — ვიბრიონამ მეორე ჭიქაც გამოცალა.

— გაუმარჯოს! — ლოკოკინამაც დალია.

— ამით კიდევ ჩამშვებს არ გაუმარჯოს! — მესამედ ითქვა სადღეგრძელო.

— არ გაუმარჯოს! — ლოკოკინამაც დაუდასტურა.

— რა, ბიჭო, ჩამშვებებზე არაფერი გაქვს სათქმელი? არ გაუმარჯოს! — გამოაჯავრა.

— არ გაუმარჯოს ცოტაა? შენ თუ გაქვს სათქმელი, თქვი, შენახულმა ჯავრმა გულის ფრიალი იცის.

— მაშ, რატო არ გიფრიალებს გული?

— მე ჯავრს არ ვაკონსერვებ.

— მაშინ რატო არ გამომაჭრი შესაწვავად, ხომ შეიძლება გულის ფრიალმა გადაგიყოლოს!

— სანამ ლუკას ეტყოდი, ბალღი ამან მოკლაო, რატო არ აგიფრიალდა და გული?!

— წამომცდა, იმ შობელძაღლმა ისეთი დამარტყა, მეგონა სული გამიფრინდებოდა.

— მე კიდევ მეორედ რომ დავეხეთქებინე, გავთავდებოდი. მარტო იმას ვცდილობდი, არ გაცოფებულიყო; რა გამოგა-ჭრიდი?!

— ის თუ არ გადაიფიქრებდა, რას იზამდი, თუ იცი?!

— რომ დაეჯერებინა, მახოს მე რომ ვესროლე, მაშინ რა მოხდებოდა?!

— გაუპატიურებაზე რაღას იტყვი, ეს უპირებდა, მე კიდევ წინააღმდეგი ვიყავიო, ანგელოზობა რომ მოინდომე.

— რა, ტყუილი ვთქვი? ხომ გეუბნებოდი, ეგ არ ქნა-მეთქი!

— ბიჭო, ჩვენ ერთმანეთს რას ვეუბნებით, ვისი რა საქმეა!

— რატო იქ არა თქვი, რას კთხულობ, რა შენი საქმეაო?!

ვიბრიონამ პასუხი აღარ გასცა; ჭიქაში ღვინო დაისხა და ერთი აკვრით გამოცალა.

— არაფერი აღარ მინდა, წავიდეთ! — ფეხზე ადგა.

— ეგრე ვარ მეც, — ლოკოკინაც ადგა.

ვიბრიონას მანქანა მდუმარედ მიჰყავდა. უცებ დაამუხრუჭა. — ბიჭო, შენ კაცი გენდობა?! — ლოკოკინას მიუბრუნდა.

— ეგ მე უნდა მეთქვა.

— ვიხრჩობოდი, ხელი მოგჭიდე, მიშველიდი მეგონა, შენ კიდევ წიხლი მირტყი; ახლა ლუკა მტერია, შენ კიდევ ძმაკაცი?!

— მე არ ვიხრჩობოდი? ხელი მეშვებოდა; ბოლოს მაინც ხომ გამეშვა. იცი, ამერიკელებს როგორი წესი აქვთ? ერთმა პროკურორმა მომიყვა, რაღაც ტესტებიან გამოცდაში წერებულა; ორი კაცი ნავით რომ იღუპება, ერთ-ერთი თუ გადავარდება, ნავი აღარ ჩაიძირება. ჰოდა, ერთი თუ მეორეს გადააგდებს დანაშაულად არ ეთვლება, რადგან ორივეს მაგიერ ერთი დაიხრჩო, გაიგე?!

— ლუკა რო არ ყოფილიყო, ორივე კარგა ხანია მინგეჩაურს გაცილებული ვიქნებოდით. ეგ ამერიკული მათემატიკა კიდევ დედა შენს მიაკარ ბინძურ საჯდომზე თავის კუროებს რო წააკითხოს.

— დედაშენის საჯდომს მოუფრთხილდი შენისთანა ჩათლახები რო არ დაყაროს!

— ჩამოდი ძირს! — ვიბრიონამ პისტოლეტი ამოიღო და საფეთქელზე მიადო.

— ახლა ხო დარწმუნდი ბოზი, ჩათლახი და ღალატის თესლი რო ხარ! — ლოკოკინამ ხელის აკვრა სცადა და ვიბრიონამ სასხ-

ლეტს გამოჰკრა თითი; თავგახეთქილი ლოკოკინა კარების მინას მიასკდა.

ლოკოკინა ხრამში გადააგდო და ახლა უკვე დამშვიდებულმა, რომ გულის ფრიალი აღარ შეაწუხებდა, საჭეს მიუჯდა.

## სიცოცხლეშივე გარდაცვლილთა ღვარძლი

მოწმენდილ ცაზე ცივმა ნიავმა გაინავარდა. მერცხლებმა დაბლა დაიწყეს ფრენა. ნიაკმა კი ძალა შეიძინა, ახლა ძალუმად დაეტაკა ხეთა კენწეროებს და რასაც მოერია მაღლა აიტაცა. დასავლეთიდან წამოსული ღრუბელთა ქარავანი ჭექა-ქუხილით ამცნობდა მიდამოს თავის განზრახვას. მთლად დაიკავეს სივრცე და მზის სხივებს კალთა შეაჭრეს. ცივი ქარის და ყურის ბარაბნების რისხვა ქუხილის თანხლებით დაბლა დაეშვნენ დამძიმებული შიგთავსის დასათხევად. რამდენიმეჯერ მჭახედ იქუხა და ისე ჩამობნელდა ქათმებმა საქათმეს მიაშურეს. ქარმა წვიმის წვეთების ესკორტით ძალუმად დაუბერა და რასაც მოერია თავის გიჟურ ფერხულში ჩაითრია. ეზოში შემოსასვლელი კუტიკარი მიაჯახ-მოაჯახა. ლუკა ნაკვეთიდან გამოდიოდა, კარებთან ქარის ცელქობა შენიშნა და გადასარაზად წავიდა, გარეთ მოწყობილ ძელსკამზე ვიღაც მოკუნტული იჯდა.

— შემოდი, ქოხში შეეფარე, თორე ეგრე გასაწური გახდები, — უცნობი თავისთან შეიპატიჟა.

ღრუბლებსაც მოსწინდათ მოსამზადებელი როკვა და უცებ კოკისპირული თავსხმა დაატეხეს მიწისპირს.

— გავიცნოთ ერთმანეთი, — ლუკამ უცნობს ხელი გაუწოდა.

— ბორის ვინოგრადოვი, ჩარხმშენებელ ქარხანაში ხარატად ვმუშაობდი. ცხოვრებას არ ვემდუროდი, მაგრამ ქარხანა აღარ მუშაობს, ჩარხები გაანიავეს. გაყიდეს, ზოგი ჯართად ჩააბარეს; საუკეთესო სპეციალისტები, კვალიფიციური მუშები ქუჩაში გამოყარეს, — გულისტკივილით თქვა.

— ახლა რას აკეთებ?

— არაფერს. არც ჩალიჩი შემიძლია და ვარ ეგრე. ბინა მქონდა დაქირავებული, დღეს ისიც დამატოვებინეს, აქეთ უაზროდ გამოვიარე, არ ვიცი, რა ვქნა, რუსეთში წავალ ალბათ.

— სანამ რამეს გადაწყვეტდე, ჩემთან დარჩი. ეს ქოხი და კარმიდამო საერთო გვექნება, იმ დაქირავებულ ბინაში რაც გაქვს, ჩემთან გამოიტა. ისეთ ბინაში გაცხოვრებ, ვერ დაიწუნებ, არც ქირის გადახდა მოგიწევს.

საჩეხში მდგარ მაგიდაზე გაშალეს პურმარილი. კლარას წყალობით კარგად მარაგდებოდა თუ რამე აკლდდა მაშინვე სავსე კალათით შეავსებდა ხოლმე.

კოკისპირული თავსხმის მაგიერ ახლა ჟუჟუნა წვიმა გაუთავებლად ბუტბუტებდა სველ ბუნებასთან.

შეზარხოშდნენ. ბორისი არც ისე ჩანდა უთქმელი კაცი, ახლა მთლად ენად გაიკრიფა.

— გორკიდან წამომიყვანეს. ახალი მოდიფიკაციის ძვირფასი ავტომატიური ჩარხის დასამონტაჟებლად და სამუშაოდ. მივლინებით ვიყავი ჩამოსული და ისე მომეწონა აქაურობა, ცოლშვილიც ჩამოვიყვანე. რა სიყვარული და სითბო იღვრებოდა ყველგან, ვერ წარმოიდგენ, რა ბედნიერი ვიყავი; კარგი ხალხია ქართველები, მეგობრობა და სიყვარული არ აკლიათ. ყოჩაღი ხალხი ხართ და საბჭოთა კავშირის სიკეთეს კარგად იყენებდით; მთელს რუსეთში ყველას უყვარდით და ყველაზე ახლობლად გთვლიდნენ. ახლა რამ გადარია ეს ხალხი?! საიდან ჩაუდგათ ანტირუსული ღვარძლი? განა შეიძლება შენი მოკეთე და ყველაზე ახლობელი ადამიანი შეიძულო, შენს დამაქცევარს კიდევ ჩაეხუტო შენი ჭირის და ლხინის მოზიარის ჯინაზე?! მე მოსკოვში დავამთავრე მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. რადგან ჩარხის კარგი სპეციალისტი ვიყავ და თანაც ანაზღაურება უფრო მეტი მქონდა, ხარატად ვმუშაობდი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ უწიგნური კაცი არა ვარ და საქართველო-რუსეთის ურთიერთობა კარგად შევისწავლე. როცა რუსეთი საქართველოსთან მეგობრობს რასაკვირველია მას აქვს თავისი ინტერესები. რა უნდა უსაყვედურონ

რუსეთს ისეთი, რომ ის უზარმაზარი სიკეთე გადაწონოს რაც მან ქართველ ერს მოუტანა. ძმა ძმას როგორც არ უნდა გაებუტოს, განა შეიძლება მისი გაცვლა ცხვრის ტყავში გახვეულ მტაცებლებზე?!

— რა გითხრა, ბორის, ეს ისეთი დაავადებაა სახელად უმადურობა რომ ჰქვია და დროზე თუ არ მოგონდება ამით მოწამლული, მერე მკურნალობა ძალიან გაძნელდება.

„კბილს რომ დაგადგამს მწევარი,
იქნებ გერჩივნო ძმაზედა,
მაგრამ ვეღარას გიშველი,
ხიდიც რომ გადო ზღვაზედა“.

ეს სტროფი ქართველი პოეტის ლექსიდანაა. სავალალოა რომ დღევანდელ ხელისუფლებაში გამძვრალი ქართველები ქვეყანის ყველაზე ბოროტი დამაქცევარის ოცნებას რეალობად აქცევენ. ხალხი კი ამ უბედურებას ვერ ხვდება და ასე ბოჩოლებივით მიაბიჯებენ დაღუპვის ბილიკზე. იმდენად ღრმად არის გამჯდარი უბედურების ჭირი და უმადურობის ბაცილა ქვეყნის ორგანიზმში, რომ რამდენიც გინდა იყვირო, მაინც ვერ გამოაფხიზლებ ხალხს, სანამ რაღაც უფლისმიერი სიკეთის და სიფხიზლის ნათელი არ დაგეუფლება. ეს კი როდის იქნება, ვინ იცის. გული მტკივა, რომ ჩემ უსუსურობას ვგრძნობ და არ შემიძლია ამის შველა, ამიტომ ვზივარ განმარტოვებით ამ ნაკეთში და არ ვიცი, ვეღირსები კი ჩემი ხალხის გამოფხიზლებას? ერთი კი ღრმად მწამს, ქართველი ხალხი გამოფხიზლდება, ჭეშმარიტების გზას დაადგება და მკბენარივით დასეულ მოღალატე პარაზიტთა ხროვას ბინძურ ნაგავსაყრელში დაამიწებს. რუს-ქართველთა მეგობრობა კი ისევე გაუხუნარია, როგორც სიკეთე, სიყვარული, ერთგულება და მუდმივი ლტოლვა ბედნიერი მომავლისაკენ.

— ვთქვათ ცარიზმის დროს ვიღაცას ჩაგრავდნენ, მაშინ ხომ რუს მშრომელებსაც არ ინდობდნენ. რას წარმოადგენდა საქართველო მეცხრამეტე საუკუნემდე? რუსეთში განათლებამიღებულმა ნიჭიერმა ადამიანებმა მარგალიტებით გაავსეს ქართული მწერ-

ლობა. თურქეთშიც მოხვდა საქართველოს დიდი ნაწილი, ერთი ნოველა, ან ერთი სტროფი ლექსი დაწერილა იქ? სუმთლად გააქრეს ქართული სულის ფეთქვა. საბჭოთა კავშირი და სოციალისტურ რესპუბლიკათა ერთობა იყო სადაც ყველა ერი იფურჩქნებოდა და აღმავლობის გზაზე იდგა. ახლა ამ ეგრეთ წოდებულ დამოუკიდებლობაში კი ყველაფერი რაც ერს და ქვეყანას საამაყოდ ეთვლება ნადგურდება. ევროპულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმაც შექმნეს ევრო კავშირი, საკუთარი ვალუტა და სამხედრო ბლოკიც აქვთ. სოციალისტური სახელმწიფოთა კავშირი კი იმპერიად მონათლეს, ამას კომუნისტების გახრწნილი ზედა ფენის ღალატი დაერთო და საბჭოთა კავშირის ხალხებს რუსების ჩათვლით საშინელი უბედურება დაატყდა თავზე, — განმარტა ბორისმა.

ამ დროს ეზოში ლაბადაწამოსხმული, ზონტიკით ხელში კლარა შემოვიდა.

— გოგო, ამ თავსხმაში რამ წამოგიყვანა?! — ლუკა კლარასკენ გაიქცა.

— ვიფიქრე, წვიმამ გზაში ხომ არ მოატანა-მეთქი, ლაბადა წამოვიღე. რა კარგია, რომ არ დასველებულხარ!

— შენ რომ დასველდი, ეს მოგწონს?

— მომწონს კი არა, ბედნიერი ვარ, რომ მშრალს მოგისწარი.

— ახლა მე რომ განვიცდი შენს ასე შეწუხებას! კარგი, ამაზე მერე ვილაპარაკოთ. გაიცანი ჩვენი ახალი, რა ვთქვა, ბორის? — ჰკითხა.

— სტამური, — ბორისი ფეხზე ადგა.

— დღეს სტუმარია, ხვალ ვნახოთ. ეს ქალბატონ ჩემი მეუღლეა, — კლარა გააცნო.

— როგორ ცივა! — კლარამ ზონტიკი მიაყუდა და მოიკუნტა.

ლუკამ ოთახიდან ტყაპუჭი გამოიტანა, წამოასხა, — ცოტათი შეთბი და წავიდეთ, — უთხრა, — ბორის, გინდა ჩვენთან წამოდი, გინდა აქ დარჩი, — შესთავაზა.

— აქ დავრჩები.

— მაშინ აქაურობა ჩაიბარე; კარგად მოწყობილი ოთახი, საჭმელ-სასმელი; ქათმები უკვე შებუდებულან. ხვალ დილიდან აქა ვარ. თუ ის არა ხარ, როგორიც მგონიხარ, რაც მოგეწონება აიღებ და წახვალ. ღმერთმა შეგარგოს! ოღონდ ჩემი სახით ძმაკაცობის კანდიდატს დაკარგავ, თანაც არ მინდა, რომ ცოცხლად გარდაცვლილებში აღმოჩნდე.

— ეხ, ლუკა! ლუკა! ეს რატომ მკადრე! ახლა დავრჩები, მაგრამ ხვალიდან აქ გამჩერებული აღარა ვარ! — ბორისმა იწყინა.

— მაპატიე, ბორის, ჩემი ეს უნებლიე კადნიერება! ხვალიდან კი მე აღარ გაგიშვებ, რომ საბოლოოდ შეგირიგო, — ლუკამ მეგობრულად მოუთათუნა ხელი მხარზე და კლარასთან ერთად ეზოდან გავიდა...

დრო თავის ჯარზე დაუღალავად ართავდა. გუშინდელს საფუძვლიანად ახუნებდა და მტვრის ფენას ადებდა. არც დღევანდელს დაზოგავდა წუთისოფლის მსახველი ხელით მიყრილი მტვერი, ახლა ყველაფერს რომ იჩემებდა და თავი გაუხუნარი ეგონა; მაინც მორჩილად მისდევდა დროის ჩარხის ბრუნვას თავისი ცოცხლად გარდაცვლილი თანამგზავრებით, გაუმაძღრობაშეყრილებს ყველაფერი თავისი რომ ეგონათ.

დაშლილ საბჭოთა კავშირში კი დატაცების, მოსპობა-მითვისების ქარიშხალი ბობოქრობდა. ბურჟუები, მიწათმფლობელები, ჩარჩები, მევახშეები, ავაზაკები; სიღატაკე, შიმშილი, უმუშევრობა, ლტოლვილობა, დაუნდობლობა, მათხოვრობა და უამრავი უბედურება იჩეკებოდა გარდაცვლილ სოციალიზმის სხეულზე.

ინგრეოდა და ნადგურდებოდა მშრომელთა იმედად მდგარი, ხალხთა მეგობრობის, ძმობის და თანასწორობის იდეაზე შექმნილი კავშირი, რომელსაც იმავე კომუნისტებმა მოუღეს ბოლო თავიანთი გაუმაძღარი კუჭის ამოსაყორად, მათმა წინამორბედებმა რწმენით და ბრძოლით მომავლის იმედად რომ შექმნეს.

ნგრევა-რბევა ყველა რესპუბლიკას მოსდებოდა, მაგრამ საქართველოში სულ განსხვავებული უბედურების გრიგალი დაღ-

მუოდა. მთლიანად მოსპეს და მიწასთან გაასწორეს სამრეწველო საწარმოები, დააწიოკეს მუშათა კლასი. სოფლად მიწაში ჩადებული სარწყავი და სასმელი მილებიც კი ამოთხარეს და გაყიდეს; ადვილი წარმოსადგენია მიწის ზევით რა ხდებოდა. შევარდნაძის გაუმაძღრობაშეყრილ ხროვას ეს არ ეყო და ახალი თაღლითობა მოიგონეს: ფული რაც გაქვთ შემოიტათ და ერთ წელიწადში გაგიორმაგდებათო; ერთ წელიწადში კი ისე გაკუპონდა კვერცხს მილიონად ვერ იყიდიდი.

მძლავრი ინდუსტრიულ-აგრარული საქართველო ბანანის რესპუბლიკათა დონემდე დაჩაჩანაკდა. უმუშევრად დარჩენილი ხალხი შიმშილის კლანჭებიდან თავის დასახსნელად საზღვარგარეთ გარბოდა; ქართველი ერი საშინელი დემოგრაფიული კატასტროფის წინ დადგა. ედუარდ-მარადიული იუდა იმას აკეთებდა, რაც ვერ შეძლო ისტორიის ეკლიან გზაზე უამრავი მტაცებლის ცოფმა.

აფხაზეთი უკვე კარგა ხანია განისვენებდა შევარდნაძის მუხთალ ჩანაფიქრის მსხვერპლთა ყულაბაში. გადადგომა კი არა, ისე ამაყად ეჭირა თავი მლიქვნელ, კორუმპირებულ, მის მაქებარ უზნეოთა მიერ დიდ პოლიტიკოსად მონათლულ ჯადოქარს, თითქოს სამარცხვინოდ გამოქცეული კი არა, ბრწყინვალე გამარჯვების შარავანდედიანი მხედართმთავარი ყოფილიყო. გამარჯვებული კი ნამდვილად იყო: აფხაზეთის ქართველობა სახლკარგადაბუგულ, მიუსაფარ ლტოლვილებად აქცია; სამეგრელო სისხლიან უბედურებაში აბანავა; დანარჩენ ქართველობას გაჭირვების და დამცირების ნადირი ასდევნებოდა. სიცოცხლეშივე გარდაცვლილთა ყეინობის დრო მოსულიყო და ისინიც ვამპირის გაუმაძღრობით დასწრაფებოდნენ ქართველი ერის მაცოცხლებელ ძარღვს.

შალვას ლუკასგან მიღებული სუსხიანი გაკვეთილის შიშის ფეთება დიდხანს არ განელებია. ფრთხილობდა, მისი გაღიზიანება არ დაემსახურებინა. იცოდა, რომ ლუკას ქალაქის განაპირას პატარა მეურნეობა ჰქონდა და მუდამ იქ ტრიალებდა, უკუღმართ ცხოვრებას გარიდებული მოხვეჭის ჭაპანწყვეტაში გაბლანდულ გაუმაძღრობას აღარ აფრთხობდა, აღარ ცდილობდა გარღვეული

ჯებირიდან დაძრული ღვარცოფის შეკავებას ამის შეუძლებლობაში დარწმუნებული. მაგრამ ლუკა შალვასთვის ის ჩაძინებული ვულკანი იყო, რომელსაც შეიძლება მოულოდნელად გამოეღვიძა და, სადაც მისწვდებოდა, შეეძლო შალვას და მისი მსგავსებისათვის გაუმაძღრობის ავხორცობა გულის ფრიალად ექცია.

დატაცების გაწამაწიაში ჩაბმულ შალვას თანდათან უფრო ემატებოდა მადა, მაგრამ ლუკას არსებობა მიძინებულ შიშის ფეთებას არ ასვენებდა. რაიონის პროკურორობიდან რასაც მისწვდა, მოკორტნა, ახლა დედაქალაქში გადასვლა გააჩალიჩა და სადაც შეძლო ყველაფრის წილში შეაღწია, პარლამენტარები, მთავრობის ჩინოვნიკები, გამგებლები მათ მიერვე სათავისოდ შეთითხნილი კანონების ჟღარუნით დატაცების ფერხულში როკავდნენ. შევარდნაძის ეს ნაკომუნისტარი, ახლა ანტიკომუნისტებად გადანათლული ცოცხლად გარდაცვლილები ბიზნესმენის და ფერმერის ბუმბულით მოსავდნენ თავიანთ ბურჟუის და მიწათმფლობელის გაუმაძღრობას. „მოქალაქეთა კავშირში“ გადაბარგებული თაღლითები შემორჩენილ სინდისის ნერვის ნარჩენსაც მოხვეჭის გაუმაძღრობას სწირავდნენ, მათი ეგოიზმით გაჟღენთილი ფუსფუსი ჭირის დღედ ჰქცეოდა ქართველ ერს. სინდისთან, მორალთან, ზნეობასთან და ქვეყნის წინაშე მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასთან გაბუტულები თვითდაჯერებული ყეყეჩის ღიმილით ამაყად მიაბიჯებდნენ არარაობად ქცეულთა სანაგვისაკენ.

„მოქალაქეთა კავშირ“-ის სიით გაპარლამენტარებული მარინე ახლა ერის და ქვეყნის ერთგული, უანგარო ადამიანების ლანძღვით და ხელისუფლების მუხთლობის ქებით აღზევების ხარკს უხდიდა ქვეყნის დამაქცევართ. ერთხანს შალვაზე გული აუცრუვდა, ლუკასგან ესოდენ ჩვარივით ნათრევი რომ ნახა, მაგრამ ახლა, რაც დედაქალაქში გადაბარგებული წარმატებული მიწათმფლობელის, ბიზნესმენის, მაღალი თანამდებობის კარიერისტის ნავარდი იხილა, მისკენ ისევ მოუბრუნდა კერპის ძიების ალღო. შალვაც ქეიფებით, საჩუქრებით, ქებით და ხოტბის შესხმით საგულდაგულოდ პოხავდა მის ამბიციურ სულის ჭრიალს. მარინეც

კმაყოფილი იყო, რადგან შალვა სრულიად უკმაყოფილებდა კარიერისტულ კაპრიზებს.

უჩვეულო ხმაურიანი ქორწილი გადაიხადეს, ყველაფერი ჰქონდათ: თანამდებობა, უზარმაზარი ქონება და უზრუნველი ცხოვრება; უფრო მოჭარბებულად გააჩნდათ მედროვის ამპარტავნობა, ღვარძლი, შური და სიძულვილი, რაც მოხვეჭის, ავხორცობის, კარიერისტის ერთგული თანამგზავრია. სამუდამოდ გაჰქრობოდათ სიკეთის შარავანდედიანი ღიმილით დამშვენებული კაცთმოყვარება, რომელიც მხოლოდ პატიოსან, სიყვარულის მეხოტბე, უანგარო მშრომელ ადამიანს გააჩნია.

ქვეყანაში განუკითხავი კაცთაკვლა მძვინვარებდა. დაუსჯელობის გრძნობით ფრთაშესხმული დიდი ქონების დამტაცებელი მაფიოზები თანამდებობრივ და მომხვეჭელურ ძიძგილში ერთმანეთს არ ინდობდნენ.

თავიანთი აღზევებით კმაყოფილ შალვას და მარინეს ლუკას და კლარას გაჭორვით, ღვარძლის დათხევით და დაცინვით ეგოისტი სულის მოფხანის მცდელობა ბოლოს მაინც უწმარებდათ მსუყე ცხოვრების ტაბლას. ყველაფერი ჰქონდათ, მაგრამ ლუკას არსებობით მაინც შფოთავდნენ, მისი მოკრძალებული, განმარტოვებული, უშფოთველი, არავის რომ არ აწუხებდა, ყოფა გონებას უბნელებდათ. შურდათ ის, რაც მსუქან ეგოიზმში გაცვალეს და რასაც ვერასოდეს ვერ ეზიარებოდნენ.

როგორც ყველა მის მსგავსებს, შალვასაც ჰყავდა რამდენიმე ბნელი რეპუტაციის ადამიანი, საჭიროების შემთხვევაში ბოროტი ჩანაფიქრის განსახორციელებლად და წვრილფეხა მეტოქეთა დასაშინებლად. ვიბრიონა მათგან გაიცნო, რომელსაც ლუკას გახსენება შალვასავით უმწარებდა განვლილი დღეებით ტრაბახის სიამოვნებას.

შალვა თავის მამულების დასათვალიერებლად დროდადრო გაისეირნებდა ხოლმე დაცვად წოდებული რამდენიმე ავაზაკით და ძაღლით. რომელსაც კალიგულას ცხენივით ანებივრებდა. ახლა შირაქის მამულში მოგრიალდა. დამცველთა შორის ვიბრიონაც

ახლდა. საველე ბინასთან მუშები, მეურნეობის მეთვალყურეები და მეველეები შეკრებილიყვნენ. შალვა მანქანიდან გადმოვიდა, კატასავით გაიზმორა და შუბლშეკრულმა მრისხანედ გადახედა იქაურობას; მაშინვე მიართვეს სკამი და მაგიდა, დანარჩენები მის უკან განლაგდნენ.

— როგორ არის საქმე, დათავ?! — ფიქრით დამძიმებული კაცის გამოკუთხული შუბლით იკითხა.

— კარგად, შალვა ბატონო! — სასწრაფოდ მიიღო პირმოთნე პასუხი.

— ხომ არავი გაწუხებთ?

— თქვენი შიშით იქით კანკალებენ, — დათამ იცოდა, რა სიამოვნებდა.

— ვინც უღირსია, იმასაც დაკარგავს, რაცა აქვს; ეგრე, არ არის?! — შალვამ ამალას გადახედა.

— ეგრე მოუწევთ, ეგრე! — დაუდასტურეს.

მხარზე ჯოხგადებული კაცი გამოჩნდა, მათკენ მოდიოდა.

— ვინ არის, დათავ, ჩვენიანია? — იკითხა შალვამ.

— გზას იქით მაგისი ძროხები ძოვდნენ, მე კიდევ წამოვიყვანე და ბაკში ჩავყარე; იქნება აქეთ გადმოვიდოდნენ, ყანებს ხომ არ გავაძოვებინებდი.

— ყოჩაღ, კარგად გიქნია! ეგ საძოვარი და გარშემო რაც არის სულ ჩემი იქნება? ფეხი არავის დაადგმევინო.

ამასობაში ჯოხიანი კაცი მათთან მივიდა.

— დათავ, ჩემი საქონელი გამოუშვი, იმათ არაფერი წაუხდენიათ. თუ არადა მითხარი, რამდენია წანახედი რომ ზარალი გიზღო, — ჯოხზე დაყრდნობილმა თქვა თავისი სათქმელი.

— რამდენი სულია? — იკითხა შალვამ.

— ერთი ძროხა, ერთი დეკეული და ერთი მოზვერი.

— მოზვერი დაკალით, დეკეულის და ძროხის ფული გადაიხადოს და გაატა! — ბრძანა შალვამ.

— ვისი მოზვერი უნდა დაკლათ, ან საძოვარს რატომ მიკრძალავთ, ლილხნობაა?!

— ლილხნობას გაჩვენებ მე! — დაემუქრა შალვა და შოკოლადი ძაღლთან ერთად სხვებსაც მიუგდო; ძაღლმა პირით, იმათ კიდევ ჰაერშივე სტაცეს ხელი.

— ნუ მემუქრები. ვერც მოზვერს დაკლავ და ვერც საძოვარს ამიკრძალავთ! დათავ, ეს საქონელი გამორეკე, თორემ!... — სათქმელის დაუმთავრებლად დაიმუქრა და წასვლა დააპირა.

შალვამ შოკოლადი გადაუგდო. მან დამცინავად გააყოლა თვალი მიწაზე დავარდნილს.

— შენი წილია, რაკიღა ჰაერში დაჭერას ვერ ახერხებ, დაბლა დაგდებული აიღე, — ურჩია შალვამ.

— მე ძაღლების საჭმელს არა ვჭამ! დათავ, დროზე გამოუშვი! — მიაძახა და უკან გაბრუნდა.

— ჩვენა ვჭამთ ძაღლების საჭმელს?! — იწყინა ვიბრიონამ.

— მე რომ არ გითხრა, შენ ვერ უნდა მიხვდე!

— ახლავე მიგაცხრილავ! — ვიბრიონამ იარაღზე გაივლო ხელი.

— ეგრე ქენი, სანამ შენ თვითონ არ მიგაცხრილავენ! — ძროხის პატრონმა უკან მოუხედავად მიაძახა.

— დედას გიტირებ! — ვიბრიონამ პისტოლეტი იძრო.

— გაჩერდი ერთი! მაგარი ხარ, როცა გძინავს! ცხვირწინ არის ლუკა, რაც იმან დღეში ჩაგაგდო, რატომ არ მიცხრილავ! — შალვამ დაუწუნა აქტიურობა.

— ლუკა? — დაბნეულად იკითხა ვიბრიონამ.

— ჰო, ლუკა, რა არ იმსახურებს?!

— რავი, აღარაფერს აშავებს და...

— რა ჯერ, არაფერი დაუშავებია? როცა დააშავებს, მაშინ რაღა ეშველება!

— ეგაც არის განა. ოღონდ მოფიქრებაა საჭირო. იოლი საქმე არაა; უბედური ჯანის პატრონია, მარტო მე გამიჭირდება.

— კარგი, მოვიფიქროთ. კაცსაც მოგცემ და შენ წონა ფულსაც, — შალვა უცებ შეკრთა, იქ მყოფთ შეშინებული მიაჩერდა. მკვლელობის გახმაურების კი არა, ვაითუ ლუკამ გაიგოსო, შეეში-

ნდა. უცებ გაიხსენა თავისი სახლის აივნიდან გადახტომის შესაძლებლობის საშინელმა განცდამ. — არა, კაცო, უბრალოდ ვიხუმრე, თორე ლუკა ჩემი მეგობარია, — თავი იმართლა.

— მეც კინაღამ დავიჯერე, — შვებით ამოისუნთქა ვიბრიონამ და ნაძალადევმა ღიმილმა სახე დაულმანჭა.

შალვა მიხვდა, რომ ვიბრიონას მასზე არანაკლებ აშფოთებდა ლუკას ხსენება და გადატანილი უსიამოვნების გავლენით მისგან შორს ყოფნას არჩევდა. მკვლელად კი სწორედ ასეთი ადამიანი იყო საჭირო ლაჩარი, მშიშარა და დაუნდობელი.

— კარგი, კარგი! — თქვა გამწარებულმა შალვამ. — ის მოზვერი კი მაინც დაკალით, ძროხაც არ დაუბრუნოთ. ვნახოთ, რა ფეხებს მოგვჭამს. აყვირდება და დედას ვუტირებ! — დაადგინა და ფეხზე წამოდგა. „ნეტავ ეს მეძროხე ლუკას ახლოებელი ხომ არ არის?“ — უცებ გაიფიქრა და სხვისი დაჩაგვრა-დამცირებით გართობის სიამოვნება დაუბალღამდა. სანამ ლუკა ცოცხალი იყო, მის განებივრებულ პარპაშს სიმშვიდე არ ეწერა...

მინდვრიდან დაუბრკოლებლად მონაბერი ნიავი ხის ტოტებში გახლართულიყო და ამ მწვანე ოაზისიდან გამოსვლის მცდელობაში გზის გასაგრძელებლად ძალა აღარ რჩებოდა. იყო ფოთლების შრიალი და დაღლილი ნიავის ბუტბუტი. გაბედულად ფრთის მოქნევა რომ უჭირდა, მინდორს სიცხის ალმური ასდიოდა, აქ კი სასიამოვნო სიგრილე სუფევდა. ღრმა ხრამში ჩაკარგული წყარო, ლუკამ დიდი გარჯით აქ რომ ამოიყვანა, ახლა დაუღალავად ჩხრიალებდა და გვალვის მახვილს აბლაგვებდა, ასე დაუზოგავად რომ გადაეტრუსა მინდორი, წყარო კი აქ ცხვირის შემოყოფის უფლებას არ აძლევდა.

ქოხის წინ, თუთის ხის ჩრდილში მაგიდა დაედგათ. ზაური, ჯაგარა და ტომოთე მოსულიყვნენ ლუკას სანახავად და, რადგან მისი მეურნეობის ამბავიც იცოდნენ, ორი ძროხა, ოცი თხა და ცხვარიც ჩამოუყვანეს. ლუკას სადგომები მომზადებული ჰქონდა. კლარა ქოხში ფუსფუსებდა, ლუკა ბოსტანის მოსავალს კრეფდა. ბორისი საქონელთან ტრიალებდა; რამდენჯერმე დააპირა რუ-

სეთში წასვლა, მაგრამ ლუკას რჩევით ჯერჯერობით გადაიფიქრა.

— დარჩი, ბორის, რუს-ქართველთა ძმობა ურყევია. ჩვენს სიყვარულში ბზარის გაჩენის მცდელობა კრახით დამთავრდება. გამოფხიზლებული ქართველი ხალხი სათანადო ადგილს მიუჩენს ყველა პარაზიტს, ესოდენ ვერაგულად რომ ცდილობენ ჩვენი მეგობრობის შებღალვას. საქართველოში კვლავ აღორძინდება მრეწველობა და წასვლაც აღარ დაგჭირდება, — ურჩევდა ლუკა და ბორისიც. შემორჩა მიძინებული მეგობრობის გამოღვიძების სურვილს, სოლოლაკის ბინა მის განკარგულებაში იყო, ბარგიც იქ გადაიტანა, ძირითადად კი ამ მეურნეობაში ტრიალებდა.

ლუკამ ბაღჩიდან კიტრი და პომიდორი გამოიტანა და ახლა სამწვადედ ცეცხლის დანთება დაიწყო. ჯაგარამ არ დაანება, ეგ საქმე მე კარგად მეხერხებაო.

სუფრა გაშალეს. ხმაურით შემოუსხდნენ მაგიდას.

— ლუკას ოჯახი დავულოცოთ, ბედნიერება ვუსურვოთ! — ტიმოთემ ითავა პირველი სადღეგრძელოს თქმა. ჭიქები ბოლომდე გამოცალეს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბახუსი არ ჩქარობდა სიფხიზლის თავშეკავების ნერვის ღვინით დალბობას.

რამდენიმე სადღეგრძელო კიდევ ითქვა, ლაპარაკის საღერღელიც აეშალათ.

— ძროხების ცოტა გამეგება, აი ცხვრების მოვლა კი არ ვიცი: სალაფას ხო ჭამენ, — საკითხი წამოჭრა ბორისმა.

— თუ მიაჩვევ, შეიძლება კატლეტიც მოგთხოვონ, — სიცილით თქვა ზაურმა.

— ეხ, ბორის, შენისთანა ოქროს ხელების პატრონი ცხვრების მოვლაზე უნდა ცდებოდეს, ამ ქვეყანას გზა-კვალი რომ არ ჰქონდეს არეული?! — სინანულით თქვა ტიმოთემ.

— ბიჭო, მე ერთი საშუალოდ განათლებული კაცი ვარ, ან ძროხა უნდა ვმწყემსო, ან წიწაკის თუ კომბოსტოს კვლებში ვიბღუნაო, მეტს ვერ აქაჩავს ჩემი ცოდნა. ჯანი კიდევ უნდა იცოდე

სად და როგრრ გამოიყენო, თორემ აკარაკი დეკეულივით კოღოების გამოსაძღობად ღიჭიანში ჩაიჩიხები, — ჯაგარამ მრავალმნიშვნელოვნად თქვა.

— რაში დაგჭირდა მაგ ფილოსოფიის გამოცხობა? — ჰკითხა ზაურმა.

— ფილოსოფიაა თუ კაკლის ბერტყვა მე ის ვიცი, რომ ვისაც რა შეუხლია, ის უნდა აკეთოს, ტრაქტორით ჩითილის საგლეჯად არავინ დადის; ლუკამ კიდევ ახლა მეძროხეობა მოინდომა.

— რა, მეძროხეობას ვერ შეძლებს?

— მეძროხეობა ყველას შეუძლია, მაგრამ ლუკას ამ საქმეზე მოცდენა ისე არ შეიძლება, როგორც მძლავრი ტრაქტორით ჩითილის გლეჯა.

— ისეთი რა შეუძლია ლუკას? — ზაურმა ისე გამომწვევად ჰკითხა, თითქოს აქეზებდა სათქმელი ბოლომდე ეთქვა.

— ახლა კარგად მომისმინეთ: შენ რომ გუგულივით მოგაყუჩეს, მეგონა, გათავებული იყო საქმე, ვერაფრით ვერ წარმომედგინა, თუ რამე ძალას შეეძლო შენი ხსნა: ვინ გიშველა? ჩემთან რომ მოვიდნენ, მუშტი დავატრიალე და გავიქეცი. ეგ იყო და ეგ, არ ვიცოდით, მერე რა მეკეთებინა. ბევრი, ბევრი რომელიმე მილიციელი გამეგორებინა, მე კიდევ ცოფიანი მგელივით სადმე მომაყუჩებდნენ. ბოლოს ლუკამ შემიფარა, თორე მალე მომიგრეხდნენ კისერს და იცი რატომ? იმიტომ, რომ საამისო მოფიქრება არა მქონდა, თორე შალვას მეც დავაყენებდი ჰიპ-სტოპზე. მაგრამ ლუკასავით ვერ გავაგრძელებდი, შეიძლება შალვა გამეგორებინა და ამით ყველაფერი გამეფუჭებინა. ლუკა კი გროსმაისტერია. მის გაკეთებულ სვლებს რომ ვუყურებ, მგონია იმას მეც გავაკეთებდი, მაგრამ დამოუკიდებლად რომ გამიშვან, სადღაც ჩიხში შევყოფ ცხვირს. ახლა ლუკაზე ვთქვათ: ფიზიკურად სუსტი რომ ყოფილიყო, ამჩემფეხება ბრიგადირი გატყეპამდა, ეს კიდევ თავმჯდომარესთან იჩივლებდა, რომელიც დასცინებდა და გამოაპანღურებდა, ამით დამთავრდებოდა მისი სასიკეთო მცდელობა. იქნებ ვინმე სხვასაც ჰქონდა უკულმართობასთან ბრძოლის სურვილი.

მაგრამ თავისი სისუსტის შეგნებამ დაამუნჯა. ლუკას რესტორანში ღვინოს წრუწუნასავით ჩაასხამდნენ, გამოათრობდნენ, გააგლახაკებდნენ, დასცინებდნენ, დაამცირებდნენ და გამოაპანღურებდნენ, ნებისყოფა ფიზიკური ძლიერება და ნათელი გონება რომ არ ჰყოლოდა გვერდით. თუ არა ეს თვისებები ამას აქამდე ციხეში გამოამწყვდევდნენ. ვინ იცის, რამდენი ეყოლებათ გადაყლაპული, ვისაც რომელიმე ამ ეკალთაგანი აკლდა.

— ჩვენ რა ვქნათ? — ზაური დროდადრო წაქეზების საწვავს უმატებდა, აზრის გამოთქმის სურვილი რომ არ განელებოდა.

— ლუკას გარეშე ვერაფერსაც ვერ ვიზამთ. ჩვენს ერთი მუჭა ნაკვეთებში თხუნელებივით ვიბღუნავებთ, სანამ რომელიმე დიდი მტაცებელი გადაყლაპვას არ დაგვიპირებს. შეიძლება ყელში გავეჩხიროთ, მაგრამ სხვამ რატომ უნდა დაგვიპიროს ეს, როცა ჩვენ უფრო ძლიერი შეიძლება ვიყოთ. ბიჭო, გრამიოონას მსგავს შობელძაღლებს უნდა შერჩეთ ამოდენა მიტაცებული ქონება ადრე ხალხისა რომ ერქვა?! — ჯაგარამ ბოლოს თქვა რაც უნდოდა.

— რა არის, ჯაგარ, ისეთი ლუკას გარეშე რომ არ გამოვა? — ახლა ტიმოთე დაინტერესდა.

— მე რა ვიცი, ლუკამ უნდა თქვას. ამდენი ნაკომუნისტარი შობელძაღლები ადრე სხვა ჰანგზე რომ გალობდნენ და უჩუმრა ხვეტავდნენ, ახლა აშკარად და უსირცხვილოდ ყველაფერს იტაცებენ, ყიდიან და ანადგურებენ, ხალხი კიდევ ფეხებზე ჰკიდიათ, ეგრე გულხელდაკრეფილები უნდა ვისხდეთ?

— ის ფეხებზე დაკიდებული ხალხი ხმას რატომ არ იღებს? — ახლა ლუკა შეეკითხა.

— რა ვიცი, კაცო, რამ დააბეჩავა?

— ჯაგარ, მივხვდი, შენ რაც გინდა. ჩემგანაც რას მოითხოვ. დღეს ვისაც რა შეუძლია, ისე ცდილობს ქონება დააგროვოს. ზოგი საერთო სახალხო ქონებას იტაცებს და ამას დატაცებად არა თვლის; ზოგი ადამიანებს ძარცვავს იარაღით და ფიზიკური ძალის გამოყენებით; ზოგი ქურდობს. ყველას ისე გაუჯდა ძარღვებში ეს საშინელი სენი, რომ ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს.

რომ დააკვირდე ადამიანთა სახეებს, ყველა რაღაც დიდი საფიქრალ-ით არის დამძიმებული. იცი რა აწუხებთ? რასაც შეძლებენ დაიტაცონ. ამას კი ყველაზე კარგად ახერხებს ის, ვისაც რაღაც პოსტი უკავია. რაც უფრო მაღალ სკამზე ზიხარ უფრო დიდის და ბევრის მოტაცება შეგიძლია. უამრავი პარტია გამოიჩეკა, ადა-მიანები კი მასში თბილი ადგილის მოსაპოვებლად მიძვრებიან. თვითონ პარტიათა ხელმძღვანელობასაც ქვეყნის სათავეში მოს-ვლა აბოდებთ, ის არ აწუხებთ, რომ საამისო არც ცოდნა ჰყოფ-ნით და წარმოდგენაც არა აქვთ ქვეყნის საჭესთან სიკეთე და ბედნიერება ხალხს როგორ მოუპოვონ. ანტისოციალისტურ ფსიქოზს აყოლებული სლციალური კეთილდღეობის ყველა მონაპოვარს ლან-ძღავენ და საზოგადოებას ბატონყმობის სირცხვილისაკენ მიათრევენ. დღეს რომ დაიწყო ძახილი, ხალხო, რას შვრებით, უბედურების გზაზე რატომ დგახართ, სოციალურ კეთილდღეობას რათ ისპობთო, ჩაგაქვავებენ, იმპერიის აგენტიაო. ხალხის გონზე მოყვანას კი დრო და ცხოვრების მწარე გაკვეთილები სჭირდება. როცა გადარეულ ბრბოს ჭკუის მოკრეფისაკენ მოუწოდებს ვინმე, იმ ჭკვიანს გიჟად მონათლავენ და გალიაში გამოამწყვდევენ. ახლა ამგვარად ჩემი გა-წამაწია უგნურება იქნებოდა მხოლოდ, როცა ვერ გიგებენ, უნდა გაჩუმდე და გვერდზე მიდგე, თორე შენი მცდელობა სულელის ტა-კიმასხრობად მოინათლება.

მე კი ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, როცა ჩემს ირგვლივ ყველა კმაყოფილად იცხოვრებს. არავითარი მაღალი თანამდებობა არ მიზიდავს. შრომა კი ისეთი წარმომიდგენია, როცა კარიერაზე, კომბინაციებზე, გამოძალვაზე, ქრთამზე და ათას ოხრობაზე ფიქრი შემოქმედებითი შრომით დატვირთულ გონებას არ სჭირდება. ის-ეთი შრომის ანაზღაურება მექნება, რაც ჩემ ოჯახს ნორმალურად აცხოვრებს ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე. ადამიანი კი ბედნ-იერი მაშინ არის, როცა მისი საშობლო და ხალხი გამართულია. მომხვეჭელ ავაზაკთა ბედნიერება მოჩვენებითია. სხვის უბედურე-ბაზე, თანაც საკუთარი ქვეყნის ძარცვით და დაკნინებით მოპოვე-ბული განცხრომა ადამიანთა მოდგმის ყველაზე ბილწი ნაძირალის

ხვედრია. ავაზაკის ბედნიერებაც ავაზაკურია და გამძღარი მტაცებლის განცხრომას ჰგავს.

ადრე მჯეროდა, რომ ერთეული ხელმრუდე ადამიანები უშლიდნენ ხელს ცხოვრების ნორმალურ განვითარებას და გამოსწორებას ვცდილობდი. ეს მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როცა უმრავლესობა ერთად იბრძოლებდა უმცირესობაში მყოფ უკუღმართთა მოსათვინიერებლად და ხელისუფლებაში თუ პოსტების სხვადასხვა დონის მფლობელნიც საამისოდ განეწყობოდნენ. ჩემი მცდელობა დაემსგავსა ბინძურ გუბეში, სადაც უამრავი პარაზიტი ბუდობს, ჩავარდნილი ჭიანჭველის ფართხალს. სავალალო კი ის იყო, რომ იმ ცხოვრების გარყვნა თვითონ გარყვნილი კომუნისტებისგან ხდებოდა, ხალხის ბედნიერებისთვის ზრუნვა თავიანთ კარიერისტული კუჭის გაუმაძღრობას რომ ანაცვალეს. თუ ხალხის თავკაცობის პრეტენზია გაქვს, იმ ცხოვრებით უნდა იცხოვრო, როგორითაც ის ცხოვრობს და შენი ყოველი ამოსუნთქვა ხალხის და ქვეყნის ბედნიერებაზე ზრუნვას უნდა ეძღვნებოდეს. ასეთები კი იშვიათად იბადებიან, რადგან ადამიანის შეგნებიდან ეგოისტი, პარაზიტი და ღორის გაუმაძღრობა იოლი ამოსაშანთი არ არის. ხომ გახსოვთ, როგორი წეწვა-გლეჯა ჰქონდათ პარტიის ცეკას რაიკომის მდივნებად და მაღალი თანამდებობის მოსაპოვებლად.

პარტიის და ხალხის უსაზღვრო ერთგულად თავის გამოდებით. ახლა გადახედეთ, რომელი მათგანი შემორჩა კომუნისტობას? იმ პარტიის წევრობა მხოლოდ მათ სულში ჩაბუდებული ეგოისტის ამბიციურ გაუმაძღრობას აპურებდა. ამ უზნეო კარიერისტ, მომხვეჭელ ნაძირალთა მუხთლობას შეეწირა ხალხის კეთილდღეობა.

საფრანგეთის რევოლუციამ მონარქია დაამხო და რესპუბლიკა გამოაცხადა. ნაპოლეონ ბონაპარტი მოხვდა ხელისუფლების სათავეში, ადრე ჯიბეგახვრეტილ ოფიცერს გახუნებული მუნდირი რომ ვერ გამოეცვალა, ახლა ამან მოინდომა მონარქობა და დაპყრობილ ქვეყნებშიც თავისი ძმები გაამეფა. ყველა ადამიანში ბუდობს განდიდების მანიის სატანური სული, თუ ასპარეზი ნახა

და მისი ხუსტურები თვითონ ადამიანში არსებულმა სალმა, ნათელმა კეთილშობილებამ არ შეაკავა, ყველაფრის შთანთქმას ეცდება და გომბეშოსავით გაიბერება. საფრანგეთშიც სცადეს მონარქიის რესტავრაცია, მაგრამ ფეოდალიზმი ყველა კალაპოტში ვეღარაფრით ვერ დააბრუნეს, რადგან პროგრესის შეჩერება, ან უკან დახევა მხოლოდ დროებით შეიძლება.

ყველა სალიერს ჰყავს მტერი, თაგვს-კატა; მწყერს-მიმინო; ბუზს-ობობა; ფუტკარს-კვირიონი, მაგრამ ადამიანისათვის ადამიანზე დიდი მტერი არ არსებობს. ერთმანეთის მოსპობას, განადგურებას, დამონებას, ძარცვას, დაჩაგვრას ემსახურება ის ენერგია, რომელსაც ამქვეყნიური ცხოვრება შეეძლო სამოთხედ ექცია. კაცობრიობა ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის სიკეთის და სიყვარულის ბოროტებაზე და სიძულვილზე გამარჯვებისაკენ. მაგრამ არც ბოროტება და სიძულვილი ისვენებს და ხშირად ახერხებს წინსვლის შეჩერებას, ან უკან დათრევას. ამ საქმეს ემსახურება ყოველი რეაქციული ძალების ამბოხი და დაგმობილი ძველის რესტავრაცია. ზოგჯერ ამას ისეთი გააფთრებით ახდენენ ბნელეთის ძალები, რომ ადრე რაც იყო, იმაზე უკან მიათრევენ პროგრესს; სწორედ ეს ხდება დღეს ჩვენთან. ხალხი კი ისე არის გაოგნებული მის გამოფხიზლებას გაუსაძლისი ცხოვრების დამძიმებულ დროს შეუძლია მხოლოდ. წინსვლის შეჩერება კი ისეთივე უგნურებაა, როგორც მდინარის უკან შებრუნების მცდელობა.

ამქვეყნად ადამიანის ყოფნა პატარა გაელვებფა, მაგრამ სანამ ცოცხალია სიკეთის, სიყვარულის ადამიანებისთვის ბედნიერების მოტანას უნდა მოახმაროს.

ქვეყნების დაბყრობით განებივრებული კიროსი მასაგიტებმა სისხლით სავსე გუდაში ჩადეს, ახლა მაინც გაძეხიო; მითრიდატ პონტოელს თავისმა შვილმა უღალატა და მისი მოკვეთილი თავი რომაელებს მიართვა; ნაპოლეონი წმ. ელენეს კუნძულზე ქეციანი სხეულის ფხანით მოკვდა; სისხლიანი ტირანი — ქერქსე სიცილით გაიგუდა; ტროაზე გამარჯვებული აგამემნონი თავისმა მეუღლემ გამოასალმა; რუსეთის მეფე-პავლე პირველი მისმა შვილმა —

ალექსანდრე პირველმა მოახრჩობინა; კახეთის მეფე-ალექსანდრე პირველი მისმა შვილმა – გიორგიმ მოკლა, ძმას თვალები დასთხარა და თვითონ სულ ქართლის აოხრებაზე იდგა, ხალხმა ავგიორგი შეარქვა; დავით აღმაშენებლის შვილმა – დემეტრემ ძმას – ცვატას თვალები დასთხარა ტახტის გულისათვის; გიორგი მესამემ თავისი ძმის შვილი – დემნა დაასაჭურისა და თვალები დასთხარა ისევ ტახტისათვის; კახეთის მეფეს – ალექსანდრე მეორეს მისმა შვილმა – დავითმა ტახტი წაართვა. დავითის გარდაცვალების შემდეგ ისევ გამეფებული ალექსანდრე მისმა შვილმა – კონსტანტინემ მოკლა და თავისი ძმა-გიორგიც ზედ მიაყოლა; დიმიტრი თავდადებულის შვილი-დავით მერვე მამასავით ერისკაცი ვერ გამოდგა, მონღოლებთან არ გამოცხადდა, თავი დაზოგა და ხუთი წლის განმავლობაში მონღოლებმა ქართლი მიწასთან გაასწორეს. რა მოსთვლის იმ უამრავ ბოროტებას, რაც ძალაუფლებისაკენ ლტოლვას, სხვისი დამორჩილების სურვილს, უამრავი ქონების მოხვეჭას ახლავს თან. დასასრული კი ნახეთ როგორი სავალალოა. მიწაში მათხოვარს მათზე მეტი პრივილეგია აქვს, რადგან მის საფლავს არ თხრიან ჩატანებული განძის გამო და ძვლებს არ უშფოთებენ. არადა ამ მოკლე წუთისოფელში ადამიანთა ბოროტების სამსახურში გაცოფება სინანულის ღიმილს იწვევს მხოლოდ. ხშირად გამიგონია ადამიანები დიდხანს სიცოცხლეს რომ უსურვებენ ერთმანეთს, იმას კი აღარ ამბობენ, როგორი სიცოცხდით ყოფნას სთავაზობენ.

ახალი ზელანდიის თოლიას ბუდეში მობინადრე ხვლიკი – ტურატარა ოთხი საუკუნე ცოცხლობს; ზოგიერთი სახის ქარიყლაპია და ნიანგი – სამას წელს; ლურჯი ვეშაპი – ასობით წელს; შევარდენი – ას წელს; სირაქლემა – 40 წელს; კუნძულ ტენეროფზე ბაობაბი ხუთი ათასი წლისაა; განთქმული გეტსამანიის ბაღის ლეღვი – სამი ათასი წლის; საკვოია ორ ათას წელს სძლებს. ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა სიკეთის, ბედნიერების, სიყვარულის და პროგრესის სამსახურით იზომება; ბოროტებით და ცხოველური გაუმაძღრობით შებყრობილი ადამი-

ანი კი სოცოცხლეშივე მკვდარია, – ლუკა ცოტა ხნით გაჩუმდა, მერე ღრმად ჩაფიქრებულმა წყნარად დაიწყო: –

წავა, წავა, ყველა წავა,
მოსვლა წასვლის დარია,
ზოგის წასვლა დარჩენაა,
ზოგი ისეც მკვდარია.

ორ ღორს ერთ გობში ორივეს სამყოფი სალაფავი რომ დაუსხა, ერთმანეთის გაგდების მცდელობაში შეიძლება სალაფავი სულ დაღვარონ, მაგრამ გამღძრებს დარჩენილი სალაფავის ჯავრი აღარ აქვთ. ადამიანი კი, თავ-პირზე საყრელი რომ ჰქონდეს, უფრო ბევრის და ბევრის მოხვეჭას ცდილობს, რადგან კუჭი თუნდაც რომ ამოიყოროს გაუმაძღრობის ცოფი თუ შეეყარა, მთელი დედამიწის გადაყლაპვას ეცდება და ვერ ხვდება, რომ ამგვარ ყბოფაში ისეთივე არარაობაა, როგორც კოღო სისხლით გაბერილს აფრენაც რომ უჭირს.

ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში ვეცადე სასიკეთოდ გარჯა, მაგრამ ძალიან ღრმად გაგვჯდომია სატკივარი. გრამიტონას, შალვას, ერთ ქალაქელ პროკურორს არმად ნაშოვნი წავართვი, ამით არაფერი შეიცვალა. ისინი უფრო გამგელებით გადააჯდნენ მოხვეჭის ქიმერას. სამაგიეროდ იმ წუმპეში მობინადრეებთან ძიძგილში ჩემს თავს მათნაირი გახდომის პერსპექტივა შევატყე; წართმეული ფულიდან რაც კი მრჩებოდა, თანდათან მუქთახორობისაკენ მიმათრევდა. ახლა იმ ბინძურ გუბეში მოტივტივე ნაფოტზე შემომჯდარ ჭიანჭველას ვგევარ, რომელსაც იქაურობისათვის თავი ვერ დაუღწევია, მაგრამ არც დასვრილა. გრამიტონა, შალვა, პროკურორები, მთავრობის მოხელეები, ნაკომუნისტარი ბღენძები და ყველა, ვისაც გაუმაძღრობის ბოროტება შეჰყრია, ცოცხლად გარდაცვლილები არიან, რამეთუ გაბურჟუებულ-გაფეოდალებულებს ყოველივე ადამიანური ცხოველურზე გადაუცვლიათ და უკან შუასაუკუნეების ბრმა განუკითხაობაში გადაბარგებულან.

ერთი-ორი მათი მსგავსის დაწიოკება მხოლოდ ააქოთებს ამ მყრალ გუბეს და შეიძლება ცოცხლად გარდაცვლილთა დაავადება ჩვენც გადაგვედოს, რადგან ამ გუბის ამოშრობა არ ძალგვიძს; ამას საზოგადოებრივი აზრის მომწიფება და ხალხის ერთიანი ძალით გაბრძოლება სჭირდება. მაგათ კი უბედურება თავსაყრელად აქვთ; ფუქსავატი, უზრუნველი ცხოვრება უამრავ ჭირს ბადებს: ნარკომანიას, გარყვნილებას, მრუშობას, ღალატს, დაუნდობლობას, კაცთა კვლას, ეგოისზმს, სიძულვილს, სიხარბეს, მოკლედ, ყველაფერს რაც კი სატანას მოუგონია. ამიტომ საზოგადოების განკურნება პატიოსანი შრომით დაღვრილი ოფლის ნაყოფით ტკბობაშია. სიფრთხილეა საჭირო, რომ ამ სატანური სატყუარის ანკესზე არ წამოვეგოთ და სიცოცხლეშივე არ მოვკვდეთ, — ლუკამ სავსე ჭიქა აიღო, — მოდი იმ ადამიანებს გაუმარჯოს, ამ ქვეყნად ყოფნას ცოცხლები რომ ამთავრებენ! სიცოცხლეშივე არ მოვკვდეთ! სისხლისმსმელი, ბოროტი, ვერაგი ტირანი ვერ ეღირსება იმ სიყვარულს, რასაც პატიოსანი მშრომელი ადამიანი ტოვებს ხსოვნაში! — ლუკამ ჭიქა ყველას დაურტყა.

ამასობაში ტიმოთემ მწვადი მოიტანა.

— ამ ცხელ მწვადზე ერთს კიდევ ვიტყვი, — ლუკა ფეხზე ადგა. — ორი პატიოსანი ვაჟკაცი ვერ დავარწმუნე, რომ აფხაზეთის ომი უგნურება იყო. ქართული გამუხთლებული თესლის მიერ ქართველ ხალხზე თავსმოხვეული უბედურება. კარგა ხანი მათ შესახებ ვერაფერი გავიგე. გუშინ შევიტყე, რომ აეროპორტში დაღუპულან. პაპუნას და ზაზა მასწავლებლის შეანდობარი იყოს! — ყველა ადგა ფეხზე.

— ზაზა მასწავლებელი და პაპუნა დაიღუპნენ? — ზაურმა გაკვირვებისაგან თვალები დააჭყიტა.

— იცნობდი? — ჰკითხა ჯაგარამ.

— ზაზას შენც იცნობდი, ცოტა ხანს ფიზკულტურას გვასწავლიდა, — ზაურმა აუხსნა.

— ის მაგარი ბიჭი? — ჯაგარამ გაიხსენა.

— ბევრი მაგარი ბიჭი შეიწირა და კიდევ შეიწირავს საქართ-

ველოში ახალი ტიპის გაუმჯობესებული ჰეროსტრატეს პარპაში, — განმარტა ლუკამ.

— მაშ, საშველი აღარ არი? — ტიმოთემ მოიჩივლა.

— ალბათ ამასვე ამბობდნენ ჩვენი წინაპრები ყველაზე გამოუვალ სიტუაციაში; ხსნა კი ყოველთვის გამოჩნდებოდა ხოლმე.

— ახლა თუ გამოჩნდება ხსნა?

— ჩვენი გადარჩენის გზა რუსეთთან მეგობრობაზე გადის. დღეს რუსეთსაც უჭირს. უამრავი მტაცებელი ოცნებობს მისი დაჭრა-დაქუცმაცებით მსუქანი ნაჭრის დათრევაზე, უამრავ ხრიკებს და მახინაციებს იგონებენ, მაგრამ ავიწყდებათ, ვინ მოამტვრია მსოფლიოს ბატონობისთვის გალესილი კბილები ნაპოლეონსაც და გიტლერსაც; ვინ დაიცვა ევროპა მონღოლთა ძალადობისგან. ევროპამ თავის მამიდას მოუაროს, ნუ დაავიწყდებათ, რომ ყველა სამხედრო ბლოკი მათი ნატო-ს ჩათვლით აგრესიის რელსებზე დგას? მგელს კი ნიღაბი ბატკნის დანახვისთანავე ავიწყდება, ხალხებს ვერაფერს დაუმალავენ. თუ რომელიმე უცხოეთის სამსახურში მდგარი საქართველოს ხელისუფლებაში მოყვანილი პოლიტიკოსთა ჯგუფი რუსეთს ლანძღავს, სულაც არ ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი უმადურობამ დააბრმავა; დაუვიწყარია რუსეთის ღვაწლი საქართველოს აღორძინებაში. მადლიერი ქართველი ხალხი ამას არასდროს არ დაივიწყებს. უცხოეთის ფულებზე დახარბებული, გაყიდულ პოლიტიკოსთა ეს სამარცხვინო გაწამაწია სინანულის ღიმილით შემორჩება სანაგვეში გადაყრილ მუხთლების გახსენებას. გაუმარჯოს ქართველი და რუსი ხალხის ურღვევ მეგობრობას! — ყველამ შვებით ამოისუნთქა...

სიცოცხლე უღიმღამოდ მიიზლაზნებოდა. საქართველო დაუბრკოლებლად იყიდებოდა. ხალხი შეძლებისამებრ გაურბოდა ამქვეყნიურ ჯოჯოხეთად გადაქცეულ სამშობლოს. პარლამენტში და მთავრობაში დიდი გაწამაწია ჰქონდათ; ვინც პოლიტიკოსობით ძალიან ბევრი მიითვისა, ბიზნესს უბრუნდებოდა; ცოტას მქონენი მათ ადგილს იკავებდნენ ბევრის მოსახვეჭად. მათხოვრობა, გაჭირვება და უიმედობა საფუძვლიანად დაბინავდა პატიოსანი

ქართველის ოჯახში. ხელისუფლება კი გაჭირვების მატების შესაბამისად კარგ ცხოვრებაზე ტრაბახს უმატებდა. უკეთეს მომავალზე ხელჩაქნეული ქართველი კაცი, მთავრობის მიერ სიკეთედ მონათლულ მორიგ ბოროტებაზე აღარ რეაგირებდა. მუხთლობის სიცრუესთან როკვას ბედნიერი მომავლის სხივი ჩაექრო.

ლუკა მეურნეობის საქმიანობაში მთელი არსებით ჩაეფლო, რათა ირგვლივ რაც ხდებოდა, მისგან განზე მდგარიყო. ტელევიზორიდან პოლიტიკოსთა დავა, ურთიერთბრალდების და ცილისწამების ფონზე საკუთარი თავის ქება ისმოდა. ვინც ყველაზე მარჯვედ ცრუობდა, მოგებულიც ის იყო. მატყუარათა გამარჯვება სიმართლის დამუნჯებაა. მუნჯი სიმართლის ქვეყანაში კი თაღლითების ყეინობაა. სწორედ ამ ყეინობის მოსმენას და მასში უნებლიე მონაწილეობას გაურბოდა ლუკა.

ბორისმა მცენარეთა მოვლა ისწავლა. ისე შეეთვისა იქაურობას, სხვაგან არსებობა ვეღარ წარმოედგინა. ლუკა ღვიძლი ძმასავით შეუყვარდა. ლუკას თუ სადმე შეაგვიანდებოდა, ბორისი ვეღარ ისვენებდა, დადიოდა და ბუტბუტებდა: — ნეტავ ამდენი ხანი სარ არის, კაცო! — მისი გამოჩენისას კი ბავშვივით გაიხარებდა ხოლმე.

კლარა უსაზღვროდ ბედნიერი იყო, ლუკა გვერდითა ყავდა და შეეძლო, მასზე ზრუნვით დამტკბარიყო. ლუკასაც კლარას სიყვარული უნთებდა მომავლის იმედის სხივს.

ბოლო დროს მათი მეურნეობისკენ დაშვებულ ფერდობზე ვიღაც ორი კაცი ხუთიოდე ძროხას აძოვებდა. თუმცა გვალვას ბალახი სულ გაექრო, ისინი მაინც დაატარებდნენ ძროხას, მაგრად რომ დაცხებოდა, კენტად მდგარ ნეკერჩხალის ჩრდილში გროვდებოდნენ, იქ რამდენიმე საათის გაჩერების შემდეგ მიდიოდნენ, რათა მეორე დღეს ისევ მოსულიყვნენ...

შალვამ ლუკას გახსენების შემდეგ ვაბრიონა ცალკე დაიბარა და საქმიანი საუბარი გაუბა:

— ბიჭო, ლუკასი მართლა გეშინია?

— რომ მეშინოდეს რა გასაკვირია. იარაღის მოხმარებას ვერ

მოასწრებ, ელვასავითაა; მაგასთან ბოლო შეხვედრა კოშმარად მახსენდება. თუმცა მაგრად მჟეჟა, მაინც დამინდო და ბოლოს აშკარა, დახრჩობას გადამარჩინა.

— ახლა არ მითხრა, ჩემი მეგობარიაო.

— მეგობარი კი არა, ერთი წუთითაც არ ვაცოცხლებდი, მაგრამ ჩემ მტერს მაგისი გაბრაზება. კაცს თუ ხელი სტაცა, ვეღარაფერი უშველის; მარტო მაგ საქმეზე ვერ წავალ.

— შენ ხელსაც ნუ გაატოკებ. ქეშელამ იცის თავისი საქმე, არა ერთი და ორი მაგნაირი გაუგორებია.

— მე ჯერ მაგნაირი არავინ შამხვედრია, თორე ქეშელა კაცის გასაღებაში ვერა მჯობნია.

— მოკლედ, ფულს ბევრს მოგცემთ, ოღონდ ჩემი სახელის ხსენება არ გაბედო, რა ვიცი, ლუკასგან ყველაფერია მოსალოდნელი.

— ხედავ? შენც გშინებია...

ძროხების პატრონი ახალი წასული იყო. შალვა ისევ იჯდა სკამზე — ძაღლს და თავის მხლებლებს შოკოლადს უყრიდა, მაგრამ ლუკას გახსენებით გაბღენძილი ბატონკაცობა მოეწამლა. კარგა ხანს იყვნენ ასე, შალვა ლაპარაკის სურვილს არ ამჟღავნებდა. მინდვრის გზაზე მტვერი ავარდა, ძვირფასი ჯიპი მთელი სიჩქარით მათკენ მიქროდა. მოშორებით გაჩერდა და მანქანიდან გრამიონი გადმობობღდა. მისი დანახვით გახარებული შალვა ფეხზე წამოიჭრა. — გრამიტონას გაუმარჯოს! დაიძახა და ხელებგაშლილი წავიდა. ერთმანეთს გამარჯვებული მხედართმთავრებივით გადაეხვივნენ.

— ის მოზვერი დაკალით! მაგრად უნდა ვიქეიფოთ! — ბრძანა შალვამ.

— ვიცოდი, რომ დღეს გნახავდი, მე არაფერი მეშლება! — დაიტრაბახა გრამიტონამ.

ქეიფი გაუგრძელდათ. შეთვრნენ. მაგიდას შალვა, გრამიტონა, ვიბრიონა და შალვას ბნელი დავალებათა შემსრულებელი ქეშელა შემორჩნენ.

— ხომ ვარ მაგარი ბიჭი, გრამიტონ! — შალვამ მორიგი ჭიქა გამოცალა და ამაყად მიმოიხედა.

— მაგრები ვართ, მაგრები, — ენის ბორძიკით დაუდასტურა გრამიტონმა.

— ვინ რა უნდა გამიბედოს, ნახე, გვერდით როგორი მგლები მყავს, — შალვამ ვიბრიონა და ქეშელაზე მიუთითა.

— ლუკასთან როგორ მოვლენ? — საქმიანად იკითხა გრამიტონმა.

— ამათ ვერავინ გაუძლებს. ლუკაზე სწორედ ახლა გვქონდა ლაპარაკი; უცებ გააგორებენ.

— ვახ, შენ გენაცვალე, მართლა? — გრამიტონმა გაიხარა.

— ფული უნდათ, ძმაო, ასეთი საქმე უფულოდ არ კეთდება.

— რამდენია საჭირო?

შალვა ცოტა ხანს ჩაფიქრდა, — ნახევარს მე დავდებ, — თქვა.

— მეორე ნახევარი ჩემზე იყოს — გრამიტონმა ხელი გაუწოდა.

— რამდენია?

შალვამ თითქოს ეს შეკითხვა ვერ გაიგოო, ორივეს მიუბრუნდა:

— გაიგეთ?

— უარს როდი ვამბობ, მაგრამ მაგ ლუკას არ ვიცნობ, — ქეშელა ადგა, — ცოტა ხანს გავივლი, — თქვა.

— მეც გავივლი, — ვიბრიონაც მიჰყვა.

დაბალი, სიფათმონგრეული, დიდთავა, ვიწრომხრებიანი, ამოკვანტილი, მოკლეფეხება ქეშელა კოჭლობით მიდიოდა. არც ვიბრიონა ჰგავდა ყარამანს, მაგრამ ქეშელასთან, რომელიც ნიკაპამდე ძლივს სწვდებოდა, კაცად ჩაითვლებოდა.

— მაგათ უნდა... — გრამიტონმა თქმა ვერ გაბედა, — ლუკა?

— ჰო, აბა რა გეგონა. მკვლელი ვირთხას, თხუნელას, ტარაკანას წუნკალ, მოპარვით კბენია ძაღლს უნდა ჰგავდეს.

— ძალიან კარგი. რამდენს ითხოვენ? — გრამიტონმა ხმას დაუწია.



— თითო ასი ათასს ითხოვს.

— უხ! — გრამიტონმა ამოიქშინა.

— აბა, ლუკას მოცილება რომ გვინდა?

— მინდა. მე თანახმა ვარ. რო მოკლავენ, ზუსტად ჩაგაბარებ.

— წინასწარ თუ არ მივეცით, საქმეს ხელს არ მოჰკიდებენ.

— რო არ მოკლან?

— ვარიანტი არ არი. პირველად ხომ არ ვაგზავნი ამგვარ საქმეზე.

— მართლა?

— მოკლედ, ფულს რაც უფრო ადრე მივცემთ, საქმე დაჩქარდება.

— ფულს დღესვე ჩაგაბარებ, — გრამიტონი აჩქარდა.

— ახლა წადი, სახლში გამოგივლი და იქ დამახვედრე.

შეთანხმდნენ...

გრამიტონმა შალვას ოცდახუთი ათასი მისცა, უცებ მეტის მოგროვება ვერ მოვახერხეო. — კარგი, ჯანი გავარდეს, დანარჩენი დავალების შესრულების შემდეგ მოიტა; ამათ კი შენს წილსაც მე მივცემ, — ივალდებულა შალვამ.

— ოცი ათასი მისცა მკვლელებს. მეორე ნახევარს შესრულების შემდეგ მოგცემთ, ოღონდ რაც უნდა მოხდეს, ჩემი სახელი არ ახსენოთ, თორემ ის ნახევარი დაგეკარგებათ. ყველა თვის ბოლო კვირას, ხომ იცით, დღეს რომ ვიყავით იქა ვარ, ფულსაც იქ მიიღებთ, შეპირდა. — გულში კი გაიფიქრა, სწორედ იქ მოგიღებთ ბოლოს, აბა, ამ ამბის შემდეგ ცოცხალს ხომ არ გატარებთო...

სამი კვირაა ვიბრიონა და ქეშელა ლუკას მეურნეობას ზვერავდნენ. ფერდობზე მდგარი გადრეკილი ნეკერჩხალი კარგა მანძილზე იყო დაშორებული, ვიბრიონას ვერ იცნობდნენ; თვითონ კი დურბინდით ყველა კუთხე-კუნჭულს ჩხრეკავდნენ.

ლუკას მეურნეობის გვერდით ღელე ჩაუდიოდა, იმას იქით კი იწყებოდა მზისგან გადარუჯული მინდორი და ის ფერდობი, სადაც გადრეკილი ნეკერჩხალი იდგა. ღელის პირას ლუკას ლამაზი,

აივნიანი, პატარა ქოხი მოეწყო. იქვე მდგარი თუთის ხიდან ღელეზე ფიცრის გადასასვლელი გაედო და მეორე ბოლოთი თხრილში ჩაგდებულ ბოძზე გამოება.

რამდენიმე დღის წინ ბორისმა ამ ადგილებში ორი მგელი შენიშნა. ეჭვი ჰქონდა, რომ დღისით სწორედ აქ გაზრდილ ბუჩქნარში იმალებოდნენ. ქოხში უჩუმრა შეიპარებოდა ხოლმე და ჩასაფრებული ელოდა, იქნებ მგლები გამოჩნდნენო. ლუკა რამდენიმეჯერ შენიშნეს ამ ადგილას, მაგრამ მეორე მხარეს არცერთხელ არ გადასულა. ამან სითამამე შესძინა ორივეს და ფიცრის გადასასვლელიდან მოცილებით თხრილის მიწაყრილთან გადაინაცვლეს.

საქმე გაჭიანურდა. გრამიტონს თანდათან შიში ეუფლებოდა, ვაითუ ლუკამ ჩვენი ჩანაფიქრი გაიგოსო. შალვას მიაკითხა, რომელიც მასზე არანაკლებ იყო გულგახეთქილი. ქეშელა თვითონ მოინახულა და გააფრთხილა, ეტყობა, არაფერი გამოგდით და ფული დამიბრუნეთო. ფულის დაბრუნების შიშმა, რომელიც თითქმის შემოეხარჯათ, საბოლოო გადაწყვეტილებისაკენ უბიძგათ.

ლუკა ღელის პირას მიდიოდა. მგლების ლოდინით ღამენათევ ბორისს, ქოხში ჩასძინებოდა. ირგვლივ ადამიანის ხსენება გამქრალიყო. ჩიტების საამო ჟღურტული ისმოდა ამ პატარა ოაზისიდან. კარგი მომენტი იყო, თავიანთ განზრახვას ისე შეასრულებდნენ და გაქრებოდნენ, რომ მათზე ეჭვსაც ვერავინ აიღებდა. ვიბრიონა და ქეშელა მიწაყრილს გაეკრნენ. ლუკა ფიცრის გადასასვლელთან მივიდა და მზისგან გადაბუგულ მიდამოს გახედა. ვიბრიონა ლამის მიწაში ჩაძვრა. ლუკა უკან გამობრუნდა. ახლა ქეშელას ავტომატის სამიზნე მის ზურგს მისდევდა, სასჯლეტს თითი გამოსდო და გრძელი ჯერი გაისმა. ლუკა შექანდა, წაბარბაცდა და აივნის სვეტს მიეყუდა, ქეშელა წამოხტა, — საკონტროლო უნდა დავახალო! — დაიძახა და ფიცრის გადასასვლელისაკენ გაიქცა. ლუკა ნელ-ნელა მოტრიალდა ქეშელასკენ, მას კი ეგონა, წიქცევაო და თამამად მირბოდა. ლუკას პირისპირ შეხედვით წახდა და ფიცრის გადასასვლელზე შემდგარი შეჩერდა.

სროლის ხმაზე ბორისი წამოხტა, თოფს დაავლო ხელი და

გარეთ გამოვარდა. ლუკა თავს ძლივს იკავებდა, რომ არ წაქცეულიყო; თვალებზე ბინდი ეკვროდა. ქეშელამ გამბედაობა მოიკრიბა და ავტომატი სასროლად ასწია.

– Стой дявол! – იღრიალა ბორისმა და შეუჩერებლად ესროლა. მკერდგაგლეჯილი ქეშელა მიწას დაასკდა.

– Я здесь, Лука! – ბორისი ღრიალით გაექანა ლუკასკენ.

ვიბრიონა ქეშელას უკან მისდევდა, ლუკა მათკენ რომ შეტრიალდა, შეშინებული უკან-უკან წავიდა; ქეშელას წაქცევის შემდეგ კი მთელი ძალით მოკურცხლა.

– Не уидешь паразит! – ბორისი ყვირილით გამოეკიდა, ფიცარზე დაგდებულ ქეშელას გადაახტა. აღმართზე რომ არბოდა ვიბრიონას მგლისთვის გამზადებული ჟაკანი მეჯებში მოხვდა, ავტომატი ხელიდან გაუვარდა და ფერდობზე დაგორდა.

ბორისმა ამათ თავი დაანება და ლუკასკენ გაიქცა, რომელიც ნელ-ნელა მუხლებზე ეშვებოდა.

– ლუკა, გამაგრდი, კაცო! – ბორისი არაადამიანური ღრიალით მიიჭრა მასთან, ხელები მოხვია და ბალახზე დააწვინა. ლუკა თანდათან სუსტდებოდა.

– ლუკა! ლუკა! – ბორისი ჩასძახოდა. ბოლოს სასოწარკვეთილი აღრიალდა: – Помогите!

კლარა სროლის ხმაზე ბინიდან გამოვიდა. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა, ვერ გაერკვა, რა მოხდა. ბორისი ლუკას რომ ეძახდა და ბოლოს აღრიალდა, ელდა ეცა, – ვაიმე, ლუკა! – წამოიძახა და თმებში იტაცა ხელი.

ბორისი შეუჩერებლად ღრიალებდა.

– ვაიმე ლუკაააა!!! – თმაგაწეწილი კლარა ღრიალით მიიჭრა მათთან.

სისხლში მოსვრილი ლუკა რომ დაინახა, ზეცისკენ აღაპყრო ხელები და არანორმალური ხმით შეღაღადა: – რა დავაშავე, უფალო, ამას რომ მომასწარ?!

ლუკამ თვალები ძლივს გაახილა. კლარა გონზე მოვიდა.

– ცოცხალი ხარ, ლუკა? ნუ გეშინია, ჩემს სულს ჩაგბერავ,

გულს გადაგინერგავ, წამლად დაგადნები, ძვირფასო! – კლარა ახლა ჩურჩულებდა და კაბის ნახევით სისხლს წმენდდა.

ბორისი უცებ წამოხტა და ვიბრიონასკენ გაიქცა. ფიცარზე უსულოდ დაგდებულ ქეშელას გადაახტა, აფართხალებულ ვიბრიონას საყელოში სწვდა და წამოსწია.

– Кто ты паразит! – უყვირა;

– მე არა, მე არ მისვრია, თუ გინდა ავტომატი ნახე, ქეშელამ ესროლა.

– შენ ვინა ხარ, ან ვინ დაგავალათ ლუკას მოკვლა?! თქვი, თორემ აქავე მიგახრჩობ! – ბორისი ყვიროდა.

– მე ვიბრიონა ვარ. შალვამ და გრამიტონამ დაავალეს ქეშელას, მე მარტო გამოვყევი.

ბორისმა მხრებში მოავლო ხელი, თუთის ქვეშ თრევით მიიყვანა და მიაგდო გულწასული.

კლარა ლუკას სისხლს სწმენდდა და განუწყვეტლივ რაღაცას ბუტბუტებდა.

ლუკამ თვალები გაახილა და ბორისს შეხედა.

– ეს ვიბრიონაა, შალვამ და გრამიტონამ კეშელას დაავალესო ლუკას მოკვლა, – მე არ მისვრიაო, – უთხრა ბორისმა.

– რააა!!! – კლარა ძუ ვეფხვივით წამოიჭრა.

– შალვამ და გრამიტონამ დაავალეს კეშელასო, ამ ვიბრიონამ ტკვა, – ბორისმა უგონოდ დაგდებულ ვიბრიონაზე მიუთითა.

– ააახხხ!!! რა შეშურდათ ჩვენი?! – კლარამ ზეცას შეღრიალა. მერე ცოტა ხანს იყუჩა. – დედას ვუტირებ, ორივეს ჩემი ხელით გამოვღადრი ყელს! – იწივლა და თითქმის გასაქცევად მოემზადაო.

– მოიცა, კლარა! – ლუკას სუსტი ხმა მოესმა.

– აქა ვარ, ჩემო სიცოცხლევ, თავს როგორ დაგანებებ! – კლარა მუხლებზე დავარდა და ლუკას მოეფერა.

– ეგენი სიცოცხლეშივე მკვდრები არიან, თავიანთი უბედურებაც ეყოფათ, შეეშვი, ჩემო კლარა, – ლუკამ ძლივს ასწია ხელი და კლარას ხელზე მოუჭირა.

— კლარა რატა, მე გამოვგადრი კელს იმ „გადიუკებს“! — ცრემლების ყლაპვით იძახდა ბორისი.

— ჩემო ბორის, როგორ ვერ მოვესწარ ჩვენი მეგობრობის ზეიმს, — ლუკა ჩურჩულით ლაპარაკობდა და თანდათან ძალა ელეოდა.

კლარა შეშფოთდა. — ლუკა! ლუკა! — ჩასძახოდა. ის კი აღარ იძვროდა. საშინელმა წინათგრძნობამ კლარას ძარღვებში სისხლი გაუყინა. — ლუკაააა!!! — მწუხარებისგან გადარეულმა იღრიალა და ზედ დაემხო...

ზაური, ტიმოთე და ჯაგარა მეორე დღესვე მათთანი გაჩნდნენ. ლუკა ქოხში დაესვენებინათ. მწუხარებისაგან შეშლილი კლარა მის გვერდით იჯდა, ეფერებოდა და წუთის არ სცილდებოდა.

— ვერ გადაგარჩინე, ჩემო ლუკა, ვერც ჩემი სიცოცხლე ჩაგიდგი და ვერც ჩემი გული. ეს სიცოცხლე შენთვის მინდა, მაგრამ რომ ვერ მომიხერხებია შენ როგორ ჩაგიდგა, — ჩურჩულებდდა. მერე მაღლა აიხედლავდა და მოთქმით აღრიალდებოდა: — უფალო! მასწავლე, ჩემი სული ლუკას როგორ გადავუნერგო! თუ არადა ამ სიცოცხლეს მე თვითონ მოვახრჩობ! — ყელში წაიჭერდა ხელს და იყო ამგვარ ტანჯვაში. ბოლოს ზაურმა ძლივს შეაჩერა: — ასე ნუ იქცევი, ახლა ლუკას პატრონი შენა ხარ, გვაცალე წესრიგიანად მივაბაროთ მიწას; ორმოცი დღის განმავლობაში მისი სული აქ ტრიალებს, ყველაფერი ესმის.

— მართლა, ზაურ, მისი სული ორმოცი დღე აქ იქნება? — მოთქმით ჰკითხა კლარამ.

— ჰო, ეგრეა, იმას ყველა შენი სიტყვა ესმის! — ტირილით უთხრა ზაურმა და გარეთ გავარდა.

ამის შემდეგ კლარა დაწყნარდა. ცხედარს ეჩურჩულებოდა, ეფერებოდა, ეალერსებოდა; ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ლუკას სული იქვე იყო და ჰაერში მოფერებით აფათურებდა ხელებს...

ქეშელა მაშინვე მოკვდა. ვიბრიონა კი ცოცხალი იყო და ახლა რეანიმაციაში ჰყავდათ.

ჯაგარამ ვერ მოისვენა, მეორე დღესვე გაიგო ვიბრიონა სად

იწვა და მის სანახავად წავიდა. პალატის კარებთან პოლიციელი იდგა. — მძიმედაა. გამომძიებელმა დამავალა, არავინ არ შეუშვათ.

— ეს დამიჭი, სიმონ, მე უფლება მაქვს! — ჯაგარამ მუჭაში ფული ჩაუდო და კარს მოაცილა.

— რა ვთქვა, ვინ იყო-მეთქი? — პოლიციელმა სასწრაფოდ ჰკითხა.

— ვინც დაინტერესდეს, უთხარი, როსტომა იყო-თქო ხან-ჯალიაშვილი. გამგები გაიგებს?! — ჯაგარამ პირველად ახსენა თავისი ნათლობის სახელი და გვარიც მიაყოლა.

ვიბრიონა თვალებდახუჭული იწვა და მძიმედ სუნთქავდა.

— ვიბრიონ! — ჯაგარა დაიხარა და ყურში ჩასძახა.

მან ქუთუთოები შეატოკა. — ვიბრიონ, თვალები გაახილე, მე ვარ-ლუკა, შეკითხვა მაქვს.

ვიბრიონას უცებ შეეტყო გამოცოცხლება. ტუჩები ააცმაცუნა. ჯაგარამ ყური ახლოს მიუტანა.

— ლუკა, ხომ იცი, მე არ გესროლე.

— მაშ ვინ იყო?

— ქეშელამ გესროლა.

— რათა, რა დავუშავე?

— ქეშელას არაფერი, შალვამ დაავალა, იმან და გრამიტონამ მისცეს ფული.

— რამდენი მისცეს?

— ოცი ათასი. მოკვლის შემდეგ მეორე ოცს მისცემდნენ.

— სად მისცემენ?

ვიბრიონა ხმას აღარ იღებდა, ეტყოდა დაიღალა.

— სად უნდა მიეცათ? — ჯაგარამ ყურში ჩასძახა.

— შირაქის ბინაზე.

— როდის?

— ყოველი თვის ბოლო კვირას იქ არის თავისი ამალით.

— ჰოოო! — ჯაგარა წელში გაიმართა.

ვიბრიონამ როგორც იყო თვალები გაახილა.

— შენ ლუკა არა ხარ! — რაღაც შვებანარევი ტონით უთხრა.

— ლუკა არა, მიქელ-გაბრიელი ვარ! — უპასუხა ჯაგარამ და გარეთ გავიდა.

— როგორაა? — ჰკითხა პოლიციელმა.

— მკურნალი ექიმი მაჩვენე, — პასუხის ნაცვლად დაავალა.

— აგერ, მოდის.

ჯაგარამ ჯიბეში ფული ჩაუდო. — ექიმო, ეგ არ უნდა მოკვდეს, — უთხრა.

მერე პოლიციელს მიუბრუნდა: — მაგან ისეთი რამეები იცის, ფრთხილად იყავ, არ მოკლან, — უთხრა და სასწრაფოდ წავიდა...

კლარას სურვილით ლუკა ნაკვეთის ბოლოს, ღელის პირას დაკრძალეს. კლარა აღარ ტიროდა. გაქვარკინებული ახლა საფლავს ეფერებოდა. — ორმოცი დღე მომიცადე, ლუკა, სული და ხორცი მეწვის უშენოდ, მაგრამ იმ ნაძირალებს ვალი ხომ უნდა გადავახდევინო, — საფლავზე ჩახუტებული ჯაგარამ წამოაყენა. — მომისმინე, კლარა, შენ ლუკას წესისამებრ დაადევნე ლაზათი, ის ჩემი სალოცავი ხატი იყო, ჰოდა, ჯავრის ამოყრაც მაცალე, — ჯაგარამ მკერდზე დაირტყა მუშტი. მერე ზაური და ტიმოთე გააფრთხილა, კლარას გვერდიდან არ მოსცილდეთ, თავს არაფერი აუტეხოსო, — მაგარი ორმოცი გადაუხადეთ! — დაავალა და ადგილს მოსწყდა.

— შენ სადღა მიდიხარ, კაცო?! — ტიმოთემ მიაძახა.

ჯაგარა მობრუნდა: — ჰო, ხვალ ამ თვის ბოლო კვირაა არა? — ჰკითხა.

— ეგრეა, მერე რა?

— მერე ის, რომ, ამბავს ორმოცამდე გაიგებთ! — გზაზე გასულმა უპასუხა.

ტაქსში ჩაჯდა და სოფელში წავიდა. გზაში ისე ამოიღრიალებდა ხოლმე, მძღოლი ადგილზე ხტოდა.

კაჭრეთის ბოლოს რესტორანთან გააჩერა, — ჩამოდი, თითო ჭიქა დავლიოთ, ჯიგარი მეწვება, იქნებ გამიგრილდეს, — მძღოლიც წაიყვანა რესტორანში.

კუთხეში დასხდნენ.

— ღვინო, მწვადი და თუ რამე გაქვს, მოიტა, არ დაზოგო! — მომტანს დაავალა.

— მწვადი გვიანია, მზარეულები წასვლას აპირებენ, — მიმტანმა მოახსენა.

— მწვადი და ღვინო, სანამ თქვენ თვითონ მწვადად არ შამიწვიხართ, ჯაგარა თავს ველარ იკავებდა. — დანარჩენი რაც გაქვთ მოიტა!

შეშინებული მიმტანი სამზარეულოში შევარდა: — ბიჭო, ვიღაცა გადარეულია, თანაც მუხის კუნძივით მაგარი ჩანს, დროზე შეწვით მწვადი, რესტორანი არ დაანგრევინოთ! — შეეხვეწა.

მოპირდაპირე კუთხეში ოთხი კაცი დოლ-გარმონით ქეიფობდა. ეტყობა კარგა ხანი იყვნენ იქ, დიდი ღრიანცელი ჰქონდათ.

ჯაგარას სუფრა სწრაფად გაუშალეს, მალე მწვადიც მოიტანეს. ჯაგარამ ღვინით შეავსო ჭიქები და ფეხზე ადგა.

— ამ ჭიქით ჩემი ძვირფასი მეგობრის, სიკეთით და ჭკუით შემკული, ხატივით ძლიერი და სპეტაკი ვაჟკაცის შესანდობარი მინდა დავლიო, — ამ დროს მოქეიფეთა მაგიდასთან მედოლემ სიმღერა წამოიწყო: — ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე. — ჯაგარამ ჭიქა ისე დაარტყა მაგიდაზე ღვინო ნახევარი დაიღვარა, — ჩოქვით შამაიარე არა? მე შენ გამოგატარებ ჩოქვით! — იღრიალა და იქითკენ წავიდა.

— რა მოხდა, ძმაო, რა გეწყინა?! — მოქეიფენი წამოიშალნენ, მედოლეს ხელები გაუჩერდა.

— იცით, ვის შესანდობარს ვსვამდი? ამქვეყნად ეგეთი პატიოსანი, ნამუსიანი, ძლიერი, შეუპოვარი, მართალი და სამშობლოს მოყვარული ვაჟკაცი ჯერ არ დაბადებულა, ღალატით მოკლეს! — ჯაგარა ღრიალებდა. — ეს კიდევ ყვავილების ქვეყანაო! სად არის ის დაწყევლილი ყვავილების ქვეყანა, სად!!!

— გვაპატიე, ძმაო! იმ ვაჟკაცის შესანდობარი იყოს, ყველამ გამოცალა სასმისი.

— ეგრე არა, ყველანი ჩემთან წამოდით, ის მარტო მე კი არა, მთელ საქართველოს, სიკეთეს, სიყვარულს, ნამუსს და პატიოს-

ნებას მოუკლეს! — ჯაგარამ ამდენს კი ვეღარ გაუძლო და აქვითინდა.

ყველა ჯაგარას მაგიდასთან გადაბარგდა, მუსიკოსებთან ერთად. ლუკას შესანდობარი უკვე მეხუთედ დალიეს, ჯაგარამ ღვინო დაისხა; — ამით კიდევ იმ კეთილ ანგელოზს გაუმარჯოს, რომელიც ლუკას მკვლელების ჯავრს არ შემაჭმევს! — სადღეგრძელო ყველამ თავისი მჭვრმეტყველებით შეანელა.

— ამ სადღეგრძელოს ეს სიმღერა, თუ სამგლოვიარო მოთქმა მოუხდებოდა, — მედოლემ ყელი მოიღერა, დოლს წკიპურტები დაარტყა, გარმონიც აჰყვა:

ეს ცხოვრება წამებულთა
უფლისადმი ღაღადია,
სიცოცხლეც ხომ სათუთი და
თხელი როგორც ქაღალდია,
რაც არ უნდა მოუფრხილდე,
სიკვდილს დღე სახადი აქვს.
ადამის ძის ნატერფალიც
სულ ომებით ნაღადრია.
დამარცხებულს მზე არ ათბობს,
გასათელად დაბლა გდია,
გამარჯვებულთა რიგები
აღლუმებზე ლაღად დიან.
ეს ცხოვრება ზოგისათვის
მოთელილი ნაბადია,
ზოგისათვის ეკალ-ბარდი
გველის გესლით ნაბარდნია.
სიმართლეს რომ გიბრმავებენ,
ღვარძლიც ყელზე მაღლამდია,
მტრისთვის დედის ატირება
ერთი სულის ბაღდადია.

— შენ გენაცვალე! ეგრეა, ეგრე! — ჯაგარამ მედოლეს შაბაშის მიცემა დაუპირა.

— არა, ძმაო! ეს სიმღერა ქართველი კაცის კვნესა იყო; მეც შენსავით განვიცადე იმ ვაჟკაცის ეგრე ვერაგულად მოკვლა, — გულისტკივილით თქვა მედოლემ და სხვებიც აჰყვნენ...

შუაღამე გადასული იყო, ჯაგარა თავის სახლს რომ მიადგა. პისტოლექტი და ვაზნები აიღო. — ეხ ლუკა, როგორ ვიფიქრებდი, რომ შენი ნაჩუქარი იარაღის ამგვარად გამოყენება დამჭირდებოდა; მაგრამ რას ვიზამთ, მტრისთვის დედის ატირება ერთი სულის ბაღდადია, — ჩაილაპარაკა.

ტაქსი გრამიტონის ორღობესთან გააჩერა.

— ახლა წადი, ძმაო, მალე გათენდება, სიკეთით გევლოს; ოღონდ არსად არ თქვა, რომ მე წამოგიყვანე, — გააფრთხილა.

გრამიტონის ეზოში გადახტა. ვიღაც ახმახი გამოვარდა. იქვე მოწყობილ საყარაულო ჯიხურიდან. ჯაგარამ დაასწრო და პისტოლეტი დაადო მკერდზე. — ვახ, რა მაგარი დაცვა ჰყოლია მაგ ფსუტიან გრამიტონას, — ჩაილაპარაკა, — გამიძეხ წინ! — უბრძანა და ბინისკენ უბიძგა. ამ დროს მეორე გამოვარდა ჯიხურიდან. — რა ხდება?! — იყვირა.

— ვიღაც ოხერია, — მეორის დანახვაზე გულმოცემულმა პირველმა უპასუხა და ჯაგარას მოუბრუნდა. ჯაგარამ ტყვია დაახალა. მეორეს იარაღის ამოღება აღარ დააცადა, ისაც პირველს მიაყოლა.

კარების საკეტს ზედიზედ ესროლა და წიხლის კვრით შეამტვრია. შეშინებული გრამიტონი ლოგინიდან წამოაგდო, ეზოში წიხლის ცემით გამოათრია. მისი ძვირფასი ჯიპი გამოიტანა, გვერდით მოისვა და ალაყაფის კარები მანქანით გარეთ გაიტანა.

გრამიტონი რაღაცის თქმას აპირებდა, ჯაგარამ ისეთი ჩასცხო თავში, კინაღამ თვალები გადმოაყრევინა, ერთხანს ასე იარეს.

— როდემდის უნდა ეგდოს ეს ღორის ტილი ჩემს გვერდით, — ზიზღით თქვა. მანქანა კლდის პირას გააჩერა, გადმოვიდა და გრამიტონი გადმოათრია.

— ჯაგარ, რამდენიც გინდა მთხოვე, მომცემი ვარ, ოღონდ თავი გამანებე, — შეეხვეწა გრამიტონი.

— შენ დაანებე თავი ლუკას?! მე რა უნდა გთხოვო, შე თვითონ მათხოვარო! — მანქანის კარებზე ისე მიარტყმევინა სახე, რომ ზედ სისხლიანი კვალი შეატოვა.

— ლუკამ რა დაგიშავა?!

— მე არა, ჯაგარ, შალვამ მოაწყო ყველაფერი; მე მარტო ფული მივეცი.

— შალვას რაღა დაუშავა?

— ხო იცი, როგორი ბოროტია.

— შენ კეთილი ხარ?

— მე ლუკასთვის სულ სიკეთე მინდა.

— სად არის ახლა ლუკა?

— რავი, ამბობენ მოკლესო.

— ახლა იმას რომ შეხვდები, არ გეშინია?

— აბა, სად არი? მე რა, ხომ იცი, ლუკა როგორ მიყვარს, — შეშინებულმა გრამიტონმა ლუკა სად იქნებაო, თვალების ცეცება დაიწყო.

— შე გველკუო! ლუკას მოკვლა სიყვარულმა გიკარნახა?! — მაგარი შემოჰკრა და ძირს დაცემულს წიხლი ურტყა. გრამიტონა უგონოდ ეგდო. — მორიელივით უნდა გაისრისო! — ჯაგარამ სახეზე დაადგა წიხლი. გრამიტონა აღარ სუნთქავდა. — გველივით გზაზე უნდა ეგდოს, მაგრამ სიმყრალით აქაც შეაწუხებს ხალხს! — ფეხით გადააგორა და ხევში გადააგდო...

შალვას იმავე დღეს მოახსენეს, ვიბრიონას სანახავად ვიღაც როსტომ ხანჯალიაშვილი იყო, ეტყობა მისი ახლობელია, ექიმს ფული დაუტოვა, კარგად მოუარე, არ უნდა მოკვდესო.

— ვიბრიონა ხომ არ დალაპარაკებია? — შალვა შეშფოთდა.

— როგორ დაელაპარაკებოდა, რაც მოიყვანეს, გონზე არ მოსულა.

შალვა ცოტათი დამშვიდდა. მაშინვე გამომძიებელი ნახა.

— ხომ იცი, ეგ სასიცოცხლო არ არის, ჩემი თანაკლასელი

მოკლა. მოკლედ, ეს აიღე, დანარჩენი პატივისცემა ჩემზე იყოს, — გრამიტონის დარჩენილი ხუთი ათასი მისცა.

— ნუ ღელავთ, ბატონო შალვა, ეგ იმ პალატიდან ცოცხალი ვერ გამოვა; სანამ რამეს იტყვის, მანამდე მოკვდება, — გამომძიებელმა აგრძნობინა, რომ შალვას სწორედ მისი ენის ამოდგმისა ეშინოდა.

ვიბრიონა იმავე დღეს მოინახულა. თვალებდახუჭულს ყურში ჩასძახა: — ვიბრიონ, შენთან სანახავად ვინ იყო?

მან თვალები უცებ გაახილა.

— ლუკა იყო, ლუკა და მერე მიქელ-გაბრიელად გადაიქცა.

რა მინდაო, რისთვის მოვიდა?

— ლუკა რად მოკალიო.

— მერე?

— მე ვუთხარი, რომ ლუკას ქეშელამ ესროლა შალვას და გრამიტონას დავალებით.

— ვაიმე! — გამომძიებელმა ხელი შემოიკრა თავში... ვიღაცამ უკვე იცის ყველაფერი. შალვას მაინც არაფერს დაუშავებენ, მე კი ფულს დავკარგამ.

ვიბრიონა თვალებდახუჭული იწვა. გამომძიებლის თავში აზრები ჯარასავით ბრუნავდნენ.

— ის მიქელ-გაბრიელი კიდევ მოვა? — ვიბრიონამ უცებ ჰკითხა.

— ნუ გეშინია, მშვიდად იყავ, ის აღარასოდეს მოვა, — უთხრა გამომძიებელმა და ცხვირ-პირზე ხელი დააფარა.

ცოტა ხნის შემდეგ გარეთ გამოვიდა და დაცვა გააფრთხილა: — არავინ შეუშვა, სძინავს. ეგ ცოცხალი მჭირდება! — მერე მკურნალი ექიმიც მოინახულა და სთხოვა, ვიბრიონა გადამირჩინეო. ამის შემდეგ კმაყოფილი წავიდა, რომ შალვას მოახსენებდა ვიბრიონას დაღუპვის შესახებ...

გახარებული შალვა შირაქის ბინისკენ მიქროდა თავისი ამალით. ლუკა ისე გააქრო, მასზე ეჭვს ვერ აიღებენ. ორივე მკვლელიც მკვდარია. თუმცა თუ გადარჩებოდნენ, მათი ლიკვიდა-

ცია დაგეგმილი ჰქონდა. ახლა კი ყველაფერმა ისე ჩაიარა, უკეთ-ესს ვერ ინატრებდა.

მზე კავკასიონის ქედს შუბის ტარზე ამოცილებული იყო, შალვა შირაქის ბინაზე რომ მივიდა. მაშინვე მიართვეს სკამი და მაგიდა, დაცვის სამი ვაჟბატონიც გვერდით დაუდგა. შალვამ ჯერ დოინჯშემოყრილმა გაიარ-გამოიარა. გახარებული იყო, მალ-მალე უმიზეზოდ იცინოდა. მერე დაჯდა და შოკოლადის თავისი წესით დარიგება დაიწყო. მის წინ ჩაცუცქებული ძაფლი ამ საქმეში ყველას სჯობდა. შალვა ხარხარით იკლებდა იქაურობას, ჩემი ძაღლი ყველაზე კარგად იჭერსო შოკოლადს.

გზაზე მანქანა გამოჩნდა, მათკენ დიდი სიჩქარით მოდიოდა გრამიტონა, გაიგებდა რაც მოხდა და გაიხარებდა; ალბათ ფულიც მიაქვს — შალვამ გაიფიქრა და სიამოვნების ღიმილით სახე გაებადრა.

მანქანა მათ წინ დამუხრუჭდა და მტვერი ინერციით იქაურობას მოედო. უცებ გადმოხტა ჯაგარა ხელში პისტოლეტით. სანამ დაცვის ბიჭები იარაღს ამოიღებდნენ, სამივეს დაასწრო და გრამიტონას გზას გაუყენა; ძაღლი ღრენით გაუქანდა და შუბლში ტყვია დაიმსახურა.

შიშისგან დამბლადაცემული შალვა სკამიდან ადგომას ვერ ახერხებდა; დანარჩენები გაქცევა აპირებდნენ.

— ადგილიდან ფეხი არავინ მოიცვალოს! — უყვირა ჯაგარამ და შალვა სკამიდან წამოაგდო.

— რა გინდა, ჯაგარ? — შიშისგან ძლივს ამოიკნავლა.

— ჯაგარა კი არა, როსტომა ვარ ხანჯალიაშვილი. შე ახვარო, ჯერ არ მოგახსენეს, რომ ვიბრიონამ ყველაფერი ჩამიკაკლა?!

— ვაიმე! — შალვას კინაღამ გული შეუღონდა.

— ლუკამ რა დაგიშავა?! — ჯაგარამ უყვირა.

— ააარაფერი!

ჯაგარას გაახსენდა, კლარა როგორ იტანჯებოდა და სიკვდილს ნატრობდა; ჯიგარა დაემდუღრა.

— შე არაკაცო, ის შენი ჩონჩორიკი ცოლი ერთ ცრემლსაც არ გაღირსებს, რო ჩაგაძაღლებ; თქვენთვის სიყვარული ცოდვაა! — ჯაგარას შალვას ხმის გაგონება არ უნდოდა, პირში პისტოლექტს ლულა ჩასჩარა. შალვა ახრიალდა, რაღაცის თქმას აპირებდა, აღარ დასცალდა, ტყვიამ თავის ქალა ახადა.

— ვაიმე, ვაიმე! ხომ ვეუბნებოდი, მოზვერი არ დაკლა-მეთქი! — მოსთქვამდა დათა.

— ვისი მოზვერი დაკალით?! — ჯაგარა მას მიუბრუნდა.

— მე მარტო ბაკში შევყარე, შალვამ კიდე, მოზვერი დაკალითო.

— შენ ვინა ხარ?

— აქაურობას ვუვლი.

— ყმა ხარ, შენი დედა! — ჯაგარამ პისტოლეტის ტარი ჩასცხო თავში, დათა მიწაზე გაიშხლართა.

— ჩვენ უბრალო მუშები ვართ, არაფერი დაგვიშავებია! — დანარჩენები შეეხვეწნენ.

— წადი თქვენი ბეჩავი დედა! — ჯაგარამ შეიგინა, მანქანაში ჩაჯდა და იქაურობას მოსცილდა.

ვრცელი მინდორი გაიარა და თავდაღმართზე დაეშვა. ფერდობზე მწყემსი იჯდა, იქვე ფარა ძოვდა.

„ყველაფერი მორჩა, აქამდე ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავ, ახლა რა გავაკეთო? ეხ, ლუკა, როგორ მჭირდები! შენ გროსმაისტერი იყავი, მე კი ორი სვლის იქით ვერაფერს ვხედავ. ეგე, გავიჭედე კიდეც ჩიხში“. მანქანიდან გადმოვიდა. ცოტა ხანს იდგა, „ეს აღარ მჭირდება“, გაიფიქრა. თავქვე დაგორებული მანქანა მინდორზე გადავიდა, სიჩქარეს მოუმატა, ქვებზე და გორახებზე ხტუნვით ხრამს მიადგა და შიგ ჩაეყუდა.

ჯაგარა ფერდობზე ავიდა. მთელი ღამის უძილოს და განცდებით დამძიმებულს დაღლა მოეძალა. ტინის ქვის ძირში ჩამოჯდა და პისტოლეტი გადატენა.

მწყემსი ჩონგურს უკრავდა; მერე სიმღერაც ააყოლა:

ოხერი ამ ქვეყნად ყოფნა
სულ სიკვდილის ლოდინია,
ზოგის ჯერი ადრე დგება,
ზოგის კიდევ მოდის გვიან.

განგებიდან მოვლენილი
დიდი რიყის ლოდიც კია,
მათხოვარსაც მოუძებნი
განდიდებულ ლორდის ჭიას.

საკუთარი სიკეთისთვის
ყველას სჭირს იგი ვნება,
ძიძგილია სათავისო
ვიღაც მიტომ იკბინება.

ბოლოს სული გაფრინდება,
ხორცი მტვერში განიბნევა,
ხსოვნის ნარჩენს შეუჩნდება
მოჯირითე ჟამი რბევად.

ჯაგარას სიმღერა იავნანასავით ჩაესმა, ამდენი რამის გადატანით დაღლილს და ღრმად ჩაეძინა. პოლიციის მანქანების სირენების ხმამ გამოაღვიძა.

— დაგვნებდი! — ვიღაცა იძახოდა.

— წადი თქვენი! — დაიყვირა ჯაგარამ და პისტოლეტს დასტაცა ხელი.

სროლის ხმა კარგა ხანს ისმოდა. ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა. მაღლა ცაში აჭრილი ტოროლა ლაღად გალობდა. ჭრიჭინებიც ჩვეულებრივად ხერხავდნენ სმენის სიმებს...

ორმოცი დღე გავიდა ლუკას გარდაცვალებიდან. ზაური და ტიმოთე ამ ხნის განმავლობაში იქაურობას არ მოსცილებიან. ბორისი სულ ოხვრით დადიოდა და როცა მარტო რჩებოდა,

მოთქმით გულს ითუთქავდა; – რა ადამიანი მოკლეს, კაცო! – იძახდა და მკერდში მუშტს ირტყამდა.

კლარა აჩრდილს დაემსგავსა. ლუკას ეჩურჩულებოდა, ეფერებოდა, შენდობას სთხოვდა, რომ თავისი სიცოცხლის მასზე გადასვლა ვერ მოახერხა. – რა ვქნა, ლუკა, ჯაგარამ სამაგიეროს გადახდის საშუალება არ მომცა; ახლა ალბათ ისაც შენთან არის. მე უბედური კი ამ ჯოჯოხეთის ცეცხლშივე ვიხრაკები. მალე გნახავ, ლუკა, მალე! – უცებ წამოხტებოდა და მის საფლავისკენ გარბოდა. ლალი და ზაური ოხვრით და გოდებით ძლივს მოაბრუნებდნენ ხოლმე. მართალია უშლიდნენ, მაგრამ ლუკას საფლავის გვერდით ახალი გაათხრევინა, ლუკა ფართედ უნდა იყოსო, იმიზეზებდა.

ოორმოცზე ყველა ლუკას საფლავთან შეგროვდა. კაცებმა შესანდობარის ჭიქები გადაუქციეს. უკან გამობრუნებას აპირებდნენ. საფლავზე დამხობილი კლარა უცებ ფეხზე წამოიჭრა, თითქოს პეპელას იჭერსო, ხელები აასავსავა. – მიდიხარ ლუკა?! – სასოწარკვეთილმა დაიძახა. – მეც მოვდივარ, დამიცადე! – კაბის ჯიბეში ჩამალული მინოსას ნაჩუქარი პისტოლეტი ამოიღო და საფეთქელზე მიიდო.

– რას შვრები?! – ზაური მისკენ ღრიალით გაქანდა.

– მოვდივარ, ლუკა! – კლარას ძახილი პისტოლეტის ხმას შეუერთდა.

# შინაარსი


მუხთლობის როკვა ..... 5
მოსწავლე და მასწავლებელი ეროსის ტყვეობაში ..... 19
ნებიერი მასწავლებლის წაფორხილება ..... 33
ეროსისგან შეცდენილი მასწავლებლის დასჯა ..... 38
ჯაგარა- მასწავლებელთა რისხვა ..... 40
დიმიტრი დავარაშვილის ბოლო გაკვეთილი ..... 48
თამაში არ იცი, ნამუსი სად დაკარგე ..... 69
დასმენა ..... 81
ცოუნების ჭიდილი ნებისყოფასთან ..... 101
ძლიერი მამაკაცია გრამიტონა ..... 107
მექათმეების მუსუსი ..... 115
თავის ტკივილად ქცეული მასხრობა ..... 119
შერყეული კბილი ..... 127
სიყვარულის მწველი განცდა ..... 131
პაპუნას ნატკენი ხელი ..... 139
უიმედო სიყვარულის მსხვერპლი ..... 142
სოფლად შრომაზე გადაცვლილი კარიერისტული ამბიციები ..... 145
სასუქის გადამყრელები ..... 151
გიჟიც ასეთი უნდა ..... 164
გრამიტონის ოინბაზობა ..... 170
საშიში დაავადების ნიშნები ..... 172
სიყვარულით გზააბნეული ..... 201
დინების საწინააღმდეგო მოცურავე ..... 208
შიშის კარნახით ჩადენილი დანაშაული ..... 225
ეს ვაგლახი უცხოეთის აგენტია ..... 257
ნახევარი ჭიქა ღვინის და შეუჭმელი ლუკმის ფასი ..... 282
ერთი კაცი იდგა წნორის ქვეშ ..... 294
თუ გინდა წარმატებას მიაღწიო, ყველაფრის
კადრება შეიძელი ..... 314

მუხთალთა ბოროტებაზე დამყარებული მომხვეჭელობა.....363
არეული მონასტერი.....398
ბრძოლა თბილი ადგილისათვის .....424
მრუდე გონების ბორგვა.....435
უკუღმართი ცხოვრების მსხვერპლნი.....468
სიცოცხლეშივე გარდაცვლილთა ღვარძლი.....480

გივი სომხიშვილი

# სიცოცხლეშივე არ მოკვდე

თბილისი – 2008

ГИВИ СОМХИШВИЛИ

# Раз живёшь – живи человеком...

Твилиси – 2008

დაიბეჭდა: გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №45